Funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

PESTUGE
მშვიდობის კვლევების ინსტიტუტი
INSTITUTE OF PEACE STUDIES

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

თორნიკე თურმანიძე

საკითხავი მასალა საგნისთვის: „საერთაშორისო კონფლიქტები და მშვიდობა" (ICPB 5050)

CSG
კავკასიის სახელმწიფო მართვის სკოლა
Caucasus School of Governance

კავკასიის უნივერსიტეტი
სახელმწიფო მართვის სკოლა

2018 წელი

საკითხავი მასალა საგნისთვის:

„საერთაშორისო კონფლიქტები და მშვიდობა“

(ICPB 5050)

კავკასიის უნივერსიტეტი, სახელმწიფო მართვის სკოლა

2018 წელი

ლექტორი:
თორნიკე თურმანიძე, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა

მთარგმნელი:
ხათუნა ბასილაშვილი

თარგმანის ენობრივი რედაქტორი:
თამარ მაღალაშვილი

კურსის საკითხავი მასალა (რიდერი) მომზადდა ერასმუს + პროექტის
„Creation of the Graduate Curricula in Peace Studies in Georgia (PESTUGE)“ ფარგლებში

სარჩევი

კონფლიქტების მოგვარების შესავალი: ცნებები და განმარტებები,
თანამედროვე კონფლიქტების მოგვარება
ოლივერ რამსბოთამი, ტომ ვუდჰაუსი და ჰიუ მიალი, 2011 7

კონფლიქტის მოგვარება: დარგის წარმოშობა, საფუძვლები და განვითარება,
თანამედროვე კონფლიქტების მოგვარება
ოლივერ რამსბოთამი, ტომ ვუდჰაუსი და ჰიუ მიალი, 2011 41

მომაკვდინებელი ომების სტატისტიკა და მშვიდობის გაზომვა,
თანამედროვე კონფლიქტების მოგვარება
ოლივერ რამსბოთამი, ტომ ვუდჰაუსი და ჰიუ მიალი, 2011 70

თანამედროვე კონფლიქტები,
თანამედროვე კონფლიქტების მოგვარება
ოლივერ რამსბოთამი, ტომ ვუდჰაუსი და ჰიუ მიალი, 2011 107

ძალადობრივი კონფლიქტის პრევენცია,
თანამედროვე კონფლიქტების მოგვარება
ოლივერ რამსბოთამი, ტომ ვუდჰაუსი და ჰიუ მიალი, 2011 139

ძალადობრივი კონფლიქტის შეჩერება: მშვიდობის დაცვა,
თანამედროვე კონფლიქტების მოგვარება
ოლივერ რამსბოთამი, ტომ ვუდჰაუსი და ჰიუ მიალი, 2011 165

ძალადობრივი კონფლიქტის დასრულება: მშვიდობის დამყარება,
თანამედროვე კონფლიქტების მოგვარება
ოლივერ რამსბოთამი, ტომ ვუდჰაუსი და ჰიუ მიალი, 2011 190

ომის შემდგომი რეკონსტრუქცია,
თანამედროვე კონფლიქტების მოგვარება
ოლივერ რამსბოთამი, ტომ ვუდჰაუსი და ჰიუ მიალი, 2011 218

შერიგება,
თანამედროვე კონფლიქტების მოგვარება
ოლივერ რამსბოთამი, ტომ ვუდჰაუსი და ჰიუ მიალი, 2011 270

კონფლიქტების მოგვარება და ჩარევის ეთიკა,
თანამედროვე კონფლიქტების მოგვარება
ოლივერ რამსბოთამი, ტომ ვუდჰაუსი და ჰიუ მიალი, 2011 286

თავი პირველი

კონფლიქტების მოგვარების შესავალი: ცნებები და განმარტებები

ამ წიგნის მესამე გამოცემაში კონფლიქტების მოგვარებას, როგორც დარგს ოცდამეერთე საუკუნის მეორე ათწლეულის გადასახედიდან განვიხილავთ. კონფლიქტების მოგვარება, როგორც კონკრეტული სპეციალიზირებული დარგი, ცივი ომის დასრულების შემდეგ ჩამოყალიბდა. ამ დროს იგი ფუნდამენტურად განსხვავებული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, რომელთაგან მრავალმა აღნიშნული წიგნის პირველი და მეორე გამოცემების გამოსვლის შემდეგ კიდევ უფრო მწვავედ იჩინა თავი.

რატომ გახდა საჭირო მესამე გამოცემის გამოშვება?

ამ წიგნის პირველი გამოცემა (1999 წელი) იმ დროს დაიწერა, როდესაც, გარკვეული დაბრკოლებების მიუხედავად, კონფლიქტის მოგვარების მიდგომები მშვიდობის შენარჩუნების, მისი დაცვის, და შენების საქმეში გლობალური პოლიტიკის ცენტრალურ საკითხად აღიქვეს, მას შემდეგ, რაც აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ უფროსი „ახალ მსოფლიო წესრიგზე“ ალაპარაკდა (თუმცა, უხალისოდ). მომდევნო პრეზიდენტი, ბილ კლინტონი და გაერო-ს გენერალური მდივანი, კოფი ანანიც იმის მხარდამჭერებად გამოდიოდნენ, რასაც „კოსმოპოლიტურ“ მსოფლმხედველობას ვუწოდებთ და რასაც კონფლიქტების მოგვარების დარგის მრავალი (თუ არა ყველა) ფუძემდებელი ემხრობოდა. ამ წიგნის პირველი გამოცემის მიზანი ამ თვალთახედვის ახსნა იყო. მეორე გამოცემის (2005 წელი) გამოსვლა ნეო-კონსერვატორთა ზეობის ხანას დაემთხვა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება ჯორჯ ბუშ უმცროსის პრეზიდენტობის პერიოდს. ამ პერიოდში „გლობალური ომი ტერორიზმის წინააღმდეგ“ მთავარ ლოზუნგად იქცა, რის გამოც კონფლიქტების მოგვარების დარგმა მარგინალიზაცია განიცადა, უარი თქვეს მის კოსმოპოლიტურ ღირებულებებზე, მათი ახლებურად გამოყენება დაიწყეს, ზოგ შემთხვევაში კი მათი დისკრედიტაციაც კი მოხდა. წიგნის მეორე გამოცემის მიზანი კონფლიქტების მოგვარების დარგის ამ რთული მდგომარეობიდან გამოყვანა, მისი განსაკუთრებული ბუნების დაცვა და იმ წვლილის დამტკიცება გახლდათ, რომლის შეტანაც მას შეუძლია. მესამე გამოცემა კი (2011 წელი) მსოფლიო ისტორიის ერთობ გაურკვეველ ვითარებაში გამოდის მაშინ, როცა აშშ-ს ადმინისტრაცია კვლავ მზადაა კონფლიქტების მოგვარების მიდგომები თავის მასშტაბურ საგარეო პოლიტიკაში ჩართოს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვეული გამოწვევების წინაშე გვაყენებს არა-დასავლური სახელმწიფოების (ძირითადად ჩინეთის) აღზევებაც, სახელმწიფოს წარუმატებლობასა და საერთაშორისო ტერორიზმს შორის არსებული კავშირები, სასტიკად შერყეული გლობალური ეკონომიკა და არეულობა ავღანეთსა და ერაყში, რაც უდიდეს ზიანს აყენებს „ლიბერალური მშვიდობის“ იმ ცნებას, რომელიც კონფლიქტების მოგვარებას უდევს საფუძვლად. მესამე გამოცემის მიზანია განსაზღვროს კონფლიქტების მოგვარების და მისი კოსმოპოლიტური ღირებულებების როლი ოცდამეერთე საუკუნის მეორე ათწლეულის რთულ და მშფოთვარე გარემოში. შესაძლოა, ასეთი ტიპის სისტემურმა კომპლექსურობამ კონფლიქტების მოგვარება გაართულოს, მაგრამ ამავე დროს მეტად რელევანტური და აქტუალურიც გახადოს.

კონფლიქტების მოგვარება, როგორც კვლევის ერთ-ერთი დარგი, 1950-1960 წლებში განვითარდა.ეს იყო ცივი ომის პერიოდი, როდესაც ატომური იარაღის განვითარება და

ლიდერ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტი კაცობრიობას საფრთხეს უქმნიდა. სხვადასხვა დარგების პროფესიონალებმა კონფლიქტის, როგორც ზოგადი ფენომენის, შესწავლის აუცილებლობა გააცნობიერეს. ნებისმიერ კონფლიქტს, რა სფეროშიც არ უნდა წარმოიშვას ის - საერთშორისო ურთიერთობებში, საშინაო პოლიტიკაში, ინდუსტრიულ ურთიერთობებში, საზოგადოებაში, ოჯახსა თუ ინდივიდებში, საერთო მახასიათებლები აერთიანებს. მკვლევრებმა გააცნობიერეს, რომ მიდგომები, რომლებიც არსებობდა ინდუსტრიული ურთიერთობებისა თუ საზოგადოებრივი კონფლიქტების მოგვარების კუთხით,შესაძლოა რელევანტური ყოფილიყო ზოგადად ყველა ტიპის კონფლიქტისათვის, მათ შორის სამოქალაქო და საერთაშორისო კონფლიქტისათვის.

ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში დაიწყო მკვლევართა ჯგუფების ჩამოყალიბება, რომლებიც ორიენტირებულნი იყვნენ ახალი იდეების განვითარებასა და გავრცელებაზე, თუმცა საზოგადოება მათ სერიოზულად არ აღიქვამდა. საერთაშორისო ურთიერთობის დარგი საერთშორისო კონფლიქტის აღქმის საკუთარი კატეგორიებით ხელმძღვანელობდა და შესაბამისად, ისინი კეთილგანწყობით არ ხვდებონენ ახალ იდეებს. ახალი იდეები პრაქტიკისა და ანალიზის კომბინაციას გულისხმობდა, რაც ასევე მიუღებელი იყო მოქმედი სამეცნიერო დაწესებულებებისა თუ პრაქტიკოსებისათვის, კერძოდ, პოლიტიკოსებისა და დიპლომატებისათვის.

ამ ყველაფრის მიუხედავად, ახალმა იდეებმა მაინც მიიპყრო საზოგადოების ყურადღება და შესაბამისად, დაიწყო დარგის განვითარება და გაფართოება. დაიბეჭდა სამეცნიერო ჟურნალები კონფლიქტების მართვის თემაზე; ჩამოყალიბდა ამ დარგის შემსწავლელი დაწესებულებები, რომელთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა; განვითრდა ქვედარგები, რომლებიც სწავლობდნენ საერთაშორისო კრიზისს, შიდა ომებს, სოციალურ კონფლიქტებს და სხვადასხვა მიდგომებს, დაწყებული მოლაპარაკებებითა და მედიაციით, დამთვრებული ექსპერიმენტული თამაშებით.

1980–იანი წლებისთვის კონფლიქტების მოგვარების ახალმა მიდგომებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არსებული კონფლიქტების მოგვარების საქმეში. მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში, აპართეიდის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის დაპირისპირებისას ჯგუფთაშორისი კვლევის ცენტრი (Centre for Intergroup Studies) იყენებდა ახალ მიდგომებს, რომელთა წყალობითაც მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა შეძლო. ახლო აღმოსავლეთში, მშვიდობის პროცესები დაიძრა მას შემდეგ, რაც პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული ვორქშოფების საშუალებით მოლაპარაკებების მონაწილე ორივე მხარემ ერთმანეთთან ურთიერთობისა და კონფლიქტის მართვის საჭირო გამოცდილება შეიძინა. ჩრდილოეთ ირლანდიაში ახალი მიდგომებით შთაგონებულმა ჯგუფებმა ჩამოაყალიბეს სამოქალაქო ურთიერთობის ინიციატივა, რომელიც სამოქალაქო უთანხმოების საკითხებზე მუშაობდა და მოგვიანებით უკვე ადგილობრივი მთავრობისთვის პასუხისმგებელ სუბიექტად ჩამოყალიბდა.

აფრიკასა და სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიაში ომისაგან დაზარალებულ რეგიონებში მომუშავე სოციალური მუშაკები და ჰუმანიტარული სააგენტოები კონფლიქტის მოგვარების გზების შესწავლას საკუთარი საქმიანობის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდნენ.

ცივი ომის დასასრულს, კონფლიქტის მოგვარების კუთხით სიტუაცია სწრაფად იცვლებოდა. ლიდერ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესების შედეგად, იდეოლოგიური

და სამხედრო დაპირისპირება, რომელმაც ბევრი რეგიონალური კონფლიქტი გაამწვავა, თანდათან შესუსტდა. დაიწყო გახანგრძლივებული რეგიონალური კონფლიქტების მოგვარება სამხრეთ აფრიკაში, ცენტრალურ ამარიკასა და აღმოსავლეთ აზიაში. ჩანდა, რომ გაეროს უნდა დაეწყო იმ როლის შესრულება, რომლის მოლოდინიც მის დამფუძნებლებს ჰქონდათ.

საბჭოთა კავშირის დაშლით დასრულდა ის ხანგრძლივი პერიოდი, რომლის დროსაც საერთაშორისო სისტემაში ერთი საერთაშორისო კონფლიქტი დომინირებდა. 1990-იან წლებში ნორმად იქცა სახელმწიფოების ფარგლებში მიმდინარე ადგილობრივი და ეთნიკური, სახელმწიფოდანგამოყოფისადახელისუფლებისხელშიჩასაგდებადმიმდინარეკონფლიქტები, რომლებიც ძირეულად განსხვავდებოდა იმისგან, რითიც საერთაშორისო კონფლიქტები 350 წლის განმავლობაში, ვესტფალიის ზავის დადების შემდეგ ხასიათდებოდა; ნაწევრდებოდა და იშლებოდა სახელმწიფოთა მთელი სტრუქტურები, ეკონომიკა და საზოგადოება; ადგილი ჰქონდა ექსტრემალურ შემთხვევებს აფრიკის გარკვეულ რეგიონებში, გაჩაღდა ახალი ომები, გამოჩნდნენ პარტიზანთა არმიები და დაბალანაზღაურებადი მილიციის შენაერთები, რომლებიც მშვიდობიან მოსახლეობაზე ნადირობდნენ და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფარული კრიმინალური ქსელიდან მიღებული დახმარებებით იკვებებოდნენ.

ამ ახალი კლიმატის პირობებში, საერთაშორისო და კომპარატივისტული პოლიტიკის მკვლევრების ყურადღების ცენტრში იმ ტიპის კონფლიქტები მოექცა, რომლებსაც ამ დარგის მოაზროვნენი ხანგრძლივი დროის განმავლობაში სწავლობდნენ. კონფლიქტების მოგვარებასა და ამ ტრადიციულ დარგებს შორის აზრების ნაყოფიერი გაცვლა-გამოცვლა დაიწყო. ამავდროულად, კონფლიქტების მოგვარებით დაინტერესდნენ სხვადასხვა დარგის პრაქტიკოსებიც. სერთაშორისო მოღვაწეები ამ დარგის ენაზე ალაპარაკდნენ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა კი, მაგ., „ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ“ (“ეუთო”) (the Organization for Security and Cooperation in Europe (OSCE) და „აფრიკის ერთობის ორგანიზაციამ“ (Organization of African Unity” OAU) კონფლიქტების გადაჭრის მექანიზმები შეიმუშავა და კონფლიქტების პრევენციის ცენტრები დაარსა. კონფლიქტების მოგვარების არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთ აქტიურ ლიდერად მოგვევლინა აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი, ჯიმი კარტერი. მსგავსი მიზნებით დაარსდა „ნიერერის ფონდი“ (Nyerere Foundation) აფრიკისთვის. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ჰუმანიტარული მისიების მუშაკები, რომლებიც აქამდე თავიანთ საქმიანობას „არა-პოლიტიკურად“ მიიჩნევდნენ, ახლა კონფლიქტების მოგვარების მიდგომებით დაინტერესდნენ, რადგან ხშირად უხდებოდათ კონფლიქტის ზონებში საქმიანობა - „კომპლექსური ჰუმანიტარული გადაუდებელი შემთხვევები“ ხშირ შემთხვევაში „კომპლექსური პოლიტიკური გადაუდებელი შემთხვევებიც“ იყო. მსგავსი რამ მოხდა საერთაშორისო მშვიდობის დამცველების შემთხვევაშიც. რამდენიმე ქვეყნის საგარეო განვითარების სამინისტროებმა სათანადო განყოფილებები შექმნეს და კონფლიქტების პრევენციის და მოგვარების ინიციატივების დაფინანსება სერიოზული მასშტაბებით დაიწყეს. კონფლიქტების პრევენცია საკუთარ თავზე აიღეს ისეთმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა როგორებიცაა: „საერთაშორისო სავალუტო ფონდი“ და „მსოფლიო ბანკი.“ გაეროს გენერალური მდივნის განცხადებით ახალ ათასწლეულში საერთაშორისო საზოგადოების მთავარი მიზანი სწორედ ძალადობრივი კონფლიქტის პრევენცია იქნებოდა. როგორ მივაღწიოთ სახელმწიფოთა შორის „დავათა მშვიდობიან გადაწყვეტას“ - ეს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული კვლევებისთვის ნაცნობი თემა და საერთაშორისო დიპლომატიის განუყოფელი ნაწილი იყო; თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის არასახელმწიფოებრივი კონფლიქტების მართვა ახალი გამოწვევა იყო.

კონფლიქტების მოგვარება ხშირად ხდებოდა ცხარე კამათის თემა როგორც მის ფარგლებს გარეთ არსებული დისციპლინების წარმომადგენლებს, ასევე მისი სხვადასხვა სკოლების მიმდევრებს შორის. მას კრიტიკის ქარ-ცეცხლში ხვევდნენ პოლიტიკოსები და ინტელექტუალები, ნეო-რეალისტები და ნეო-მარქსისტები. 1990-იან წლებში ამ დარგისადმი დიდი მოლოდინი იყო, მაგრამ ბრწყინვალება მალე შემოეძარცვა, რადგან მისგან არარეალურს - დაუყოვნებელ შედეგებს - ელოდნენ. პირველი - საერთაშორისო მედიატორები ქაოსურ საომარ ზონებში, მაგ. ბოსნიასა (1992-1995) და სომალიში (1992-1993) უამრავ სირთულეს წააწყდნენ. ანალიტიკოსები იმ გავლენაზე ალაპარაკდნენ, რომელსაც გლობალიზაცია ყველაზე მოწყვლად სახელმწიფოებზე ახდენდა და მათ დასუსტებას იწვევდა; ასევე საუბრობდნენ იაფასიანი იარაღის მიწოდებაზე, რომელიც „ასიმეტრიული ომის“ წარმოების შესაძლებლობას იძლეოდა და ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმოქმნაზე, რაც „ახალ ომებს“ თვით-განგრძობის საშუალებას აძლევდა და ზოგიერთებისთვის შემოსავლის წყაროც კი ხდებოდა. კონფლიქტების მოგვარება პრობლემათა ასეთ რთულ კვანძთან ვერაფერს გახდებოდა. მეორე - 2000 წლის სექტემბერში მეორე ინტიფადას დაწყებისას, ისრაელი-პასლესტინის „ოსლოს“ სამშვიდობო პროცესმა კრახი განიცადა მაშინ, როდესაც „ოსლოს“ სამშვიდობო პროცესი კონფლიქტების მოგვარების კლასიკური მიდგომის წარმატების მაგალითად ითვლებოდა. მესამე - 2001 წლის 11 სექტემბერს მსოფლიო სავაჭრო ცენტრსა და პენტაგონზე განხორციელებული შეტევა იყო, რასაც მოვლენათა კალეიდოსკოპური განვითარება მოჰყვა და დაიწყო ის, რასაც „ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალურ ომს“ უწოდებენ (Global War on Terror (GWOT)). დასავლურ გლობალურ ჰეგემონიას ჯიჰადისტური რეაქცია მოჰყვა. რა პასუხი უნდა მოუძებნოს კონფლიქტების მოგვარებამ იმას, რასაც „არამზადა“ ან „ხელმოცარული“ სახელმწიფოების, ტრანს-სასაზღვრო დანაშაულის, მასობრივი განადგურების იარაღის მომრავლებისა და საერთაშორისო ტერორიზმის ფანატიკური იდეოლოგიის ლეტალური კომბინაცია შეიძლება ვუწოდოთ?

ამ პოლიტიკური გამოწვევების მიღმა ინტელექტუალურიც იმალება. ამ წიგნში სხვებზე მეტ ყურადღებას სამ მათგანზე შევაჩერებთ. პირველი - კონფლიქტების მოგვარების ტრადიციული რეალისტური კრიტიკაა, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკას ანტაგონისტურ და შეურიგებელ ჯგუფებს შორის მიმდინარე ბრძოლად განიხილავს, სადაც ძალა და იძულება ერთადერთი იარაღია; ეს თვალსაზრისი კონფლიქტების მოგვარების „რბილ ძალას“ არაეფექტურად და საშიშად მიიჩნევს - ამის დამადასტურებელ ნათელ მაგალითად 2009 წელს, შრი ლანკაში განვითარებული მოვლენები და სამთავრობო ძალების მიერ ტამილის წინააღმდეგობის დაძლევა მოჰყავთ. მეორე - ტრადიციული მარქსისტული კრიტიკაა, რომელიც კონფლიქტების „ლიბერალური“ გზით გადაჭრას გულუბრყვილო და თეორიულად გაუმართლებელ ნაბიჯად მიიჩნევს, რადგან იგი შეურიგებელი ინტერესების შერიგებას ცდილობს, უთანასწორო და უსამართლო ბრძოლაში არცერთ მხარეს არ დგება და მჩაგვრელთა და ჩაგრულთა ძალებს არ ითვალისწინებს. რეალისტური და მარქსისტული თეორია ძალადობას კონფლიქტის ბუნების განუყოფელ და გარდაუვალ ნაწილად მიიჩნევს. კონფლიქტების მოგვარება კი ასეთ დეტერმინიზმს არ ცნობს. იგი სხვა შესაძლებლობებს ხედავს და მიაჩნია, რომ პირდაპირი ძალადობა ადამიანის მიერ გაკეთებული არჩევანის შედეგია. მესამე კრიტიკა, რომელსაც განვიხილავთ, კარგად არის ჩამოყალიბებული პოლ სალემის წიგნში „კონფლიქტების მოგვარების დასავლური მეთოდების კრიტიკა არა-დასავლური გადმოსახედიდან“ („Critique of Western Conflict Resolution from a Non-Western Perspective” (1993,ასევე იხ. Salem, 1997)), რომელიც ამტკიცებს, რომ „დასავლური“ თვალსაზრისი, რომელსაც კონფლიქტების მოგვარება ეყრდნობა, უნივერსალური არ გახლავთ.

ამ და სხვა კრიტიკოსთა პასუხად ამ წიგნის მეორე ნაწილში შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ კონფლიქტები და კონფლიქტების მოგვარება გაცილებით რელევანტურია, რადგან დღესდღეობით საქმე გვაქვს სუვერენიტეტისა და სახელმწიფო მმართველობის უცვლელი სისტემის რღვევასთან. მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობის ზრდით, მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილებებით, ქალაქებში მიგრაციით, ეკოლოგიური პრობლემებით და სწრაფი სოციალური ცვლილებებით გამოწვეული სტრესის პირისპირ დგას. ასეთ ცვლილებებს უფრო მშვიდად ეგუება ის საზოგადოება, სადაც კარგად განვითარებული ინსტიტუტები, კონფლიქტის მოგვარების წესები და ნორმები და სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრებული ტრადიციები არსებობს; მეტ სირთულეებს აწყდება ის საზოგადოება, სადაც მმართველობა და სოციალური კავშირები სუსტია და მისი წევრები ღირებულებებსა და ტრადიციებზე ვერ თანხმდებიან. ომებისა და ეთნონაციონალიზმის აღსაკვეთად საზოგადოებასა და პოლიტიკურ ინსტიტუტებს კონფლიქტების მოგვარების უკეთესი უნარები უნდა ჰქონდეთ. ვთვლით, რომ კონფლიქტების მოგვარებამ თავისი როლი უნდა შესარულოს ომის ზონებშიც, რადგან გახლეჩილ საზოგადოებაში ურთიერთგაგების აღდგენა აუცილებელია. ვთვლით, რომ კონფლიქტების მოგვარება იმ განვითარების, სოციალური სამართლიანობისა და სოციალური ტრანსფორმაციის განუყოფელი ნაწილია, რომლის საბოლოო მიზანსაც ისეთ პრობლემებთან ბრძოლა წარმოადგენს, რომლის ერთ-ერთი სიმპტომიც დაქირავებული და არასრულწლოვანი ჯარისკაცების არსებობაა. ვთვლით, რომ კონფლიქტების მოგვარება უფრო ფართო მნიშვნელობით უნდა დავინახოთ და მხოლოდ მხარეთა შორის მედიაციის საშუალებად არ უნდა მივიჩნიოთ; მას უფრო ფართო მასშტაბები უნდა მივცეთ; მასში უნდა ჩაერთონ საერთაშორისო აქტორები, ადგილობრივი მოსახლეობა და მხარეები, რის შედეგადაც თავიდან ავიცილებთ კონფლიქტების ძალისმიერი მეთოდებით გადაწყვეტის აუცილებლობას. გვჯერა და ვაცხადებთ, რომ მართალია, კონფლიქტების მოგვარების თანამედროვე თეორიასა და პრაქტიკაზე ხმამაღლა და ბევრს ლაპარაკობენ დასავლეთში, მაგრამ მისი ფესვები გაცილებით ღრმაა და მსოფლიო ტრადიციიდან იღებს სათავეს. რა თქმა უნდა, ყოველ კულტურასა და საზოგადოებას საკუთარი ზოგადი სოციალური და პოლიტიკური საჭიროება გააჩნია. კონფლიქტების მოგვარებაზე იმ მიზეზით არ უნდა ვთქვათ უარი, რომ იგი დასავლურია. უნდა მოვნახოთ გზები, რომლითაც მას გავამდიდრებთ და დასავლურ და არა-დასავლურ ტრადიციებს შორის გადაკვეთის წერტილს ვიპოვნით. და ბოლოს, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ ნათქვამი ყველაზე მეტად საერთაშორისო ტერორიზმს ეხება. კონფლიქტების მოგვარება გვასწავლის, რომ მოკლე-ვადიანი უარყოფის სტრატეგია არ ამართლებს თუ მას თან არ სდევს საშუალო ვადაში გაწერილი დარწმუნების სტრატეგია და გრძელვადიანი პრევენციის სტრატეგიები, ასევე საერთაშორისო კოორდინაციისა და ლეგიტიმაციის სტრატეგიები. ამ ყველაფერზე დაწვრილებით მე-11 თავის ბოლოს ვისაუბრებთ. თეორიულ დებატებს კი კონფლიქტების მოგვარების მომხრეებსა და მის კრიტიკოსებს შორის უფრო სრულყოფილად მე-19 თავში განვიხილავთ.

კონფლიქტების მოგვარების მოდელები

წიგნის ამ ნაწილში კონფლიქტების მოგვარების დარგის მოკლე და ზოგად მონახაზს გაგაცნობთ და მიმოვიხილავთ ყველაზე ცნობილ მოდელებს. შესავალში მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე ვისაუბრებთ შერჩევით და არა სისტემურად, რაც რა თქმა უნდა, ამომწურავი არ იქნება. ამ საკითხზე უფრო სრულყოფილად წიგნის სხვადასხვა ნაწილში ვიმსჯელებთ.

კონფლიქტი საზოგადოების უნივერსალური თვისებაა. იგი შეიძლება წარმოიშვას განსხვავებული ეკონომიკური შესაძლებლობების, სოციალური ცვლილების, კულტურული ფორმაციის, ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და პოლიტიკური მოწყობის საფუძველზე - ჩამოთვლილთაგან ყველა თავისთავად და თავის საწყისში კონფლიქტის შემცველია და თავს იჩენს ხოლმე კონფლიქტის მხარეების გაჩენასთან ერთად, რომლებსაც ერთმანეთთან შეუთავსებელი მიზნები აქვთ ან თვლიან, რომ აქვთ. შეიძლება, დროთა განმავლობაში კონფლიქტის მხარეები, მისი ხარისხი და სადავო საკითხები (მცირე რესურსები, უთანასწორო ურთიერთობები, ღირებულებები, რომელთა გამოც ბრძოლა მიმდინარეობს) შეიცვალოს. კონფლიქტები დინამიკურია, რადგან ესკალაციასა და დეესკალაციას განიცდის და კომპლექსური დამოკიდებულებებისა და ქმედებებისგან შედგება, რომელთაც საკუთარი რეალობა გააჩნია. შეიძლება, კონფლიქტის მიმდინარეობისას მასში მესამე მხარე ჩაერიოს, კონფლიქტმა უფრო ფართო მასშტაბები მიიღოს და საბოლოოდ მესამე მხარეც მისი მონაწილე აღმოჩნდეს. ყურადღება თავიდანვე უნდა შევაჩეროთ ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე - ამ დარგის ადრეული თეორეტიკოსები, მაგ., მორტონ დოიჩი (1949, 1973) კონსტრუქციულ და დესტრუქციულ კონფლიქტებს განასხვავებდნენ და თვლიდნენ, რომ პირველს თავი უნდა ავარიდოთ, მეორე კი საჭიროც კია, რადგან იგი ადამიანის კრეატიულობის აუცილებელი და ფასეული ასპექტია. ეს მოსაზრება კონფლიქტების გადაწყვეტის ნორმატიული ასპექტების შეცნობისთვის საჭირო ერთგვარი გასაღებია, რის გამოც მასზე სათანადო ყურადღებას გავამახვილებთ.

1950-იან წლებში ახალი დარგი - კონფლიქტების მოგვარება - ცდილობდა, კონფლიქტების არსს ჩასწვდომოდა და მათი ტრანსფორმირება მოეხდინა. უკვე არსებული დარგებისაგან, მაგ, საერთაშორისო ურთიერთობებისგან განსხვავებით, კონფლიქტების მოგვარება უნდა ყოფილიყო:

- მრავალდონიანი: გაეანალიზებინა და მოეგვარებინა ყველა ტიპის კონფლიქტი: ინტრაპერსონალური (შიდა), ჯგუფთაშორისი (ოჯახური, სამეზობლოში მიმდინარე, აფილაციის), საერთაშორისო, რეგიონალური, გლობალური და ასევე მოეგვარებინა მათ შორის არსებული კომპლექსური კავშირები.
- მულტიდისციპლინარული: იმისათვის, რომ სათანადოდ გაერთმია თავი კონფლიქტების კომპლექსური სისტემისთვის, ეს ახალი დარგი სხვა მრავალ დარგზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული, მათ შორის: პოლიტიკაზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე, სტრატეგიულ კვლევებზე, განვითარების კვლევებზე, ინდივიდისა და სოციალურ ფსიქოლოგიაზე და ა.შ.;
- მულტიკულტურული: იმის გამო, რომ ადამიანური კონფლიქტი მსოფლიო ფენომენია და ძალიან რთულ და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ადგილობრივ/გლობალურ კულტურულ ქსელშია გახვეული, ეს ახალი დარგი საერთაშორისო თანამშრომლობაზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული; კონფლიქტის მოგვარების ღონისძიებები კონფლიქტის განვითარების გეოგრაფიული ადგილებისკენ უნდა მიემართათ;
- ორივე: ანალიტიკურიც და ნორმატიულიც: კონფლიქტების შესწავლის ქვაკუთხედი „მომაკვდინებელი ბრძოლების სტატისტიკის“ (პოლიმოლოგია) სისტემატიური ანალიზი და ინტერპრეტაცია უნდა გამხდარიყო, მაგრამ საჭირო იყო ნორმატიული მიზნის არსებობაც - ამ დარგს ის გზები და საშუალებები უნდა შეესწავლა, რომლითაც

ფაქტობრივად ან პოტენციურად ძალადობრივი კონფლიქტის არა-ძალადობრივ პროცესად გარდაქმნა გახდებოდა შესაძლებელი სოციალური, პოლიტიკური და სხვა სახის ცვლილების გატარებით;

- თეორიულიც და პრაქტიკულიც: კონფლიქტების გადაწყვეტაში თანაბრად უნდა ყოფილიყო გამოყენებული როგორც თეორია ასევე პრაქტიკა, რადგან სათანადო ცოდნას მხოლოდ მაშინ ვიღებთ, როდესაც თეორიულ ცოდნას პრაქტიკული გამოცდილება ამყარებს და გვიჩვენებს, რა არის ქმედითი და რა არა.

კონფლიქტებს სხვადასხვაგვარად განმარტავენ და მათ „ბრძოლას, თამაშსა და დავას“ უკავშირებენ (Rapaport, 1960), რაც საკმაოდ დიდი დავისა და განხილვის საგანია. მაგალითად, ზოგ შემთხვევაში ტერმინი „კონფლიქტი“ გამოიყენება როგორც, ინტერესების გამო წარმოქმნილი „კონსენსუალური“ კონფლიქტის (როდესაც მოდავე მხარეებს ერთი და იგივე რამ სურთ), ასევე „დისენსუალური“ (მოდავე მხარეებს ერთი და იგივე რამ არ სურთ) ანუ ფასეულობის გამო წარმოქმნილი კონფლიქტის აღსანიშნად (Aubert, 1963). თუმცა, ზოგ შემთხვევაში ამათგან პირველს უწოდებენ „დავას“ (dispute), რომელსაც გადაწყვეტა სჭირდება, ხოლო ტერმინში „კონფლიქტი“ კი უფრო მნიშვნელოვან, ადამიანის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გამო მიმდინარე ბრძოლებს გულისხმობენ (Burton, 1990a). ახლა აქ ამის განხილვას არ დავიწყებთ და ტერმინს „კონფლიქტი“ განსხვავებული გარემოების აღსანიშნავად გამოვიყენებთ, სადაც კონფლიქტის მხარეები თავიანთ მიზნებს ერთმანეთთან შეუთავსებლად აღიქვამენ. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენც ვხვდებით რა განსხვავებაა ერთი მხრივ კონფლიქტებს და მეორე მხრივ სპორტულ პაექრობას, ეკონომიკურ კონკურენციასა და სასამართლო დავებს შორის, სადაც შეჯიბრის წესები კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას.

დასაწყისშივე უნდა განვიხილოთ ამ დარგში ამჟამად მიმდინარე დავა კონფლიქტების გადაწყვეტასა და კონფლიქტების ტრანსფორმაციას შორის არსებული განსხვავების თაობაზე. თუმცა, ამ წიგნში ასეთ გამიჯვნაზე უარს ვიტყვით და კონფლიქტის ტრანსფორმაციას მისი მოგვარების ტრადიციის ყველაზე სირღმისეულ დონედ მივიჩნევთ და არა ცალკე მდგომ ფენომენად, რასაც მრავალი მკვლევარი ეთანხმება (Vayrynen, 1991, Rupesinghe, 1995; Jabri, 1996; Francis, 2002; Ledarach, 2003). ჯონ პოლ ლედერახი კონფლიქტების მოგვარებას კონფლიქტების ტრანსფორმაციაზე ნაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რადგან მოგვარება მიმართულია კონფლიქტის შინაარსზე და არა მხარეთა ურთიერთობაზე, მისი მიზანი შეთანხმების მიღწევაა და არა გრძლვედიანი პროცესის დაწყება, მისთვის მთავარი დეესკალაციაა და ესკალაციას, როგორც კონსტრუქციულ ცვლილებამდე მისვლის საშუალებას, არ განიხილავს (2003: 33). ასეთი მიდგომა ამ დარგის კარიკატურის სახით წარმოდგენის მცდელობას ჰგავს და იმას მოგვაგონებს, როდესაც მასზე ადრე, ჯონ ბარტონმა „დავების გადაწყვეტა“ კარიკატურად მიიჩნია ისეთ სიღმისეულ პროცესთან შედარებით როგორიც კონფლიქტების მოგვარებაა. იმ დროს ჯონ ბარტონი კონფლიქტების მოგვარებას დაახლოებით ისე განმარტავდა როგორც დღეს ლედერახი და სხვები კონფლიქტის ტრანსფორმაციას განმარტავენ. ჩვენ ვთვლით, რომ საბოლოო ჯამში არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რომელ ტერმინს გამოვიყენებთ (ზოგი იყენებს „კონფლიქტების რეგულირებას“, „კონფლიქტებზე შეთანხმებას“ და „კონფლიქტების მართვას“ (“conflict regulation”, “conflict engagement”, “conflict management) და ასევე კონფლიქტების მოგვარებასა და კონფლიქტების ტრანსფორმაციას), მთავარია, დარგი იმდენად თანმიმდევრული და ლოგიკურად სტრუქტურირებული იყოს, რომ ცხადად ჩანდეს რა იგულისხმება თითოეულ

შემთხვევაში. გვჯერა, რომ თავად ეს დარგი თანმიმდევრულობას ინარჩუნებს და ამ დავით ზიანი არ ადგება, ხოლო ისინი კი, ვინც კონფლიქტის მოგვარებას ცდილობენ და ვინც, მათი ტრანსფორმაციის მომხრეებად გამოდიან, ერთ საქმეს ემსახურებიან - რაც თვალნათლივ ჩანს ისეთი წიგნის სათაურში როგორიცაა დიუკის *„საზოგადოებრივი კონფლიქტის მოგვარება - თემისა და მმართველობის ტრანსფორმაცია“* (Resolving Public Conflict: Transforming Community and Governance (1996)). არსებობს ოთხი მიზეზი, რომელთა გამოც ამ წიგნში ზოგადი ტერმინის სახით გამოვიყენებთ „კონფლიქტების მოგვარებას“: პირველი - ეს ამ დარგის ყველაზე პირველი სახელწოდება იყო (the 1957 *Journal of Conflict Resolution).* მეორე - ანალიტიკოსები და პრაქტიკოსები ამ დარგს ამ ტერმინით მოიხსენიებენ - რისი ყველაზე ბოლოდროინდელი მაგალითიც მორტონ დაჩის და პიტერ კოლემანის რედაქტორებით გამოსული ტომი გახლავთ -*The Handbook of Conflict Resolution* (2000), პიტერ ვოლენსტინის *Understanding Conflict Resolution* (2007) და იაკობ ბერკოვიჩის, ვიქტორ კრემენიუკის და უილიამ ზართმანის რედაქტორობით გამოცემული *The Sage Handbook of Conflict Resolution* (2009); მესამე - ტერმინი „კონფლიქტების მოგვარება“ კარგად ნაცნობია მას-მედიისა და ფართო საზოგადოებისთვის; მეოთხე - ტერმინი კონფლიქტების ტრანსფორმაცია დამატებითი განმარტების გარეშე ბუნდოვანი და გაურკვეველია - ტრანსფორმაცია რომელი მიმართულებით? როგორც წინასიტყვაობაში აღვნიშნეთ, კონფლიქტების მოგვარებაში თავდაპირველად „კონფლიქტის გადაწყვეტაც“ მოიაზრებოდა და მისი „ტრანსფორმაციაც.“ როგორც მეორე თავში განხილული მაგალითებიდან ექსპლიციტურად და მე-19 თავში განხილული თეორიიდან დავინახავთ, ამ ორს შორის გარკვეული დაძაბულობა ყოველთვის არსებობდა.

ჩარჩო მოდელები

თავდაპირველად კონფლიქტებს, ძალადობასა და მშვიდობას შორის არსებულ ურთიერთობას იოჰან გალტუნგისეული მოდელების გამარტივებული ვერსიის მიხედვით განვიხილავთ. გალტუნგის, ამ დარგის ერთ-ერთი მამამთავრის, მოღვაწეობის შესახებ კი მეორე თავში ვისაუბრებთ. ძალადობის სტრუქტურული და კულტურული საფუძვლების მისეული ხედვა ყურადსაღები უნდა იყოს მათთვის, ვინც კონფლიქტის მოგვარებას ამახინჯებს და მიაჩნია, რომ ის წმინდა ურთიერთობითი, სიმეტრიული ან ფსიქოლოგიური ხასიათისაა.

გალტუნგის კონფლიქტის, ძალადობისა და მშვიდობის მოდელი

1960-იანი წლების მიწურულს იოჰან გალტუნგმა (1969, ასევე იხ. 1996: 72) კონფლიქტების ერთობ საყურადღებო მოდელი შემოგვთავაზა, რომელიც მათ სიმეტრიულ და ასიმეტრიულად კონფლიქტებად განიხილავდა. გალტუნგი თვლიდა, რომ შეგვიძლია, კონფლიქტი ერთგვარი სამკუთხედის სახით წარმოვიდგინოთ, რომლის ერთ ფერდი არის დაპირისპირება (C - contradiction), მეორე დამოკიდებულება (ატიტუდი) (A - attitude) მესამე კი საქციელი (B - behavior) (იხ. ნახაზი 1.1.) ამ მოდელის თანახმად, დაპირისპირებას კონფლიქტის მხარეთა მიზნების, რეალურისა თუ წარმოსახვითის, „შეუთავსებლობა“ წარმოშობს, მისი მიზეზი კი არის ის, რასაც კრის მიტჩელი „სოციალურ ღირებულებებსა და სოციალურ სტრუქტურას შორის შეუსაბამობას“ უწოდებს (1981ა: 18). სიმეტრიული კონფლიქტის შემთხვევაში დაპირისპირებას წარმოშობენ მხარეები, მათი ინტერესები და მათი ურთიერთობიდან გამომდინარე ინტერესთა შეჯახება. დამოკიდებულებაში იგულისხმება ის თუ როგორ აღიქვამენ ან, უფრო სწორად, რამდენად მცდარად აღიქვამენ მხარეები ერთმანეთს და საკუთარ თავს. მათი აღქმა შეიძლება პოზიტიური ან ნეგატიური იყოს. როგორც წესი, ძალადობრივი კონფლიქტების მხარეებს ერთმანეთის შესახებ დამამცირებელი სტერეოტიპები

აქვთ ჩამოყალიბებული, ხოლო მათ დამოკიდებულებას კი ისეთი ემოციები განსაზღვრავს როგორიცაა: შიში, ბრაზი, გაცხარება და სიძულვილი. დამოკიდებულება (ატიტუდი) ისეთი ელემენტებისაგან შედგება, როგორიცაა: ემოცია (გრძნობები), შემეცნება (რწმენა) და მოქმედების სურვილი (სურვილი, ნება). ის ანალიტიკოსები, რომლებიც კონფლიქტის წყაროების სუბიექტურ ასპექტებზე ამახვილებენ ყურადღებას, ექსპრესიულ თვალსაზრისზე დგანან (მაგ., „სოციალური კონფლიქტი გვაქვს მაშინ, როდესაც ორ ან მეტ მხარეს სჯერა, რომ შეუთავსებელი ამოცანები აქვთ“ Kriesberg, 1982: 17). მესამე კომპონენტი არის ქცევა, რომელიც შეიძლება გულისხმობდეს თანამშრომლობას ან იძულებას და ისეთ ქმედებებს მოიცავდეს, რომლებიც შერიგებაზე ან აგრესიაზე მიუთითებს. ძალადობრივი კონფლიქტის ქცევა მუქარით, იძულებითა და დესტრუქციული შეტევებით ხასიათდება. ანალიტიკოსები, რომლებიც ასეთი სტრუქტურული ურთიერთობების ობიექტურ ასპექტებზე, შეჯიბრებით მატერიალურ ინტერესებსა და ქცევაზე აკეთებენ აქცენტს, ინსტრუმენტალურ თვალსაზრისზე დგანან (მაგ., კონფლიქტს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ერთმანეთთან შეუთავსებელი მოქმედებები ხდება ... ნებისმიერი ქმედება, რომელიც შეუთავსებელია სხვასთან, ხელს უშლის, აბრკოლებს, აფერხებს ან ზიანს აყენებს მას და ნაკლებ ეფექტურს ხდის“; Deutsch, 1973: 10).



ნახაზი 1.1. კონფლიქტის, ძალადობისა და მშვიდობის გალტუნგისეული მოდელები

გალტუნგი თვლის, რომ სრულმასშტაბიან კონფლიქტში სამივე კომპონენტი ერთდროულად უნდა იყოს სახეზე. კონფლიქტი, რომელშიც კონფლიქტური დამოკიდებულება ან ქმედება არ ჩანს, ლატენტურია (სტრუქტურული). გალტუნგის აზრით, კონფლიქტი დინამიკური პროცესია, რომლის სტრუქტურა, დამოკიდებულება და ქმედება გამუდმებით იცვლება და ერთმანეთზე ზემოქმედებს. დინამიკის განვითარების შემთხვევაში დაპირისპირება აშკარა კონფლიქტში გადაიზრდება მაშინ, როცა მხარეთა ინტერესები ერთმანეთს ეჯახება და ურთიერთობები მძიმდება. მხარეები ამ სტრუქტურის ირგვლივ ერთიანდებიან და თავ-თავიანთი ინეტერესების გატარებას იწყებენ. მათი დამოკიდებულება აგრესიული ხდება, ხოლო ქცევა კი კონფლიქტური. კონფლიქტი იწყება, იზრდება და ძალას იკრებს. ამ დროს შეიძლება გაფართოვდეს და სხვებიც ჩაითრიოს, გაღრმავდეს და გავრცელდეს, მთავარ დაპირისპირებულ მხარეთა ან გარეშე პირთა შორის მეორადი კონფლიქტები წარმოშვას და ისინიც ჩაითრიოს. ასეთ დროს კონფლიქტის საწყისი მიზეზის, ანუ ძირითადი კონფლიქტის მოგვარება რთულდება. საბოლოოდ კონფლიქტის მოსაგვარებლად მთელი რიგი დინამიკური ცვლილებების გატარებაა საჭირო, რაც ნიშნავს, რომ საჭიროა: კონფლიქტური ქმედების დეესკალაცია, დამოკიდებულების შეცვლა და მთელი ამ სტრუქტურის ბირთვის - ურთიერთობებისა და დაპირისპირებულ ინტერესთა ტრანსფორმაცია.

გალტუნგის მოსაზრებასთან (1990) ახლოს დგას თვალსაზრისი, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს პირდაპირ (ხოცავენ ბავშვებს), სტრუქტურულ (ბავშვები სიღატაკისგან იხოცებიან)

და კულტურულ ძალადობას (რომელიც გვაბრმავებს ან რომლის გამოც მას ვამართლებთ). პირდაპირი ძალადობის აღსაკვეთად კონფლიქტური ქცევის შეცვლაა საჭირო, სტრუქტურულის აღმოსაფხვრელად სტრუქტურული წინააღმდეგობებისა და უსამართლობის მოსპობა, ხოლო კულტურულის შემთხვევაში კი დამოკიდებულების შეცვლა. ასეთი ზომები, თავის მხრივ, მჭიდროდ უკავშირდება მშვიდობის დაცვის, მშვიდობის შენების და მშვიდობის დამყარების უფრო მასშტაბურ სტრატეგიებს (იხ. ნახაზი 1.1.).

გალტუნგი „ნეგატიური მშვიდობის“ ცნებას შემდეგნაირად განმარტავს - პირდაპირი ძალადობის შეწყვეტა, ხოლო „პოზიტიურ მშვიდობად“ კი სტრუქტურული და კულტურული ძალადობის დაძლევას მიიჩნევს. ეს ტერმინები ცოტა არ იყოს ბუნდოვანია.

ნეგატიური მშვიდობისა არ უნდა შეგვეშინდეს (თუმცა, ტერმინი „ნეგატიურის“ გამოყენება ამ შემთხვევაში ცოტა საჩოთირროა). ინტერპერსონალურ დონეზე ალბათ ნებისმიერ ჩვენგანს გამოუცდია, რას ნიშნავს ვერ იძინებდე ნაღველის, დარდის (წარსულის გამო), მღელვარების (მომავლის შესახებ) გამო და გონების სიმშვიდის ფასიც კარგად ვიცით. იგივე განცდა ექნებათ მათ, ვინც ოჯახურ დონეზე ძალადობისა და შეურაცხყოფის მსხვერპლი გამხდარა; და ვისაც საზოგადოების დონეზე დისკრიმინაციის, დევნის, „ეთნიკური წმენდის“ ან გენოციდის, ხოლო საერთაშორისოზე კი ომის საშინელი ნგრევა გამოუვლია. ამ ყველაფერს 1945 წლის შემდეგ ბირთვული ჰოლოკოსტის საფრთხეც დაერთო, რომელიც მუდამ თავს დაგვტრიალებდა.

მეორე მხრივ კი, შესაძლოა, ნეგატიურ მშვიდობას რეპრესიები, სიღატაკე, ექსპლუატაცია, უსამართლობა მოჰყვეს. პაქს რომანა (რომაული მშვიდობა), პაქს ბრიტანიკა და პაქს სოვიეტიკა ადამიანის სრულიად კანონიერი მისწრაფებების ძალისმიერი მეთოდებით ჩახშობას გულისხმობდა. ერთი რომაელი ისტორიკოსი ჩვ. წ. აღ-ით პირველ საუკუნეში რომაელთა მიერ ბრიტანეთის დაპყრობის ამბის გადმოცემისას რომაელი გენერლის გამარჯვებას ასე აღწერს: „ყველაფერი გაანადგურა და მას მშვიდობა უწოდა.“ ნეგატიური მშვიდობა დამყარდა უნგრეთში 1956 წლის შემდეგ. ნეგატიური მშვიდობაა (მეტ-ნაკლებად) დღესაც ტიბეტში.

ნეგატიური მშვიდობისგან განსხვავებით, პოზიტიური მშვიდობა „ლეგიტიმურობასა“ და „სამართლიანობას“ ეფუძნება. ამ თვალსაზრისით უსამართლო სტრუქტურის ან ურთიერთობის არსებობა მშვიდობის დამყარებას არ ნიშნავს. პოზიტიური მშვიდობის მისაღწევად უსამართლობა უნდა აღიკვეთოს, თანაც სხვადასხვა დონეზე: დაწყებული „ჩრდილოეთსა“ და „სამხრეთს“ შორის არსებული უსამართლო ეკონომიკური ურთიერთობებიდან, დამთავრებული უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის არსებული უსამართლო პოლიტიკური ურთიერთობებითა (ერთი ქვეყნის ფარგლებში) და ინდივიდებს შორის არსებული უსამართლო პირადი ურთიერთობებით. ასევე ბოლო უნდა მოეღოს ადამიანებს შორის არსებულ სხვადასხვა სახის „განსხვავებას“, იქნება ეს რასობრივი (მოსაზრება, თითქოს ზოგი რასა სხვებზე „მაღლა“ დგას), გენდერული (მამაკაცების უპირატესობა), კლასობრივი (სოციალურ-ეკონომიკური პრივილეგიები დაბადების გამო და არა დამსახურების) და ა.შ. ინტერპერსონალურ დონეზე პოზიტიური მშვიდობა უფრო მეტია ვიდრე ის, რომ ადამიანი არაფერზე ღელავს, იგი ღრმა სულიერ სიმშვიდესა და ფიზიკურ, ემოციურ და სულიერ სიჯანსაღეს გულისხმობს. არსებობს მოსაზრება რომ, ასეთი ტიპის „შიდა“ მშვიდობა ხანგრძლივი, მსოფლიო მშვიდობის საფუძველს წარმოადგენს.

თუმცა პოზიტიური მშვიდობაც საკმაოდ პრობლემატურია. მაგალითად, „უსამართლობა“ ხშირად სხვა არაფერია თუ არა „აღქმული უსამართლობა“, რის გამოც იგი დიდი დავისა

და კამათის საგანი ხდება ხოლმე და მთლიანი პოლიტიკის მრავალი ასპექტის განხილვას საჭიროებს. ძალადობრივ კონფლიქტებს ისე არაფერი ახასიათებთ, როგორც ის, რომ მასში ყველა მონაწილე დარწმუნებულია, რომ უსამართლობის მსხვერპლი თვითონ არის და „სამართალიც“ მის მხარეზეა. ორივე მხარე ღმერთს გამარჯვებას შესთხოვს. პარადოქსალური სიტუაცია იქმნება, რადგან წარმოსახვით უსამართლობასთან საბრძოლველად ადამიანები ხშირად ძალის გამოყენებას მიმართავენ. აქტივისტები ადამიანების დამოძღვრას იწყებენ და „აიძულებენ გათავისუფლდნენ“ (ფრაზა ეკუთვნის რუსოს). იმას, რომ ადამიანები ვერც „ხვდებიან“, რომ მათ ექსპლუატაციას უწევენ (ამ აქტივისტის თვალში), „ტვინის რეცხვით“ ან „მცდარი ცნობიერებით“ ხსნიან. ამ ფენომენს „ბედნიერი მონის პრობლემადაც“ განიხილავენ ხოლმე. საბოლოოდ, ამ ადამიანებს შასაძლოა აჯანყებისკენ უბიძგონ. ასეთი შეგონებების პრობლემა საკმაოდ სიღრმისეულია და მრავალ კითხვას ბადებს. მეორე მხრივ კი, ვერც იმას ვუარყოფთ, რომ ექსპლუატაცია და უსამართლობა მართლაც არსებობს, მაგრამ მათი დიდი ნაწილი ინსტიტუციურად დამკვიდრებული და კულტურალად და ფსიქოლოგიურად ინტერნალიზებულია. შესაძლოა, ამას ვერც ექსპლუატატორი აცნობიერებდეს და სწამდეს, რომ უსამართლობას არ სჩადის.



ნახაზი 1.2. კონფლიქტების ესკალაცია და დეესკალაცია

კონფლიქტის ესკალაციისა და დეესკალაციის მოდელი

კონფლიქტი დინამიკურია და გასაოცარი სისწრაფით ვითარდება და იცვლება. ზოგჯერ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფარულად მწიფდება, უეცრად ძალადობაში გადაიზრდება და მერე მთელი ძალით იფეთქებს ხოლმე. კონფლიქტების ესკალაცია კომპლექსური და არაპროგნოზირებადი პროცესია. შესაძლოა, ამ დროს თავი იჩინოს ახალმა პრობლემებმა და ახალი მხარეებიც გამოჩნდნენ; არ არის გამორიცხული, ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად მიმდინარე შიდა ბრძოლების ტაქტიკა და ამოცანები შეიცვალოს, მეორადმა კონფლიქტებმა და სპირალებმა კი სიტუაცია მეტად გაამწვავოს. იგივე შეიძლება ითქვას დეესაკალაციაზეც, რომლის დინამიკაც ასევე ცვალებადია - მოულოდნელად წინ გადადგმულ ნაბიჯს გაუთვალისწინებელი დაბრკოლება ცვლის, ან ერთ ასპექტში მიღწეულ შედეგებს სხვაში განცდილი წარუმატებლობა ანაცვლებს, ან ამ ყველაფერზე მესამე მხარის ქმედება გაუთვალისწინებელ გავლენას ახდენს. აქ ყველაზე

მარტივ მოდელს შემოგთავაზებთ, რომელშიც ესკალაციის ფაზები რიგითობის დაცვით ვითარდება და გაუთვალისწინებელი არაფერი ხდება. იწყება ჩვეულებრივი უთანხმოებით, (რაც ყველა სოციალური მოვლენის შემადგენელი ნაწილია), რომელიც დაპირისპირებაში გადადის, რაც შეიძლება ლატენტური დარჩეს ან თავი იჩინოს; შემდეგ იწყება პოლარიზაცია - ანუ ანტაგონისტურად განწყობილი მხარეები ყალიბდება და კონფლიქტი აშკარა ხდება; კულმინაციას კი პირდაპირი ძალადობისა და ომის დაწყება წარმოადგენს (იხ. ნახაზი 1.2). მე-3 თავში დავინახავთ, რომ ესკალაციის ამ მოდელს იყენებენ ისინი, ვინც სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე კონფლიქტების ყოველწლიური დონის სტატისტიკური ცვლილებების საზომი, ობიექტური კრიტერიუმების დადგენას ცდილობენ. მათ იყენებენ ისინიც, ვინც ამ ფაზებისთვის კონფლიქტების მოგვარების სათანადო სტრატეგიების მისადაგებას ცდილობენ (Glasl, 1982; Fisher and Keashly, 1991).

ქვიშის საათის მოდელი: კონფლიქტების მოგვარებისათვის საჭირო ზომების სპექტრი

აქ გალტუნგის მოსაზრებებს კონფლიქტისა და ძალადობის შესახებ კონფლიქტების ესკალაციისა და დეესკალაციის ფაზებთან მიმართებაში „ქვიშის საათის“ მოდელის სახით წარმოგიდგენთ (Ramsbotham and Woodhouse, 1999a) (იხ. ნახაზი 1.3). ქვიშის საათის ზედა ნაწილი პოლიტიკური სივრცის შევიწროვებას შეესაბამება, რაც ესკალაციის ფაზისთვისაა დამახასიათებელი, ქვედა კი პოლიტიკური სივრცის გაფართოებას ასახავს, რითიც დეესკალაციის პროცესი ხასიათდება (ქვიშის საათის ქვედა ნაწილი). ამ სივრცის შევიწროებისა და გაფართოების მიხედვით განსხვავებული ზომების მიღებაა საჭიროც და შესაძლებელიც. რონალდ ფიშერი და ლორალეი კიშლი (1991) მას საგანგებო გარემოებებისა და ურთიერთშემავსებელ/კომპლემენტალურ (contingency and complementary) მოდელს უწოდებენ, სადაც „საგანგებო გარემოებაში“ იგულისხმება კონფლიქტის ბუნება და ფაზა, ხოლო „ურთიერთშემავსებელში“ კი იმ სათანადო ზომათა ერთობლიობა, რომელიც მაქსიმალური წარმატების მისაღწევად ერთად უნდა იქნეს მიღებული. კონფლიქტის ტრანსფორმაცია კულტურული და სტრუქტურული მშვიდობის შენების ყველაზე სიღრმისეულ დონეებს მოიცავს. კონფლიქტის გადაწყვეტა (settlement) (რომელიც ბევრ კრიტიკოსს კონფლიქტის მოგვარებაში ერევა) არის ის, რასაც „ელიტარული მშვიდობის დაცვას“ ვუწოდებთ - ანუ ეს არის მოლაპარაკება და მედიაცია მთავარ პროტაგონისტებს შორის ორივე მხარისათვის მისაღები შეთანხმების მიღწევის მიზნით. კონფლიქტის გავრცელების შეჩერება (containment) გულისხმობს პრევენციული მშვიდობის დაცვას, ომის შეზღუდვას და ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ მშვიდობის დაცვას. ომის შეზღუდვა საბრძოლო მოქმედებების გეოგრაფიული არეალის შეზღუდვას, მათი ინტენსიურობის შესუსტებას და პირველი ხელსაყრელი შემთხვევისთანავე მათ შეწყვეტას გულისხმობს. ამ მოდელში ერთმანეთისგან გამიჯნულია მშვიდობის დამყარება ელიტის დონეზე (რაც კონფლიქტის გადაწყვეტის არსს წარმოადგენს) და მშვიდობის დაცვის უფრო სიღრმისეული დონეები (მათ შორის, განათლება და შერიგება), რომლებსაც მშვიდობის კულტურის დონეზე შენების ნაწილად განიხილავენ ხოლმე.



შენიშვნა: დეესკალაციის ფაზაში ინიციატივები უნდა მიიღონ, მაგრამ მცირე ხნით მათი გამოყენებისგან თავი შეიკავონ. ესკალაციის ფაზისაგან განსხვავებით, ამ ფაზაში რამდენიმე ინიციატივის ერთდროულად განხორციელება არ შეიძლება - იხილეთ თავები 5 და 8. ჩვენი აზრით, ის, რასაც სიღრმისეულ მშვიდობის დაცვას უწოდებენ (რაც შერიგებასაც გულისხმობს) უმჯობესია, მშვიდობის კულტურის დონეზე შენების ნაწილად განვიხილოთ.

ნახაზი 1.3. ქვიშის საათის მოდელი: კონფლიქტის შეჩერება, კონფლიქტის გადაწყვეტა და კონფლიქტის ტრანსფორმაცია.

მეხუთე თავში (ძალადობრივი კონფლიქტის პრევენცია) ქვიშის საათის მოდელის ზედა ნაწილს განვიხილავთ, მეექვსეში კი (ძალადობრივი კონფლიქტის შეჩერება: მშვიდობის დაცვა) კონფლიქტის შეჩერების კომპონენტებზე ვისაუბრებთ. მეშვიდე თავში (ძალადოვრივი კონფლიქტის დასრულება: მშვიდობის დამყარება) კონფლიქტის გადაწყვეტის კომპონენეტებს განვიხილავთ. მერვე-მეათე თავებში (ომის შემდეგომი რეკონსტრუქცია: მშვიდობის შენება; შერიგება) კი ქვიშის საათის მოდელის ქვედა ნაწილზე ვისაუბრებთ.

ცხრილი 1.1. შეტანილია დამატებითი პროცესები და მეთოდები, რომლებიც რელევანტურია ამ წიგნში შემოთავაზებული ესკალაციისა და დეესკალაციის ქვიშის საათის მოდელისთვის.



***წყარო*: Fisher S. et al; 2000. working With Conflict, London: Zed Books. გვ. 29**

ნახაზი 1.4 კონფლიქტის ხე: კენიის მაგალითზე

კონფლიქტის ხე

არსებობს კიდევ ერთი საყურადღებო ჩარჩო მოდელი, რომელიც „კონფლიქტის ხის“ სახელითაა ცნობილი. იგი საგანგებოდ ბირმინგემში „კონფლიტზე რეაგირების პროგრამის“ ფარგლებში შეიქმნა. (იხ. ნახაზი 1.4).

ცხრილი 1.1. კონფლიქტების მოგვარების მეთოდები, კომპლემენტალური და ქვიშის საათის მოდელი

კონფლიქტის სტადია	სტრატეგიული რეაგირება	რეაგირებისა და ნაყოფიერების მაგალითები
უთანხმოება	მშვიდობის შენება კულტურის დონეზე	პრობლემათა გადაწყვეტა ადგილობრივი დავების გადამწყვეტი ინსტიტუტების მხარდაჭერა, საზოგადოებასთან ურთიერობის მუშაკების ტრეინინგები ფაქტების მოძიების მისია და სამშვიდობო კომისიები ტოლერანტობისა და პატივისცემის კულტურა მრავალმხრივი და ინკლუზიური იდენტობა
დაპირისპირება	სტრუქტურული მშვიდობის შენება	განვითარებაში მხარდაჭერა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება სახელმწიფო მმართველი რგოლის ტრეინინგი და ინსტიტუციური მშენებლობა ტრეინინგები ადამიანის უფლებებში მედიაცია და პრობლემათა გადაჭრა ინსტიტუციური სიძლიერე კონსტიტუციური და სამართლებრივი უზრუნველყოფა ლეგიტიმურობა და სოციალური სამართლიანობა
პოლარიზაცია	მშვიდობის დამყარება ელიტის დონეზე	საგანგებო დესპანები და მედიაცია მოლაპარაკება იძულების დიპლომატია პრევენციული მშვიდობის შენარჩუნება
ძალადობა	მშვიდობის დაცვა	ინტერპოზიცია კრიზისის მენეჯმენტი და მისი გავრცელების შეჩერება
ომი	ომის შეზღუდვა	მშვიდობის დამყარება იძულების წესით მშვიდობის ხელშეწყობა და სტაბილიზაცია
ცეცხლის შეწყვეტა	მშვიდობის დაცვა	პრევენციული მშვიდობის შენარჩუნება განიარაღება და უსაფრთხოების სისტემის რეფორმა ნდობის გაჩენა და უსაფრთხოების გაძლიერების ზომები საზოგადოების უსაფრთხოება პოლიციის მომზადების გზით
შეთანხმება	მშვიდობის დაცვა ელიტის დონეზე	ელექტოლარული და კონსტიტუციური რეფორმა ძალაუფლების განაწილება და ძალაუფლების დეცენტრალიზაცია პრობლემის გადაჭრა
ნორმალიზაცია	სტრუქტურული მშვიდობის შენება	კოლექტიური უსაფრთხოება და თანამშრომლობა ეკონომიკური რესურსებით თანამშრომლობა და განვითრება ალტერნატიული თავდაცვა
შერიგება	მშვიდობის შენება კულტურის დონეზე	საგამოძიებო/სიმართლის დამდგენი და სამართლიანობის კომისია სამშვიდობო მედიის შექმნა ინფორმირება მშვიდობისა და კონფლიქტების შესახებ განათლება და ტრეინინგი კულტურული გაცვლა და ინიციატივები სპორტი როგორც შერიგების საშუალება პრობლემათა გადაჭრა როგორც სამომავლო გეგმა

კლასიკური მოსაზრებები

ახლა კონფლიქტების მოგვარების კლასიკურ მოდელს შემოგთავაზებთ. როგორც ზემოთ დავინახეთ, კონფლიქტი სოციალური ცვლილების თანდაყოლილი და განუყოფელი ნაწილია. იგი ინტერესთა, ფასეულობათა და წარმოდგენების ჰეტეროგენულობის გამოვლინებაა და თავს იჩენს მაშინ, როდესაც სოციალური ცვლილების შედეგად შობილი ახალი ფორმაციები არსებულ შეზღუდვებს ეწინააღმდეგება. ის კი თუ, როგორ ვართმევთ თავს კონფლიქტს ჩვენი ჩვევისა და არჩევანის საქმეა. თუმცა, შესაძლებელია ჩვეული რეაქცია შევცვალოთ და გონივრული არჩევანი გავაკეთოთ.

სხვადასხვა მიდგომები კონფლიქტთან მიმართებაში

კონფლიქტების ერთ-ერთი საერთო მახასიათებელია ის, რომ ერთი მხარე საკუთარ ინტერესებს პრიორიტეტულად მიიჩნევს და მათ თავგამოდებით დაცვას იწყებს. როცა კაენის ინტერესები აბელისას შეეჯახება, კაენი მათ არაფრად ჩააგდებს და ფეხქვეშ გათელავს. ინტერესთა შეჯახების შემთხვევაში სახელმწიფოთა ლიდერებისგან თავიანთი ხალხის ინტერესების დაცვას და სხვათა უგულვებელოყოფას მოელიან. თუმცა, სხვა შესაძლებლობაც არსებობს.

1.5 ნახაზზე მოცემულია ხუთი მიდგომა, რომელიც ინტერესის დონეების მიხედვითაა გამიჯნული - ანუ რამდენად დაბალი ან მაღალია საკუთარი და სხვების ინტერესების გათვალისწინების ხარისხი. კაენის საკუთარი თავისადმი ინტერესის ხარისხი მაღალია, სხვისადმი კი დაბალი. ამ ვარიანტს „შეჯიბრებითობას“ (contending) უწოდებენ. არსებობს მეორე ალტერნატივაც: დათმობა, სადაც სხვების ინტერესების გათვალისწინების ხარისხი მაღალია, საკუთარისა კი დაბალი. მესამე გამოსავალიც არსებობს: კონფლიქტს თავი აარიდო და გაეცალო: რაც ნიშნავს დაბალი ინტერესის ქონას როგორც საკუთარი ასევე სხვისი ინტერესის მიმართ. არსებობს მეოთხე შესაძლებლობაც: გარკვეული ბალანსის შენარჩუნება საკუთარსა და სხვის ინტერესს შორის და კომპრომისული ვარიანტის პოვნა. და ბოლოს, არსებობს მეხუთე ალტერნატივაც, რომელსაც ამ დარგის სპეციალისტები ხშირად გვთავაზობენ, როცა კი მისი გამოყენების შესაძლებლობა არსებობს: დიდი პატივისცემით მოვეკიდოთ საკუთარ და სხვების ინტერესებს. ასეთ დროს საჭიროა საკუთარი ინტერესების მტკიცედ დაცვა, მაგრამ ამავდროულად სხვების მისწრაფებების და საჭიროების თანაბრად და სათანადოდ გათვალისწინებაც, რაც პრობლემის კრეატიულად გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

წყარო: Katz and Lawyer, 1985
ნახაზი: 1.5 ხუთი მიდგომა კონფლიქტისადმი



ცხრილი 1.6 ნულოვანი ჯამი და არა-ნულოვანი ჯამის შედეგი

მოგება-წაგება, წაგება-წაგება, მოგება-მოგება, შედეგი

რა სურათს მივიღებთ, როცა კონფლიქტის ორივე მხარის მიდგომას ერთდროულად განვიხილავთ? როგორც წესი, კონფლიქტის მხარეები თავ-თავიანთ ინტერესებს დაიმეტრულად განსხვავებულად აღიქვამენ. შესაძლო შედეგები შეიძლება იყოს მოგება-წაგება (ერთი მხარე იგებს, მეორე აგებს) ან კომპრომისი (უთანხმოებას აგვარებენ). თუმცა უარესიც არსებობს, რომლითაც ძალადობრივი კონფლიქტები ხშირად მთავრდება ხოლმე: ორივე მხარე აგებს. თუ მხარეები კომპრომისისთვის მზად არ არიან, შესაძლოა იმდენად სერიოზული ზარალი განიცადონ, რომ იმაზე გაცილებით უარეს მდგომარეობაში აღმოჩდნენ ვიდრე სხვა სტრატეგიის შერჩევის შემთხვევაში იქნებოდნენ. კონფლიქტების მოგვარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ასეთი შედეგი მოსალოდნელზე გაცილებით ხშირად დგება. როცა მხარეები ხვდებიან, რომ სწორედ ასეთ შედეგამდე მივიდნენ (ხშირად ძალიან სწუხან, მაგრამ უკვე გვიანია), საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე სხვა შედეგის მიღებას ცდილობენ, კომპრომისულ ვარიანტს ან ორივე მხარისთვის მომგებიან გამოსავალს (win-win) ეძებენ (რაც აქ იდეალურ მომავლად ნამდვილად ვერ ჩაითვლება, მაგრამ ის მდგომარეობაა, როდესაც ყველა მხარე უკეთ გრძნობს თავს). შეიძლება, ასეთი შედეგების სპექტრი იმაზე გაცილებით ფართე იყოს, ვიდრე კონფლიქტის მონაწილე მხარეებს წარმოედგინათ. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, მათი პოზიციები იმდენად შელახულია, ვნებათა ღელვა ისეთ პიკს აღწევს და შეურიგებელი ლიდერები იმდენად გაშმაგებულები არიან, რომ რამის შეცვლა შეუძლებელი ხდება. ასეთი მდგომარეობა ხშირია ურჩი (intractable) კონფლიქტების შემთხვევაში - ამ თემას მე-18 თავში დავუბრუნდებით.

ტრადიციულად კონფლიქტების მოგვარების ამოცანად იმ მხარის დახმარება ითვლება, რომელიც საკუთარ მდგომარეობას ნულოვანი ჯამის[1] სიტუაციად აღიქვამს (საკუთარი გამარჯვება სხვის დამარცხებას ნიშნავს); ამ მხარეს დახმარება სჭირდება, რათა შექმნილი

მდგომარეობა თავიდან გაიაზროს და არა-ნულოვანი ჯამის კონფლიქტად (სადაც ორივე მხარე მოგებული ან წაგებული შეიძლება გამოვიდეს) აღიქვას, შემდეგ კი ორივე მხარემ გარკვეული ნაბიჯები უნდა გადადგას პოზიტიური-ჯამისკენ. 1.6 ნახაზზე ნაჩვენებია აბელისა და კაენის კონფლიქტის სხვადასხვა შესაძლო შედეგი, ნებისმიერი ქულა მარჯვნივ ხელს აძლევს აბელს, ნებისმიერი ქულა ზემოთ სასურველია კაენისათვის. ბიბლიაში ამ სასურველ შედეგად ღმერთის წყალობა სახელდება. კაენი ამ სიტუაციას ნულოვან კონფლიქტად აღიქვამს: 1 წერტილის მიღწევა (მისი საუკეთესო შედეგი) ღმერთის წყალობას ჰპირდება, 2 წერტილზე (მისი ყველაზე უარესი შედეგი) ღმერთი აბელს სწყალობს. ყველა სხვა შესაძლებლობა 1-სა და 2-ს შორისაა, სადაც ღმერთი ძმებს წყალობას მეტ-ნაკლებად თანაბრად უნაწილებს. წერტილი 3 შესაძლებელ კომპრომისულ ვარიანტს აღნიშნავს. კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით კი ყველაზე საინტერესო არა-ნულოვანი ჯამის შედეგია, რომელიც 0 წერტილითაა გამოსახული და სულ სხვა დიაგონალურ ხაზზე მდებარეობს: ანუ როდესაც ორივე ძმა წაგებული დარჩა (აბელი მოკლეს, ხოლო კაენმა ღმერთის წყალობა დაკარგა), ხოლო ის წერტილი კი, რომელსაც მათ ვერ მიაღწიეს აღნიშნულია ციფრი 4-ით; ეს ის შემთხვევა იქნებოდა, ძმები ერთმანეთს მხარში რომ ამოსდგომოდნენ და ერთმანეთი დაეცვათ.

ცხრილი 1.2. პატიმრის დილემა

	თანამშრომლობა	გაცემა
თანამშრომლობა	**3,3**	**0.5**
გაცემა	**5.0**	**1.1**

პატიმრის დილემა და თანამშრომლობის ევოლუცია

პატიმრის დილემა თამაშის თეორიიდან აღებული მარტივი მაგალითია, რომელიც ცხადყოფს რა შედეგით შეიძლება დასრულდეს სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება. ორი მოთამაშედან (დანაშაულში ბრალდებული პატიმრებიდან) თითოეულს, ორი არჩევანი აქვს: ითანამშრომლონ (ჩუმად იყვნენ) ან ერთმანეთი გასცენ (ერთმანეთი დააბეზღონ). არც ერთმა იცის რას გადაწყვეტს მეორე, ამიტომ არჩევანს თვალდახუჭული აკეთებს (ცალ-ცალკე საკნებში არიან). შესაძლებელი შედეგები მოცემულია ცხრილში 1.2., საიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ როგორი არჩევანიც არ უნდა გააკეთოს მეორე მოთამაშემ, თითოეული მხოლოდ მეორის გაცემის შემთხვევაში იგებს (თუ მეორე თანამშრომლობას აირჩევს, გამცემის ქულა 5 იქნება 3-ის ნაცვლად. თუ მეორე მხარეც გაცემას ამჯობინებს პირველი მოთამაშე 0-ის ნაცვლად 1 ქულას აიღებს). ამიტომ ერთადერთი რაციონალური გამოსავალი გაცემაა. თუმცა, ეს საუკეთესო გამოსავალი მაინც არ არის, რადგან თუ გაცემის შემთხვევაში ორივე თითო-თითო ქულას იღებს, თანამშრომლობისას თითოეული 3 ქულას მიიღებს. ასე რომ ინდივიდუალურად მიღებულ რაციონალურ გადაწყვეტილებას ორივე მხარე წაგებამდე მიჰყავს. მათი ერთობლივი რაციონალური გადაწყვეტილება თანამშრომლობის არჩევა იქნება, რადგან ასეთ შემთხვევაში ორივე მოგებული გამოვა (4 ქულა 1.5 ნახაზზე). მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ კომუნიკაციის საშუალება ექნებათ და ურთიერთთანამშრომლობაზეც შეთანხმდნენ, სად არის იმის გარანტია, რომ მოთამაშე 5 ქულიანი პრიზით არ ცდუნდება და მეორეს არ გასცემს? ასეთ სოციალურ ხაფანგში მოქცეული ადამიანები, რომლებიც მხოლოდ საკუთარი ინტერესების მიხედვით მოქმედებენ, ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდებიან ხოლმე, რომელშიც ორივე მხარე წაგებული რჩება.

ამ თამაშს ერთხელ თამაშობენ. რამდენიმეჯერ თამაშის საშუალება რომ ჰქონდეთ, შესაძლებელია, მოთამაშეებს თანამშრომლობის ქცევა ჩამოუყალიბდეთ. ექსპერიმენტების ერთ ცნობილ სერიაში, რობერტ აქსელროდმა (1984) ექსპერტები მოიწვია და „პატიმრის დილემის“ კონკურსისათვის პროგრამის დაწერა სთხოვა. კონკურსი კომპიუტერზე უნდა ჩატარებულიყო. შეიქმნა „კეთილი“ და „მზაკვრული“ სტრატეგიების მთელი სერია; თითოეული მათგანი წყვილების მაგალითზე გამოსცადეს, სადაც მოთამაშეებს ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძლებლობა მისცეს. ყველას გასაოცრად, გამარჯვებული კონფლიქტების მოგვარების ანალიტიკოსის, ანატოლ რაპოპორტის მიერ შემოთავაზებული ყველაზე მარტივი სტრატეგია - “Tit-for-tat” (სამაგიეროს გადახდის სტრატეგია) აღმოჩნდა. ამ სტრატეგიის პირველი ნაბიჯი თანამშრომლობა იყო, ყოველ შემდგომ ნაბიჯზე მოთამაშეები მეორის წინა სვლას იმეორებდნენ. ის, რომ “Tit-for-tat” სტრატეგიამ გაიმარჯვა ცხადყოფს, რომ „ყველაზე წარმატებულები კეთილი ტიპები არიან“, (Dawkins, 1989, 202-33) რაც კონკურენციის საჭიროების შესახებ არსებულ, ფართოდ გავრცელებულ თვალსაზრისს (მათ შორის დარვინის ბუნებრივი გადარჩევის თეორიასაც) ეწინააღმდეგება. “Tit-for-tat” უწყინარი სულაც არ არის. ბრაზდება, როცა მეორე გაცემას ირჩევს. თავდაპირველად ეს სტრატეგია თანამშრომლობას სწყალობს („კეთილია“), არც ბოღმას იდებს გულში („მიმტევებელია“). მისი რეაქცია პროგნოზირებადი და საიმედოა („მკაფიოდ ჩამოყალიბებული ქცევა“ აქვს). „თანამშრომლობის ჩამოსაყალიბებლად“ და კონკურენტულ გარემოში ამ სტრატეგიის ასამოქმედებლად, ცოტა თანამშრომლობა მაინცაა საჭირო. ინტერაქტივი მხოლოდ ერთი თამაშით არ უნდა შემოიფარგლებოდეს (მაგ., ერთმა მოთამაშემ მეორე შეიძლება ერთი ხელის მოსმით გაანადგუროს). მაგრამ ეს პირობები ნამდვილად ქმედითია: მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად „მზაკვარ ტიპებს“ საქმე კარგად მისდით, ბოლოს მაინც „კეთილები“ იმარჯვებენ[2]. ბუნებრივი გადარჩევა თანამშრომლობას სწყალობს.

მაგრამ თვით “Tit-for-Tat”-იც კი შეიძლება გამანადგურებულ კონფლიქტურ პირობებში აღმოჩნდეს მაშინ, როცა ერთ-ერთი მხარე დაჟინებით მისდევს მეტოქეობის სტრატეგიას, როგორც მწვავე კონფლიქტების დროს ხდება ხოლმე, სადაც ერთმანეთისადმი უნდობლობა, უსაფრთხოების დილემა, კონკრეტული იდეოლოგია და მხოლოდ საკუთარი ინტერესების მიხედვით მოქმედება შეურიგებელ მხარეებს კონფლიქტის გაგრძელებისა და შურისძიებისკენ უბიძგებს. ამ ხაფანგიდან გამოსავალი კონფლიქტის მოგვარების გზით სიარული და მოთამაშეების აზროვნებისა და ხედვის შეცვლა, მოსალოდნელი სარგებლის დათვლა, ურთიერთობაში ცვლილებების შეტანა და მთელი ამ კონფლიქტის ახალ ჩარჩოში მოქცევა და საერთო პრობლემად აღქმაა. ყველა დაინტერესებული პირი უნდა დაარწმუნონ, რომ არსებული სტრატეგია ორივე მხარეს წამგებიან ჩიხში შეიყვანს. უკეთესი ალტერნატივებიც არსებობს და აუცილებლად უნდა გამოიყენონ. “გასამრჯელოს გადახდის“ წესები კი დაახლოებით ასე შეიძლება შეიცვალოს:

- იშვიათი რესურსების გაზრდა (ნამცხვრის გადიდება)
- დაძაბულობის შემცირებისა და ნდობის გაჩენის მიზნით ნაკლებ მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით მეტი თავისუფლების მინიჭება, (ურთიერთ მხარდაჭერის პრაქტიკა და “თანაზიარობის“ სტრატეგიის გამოყენება);
- ისეთი ახალი შესაძლებლობების შექმნა, რომელიც თავდაპირველ მოთხოვნაში გათვალისწინებული არ იყო (გონებრივი იერიში);
- „ზე-მიზნების“ ძებნა, მაგ., ისეთი ორმხრივი ეკონომიკური სარგებლის პოვნა,

რომელსაც ცალკე აღებული ვერცერთი მხარე ვერ მიაღწევს - მაგ., ევროკავშირის ერთობლივი წევრობა (superordination);

- კომპენსაცია მათ, ვინც კონსენსუსზე წასვლას თანხმდება (compensation);
- მათი დასჯა, ვინც კონსენსუსს ეწინააღმდეგება (penalization).

მომავალი ურთიერთობების მხედველობაში მიღება (მაგ., ორი თემი, რომელმაც მომავალში გვერდ-გვერდით უნდა იცხოვროს) ამ ხაფანგიდან ერთ-ერთ გამოსავალს წარმოადგენს. ასევე შესაძლებელია, სოციალური კონტექსტის გათვალისწინებაც. წარმოვიდგინოთ, რომ პატიმრებმა იციან, რომ გარეთ გაღწევის შემდეგ დაისჯებიან, თუ ერთმანეთს დააბეზღებენ, თანამშრომლობის შემთხვევაში კი ჯილდო ელით. ამგვარად „გასამრჯელოც“ (pay-off) შეიცვლება და შედეგიც. მსგავსი რამ მოხდება მაშინაც, თუ მხარეები საკუთარი ინტერესების გარდა მეორე მხარის ინტერესებსაც გაითვალისწინებენ: სოციალურად განწყობილი მოთამაშეები ხაფანგში არ ხვდებიან.

თამაშის თეორიას ამ ბოლო დროს გაგრძელებაც გამოუჩნდა მაიკლ ბაშარაშის წიგნში *Beyond Individual Choice* (2006) (წიგნი გამოიცა ავტორის გარდაცვალების შემდეგ), სადაც მოცემულია რაციონალური აქტორების მოდელი, რომელშიც მოთამაშეები პრობლემის „ჩარჩოს“ ქმნიან და საერთო მიზნის მისაღწევად გუნდად ერთიანდებიან.

პოზიციები, ინტერესები და საჭიროებები

როგორ უნდა მოაქციონ მხარეებმა თავიანთი პოზიციები ახალ ჩარჩოში, თუ ისინი დიამეტრულად განსხვავებულია? (ყველაზე ხშირად კი სწორედ ასეა ხოლმე). კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთი კლასიკური მოსაზრება ასეთი გახლავთ - ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ მხარეთა პოზიციები და მათ საფუძველში არსებული ინტერსები და მოთხოვნილებები. მაგალითად, ეგვიპტე და ისრაელი სინაის გამო დავობენ. ორივე აცხადებს, რომ მასზე სუვერენული უფლება აქვს, რის გამოც მათი პოზიციები ერთმანეთთან შეუთავსებელი ჩანს. მოლაპარაკებები კი ცხადყოფს, რომ ეგვიპტისათვის პრიორიტეტული მისი ტერიტორიული მთლიანობაა, ხოლო ისრაელისთვის კი უსაფრთხოება. აქედან გამომდინარე პოლიტიკური გამოსავალიც მოინახა და შეიქმნა ის, რასაც „კემპ დავიდის“ დასახლება ეწოდება. ხშირ შემთხვევაში პოზიციების შერიგებაზე გაცილებით ადვილი ინტერესების შერიგებაა (თანხვედრაა), რადგან ზოგჯერ მხარეთათვის მისაღები რამდენიმე პოზიცია არსებობს ხოლმე. როგორც წესი, საქმე უფრო რთულად არის, როდესაც კონფლიქტი ღირებულებების (ხშირ შემთხვევაში მათი მოლაპარაკებების გზით გადაწყვეტა შეუძლებელია) ან ურთიერთობების გამო ხდება. ასეთ შემთხვევაში კონფლიქტის მოსაგვარებლად მათი შეცვლაა საჭირო, თუმცა ასეთ დროსაც აუცილებელია საფუძველში არსებული ინეტერსების და მოტივების დადგენა. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ზოგიერთ მოტივს, საფუძვლად ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებები (მაგ., იდენტობა, უსაფრთხოება, გადარჩენა) უდევს. ისინი თვლიან, რომ მწვავე და ჩიხში შესული კონფლიქტების გამომწვევი მიზეზი ამ მოთხოვნილებების უგულვებელყოფაა, რის გამოც მათი მოგვარება მხოლოდ მათი დაკმაყოფილების შემდეგ არის შესაძლებელი. ადამიანებს საერთო ძირითადი მოთხოვნილებები აქვთ და როგორც წესი, მათზე მოლაპარაკების მიღწევა შეუძლებელია. თუმცა, ეს ანალიტიკოსები იმედს იტოვებენ და აცხადებენ, რომ რიგ შემთხვევებში შესაძლებელია, ინტერესების დაკმაყოფილება რთული იყოს, ძირითადი მოთხოვნილებებისა კი არა (ერთი მხარის უსაფრთხოება მეორის უსაფრთხოებას განამტკიცებს). თუ კონფლიქტს ძირითადი მოთხოვნილებების ენაზე გადავთარგმნით, საჭიროა ისეთ შედეგს მივაღწიოთ, რომელიც ორივე მხარის მოთხოვნილებებსა და საჭიროებას დააკმაყოფილებს (იხ. ნახაზი 1.7).



წყარო: აღებულია Floyer Acland-ისგან, 1995:50
ნახაზი 1.7 პოზიციები, ინტერესები და საჭიროებები

მესამე მხარის ჩარევა

როდესაც ორი მხარე ერთმანეთის მოქმედებებზე რეაგირებს, უკუკავშირის ეფექტი (positive feedback) ძლიერდება და აგრესიისა და ესკალაციის სპირალი წარმოიშობა. შეიძლება, მესამე მხარის ჩართვამ კონფლიქტის სტრუქტურა და კომუნიკაციის ტიპი შეცვალოს, სადაც იგი (მესამე მხარე) კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შეტყობინებებს, დამოკიდებულებასა და ქცევას გაფილტრავს ან აირეკლავს. შესაძლებელია, ასეთმა ჩარევამ უკუკავშირის (feedback) სპირალი შეასუსტოს.

მართალია, მესამე მხარის ჩარევა გარკვეულ ცვლილებას ყოველთვის იწვევს, მაგრამ „წმინდა სახის“ მედიატორებს, ტრადიციულად „უძლურად“ თვლიან, რადგან კომუნიკაციის თვალსაზრისით ძლიერები არიან, მაგრამ მატერიალური რესურსების მხრივ კონფლიქტს ვერაფერს მატებენ. თუმცა, რიგ შემთხვევებში ძლიერი მესამე მხარის ჩართვა არა მხოლოდ კომუნიკაციის სტრუქტურას ცვლის, არამედ ძალათა ბალანსსაც. ასეთი მესამე მხარის ჩართვამ შეიძლება მხარეთა ქცევაც შეცვალოს და მათ შორის არსებული კომუნიკაციაც, თუ თავზე ხელის გადასმისა და გაროზგვის მეთოდს სწორად გამოიყენებს (პოზიტიური ან ნეგატიური სტიმული); შესაძლოა, იგი რომელიმე ერთ შედეგს ემხრობოდეს; რაღა თქმა უნდა, ჩარევის შემთხვევაში მესამე მხარე თავადაც კონფლიქტის სრული მონაწილე აღმოჩნდეს. ნახაზი 1.8 გვიჩვენებს, როგორ გამოდის ხოლმე მესამე მხარე არბიტრის როლში (რაც ზოგჯერ კონფლიქტის მხარის თანხმობით ან მის გარეშე ხდება) ან როგორ ცდილობს იგი მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და მედიაციის ხელშეწყობას.

ძალის სამი სახე

ალბათ უცნაურად მოგეჩვენებათ, როცა „წმინდა წყლის“ მედიატორებს უძლურად ვიხსენიებთ მიუხედავად იმისა, რომ მათმა ჩარევამ შეიძლება კონფლიქტის მოგვარებას გარკვეული ბიძგი მისცეს. ამის მიზეზი თავად ტერმინი „ძალის“ ბუნდოვანებაა. ერთი მხრივ იგი განკარგულებისა და ბრძანების გაცემის და რამის იძულებით აღსრულების ძალის ქონას ნიშნავს - ასეთ ძალას, იძულებით ანუ „ხისტ“ ძალას უწოდებენ. მეორე მხრივ კი ეს ის ძალაა, რომლის გამოყენებითაც მხარეს შეუძლია აქტორებს თანამშრომლობისა და ლეგიტიმური ქმედებებისკენ მოუწოდოს ან რაღაც შთააგონოს - ასეთი ძალა „დამარწმუნებელი“ ანუ „რბილი“ ძალაა. ხისტი ძალის გამოყენება საჭიროა ხოლმე ძალისმიერ კონფლიქტებში, რბილისა კი იქ, რომელთა მოგვარებაც მშვიდობიანი გზითაა შესაძლებელი. კენეტ ბოულდინგი (1989) „ხისტ“ ძალას „მუქარის ძალას“ (threat power) უწოდებს (გააკეთე ის, რაც მსურს, თორემ მე გავაკეთებ იმას, რაც შენ არ გინდა). იგი იმ თეორეტიკოსთა კვალს მიჰყვება, რომლებიც მმართველ რგოლსა და დასქმებულთა შორის მოლაპარაკებების საკითხებს სწავლობენ და რბილი ძალის ორ ტიპს განასხვავებს: „გაცვლითი ძალა“, (exchange power) რომელიც კოლექტიურ ვაჭრობასა და კომპრომისთან (გააკეთე რაც მე მსურს, მე კი გავაკეთებ იმას, რაც შენ გინდა) არის დაკავშირებული და „ინტეგრაციული ძალა“ (integrative power), რომელიც დარწმუნებასა და ტრანსფორმაციულ, პრობლემათა გრძელვადიანი გადაჭრის მეთოდს ეფუძნება (ერთად შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რაც ორივესთვის მომგებიანია). ასეთი დაყოფა მეტ-ნაკლებად ემთხვევა ჯოზეფ ნაისეულ სამხედრო, ეკონომიკური და ლეგიტიმური ძალის გამიჯვნას: აშშ-ს უხვად აქვს პირველი, დიდი რაოდენობით გააჩნია მეორე, მაგრამ შეზღუდული და გაურკვეველი სახით აქვს მესამე (Nye, 2002, 2004). ნაი „რბილ“ ძალას გაცილებით მნიშვნელოვნად მიიჩნევს, (მათ შემთხვევაშიც კი, ვისაც მხოლოდ საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ) ვიდრე ეს გამოუსწორებელ რეალისტებს ჰგონიათ. კონფლიქტების დამრეგულირებლები მუქარის ძალაზე მეტად გაცვლისა და ინტეგრაციული ძალის გამოყენებას ცდილობენ (იხ. ცხრილი 1.3).



იძულებითი	*არაიძულებითი*
იძულებით აღსრულება	წმინდა წყლის მედიაცია
არაძალადობრივი მეთოდებით იძულება	შერიგება/პრობლემის გადაჭრა
მედიაცია კუნთების თამაშით	შუამავლობა

ნახაზი 1.8 მესამე მხარის ჩარევა იძულებითი და არა-იძულებითი მეთოდების გამოყენებით

ცხრილი 1.3. ძალის სამი სახე

მუქარის ძალა	გაცვლის ძალა	ინტეგრაციული ძალა
დესტრუქციული	**პროდუქტიული**	**კრეატიული**
პროდუქტიული	**დესტრუქციული**	**პროდუქტიული**
კრეატიული	**კრეატიული**	**დესტრუქციული**

წყარო: ბოულდინგი, 1989: 25

მესამე მხარემ, მაგალითად, პოლიტიკოსებმა და მთავრობის წარმომადგენლებმა ძალის ყველა ფორმა შეიძლება გამოიყენონ. მესამე მხარის ჩარევაზე საუბრისას (იხ. ნახაზი 1.8) ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ძლიერი მედიატორები ანუ ისინი, ვინც მედიაციის პროცესში „კუნთებს ათამაშებენ“ და ძალის გამოყენებით სასურველ შედეგებს აღწევენ და უძლური მედიატორები, რომელთა როლი კომუნიკაციის ხელშეწყობითა და ფასილიტაციით შემოიფარგლება. ოფიციალურ სამთავრობო დონეზე განხორციელებული დიპლომატია (Track I diplomacy) იმ ოფიციალური სამთავრობო პირებისა და მთავრობათაშორისი წარმომადგენლების ჩართვას გულისხმობს, რომლებმაც სასურველი შედეგს შეიძლება მედიაციის, შუამავლობის ან „ჯოხისა და კანფეტის“ მეთოდის გამოყენებით მიაღწიონ; ასეთ დროს როგორც წესი, იყენებენ ხოლმე ვაჭრობის მეთოდს და მოგებული ერთი მხარე რჩება ხოლმე (won-lose) (ნახაზი 1.6-ზე ეს სიტუაცია მოცემულია 1, 3 და 2 წერტილებს შორის). მეორე დონის დიპლომატიაში (Track II diplomacy) ის არაოფიციალური მედიატორები მონაწილეობენ, რომლებსაც „ჯოხი და კანფეტი“ არ აქვთ. როგორც წესი, ისინი, მოლაპარაკებისას მხარეებთან ან მათიანებთან მუშაობენ და შეთანხმების მიღწევას ასე ცდილობენ; ისინი მხარეებს არსებულ რთულ მდგომარეობას ორივესთვის მომგებიანად (win-win) ან ორივესთვის წამგებიანად (lose-lose) წარმოუჩენენ (ნახაზზე 1.6 ეს სიტუაცია მოცემულია 0, 3 და 4 წერტილებს შორის) და ისეთი შედეგების მიღწევას ცდილობენ, რომელიც ორივე მხარეს დააკმაყოფილებს.

სიმეტრიული და ასიმეტრიული კონფლიქტები

აქამდე ძირითადად ორ მსგავს მხარეს შორის განვითარებულ კონფლიქტებს, ანუ სიმეტრიულ კონფლიქტებს, განვიხილავდით. თუმცა, შესაძლოა, კონფლიქტი განსხვავებულ მხარეებს შორისაც წარმოიშვას, მაგ., უმრავლესობასა და უმცირესობას, სამთავრობო ჯგუფებსა და მეამბოხეებს, პატრონსა და მსახურს და დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. ასეთ კონფლიქტებს ასიმეტრიული კონფლიქტები ეწოდება. ამ შემთხვევაში კონფლიქტის საფუძველს არა კონკრეტული საკითხი ან ის ინტერესები წარმოადგენს, რომლებზეც მხარეები ვერ თანხმდებიან, არამედ მათი როლებისა და ურთიერთობების ის სტრუქტურა, რომლის უკონფლიქტოდ შეცვლაც არ მოხერხდება.

კონფლიქტების მოგვარება, მისი კლასიკური ფორმითა და გაგებით, ძირითადად სიმეტრიული კონფლიქტების შემთხვევაში გამოიყენება. ასიმეტრიულ კონფლიქტებში კი გამარჯვებული ყოველთვის ზე-მდგომი გამოდის, დაბალ საფეხურზე მყოფი კი აგებს. ასეთი კონფლიქტის მოსაგვარებლად სტრუქტურის შეცვლაა საჭირო, რაც არავითარ შემთხვევაში ზე-მდგომის ინტერესებში არ შედის. აქედან გამომდინარე ასეთ შემთხვევაში არ დგება ისეთი შედეგი სადაც ორივე მხარე იგებს. ამ დროს კონფლიქტის მოსაგვარებლად მესამე მხარე ქვედა საფეხურზე მდგომს უნდა დაუდგეს გვერდით.

ახლა თუ სხვა კუთხით შევხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ასიმეტრიული კონფლიქტებიც ორივე მხარისგან გარკვეულ საზღაურს ითხოვს. მჩაგვრელობა დამთრგუნველია, თუმცა შეიძლება არა იმდენად რამდენადაც ჩაგრულად ყოფნაა რთული. ზე-მდგომებს თავიანთი უპირატესობის შესანარჩუნებლად გარკვეული საზღაურის გადახდა უწევთ. ძალიან მწვავე ასიმეტრიულ კონფლიქტებში ურთიერთობა ორივე მხარისთვის გაუსაძლისია, რის გამოც კონფლიქტის მოგვარება შესაძლებელი ხდება, რადგან არსებული ურთიერთობის სტრუქტურა შეცვლას საჭიროებს. 24

ასეთ შემთხვევაში, მესამე მხარის როლი ტრანსფორმაციის ხელშეწყობა და საჭიროების შემთხვევაში ზე-მდგომთან დაპირისპირებაა. რაც არაკეთილგანწყობილი, დაუბალანსებელი ურთიერთობის მშვიდობიან და დინამიკურად გადაქცევას ნიშნავს. ნახაზზე 1.9 ნაჩვენებია თუ როგორ შეიძლება არაკეთილგანწყობილი ურთიერთობის მშვიდობიანად გადაქცევის პროცესში დაუფარავი კონფლიქტი დროებით გამწვავდეს მაშინ, როცა ადამიანები ძალათა დისბალანსის და იმ უსამართლობის არსებობას აცნობიერებენ, რომლის მსხვერპლიც არიან (პირველი ეტაპი: განათლება ანუ სოციალურ-პოლიტიკური წინააღმდეგობების შეცნობა (conscientization)), იწყებენ ორგანიზებულ მოქმედებას და ხმამაღლა გამოთქვამენ უკმაყოფილებას (ეტაპი 2 - დაპირისპირება), მეტ-ნაკლებად პოულობენ საერთო ენას მათთან, ვისაც მათზე ძალა-უფლება აქვს (ეტაპი 3. მოლაპარაკებები), გაერთიანებული ძალებით უფრო თანასწორუფლებიანი და სამართლიანი ურთიერთობების დამკვიდრებას აღწევენ (ეტაპი 4 - მოგვარება). ამ ყველაფრის მიღწევა იძულების გარეშეც შეიძლება, რისთვისაც სხვადასხვა მეთოდი არსებობს; მათ შორისაა განდისეული ტაქტიკა - „ხელისუფლებას ვუთხრათ სიმართლე“, ზემოქმედება მოვახდინოთ და დავარწმუნოთ ისინი, ვის ხელშიც ძალა-უფლება არის. ასევე არსებობს საზოგადოებრივი მოძრაობების მობილიზაციის, სოლიდარობის გაზრდის, დემონსტრაციების გამართვისა და ცვლილების მოთხოვნით გამოსვლის მეთოდი. რეჟიმის შესასუსტებლად ზოგჯერ მიზანშეწონილია არსებული კონფლიქტის შესახებ ზე-მდგომის შიდა თუ გარე მხარდამჭერების ინფორმირება (მაგ., როგორც სამხრეთ აფრიკაში აპართეიდის ოპონენტების შემთხვევაში მოხდა). არათანაბარი ძალის სტრუქტურა დაუბალანსებელია და სხვადასხვა სახის ბიჯგებზე დგას; მათი გამოცლისთანავე შეიძლება, მთელი სტრუქტურა ჩამოიშალოს. არსებობს სხვა ტაქტიკაც - მეტი ძალა-უფლება გადავცეთ ქვედა საფეხურზე მდგომებს, რის შემდეგაც შესაძლოა თავად თქვან უარი ასეთ დაუბალანსებელ ურთიერთობაზე და ახლის - რაღაც პარალელური ინსტიტუციური სტრუქტურის - შენება დაიწყონ. იმ შემთხვევებში, სადაც კონფლიქტში ძალის გამოყენებას არ მიმართავენ, მეტად დაბალანსებული ურთიერთობების მიღწევას რბილი ძალით ცდილობენ.



წყარო: Curle, 1971, და Lederach, 1995
ნახაზი 1.9 ასიმეტრიული კონფლიქტის ტრანსფორმაცია (I)

ახალი მოვლენების განვითარება კონფლიქტების მოგვარების დარგში

1990-იან წლებში შეიარაღებული კონფლიქტების ახალმა მოდელმა იჩინა თავი, რის გამოც მათი წარმოშობისა და ტრანსფორმაციის ისეთი მოდელების შექმნა გახდა საჭირო, რომელშიც მეტი ნიუანსი იქნებოდა გათვალისწინებული. ამ მოდელის თანახმად კონფლიქტი სოციალური ცვლილებითაა განპირობებული, იწყება კონფლიქტის ძალადობრივი ან არა-ძალადობრივი გზით ტრანსფორმაციის პროცესი, ხდება სოციალური ცვლილება, რომელშიც მანამდე ჩაგრული ან მარგინალიზებული ჯგუფები თავიანთ ინტერესებზე ხმამაღლა ლაპარაკობენ და არსებულ ნორმებსა და ძალაუფლების სტრუქტურებს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ. ნახაზი 1.10-ზე მოცემულია კონფლიქტის ფაზებისა და მასში ჩარევის იმ ფორმების სქემატური ილუსტრაცია, რომლის გამოყენებაც შეიძლება მიზანშეწონილი და ქმედუნარიანი იყოს მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. კონფლიქტის სასიცოცხლო ციკლის სქემატური გამოსახულება გვიჩვენებს როგორ გადაიზრდება მშვიდობიანი სოციალური ცვლილება კონფლიქტში, შემდეგ ძალადობრივ კონფლიქტში, როგორ ხდება მისი ტრანსფორმაცია და კვლავ მშვიდობიან სოციალურ ცვლილებასთან დაბრუნება. თუმცა, სხვა გზებიც არსებობს. ფაზების თანმიმდევრობა შეიძლება ასეთი იყოს: კონფლიქტის წარმოქმნა, ტრანსფორმაცია და სოციალური ცვლილება ისე, რომ ძალადობა თავიდან იქნას აცილებული. შესაძლოა მოვლენები ასეც განვითარდეს: კონფლიქტი წარმოიქმნას, ძალადობრივში გადაიზარდოს და ახალი კონფლიქტების წარმოქმნას დაუდოს საფუძველი.



ნახაზი 1.10 კონფლიქტების დინამიკა და კონფლიქტის მოგვარება

გაფართოვდა და შეიცვალა მესამე მხარის ჩარევის მასშტაბებიც. კონფლიქტის მოგვარების კლასიკური მეთოდის თანახმად მესამე მხარის კონფლიქტში ჩარევა საჭირო იყო იმისთვის, რომ ძალადობრივი კონფლიქტის მხარეებს სადავო საკითხები არა-ძალადობრივი გზით მოეგვარებინათ, თანამედროვე თვალსაზრისისთვის კი საყურადღებოა კონფლიქტში ჩარევის დროცა და ბუნებაც. 1990-იან წლებში გამოვიდა ჩვენ მიერ ზემოთ უკვე ხსენებული ფიშერისა და კიშლის (1991 წელი) მესამე მხარის ჩარევის საგანგებო გარემოებებისა და ურთიერთშევსების მოდელი (contingency and complementary), რომლის მიზანიც კონფლიქტების მოგვარების სათანადო და კოორდინირებული სტრატეგიების (შერიგება, მედიაცია, მშვიდობის დაცვა) შემუშავება და მათი კონფლიქტის ფაზების მიხედვით (სეგრეგაცია, პოლარიზაცია, ძალადობა) გამოყენება იყო. ასევე მნიშვნელოვანი და გავლენიანი გახლდათ ლედერახის (1997) „კონფლიქტის მოგვარების და ტრანსფორმაციის დონეების“ მოდელი, რომელიც აქცენტს აკეთებს პროცესების „ქვემოდან-ზემოთ“ მიმდინარეობაზე და თვლის, რომ შუა დონეს დანარჩენი ორის დაკავშირება შეუძლია (იხ. ნახაზი 1.1). ფრენსისმა (1994) სრულყო კერლის ასიმეტრიული კონფლიქტის მოდელი და ამ ტიპის კონფლიქტების ტრანსფორმაციის სტრატეგიებში კონფლიქტის გადაწყვეტის კლასიკური სტრატეგიებიც ჩართო, (იხ. ნახაზი 1.12). ინკარნასიონმა და სხვებმა (1990) შეიმუშავეს მესამე მხარის ჩარევის მოდელები, სადაც თვალნათლივ აჩვენეს, როგორ შეიძლება მესამე მხარე ცენტრალურად იქცეს მისი ჩარევის დონის მატების პარალელურად და რომ ეგრეთ წოდებულმა „ჩადგმულმა მხარეებმა“ („embedded parties“) კონფლიქტის

მოგვარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულონ და ეს პროცესი დააჩქარონ (იხ. ნახაზი 1.13). ფრიად საყურადღებო მოდელი შეიმუშავა უილიამ ურიმ (2000), რომელიც აღწერს იმას, რასაც მისი ავტორი კონფლიქტის მოგვარებასა და ესაკალაციისა და დეესკალაციის ფაზებში „მესამე მხარის როლს“ უწოდებს (იხ. ნახაზი 1.14). ვრცლად ვისაუბრებთ მე-14 თავში (გვ. 318-319).



წყარო: აღებულია Lederach, 1997

ნახაზი: 1.11 მშვიდობის შენების პროცესის აქტორები და მიდგომები



წყარო: **აღებულია Francis, 1994**

ნახაზი 1.12 ასიმეტრიული კონფლიქტების ტრანსფორმაცია (II)



წყარო: აღებულია Encarnacion et al., 1990:45

ნახაზი 1.13 კონფლიქტში ჩართულობის გრადიენტი



მესამე მხარის როლი ესკალაციის დესტრუქციულ ძალადობად გარდაქმნის პრევენციისათვის
გავრცელების შეკავების როლი: **მოწმე, მსაჯი, სამშვიდობოები**
მოგვარების როლები: **მედიატორი, არბიტრი, ეკვალაიზერი, მკურნალი**
პრევენციის როლები: **პროვაიდერი, მასწავლებელი, ხიდის გამდები**

წყარო: მესამე მხარე: Harvard University Global Negotiation Project: www.thirdside.org
ნახაზი: 1.14 უილიამ ურის მესამე მხარის მიერ შესრულებული როლები

ამ მხრივ გარკვეული ცვლილება მოხდა. ადრე მესამე მხარედ ძირითადად გარე აგენტები მოიაზრებოდნენ, მაგრამ მიდგომა თანდათანობით შეიცვალა და შიდა „მესამე მხარის“ ანუ ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობიდან წამოსული მშვიდობის დამცველების როლს მეტი ყურადღება დაეთმო. დღესდღეობით აქცენტი კეთდება არა მესამე მხარის ჩარევაზე, რომელიც კონფლიქტის მოსაგვარებლად მცირე ხნის განმავლობაში ეწევა მედიაციას, არამედ ადგილობრივი საზოგადოების წევრების ქმედუნარიანობაზე. მათი საშუალებით დგინდება როგორ უყურებს ესა თუ ის კულტურა კონფლიქტების მოგვარებას და ამისთვის რა საშუალებებს ფლობს. ამის გამო აქამდე არსებული პირველი და მეორე ხარისხის დიპლომატიის მოდელის პარალელურად მრავალდონიანი (multitrack) მოდელი გაჩნდა, რომელშიც ცენტრალური ადგილი ადგილობრივი რესურსების გამოყენებასა და ადგილობრივ აქტორებს უჭირავთ, მას მესამე დონის დიპლომატიას უწოდებენ (იხ. ნახაზი 1.15) ამგვარად მოხდა ვექტორის გადანაცვლება და კონფლიქტი უკვე მის კონკრეტულ კონტექსტში განიხილება (რასაც ზოგჯერ სოციალური რეალობის სტრუქტურალისტურ, კონსტრუქციულ და დისკურსულ თვალსაზრისს უკავშირებენ). ჩვენი აზრით, კონფლიქტები ეკოლოგიური, გლობალური, საზოგადოებრივი და პერსონალური ასპექტების ერთმანეთში გადახლართვის შედეგია (Galtung, 1996) (იხ. ნახაზი 1.6)



ნახაზი 1.15 კონფლიქტის მრავალდონიანი მოგვარება

ამ მიზეზების გამო თანამედროვე შეიარაღებული კონფლიქტები ისეთ ჩარჩოში უნდა მოვაქციოთ, რომელიც მრავალ დონეს აერთიანებს: მათ შორის: საერთაშორისოს (გლობალური, რეგიონალური, ბილატერალური), სახელმწიფოს და საზოგადოებრივს (გარკვეული იდენტობის მატარებელი ჯგუფები, ინდივიდები). მაგალითი მოცემული იქნება მე-4 თავში. დღესდღეობით მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტთა უმრავლესობა ჰიბრიდული ხასიათისაა და საერთაშორისო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დონეებზე ვრცელდება. ესენი ტრანს-სასაზღვრო კონფლიქტებია და მათი მოგვარება ან ტრანსფორმაცია საკმაოდ რთულია. ქაშმირის 64 წლიანი კონფლიქტი ინდოეთსა და პაკისტანს შორის მიმდინარე სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტია (რომელიც 1947 წლის დაშლის შემდეგ დაიწყო), მაგრამ მიუხედავად ამისა მასზე დიდ ზეგავლენას ახდენს გლობალურ (ცივი ომის დასრულება, ჯიჰადისტების რეაქცია დასავლური ჰეგემონიის მიმართ, ომი ტერორიზმის წინააღმდეგ) და რეგიონალურ (ავღანეთის ომები) დონეზე განხორციელებული ცვლილებები; მასზე ასევე ზემოქმედებს პროვინციისა (სახელმწიფოს ქვედა დონეზე) და ადგილობრივ დონეზე მიმდინარე ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური (შედარებით დიდ დიასპორებს შორის) ბრძოლა. ეს ორივე ფაქტორი (გარეც და შიდაც) სახელმწიფოს დონეზე ახდენს გავლენას

მისი ამბივალენტური ბუნებისა და იმის გამო, რომ საერთაშორისო არენაზე მთავარი აქტორი არის სახელმწიფო და ამავდროულად არის ის, ვინც (თეორიულად მაინც) შიდა სოციალური მოთხოვნილებები უნდა დააკმაყოფილოს. კონფლიქტის ტრანსფორმაცია ერთდროულად რამდენიმე დონეზე უნდა მიმდინარეობდეს - გლობალურიდან ლოკალურისაკენ, რასაც მეორე ნაწილში კონფლიქტის კოსმოპოლიტურ მოგვარებას ვუწოდებთ.



ნახაზი 1.16. კონფლიქტის კოსმოპოლიტური მოგვარების სფეროები

ტერმინოლოგია

მართალია, ტერმინოლოგია ხშირ შემთხვევაში მრავალ გაუგებრობას იწვევს, რადგან ერთი და იგივე ტერმინი აკადემიურ ლიტერატურაშიც და ზოგადადაც სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება, მაგრამ მიუხედავად ამისა აქ მაინც შემოგთავაზებთ ამ წიგნში გამოყენებულ ძირითად ტერმინებს.

კონფლიქტი (conflict) არის სიტუაცია, როდესაც სხვადასხვა ჯგუფებს ერთმანეთთან შეუთავსებელი მიზნები ამოძრავებთ. ასეთი კონფლიქტი შეიარაღებულზე ხანგრძლივად მიმდინარეობს და უფრო ვრცელია. ჩვენ ამ ტერმინით აღვნიშნავთ ნებისმიერ პოლიტიკურ კონფლიქტს იმისდა მიუხედავად მშვიდობიანად ვითარდება ის თუ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით. (ზოგიერთი თეორეტიკოსი, მაგ., ჯონ ბარტონი ერთმანეთისგან მიჯნავს დავებს, რომლებიც ისეთი ინტერესების გამო მიმდინარეობს, რომლებზე მოლაპარაკება და შეთანხმების მიღწევა კომპრომისის გზითაა შესაძლებელი და ღრმად ფესვგადგმულ კონფლიქტებს, რომელთა გამომწვევი მიზეზი ადამიანის მოთხოვნილებებია და მათ მოსაგვარებლად მათ საფუძველში არსებული მიზეზის აღმოფხვრაა საჭირო).

შეიარაღებული კონფლიქტის (armed conflict) მნიშვნელობა შედარებით ვიწროა. ამ ტერმინით აღვნიშნავთ ისეთ კონფლიქტს, რომლის მხარეებიც ძალის გამოყენებას მიმართავენ. მისი ზუსტი განსაზღვრების დადგენა რთულია, რადგან ეს კონტინუუმი განსხვავებულ სიტუაციებს მოიცავს, დაწყებული სამხედრო თვითმფრინავების გადაფრენით დამთავრებული ერთი ჯარისკაცის მიერ მშვიდობიან მოქალაქეზე განხორციელებული თავდასხმითა და სრულ მასშტაბიანი ომით, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე ეწირება. ამ დარგის მკვლევრებმა დაადგინეს გარკვეული ზღვრები და წესები, რომლის მიხედვითაც შეიარაღებულ კონფლიქტებს განიხილავენ. ამ განმარტებებზე ვისაუბრებთ მესამე თავში.

ძალადობრივი ან სასიკვდილო კონფლიქტი (Violent conflict or deadly conflict) შეიარაღებული კონფლიქტის მსგავსია, მაგრამ ასევე გულისხმობს ცალმხრივ ძალადობას, მაგ., უიარაღო მოსახლეობის გენოციდს. იგულისხმება პირდაპირი, ფიზიკური ძალადობა. ჩვენ ვიზიარებთ, მშვიდობის კვლევების სპეციალისტების ძლიერ არგუმენტს იმის შესახებ, რომ საჭიროა ძალადობის არსის გაფართოება და მასში ისეთი ექსპლუატატორული ხასიათის სოციალური ურთიერთობების ჩართვა, რომელიც ადამიანის არასაჭირო ტანჯვას იწვევს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტერმინის „სტრუქტურული ძალადობა“ გამოყენება.

თანამედროვე კონფლიქტს (contemporary conflict) ვუწოდებთ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მიმდინარე პოლიტიკურ და ძალადობრივ კონფლიქტებს; თანამედროვე შეიარაღებულ კონფლიქტებში ვგულისხმობთ მხოლოდ მათ, რომლებიც ძალის გამოყენებით მიმდინარეობს.

კონფლიქტის გადაწყვეტა (conflict settlement) ვგულისხმობთ მხარეთა შორის პოლიტიკური კონფლიქტის გადასაწყვეტად მიღწეულ შეთანხმებას, რომელიც წინ უსწრებს შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებას ან ასრულებს მას. რა თქმა უნდა, კონფლიქტის გადაწყვეტა მის დასრულებას უნდა ნიშნავდეს, მაგრამ პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში ასეთი გზით დარეგულირებული კონფლიქტები მოგვიანებით თავიდან იწყება, რადგან შესაძლოა, რეგულირების პროცესში გათვალისწინებული არ იყოს დამოკიდებულებები (ატიტუდი) და მის საფუძველში არსებული სტრუქტურული ხასიათის წინააღმდეგობები.

კონფლიქტის გავრცელების შეჩერება (conflict containment) გულისხმობს მშვიდობის შენარჩუნებას და ომის შეზღუდვას (გეოგრაფიული ფარგლების შეზღუდვას, მისი ინტენსივობის შერბილება-შემსუბუქებას და პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში მის დასრულებას).

კონფლიქტის მართვა. მისი მონათესავე ტერმინის - „კონფლიქტის რეგულირება“ მსგავსად „კონფლიქტის მართვაც“ ზოგადია და კონფლიქტის პოზიტიურ კალაპოტში წარმართვის მთელ გამას გულისხმობს. ამ წიგნში აღნიშნული ტემინი შედარებით ვიწრო გაგებით იქნება გამოყენებული და მასში ძალადობრივი კონფლიქტის გადაწყვეტას ან მისი გავრცელების შეჩერებას ვგულისხმობთ.

კონფლიქტის მოგვარება (conflict resolution) გაცილებით ფართე ცნებაა და კონფლიქტის ღრმად ფესვგადგმული წყაროების გათვალისწინებას და მათ ტრანსფორმაციას გულისხმობს. კონფლიქტის მოგვარება ნიშნავს, რომ მხარეები ძალადობას აღარ მიმართავენ, დამოკიდებულება აგრესიული აღარ არის და კონფლიქტის სტრქუტურა იცვლება. გარკვეულ ბუნდოვანებას იწვევს თავად ეს ტერმინი, რადგან ამ ტერმინით აღნიშნავენ როგორც

ასეთი ცვილელებების განსახორციელებლად საჭირო პროცესს (ანუ განზრახვას) ასევე ამ პროცესის დასასრულსაც. საქმეს მეტად ართულებს ის, რომ ტერმინს - „კონფლიქტების მოგვარება“ კონკრეტულ სპეციალიზებულ სფეროსაც (მაგ., „კონფლიქტების მოგვარების ჟურნალები“) უწოდებენ და ადამიანების მიერ განხორციელებულ ქმედებებსაც, თუმცა თავად ამ ადამიანებმა ეს ტერმინი (მაგ., კონფლიქტის მოგვარება ცენტრალურ აფრიკაში) შეიძლება არ გამოიყენონ და არც მისი არსებობის შესახებ იცოდნენ რამე. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ ტერმინის ეს ორი მნიშვნელობა ნელ-ნელა შერწყმას იწყებს.

კონფლიქტის ტრანსფორმაცია - ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ტრანსფორმაცია კონფლიქტის მოგვარების ფარგლებს სცილდება და მასთან შედარებით მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, ჩვენი თვალსაზრისით კი მის ყველაზე სიღრმისეულ დონეს წარმოადგენს. როგორც ნახაზი 1.3-დან ჩანს, ამ ტერმინში იგულისხმება ძალადობის წარმომშობი ინსტიტუტებისა და დისკურსების, ისევე როგორც კონფლიქტის მხარეებსა და მათ შორის არსებული ურთიერთობების სიღრმისეული ტრანსფორმაცია. იგი შეესაბამება კონფლიქტის მოგვარების საფუძველში არსებულ ამოცანას - მშვიდობის კულტურულ და სტრუქტურულ დონეზე შენებას. როდესაც ასეთი რამ ხდება გლობალურ კულტურებში, სადაც პირადი, საზოგადოებრივი და ეკოლოგიური სფეროები (ნახაზი 1.6) ერთიანდება, ამ მოვლენას კონფლიქტის კოსმოპოლიტურ ტრანსფორმაციას ვუწოდებთ.

მოლაპარაკება პროცესია, რომლის დროსაც მხარეები მათ შორის არსებული კონფლიქტების გადაწყვეტას ან მოგვარებას ცდილობენ. მედიაცია გულისხმობს მესამე მხარის ჩართვას; ეს ნებაყოფლობითი პროცესია, სადაც მხარეები შედეგზე კონტროლს ინარჩუნებენ (წმინდა წყლის მედიაცია), თუმცა ზოგჯერ ამ პროცესში პოზიტიური და ნეგატიური წაქეზება იჩენს ხოლმე თავს (მედიაცია კუნთების თამაშით). დამშვიდება (conciliation) ან ფასილიტაცია (შემსუბუქება) (facilitation) თავისი მნიშვნელობით ახლოს დგას წმინდაწყლის მედიაციასთან; ამ დროს შუამავლები მხარეებს მოლაპარაკებების დაწყებისკენ უბიძგებენ. პრობლემათა გადაჭრა გაცილებით ამბიციური წამოწყებაა, სადაც მხარეებს მოუწოდებენ თავიდან გაიაზრონ კონფლიქტის არსი და კრეატიულ და ორივე მხარისთვის მომგებიან (win-win) გამოსავალს მიაგნონ. შერიგება (reconciliation) მტრობისა და მხარეთა შორის უნდობლობის დაძლევის ხანგრძლივი პროცესია.

ტერმინით მშვიდობის დამყარება (peacemaking) აღვნიშნავთ შეიარაღებული კონფლიქტის გადაწყვეტისკენ გადადგმულ ნაბიჯებს, როდესაც მხარეებს აიძულებენ ნებაყოფლობით მიაღწიონ შეთანხმებას, მაგ., როგორც ეს გაეროს ქარტიის მეექვსე თავშია გათვალისწინებული („დავების მშვიდობიანი გზით რეგულირება“ Pacific Settlement of Disputes)) ჩამოყალიბებული (მუხლი 33). მშვიდობის დაცვა (peacekeeping) (ხდება კონფლიქტში მონაწილე მხარეთა თანხმობით) ხორციელდება დაპირისპირებულ მხარეთა შეიარაღებულ ძალებს შორის საერთაშორისო ჯარების ჩაყენებით. დღესდღეობით მას სამოქალაქო ფუნქცია უფრო აქვს, სადაც მათ მეთვალყურეობა, წესრიგის დაცვა და ჰუმანიტარული სამუშაოების ხელშეწყობა ევალებათ. ტერმინით - მშვიდობის იძულებით დამყარება (peace enforcement) აღნიშნავენ მდგომარეობას, რომელშიც ძლიერი მესამე მხარე კონფლიქტის მხარეებს მის გადაწყვეტას აიძულებს. მშვიდობის შენება (peacebuilding) მშვიდობის დამყარებისა და მშვიდობის დაცვის შედეგად მიღწეულ შედეგებს განამტკიცებს; მისი მიზანია სტრუქტურული საკითხებისა და კონფლიქტის მხარეთა შორის არსებული ურთიერთობების მოგვარება გრძელვადიან პერსპექტივაში. კონფლიქტის სამკუთხედზე (იხ. ნახაზი 1.1.) დაყრდნობით, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მშვიდობის დამყარების მიზანია

პროტაგონისტების დამოკიდებულების შეცვლა, მშვიდობის დაცვა ამცირებს დესტრუქციული ქმედების დონეს, ხოლო მშვიდობის შენება კი კონფლიქტის საფუძველში არსებული დაპირისპირების დაძლევას ნიშნავს (Galtung, 1996:112).

და ბოლოს თუ მორტონ დაჩს გავიხსენებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ კონფლიქტის მოგვარების მიზანი მისი აღმოფხვრა არ არის, რაც შეუძლებელი (კონფლიქტი სოციალური ცვლილებების თანდაყოლილი მოვლენაა) და ამავე დროს არასასურველიც იქნებოდა (უსამათლობის წინააღმდეგ ალბათ მეტი კონფლიქტი და ბრძოლაა საჭირო და არა ნაკლები, რაც თვალნათლივ ჩანს კერლისეულ ასიმეტრიული კონფლიქტების ტრანსფორმაციის მოდელში (იხ. ნახაზი 1.9). კონფლიქტის მოგვარების მიზანი რეალურად ან პოტენციურად ძალადობრივი კონფლიქტის სოციალური და პოლიტიკური ცვლილების მშვიდობიან (არა-ძალადობრივ) პროცესად გარდაქმნაა. ეს უსასრულო ამოცანაა, რადგან კონფლიქტის ახალი ფორმები და წყაროები მუდმივად იჩენს თავს.

რეკომენდირებული ლიტერატურა

Bercovitch et al., (2009), Burton and Dukes, (1990a), Cheldelin et al., (2003); Deutsch and Coleman (2000); Fisher, (1997); Jacoby (2008): Kriesberg (1998a); Mitchell and Banks (1996); Sandole (1999); Wallensteen (2007); Webel and Galtung (2007).

თავი მეორე

კონფლიქტის მოგვარება: დარგის წარმოშობა, საფუძვლები და განვითარება

„კონფლიქტების მოგვარების ჟურნალის“ (Journal of Conflict Resolution) (1957) პირველ გამოცემაში, კენეტ ბოულდინგი ამ ახალი წამოწყების არსს ასე განმარტავდა:

> *მიზეზები, რომლის გამოც ეს საქმე წამოვიწყეთ ორ პოსტულატად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ. პირველი გახლავთ ის, რომ ამჟამად მსოფლიოს წინაშე მდგომი ყველაზე პრაქტიკული პრობლემა საერთაშორისო ურთიერთობები - უფრო ზუსტად კი გლობალური ომის თავიდან აცილებაა. მეორე კი ის, რომ თუ ამ სფეროში ინტელექტუალური წინსვლა უნდა განხორციელდეს, საერთაშორისო ურთიერთობების მეცნიერება ინტერდისციპლინალური უნდა გახდეს და ყველა სოციალური მეცნიერების დისკურსიც გამოიყენოს და მეტიც.*

ოცი წლის შემდეგ ამ ჟურნალის პასუხისმგებლობა მნიშვნელოვნად გაიზარდა:

> *ბირთვული ჰოლოკოსტის საფრთხე კვლავაც არსებობს და შესაძლოა კიდევ საუკუნეების განმავლობაში გაგრძელდეს, მაგრამ ჩვენს ყურადღებას სხვა პრობლემებიც ისევე იპყრობს როგორც განიარაღების საკითხი. ჟურნალმა სამართლიანობის, თანასწორობისა და ადამიანის ღირსების გამო მიმდინარე საერთაშორისო კონფლიქტებს სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს; ეკოლოგიური ბალანსისა და კონტროლის გამო მიმდინარე კონფლიქტის მოგვარების პრობლემებიც ჩვენს სფეროში შემოდის, მითუმეტეს, რომ მათ ყველაზე მეტი ინტერდისციპლინალური ყურადღება სჭირდებათ. (1973: 27 (1): 5).*

ეს ორი ნაწყვეტი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ თუ როგორ შეიქმნა და ჩამოყალიბდა კონფლიქტების მოგვარება ცალკე დარგად, როგორ შეიქმნა მისი ცენტრები აკადემიური ინსტიტუტების სახით და როგორ დაიწყო პროფესიული ჟურნალების გამოცემა; რა ამოცანებს უსახავდა იგი საკუთარ თავს იმ დროს, რომელსაც მისი დაარსების პერიოდად მივიჩნევთ (1950-იან 1960-იან წლები) და როგორ გაფართოვდა მისი პასუხისმგებლობები მოგვიანებით, 1970-1980-იან წლებში. მოეცმულ თავში ამ დარგის ისტორიული ევოლუციის პროცესს განვიხილავთ, რომლის ზოგიერთ კლასიკურ კონცეფციას პირველ თავში უკვე შევეხეთ. განვიხილავთ როგორ ვითარდებოდა კონფლიქტების მოგვარება მისი ხუთი ფაზის განმავლობაში. პირველ, მეორე და მესამე ფაზებზე ამ თავში ვიმსჯელებთ, გავეცნობით მის წინამორბედთა თვალსაზრისს 1945 წლამდე, ასევე მისი დამარსებლების მოსაზრებებსა (1945-1965 წლები) და კონსოლიდატორების არგუმენტებს (1965-1985 წლები). 1985-2005 წლების რესტავრატორების მეოთხე თაობის მოღვაწეობა კი, რომლებმაც ეს დარგი ცივი ომის შემდეგომი პერიოდის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანეს, ამ წიგნის მთავარი თემა გახლავთ, თუმცა მას ზედაპირულად ამ თავშიც შევეხებით.

რა თქმა უნდა, თაობათა ეს კატეგორიები ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული არ არის, რადგან ადამიანები, როგორც წესი, სხვადასხვა თაობასთან ერთად მოღვაწეობენ და მათი მოსაზრებებიც თაობებში ცოცხლობს. ამ დარგის მრავალი დაამრსებელი (მაგ., იოჰან გალტუნგი) და „მეორე თაობის“ კონსოლიდატორების მიმდევრები დღესაც მოღვაწეობენ და მათი იდეები დღემდე არსებობს და ვითარდება. ამის გამო შეიძლება, ეს კატეგორიები დროებით-ინტელექტუალურ კატეგორიებად მივიჩნიოთ. პირველი და მეორე თაობის წარმომადენლები კონფლიქტების მოგვარებზე მსჯელობისას ძირითად აქცენტს სახელმწიფოს როლზე აკეთებდნენ; მესამე თაობისთვის სამოქალაქო საზოგადოება გახდა მნიშვნელოვანი;

ისინი მოვლენებს სახელმწიფოს პრიზმიდან ნაკლებად განიხილავდნენ; მეოთხე თაობამ კი უფრო კომპლექსური და შევსებული არქიტექტურული ნაგებობა შემოგვთავაზა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფოს, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეებს მოიცავდა. წიგნის დასასრულს მომავლის საკითხებს განვიხილავთ და იმ პრობლემებსაც შევეხებით, რომელთა წინაშეც ამ დარგის მომავალი, მეხუთე თაობა აღმოჩნდება, რომელთა ეპოქაც სწორედ ახლა იწყება. მეხუთე თაობას კონფლიქტების მოგვარების ახალ ტალღაში მოუწევს მოღვაწეობა, სადაც თეორიის პრაქტიკაში განხორციელებაა საჭირო; ისინი უმნიშვნელოვანესი ამოცანის წინაშე დგანან - ამ დარგის განახლება და დახვეწა უნდა განაგრძონ ისე, რომ მან ოცდამეერთე საუკუნის კონფლიქტების გამოწვევებს უპასუხოს. ამ თემაზე მეორე ნაწილში ვისაუბრებთ, რომელსაც კონფლიქტების კოსმოპოლიტური მოგვარება ჰქვია და რაც ამ სფეროს პირველი ოთხი თაობის მოღვაწეთა ნააზრევს თანამედროვეობის პრიზმაში განიხილავს. არის იმის იმედი, რომ ისინი კონტექსტისადმი სენსიტიური გლობალური მიდგომის შექმნას შეძლებენ, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება კონფლიქტების მოგვარება და მშვიდობის არა-ძალადობრივი მეთოდებით შენარჩუნება, რაც მთელი კაცობრიობის და ყველა თაობის გრძელ-ვადიან ინტერესებში შედის და არა მხოლოდ იმ ახლანდელი ლიდერებისა, რომელთა ხელშიც ძალაუფლებაა მოქცეული.

ამ თავში განხილული პერიოდის მრავალფეროვნების მიუხედავად, რომლის დროსაც ძირითადად კონფლიქტების მოგვარების მეთოდებისა და კონცეფციების განსაზღვრას ცდილობდნენ, ორი მომენტი დომინირებდა. პირველი - კონფლიქტების ანალიზის, პრევენციისა და პრობლემათა გადაჭრის გზით ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებისთვის საჭირო პირობების დადგენა იყო, მეორე კი მშვიდობის არა-ძალადობრივი მეთოდებით დამყარების ფასეულობის დანერგვა. ამ ორი მიმართულებით მიღწეული შედეგების გათვალისწინებით კონფლიქტების მოგვარება როგორც დარგი ნორმატიულად გულისხმობდა მშვიდობის ხელშეწყობას სამ დონეზე: პირველი - მსოფლიო პოლიტიკური სისტემების რადიკალური რეფორმის გზით, მეორე - ომის საწინააღმდეგო და მშვიდობის მომხრე ინკლუზიური პოლიტიკის გატარებით; მესამე - ისეთ მეთოდოლგიებისა და პროცესების შემუშავებით, რომელიც პროტესტის პოლიტიკიდან პროაქტიული მშვიდობის დამყარების პროექტებზე გადასვლის შესაძლებლობას გააჩენდა. პროაქტიული მშვიდობის დამყარების ამ პროექტს უნდა გაეთვალისწინებინა და მოეგვარებინა გალტუნგის კონფლიქტის სამკუთხედის ბიჰეივიორისტული, ატიტუდის და სტრუქტურული/ობიექტური ელემენტები (ნახაზი 1.1. გვ. 10). კონფლიქტების მოგვარების მიზანი არა მხოლოდ ომის პრევენცია და ძალადობრივი კონფლიქტის გავრცელების შეჩერება (უარყოფითი მშვიდობის) გახდა, არამედ გაცილებით მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ამოცანაც - პოზიტიური, ემანსიპაციური მშვიდობის მიღწევა, სადაც ინდივიდებსა და ჯგუფებს შესაძლებლობა ექნებათ არაძალადობრივი გზით და საკუთარი არჩევანით მიაღწიონ (რამდენადაც ამის საშუალებას მიმდინარე კონფლიქტის პირობები მისცემთ) თავიანთ სასიცოხლო მიზნებს.

წინამორბედები: პირველი თაობა 1918-1945 წლები

სოციალისტი თუ ლიბერალი ინტერნაციონალისტური მოძრაობების წარუმატებელმა ძალისხმევამ ხელი შეეშალათ პირველი მსოფლიო ომის დაწყებისათვის, ომის შემდეგომ წლებში მრავალს მოტივაცია გაუჩინა შეექმნათ „მეცნიერება“ მშვიდობის შესახებ, რაც მომავალი ომების აღკვეთის მყარი საფუძველი გახდებოდა. მათი ზოგიერთი თანამედროვე მათ ამ სურვილს სენტიმენტალობად და მორალური პაციფიზმის გამოხატულებად თვლიდა.

მშვიდობის კვლევა და მსოფლიო წესრიგის ძიება

მართალია, მშვიდობის კვლევები ინსტიტუციონალურად 1945 წლის შემდეგ დაიწყო, თუმცა დაახლოებით მსგავსი მოძრაობა 1918 წლის შემდგომ პერიოდშიც შეინიშნებოდა - შეიქმნა „საერთაშორისო ურთიერთობები: (International Relations (IR)) როგორც აკადემიური დისციპლინა. საერთაშორისო ურთიერთობების პირველი ფაკულტეტი 1919 წელს უელსის საუნივერსიტეტო კოლეჯ, აბერისტუიტში, დაარსდა. მისი სპონსორი უელსელი კაპიტალისტი და პარლამენტარი (ლიბერალური პარტიიდან) დევიდ დევიესი იყო, რომელიც კარგად ჩასწვდა ომის შემდგომი სენტიმენტებით გამოწვეული ამ ინიციატივის მნიშვნელობას და „ დიდ ომში“ დაღუპული ამავე კოლეჯის სტუდენტების სახელთა უკვდავსაყოფად სათავეში ჩაუდგა ამ ინიციატივის განხორციელებას. 1920-1945 წლებში საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტები მთელ გაერთიანებულ სამეფოში, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში იხსნებოდა, რომელთაგან მრავალის მოწოდება საერთაშორისო ურთიერთობების დინამიკის შესწავლა და კვლევების საშუალებით მშვიდობის ხელშეწყობა იყო (van denDungen, 1996:7). ამ წიგნის ერთ-ერთი თემა იმის გააზრებაც გახლავთ თუ თანდათან როგორ მოექცა საერთაშორისო ურთიერთობები რეალისტური მოსაზრებების გავლენის ქვეშ, რისი მიზეზიც ალბათ „ერთა ლიგის“ ნაკლოვანებები და 1930-იანი წლების აგრესიის აღკვეთის წარუმატებელი მცდელობა იყო. ამგვარად შეიქმნა ის ინტელექტუალური საფუძველი, რომელზეც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კონფლიქტების მოგვარება, როგორც დარგი, აღმოცენდა.

როგორც ვან დენ დუნგენი აღნიშნავს (1996), 1919-1939 წლებში ევროპაში მრავალი ინიციატივა გაჩნდა, რომელიც კონფლიქტების მოგვარების ინსტიტუციონალიზაციასა და ჩამოყალიბებას უძღვოდა წინ. ზოგი მათგანი იმ ოპტიმიზმს იზიარებდა, რომლითაც „ერთა ლიგა“ შეიქმნა. მაგ., 1924 წელს პრაღაში დაარსდა “ერთა ლიგის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფედერაცია“ (International University Federation for the League of Nations). ასევე მნიშვნელოვანი იყო კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდის (Carnegie Endowment for International Peace) ამერიკელი ინტერნაციონალისტების საქმიანობა. 1930 წელს დაარსდა „გერმანიის მშვიდობის აკადემია“ (German Peace Academy), 1931 წელს კი გაიხსნა მშვიდობის კვლევების პირველი ფაკულტეტი საფრანგეთში, ლიონის უნივერსიტეტში. ამ წამოწყებათაგან მრავალი 1930-იან წლებში საერთაშორისო ძალადობის ტალღამ მიწასთან გაასწორა, რადგან იმ დროისათვის მეტისმეტად იდეალისტური იყო. თუმცა, როგორც წესი, ძლიერი იდეები სიცოცხლისუნარიანია და როდესაც მათი რეალიზაციისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნება, ისინი მომავალი თაობების შთაგონების წყაროდ იქცევიან ხოლმე. ვან დენ დუნგენის მიერ დასახელებულ მეცნიერთაგან მრავალი საბუნებისმეტყველო დარგის წარმომადგენელი იყო, რომლებიც კარგად აცნობიერებდნენ და გმობდნენ იმ წვლილს, რომელიც მეცნიერებსა და მეცნიერებას ომებში შეჰქონდა და არა მშვიდობის საქმეში. მათ შორის ექიმებიც იყვნენ, რომლებიც ომით მიყენებულ ფიზიკურ და ფსიქიკურ ზიანს კარგად იცნობდნენ და საგონებელში აგდებდათ ომსა და ავადმყოფობას შორის არსებული მსგავსება: თუ ომი სენივით იყო, მაშ მას სიმპტომები და ეტიოლოგიაც უნდა ჰქონოდა, რასაც დიაგნოზის დასმამდე და მკურნალობის დანიშვნამდე უნდა ეჩინა თავი. მშვიდობის კვლევების მრავალი მომხრე იზიარებდა თვალსაზრისს ომის მიზეზისა და მყარი მშვიდობის დამყარების პრობლემების კომპლექსური ბუნების შესახებ, რის გამოც თვლიდნენ, რომ მის შემთხვევაში ერთადერთი, მულტიდისციპლინალური მიდგომის გამოყენება იქნებოდა მიზანშეწონილი და რომ აკადემიური სწავლება ფართო და იდეალისტურ მოტივებზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. ეს მოსაზრებები ედო საფუძვლად იმ დარგს, რომელიც მოგვიანებით კონფლიქტების მოგვარების სახით აღმოცენდა.

ამასობაში სხვა მრავალი ისეთი პიონერული საქმიანობაც მიმდინარეობდა, რომელიც მოგვიანებით კონფლიქტების მოგვარების დარგში საკუთარ წვლილს შეიტანდა, მაგრამ მაშინ ამის შესახებ არაფერი იცოდნენ მათ, ვინც მშვიდობის მეცნიერების შექმნის მოთხოვნით გამოდიოდა. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა მერი პარკერ ფოლეტის (1942) მოსაზრებები ორგანიზაციულ ქცევასა და დასაქმებულთა და მმართველი რგოლის ურთიერთობის შესახებ. იგი მათ შორის გამართული მოლაპარაკებების დროს მიზანშეწონილად თვლიდა „ორმხრივი ხეირის“ (mutual gain) მიდგომის გამოყენებას, რაც მოგვიანებით „ინტეგრაციული ვაჭრობის“ სახელით გახდა ცნობილი და რაც ტრადიციული „დისტრიბუციული ვაჭრობის“ დათმობა/კონვერგენციის მიდგომისგან ძირეულად განსხვავდებოდა. ჩვენ მიერ პირველ თავში აღწერილი პრობლემათა გადაჭრის პროგრამაში მერი ფოლეტის წვლილიც არის. „დისტრიბუციული ვაჭრობა“ გულისხმობს შენიღბვას, საწყის ეტაპზე გაბერილი მოთხოვნების წაყენებას და საბოლოოდ ნულოვანი ჯამის მიღებას, „ინტეგრაციული ვაჭრობა“ (რომელსაც „ორმხრივი ხეირის მიდგომა“ ემხრობა) კი საერთო პრობლემის გადაწყვეტის საშუალებად მოლაპარაკებას მიიჩნევს. ცოდნისა და რესურსების გაერთიანებასა და საერთო ხეირის მაქსიმალურად გაზრდის მცდელობას ყველა მხარისთვის გაცილებით უკეთესი შედეგები მოაქვს.

კონფლიქტების მოგვარების ინტერდისციპლინალური დარგისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სამ სხვა სფეროში - ფსიქოლოგიაში, პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებში - განხორციელებული მიღწევებიც. მაგ., ფსიქოლოგიის განვითარებამ, კერძოდ ადამიანური კონფლიქტის ფრუსტრაცია-აგრესიის თეორიამ (Dollard et al., 1939) და კურტ ლევინის (1948) მიერ ჯგუფური კონფლიქტის სოციალურ ფსიქოლოგიაში ჩატარებულმა კვლევამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კონფლიქტების მოგვარების დარგში. პოლიტიკურ მეცნიერებებში ჩატარებულ კვლევათაგან საყურადღებო იყო კრეინ ბრინტონის პოლიტიკური რევოლუციის ანალიზი (1938), რომლის თანახმადაც რევოლუცია ხდება მაშინ, როდესაც უფსკრული განაწილებულ სოციალურ ძალა-უფლებასა და განაწილებულ პოლიტიკურ ძალა-უფლებას შორის კრიტიკულ წერტილს აღწევს; ეს მოსაზრება შემდეგში განავითარეს და სრულჰყვეს დაჰრენდორფმა (1957), გურმა (1970) და ტილიმ (1978). საერთაშორისო კვლევებში საყურადღებო იყო დევიდ მიტრანის (1943) ფუნქციონალისტური მიდგომა, რომლის თანახმადაც კონკურენტული სახელმწიფოთაშორისი ინტერესების წაგება-მოგების (win-lose) დინამიკის დაძლევა შესაძლებელია მჭიდრო კოოპერაციული ტრანს-სასაზღვრო ქსელის თანადათანობითი შექმნით, რომლის არსებობასაც აუცილებელს გახდის ტექნოლოგიის განვითარება (ზოგიერთთა აზრით, ეს ევრო-კავშირის შექმნის წინასწარმეტყველება იყო). მშვიდობის შესანარჩუნებლად ტრანს-სასაზღვრო ინსტიტუციების შექმნის იდეამ მოგვიანებით კონფლიქტის მოგვარების დარგის მკვლევრების ყურადღებაც მიიპყრო (ეს აზრი შემდგომში განავითარა კარლ დოიჩმა (1957) თავის ჩრდილო ატლანტიკური არეალის „პოლიტიკური საზოგადოების“ ანალიზში). ყველაფერ ამასთან ერთად კონფლიქტების მოგვარების დარგის აღმოცენებაში კრიტიკული როლი შესარულა ომთაშორის პერიოდში ომისა და კონფლიქტის შესასწავლად ჩატარებულმა ადრეულმა ემპირიულმა კვლევებმა, რომელთა ავტორებიც იყვნენ რუსი პიტირიმ სოროკინი, ინგლისელი ლუის ფრაი რიჩარდსონი და ამერიკელი ქვინსი რაითი.[1] საბოლოოდ ის სტატისტიკური საფუძველიც შეიქმნა, რომლის მიხედვითაც ანალიზის განხორციელება შეიძლებოდა - ასე თვლიდნენ კონფლიქტების მოგვარების სფეროს დამაარსებლები 1950-იან წლებში, მათი ასპარეზზე გამოსვლის დროს.

ცხრილი 2.1. ომის შემდგომ წლებში მშვიდობიანი საერთაშორისო წესრიგის შესაქმნელად მიმართული ძალისხმევის ევოლუცია

მშვიდობის წინაპირობები	ვესტფალია	უტრეხტი	ვენა	პარიზი	სან-ფრანცისკო
მართვა	კი	კი	კი	არა*	კი
ლეგიტიმურობა	კი	არა	კი	არა	კი
ასიმილაცია	კი	კი	კი	არა	კი
შეკავება	კი	არა	კი	არა	არა*
კონფლიქტის მოგვარება	არა	არა	კი	კი	კი
ომი როგორც პრობლემა	არა	არა	არა	კი	კი
მშვიდობიანი ცვლილება	არა	არა	არა	არა	არა
მომავლის საკითხები	არა	არა	არა	არა	არა
დაკმაყოფილებული პირობები	4/8	2/8	5/8	2/8	5/8

წყარო: ჰოლსტი 1991 თავი 13

* სამთავრობო მექანიზმები ერთა ლიგაში, რომლებმაც მხოლოდ მცირე ხანს იარსებეს

** სამხედრო კომიტეტის ან გაეროს მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ შემოთავაზებული შეკავების უნარის არ-ქონა

ამ ინტელექტუალური საქმიანობისა და წარმოებული კვლევების ფონზე, როდესაც მსოფლიომ თავიდან ვერ აიცილა მეორე უდიდესი მსოფლიო ომი, ერთი მეტად მნიშვნელოვანი ინსტიტუციური მოვლენა მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც პირველი თაობის აქტივისტების მოღვაწეობა დასასრულს უახლოვდებოდა - შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ორმოცდაათი სახელმწიფოს წარმომადგენლები გაეროს კონფერენციაზე ("გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენცია საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებ" The United Nations Conference on International Organization) სან ფრანცისკოში შეიკრიბნენ, სადაც შეადგინეს და მიიღეს მისი წესდება (ქარტია). ორგანიზაცია ოფიციალურად 1945 წლის 24 ოქტომბერს დაარსდა.

მართალია, გაერო მეორე მსოფლიო ომის ძლევამოსილ სახელმწიფოთა (განსაკუთრებით გამარჯვებულთა) „მეორე მსოფლიო ომის შემდგომი წესრიგის" გეგმის ფარგლებში შეიქმნა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ მათი პირმშო იყო; მისი დაბადება მნიშვნელოვანი (თუნდაც არასრულყოფილი) ისტორიული ნაბიჯი გახლდათ მსოფლიო წესრიგის ევოლუციის საქმეში. ჰოლსტიმ (1991) იმ ზავებისა და სამშვიდობო შეთანხმებების არქიტექტურა შეისწავლა, რომლებმაც 1648-1945 წლებში საერთაშორისო სისტემა შექმნა; მისთვის ნიშანსვეტებს წარმოადგენდა „ოცდაათწლიანი ომი" (ვესტფალია, 1648), ლუი მეთოთხმეტეს ომები (უტრეხტი, 1713), ნაპოლეონის ომები (ვენა 1815), პირველი მსოფლიო ომი (პარიზი 1919) და მეორე მსოფლიო ომი (სან ფრანცისკო, 1945) (იხ. ცხრილი 2.1.).

ამ მონაცემებზე დაყრდნობით მან გამოჰყო ის, რასაც თავად მშვიდობის რვა წინაპირობა (პრე-რეკვიზიტი) უწოდა, ესენია:

- მმართველობა (გარკვეული პასუხისმგებლობის აღება შეთანხმების პირობების დაცვაზე)
- ლეგიტიმურობა (ომის შემდეგ დამყარებული ახალი წესრიგი არ შეიძლება უსამართლობასა და რეპრესიებს ეფუძნებოდეს; ომის შემდგომ სამართლიანობის პრინციპების დაცვაა საჭირო)
- ასიმილაცია (კავშირშია ლეგიტიმურობასთან: ამა თუ იმ სისტემაში ცხოვრება მეტ სარგებელს უნდა იძლეოდეს, ვიდრე მისი დანგრევა)
- არიდების სისტემა *(deterrence system)* (გამარჯვებულებმა უნდა შექმნან ძლიერი კოალიცია განდგომილების აღსაკვეთად, (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ძალისმიერი მეთოდების გამოყენებაც მიღწეული შეთანხმების ნორმების დასაცავად და მათ მშვიდობიანი გზით შესაცვლელად)
- კონფლიქტის მოგვარების პროცედურები და ინსტიტუტები (მმართველობის სისტემაში გათვალისწინებული უნდა იყოს სისტემის მთავარ წევრებს შორის წარმოშობილი მნიშვნელოვანი კონფლიქტის დადგენის, მონიტორინგის, მართვისა და მოგვარების მექანიზმები; სისტემის ნორმები კი ამ ინსტიტუტების გამოყენების სურვილს უნდა იძლეოდეს)
- კონსენსუსი ომის შესახებ (უნდა მოხდეს იმის აღიარება, რომ ომი ფუნდამენტური პრობლემაა; რომ საჭიროა სპეციალური ნორმების შემუშავება და გატარება ძალის გამოყენების წინააღმდეგ; ასევე საჭიროა მკვეთრად განსაზღვრული პრინციპების არსებობა, ძალის ლეგიტიმურად გამოყენებისათვის);
- მშვიდობიანი ცვლილებების პროცედურები (შეთანხმებების გადახედვისა და ადაპტირების აუცილებლობა, როდესაც ისინი კონკრეტული სიტუაციის რეალობას აღარ ასახავენ. სამშვიდობო ხელშეკრულებებში ჩადებული უნდა იყოს ისეთი მექანიზმები, რომელთა გადასინჯვა და ადაპტირებაც შესაძლებელი იქნება) და
- მომავალი საკითხების განჭვრეტა (მშვიდობის დამცველებს უნდა ჰქონდეთ უნარი წინასწარ განჭვრიტონ რა შეიძლება გახდეს მომავალი კონფლიქტის მიზეზი: ინსტიტუტები და სისტემის ნორმები არა მხოლოდ ბოლოდროინდელი კონფლიქტის წარმომშობი პრობლემების იდენტიფიცირების, მონიტორინგისა და გამკლავების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს, არამედ იგივეს შესაძლებელს უნდა ხდიდეს სამომავლო კონფლიქტების შემთხვევაშიც).

ამ ყველაფრის საფუძველზე ჰოლსტის ფრიად საყურადღებო დასკვნა გამოაქვს. ზემოთ ჩამოთვლილთაგან ყველაზე ნაკლები წარმატება იქნა მიღწეული ცვლილების მშვიდობიანად გატარებისა და მომავლის კონფლიქტების განჭვრეტის მეთოდების შექმნის მხრივ. საზოგადოდ, რაც უფრო მეტი კრიტერიუმი იყო დაკმაყოფილებული თითოეული ხელშეკრულების შემთხვევაში, მით უფრო მეტად სტაბილური და მშვიდობიანი იყო ომის შემდგომი პერიოდი. სან ფრანცისკოში გამართულმა შეხვედრამ, რომელზეც გაერო შეიქმნა, უდიდესი წვლილი შეიტანა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების სტაბილიზაციასა და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების რაოდენობრივ შემცირებაში. თუმცა, მან ვერ განჭვრიტა ის ძალები, რომლებმაც მომავლის კონფლიქტები წარმოშვეს და ისეთი

სამოქალაქო ომების სახით მოგვევლინენ, რომლებმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლეც შეიწირა; მან ასევე ვერ აამოქმედა ცვლილებების მშვიდობიანი გზით გატარების მეთოდები. ომის ლიდერების მუდმივი შეცდომა ის გახლავთ, რომ ისინი „მომავლის ჩრდილს ვერ აფართოებენ“ და მუდამ წარსულის ჩრდილქვეშ რჩებიან. ჰოლსტი წერს:

ალბათ მეტისმეტი იქნება ომის ლიდერებს მოვთხოვოთ, გონება მომავლისკენ მიმართონ. ომების დაუყოვნებლივ გადაწყვეტა რთულია. მაგრამ იმის გამო, რომ მშვიდობის დამცველებს არა მხოლოდ ძველი ომების გადაწყვეტა აკისრიათ არამედ ახალი საერთაშორისო წესრიგის საფუძვლის შექმნაც, მათ შორსმჭვრეტელობა მოეთხოვებათ. სამშვიდობო სისტემამ არა მხოლოდ ის ძველი საკითხები უნდა გადაჭრას, რომელმაც უკვე არსებულ ომებს მისცა დასაბამი, არამედ ახალი საკითხები, ახალი აქტორები და ახალი პრობლემებიც უნდა იწინასწარმეტყველოს და მათი შესაფერი ინსტიტუტები, ნორმები და პროცედურები უნდა შექმნას. (Holsti, 1991: 347).

ამ წიგნში კოსმპოლიტური კონფლიქტის მოგვარებას იმ ფაქტორების გათვალისწინებით განვიხილავთ, რომლებიც ჰოლსტის თვალსაზრისით აუცილებელია ომების აღსაკვეთად, მათ შორის განვიხილავთ იმ ფაქტორებსაც, რომლებიც 1945 წელს „აკლდათ“, მაგალითად, „მომავალი საკითხების განჭვრეტა“ და „ცვლილების მშვიდობიანად გატარების უნარი.“ ეს ჩვენი შემდგომი განხილვის ცენტრალური საკითხი გახლავთ, მის შეჯამებას კი მე-20 თავში შემოგთავაზებთ. ნიუ იორკის უნივერისიტეტის რალფ ბანჩის საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტში „გაეროს ინტელექტუალური ისტორიის პროექტის“ შექმნის მიზანი იყო ამ მსოფლიო ორგანიზაციის როგორც არა ბიუროკრატიული ინსტიტუციის როლის შესწავლა, არამედ როგორც იდეათა შემქმნელისა და გამავრცელებლის; მაგ., მისი როლი ადამიანის უსაფრთხოების კონცეფციასთან მიმართებაში, რაც ერთგვარ ნორმატიულ ჩარჩოს წარმოადგენს, რომლის მიხედვითაც მომავლის კონფლიქტების მოგვარება მოხდება (პირველი გამოცემა - Emmerij, et al. 2001).

არა-ძალადობა, პაციფიზმი და კონფლიქტების გადაწყვეტა

ახლა რამდენიმე სიტყვით ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მშვიდობის მკვლევრებსა და მშვიდობის აქტივისტებს შორის არსებული დაძაბულობის მიუხედავად, კონფლიქტების მოგვარების, როგორც აკადემიური დისციპლინის, წარმოშობა არა-ძალადობისა და პაციფიზმის ტრადიციისგან და იმ მოაზროვნეებისგანაც დავალებულია, რომელთა იდეებითაც იკვებებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში. თუმცა, როგორც მე-14 თავში დავრწმუნდებით, კონფლიქტების მოგვარების სფეროში მოღვაწე ადამიანები პაციფისტები, ამ სიტყვის მკაცრი გაგებით, ნამდვილად არ არიან.

არა-ძალადობის თეორეტიკოსების, მაგ., ჯინ შარპის (1973) ნაშრომებმა და პაციფიზმის ისტორიულმა ტრადიციამ, რომლის მაგალითებიც კვაკერებისა და მენონიტების წარმოდგენები და განდისეული პრაქტიკა იყო, აკადემიურ საქმიანობაშიც ჰპოვა ასახვა და ძალადობრივი პოლიტიკური კონფლიქტებისა და მათი ალტერნატივების შესახებ წარმოდგენა შეცვალა. განდის „სიმართლისათვის ბრძოლის“ (*satyagraha*) მიზანი ლატენტური კონფლიქტის წარმოჩენა იყო, ამიტომაც დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ უსამართლო და საფრთხის შემცველი სოციალური სტრუქტურები, მაგრამ მან ეს ძალადობრივი სპირალის წარმოქმნის გარეშე შეძლო - მისი დამატებითი ფასეულობა (complementary value) არა-ძალადობა (ahimsa) იყო. კონფლიქტის განდისეულ მოდელში, რომელიც ძალადობის ჩაშენებულ ინჰიბიტორებს შეიცავს, ამოცანაა არა გამარჯვება, არამედ „სოციალური სიმართლის ახალი

დონის მიღწევა (როგორც მას ბონდურანტი უწოდებდა) და ანტაგონისტურ მხარეებს შორის ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბება“ (Wehr, 1979:64). მაკკონელმა (1995) კი ბუდას სწავლებების (the Dhamma) მიხედვით გვიჩვენა როგორ მივყავართ შუალედური გზის დოქტრინასა და ოთხ ჭეშმარიტებას კონფლიქტის მხარეთა შემეცნებაში, ფასეულობებსა და დამოკიდებულებაში ღრმად გადგმული ფესვების შეცნობისკენ. ალბათ ეს არ უგულვებელყოფს იმას, რასაც განდი დამთრგუნველ სტრუქტურებად მიიჩნევდა, მაგრამ ასეთი თვალსაზრისი მშვიდობისმყოფელს აჩვენებს, რომ კონფლიქტის მოსაგვარებლად ადამიანებმა საკუთარი თავის აღქმა უნდა შეცვალონ და თავი უკეთ უნდა შეიცნონ.

ვებერის (1999, 2001) თვალსაზისით, განდის იდეები კონფლიქტის მოგვარების ნორმატიული ჩარჩოს განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. „სიმართლისათვის ბრძოლის“ (*satyagraha*) გამოძახილი ისმის მაგ., კონფლიქტის ბარტონისეულ ანალიზშიც; იგი კონფლიქტის ფესვებს ადამიანის ონტოლოგიურ მოთხოვნილებებზე უარში ხედავს; *satyagraha*-ს გავლენა ასევე ეტყობა პრობლემათა გადაწყვეტის დარგში შესრულებულ ბარტონის, კელმანის, მიჩელის და სხვათა ნაშრომებს. განდის სოციალური თეორიის და მისი რადიკალური და სოციალურად ტრანსფორმირებადი ამოცანების ექო ისმის კონფლიქტების ტრანსფორმაციის იმ მოდელში, რომელზეც მე-9 თავში ვისაუბრებთ (Woodhouse, 1986). განდისეული ჩარჩოს „ემანსიპატორულ დისკურსში“ კონფლიქტების მოგვარების მეთოდები „ტრანსფორმაციის იარაღებად“ განიხილება (Curle, 1990), ხოლო თავად ეს დარგი კი გაცილებით ფართო კონტინუუმშია წარმოდგენილი, რომელშიც ასევე შედის მსოფლიო წესრიგი, ადამიანის უსაფთხოება და მშვიდობის არა-ძალადობრივი მეთოდებით შენება.

გარკვეული კრეატიული დაძაბულობა არსებობს კონფლიქტების მოგვარებასა და არაძალადობრივ პირდაპირ ქმედებას შორისაც. მაგალითად, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, არსებობს მოსაზრება, რომ კონფლიქტების მოგვარება პრობლემატურია ისეთ სიტუაციებში, სადაც დაპირისპირებულ მხარეთა შორის საგრძნობი ასიმეტრია არსებობს; ასეთ შემთხვევაში მეტად მიზანშეწონილად მიიჩნევენ პირდაპირი არა-ძალადობრივი მეთოდებით ჩარევას, რადგან იგი ინფორმირებულობასაც გაზრდის და ასიმეტრიულ ურთიერთობებსაც მეტად დააბალანსებს, რაც ნიადაგს მოუმზადებს და უფრო ლეგიტიმურსა და ეფექტურს გახდის მედიაციასა და მესამე მხარის ჩარევას (Clark, 2000; Dudouet, 2005). არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც. არაძალადობრივი პირდაპირი ქმედების მხარდამჭერები და აქტივისტები ქვიშის საათის მოდელში არსებულ „სიცარიელეებზე“ მიუთითებენ (ნახაზი 1.3, გვ. 14) და ამტიცებენ, რომ რიგ შემთხვევებში არაძალადობა (რომელშიც ამ შემთხვევაში სამხედრო ძალის არ-გამოყენება იგულისხმება) შესაძლებელია სტრატეგიულად გაუმართლებელი, რთული ან კონტრ-პროდუქტიული აღმოჩნდეს (Randle, 2002: 11-50).

საფუძვლები: მეორე თაობა 1945-1965 წლები

მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევების სტაბილური განვითარება და ინსტიტუციური ზრდა 1945 წლის, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაიწყო, როდესაც არსებულ საფრთხეებს ბირთვული იარაღის შექმნაც დაემატა. 1945-1965 წლებში მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევის პირველი ინსტიტუტებიც გაჩნდა. „მშვიდობის კვლევების ლაბორატორია“ (The Peace Research Laboratory) თეოდორ ფ. ლენცმა (მისურის შტატი) 1945 წელს ჰიროსიმასა და ნაგასაკის დაბომბვის შემდეგ სან ლუისში დააარსა. ლენცის თქმით: „მეცნიერებამ ფიზიკური ძალის გაზრდა შეძლო, მაგრამ არა ფიზიკური ჰარმონიისა ... მეცნიერებამ ძალისა და ჰარმონიის დისბალანსი წარმოშვა და თანაც არეული რიგითობით“

(Lentz, 1955: 52-3). ლენცის მტკიცებით, ადამიანებს ჰარმონიაში ცხოვრების უნარი შესწევთ და მათი დამოკიდებულებისა და პიროვნების სათანადო შესწავლით ისეთი ფასეულობაც დაიბადება როგორიც „ჰუმატრიოტიზმია.“ მალე, მიჩიგანის უნივერსიტეტში ამ მოსაზრების მიმდევარი პიონერების ჯგუფიც გამოჩნდა, რომლებიც კონფლიქტების მოგვარებაში ახალი მიდგომებით ხელმძღვანელობდნენ.

კენეტ ბოულდინგი, მიჩიგანი და კონფლიქტების მოგვარების ჟურნალი

კენეტ ბოულდინგი 1910 წელს ჩრდილოეთ ინგლისში, ლივერპულში დაიბადა. იყო „მეგობართა საზოგადოების“ წევრი (Society of Friends (Quakers)); განათლებით ეკონომისტი 1937 წელს საცხოვრებლად ამერიკაში გადავიდა, სადაც 1941 წელს ცოლად შეირთო ელაიზა ბიორნ-ჰანსენი. ამ ქორწინებამ იმ თანამშრომლობას ჩაუყარა საფუძველი, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა მშვიდობისა და კონფლიქტის კვლევებში. ომის შემდეგ დაინიშნა ეკონომიკურ მეცნიერებათა პროფესორად მიჩიგანის უნივერსიტეტში, სადაც აკადემიური პერსონალის მცირე ჯგუფთან ერთად, რომელთა შორის იყვნენ მათემატიკოსი და ბიოლოგი ანატოლ რაპოპორტი, სოციალური ფსიქოლოგი ჰერბერტ კელმანი და სოციოლოგი რობერტ კული ანგელი, „კონფლიქტების მოგვარების ჟურნალი“ (Journal of Conflict Resolution (JCR)) (1957) დააარსა, ხოლო 1959 წელს კი „კონფლიქტების მოგვარების ცენტრი“ დააფუძნა. მშვიდობის კვლევების „პირველი საყდრის“ (როგორც მას ბოულდინგი უწოდებდა) შთაგონების წყაროს (Kerman, 1974:48) ლუის რიჩარდსონის ნაშრომი წარმოადგენდა, რომელიც ჯერ კიდევ გამოქვეყნებამდე მისმა ვაჟმა სტივენმა მიკროფილმის სახით ჩაწერა. ბოულდინგი თავისი საქმიანობისას სტენფორდის უნივერსიტეტის “ბიჰეივიორისტიკული მეცნიერებების კვლევების ცენტრის“ (Center for Advanced Study in the Behavioral Sciences (CASBS)) ინიციატივებით ხელმძღვანელობდა.

ბოულდინგის ნაშრომებში ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ომის აღკვეთის საკითხებზე, რადგან მას ომები საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც დისციპლინის, წარუმატებლობის შედეგად მიაჩნდა და აცხადებდა: „საერთაშორისო სისტემა მთელი სოციალური სისტემის ყველაზე პათოლოგიური და ძვირადღირებული სეგმენტია“ (Kerman, 1974:83). „კონფლიქტსა და თავდაცვაში“ (Conflict and Defense) ეროვნული სახელმწიფოს დაკნინების ანუ მისი ყავლგასულობის საკითხია წამოყენებული, „მშვიდობის ეკონომიკის პერსპექტივებში“ (“Perspectives on the Economics of Peace”) კი ამტკიცებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციული რეცეპტები ამ ყავლგასულობის შედეგებს არათუ ვერ აანალიზებს არამედ არც აღიარებს. ბოულდინგი თვლიდა, რომ თუ ომი სუვერენული სახელმწიფო სისტემის თანდაყოლილი მახასიათებლების შედეგია, მაშ მისი პრევენციისათვის საერთაშორისო ორგანიზაციის რეფორმა და კვლევისა და ინფორმირების უნარის გაზრდა ყოფილა საჭირო. მონაცემთა შეგროვება და დამუშავება ხელს შეუწყობდა კონფლიქტების ჩამოყალიბების შესახებ სამეცნიერო ცოდნის შექმნას და ისეთი მოდგომების ჩამოყალიბებას გახდიდა შესაძლებელს, რაც სტანდარტული დიპლომატიის ფარგლებში ვერ ხერხდებოდა. 1957 წლის მარტში „კონფლიქტების მოგვარების ჟურნალის“ (Journal of Conflict Resolution (JCR)) პირველ ნომერში დაიბეჭდა რაიტის სტატია, რომელშიც მან „მსოფლიო დაზვერვის ცენტრის“ შექმნის იდეა წამოაყენა, რაც რიჩარდსონის გავლენაზე მიუთთებდა. სტატიაში საუბარი იყო იმაზეც, რასაც ამ ბოლო ხანებში დროული გაფრთხილება და კონფლიქტის პრევენცია ეწოდა (იხ. მეხუთე თავი). კონფლიქტების თეორიის ფორმირების ამ წლებში, ბოულდინგი თვლიდა, რომ კონფლიქტების მოსაგვარებლად ისეთი საინფორმაციო ბაზის შექმნა იყო საჭირო, რომელშიც „სოციალურ მონაცემთა სადგურები“ იარსებებდა, რომლებსაც

ამინდის სადგურების ანალოგიური სისტემის სახე ექნებოდა და სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მონაცემებს შეკრებდა, და ამასთან, ისეთ ინდიკატორებს შეიმუშავებდა, რომლითაც „სოციალურ ტემპერატურებს და წნეხს დაადგენდა და ცივ თუ ცხელ ფრონტებს იწინასწარმეტყველებდა“. (იხ. იქვე: 82).

იოჰან გალტუნგი და კონფლიქტების მოგვარება ჩრდილოეთ ევროპაში

მართალია, მიჩიგანის უნივერსიტეტში განვითარებულმა მოვლენებმა და ბოულდინგის გუნდის მიერ მშვიდობისა და კონფლიქტის კვლევის ანალიზმა მშვიდობის კვლევების ერთი პოლუსი წარმოქმნა, მაგრამ მისი განვითარება ევროპაში მიმდინარე მოვლენებმა განსაზღვრა. ლოულერი (1995) ერთმანეთისაგან მიჯნავს კონფლიქტების კვლევის შედარებით შეზღუდული ინტერესების სფეროს (რომლის მიზანი ომების რაოდენობისა და მასშტაბების შემცირება) და მშვიდობის კვლევებს, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა არა ჩრდილოეთ ამერიკაში არამედ სკანდინავიაში, უფრო ზუსტად კი იოჰან გალტუნგის შრომებში. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ გალტუნგის კონფლიქტის სამკუთხედის კონცეფციის შესახებ და ისიც აღვნიშნეთ, რომ იგი ერთმანეთისაგან მიჯნავს პირდაპირ, სტრუქტურულ და კულტურულ ძალადობას (ნახაზი 1.1); ასევე ვახსენეთ მისი მოსაზრება ნეგატიური და პოზიტიური მშვიდობის შესახებაც, სადაც პირველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს პირდაპირ ძალადობას, მეორეში კი სტუქტურული და კულტურული ძალადობის დაძლევა ხდება. ნეგატიური მშვიდობა ახლოსაა კონფლიქტის „მინიმალისტური“ მოგვარების მეთოდთან, რომელსაც ომის, განსაკუთრებით კი ბირთვული ომის, პრევენციისთვის იყენებენ და რომლის მომხრედაც ჩრდილოეთ ამერიკის ეგრეთ წოდებული პრაგმატული სკოლა გამოდის. პოზიტიური მშვიდობის დღის წესრიგი კი, რომლის მომხრეებადაც ევროპელი სტრუქტურალისტები გამოდიან, გაცილებით ფართო და „მაქსიმალისტურია“. ეს ორი პოლუსი ამ თავის დასაწყისში „კონფლიქტების მოგვარების ჟურნალიდან“ მოყვანილ ორ ამონარიდშიც კარგად ჩანს.

ის სამედიცინო ანალოგია, რომელსაც ხშირად მიმართავდნენ ხოლმე მშვიდობის მეცნიერების პიონერები, არც გალტუნგისთვის იყო უცხო. მამა ექიმი ჰყავდა, ამიტომ კარგად იცნობდა სამედიცინო ეთიკას, რომლის ტრანსფორმაცია და მშვიდობის კვლევებში გადმოტანაც მოახერხა და მეცნიერული ცოდნის დახმარებით მშვიდობის კვლევების „სოციალურ ექიმად“ იქცა. შეისწავლა ფილოსოფია, სოციოლოგია და მათემატიკა. 1958 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტში სოციოლოგიის ლექტორად მიიწვიეს. 1960 წელს ოსლოში დაბრუნდა და ოსლოს უნივერსიტეტის სოციალური კვლევის ინსტიტუტის კონფლიქტისა და მშვიდობის კვლევების განყოფილების (ოსლოს საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის წინამორბედი) შექმნაში მიიღო მონაწილეობა. 1960-იან წლებში ევროპაში აქტიურად ყალიბდებოდა მშვიდობის კვლევების ცენტრები: 1962 წელს გრონინგენში (ნიდერლანდები) დაარსდა პოლემოლოგიის ინსტიტუტი, 1966 წელს შვედეთის მშვიდობის 150 წლისთავის აღსანიშნავად კი სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტი დაფუძნდა, 1969 წელს ფინეთში ტამპერის მშვიდობის კვლევების ინსტიტუტი შეიქმნა. გალტუნგი „მშვიდობის კვლევების ჟურნალის“ (Journal of Peace Research) დამფუძნებელი რედაქტორიც იყო, რომლის გამოშვებაც დაიწყო 1964 წელს.

აქ გალტუნგის მოღვაწეობის შეჯამებას არ შევეცდებით, მაგრამ რამდენიმე სიტყვით მაინც შევეხებით. 1960-იანი წლებიდან აქტიური მოღვაწეობა დაიწყო და ფენომენალური წვლილი შეიტანა მშვიდობის კვლევების ინსტიტუციონალიზაციაში, ხოლო მისმა მოსაზრებებმა კი დარგის განვითარებას ჩაუყარა საფუძველი. იგი მშვიდობის კვლევებში იმაზე გაცილებით

მეტ პოტენციალს ხედავდა ვიდრე მხოლოდ ომის პრევენციაა; თვლიდა, რომ ამ დარგს უნდა შეესწავლა მშვიდობიანი ურთიერთობის პირობები გაბატონებულთა და ექსპლუატირებულთა, მმართველთა და მართულთა, ქალებსა და მამაკაცებს, დასავლურ და არა-დასავლურ კულტურათა და ადამიანსა და ბუნებას შორის. მისთვის მთავარი პოზიტიური მშვიდობის მიღწევა და ადამიანთა შორის თანაგრძნობის, სოლიდარობისა და თანამშრომლობის სულის გაჩენა იყო; იგი მშვიდობის კვლევებში პრიორიტეტულად „სტრუქტურული ძალადობის" შესწავლას, იმპერიალიზმისა და ჩაგვრის სისტემების მხილებასა და მათ ტრანსფორმაციას თვლიდა; მას მნიშვნელოვნად მიაჩნდა ალტერნატიული ღირებულებების პოვნა არა-დასავლურ კოსმოლოგიაში, მაგ., ბუდიზმში.[2]

რიგ შემთხვევებში ევროპელი სტრუქტურალისტები და ამერიკელი პრაგმატიკოსები მშვიდობის კვლევებისა და კონფლიქტების მოგვარების დღის წესრიგის მთავარ საკითხებზე ვერ თანხმდებოდნენ და ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ. მაგ., „მშვიდობის კვლევების ჟურნალის" 1968 წლის ნომერში ჰერმან შმიდი ამ სფეროს მოღვაწეებს იმის გამო აკრიტიკებდა, რომ არ ითვალისწინებდნენ და კრიტიკულად არ უდგებოდნენ სოციალური სამართლიანობის საკითხებს. მისი მტკიცებით, ომის არ-არსებობა (ნეგატიური მშვიდობა) შეიძლება სიღმისეულ უსამართლობას ჩქმალავდეს, რაც სინამდვილეში მშვიდობის სიმულირებას ნიშნავს, ხოლო მისი უყურადღებოდ დატოვება კი სამომავლო ძალადობრივი კონფლიქტის მარცვალს აღვივებს. ლოულერი კი გალტუნგის მოსაზრებების შესწავლის შემდეგ ასკვნიდა, რომ მშვიდობის კვლევებისა და კონფლიქტის მოგვარების დღის წესრიგის მუდმივი გაფართოება მათ დინამიზმზე მიუთითებდა, მაგრამ „ასევე შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი ის ინტელექტუალური შავი ხვრელია, რომელშიც რაღაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, პრაქსეოლოგიური ზღვარი თუ მიზანი დაკარგულია". ეს კრიტიკა ბოულდინგმა გალტუნგთან „მეგობრულ პაექრობაში" გამოთქვა (Boulding, 1977; Galtung, 1987). ჩვენი აზრით, ამ წიგნში განხილული კონფლიქტის მოგვარების თვალსაზრისში მშვიდობის კვლევების ეს „პრაქსეოლოგიური ზღვარი თუ მიზანი" ნამდვილად ჩანს. კონფლიქტების მოგვარება, როგორც ანალიტიკური და ნორმატიული დარგი, ძალადობრივ ან დესტრუქციულ კონფლიქტს განიხილავს და მისი ბუნებისა და ეტიოლოგიის ზუსტად ჩაწვდომას მისი ეფექტურად დაძლევის მიზნით ცდილობს. ასეთი რამ არა მხოლოდ სიმპტომების მკურნალობას გულისხმობს არამედ კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებზეც მიმართავს ყურადღებას.

მართალია, მშვიდობისა და კონფლიქტის კვლევები თაობათა მიხედვით დავყავით და ერთგვარ ქრონოლოგიურ ჩარჩოში მოვათავსეთ, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ხელოვნური მეთოდია. ამ დარგის მთავარი მოაზროვნეებისა და აქტივისტების მოღვაწეობა (გალტუნგის მსგავსად) რომელიმე ერთი „თაობით" არ შემოფარგლულა. მშვიდობის კვლევების „გალტუნგისეული პროექტი" მესამე თაობის აქტივისტების ხელში მომწიფდა, განსაკუთრებით მისი **ტრანსცედენტალური** (Transcend) მიდგომის მიმდევრების ხელში, რომელიც 1993 წელს სასწავლო, ტრეინინგ და კვლევით ორგანიზაციად ჩამოყალიბდა და მისი იდეების განხორციელებას შეუდგა. „მშვიდობის ძიებაში" (Searching for Peace) გალტუნგი და მისი კოლეგები **ტრანსცედენტალურ** ფილოსოფიასა და მის მეთოდოლოგიებს განმარტავენ და საკითხი გამოაქვთ ახალ „სამსჯავროზე, რომელმაც სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს ძალადობის საფუძველში არსებულ სტრუქტურებსა და კულტურას"; მათი აზრით, საჭიროა „ახალ ენაზე ლაპარაკი, დიალოგის წარმოება და ისეთი პერსპექტივების გაჩენა, რომლებიც 21-ე საუკუნეში უფრო კრეატიულ და სიცოცხლისუნარიან ალტერნატივებს შექმნის" (Galtung and Jacobsen, 2000:47; Galtung, 2004).

ჯონ ბარტონი და საერთაშორისო კვლევების ახალი პარადიგმა

ახლა განვიხილოთ მესამე „დამფუძნებელი მოღვაწის“ ჯონ ბარტონის წვლილი. ბარტონი 1915 წელს ავსტრალიაში დაიბადა. 1938 წლიდან ლონდონის ეკონომიკის სკოლაში სწავლობდა, რისი დასრულების შემდეგაც მიენიჭა მაგისტრის ხარისხი, ხოლო 1942 წელს კი დოქტორის ხარისხი მოიპოვა. ავსტრალიაში სამოქალაქო სამსახურში იყო, ესწრებოდა გაეროს დამფუძნებელ კონფერენციას სან ფრანცისკოში, მუშაობდა ავსტრალიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, იყო უმაღლესი კომისარი ცეილონში. ავსტრალიის კანბერის ეროვნულ უნივერსიტეტში აწარმოებდა კვლევებს, რის შემდეგაც 1963 წელს თანამდებობა მიიღო ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯში. მისი ლონდონში გადმოსვლა ლონდონის „კონფლიქტების კვლევების საზოგადოების“ დაარსების პერიოდს დაემთხვა, რომლის პირველი საპატიო მდივანიც გახდა. მისი მოღვაწეობის ადრეულ პერიოდს განეკუთვნება „კონფლიქტი საზოგადოებაში“ (Conflict in Society) (de Reuck and Knight, 1966), რომელშიც წვლილი შეიტანეს ბოულდინგმა, რაპოპორტმა და ბარტონმა. ამ ნაშრომის გამოსვლას წინ უძღვოდა მნიშვნელოვანი კვლევები, რომლებიც სოციალურ კონფლიქტს საზოგადოებრივ, ინდუსტრიულ და სხვა დონეებისთვის დამახასიათებელ ზოგად ფენომენად განიხილავდა (Coser, 1956; Coleman, 1957); ეს პერიოდი დაემთხვა გეორგ სიმელის პიონერული ნაშრომის (1902) ხელახალ გააზრებას. „კონფლიქტი საზოგადოებაში“ მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან მასში საერთაშორისო დონის კონფლიქტი მულტიდისციპლინალური თვალსაზრისით და იმაზე გაცილებით ფართო თვალსაწიერიდან იყო განხილული ვიდრე იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობები განიხილავდა მას. როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, სოციოლოგები (მაგ., ჩიკაგოს სკოლა) თავდაპირველად კონფლიქტს დისფუნქციურად თვლიდნენ და მის დასრულებას სოციოლოგების საქმედ მიიჩნევდნენ, კონფლიქტების მოგვარების სპეციალისტების უმეტესობა კი (მაგ., მორტონ დაჩი და მისი მიმდევრები) კონფლიქტს ადამიანური ურთიერთობებისთვის თანადაყოლილ და ბუნებრივ ფენომენად მიიჩნევდნენ და თვლიდნენ, რომ მასთან უკეთ გამკლავება იყო საჭირო.

საერთაშორისო კვლევების უფრო კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა მშვიდობის კვლევების საერთაშორისო ასოციაცია (International Peace Research Association (IPRA)), რომლის პირველი კონფერენციაც 1965 წელს კრონინგენში, (ნიდერლანდები) ჩატარდა. მის შექმნას საფუძველი ჩაუყარა უოლტერ ისარდის მიერ 1963 წელს „მშვიდობის მეცნიერების საზოგადოების“ (Piece Science Society) დაფუძნებამ. ამავე დროს, 1965 და 1966 წლებში ბარტონმა მოიწვია შეკრებები, რომელზეც საერთაშორისო კონფლიქტებში კონტროლირებული კომუნიკაციის ან პრობლემების გადაჭრის მეთოდის გამოყენება გადაწყვიტეს (საუბარი გვექნება შემდეგ ნაწილში). ამ შეხვედრებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლონდონის უნივერსიტის კოლეჯისა და „ბრიტანეთის სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი საბჭოს“ წარმომადგენლებზე, რომლებმაც მათი თეორიული და გამოყენებითი მეთოდები შეიმუშავეს, რისი პიონერებიც ბარტონი და მისი ჯგუფის წევრები იყვნენ. ამის შედეგად 1966 წელს „ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის ბაზაზე“ „კონფლიქტების ანალიზის ცენტრი“ (Center for the Analysis of Conflict) შეიქმნა; დირექტორად ბარტონი დაინიშნა.

1980-იანი წლების შუიდან ბარტონი მერილენდის უნივერსიტეტში მოღვაწეობდა; მხარში ედგა ედუარდ ეიზერს „საერთაშორისო განვითარებისა და კონფლიქტების მართვის ცენტრის (Center for International Development and Conflict Management) დაფუძნების საქმეში და

ამავე დროს გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის კონცეფციაზე (protrected social conflict) მუშაობდა. ეს კონცეფცია იმ დროს ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საერთაშორისო კონფლიქტის თეორიის ნაწილად იქცა. იგი მოიცავდა კონფლიქტის შიდა-სოციალურ და საერთაშორისო ასპექტებს და მას ჰიბრიდულ დონეზე განიხილავდა - სახელმწიფოთა შორისი ომებისა და წმინდად ადგილობრივი არეულობის სახით. ამ მოდელზე მეოთხე თავში ეიზერის თეორიის ანალიზის განხილვისას ვისაუბრებთ. ბარტონი თავისი მოდელის ღირსებებზე საუბარს არ ერიდებოდა და მას კონფლიქტის ანალიზისა და კონფლიქტის მოგვარების პარადიგმის სრულ შეცვლად მიიჩნევდა.

ბარტონმა ოფიციალური აკადემიური კარიერა ვირჯინიის, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის „კონფლიქტების ანალიზისა და მოგვარების ინსტიტუტის“ პროფესორის რანგში დაასრულა; 1980-იანი წლების მიწურულამდე იყო „აშშ-ს მშვიდობის ინსტიტუტის“ აკადემიური პერსონალის წევრი. გამოსცა „კონფლიქტების სერიის“ (Conflict Series) (1990) ოთხი ტომი, რომელშიც რეზუმირებული სახითაა წარმოდგენილი მისი და მისი კოლეგებისა და თანამშრომლების ამ დარგის განვითარებაში შეტანილი ღვაწლი.

ბარტონის მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო მისი სისტემების თეორია, რომელიც საინტერესოდ ხსნიდა სოციალური ორგანიზმების კოოპერაციულ და კონკურენციულ ბუნებას და ასევე თამაშის თეორია, რომელიც კონფლიქტის მხარეების წინაშე არსებული არჩევანისა და შესაძლებლობების ანალიზის საშუალებად მოიაზრებოდა. თამაშის თეორიაზე გარკვეული გავლენა მოახდინა შელინგის (1960) ნაშრომმა კონკურენტული სტრატეგიების ირაციონალურობის შესახებ და რაპოპორტის (Rapoport and Chammah, 1965) თეორიამ -„ერთი მხარის მოგება მეორის წაგებას ნიშნავს“ (win-lose). როგორც რაპოპორტი წერდა: „ბრძოლების გახანგრძლივების მიზეზი არის ილუზია იმის შესახებ, რომ ერთი მხარის მზარდი დანაკარგი მეორე მხარის მოგებას ნიშნავს; ამის გამო კონფლიქტის მხარეები თამაშს მანამ თამაშობენ, სანამ ორივე მხარე წაგებული არ დარჩება“ (1967:441). ზოგიერთი ეს იდეა პირველ თავში მოკლედ მიმოვიხილეთ.

ბარტონის შრომებზე გარკვეული გავლენა მოახდინა სამრეწველო ურთიერთობებიდან, ორგანიზაციული თეორიიდან და კლიენტზე კონცენტრირებული სოციალური საქმიანობიდან აღებულმა მოსაზრებებმა. მან გადაამუშავა მარი პარკერ ფოლეტის „ორმხრივი ხეირის“ თეორია (Blake et al., 1963; Walton and McKersie, 1965) და მისი იდეები ოჯახური შერიგების, საზოგადოებრივი მედიაციის და დავათა ალტერნატიულ გადაწყვეტის იმ დროს სწრაფად მზარდ სფეროში გადაიტანა (Floyer Acland, 1995). “უილიამ და ფლორა ჰოლეტის ფონდმა“ მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება გამოჰყო, რითიც აჩვენა მაგალითი იმისა თუ რაოდენი დახმარების გაწევა შეუძლიათ განათლებულ სპონსორებს (Kovick, 2005).

ამ და მისი მონათესავე ლიტერატურის დიდი ნაწილი (მაგ., რასობრივ და ეთნიკურ ურთიერთობებზე) სოციალურ ფსიქოლოგიასა და სოციალური იდენტობის თეორიაში ჩატარებულ კვლევებს ეფუძნებოდა, რომლებიც ჯგუფთაშორის თანამშრომლობასა და კონფლიქტს საველე კვლევებითა და მცირე ჯგუფზე ექსპერიმენტირების გზით სწავლობდნენ. მეტად დაიხვეწა და განვითარდა კურტ ლევინის მოსაზრებები, რითიც ნათელი გახდა თუ როგორ წარმოქმნის ჯგუფთაშორის კონფლიქტს ამა თუ იმ ჯგუფთან მიკუთვნებისა და სხვა ჯგუფებისგან გამიჯვნის სურვილი, როგორ შეიძლება აღდგეს დადებითი ურთიერთობები, როგორ შეიძლება მოილაპარაკონ კონფლიქტურ ურთიერთობაში მყოფმა ჯგუფებმა და ახლებური ურთიერთობები დაამყარონ. პირველმა ასეთი კვლევა კონფლიქტის

მოგვარებაში ექსპლიციტურად ჩაატარა მორტონ დაჩმა (1949, 1973). ამ სფეროს განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ფიშერმა (1990) და ლარსენმა (1993), რომლებიც ფართო სპექტრის კვლევებს ატარებდნენ. ამ კვლევებით შეისწავლეს დადებითი და უარყოფითი ასპექტები. ნეგატიური მხარეების შესწავლისას ძირითადად იკვლევდნენ სუბიექტივიზმისა და სტერეოტიპების გავლენას და შერჩევითი აღქმის ჩამოყალიბებას, „სხვის“ ავად აღქმას, დეჰუმანიზაციას, მტრის ხატის შექმნასა და შიშისა და მტრობის გრძნობების დაძლევას მისი ჩახშობის გზით. პოზიტიური მხარეების კვლევისას სწავლობდნენ დამოკიდებულების ცვლილებას, ურთიერთგაგებისა და ნდობის ჩამოყალიბებას, საერთო და „სუპერორდინალური“ მიზნების დასახვას და იმ ზოგად პირობებს ადგენდნენ, რომელიც ჯგუფებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს (Sherif, 1966; Deutsch, 1973). მოგვიანებით იგივე მოსაზრებები გამოიყენეს საერთაშორისო კონფლიქტების შესწავლისას, რაც თავის ნაშრომში რეზიუმერებული სახით წარმოადგინა მიტჩელმა (1981a). ამ ყველაფერთან მჭიდრო კავშირში იყო საერთაშორისო პოლიტიკის დონეზე გადაწყვეტილების მიმღები პირების „აღქმისა და მცდარი აღქმის“ (perception, misperception) შემსწავლელი კვლევები (სახელწოდებას ჯერვისის 1976 წელს გამოქვეყნებული ნაშრომიდან ვისესხებთ). ბარტონმა ეს მასალები გამოიყენა 1960-იანი წლების მიწურულსა და 1970-იანი წლების დასაწყისში გამოცემული წიგნების სერიაში, რომელთა შორისაა „სისტემები, სახელმწიფოები, დიპლომატია და წესები“ (1968), „კონფლიქტსა და კომუნიკაცია“ (1969) და „მსოფლიო საზოგადოება“ (1972).

ბარტონი რთული კონფლიქტების ჩაწვდომას მხოლოდ „მოთხოვნილებათა თეორიის“ (Maslow, 1954; Sites, 1990) გამოყენებით არ ცდილობდა, იგი მის ფარგლებს სცდებოდა და მათ ასახსნელად „კონტროლირებადი კომუნიკაციისა“ და პრობლემათა გადაჭრის მეთოდებს მიმართავდა. როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ (ნახაზი 1.7, გვ.22) ისეთი უნივერსალური დრაივის პოსტულატად აღებამ როგორიცაა: უსაფრთხოება, იდენტობა და აღიარება, ბარტონს ერთგვარი მაკავშირებელი რგოლი მისცა კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებსა და მათი გადაწყვეტის გზებს შორის და ინტერესებსა და მოთხოვნილებებს შორის არსებული განსხვავებაც დაანახვა. ინტერესი, პირველ რიგში, მატერიალურ „სიკეთეს“ უკავშირდება, რის გამოც მასზე ვაჭრობა და მოლაპარაკება შეიძლება. მოთხოვნილებები კი არამატერიალურია, ამიტომაც მათი რამეზე გაცვლა ან მათზე ვაჭრობა შეუძლებელია. თუმცა, არამატერიალური მოთხოვნილებები იშვიათ რესურსებს არ უკავშირდება (როგორიცაა, მაგ., ტერიტორია, ნავთობის რესურსები ან მინერალები) და არც დეფიციტურია. სწორი მიდგომების გამოყენებით სრულიად შესაძლებელია დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებებით გამოწვეული კონფლიქტების მოგვარება. თეორიულად კონფლიქტის ორივე მხარის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც შესაძლებელია, რადგან „რაც მეტად დაცულად გრძობს ერთი მხარე თავს და რაც მეტ აღიარებას იღებს იგი, მით მეტს იღებს მეორეც“ (Burton, 1990a: 242). მაგალითად, შესაძლებელია ჩრდილოეთ ირლანდიის ან იერუსალიმის სუვერენიტეტის საკითხი ერთი შეხედვით გადაუჭრელი ჩანს, მაგრამ თუ ამ კონფლიქტს მისი მხარეების ძირითადი მოთხოვნილებების – უსაფრთხოება, აღიარება და განვითარება – ჭრილში განვიხილავთ, ამ კონფლიქტის მოგვარების გზებიც გამოჩნდება.

ბარტონი კონფლიქტების მოგვარების მეთოდზე მნიშვნელოვნად პრობლემათა გადაწყვეტის მეთოდს მიიჩნევდა. პრობლემათა გადაწყვეტა ქცევისა და კონფლიქტის შეცვლილი პარადიგმის ცენტრალური კონცეფცია უნდა გამხდარიყო, რაც, მისი აზრით, კაცობრიობას მომავალ კატასტროფას ააცილებდა. იგი ამ შემთხვევაშიც სისტემების თეორიის, კონკრეტულად კი პირველი და მეორე რიგის შესწავლის გავლენის ქვეშ მოექცა. სისტემების

თეორიის თვალსაზრისით სოციალური სისტემის ცვლილების პროცესში მნიშვნელოვანია სოციალური შესწავლა და კულტურა. ამ თეორიის თანახმად, სოციალური სისტემები თავიანთი იმ წევრების მეშვეობით „სწავლობენ“, რომელთა მსოფლმხედველობაც მათი პირადი გამოცდილების მიხედვით იცვლება, ხოლო სოციალურ-კულტურულ სისტემებს კი საფუძველში კონკრეტული ვარაუდები და დაშვებები უდევთ, რაც მათ ცვლილებისადმი მის ინდივიდუალურ წევრებზე მეტად რეზისტენტულს ხდის. ამ საფუძველში არსებულ მოსაზრებებს რაპოპორტი „დეფოლტურ ღირებულებებს“ უწოდებს, რომლებიც მათი საერთო და საზოგადო გამოყენების გამო უცვლელად ითვლება, ხოლო ამ სისტემის აქტორებს კი ავიწყდებათ, რომ თავიანთი მიზნების მისაღწევად საკუთარი არჩევანის გაკეთება შეუძლიათ. როცა პრობლემები თავს იჩენს, მათ „დეფოლტ ღირებულებებით“ უდგებიან, ასეთ რეაქციას პირველი რიგის შესწავლა ჰქვია. სოციალური სისტემების მოწესრიგებულ და კრეატიულ ტრანსფორმაციას მეორე-რიგის შესწავლა სჭირდება, რაც ამ ვარაუდების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენების სურვილსა და უნარს ნიშნავს. სოციალური ცვლილებების იდეოლოგიურ პლანში წარმოდგენა მეორე-რიგის შესწავლის ანტითეზაა, რადგან იდეოლოგია პრეტენზიია ჭეშმარიტების ცოდნაზე და მისი კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება მწვალებლობად (ერეტიკოსობად) ითვლება. სისტემების ისეთი თეორეტიკოსებისათვის, როგორიც რაპოპორტია „მშვიდობისა და კონფლიქტის თანამშრომლობის კალაპოტში გადასაყვანად სოციალურ სისტემებში მეორე რიგის შესწავლის ჩართვაა საჭირო, ხოლო სოციალური სწავლების ყველაზე ეფექტური მეთოდი კი ამ პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვაა“ (Rapoport, 1960:442).

ეს იდეა მეორე რიგის შესწავლის ან მეორე რიგის ცვლილების შესახებ მეტად დახვეწეს და განავითარეს ბარტონმა და დიუკმა „კონფლიქტების სერიის“ მესამე ტომში (1990), სადაც ისინი მას ადამიანის გადარჩენისთვის აუცილებლ პირობად მიიჩნევდნენ. ამ შემთხვევაში ბარტონი ნორბერტ ვიენერის სისტემების თეორიის, (რომლითაც იგი ახალი მეცნიერების - კიბერნეტიკის გამოგონებას ცდილობდა) გავლენის ქვეშ მოექცა, რაზეც დამატებით მე-17 თავში ვისაუბრებთ (Wiener, 1948). პრობლემების გადაწყვეტის მეთოდი, რომელსაც ახალი ფილოსოფიური სიღრმე ჩარლზ სანდერს პეირსის „მოტაცების ლოგიკამ“ (1958) (logic of abduction) შესძინა ის საშუალებაა, რომელიც მეორე-რიგის შესწავლის ჩიხს სძლევს, რის გამოც ბარტონი მას იმ ახალი პოლიტიკური ფილოსოფიის ცენტრალურ ელემენტად მიიჩნევდა, რომელიც კონფლიქტების ეპიზოდური მოგვარების ფარგლებს სცილდება და ახალ წესრიგზე - „პროვენციაზე“ - გადადის (ამ ნეოლოგიზმმა ფართე გავრცელება და აღიარება ვერ ჰპოვა).

კონფლიქტის პროვენცია ნიშნავს კონფლიქტის ფენომენის (ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებით) განმარტებიდან ადეკვატური დასკვნის გამოტანას, კონფლიქტის გამომწვევი პირობებისა და მის ასალაგებლად საჭირო სტრუქტურული ცვლილებების გააზრებას და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ისეთი პირობების ხელშეწყობას, რომლებიც მხარეთა შორის თანამშრომლობის სურვილს გააჩენს და მათ ურთიერთობას გაამყარებს (Burton and Dukes, 1990a:2).

სხვაგვარად რომ განვმარტოთ, საზოგადოების პროაქტიული უნარი დესტრუქციული კონფლიქტის პროგნოზირებისა და მისი თავიდან არიდების უნარის ქონას ნიშნავს, რა დროსაც საჭიროა პრობლემათა გადაჭრის მეთოდისა და ფილოსოფიის გამოყენება და მისი ყველა რელევანტურ ინსტიტუტში, დისკურსსა და პრაქტიკაში გავრცელება. ჩვენი აზრით, ბარტონისეული პრობლემათა გადაწყვეტის მეთოდი, რომელსაც იგი პარადიგმის ცვლილებად მიიჩნევს და არა პრაქტიკულ მეთოდად, კონფლიქტების მოგვარების სპექტრის ტრანსფორმაციის ჩარჩოში ხვდება (იხ. პირველი თავი).

კონსოლიდაცია: მესამე თაობა, 1965-1985

1960-იანი წლების მიწურულსა და 1970-იანი წლების დასაწყისში, კონფლიქტების მოგვარება მრავალ დისციპლინას აერთიანებდა და საკმაოდ ჯანსაღი ინსტიტუციონალური ბაზა ჰქონდა; განსაზღვრული ჰქონდა მიზნებიც, რომელიც სამი დიდი პროექტის განხორციელებისკენ იყო მიმართული: ბირთვული ომის თავიდან აცილება, გლობალურ სისტემაში თვალშისაცემი უთანასწორობისა და უსამართლობის აღმოფხვრა და ეკოლოგიური ბალანსისა და კონტროლის აღდგენა. ამავე დროს დარგი სამივე დონის დესტრუქციული კონფლიქტის თეორიული ბაზის შექმნას და მათზე რეაგირების პრაქტიკული მეთოდების დახვეწაზე მუშაობდა.

მათ შორის პირველი სახელმწიფოთაშორის დონეზე მიმდინარე კონფლიქტები იყო, სადაც ლიდერ სახელმიწფოებს შორის არსებული, დროებით მიმცხრალი მტრობის ისეთ შეთანხმებად გადაქცევას ცდილობდნენ, რომელიც ორივე მხარისათვის მომგებიანი იქნებოდა (win-win). 1963 წელს მიღწეული იქნა „შეთანხმება ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ“ (Limited Test Ban Treay) და „ხელშეკრულება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ“ (Strategic Arms Limitation Talks and Non-Proliferation Treaty), რაც ოსგუდის (1962) „დაძაბულობის შემსუბუქების ინიციატივების“ მართებულობას ადასტურებდა და ასევე აქსელროდის ანალიზის –„თანამშრომლობის ევოლუცია“ (რომელზეც I თავში ვისაუბრეთ, ცხრილი 1.2.) ნათელი მაგალითი იყო. 1980-იანი წლების დასაწყისში სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა „ალტერნატიული თავდაცვის“ სტრატეგიების შემუშავების მხრივ. „ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობისა“ და ჩრდილო ატლანტიკური უსაფრთხოების არეალის გაფართოება მიტრანისა და კარლ დაჩის იდეების ხორცშესხმას ნიშნავდა.

მეორე - შიდა პოლიტიკის დონეზე - კონფლიქტების მოგვარების მხრივ სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა აშშ-ში ძირითადად ოჯახური სიმშვიდის, შრომითი და საზოგადოებრივი მედიაციის და დავების ალტერნატიული გზით გადაწყვეტის კუთხით. ამ დონეზე მნიშვნელოვანი ინიციატივა იყო ახალი მიდგომები საჯარო პოლიტიკის სფეროში წარმოქმნილი დავების გადაწყვეტისადმი (Susskind, 1987). საჯარო პოლიტიკის კონფლიქტების მოგვარების ეს ქვე-დარგი მიზნად ისახავდა დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყველა დონეზე მეტი ჩართულობის ხელშეწყობას (Barber, 1984; Dukes, 1996).

მესამე და ამ წიგნის მიზნებიდან გამომდინარე ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ 1970-1980-იან წლებში „ღრმად ფესვგადგმული კონფლიქტების“ (deep-rooted conflicts) (Burton, 1987), „ურჩი კონფლიქტების“ (intractable conflicts) (Kriesberg et al., 1989) და „გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტების“ (protracted conflicts) (Azar, 1990) განსაზღვრების დადგენა, მათი ანალიზი და მოსაზრებები მათ შესახებ. თუმცა, რატომღაც გვერდს უვლიდნენ მათ საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე გამომწვევ მიზეზებს შორის არსებულ განსხვავებას. ძირითადი აქცენტი კეთდებოდა „სახელმწიფო მართვის ხარისხზე“ (good governance) კონსტიტუციურ დონეზე და ჯგუფთაშორის ურთიერთობაზე საზოგადოების შემთხვევაში. ეიზერის მოსაზრებაზე „გაჭიანურებული კონფლიქტის“ შესახებ მეოთხე თავში ვიმსჯელებთ, რის გამოც აქ ამ კონცეფციებზე მეტს აღარაფერს ვიტყვით, გარდა იმისა, რომ მას შემდეგ ისინი განვითარდა და ფართო-მასშტაბიანი, თანამედროვე კონფლიქტების მოდელების შექმნის საყრდენი წერტილი გახდა. ეს მოსაზრებები კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით კრაისბერგის „სოციალური კონფლიქტის სოციოლოგიასა“ (1973) და მიტჩელის „საერთაშორისო კონფლიქტის სტრუქტურაშია“ განხილული (1981).

ახლა ვისაუბრებთ იმაზე თუ განსახილველ პერიოდში რა ნაბიჯები იდგმებოდა პრობლემათა გადაწყვეტის მეთოდის ანალიზის მხრივ და როგორ ცდილობდნენ მის გამოყენებას რეალური კონფლიქტების შემთხვევაში, ასევე იმაზე თუ რა ნაბიჯები გადაიდგა მოლაპარაკებისა და მედიაციის პროცესის ანალიზის კუთხით. ამ ნაწილის დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ამ მოვლენათა პარალელურად მნიშვნელოვნად გაფართოვდა კონფლიქტების მოგვარების ინსტიტუციური ბაზა მსოფლიოს მასშტაბით; განსაკუთრებით აღვნიშნავთ ელიზ ბოულდინგის მოღვაწეობას, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა მოვლენათა ამგვარ განვითარებაში.

ჰარვარდის სკოლა: პრობლემათა გადაწყვეტა და პრინციპული მოლაპარაკებები

თეორიის პრაქტიკასთან შეხამების ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური მცდელობა „პრობლემათა გადაწყვეტის ვორქშოფების“ ჩატარება და იმ დროის ყველაზე ურჩი კონფლიქტების ამ გზით მოგვარება იყო. პრობლემათა გადაწყვეტის მეთოდს თავდაპირველად „კონტროლირებულ კომუნიკაციას“ უწოდებდნენ; პირველად 1965 და 1966 წლების „ვორქშოფებზე“ გამოიყენეს, რომლებზეც მალააზიას, სინგაპურსა და ინდონეზიას შორის, ხოლო კვიპროსზე კი ბერძნებსა და თურქულ თემებს შორის მიმდინარე კონფლიქტები უნდა გადაეჭრათ. „ლონდონის ჯგუფს“, რომლის შემადგენლობაშიც მაიკლ ბენკსი, ანტონი დე რეიკი, კრის მიტჩელი, მაიკლ ნიკოლსონი და ბარტონი შედიოდნენ, 1966 წელს ამერიკელები ჰერბ კელმანი და ჩად ალგერი შეურთდნენ. კელმანი, რომელიც ჰარვარდში „საერთაშორისო კონფლიქტის ანალიზისა და მოგვარების პროგრამას“ ხელმძღვანელობდა და რომელსაც უკვე მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდა შეტანილი მიჩიგანის უნივერსიტეტში მიმდინარე კონფლიქტების მოგვარების კვლევაში, შემდეგი ოცდაათი წლის განმავლობაში პრობლემათა გადაწყვეტის მეთოდის წამყვანი პრაქტიკოსი მკვლევარი გახდა. მისი სპეციალიზაცია ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი იყო (Doob, 1970; Kelman, 1996). 1993 წელს მოლაპარაკების მაგიდის ორივე მხარეს ძირითადად ის ადამიანები ისხდნენ, რომლებსაც კელმანის არაბეთი-ისრაელის „წინასწარი მოლაპარაკებების“ ვორქშოფები (1974-1991), 1991-1993 წლებში „პარა-მოლაპარაკებების“, ხოლო 1993 წლის შემდეგ კი „მოლაპარაკებების შემდგომი“ ვორქშოფები (ჯამში სულ 54 ვორქშოფი ჩატარდა) ჰქონდათ გავლილი. ამ ვორქშოფების მონაწილეები გავლენიანი, თუმცა არაოფიციალური პირები იყვნენ. შეკრებები აკადემიურ გარემოში ტარდებოდა და მათ მესამე მხარის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, ფასილიტატორების როლში. მონაწილეებს შორის ხდებოდა ინფორმაციის გაზიარება, თუმცა მათი როლი ძირითადად ერთმანეთის მოსმენა უფრო იყო, ვიდრე ერთმანეთის მოთხოვნილებების, დამოკიდებულებებისა და თვალსაზრისის განსჯა; მათ წინაშე არსებულ შესაძლებლობებს ერთობლივად განიხილავდნენ, აანალიზებდნენ სავარაუდო ხელშემშლელ ფაქტორებს და მათი დაძლევის გზების პოვნას ერთობლივი ძალისხმევით ცდილობდნენ. ეს არა-მავალდებულებელი, არა-ოფიციალური მიკრო პროცესები იყო, მაგრამ იმედოვნებდნენ, რომ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა მაკრო-დონის მოლაპარაკებებში; თუმცა, მათ ვერ ჩაანაცვლებდნენ. ამის მიღწევა მხოლოდ ახლებური ურთიერთობების დამყარებით შეიძლებოდა, რაც ამ ვორქშოფების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა.

1970-იან, 1980-იან წლებში პრობლემათა გადაწყვეტის ვორქშოფებს სულ უფრო მეტი პრაქტიკოსი მეცნიერი იყენებდა სხვადასხვა მიზნით - მაგ., რიგ შემთხვევებში აწარმოებდნენ კვლევას ან მონაწილეებს განათლებას აძლევდნენ და ტრეინინგებს უტარებდნენ. თითოეული ვორქშოფის დაგეგმვისას განსახილველი კონფლიქტის კონკრეტული მახასიათებლების გათვალისწინება იყო საჭირო, რადგან პრობლემათა გადაწყვეტის იდეალური და

უნივერსალური მოდელის შექმნა არ ხერხდებოდა. დღესდღეობით უამრავი განსხვავებული მიდგომა არსებობს, რომლებშიც პრობლემათა გადაწყვეტის მეთოდის მთავარი მახასიათებლებია გამოყენებული და რომლებსაც განსხვავებული სახელებით მოიხსენიებენ ხოლმე: კონფლიქტების ინტერაქტიული გადაწყვეტის მეთოდი, მესამე მხარესთან კონსულტაცია, პროცესის ხელშემწყობი ვორქშოფები ან ფასილიტაციით მიმდინარე დიალოგები, (Fisher, 1997). ეს ყველაფერი კარგადაა ახსნილი და ილუსტრირებული მიტჩელის და ბენკსის „კონფლიქტების მოგვარების სახელმძღვანელოში - პრობლემათა გადაწყვეტის ანალიტიკური მიდგომა“ (Handbook of Conflict Resolution: The Analytical Problem-Solving Approach) (1996). წიგნში განხილულია მისი მეთოდოლოგია და შეფასების მეთოდები (Mitchell, 1993) ჰიპოთეზის შექმნის, თეორიის ტესტირებისა და თეორიის გამოყენების თვალსაზრისით.

1980-იანი წლების დამდეგს საერთაშორისო კონფლიქტებში მოლაპარაკებების მახასიათებლების კვლევისას იყენებდნენ კონფლიქტების მოგვარების მიდგომებს: ორივე მხარისთვის მომგებიანი (win-win) გამოსავლის პოვნა, პრობლემათა გადაწყვეტა და ორმხრივი ხეირი, რაც პოპულარული გახდა „ჰარვარდის მოლაპარაკებების პროგრამის“ წარმომადგენლების როჯერ ფიშერისა და უილიამ ურის გახმაურებული სახელწოდების ნაშრომით „როგორ მივიდეთ პასუხამდე - დიახ“ (Getting to Yes) და უკანასკნელ ხანს გამოსული „მოლაპარაკებების ჟურნალით.“ პირველ თავში (ნახაზი 1.7) შევეხეთ „პრინციპული მოლაპარაკების“ მიდგომის ცენტრალურ პრინციპს - პოზიციასა და ინტერესს შორის არსებულ განსხვავებას. როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, ინტერესზე დაფუძნებული მოლაპარაკებების მეთოდი რამდენიმე პრინციპს ითვალისწინებს:

- ადამიანებს პრობლემისგან მიჯნავს და მათ შორის კარგი სამუშაო ურთიერთობების დამყარებას ცდილობს;
- ხელს უწყობს კომუნიკაციას და მხარეთა შორის აჩენს ნდობას, რადგან ისინი ნაცვლად იმისა, რომ ერთმანეთს უკარნახონ როგორ მოიქცნენ, ერთმანეთს უსმენენ;
- აქცენტს აკეთებს საფუძველში არსებულ ინტერესებსა და წუხილის მიზეზზე და არა მოთხოვნებსა და ზედაპირულ პოზიციებზე: მათ შორის ითვალისწინებს დაფარულ ინტერესებს და მათაც, რომლებმაც შესაძლოა შემდეგში იჩინოს თავი;
- არ ექცევა ნულოვანი ჯამის მახეში, რადგან გონებრივი იერიშის მეთოდს იყენებს და ეცნობა კრეატიულ შესაძლებლობებს;
- შესაძლებლობების შეფასებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისას იყენებს ეფექტურობისა და სამართლიანობის ობიექტურ კრიტერიუმებს;
- წინასწარ განჭვრეტს შესაძლო დაბრკოლებებს;
- შეიმუშავებს დაბრკოლებათა დაძლევის გზებს და ადგენს მკაფიო და მიღწევად ვალდებულებებს.

ეს მეთოდი მიზნად ისახავს შესაძლებელი თანხმობის მიღწევის ზონის დადგენას, შესაძლებლობის შემთხვევაში მის გაფართოებასა და იმაზე მიმზიდველად ქცევას ვიდრე პარტნიორთა მიერ ინდივიდუალურად შემოთავაზებული ალტერნატივებია. ერთ-ერთი მიზანია ყველაზე უარესი ალტერნატივების დადგენა იმ შემთხვევაში თუ მხარეები თანხმობას ვერ მიაღწევენ. უკანასკნელ ხანს მთელი ეს პროცესი გადაამუშავეს და ყურადღება

გაამახვილეს „მოლაპარაკების პროცესში ემოციების ჩართვაზე“ (Fisher and Shapiro, 2005). ჰარვარდის მიდგომაზე დაყრდნობით უილიამ ურიმ ასევე შეიმუშავა „მესამე მხარის როლის“ ტიპოლოგია (2000) (იხ. ნახაზი 1.14, გვ. 28 და მე-14 თავი).

ჰარვარდის პროგრამაში შედის აკადემიური ცენტრების კონსორციუმი და რეალური კონფლიქტების მოგვარებისას კი იყენებს მიდგომებს სხვადასხვა დისციპლინებიდან, მათ შორის: პოლიტიკიდან, ფსიქოლოგიიდან, ანთროპოლოგიიდან, სოციოლოგიიდან და საერთაშორისო ურთიერთობებიდან; ასევე შრომით ურთიერთობებს, საზოგადოებრივ მოლაპარაკებებს და საჯარო დაგეგმარებას. დღესდღეობით წარმატებული და წარუმატებელი მოლაპარაკებების სტილისა და მიდგომების სისტემატიური ანალიზის და კომპარატივისტული კვლევების მთელი რიგი არსებობს, მათ შორის დრუკმანი (1977), ზარტმანი, (1978), პრუიტი, (1981), რაიფა (1982), ჰოლი (1993), პრუიტი და კარნევალი (1993), ზარტმანი და რუბინი, (1996), ბერკოვიჩი და გარტნერი, (2006) და კიდი (2006). მათ მოსაზრებებს დამატებით განვიხილავთ მე-7 თავში.

ადამ კერლი: მედიაციის თეორია და პრაქტიკა

მედიაციის პრაქტიკას ხანგრძლივი ისტორია აქვს, დასავლეთში იგი ძველ საბერძნეთსა და რომში იღებს სათავეს. 1945 წლისთვის პროფესიონალი დიპლომატებისა და მედიატორების ყოველდღიური საქმიანობის სრულყოფის მიზნით კრიტიკულად სწავლობდნენ სახელმწიფო-დონის დიპლომატიასა და საერთაშორისო მედიაციის საკითხებს (Mitchell and Webb, 1988). საერთაშორისო საზოგადოება „გაერო-ს ქარტიის მეექვსე თავის“ მოთხოვნის თანახმად (ქარტია მოითხოვდა, დავების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას) ამ საქმიანობის ინსტიტუციონალური პრაქტიკის პლანში გადაყვანას ცდილობდა, რის გამოც დაიწყო მთელი რიგი ახალი კვლევები, მაგ., ორან იანგის (1967) კვლევა გაეროსა და მისი სააგენტოების როლის შეფასების მიზნით. 1980-იანი წლების დასაწყისში, კონფლიქტების მოგვარების დარგის მრავალი მკვლევარი ეთანხმებოდა დინ პრუიტის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ არასაკმარისი რაოდენობით ტარდებოდა კრიტიკული კვლევები მედიაციაში და მას სისტემატური ანალიზი აკლდა (Pruitt and Rubin, 1986:237). მას შემდეგ ეს დეფიციტი მნიშვნელოვნად აღმოიფხვრა. მედიაციის შესახებ არსებული ლიტერატურის ავტორებს - მიტჩელისა და უების - შეემატნენ ტოუვალი და ზარტმანი (1985) და ბერკოვიჩი და რუბინი (1992), ასევე კრესელი და პრუიტი (1989) ბერკოვიჩი (1996), ბოჰმელტი (2010), ტოფტი (2010); დაიწერა უამრავი ინდივიდუალური კვლევა კონკრეტული კონფლიქტის მედიაციის შესახებ, რაზეც დამატებით შევჩერდებით მე-7 თავში. დღესდღობით მედიაციის სხვადასხვა ტიპის შესასწავლად საკმაოდ დახვეწილი და მრავალმხრივი კვლევები ტარდება; სწავლობენ მედიაციის სხვადასხვა ტიპებს: მათ შორის „კუნთების თამაშით“ და მის გარეშე; იკვლევენ სხვადასხვა ტიპის მედიატორების (ოფიციალური და არა-ოფიციალური, გაეროსა თუ ინდივიდუალური მთავრობების მიერ წარგზავნილების, შიდა-მიკერძოებული და გარე-ნეიტრალური) საქმიანობას სხვადასხვა ტიპის კონფლიქტებში. 1991 წლის თებერვალში გამოქვეყნებული „მშვიდობის კვლევების ჟურნალის“ სპეციალური გამოშვება კრიტიკულად განიხილავდა ამ მიდგომების ახალი პარადიგმის ეფექტიანობას (არა-იძულებითი, რომელიც ძირითადად პრობლემათა გადაწყვეტას ეყრდნობა) და მას „ძალა-იძულება-ჯილდო“ მოდელს ადარებდა.

ზემოთ აღნიშნულ მრავალ კვლევაში განხილული იყო პირველი დონის მედიაცია; კონფლიქტების მოგვარების სფეროში „რბილი“ მედიაციის (რომელსაც მაკდონალდი და

ბენდამეინი (1987) მეორე დონის მედიაციას უწოდებდნენ) როლსა და თავისებურებებს განვიხილავთ ადამ კერლის ნააზრევის მაგალითზე დაყრდნობით. კერლს განათლება ჰქონდა მიღებული ანთროპოლოგიაში, ფსიქოლოგიასა და განვითარების სფეროში. ჰარვარდიდან გადავიდა ბრედფორდის უნივერსიტეტში, სადაც მშვიდობის კვლევების კათედრას ჩაუდგა სათავეში, რომელიც „ლანკასტერის უნივერსიტეტის კონფლიქტებისა და მშვიდობის კვლევების რიჩარდსონის ინსტიტუტთან“ და „კენტის უნივერსიტეტის კონფლიქტების ანალიზის ცენტრთან“ ერთად გაერთიანებული სამეფოს კონფლიქტების მოგვარების ფოკალურ წერტილად იქცა.

კერლის ინტერესი მშვიდობის აკადემიური თვალსაზრისით შესწავლისადმი მისი ცხოვრებისეული გამოცდილებით იყო ნაკარნახევი, რადგან იგი პაკისტანისა და აფრიკის ძალადობრივი კონფლიქტის არა მხოლოდ თვითმხილველი არამედ მშვიდობისყოფის პროცესის მონაწილე და მედიატორი იყო. ბიაფრანის ომიში მიღებულმა გამოცდილებამ მას დაანახვა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების სიღრმისეული ცოდნა. (Curle, 1971, 1986; Yarrow, 1978). ამ დროს უკვე ძალადობას, კონფლიქტს, სოციალური ცვლილების პროცესსა და განვითარების მიზნებს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ საკითხებად განიხილავდნენ. „მშვიდობის დაცვა“ (Making Peace) (1971) მშვიდობასა და კონფლიქტს მშვიდობიან და არა-მშვიდობიან ურთიერთობათა ნაკრებად განიხილავს: „მშვიდობის დაცვის პროცესი ურთიერთობების შეცვლას და მათ ისეთ წერტილამდე მიყვანას გულისხმობს, სადაც შესაძლებელია განვითარება დაიწყოს.“ თავისი აკადემიური განათლებიდან გამომდინარე, კერლი მშვიდობას უფრო ფართო თვალსაწიერიდან, ადამიანური განვითარების კუთხით აშუქებდა და არა „მშვიდობის იძულებით გატარების“ წესებად და ორგანიზაციებად. იგი თვლიდა, რომ სოციალური სტრუქტურების შესწავლისას მთავარი იყო დაედგინათ ის სტრუქტურები, რომელიც ადამიანის პოტენციალს აძლიერებს და არა პირიქით - თრგუნავს მას.

ნაშრომში – „შუაში“ (In the Middle) (1986) – წინა პლანზეა წამოწეული მედიაციისა და შერიგების თემების მნიშვნელობა მე–20 საუკუნის კონფლიქტებით სავსე მსოფლიოში. კერლი მედიაციის პროცესში ოთხ ელემენტს გამოჰყოფდა: პირველი - მედიატორის ქმედებები: კომუნიკაციის დამყარება, შენარჩუნება და გაუმჯობესება; მეორე - კონფლიქტის მხარეთათვის ინფორმაციის მიწოდება და მათ შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა; მესამე - კონფლიქტის მხარეებთან „დამეგობრება“ და მეოთხე - აქტიური მედიაციის (როგორც იგი მას თავად უწოდებს) ხელშეწყობა, რაც მხარეებში თანამშრომლობაზე ორიენტირებულ მოლაპარაკებებში მონაწილეობის სურვილისა და მზაობის გაჩენას გულისხმობს. მედიაციის მთელი მისეული ფილოსოფია კვაკერის პრაქტიკიდან აღებული ღირებულებებისა და გამოცდილების ნაზავია[3]. მის მოსაზრებებში აისახა მისი ადრეული პროფესიული პრაქტიკით შეძენილი ცოდნა ადამიანის ფსიქოლოგიის შესახებ.

კერლის ნაშრომი კონფლიქტების მოგვარების გამოყენებითი ბუნების ილუსტრაციას ახდენს და ცხადყოფს რაოდენ მნიშვნელოვანია მისთვის აკადემიური თეორიისა და პრაქტიკის გათვალისწინება. იგი ასევე არის მეორე დონის მოდელის, ანუ მოქალაქეების დიპლომატიის, გააზრების ერთ-ერთი მაგალითი (რომელსაც დაიამონდი და მაკდონალდსი (1996) მრავალდონიან დიპლომატიას უწოდებენ, რადგან იგი მოიცავს საქმიან ნაცნობებს, ეკლესიებსა და ა.შ); მედიაციისა და მესამე მხარის ჩარევის (როგორც ოფიციალურ-სამთავრობო ასევე არაოფიციალურ-სამოქალაქო დონეზე) მეთოდებისა და მიდგომების უფრო სრულყოფილ გააზრებას ხელი შეუწყო კვლევათა მთელმა რიგმა (Berman and

Johnson, 1977; MacDonald and Bendahmane, 1987; Berridge, 1995; Aall, 1996; Anderson, 1996b, Davies and Kaufman, 2002). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კერლის მოსაზრებები და პრაქტიკა მხოლოდ მეორე დონის მედიაციით არ შემოიფარგლებოდა. ყოფილი იუგოსლავიის ომების დროს, მან თავისი მშვიდობის დამყარების კონცეფცია და პრაქტიკა გააფართოვა; იგი თვლიდა, რომ ინდივიდებსა და საზოგადოებრივ ჯგუფებს სხვადასხვა როლის შესრულების საშუალება უნდა მინიჭებოდათ; მან პოლ ლადერახთან და სხვებთან თანამშრომლობით მშვიდობის ქვემოდან შენების ახალი მიდგომები შეიმუშავა, რომლებიც ძირითადად მის „ოსიეკის მშვიდობის ცენტრის“ ხელშეწყობით შექმნილ ნაშრომს ეფუძნებოდა - „არა-ძალადობა და ადამიანთა უფლებები“ (Non-violence and Human Rights), რომელზეც უფრო დაწვრილებით მე-9 თავში ვისაუბრებთ (Curle, 1994, 1995, 1999).

ელიზ ბოულდინგი: ახალი სახეები კონფლიქტების მოგვარების დარგში

1970-იან და 1980-იან წლებში მშვიდობისა და კონფლიქტების მოგვარების სფეროების მკვლევრების რაოდენობა მთელ მსოფლიოში მატულობდა, მათმა რიცხვმა რამდენიმე ასეულიდან რამდენიმე ათასეულს მიაღწია, გაიზარდა კონფლიქტების მოგვარების ინსტიტუციონალური ბაზაც, ძირითადად დასავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და იაპონიაში, მაგრამ ასევე მსოფლიოს სხვა კუთხეებშიც (ECCP ვებგვერდი; იხ. მე-3 თავი). მნიშვნელოვანი ცენტრები დაარსდა გაჭიანურებული კონფლიქტების რეგიონებში, მაგ., სამხრეთ აფრიკაში, ჩრდილოეთ ირლანდიაში, ესპანეთის ბასკებით დასახლებულ რეგიონსა და შრი ლანკაში. ამ პროცესის მაგალითად მოვიყვანთ ელიზ ბოულდინგის მოღვაწეობას და მის მოსაზრებებს.

ელიზ ბოულდინგი განათლებით სოციოლოგი იყო; აქტიურად მოღვაწეობდა მიჩიგანის უნივერსიტეტის მიერ წარმოებულ ადრეულ კვლევებში; 1964 წლიდან იყო „საერთაშორისო მშვიდობის კვლევების ასოციაციის“ (International Peace Research Association) (IPRA) გენერალური მდივანი და „მშვიდობისა და თავისუფლების ქალთა საერთაშორისო ლიგის“ პრეზიდენტი და მისი საერთაშორისო თავმჯდომარე. „იუნესკოს“ ხელშეწყობით მის მიერ დაარსებულმა IPRA-ს საინფორმაციო ბიულეტინმა შექმნა ქსელი, რომელმაც ხელი შეუწყო ასოციაციის ფორმულირებას; ელიზ ბოულდინგი წლების მანძილზე რედაქტორობდა ამ ჟურნალს. სამშვიდობო და კონფლიქტების მოგვარების პროცესებში მეტი ჩართულობის ხელშესაწყობად, მან შემოიტანა „მომავლის იმაჟირების“ იდეა, რაც ადამიანებს იმ ნაჭუჭიდან თავის დაღწევაში დაეხმარებოდა, რომელშიც გარე სამყაროში მიმდინარე მოვლენების შიშით იყვნენ ჩაკეტილები, და სტიმულს მისცემდა მათ ჩართულიყვნენ მშვიდობიანი და ტოლერანტული გლობალური კულტურის შენების პროცესში. სოციალური წარმოსახვისა და მომავლის იმაჟირების იდეას იგი განიხილავდა იმასთან კავშირში, რასაც თავად „200-წლიან კონტექსტს“ უწოდებდა და ამბობდა, რომ ის სოციალური სივრცე, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, წარსულში იღებს სათავეს და მომავლისაკენ მიემართება. „ეს ჩვენი სივრცეა, რომელშიც პირდაპირაც ვმოძრაობთ და არაპირდაპირაც და ჩვენს გარშემო მცხოვრები ბავშვებისა და მოხუცების ცხოვრებას საკუთარ ხელს ვატყობთ“ (Boulding, 1990:4). ელიზ ბოულდინგი ასევე იყო სამოქალაქო საზოგადოებისა და გლობალური სამოქალაქო კულტურის იდეის ერთ-ერთი ადრეული მქადაგებელი. მისი აზრით, ამ კულტურაში საკუთარი სიტყვა უნდა ეთქვათ მათაც, ვისაც ეროვნული სახელმწიფოების ტრადიციულ პოლიტიკურ დისკურსში ეს უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ; ამ პროცესში იგი კონფლიქტების მოგვარების მუშაკების აქტიურ ჩართულობას თვლიდა საჭიროდ. ამ ჯგუფებში ქალები და ბავშვები აშკარად არ

იყვნენ გათვალისწინებულები, მაგრამ იგი აცხადებდა, რომ გლობალიზმსა და გლობალურ სამოქალაქო კულტურაში ისეთი კულტურული თემებიც დაიმკვიდრებდნენ ადგილს, რომლებიც თანამედროვე საერთაშორისო წესრიგის ყურადღების მიღმა იყვნენ. ელიზ ბოულდინგის აზრით, „200-წლიანი აწმყოს“ პირველ ნახევარს, ანუ 1980-იანი წლებიდან შემდეგ 100 წელს, მსოფლიო სამოქალაქო კუტურის და ერთა შორის პრობლემათა მშვიდობიანი გადაწყვეტის საფუძველი უნდა მოემზადებინა, მაგრამ არც არმაგედონის შესაძლებლობას გამორიცხავდა. იგი საჭიროდ მიიჩნევდა მკვიდრი და საერთაშორისო მოქალაქეების ქსელის ჩამოყალიბებას და თვლიდა, რომ მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა პირველი მეტი ყოფილიყო მეორეზე. მისი აზრით, მშვიდობის დაცვა განსაკუთრებული „უნარების და ხელობის“ ფლობას საჭიროებს. მშვიდობის პრაქტიკაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო „ყველა ის საქმიანობა, რომელიც კონფლიქტს ინტეგრირებული მეთოდით უდგება - როგორც იმ არჩევანს, რომელიც ყველა ადამიანური ქმედების საფუძველს წარმოადგენს“ (იხ. იქვე: 140). სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ინტერსუბიექტური ურთიერთობები და ის სტრუქტურები და ინსტიტუტები, რომელთა ნაწილებსაც ისინი წარმოადგენენ, განსაზღვრავს იმას თუ ვინ ვიქნებით ბოლოს - მშვიდობის დამცველები თუ ომის.

რეკონსტრუქცია: მეოთხე თაობა 1985-2005

ეს ცივი ომის დასრულების პერიოდია. როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, ამ დროს კონფლიქტების მოგვარება განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა მას შემდეგ, რაც „ახალი მსოფლიო წესრიგის“ საჭიროებაზე ალაპარაკდნენ. ამავე დროს ეს დარგი ძველი წესრიგისაგან მემკვიდრეობით მიღებული ახალი გამოწვევების წინაშეც დადგა. აქ ძალიან მოკლედ და შერჩევით ვილაპარაკებთ, რადგან მეოთხე თაობის მოღვაწეობა შემდგომი თავების განხილვის საგანია. მეხუთე, მომავალი თაობის მოღვაწეობასა და მათ წინაშე არსებულ ამოცანებს კი მეოთხე თაობის წარმომადგენელთა საქმიანობის, მათი მიღწევებისა (და წარუმატებლობის) მიხედვით შევაფასებთ.

ამ აბზაცში აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ კონფლიქტების მოგვარების დარგის ამ პერიოდის მოღვაწეთა ძალისხმევა და ის მიდგომები, რომლითაც ისინი მათ წინაშე არსებულ ახალ გამოწვევებს უმკლავდებოდნენ ძირითადად „გარემოებიდან გამომდინარე“ (პრობლემის ბუნების მიხედვით) (contingency) და „კომპლემენტალური“ (complementary) (სათანადო რეაგირების მჭიდრო კავშირი) პრინციპების გამოყენებით. ისინი თვლიდნენ, რომ ჩარევის შედარებით რბილი ფორმების გამოყენება მეტად მიზანშეწონილია, როდესაც მხარეთა შორის კომუნიკაციის დამყარება გართულებულია და მათ შორის ნდობა ნაკლებად არის (როდესაც ძლიერია სუბიექტური ელემენტები), ხოლო ჩარევის ხისტი ფორმების გამოყენება მეტად გამართლებულია მაშინ, როდესაც წინა პლანზე ინტერესებია წამოწეული. ასეთ შემთხვევაში ზუსტად და ყველა ნიუანსის გათვალისწინებით უნდა ვიცოდეთ რომელი ინსტრუმენტების კომბინაციის გამოყენებაა საჭირო განსხვავებულ ისტორიულ და კულტურულ გარემოში მიმდინარე, ესკალაციისა და დეესკალაციის სხვადასხვა საფეხურზე მყოფი კონფლიქტების გავრცელების შესაჩერებლად, გადასაწყვეტად და, შესაძლებლობის შემთხვევაში, გარდასაქმნელად (ტრანსფორმაციისათვის) და როგორ გამოვიყენოთ ისინი (ინსტრუმენტები) სხვადასხვა დონეზე (ჯგუფთაშორის, სახელმწიფოთაშორისი, რეგიონალური და გლობალური), სხვადასხვა სექტორში (ფსიქოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური) და სხვადასხვა მეთოდების გამოყენებისას (პრევენცია, მშვიდობის დაცვა, მშვიდობის დამყარება, მშვიდობის შენება). კონფლიქტების მოგვარების დარგისთვის მწვავე

პრობლემას წარმოადგენს დესტრუქციული კონფლიქტების მამოძრავებელი ძალები და ის შედეგები, რომელიც მათ მოჰყვებათ ყველაზე ღარიბ და „მყიფე“ ქვეყნებში. ასევე ფრიად მნიშვნელოვანია გენდერული და კულტურული მოსაზრებების გათვალისწინება. შემუშავებულ იქნა კონფლიქტის ანალიზის მეტად პროფესიული რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდოლოგიები და მათი ინტერპრეტაციის მეთოდები, მათ შორის „ახალი კონფლიქტისა და მშვიდობიანი ცვლილების“ მეთოდი (emergent conflict and peaceful change), როგორც მას ჰიუ მაილი (2007) უწოდებდა. იხვეწება შედეგების შეფასების კრიტერიუმები და მათი გაზომვის მეთოდები. აქედან გამომდინარე, მეთოდოლოგიაში აქცენტი ძირითადად კეთდება იმაზე, რასაც დანიელ დრუკმენი „კონფლიქტების მოგვარების მრავალ-მეთოდიან პრიზმას“ უწოდებს (2009) და რაც კონფლიქტების მართვასა და კონფლიქტების მოგვარებაში „სხვადასხვაგვარი ცოდნის“ გამოყენების მოთხოვნას ეხმიანება (Stoll, 2004; Maoz et al., 2004). ამ დარგს მისი განვითარების ადრეულ ეტაპზევე მულტიდისციპლინალურად მიიჩნევდნენ, დღესდღეობით კი იგი ახალი დარგების მიღწევებსაც იყენებს, მაგ., საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარებაში იყენებს კომპიუტერიზებულ მეთოდებს (Trappi, 2006). მაგალითები მოცემული და განხილული იქნება შემდგომ თავებში იმასთან მიმართებაში, რასაც ტომ ვუდჰაუსი კონფლიქტის კოსმოპოლიტურ გადაწყვეტას უწოდებს (Woodhouse and Ramsbotham, 2005).

მსოფლიოს მასშტაბით კონფლიქტების მოგვარებისადმი ინტერესის გაღვივების გამო ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაც (Ahmed and Potter, 2006). გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, ამ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ანდრეა ბარტოლის (2009) მოსაზრებით, სახელმწიფო აქტორების თვალში სათანადო რეპუტაცია, ნდობა (კონფიდენციალურობა), ლეგიტიმურობა და პირველი დონის სამშვიდობო პროცესებში ჩართვის უნარი აქვთ - მაგ., „სანდ ეგიდიო“ მოზამბიკში, „კარტერის ცენტრი“ ვენესუელაში, „ჰუმანიტარული დიალოგის ცენტრი“ დარფურში, „კრიზისის მართვის ინიციატივა“ აჩეჰში და „მდგრადი დიალოგი“ ტაჯიკეთში. მათ გარდა არსებობს უამრავი გლობალური არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას, განსაკუთრებით საზოგადოებრივ დონეზე. ბარტოლი მათ შორის საგანგებოდ მოიხსენიებს „საერთო საფუძვლების ძიებას“ (Search for Common Grounds), „საერთაშორისო სიფხიზლეს“, „დასავლეთ აფრიკის სამშვიდობო ქსელს“, „შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციის პარტნიორობას“ და „კონფლიქტების პრევენციის ევროპულ ცენტრს“.

ქვემოთ ვისაუბრებთ იმ ოთხ გამოწვევაზე, რომლის წინაშეც თანამედროვე მსოფლიო კონფლიტების მოგვარების დარგს აყენებს: სისტემური კომპლექსურობა, ასიმეტრია, კულტურული მრავალფეროვნება, ძნელად დაძლევადობა (*intractability).* თითოეულ შემთხვევაში საილუსტრაციოდ გამოვიყენებთ კონფლიქტების მოგვარების კომუნიკაციურ და დიალოგურ ასპექტებს (Bohm, 1996; Yankelovich, 1999; Saunders, 2009) (იხ. ცხრილი 2.1).

ცხრილი 2.1 დიალოგი დებატების შეპირისპირება. დევიდ ბომისეული ანალიზი

- დიალოგი თანამშრომლობას გულისხმობს: ორი მხარე მათ შორის ურთიერთგაგების დასამყარებლად თანამშრომლობს. დებატებისას კი დაპირისპირებას აქვს ადგილი: ორი მხარე ერთმანეთს ედავება და ცდილობს, დაამტკიცოს, რომ მეორე მხარე ცდება.
- დიალოგის მიზანი საერთო ენის და ინტერესების პოვნა, ხოლო დებატის მიზანი კი გამარჯვებაა.
- დიალოგში ერთი მხარე მეორეს უსმენს იმისთვის, რომ გაიგოს მისი და მასთან შეთანხმებას მიაღწიოს, ხოლო დებატებში კი ერთი მხარე მეორეს უსმენს, რათა მის ნათქვამში ხარვეზი დაინახოს და მის არგუმენტს საპირისპირო შეაგებოს.
- დიალოგი აფართოებს და, სავარაუდოდ, ცვლის მონაწილის თვალსაზრისს. დებატი კი მხოლოდ მონაწილის თვალსაზრისის განმტკიცებას უწყობს ხელს.
- დიალოგის დროს თავს იჩენს ისეთი მოსაზრებები, რომლებსაც შეფასება სჭირდებათ, დებატი კი არსებულ მოსაზრებას ჭეშმარიტებად მიიჩნევს და იცავს მას.
- დიალოგი მხარეს საკუთარ პოზიციაზე დაფიქრების საშუალებას აძლევს, დებატს კი მეორე მხარის პოზიციის კრიტიკამდე მიყავს.
- დიალოგი უკეთესი გადაწყვეტილების პოვნის შესაძლებლობას იძლევა, დებატი კი საკუთარ გადაწყვეტილებას იცავს და გამორიცხავს სხვისას.
- დიალოგი გონების გახსნის შესაძლებლობას იძლევა - ადამიანი გახსნილია იმ აზრისადმი, რომ შეიძლება ცდება; ასევე გახსნილია ცვლილებისადმი; დებატის დროს კი გონება დაკეტილია; ადამიანს ერთადერთი მიზანი აქვს - მართალი უნდა იყოს.
- დიალოგისას ადამიანმა საკუთარი მოსაზრებები და წარმოდგენები დროებით გვერდით უნდა გადადოს, ხოლო დებატისას კი იგი სრულიად დარწმუნებული უნდა იყოს თავის მოსაზრებებში და მტკიცედ დაიცვას ისინი.
- დიალოგში შეთანხმების მიღწევას ცდილობენ, დებატებში კი აზრთა სხვადასხვაობის.
- დიალოგში სხვათა აზრებს ითვალისწინებენ და ცდილობენ, მეორე მხარე არ გააუცხოვონ და არ შეურაცხყონ. დებატი კი მეორე მხარის პოზიციას უპირისპირდება, უგულვებელჰყოფს გრძნობებსა და ურთიერთობებს და მეორე მხარეს ხშირად ამცირებს და აბუჩად იგდებს.
- დიალოგისას თვლიან, რომ განსახილველ თემაზე პასუხი სხვასაც აქვს და ერთობლივი ძალისხმევით ისეთ გადაწყვეტილებამდე მივლენ, რომელიც შედეგამდე მიიყვანთ. დებატისას კი მხარე თვლის, რომ სწორი პასუხი და გამოსავალი ერთადერთია და ის მხოლოდ მან იცის.

წყარო: **ბომის მოსაზრებებზე (1996) დაყრდნობით შეიმუშავა ფრანკ ბოლტონმა**

კონფლიქტის კომპლექსური ბუნება

კონფლიქტების მოგვარების დარგის დამფუძნებლებს კარგად ესმოდათ, რომ საქმე ჰქონდათ კონფლიქტების კომპლექსურ სისტემებთან, რამაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ამ ახალი დარგის ბუნება თუნდაც საერთაშორისო ურთიერთობებთან შედარებით. ეს სისტემური კომპლექსურობა კიდევ უფრო თვალში საცემი გახდა ცივი ომის შემდგომ პერიოდში, გლობალიზაციის პროცესში მყოფ მსოფლიოში ამტყდარი მთელი რიგი „ახალი ომების“ ფონზე. ადამ კაჰეინი თავის წიგნში „რთული პრობლემების გადაწყვეტა“ (Solving Tough Problems) სამი ტიპის კომპლექსურობას გამოჰყოფს, რომლიდანაც თითოეულს სრულიად განსხვავებული მიდგომა სჭირდება. დინამიკური კომპლექსურობა ნიშნავს, რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები არასწორხაზოვანია და ცალკე აღებული თითოეული მათგანი არაპროგნოზირებადია, რის გამოც სისტემურ მიდგომას საჭიროებს. სოციალური კომპლექსურობა გულისხმობს ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით საპირისპირო მოსაზრებების არსებობას, რის გამოც თანამონაწილეობითი მიდგომის გამოყენებაა საჭირო. გენერატიულ კომპლექსურობაში იგულისხმება ის, რომ ძველი გადაწყვეტილებები არაქმედუნარიანი გახდა და წარმატებას ვეღარ აღწევს, რის გამოც კრეატიული მიდგომის გამოყენება ხდება საჭირო.

თანამედროვე კონფლიქტების კომპლექსური ბუნების ანალიზი სხვადასხვა დისციპლინებიდან აღებული მეთოდოლოგიის გამოყენებამ გაამდიდრა, განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს დახმარებისა და განვითარების მუშაკებმა, რომელთა სურვილიც იყო, „არაფერი დაეშავებინათ“, საუკეთესო შემთხვევაში კი „რამე ხეირი მოეტანათ“ (Hendrick, 2009). სისტემური კონფლიქტების ანალიზის შემუშავებითა და გამოყენებით კონფლიქტების მოგვარების დარგში თვალსაჩინო წვლილი შეიტანა პიტერ კოლემანმა (Coleman, 2003; Coleman et al., 2007). მის ამ ნაშრომს მეოთხე თავის ბოლოს გავეცნობით.

კომპლექსურ ადაპტაციურ სისტემას განმარტავენ როგორც ურთიერთდაკავშირებული ელემენტების ჯგუფს, რომელთა შორისაც არასწორხაზოვანი კავშირები არსებობს. რაც მეტი ურთიერთდამოკიდებული ელემენტისაგან შედგება სისტემა, მით მეტად კომპლექსურია იგი. ნებისმიერ კომპლექსურ სისტემაში იკვეთება ცვლილებების გამომწვევი ექვსი თვისება (Moty Cristal and Orit Gal, ვორქშოფზე წარმოდგენილი პრეზენტაცია, Haifa, 2010).

- ელემენტებს შორის არსებული კავშირები და მათი ურთიერთდამოკიდებულება;
- წარმოშობა და თვით-ორგანიზება - სისტემას აყალიბებს იმ ინდივიდების აკუმულირებული არჩევანი, რომლებიც მის ფარგლებში არსებობენ;
- ქაოსი - ტექნიკური თვალსაზრისით უბრალო ცვლილებები განსხვავებულ და სრულიად გაურკვეველ შედეგებს იწვევს;
- სისტემური მეხსიერება და განვლილ გზაზე დამოკიდებულება (path dependency) - დღევანდელ დინამიკას მოვლენათა გუშინდელი განვითარება განაპირობებს;
- უკუკავშირის ეფექტი - ნეგატიური უკუკავშირი ასუსტებს ან სტაბილურს ხდის სისტემას, ხოლო პოზიტიური კი აძლიერებს მას;
- ევოლუცია და ადაპტაცია - მთლიანი სისტემა მუდმივად ცვალებად გარემოზე რეაგირებს.

რაც შეეხება საპასუხო ღონისძიებებს, ამ მხრივ ნორბერტ როპერსმა „კონსტრუქციული კონფლიქტების კვლევის ცენტრიდან“ პირველმა შეიმუშავა „სისტემური კონფლიქტის ტრანსფორმაციის“ კონცეფცია (Korppen et al., 2008). პრობლემის სწორხაზოვანი გადაწყვეტის ნაცვლად საჭიროა (ისევე როგორც სტრატეგიული კვლევებისას ხდება) კომპლექსური ეკოლოგიის ჩაწვდომა და იმის დადგენა თუ რა გზით შეიძლება მასში წარმატებით ოპერირება. მაგალითად, კომუნიკაციის სფეროს ანალიზში, როპერსმა შრი-ლანკის სინჰალა/ტამილის კონფლიქტის ლინგვისტური განზომილების კვლევისას ბუდისტური „ტეტრალემა“ (ტეტრა ბერძნულად ოთხს ნიშნავს) გამოიყენა და ერთმანეთს შეუპირისპირა მთავარი ანტაგონისტების ორი „ან...ან“ (either - or) მენტალური მოდელი „ორივე, ის ... და ის“ (both - and) და „არც - არც“ (neither – nor) მოდელს (არსებობს მეხუთე ალტერნატივაც „არცერთი მათგანი“). ტეტრალემა ის „ინსტრუმენტია, რომელსაც აქვს ამ დამოკიდებულების (ატიტუდის) და შიშის სამი ნაკრების ბინალური ლოგიკის დაძლევის პოტენციალი.“ (Ropers, 2008a:17).

ჯონ პოლ ლედარახი მწვავედ აკრიტიკებს გამარტივებული „ან-ან“ მოდელის სარეფერენციო ჩარჩოდ გამოყენებას. იგი იმ ურთიერთქმედებათა კომპლექსური ქსელების არსებობას აღიარებს, რომლებიც რეალურ (ცოცხალ) მსოფლიოს ქმნის და მათ სამართავად და გარდასაქმნელად „მორალური წარმოსახვის“ გამოყენებას მიიჩნევს საჭიროდ (2005: 172-3).

> *როდესაც დილემებსა და პარადოქსებს სრულად ჩავწვდებით, დავინახავთ, რომ შესაძლოა, ამა თუ იმ კონფლიქტში გამოუსწორებელი შეუთავსებლობები არც კი არსებობდეს. ასეთ დროს კომპლექსური სიტუაციის სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთდამოკიდებული ასპექტების არსებობა უნდა ვაღიაროთ და სათანადო რეაგირება მოვახდინოთ მათზე. ამ კომპლექსურობას თავს ვერ გავართმევთ თუ მხოლოდ „ან... ან“ ან შეპირისპირების მოდელით შემოვიფარგლებით. სიტუაციის კომპლექსურობა ჩვენგან ისეთი უნარის ქონას მოითხოვს, რომლის საშუალებითაც სიტუაციის მთავარ წარმმართველ ენერგიებს ამოვიცნობთ და მათ ურთიერთდამოკიდებულ მიზნებად ჩამოვაყალიბებთ ... კონფლიქტის ტრანსფორმაციისათვის ყველაზე მთავარი აშკარა წინააღმდეგობებსა და პარადოქსებში ცხოვრების უნარია (Lederach, 1003: 51-3).*

კონფლიქტის ასიმეტრია

ამ უკანასკნელ პერიოდში ასიმეტრიულ კონფლიქტებთან ბრძოლის წყალობით კონფლიქტების მოგვარების საკომუნიკაციო სფეროში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა წინ. ასიმეტრიულია ისეთი კონფლიქტები, რომლის მონაწილე მხარეებიც არათანაბარ ძალებს წარმოადგენენ, როგორც რაოდენობრივი მახასიათებლების (მაგ., ძლიერი სახელმიწფო სუსტის წინააღმდეგ) ასევე თვისობრივის (მაგ., სახელმწიფო არა-სახელმწიფო აქტორების წინააღმდეგ) მხრივ ან ორივეს გათვალისწინებით. ასეთ დროს ამ დარგის სპეციალისტები ტრადიციულ მეთოდებს - მოლაპარაკება/მედიაცია, დიალოგი და პრობლემათა გადაჭრა - საუკეთესო შემთხვევაში არასაკმარისად, თუ არა კონტრ-პროდუქტიულად, მიიჩნევენ, რადგან ეს მეთოდები, კონფლიქტის მხარეებს თანასწორად მიიჩნევს (Kuttab, 1988; Rouhanna and Korper, 1996; Jones, 1999). თვლიან, რომ ასეთი გზით მიღწეული შედეგი ჰეგემონის შეფარდებითი ძალის მეტ განმტკიცებას იწვევს:

> *კვლავაც ადგილი აქვს სამხედრო ოკუპაციას, ადამიანებს კვლავინდებურად ხოცავენ, ყოველდღე აპატიმრებენ და უფლებებზე უარს ეუბნებიან. ამიტომ, ჩვენთვის, არაბებისა და პალესტინელებისათვის, მთავარი პრეროგატივა სრულიად ნათელია. პირველი: უნდა ვიბრძოლოთ ოკუპაციის დასასრულებლად. მეორე - კიდევ უფრო მეტად უნდა ვიბრძოლოთ ჩვენი*

საკუთარი, დამოუკიდებელი ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების შესაქმნელად, რათა ისრაელთან მეტ-ნაკლებად თანაბარ პირობებში აღმოვჩნდეთ. სერიოზულად ლაპარაკს თანამშრომლობის შესახებ მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყებთ. მანამდე კი ჩვენი მათთან თანამშრომლობა შეიძლება ისრაელის პოლიტიკასთან კოლაბორაციაში გაითქვიფოს. (Said, 1995:37).

ასეთ პირობებში კონფლიქტების მოგვარების დარგის ზოგიერთი მოღვაწე, ისეთი თეორეტიკოსების მოსაზრებების გავლენით, როგორიც ენდრიუ ლინკლეიტერია (1998) ზოგადად კრიტიკული თეორიისკენ გადაიხარნენ, განსაკუთრებით კი იურგენ ჰაბერმასის დისკურსის ეთიკის გავლენის ქვეშ მოექცნენ, რადგან თვლიდნენ, რომ ასიმეტრიის შემთხვევაში მიზანშეწონილია ტრანსფორმაციული მიდგომის გამოყენება (Hoffman, 1987; Rothman, 1992: 72-73). ამის შედეგად შეიქმნა კონფლიქტის დისკურსული ტრანსფორმაციის მოდელი, რომლის მთავარი წანამძღვარი ასეთია: ქმედებები და ინსტიტუციონალური მოწყობა ლეგიტიმურია მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იმ ნებაყოფლობითი დისკურსიდან ყალიბდება, რომელშიც თავისუფლად მონაწილეობს მისი ყველა მხარე. ჰაბერმასი თვლის, რომ ასეთი სახის კომუნიკაციური ქმედება სრულ შესაბამისობაშია არგუმენტაციის თეორიასთან. თუ რატომ უნდა იყოს ასეთი კომუნიკაცია იძულებისგან თავისუფალი, ამას არგუმენტაციის ფორმალურ-პრაგმატული ბუნება გვკარნახობს. წინააღმდეგ შემთხვევაში არგუმენტი არგუმენტად ვეღარ ჩაითვლება და ჩვეულებრივი სტრატეგიული მანიპულაცია ან ძალის გამოყენება იქნება. „იდეალური სიტყვით გამოსვლის სიტუაცია“ (ideal speech situation) არის ის, როდესაც მიიღებენ იმას, რისკენაც მოუწოდებენ. ამ მხრივ საყურადღებოა ვივიენ ჯაბრის ნაშრომი (1996), რომელშიც იგი ჰაბერმასზე დაყრდნობით „ძალადობის დისკურსის“ კრიტიკას გვთავაზობს და „მშვიდობის დისკურსის“ თეორიულ საფუძველს ქმნის. ამ საკითხზე მე-19 თავში ვისაუბრებთ.

კულტურული მრავალფეროვნება

ამ პერიოდში „რელიგიურმა ომებმა“ „გლობალურმა ჯიჰადმა“, „ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართულმა გლობალურმა ომმა“ და სხვა მრავალმა მიზეზმა გარკვეული დაპირისპირება წარმოშვა (Huntigton, 1996), ალაპარაკდნენ „ცივილიზაციათა შეტაკების“ შესახებ და მეტი ძალისხმევა მიმართეს მის სამხილებლად და დასაძლევად.

კონფლიქტების მართვის და არა-ძალადობრივი სოციალური ცვლილებებისათვის საჭირო დიალოგის წარმოების მეთოდების ფართო სპექტრია მოცემული „ცვლილებების პიონერების მეგობრების“ მიერ წარმოებულ კვლევაში სახელწოდებით „კარტოგრაფიული დიალოგი“ (Pioneers of Change Associates, 2006 Mapping Dialogue (www.pioneer-sofchange.net)) (კვლევაში განხილულია ისეთი მიდგომები, როგორიცაა: Appreciative Inquiry, Change Lab, Deep Democracy, Future Search, Open Space, Scenario Planning, Sustained Dialogue, World Café, Bohmian Dialogue, Learning Jourveys, და ა.შ). კულტურული და რელიგიური უთანხმოებით გამოწვეული კონფლიქტების მართვის საშუალებების განხილვისას მრავალი მკვლევარი ჰანს-გეორგ გადამერის ფილოსოფიის გავლენის ქვეშ მოექცა და მის მოსაზრებათა გამოყენებას ინტერკულტურულ დიალოგში ცდილობს (Malpas et al., 2002). გადამერისთვის დიალოგი კულტურული და ისტორიული განსხვავებების ფონზე მიმდინარე „ჰორიზონტთა შედუღებაა“. ასეთ დიალოგს „ჰერმენავტიკული დიალოგი“ ეწოდება, რადგან იგი საუბარს და ტექსტების ინტერპრეტაციას შორის ავლებს პარალელს. გადამერისთვის უცხო ტექსტის ინტერპრეტაცია ერთგვარ დიალოგს ნიშნავს ობიექტსა და ინტერპრეტატორს შორის. კონფლიქტების მოგვარებაში კი ასე არ არის. აქ საუბრის, ანუ დიალოგის დროს, ტექსტის

ინტერპრეტაციას ახდენს ორივე მხარე, რაც ნიშნავს, რომ დიალოგი აღარ ეფუძნება ურთიერთ სიმპათიას (თავის ერთმანეთის ადგილას დაყენება, Rogers, 1980:142), ასეთ დროს მხარეთა შორის „ემპათიური ურთიერთობა“ მყარდება, რაც უფრო დინამიკურ და პროდუქტიულ პროცესს წარმოადგენს. ინტენსიური ინტერპერსონალური ურთიერთობისას, რომელიც ემოციურიცაა და კოგნიტიურიც, მხარეები საერთო აზრამდე მიდიან, რასაც ზოგჯერ 'მესამე კულტურას“ უწოდებენ (Broome, 1993). ეს მეთოდი გადამერის „სიმართლისა და მეთოდის“ (Truth and Method) მიდგომას ეხმიანება. ურთიერთგაგების მისაღწევად აუცილებელია გავცდეთ „რეკონსტრუქციის ფარგლებს“

ბენჟამენ ბრუმი ამ „დიალოგურ ატიტუდებს“ კონფლიქტების მოგვარების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს:

მესამე კულტურა მხოლოდ ისეთი ურთიერთობიდან ყალიბდება, სადაც მონაწილეებს ნამდვილ დიალოგში ჩართვა და ამ პროცესში გაჩენილ ახალ მოთხოვნებზე რეაგირება სურთ. ურთიერთობითი ემპათიის არსს მესამე კულტურის გაჩენა წარმოადგენს, რაც კონფლიქტების წარმატებით მოგვარებისთვის აუცილებელია. (Broome, 1993:104).

აღნიშნულის გამო მონაწილეებს ბევრი რამ მოეთხოვებათ; მათ სუბიექტივზმი უნდა დაძლიონ და გააცნობიერონ, რომ „ჰორიზონტების შედუღებამ“ და ემპათიურმა ურთიერთობებმა რაღაც ახალი, მანამდე არარსებული უნდა შვან (მესამე კულტურა). საკუთარი იდენტობები ცენტრალურად არ უნდა წარმოიდგინონ. როგორც სტიუარტი და ტომასი აღნიშნავდნენ, ნაცვლად იმისა, რომ ეცადონ მიაღწიონ რაღაც ისეთს, რაც იქნება „უდავო“ და კონტროლს ჩაუგდებთ ხელში, ისინი „შეურიგებელ ჰორიზონტებს“ შორის არსებული დაძაბულობის მიღებას უნდა დათანხმდნენ, და „ხალისით“ და გახსნილი გონებით მიიღონ „მეორე“, რაც მათთვის მანამდე შეუცნობელი იყო (Stewart and Thomas, 2006:198). ამაზე ვისაუბრებთ მე-15 თავში.

ურჩი კონფლიქტები

და ბოლოს კომუნიკაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ეგრეთ წოდებული ურჩი კონფლიქტები. ურჩია კონფლიქტი, რომელიც მისი გადაწყვეტისა და ტრანსფორმაციისკენ მიმართულ ძალისხმევას არ ემორჩილება და ხშირად მრავალი წლის განმავლობაში გრძელდება (Kriesberg, et al., 1989; Crocker et al., 2005). იმის გამო, რომ კონფლიქტების ტრადიციული მოგვარების მეთოდების გამოყენების მცდელობა ხშირ შემთხვევაში წარუმატებელი იყო ხოლმე, გაიმ და ჰეიდი ბურგესმა „კონსტრუქციული კონფრონტაციის“ მეთოდოლოგია შეიმუშავეს (1996, 1997). მათი ვებგვერდი: http://www.beyondintractability.org ჩინებულ მასალას იძლევა ურჩი კონფლიქტების მნიშვნელობის ჩასაწვდომად და მათი მოგვარების გზების საძიებლად. ბერნარდ მეიერი გვირჩევს, რომ ჯიუტი და ხანგრძლივი კონფლიქტების შემთხვევაში „მათთან უნდა დავრჩეთ“; იგი კონფლიქტების მოგვარებასა და კონფლიქტების ტრანსფორმაციას მიჯნავს „კონფლიქტის მართვისაგან“ (conflict engagement). ოსლოს პროცესის მარცხის შემდეგ გაჩაღებული ისრაელი-პალესტინის ურჩი კონფლიქტის ფესვებს ოლივერ რამსბოტამი (2010) „რადიკალური უთანხმოების“ ფენომენისადმი ლინგვისტურ სიურჩეში ხედავს. იგი თვლის, რომ ასეთ სიტუაციბში, რადიკალური უთანხმოების ტრანსფორმირება კონფლიქტის მოგვარების ჩვეული გზებით არ უნდა ვეცადოთ, არამედ იგი უფრო სერიოზულ ფენომენად უნდა აღვიქვათ და „აგონისტური დიალოგის“ (მტრებს შორის დიალოგი)

დასკვნა

ამ თავში კონფლიქტების მოგვარების ტრადიციის იმ მრავალფეროვან ბუნებაზე ვისაუბრეთ, რომელიც სხვადასხვა დისციპლინებშია ფესვგადგმული და მოიცავს: „სუბიექტურ“ კონტროლირებად კომუნიკაციას და პრობლემათა გადაწყვეტის მეთოდს, „ობიექტურ“ რაციონალური მოლაპარაკება/მედიაციის მეთოდს და „სტრუქტურალისტურ“ სოციალური სამართლიანობის მეთოდს. აღვნიშნეთ ისიც, რომ ეს სამეული შესაბამისობაშია კონფლიქტის სამკუთხედის სამ ფერდთან - „დამოკიდებულება“, „ქცევა“ და „წინააღმდეგობა“. კონფლიქტების მოგვარებით თავდაპირველად ადამიანთა გარკვეული ჯგუფები დაინტერესდა, რომლებიც კონკრეტულ ცენტრებში საქმიანობდნენ, დღესდღეობით კი არსებობს კონფლიქტების კვლევის საერთაშორისო ქსელი, რომელშიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები და პრაქტიკოსები საერთო მიზნით საქმიანობენ - და ქმნიან, იყენებენ და სცდიან ძალადობრივი და დამანგრეველი კონფლიქტების პრევენციის, მართვის, დასრულებისა და ტრანსფორმაციის სტრუქტურებსა და მეთოდებს. კონფლიქტების მოგვარება საზოგადოებას განსაზღვრულ საბოლოო მიზნებს არ უდგენს და არც კონკრეტულ გადაწყვეტილებებს სთავაზობს; მისი ამოსავალი დებულება, რომელსაც ეჭვ ქვეშ აყენებენ რეალისტები, ასეთია: ძალადობრივი კონფლიქტები, სადაც ერთი მხარე იგებს და მეორე აგებს, მიუღებლად ძვირი უჯდებათ როგორც კონფლიქტის მხარეებს ასევე მსოფლიო საზოგადოებასაც. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სტატუს ქვოს მხარეზე უნდა დავდგეთ, რადგან უსამართლო და ჩაგვრაზე აგებული სისტემები ძალადობისა და ომების მთავარ წყაროს წარმოადგენს. არც იმას ნიშნავს, რომ სხვებს თავს უნდა მოვახვიოთ კონფლიქტის მოგვარების კატეგორიები. კონფლიქტების მოგვარება კრიტიკულ და პოსტ-სტრუქტურული მიდგომებიდან გამომდინარეობს. კონფლიქტების მოგვარება რეალური ან პოტენციურად ძალადობრივი კონფლიქტების პოლიტიკური და სოციალური ცვლილების მშვიდობიან პროცესად გარდაქმნას გულისხმობს. ამ წიგნის დარჩენილი ნაწილი ძირითადად კონფლიქტების მოგვარების სპეციალისტების მეოთხე თაობის საქმიანობას ეძღვნება, რომლებსაც ცივი ომის დასრულების შემდეგ სრულიად შეცვლილ გარემოში უხდებათ საქმიანობა. შემდეგ ორ თავში თანამედროვე კონფლიქტების ბუნებასა და წყაროებზე ვისაუბრებთ, რაც მომდევნო თავებისთვის ერთგვარ ანალიტიკურ საფუძველს მოამზადებს.

რეკომენდირებული საკითხავი მასალა

Dunn, (1995); Kriesberg, (1997); Kriesberg (2009); Lawler (1995); Ramsbotham (2010: ch. 3); Vayrynen, (1991).

თავი მესამე

მომაკვდინებელი ომების სტატისტიკა და მშვიდობის გაზომვა

ხომ გონივრული იქნება მშვიდობის მეცნიერებასაც ისეთივე მდიდარი და ძლიერი სკოლები ჰქონდეს, როგორც მისი უფროსი დის, ომის მეცნიერების შემთხვევაში გვაქვს?
(Raphael Dubois, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე)

არსებობის პირველივე წლებიდან კონფლიქტების მოგვარების მკვლევრები კონფლიქტის მონაცემთა წინასწარ ანალიზს მიმართავდნენ. ეს „კონფლიქტების მოგვარების ჟურნალის“ 1957 წლის ნომერშიც ჩანს, სადაც ორივე - ბოულდინგიცა და რაიტიც მონაცემთა გლობალური სადგურის შექმნის იდეით გამოდიან; ამ სადგურებს განგაშის ზარები უნდა ჩამოეკრათ და მსოფლიო საზოგადოებისთვის წინასწარ ეცნობებინათ იმ სიტუაციების შესახებ, რომლებიც შეიძლებოდა სრულმასშტაბიან ომებში გადაზრდილიყო. ამ თავში „მომაკვდინებელი ომების სტატისტიკას“ განვიხილავთ; ამ ტერმინს რიჩარდსონს დავესესხებით მისი სიკვდილის შემდეგ (1960ბ) გამოქვეყნებული სტატიიდან, რომელმაც იმ დროინდელი კონფლიქტოლოგების დიდი დაინტერესება გამოიწვია. სწორედ ამ მოსაზრებებით ვიხელმძღვანელებთ იმ თავში, რომელშიც კონფლიქტების ანალიზს განვიხილავთ. პირველ რიგში დავადგენთ, რა სტატისტიკური მონაცემები არსებობს ფართომასშტაბიანი კონფლიქტის მოდელების შესახებ; ასევე განვიხილავთ რა მხრივ და როგორ დაიხვეწა სტატისტიკური მეთოდოლოგიები უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებულ ყურადღებას გავამახვილებთ „მშვიდობიანობის“ (მშვიდობის პოზიტიური განზომილება) გაზომვების მეთოდებზე და ასევე ომისა და ძალადობრივი კონფლიქტების არ-არსებობაზე (მშვიდობის უარყოფითი განზომილება). 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა გლობალური ტერორიზმის მიმართ უამრავი შეკითხვა გააჩინა, მაგრამ აშშ-ში ახალი პრეზიდენტის, ბარაკ ობამას, ადმინისტრაციის მოსვლამ საერთაშორისო კონფლიქტებისა და ტერორიზმის გარშემო მიმდინარე დებატების ბუნება შეცვალა. განვიხილავთ ტერორიზმის მოდელების შესახებ არსებულ ბოლოდროინდელ მონაცემებს და გავეცნობით მათ ინტერპრეტაციას ამ ახალ კონტექსტში.

კონფლიქტების დომენი (სფერო)

რა შეიძლება ჩაითვალოს რელევანტურ კონფლიქტად? კონფლიქტის მოგვარების ანალიტიკოსები ტრადიციულად კონფლიქტის ყველა დონეს განიხილავენ, დაწყებული ინტერპერსონალურიდან დამთავრებული საერთაშორისოთი, ასევე კონფლიქტების ესკალაციის და დეესკალაციის პერიოდებს. ამ წიგნში მხოლოდ რეალურ და პოტენციურ ძალადობრივ კონფლიქტებზე ვისაუბრებთ; მათ შორის განვიხილავთ სოციალურ კონფლიქტებს, სადაც მილიტარიზაციის იმდენად დიდი საფრთხე არსებობს, რომ ადგილობრივი პოლიცია ვერაფერს გახდება; ასევე ვისაუბრებთ სრულმასშტაბიან სახელმიწოთაშორის ომებზეც. განვიხილავთ როგორ იქმნება მშვიდობიანობის, ძალადობის და კონფლიქტების საზომთა მონაცემთა ბაზები, რაც ნიშნავს, რომ კონფლიქტების მოგვარებაში მათი მონაცემების გამოყენება შესაძლებელი იქნება. მათი მეშვეობით გაიზომება სამშვიდობო პრაქტიკის ისეთი პოზიტიური განზომილებები, როგორიცაა: მშვიდობის შენების გამოყენებითი პროგრამები, რაზეც საუბარი იქნება მე-5 თავში, ხოლო მაგალითებს კი მეცხრეში მოვიყვანთ.

კონფლიქტების მოგვარების დარგის გაჩენისთანავე რიჩარდსონმა თავის „მომაკვდინებელი

ომების“ მონაცემთა კატალოგში 1820 წლიდან 1949 წლამდე განვითარებული თითქმის ყველა საერთაშორისო და შიდა კონფლიქტი ჩართო. ტერმინში - „მომაკვდინებელ ომი“ იგი გულისხმობდა „ნებისმიერ ჩხუბს, რომელსაც ადამიანების სიკვდილი მოსდევს. იმ დროს ამ ტერმინში იგულისხმებოდა მკვლელობები, ბანდიტიზმი, ამბოხი, აჯანყება და მცირე და დიდი ომები.“ (1960ბ). სოროკინმა თავის კვლევაში (1937) ომებთან ერთად რევოლუციებიც შეიტანა. ამ ბოლო დროს ასეთ მონაცემთა კრებულები, მაგ., ECP (ბარსელონა), KOSIMO (ჰაიდელბერგი) და ყოველწლიური ანგარიშები (იხ. ქვემოთ) პოლიტიკური დაძაბულობის, ახლადდაწყებული კონფლიქტებისა და სრულმასშტაბიანი ომების დონეს ზომავენ. მაგალითად, 2008 წელს, ECP-მ აღნუსხა 80 „დაძაბული სიტუაცია“, რომლის განმარტებაც ასეთია:

> *ნებისმიერი სიტუაცია, რომელშიც გარკვეული ამოცანების ქონა ან სხვადასხვა აგენტების მიერ წამოყენებული გარკვეული მოთხოვნების ვერ-შესრულება პოლიტიკური და სოციალური მობილიზაციის მაღალ დონეს წარმოშობს და/ან ძალის ისეთი ინტენსივობით გამოყენებას იწვევს, რომელიც შეიარაღებულ კონფლიქტში არ გადადის. მათ შორის შეიძლება იყოს: დაპირისპირებები, რეპრესიები, სახელმწიფო გადატრიალებები, დაბომბვა ან სხვა სახის შეტევები. (ECP, 2009).*

საერთაშორისო კონფლიქტების კვლევის ჰაიდელბერგის ინსტიტუტი (HIIK) სქემატური სახით გვთავაზობს ახალ აღმოცენებულ და აშკარა კონფლიქტებს. 2008 წელს მათ აღრიცხეს კრიზისის 112 შემთხვევა, სადაც ძალადობის სპორადულ (არარეგულარულ) გამოვლინებას ჰქონდა ადგილი. (HIIK, 2009).

1950-იანი წლებში, ანუ საერთაშორისო კონფლიქტების შესწავლის „კლასიკურ“ პერიოდში, კონფლიქტების მოგვარება ძირითადად სახელმწიფოთაშორისი და მსგავსი ომების შესწავლით შემოიფარგლებოდა. 1960-იან წლებში მიჩიგანის უნივერსიტეტში ზინგერისა და სმოლის მიერ წამოწყებული „ომის კორელატების” ცნობილ პროექტში (Correlates of War (COW) საწყის წერტილად აღებული იყო 1816 წელი. პროექტში განხილული იყო „სახელმწიფოთაშორისი ომები“, რომლებსაც ისეთ კონფლიქტად განმარტავდა, რომელშიც „ომის თითოეულ მხარეს სახელმწიფოთაშორისი სისტემის სულ მცირე ერთი წევრი მაინც დგას; მას ჯამში საომარი მოქმედებებით გამოწვეული 1000 ან მეტი ადამიანის სიკვდილი მოსდევს.“ ასევე განხილული იყო „ექსტრა-სისტემური“ ომები (მაგ., იმპერიული ომები, კოლონიალური ომები და ინტერნაციონალიზებული სამოქალაქო ომები), რომლებსაც განმარტავდა როგორც ისეთ საერთაშორისო ომებს, რომლებშიც „მხოლოდ ერთ მხარეს დგას სახელმწიფოთაშორისი სისტემის ერთი წევრი; წელიწადში სისტემის წევრ მონაწილეთა მხრიდან საომარი მოქმედებისას დაღუპულთა რიცხვი საშუალოდ 1000 ან მეტ ადამიანს აღწევს“ (Singer and Small, 1972: 391-2).[1] „ომის კორელატების” პროექტმა 2002 წელს მიჩიგანის უნივერსიტეტიდან პენის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაინაცვლა; პროექტს პოლ დიელი ხელმძღვანელობს. მისი ვებგვერდი მონაცემთა მდიდარ წყაროს იძლევა; მოცემულია მონაცემთა 11 კატალოგი და კონფლიქტების კვლევების სხვა ცენტრებში არსებული მონაცემთა კატალოგების სია.

„ომის კორელატების” პროექტი და კონფლიქტების მონაცემების მუდმივი განახლება კონფლიქტების კვლევის სიჯანსაღეზე, სიმწიფესა და ამ მხრივ განხორციელებული კვლევების ფასეულობაზე მეტყველებს, არა მხოლოდ წმინდა მეცნიერული არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც. ვებგვერდზე ასევე განთავსებულია „უპსალას კონფლიქტების

მონაცემების პროგრამის“ მიერ შექმნილი ცნობარი, რომელშიც 2005 წლისთვის არსებულ მონაცემთა 60 მთავარი კრებულია აღნუსხული, რომელსაც თან ახლავს მითითებები იმის შესახებ თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს მონაცემები მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევებში. ცნობარის ავტორი ქრისტინ ეკი განმარტავს თუ რამდენად მნიშვნელოვანი და ფასეულია კონფლიქტების მონაცემები პოლიტიკოსებისთვის. სისტემატურად შეგროვილ კონფლიქტების მონაცემებში აღნუსხულია მიმდინარე კონფლიქტები და მონაცემთა ანალიზისათვის საჭირო ისეთი მასალაა მოცემული, რომელიც გარკვეული ტენდენციებისა და მოდელების არსებობაზე მიუთითებს; მათზე დაყრდნობით შესაძლებელია სამომავლო მოქმედებების სწორად დაგეგმვა; მაგ., დროული გაფრთხილებისა და პრევენციული ზომების მიღება, რაზეც ჯერ კიდევ „კონფლიქტების მოგვარების ჟურნალის“ 1957 წლის ნომერში იყო საუბარი (Eck, 2005) (იხ. მე-5 თავი). როგორც ეკი აღნიშნავს, ფრიად საყურადღებოა ისიც, რომ მონაცემთა ყველა არსებული კატალოგი 1990-იანი წლებიდან ცალსახად მიუთითებს ომების კლების ტენდენციაზე. ეს კატალოგები ერთმანეთისგან სრულად განსხვავებულია და სხვადასხვა მეთოდოლოგიის გამოყენებითაა შექმნილი, რაც ამ ტენდენციის არსებობას უდავოს ხდის (იქვე: 6). მათ საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მონაცემებს ომის ფატალური შედეგების კლების შესახებ.

საჭიროა, ვიცოდეთ და ვითვალისწინებდეთ იმ კონცეპტუალურ პარამეტრებს, რომელთა მიხედვითაც კონფლიქტების მონაცემები გროვდება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პარამეტრები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, „ომის კორელატების” მონაცემთა კატალოგის ამოსავალი წერტილი თავიდანვე რეალისტური, სახელმწიფო-ცენტრული მიდგომა იყო, სხვები კი სრულიად განსხვავებულ კონცეპტუალურ ბაზას ეფუძნება - მაგალითად კენდეს მიერ წამოწყებული და განტცელის შექმნილი (Cantzel and Schwinghammer, 2000) ჰამბურგის უნივერსიტეტის პროექტი (AKUF) საომარი მოქმედებებით გამოწვეულ სიკვდილს ერთ-ერთ ფაქტორად არ განიხილავს, რადგან ასეთ შემთხვევაში სხვა სახის ტანჯვა ყურადღების მიღმა რჩება, ამიტომ მათი თვალთახედვით ასეთი მონაცემები არასარწმუნოა და მათი გამოყენება არამიზანშეწონილია. ჰამბურგის უნივერსიტეტის პროექტი (AKUF) „ომის დაწყებას კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებას“ უკავშირებს და მიაჩნია რომ კონფლიქტი წარმოების და ეკონომიკის მონეტარიზაციის ახალი ფორმების განვითარების და სოციალური ინტეგრაციის ტრადიციული ფორმების განლევის შედეგია (Wallenstein, 2002b:22). ასევე განსხვავდება ვალენსტიინის „უპსალას უნივერსიტეტის კონფლიქტების მონაცემთა პროექტი“, რომლის ამოსავალ წერტილსაც „შეიარაღებული კონფლიქტის“ კონცეფცია წარმოადგენს, ხოლო ანალიზს კი კონფლიქტების მოგვარების თვალსაწიერიდან ახორციელებს. ჰამბურგის უნივერსიტეტის (AKUF) და „ომის კორელატების”(COW) პროექტებისაგან განსხვავებით, რომლებიც „აქტორებისა და მათი ქმედებების დადგენით კმაყოფილდებიან“ „უპსალას პროექტი“ „საჭიროდ მიიჩნევს, კონფლიქტის დროს არსებობდეს განსახილველი საკითხი და შეუთავსებლობა“ (Wallenstein, 2002a: 24). იგი დიდ შეიარაღებულ კონფლიქტს განმარტავს, როგორც „ორი ან მეტი მთავრობის სამხედრო ძალებს ან ერთ სამთავრობო და მინიმუმ ერთ ორგანიზებულ შეიარაღებულ ჯგუფს შორის მიმდინარე გახანგრძლივებულ ბრძოლას“ (რითიც მხედველობდან რჩება სპონტანური ძალადობა და უიარაღო მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა), „რომელსაც მოსდევს მინიმუმ 1000 ადამიანის სიკვდილი კონფლიქტის მთელი მიმდინარეობის განმავლობაში“ (SIPRI, 1997:17). დიდ შეიარაღებულ კონფლიქტებს კი ჰყოფს „გარდამავალ კონფლიქტებად“ და „ომებად.“ მცირე შეიარაღებულ კონფლიქტად კი მიიჩნევს მას, რომელშიც მოკლულთა საერთო რაოდენობა 1000-ზე ნაკლებია.

ჰამბურგის უნივერსიტეტის (AKUF), „ომის კორელატების” (COW) და „უპსალას“ პროექტები

განსხვავებულ შედეგებს აჩვენებს, რაც მათ მიერ გამოყენებული განსხვავებული თეორიული წანამძღვრების შედეგია, რაც, თავის მხრივ, ადასტურებს, რომ კონკრეტული მონაცემების გამოყენებამდე უნდა ვიცოდეთ რა წანამძღვრებს ეფუძნება კონკრეტული პროექტი. ამ თავში გამოყენებული სხვა მონაცემთა კატალოგებიც ასევე დივერჰენულია. მაგალითად, 1986 წელს დაწყებული მერილენდის უნივერსიტეტის საერთაშორისო განვითარებისა და კონფლიქტების მართვის ცენტრის პროექტი - „რისკ ქვეშ მყოფი უმცირესობათა ჯგუფები“ (CIDCM) ერთმანეთს ადარებს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილის უმცირესობათა 250 კომუნის პოლიტიკურ მისწრაფებებს და იმ ზომებს, რომლითაც ამ შემთხვევებში იარაღის გამოყენების აღკვეთა მოხდა. ასევე მოცემულია „ეთნონაციონალისტი ხალხების“ სიები, რომლებიც 1945-1990 წლებში იბრძოდნენ „შეიარაღებული ძალებით და აწარმოებდნენ რეგულარულ ან ხშირ კამპანიებს, რომელთა მიზანი რომელიღაც კომუნის ნაციონალური დამოუკიდებლობის მოპოვება ან მომიჯნავე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ, მონათესავე ჯგუფთან გაერთიანება იყო“. ამ პროექტში ასევე გათვალისწინებულია ტერორისტული და პარტიზანული სტრატეგიები (Gurr, 1995:5; 2000). მისგან განსხვავებით ბრაუნის უნივერსიტეტის პროექტში „ჰუმანიტარიანიზმი და ომი“ გათვალისწინებულია „კომპლექსურ ჰუმანიტარულ გადაუდებელ შემთხვევებში რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის“ შესახებ არსებული მონაცემები (Weiss and Collins, 1996).

მშვიდობისა და მშვიდობინობის გაზომვა

როგორც ამ თავის შესავალში აღვნიშნეთ, კონფლიქტების მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიაში ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ინოვაცია მონაცემთა ისეთი კატალოგების შექმნა იყო, რომელთა საშუალებითაც მშვიდობისა და მშვიდობიანობის გაზომვა მოხდებოდა. ახლა განვიხილავთ სამ მაგალითს იმ პოტენციალის საილუსტრაციოდ რომელიც ამ მიდგომას მშვიდობის დამყარებისა და მშვიდობის შენების საქმეში აქვს.

პირველი ჰეიდელბერგის უნივერსიტეტში შექმნილი KOSIMO-ს მოდელია (Conflict Simulation Model - კონფლიქტების სიმულაციის მოდელი), რომელსაც საერთაშორისო კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი იყენებს. KOSIMO-ს მონაცემთა კატალოგი „კონფლიქტების ბარომეტრთანაა“ დაკავშირებული, რომელშიც მოცემულია ძალადობრივი და არა-ძალადობრივი კონფლიქტების გამიჯვნისათვის საჭირო მონაცემები. ამ შემთხვევაში ცენტრალური არგუმენტი ასეთია: თუ გავითვალისწინებთ მხოლოდ აშკარად ძალადობრივ კონფლიქტებს - მაგ., საომარი მოქმედებებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებლის მიხედვით - მხედველობიდან გამოგვრჩება მშვიდობიანი გზით გადაწყვეტილი კონფლიქტები (იხ. მე-5 თავი). ლატენტური და ახლადწარმოქმნილი კონფლიქტების გათვალისწინება და იმ კონფლიქტების ჩართვა, რომელთა დეესკალაციაც კრიზისის მართვის არა-ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით განხორციელდა, საშუალებას მოგვცემს უფრო სრულყოფილად და ყველა ნიუანსის გათვალისწინებით შევისწავლოთ ის სტრატეგიები და პოლიტიკა, რომელთა საშუალებითაც მშვიდობის შენარჩუნებას ან აღდგენას შევძლებთ. (http://hiik.de/en/index.html; Pfetch and Rollof, 2000).

მეორე მაგალითად ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტის „ესკოლა დე კულტურა დე პაოს“ (Escola de Cultura de Pao (ECP)) კონფლიქტებისა და მშვიდობის შენების მონაცემთა კატალოგს მოვიყვანთ. მათ მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია მშვიდობის შენებისა და ჰუმანიტარული საქმიანობის დათვლას, აღნუსხვას და ტრეკირებას (ძიებას) გულისხმობს; მაგ., ითვალისწინებს სამშვიდობო მოლაპარაკებების სტატუსს, გაერთიანებული

ერების ორგანიზაციის მშვიდობის შენების კომისიის საქმიანობას, ემბარგოს იარაღზე, დემობილიზაციის სტატუსს, განიარაღებისა და რე-ინტეგრაციის (DDR) პროცესებს, და გაერო-სა და სხვა სამშვიდობო მისიების ყოფნას კონფლიქტის ზონებში. ჰეიდელბერგის მსგავსად, ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტის ECP პროექტი ყოველწლიურ და პერიოდულ ანგარიშებს აწარმოებს და შეგროვილ მონაცემებს აანალიზებს.[2]

მესამე მონაცემთა კატალოგი „გლობალური მშვიდობის ინდექსი" (Global Peace Index (GPI)) ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტს ეკუთვნის. შეიქმნა 2006 წელს. მის მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია ისეთი თვისობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორები, რომლითაც გაიზომება მშვიდობის გალტუნგისეული განმარტების ნეგატიური და პოზიტიური ასპექტები. პროექტის მიზანი ისეთი მონაცემთა კატალოგის შექმნაა, რომლითაც შესაძლებელი იქნება „მშვიდობის ფასეულობის შეფასება მსოფლიო ეკონომიკისთვის და იმ სოციალური სტრუქტურებისა და დამოკიდებულებების (ატიტუდს) გამოვლენა, რომელიც მშვიდობიანი საზოგადოების ბირთვს ქმნის." „გლობალური მშვიდობის ინდექსში" ოცდასამი რაოდენობრივი და თვისობრივი ინდიკატორია ჩართული; იგი 144 ქვეყნის მშვიდობის ინდექსს ადგენს. ინდიკატორები სამ დიდ კატეგორიად იყოფა და ზომავს არა მხოლოდ კონფლიქტის ხარისხს არამედ დემოკრატიული ღიაობის სხვადასხვა პროცესს, სოციალურ უსაფრთხოებას და კეთილდღეობას და 2006-2010 წლების მილიტარიზაციის დონეს. შემდეგ ამ ინდიკატორებს რაოდენობრივად გაზომილ მშვიდობის ისეთ პოტენციურ „დრაივერებს" (მამოძრავებელ ძალებს) ადარებენ, როგორებიცაა: დემოკრატიისა და ტრანსპარანტულობის ხარისხი, საერთაშორისო გახსნილობა, დემოგრაფია, განათლება, კულტურა და მატერიალური კეთილდღეობა.[3]იგეგმება „გლობალური მშვიდობის ინდექსის" პოლიტიკური ეკონომიკისა და კულტურული მშვიდობის განსამტკიცებლად გამოყენება, რისთვისაც მთავრობებს უნდა მიეცეს საშუალება „გაზარდონ თავიანთი სახელმწიფოების მშვიდობიანობა" (მიღებული შედეგები და მეთოდოლოგია სრულადაა აღწერილი http://visionofhumanity,org/gpi/).

„გლობალური მშვიდობის ინდექსი" და სხვა მსგავსი პროექტები ერთმანეთთან აკავშირებს მშვიდობის საზომ ინდიკატორებს და კონფლიქტების სტატისტიკას და აფართოებს კონფლიქტების დომენს, მშვიდობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების დაკავშირების გზით; არსებობს ისეთი პროექტები, რომლებიც კონფლიქტების დომენის კონსტრუქციული გაფართოების მიზნით ახალი კონფლიქტების წარმოქმნის პოტენციალს სწავლობენ. ამ ახალ ტენდენციათა შორის ყველაზე საყურადღებო ის მიდგომებია, რომლებიც კონფლიქტის დომენში კლიმატურ ცვლილებასაც რთავენ. როგორც ჯეიმს ლი აღნიშნავს, სამეცნიერო საზოგადოება თანხმდება კლიმატის ცვლილების რეალურობაზე, მაგრამ ამ მხრივ „მათ მნიშვნელოვნად ჩამორჩებათ ის კვლევები, რომლებიც სოციალურ არასტაბილურობასა და შესაძლო ძალადობრივ კონფლიქტებს შორის არსებულ ურთიერთობებს სწავლობენ." ანალიზში იგი დინამიკის კონვერგენციასა და კონფლიქტსა და კლიმატის ცვლილებას შორის არსებულ კავშირზე მსჯელობს და უახლოეს მომავალში მოსალოდნელად მიიჩნევს კლიმატის ცვლილებით განპირობებული გლობალური დაძაბულობის სარტყლის გაჩენას, რასაც დაძაბულობის ეკვატორულ და პოლარულ სარტყლებს უწოდებს. ამის შესახებ საუბარი გვექნება მე-12 თავში. ამჯერად კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ლი საჭიროდ მიიჩნევს კლიმატის ცვლილებასა და კონფლიქტს შორის არსებული ურთიერთობის უფრო სისტემურ გააზრებას. ამისათვის საჭირო გახდება კონფლიქტის კვლევის ტრადიციული ტიპოლოგიის გაფართოება და უფრო დახვეწილი და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი მეთოდოლოგიების შემუშავება, რომელთა საშუალებითაც გლობალური კლიმატის

ცვლილების მოდელში კონფლიქტის კვლევების მონაცემებიც შევა, რადგან კონფლიქტის მოდელების გააზრება კლიმატის ცვლილების მოდელების პარალელურად უნდა მოხდეს (Lee, 2009).

ზემოთ აღწერილი მეთოდოლოგიური ვარიაციებისა და იმის მიუხედავად, რომ მომავლის ტენდენციების განსაჭვრეტად კონფლიქტის დომენის გაფართოება უდავოდ საჭიროა, მონაცემთა ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი კატალოგები დღესდღეობით მიმდინარე დიდი, შეიარაღებული კონფლიქტების შესახებ თითქმის თანხმდებიან. ცხრილ 3.1.-ში მოცემულია აშშ-ს ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის „სისტემური მშვიდობის ცენტრის“ (the Center for Systemic Peace (CSP)) მონაცემები, რომლებსაც შევადარებთ „უპსალას კონფლიქტის მონაცემთა პროექტის“ (Uppsala Conflict Data Project (UCDP)) და ბარსელონას „ECP“ კონფლიქტებისა და მშვიდობის შენების მონაცემთა კატალოგის მონაცემებს.

ცხრილი 3.1 ქვეყნები, სადაც მიმდინარეობს დიდი შეიარაღებული კონფლიქტი 2008-2009

ადგილი	დაწყება	კონფლიქტის მხარეები	სიკვდილიანობა:
ბირმა, მიანმა	1948	ეთნიკური ომი: კარენი, შანი, სხვები	100,000
ინდოეთი	1952	ეთნიკური ომი: ასამი სეპარატისტები	25,000
ისრაელი	1965	პალესტინელი არაბები პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია (PLO)	21,500
ფილიპინები	1972	ეთნიკური ომი: მოროსები	50,000
კოლუმბია	1975	სამოქალაქო ძალადობა, მიწის რეფორმა, ნარკო ტრეფიკინგი, დაპირისპირება მემარჯვენე და მემარცხენე პარტიზანულ დაჯგუფებებს შორის (FARC vs. MAS/AUC)	55,000
სომალი	1988	სამოქალაქო ომი	1, 000,000
კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	1996	სამოქალაქო ომი: ჰუტუსი/ტუტსი ლუბა/ ლუნდე, იეკი	2, 500,000
ნიგერია	1997	კომუნური ძალადობა; დელტას პროვინცია, იჯაუ, იცეკირი	2,500
რუსეთი	1999	ეთნიკური ომი, ისლამისტი სეპარატისტები ჩრდილოეთ კავკასიაში: ჩეჩნეთი, დაღესტანი, ინგუშეთი	33,000
ავღანეთი	2001	სამოქალაქო ომი, თალიბანი	25,000
ინდოეთი	2001	მაოისტების ამბოხება: სახალხო ომის დაჯგუფება; მაოისტური კომუნისტური ცენტრი; სახალხო გამათავისუფლებელი პარტიზანული არმია	2,500
ერაყი	2003	სადამის შემდგომი პერიოდის რეჟიმის ცვლილება; სექტური ძალადობა; სუნები, შია, ქურთები, ალ-კაიდა.	1. 500,000
იემენი	2004	ალ-ჰუთის მიმდევრები სადააში	3,000
პაკისტანი	2004	პუშტუნები ფედერაციული ადმინისტრირების ტომობრივ ტერიტორიებზე	15,000
ტაილანდი	2004	მუსლიმი მალაიები სამხრეთ საზღვრისპირა რეგიონში (ნარასივატის, პატანის, სონხკლას და იალას პროვინციები)	3,500
თურქეთი	2004	ქურთული სეპარატიზმი	1,500
ჩადი	2005	ანტი-დების რეჟიმი FUC, UFDD და სხვა	2,000
მექსიკა	2006	მთავრობის მიერ განხორციელებული შეტევა ჩრდილოეთის ნარკო კარტელებისა და კორუმპირებული მოხელეების წინააღმდეგ.	13,500
ეთიოპია	2007	სომალი (ONLF) და ორომო (OLF) მებრძოლები ოგადენში	1,500
სუდანი	2009	კომუნის ძალადობა: ლო ნუერი და მერლი	915

წყარო: მონტი გ. მარშალი, სისტემური მშვიდობის ცენტრი HYPERLINK "http://www.systemic.peace.org/warlist.htm" www.systemic.peace.org/warlist.htm

3.1. ცხრილში მოცემულია ოცი ამჟამად მიმდინარე დიდი შეიარაღებული კონფლიქტი, რომლებიც ამ ცხრილში ასეთი პრინციპით მოხვდნენ: მოიცავენ სულ მცირე 500 კუმულაციურ „პირდაპირ გამომდინარე“ ფატალურ შემთხვევას და აღწევენ ისეთ ინტენსივობას, სადაც პოლიტიკურ ძალადობას სისტემატიური და რეგულარული ხასიათი აქვს (ბაზა გამოანგარიშებისათვის: 100 „პირდაპირ დაკავშირებული სიკვდილი წელიწადში“). შემთხვევები შესაძლოა იყოს ზოგადი ტიპის: სახელმწიფოთაშორისი, სახელმწიფოს შიგნით მიმდინარე ან საზოგადოებრივი; ასევე შეტანილია ყველა ტიპის ძალადობა - საერთაშორისო, სამოქალაქო, ეთნიკური, საზოგადოებრივი, გენოციდი და ომები. ნუსხაში შესულია 1946-2009 წლებში განვითარებული 315 კონფლიქტი. 3.1. ცხრილში ექვსი კონფლიქტი არ არის შეტანილი ამჟამინდელი კონფლიქტის სტატუსით, რადგან 2008 წლის მიწურულს ისინი მნიშვნელოვან დეესკალაციას განიცდიდნენ: ინდოეთი (ქაშმირი), პაკისტანი (სექტათაშორისი დაპირისპირება), აშშ (ერაყში შეჭრა და მსხვერპლი სამხედრო მოქმედებების შედეგად), სუდანი (სეპარატისტული ძალადობა დარფურში), ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (ამბოხებები ჩრდილო-დასავლეთსა და ჩღდილო-აღმოსავლეთში) და ჩადი (საზოგადოებრივი ძალადობა). დეესკალაციას განიცდიდა 18 სხვა კონფლიქტიც, მაგრამ არსებობდა მათი კვლავ დიდ შეიარაღებულ ძალადობად გადაქცევის საფრთხე: ანგოლა, შრი-ლანკა, უგანდა, ალჟირი, ბურუნდი, ნეპალი, ინდონეზია, კოტ-დ’ივუარი, საუდის არაბეთი, ჰაიტი, პაკისტანი (ბალუჩისტანი), ისარელი (ჰეზბოლა), კენია, ლიბანი, საქართველო/რუსეთი, კენია (ამომრჩეველზე ძალადობა), ნიგერია (ჯოსი, კონფლიქტი ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის) და ნიგერია (მუსლიმური ბოკო ჰარამის აჯანყება ჩრდილოეთში).

კატალოგში მოსახვედრად UCDP დაბალ ზღვარს იყენებს (საომარი მოქმედებებით გამოწვეული 25 ადამიანის სიკვდილი განსახილველ წელს); მან 2008 წელს 31 შეიარაღებული კონფლიქტი აღნუსხა, რაც ახლოსაა CSP-ს მიერ აღრიცხულ 26 კონფლიქტთან (2008) მაშინაც კი, როდესაც ეს უკანსკნელი ამ ნუსხაში შესატანად მაღალ ზღვარს (საომარი მოქმედებებით გამოწვეული 100 ადამიანის სიკვდილი) აწესებს. ECP -ს მონაცემებით კი 31 კონფლიქტი იყო (2008 წლის ნუსხა). მერილენდის „MAR” 2007 წლის ბოლოს 26 შეიარაღებულ კონფლიქტს აღნუსხავს (Hewitt, et al., 2010). ნათელია, რომ ეს მონაცემები, რომლებიც გულმოდგინედ და დაკვირვებითაა შეგროვილი, ზუსტი მეცნიერების პროდუქტი არ არის. როგორც ცნობილია, შეიარაღებული კონფლიქტები და მათი გავლენა ძნელი გასაზომია, რის გამოც მონაცემთა თითოეული კატალოგი საკმაოდ სადავოა ამა თუ იმ მხრივ. ამ ნუსხაში მოსახვედრი ზღვარი (მაგ.,საომარი მოქმედებებისგან გამოწვეული 25, 500 ან 1000 ადამიანის სიკვდილი) პირობითია; არ არსებობს რამე უნივერსალური სტანდარტი ან განმარტება. და რომც არსებობდეს, ამა თუ იმ კონფლიქტის ფატალური შედეგების ზუსტი დათვლა, თვით ისეთ მაღალ-ორგანიზებულ ომშიც კი, როგორიც ერაყის ომი იყო, საკმაოდ რთულია, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ ქაოტურ და მიყრუებულ ადგილებზე, როგორიცაა: სიერა ლეონე, რუანდა და აღმოსავლეთ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა. იქაური მონაცემები ფრიად სადავო და საკამათოა. მიუხედავად იმისა, რომ „ერაყის გვამების დათვლის პროექტში“ (The Iraq Body Count Project) დიდი გულისყურით შერჩეული და ტრანსპარანტული მეთოდოლოგია იყო გამოყენებული, იგი ომის კრიტიკოსთა მწვავე კრიტიკის საგანი გახდა, რომლებმაც განაცხადეს, რომ წარმოდგენილი მონაცემები დაბალია, თუმცა ისინი ვინც ამ ომს გამართლებულად მიიჩნევს თვლიან რომ მაჩვენებლები მეტისმეტად მაღლია. ასევე რთულია კონფლიქტების დაწყებისა და დასრულების მკაფიო წერტილების განსაზღვრა, რადგან ისინი დროგამოშვებით მშვიდდება და დეესკალაციას

განიცდის, შემდეგ კი მოულოდნელად კვლავ იფეთქებს ხოლმე. ამ ნაკლოვანებების მიუხედავად, ასეთი კატალოგების შექმნა კონფლიქტების მოგვარების დარგის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. მომავალში კონცეპტუალიზაცია, მეთოდოლოგია და ტექნოლოგიები მნიშვნელოვნად დაიხვეწება. კონცეპტუალურ დონეზე საჭიროა სიღრმისეული ინდიკატორების გამოყენება და მათი საშუალებით მრავლისმომცველი ინდექსების შექმნა როგორც კონფლიქტის დრაივერების (მამოძრავებელი ძალების) ასევე მშვიდობიანობის გასაზომად; საჭიროა მშვიდობის განმარტების ორი პოლუსის - პოზიტიური და ნეგატიური - გაერთიანება, რომელსაც გაერო-ს ტერმინოლოგიაში შიშისგან თავისუფლება (Freedom from Fear) (პირდაპირი ძალადობის არ-არსებობა) და საჭიროებისგან თავისუფლება (Freedom from Want) (ადამიანის უფლებებისა და მოთხოვნილებების პოზიტიური დაკმაყოფილება) ჰქვია. ინდიკატორების დადგენა და აწონვა კომპლექსურ ეთიკურ, პოლიტიკურ და მეთოდოლოგიურ პრობლემებს უკავშირდება. თუმცა, მოვლენები ისეთნაირად ვითარდება, რომ არსებული გამოწვევების გადაწყვეტა უკვე შესაძლებლად მიგვაჩნია.[4]

უკვე გამოჩნდა ისეთი სისტემების პირველი მაგალითები, რომლებიც რეალურ კონფლიქტებს ინტერნეტისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით ადევნებენ თვალს (ტრეკირებას ახდენენ). ასეთია უშაჰიდის კარტირების (mapping) პლატფორმა, რომელიც 3.1. ცხრილშია ახსნილი და რომელიც ინტერნეტის, როგორც კონფლიქტების მოგვარების ტექნოლოგიის, პოტენციალს ცხადყოფს. ეს თემა განხილულია მე-17 თავში.

ფოკუსი 3.1.“უშაჰიდის“ კარტირების პლატფორმა

„უშაჰიდი“, რაც სუაჰილის ენაზე ჩვენებას ნიშნავს, ვებგვერდია, რომელიც 2008 წლის დასაწყისში კენიის არჩევნების შემდგომ განვითარებულ მოვლენებში განხორციელებული ძალადობის ფაქტების გამოსამზეურებლად (იხ. მეხუთე თავში მოცემული სიტუაციის ანალიზი) შეიქმნა. მასში კრიზისის დროს ჩართულები იყვნენ კენიელი სამოქალაქო ჟურნალისტები. ვებგვერდს ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული ძალადობისა და მშვიდობის ძალისხმევის ფაქტების კარტირებისთვის იყენებდნენ; მისი წყარო კი ქსელისა და მობილური ტელეფონის საშუალებით მიღებული შეტყობინებები იყო. თავდაპირველად მას მხოლოდ კენიაში 45,000 მომხმარებელი იყენებდა, მოგვიანებით მიხვდენენ, რომ საჭირო იყო ისეთი პლატფორმის შექმნა, რომელსაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით სხვებიც გამოიყენებდნენ.

2008 წლის მაისისთვის, „უშაჰიდიმ“ საკუთარი კოდი სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთ ჯგუფს გაუზიარა, რომლებიც მას ქსენოფობიური ძალადობის ფაქტების შესახებ სასაუბროდ იყენებდნენ. 2008 წლის აგვისტოში „ჰუმანითი იუნაითიდისგან“ მიღებული საწყისი დაფინანსებით პლატფორმა განახლდა, 2008 წლის ოქტომბერში კი ალფა ვერსიის შექმნა დასრულდა, რომელიც ტესტირებისთვის კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას გადასცეს. ალფა ფორმით, „უშაჰიდმა“ ტესტირება გაიარა და 11 სხვადახვა ორგანიზაციას გადაეცა, მათ შორის „გარდამავალი სამართლის საერთაშორისო ცენტრს“ (International Center for Transitional Justice (ICTJ)), „მშვიდობის გმირებს“ (Peace Heroes) და „ადამიანის უფლებათა კენიის ეროვნულ კომისიას“ (Kenyan National Commission for Human Rights). ალფა ვერსია კიდევ ოთხს გადაეცა: ალ ჯაზირას, გაზას სექტორში ომის დროს, “ინდოეთის ამომრჩევლის ანგარიშს“ (Vote Report India) (ადგილობრივი არჩევნების მონიტორინგისათვის) და „პაკის ხმას“ “Pak Voices” (პაკისტანში განხორციელებული ძალადობის ფაქტების რეპორტაჟისთვის).

პროექტის მიზანი ისეთი პლატფორმის შექმნაა, სადაც ნებისმიერი ადამიანი და ორგანიზაცია ინფორმაციის შეგროვებასა და საკუთარი თვალით დანახვას შეძლებს. მთავარი პლატფორმა დამატებების საშუალებას იძლევა, რაც ნიშნავს, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ადგილას, საჭიროების მიხედვით. არსებობს ბეტა ვერსიაც, რომელიც ღია აპლიკაციაა, საიდანაც მომხმარებლები მის გადმოწერას შეძლებენ და მას კრიზისული სიტუაციების შესახებ შეტყობინების გასაგზავნად გამოიყენებენ. მას გამუდმებით იყენებენ, აუმჯობესებენ და ტესტირებას უტარებენ სხვადასხვა პარტნიორებთან ერთად, ძირითადად კენიაში.

წყარო: The USHAHIDI website, at www.ushahidi.com ასევე იხილეთ, iRevolution, the website of Patrick Meier, at http://irevolution.wordpress.com/

კონფლიქტების ტენდენციები

ზემოთ განხილულ მონაცემთა კატალოგებში მოცემული ინფორმაცია დიდი, შეიარაღებული კონფლიქტების რაოდენობრივი კლების ტენდენციაზე მიუთითებს. ყველა მათგანში ერთი მთავარი ტენდენცია იკვეთება - სახელმწიფოთაშორისი ომების რაოდენობა მცირდება. ჰოლსტის აზრით, შედარებით გრძელვადიანი დროის ჩარჩოში განხილვისას და 1918-

1945 წლებისა და 1945-1995 წლების მონაკვეთების შედარებისას ცხადი ხდება, რომ ბოლო ასი წლის განმავლობაში ერთ წელსა და ერთ სახელმწიფოზე გაანგარიშებით სახელმწიფოთაშორისი ომები სტაბილურად იკლებს (1996:24). მეოთხე თავში ვისაუბრებთ იმაზე, რომ მთავარი გარდატეხა ცივი ომის დასრულებამდე მოხდა და არა მის შემდეგ, თუმცა 1989 წელის შემდეგ სახელმწიფოთაშორისი ომების შემცირებამ ზღვარს მიაღწია. 1993 და 1994 წლებში არცერთი სახელმწიფოთაშორისი ომი არ მომხდარა. 1995 წელს ადგილი ჰქონდა მხოლოდ მცირე სასაზღვრო დავებს პერუსა და ეკვადორს შორის, ხოლო 1996 წელს კი გამწვავდა ინდოეთსა და პაკისტანს შორის მიმდინარე ხანგრძლივი დავა ქაშმირის გამო (Wallensteen and Sollenberg, 1997; SIPRI, 1997:17). 2002 წელს მხოლოდ ერთი სახელმიწფოთაშორისი ომი მოხდა, ასევე განხორციელდა უცხოური ინტერვენცია ანგოლაში, კონგო-ბრაზავილსა და ავღანეთში (Eriksson et al., 2003: 594-595). 2003 წელს ადგილი ჰქონდა ერაყში შეჭრას. 2004-2008 წლებში არ ყოფილა არცერთი სახელმიწფოთაშორისი ომი, მაგრამ ეს ოთხწლიანი ანტრაქტი ჯიბუტსა და ერტიტრეას შორის გაჩაღებულმა კონფლიქტმა დაარღვია; UCDP-ის მონაცემებით, ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი, სახელმწიფოთაშორისი ომების გარეშე (Harbom and Wallensteen, 2009). რა თქმა უნდა, „სახელმიწფოთაშორისი ომების საბოლოოდ დასრულებაზე“ ლაპარაკი ჯერ ნაადრევია, რადგან ჯერაც საომარი ვითარებაა რუსეთ-საქართველოს შორის, არასტაბილური მდგომარეობაა ქაშმირში, გრძელდება დაძაბულობა ჩინეთსა და ტაივანს შორის, ისრაელსა და ჰესბოლას შორის ლიბანში ასევე ირანში, ასევე დაძაბულია ურთიერთობა აშშ-სა და ირანს და ჩრდილოეთ კორეას შორის. ამ წიგნში კონფლიქტების მოგვარებას უპირველეს ყოვლისა არა-სახელმწიფოთაშორისი ომების მაგალითზე განვიხილავთ.



წყარო: Harbom and Wallensteen, 2009 Armed Conflict 1948-2009, Journal of Peace Research 46 (4) 577-587

ნახაზი 3.1. შეიარაღებული კონფლიქტების რაოდენობა ტიპების მიხედვით, 1946-2008 წწ.

მართალია, საერთაშორისო (სახელმიწფოთაშორისი) ომების რაოდენობა მცირდება, მაგრამ „უპსალას“ მონაცემები, (რომლებიც სრულ შესაბამისობაშია ყველა სხვა მონაცემთა კატალოგთან) 1990-იან წლებიდან „კონფლიქტის ახალი მოდელის“ წარმოშობაზე მეტყველებს. ეს კონფლიქტები „სახელმწიფო ხელისუფლებას ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს“, მათ შორისაა სახელმწიფოდან გამოყოფისათვის მიმდინარე ბრძოლები, რაც სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას უქმნის საფრთხეს (ყოფილი იუგოსლავია, ჩეჩნეთი); ასევე გახშირდა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლები, რაც ასევე შეიძლება ხელისუფლების დანაწევრების მიზეზი გახდეს და თანაც ისე, რომ სრული კონტროლი არცერთი აქტორის ხელში არ იყოს (ლიბერია, სომალი) (Wallensteen and Axell, 1995: 345). „უპსალას“ უკანსკნელი კვლევის მიხედვით, 2008 წელს (2003 წელთან შედარებით რაოდენობრივი ზრდის მიუხედავად) კონფლიქტების რაოდენობა 1992 წლის მონაცემების მხოლოდ ორ-მესამედს შეადგენს. 36 აღნუსხული კონფლიქტიდან მხოლოდ ხუთმა გადააჭარბა საომარი მოქმედებებით გამოწვეული სიკვდილის 1000 კაციან ზღვარს. ეს ნამვილად უპრეცედენტოდ დაბალი მაჩვენებელია; ამ დროს 1988 და 1991 პიკურ წლებთან შედარებით მაღალი ინტენსივობის შეიარაღებული კონფლიქტები (ომები) ორი-მესამედით იყო შემცირებული (Harbom and Wallensteen, 2009) (იხ. ნახაზი 3.1).[5]

მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული კონფლიქტების კლების ტენდენცია თვალნათლივ იკვეთება, სურათი ცალსახა ნამდვილად არ არის. მაგალითად, 2001 წელს ტედ გურმა და მისმა გუნდმა (მერილენდის უნივერსიტეტის საერთაშორისო განვითარებისა და კონფლიქტების მართვის ცენტრიდან) კონფლიქტების ტენდენციების სისტემატიური ანალიზი დაიწყეს. „უპსალასა“ და სხვათა მსგავსად, მათაც დაადგინეს, რომ 1991 წლის პიკურ პერიოდთან შედარებით გლობალური კონფლიქტების კლების ტენდენცია ცალსახაა, მაგრამ ბოლოდროინდელი ფაქტები (რაც ასევე დასტურდება UCDP-ის მონაცემებით) 2007 წლიდან შეიარაღებული კონფლიქტების აღმასვლის ტენდენციაზე მიუთითებს. ტედ გურმა და მისმა გუნდმა დაადგინეს „კონფლიქტის სინდრომი“ და შენიშნეს, რომ კონფლიქტების გაღვივების შესაძლებლობა იკვეთება იქ, სადაც ისინი აქამდე მიძინებულ მდგომარეობაში იყო. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში 39 აქტიური კონფლიქტიდან მხოლოდ რვა იყო ახალი, 31 კი თავიდან გაღვივდა (resurgent) მიუხედავად იმისა, რომ სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში მიძინებული იყო. ეს მოდელი კონფლიქტის შემდგომი რეკონსტრუქციისა და მშვიდობის შენების გამძლე გეგმების შექმნის საჭიროებაზე ცალსახად მიუთითებს, რაზეც მე-8 და მე-9 თავებში ვისაუბრებთ (Hewitt, et al., 2010:1).

აქედან გამომდინარე, დიდი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ კონფლიქტების სტატისტიკური მაჩვენებლების ინტერპრეტაციას, ხოლო მათი ექსტრაპოლაციისას კი განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. თუმცა, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ ყველა ფაქტი კონფლიქტების კლების ტენდენციაზე მიუთითებს, რაც ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს. შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევების კლების ერთ-ერთ მიზეზად, ნაწილობრივ მაინც, შეიძლება ჩაითვალოს კონფლიქტებისა და მშვიდობის მიზეზების შესახებ მეტი ცოდნის არსებობა და ეგრეთ წოდებული „საერთაშორისო აქტივიზმი“. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთმა ბოლოდროინდელმა კვლევამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ის მონაცემები, რომლებსაც კონფლიქტების კლების შესახებ გაკეთებული განცხადებები ეფუძნება. მაგალითად, ობერმეიერს, მურეისა და გაკიდუს 2005 წლის „ოსლოს მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის“ (PRIO) მიერ გამოქვეყნებული კვლევის მონაცემები მოჰყავთ, რომელიც ცხადყოფს, რომ 1946 – 2002 წლებს შორის პერიოდში საომარ მოქმედებებთან

დაკავშირებული სიკვდილის რაოდენობა მსოფლიოს მასშტაბით 90 პროცენტით შემცირდა. მათი განცხადებით, ეს მონაცემები სერიოზულად დამახინჯებულია და ასეთი ოპტიმისტური ექსტრაპოლაცია გაუმართლებელი და მცდარია (Obermeyer et al., 2008). თუმცა PRIO-ს (რომლის მიერ გამოყენებული მონაცემები UCDP-ის მონაცემებთან შესაბამისობაშია) კვლევის ავტორები თავის მხრივ, ობერმეიერისა და მისი კოლეგების კვლევის მონაცემებს აყენებენ ეჭვ ქვეშ და აცხადებენ, რომ მასში მთელი რიგი მეთოდოლოგიური შეცდომებია, რის მიზეზადაც მათ მიერ გამოყენებული მასალის სიმწირეს ასახელებენ (13 ომგამოვლილი ან საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყანა) მაშინ, როდესაც PRIO-ს მონაცემთა კატალოგი 202 ქვეყნის მონაცემებს შეიცავს. რა თქმა უნდა, მიღებული შედეგების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება კონსტრუქციულად უნდა ჩავთვალოთ და მეთოდოლოგიების განახლებასა და ადაპტაციაზე ვიზრუნოთ, მაგრამ ისიც აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებული მონაცემთა კატალოგები საკმაოდ ჯანსაღი და მრავალფეროვანია, რის საფუძველზეც შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ისინი იმ ძლიერ რესურსს წარმოადგენენ, რომელზე დაყრდნობითაც მშვიდობისა და კონფლიქტის კვლევების თეორიისა და პრაქტიკის განვითარება იქნება შესაძლებელი.[6]

კონფლიქტის განაწილება

მრავალთა აზრით, ცივი ომის დასრულების შემდეგ კონფლიქტის რეგიონალურმა მოდელებმა გაცილებით მეტი მნიშვნელობა შეიძინა, რის გამოც უკანასკნელ წლებში ერთმანეთს ადარებენ სხვადასხვა რეგიონების კონფლიქტების მახასიათებლებს.[7]ასეთი კვლევების მიზანი ისეთი სანდო სტატისტიკური ბაზის შექმნაა, რომლის საფუძველზეც ერთმანეთისაგან გაიმიჯნება „მშვიდობისა“ და „ომის ზონები“ (Kacowics, 1995). გვთავაზობენ უამრავ განსხვავებულ თვალსაზრისს. მაგ., ჰოლსტი (1996, თავი 7) დაჩი (1954), ვეიურინენი (1984) და ბუზანი (1991) ერთმანეთისგან განასხვავებენ „პლურალისტულ უსაფრთხო საზოგადოებებს“, რომლის წევრ სახელმწიფოებს შორის ომის გაჩაღების სერიოზული საფუძვლები არ არსებობს, (მაგ., ჩრდილოეთ ამერიკა, ანტიპოდები, დასავლეთ ევროპა), „მშვიდობის ზონებს“ ისეთ სახელმწიფოთა შორის როგორიცაა კარიბის კუნძულები და სამხრეთ წყნარი ოკეანე; „არა-საომარ ზონებს“, მაგ., სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია და (ალბათ) აღმოსავლეთ აზია; და ბოლოს „ომის ზონებს“ როგორებიცაა: აფრიკა, ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, ახლო აღმოსავლეთი, ცენტრალური ამერიკა, სამხრეთ აზია და ბალკანეთის ნახევარკუნძული.

კონფლიქტების მოგვარების დარგისთვის მნიშვნელოვანი და რელევანტურია ერთმანეთისგან განასხვავოს რეგიონალური „უსაფრთხო რეჟიმები“, რომლებიც სტაბილური სახელმწიფოთაშორისი კავშირებით ხასიათდება და რომელთა რიგებსაც განეკუთვნება: „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია“ (the Association for South-East Asian Nations (ASEAN)), „უსაფრთხო საზოგადოებები“, რომლებიც ფართო-მასშტაბიან ძალადობას თავს არიდებენ (როგორც ეს ჩრდილოეთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში ხდება) და შედარებით მერყევი და კონფლიქტებისადმი მიდრეკილი რეგიონები. ამ შემთხვევაში რეგიონალური ვარიაციები საკმაოდ თვალშისაცემია, მაგ; 1941 წლის შემდეგ, სამხრეთ ამერიკაში (მისი მშფოთვარე წარსულის მიუხედავად) სახელმწიფოთაშორისი ომები რატომღაც აღარ ხდება (Holsti, 1996: 150-82). 1990-იანი წლების შემდეგ ძალადობრივი კონფლიქტის დონე იკლებს სამხრეთ აფრიკაში, მაგრამ არა „დიდი ტბების“ რეგიონში. რატომ ხდება ასე? გეოგრაფიულ მდებარეობას რომ თავი დავანებოთ, განვითარებული

ქვეყნების ფარგლებში ან მათ შორის მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების ბუნებაში ხომ არ არსებობს ისეთი რაოდენობრივი თუ თვისებრივი თავისებურებები, რომელიც მათ ეგრეთ წოდებულ „მესამე მსოფლიოს“ ან პოსტკოლონიალური ქვეყნების კონფლიქტებისგან განასხვავებს? ხომ არ დომინირებს რომელიმე კონკრეტული ტიპის კონფლიქტი ამა თუ იმ რეგიონში? (იხ. რუკა 3.1.).

ასევე მნიშვნელოვანია კონფლიქტების ლოკალური ვარიაციების გათვალისწინება, რომლებსაც დღესდღეობით GIS-ის მონაცემების მიხედვით იკვლევენ. კონფლიქტურ მოვლენებს კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილს და თარიღს აკუთვნებენ და შემდეგ ადგილობრივ გეოგრაფიულ ფაქტორებს (მთები, მდინარეები, ტყეები და ა.შ.) უკავშირებენ. ასეთი მიდგომა ანალიტიკოსებს საშუალებას აძლევს უკეთ დააკვირდნენ რეგიონალურ და მიკრო-დონეზე მიმდინარე დინამიკას. ასეთი მიდგომა კონფლიქტების კვლევას ახალი პერსპექტივიდან დაგვანახებს და მეტი ნიუანსის გათვალისწინების შესაძლებლობას მოგვცემს (Buhaung and Gates, 2002; Kalyvas, 2006).

კონფლიქტის ტიპები



მინიშნება: მონაცემები ასახავს ინტერნაციონალიზებულ კონფლიქტებს (მუქი ოთხკუთხედები), შიდა კონფლიქტებს (ღია ფერის ოთხკუთხედები), სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებს (ღია ფერის წრეები), სახელმწიფოს გარეთ მიმდინარე კონფლიქტებს (მუქი წრეები).

წყარო: PRIO CSCW მონაცემები მოცემულია ViewConflict (კონფლიქტების კარტირების პროგრამა) http: www.svt.untun.no/geo/forsking/konflikt/viewConflicts /download/disturb_version).

რუკა 3.1 შეიარაღებული კონფლიქტების განაწილება, 1946-2004 წწ.

ფოკუსი 3.2 კონფლიქტის ტიპოლოგიები: შედარება

ზინგერისეული კონფლიქტის ტიპოლოგია (1996: 43-7) კონფლიქტის მხარეების პოლიტიკურ სტატუსს ეფუძნება. იგი ინარჩუნებს თავდაპირველ განსხვავებას ა) სახელმწიფოთაშორის ომებსა და ბ) ექსტრა-სისტემურ (ძირითადად) კოლონიალურ ომებს შორის, მაგრამ ასევე უმატებს არა-სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტის კიდევ ორ კლასს: გ) სამოქალაქო კონფლიქტებს, რომლებშიც ბ-სგან განსხვავებით ერთი პროტაგონისტი შეიძლება იყოს „სახელმწიფოს აღიარებულ ფარგლებში მოქმედი მეამბოხე ან რევოლუციური ჯგუფი“ და (დ) ყოფილი კოლონიების სახელმწიფოს ფარგლებში „მიმდინარე მზარდი კომპლექსურობის ომებს“, სადაც პრობლემა შეიძლება სათავეს იღებდეს „კულტურულად გამოკვეთილი ჯგუფებისგან, რომელთა წევრებიც საკუთარ თავებს ერთმანეთთან და ჯგუფთან აიგივებენ საერთო რასობრივი, ეთნიკური, ლინგვისტური, რელიგური ან ნათესაობრივი ნიშნით“. ამ ტიპოლოგიას ჰოლსტიც (1996:21) იზიარებდა. უფრო ადრე, 1989 წლამდე მიმდინარე საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორის) კონფლიქტებს იგი ოცდაოთხი საკითხის მიხედვით ყოფდა, რომლებსაც ხუთ კომპოზიტურ კატეგორიად ანაწილებდა: ტერიტორიის, ეკონომიკის, ეროვნული სახელმწიფოს შექმნის, იდოლოგიისა და „ადამიანური თანაგრძნობის“ (ე.ი. ეთნიკურობა/რელიგია) გამო მიმდინარე კონფლიქტები. იგი ასკვნის, რომ პირველი ორ კატეგორიის კონფლიქტები მცირდება, ხოლო ბოლო სამისა კი იზრდება (1991: 306-34). მოგვიანებით მან აქცენტი არა-სახელმიწფოთაშორის ომებზე მიმართა და თავისი ტიპოლოგია „აქტორების და/ან ამოცანების ტიპებზე“ დააფუძნა, რის საფუძველზეც მიიღო ოთხი ტიპის კონფლიქტი: ა) სტანდარტული სახელმწიფო და სახელმწიფო ომები (მაგ. ჩინეთსა და ინდოეთში 1962 წელს) და შეიარაღებული ინტერვენცია, სადაც ადგილი ჰქონდა სიცოცხლის მნიშვნელოვან კარგვას (აშშ ვიეტნამში, სსრკ ავღანეთში), (ბ) ეროვნულ განმათავისუფლებეული დეკოლონიზაციის მიზნით წარმოებული ომები, გ) იდეოლოგიური მიზნებით მიმდინარე შიდა ომები (მაგ., სენდეროსო ლუმინოსო პერუში, მონტენერო ურუგვაიში) და დ) „სახელმწიფო-ერები ომები, მათ შორის ეთნიკური, ენობრივი და/ან რელიგიური ჯგუფების მიერ წარმოებული წინააღმდეგობა, რომლის მიზანიც ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოდან გამოყოფა ან სეპარაციაა“ (მაგ., ტამილი შრი-ლანკაში, იბოსი ნიგერიაში).

კონფლიქტების ტიპები ის საკითხია, რომელიც კონფლიქტების მოგვარების დარგში სადავოდ რჩება. უნდა გაიმიჯნოს თუ არა ერთმანეთისგან კონფლიქტების სხვადასხვა ტიპი, მათი მოგვარების ეფექტური და განსხვავებული მეთოდების შესამუშავებლად და გამოსაყენებლად? მართალია, სხვადასხვა კრიტერიუმებისა და ტიპოლოგიების მიხედვით შედგენილი უამრავი მონაცემთა კატალოგი არსებობს, მაგრამ 3.2. ცხრილში ჩვენ რამდენიმე ცნობილი კვლევის მონაცემების მიხედვით შედგენილ საკუთარ კომპოზიტურ, სამუშაო ტიპოლოგიას გთავაზობთ.

პირველ რიგში, ალბათ სჯობს კონფლიქტების ისტორიული და გეოგრაფიული „თაობები“ განვიხილოთ და არა ყოვლისმომცველი ტიპოლოგიები. ყველა დიდი კონფლიქტის ფესვები ისტორიულ წარსულში იღებს სათავეს, ხშირ შემთხვევაში რამდენიმე საუკუნის წინაა დაწყებული. მათ ემატება დაგროვილი „ხანგრძლივი მტრობა“, რომელთაგან მრავალი ჯერ კიდევ არ მოგვარებულა, თუმცა სათავეს პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ

დაწყებული რუსეთის, ავსტრო-უნგრეთისა და ოსმალთა იმპერიის დაშლის დროიდან იღებს (ამ სიას შეიძლება ჩრდილოეთ ირლანდიაც დავუმატოთ). ზოგი მათგანის ფესვები მეორე მსოფლიო ომის დასასრულს მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს უკავშირდება, ზოგის დეკოლონიზაციის პერიოდს (1950-იანი და 1960-იანი წლები), პოსტკოლონიალურ პერიოდს (1970-იანი და 1980-იანი წლები), ზოგიც საბჭოთა ბლოკის დაშლას (1990-იანი წლები). ახლა სავარაუდოდ ტერორისტული და ანტი-ტერორისტული კონფლიქტების ახალი თაობა დაიწყება.

მეორე - ალბათ უნდა გავითვალისწინოთ ზინგერის რჩევა იმის შესახებ, რომ კლასიფიკაციის სისტემა „რაც შეიძლება ათეორეტიკული“ უნდა იყოს, რადგან „კონკრეტული შეიარაღებული კონფლიქტებისთვის ტრადიციული იარლიყის მიკვრა, შესაძლოა, მისი ძალიან მარტივი ინტერპრეტაციის მცდელობა იყოს, რის შედეგადაც კატასტროფული საპასუხო რეაქცია და რეაგირება მივიღოთ“. ნაკლებ სავარაუდოა ისეთი ტიპოლოგიის შექმნა შევძლოთ, რომელიც „ლოგიკურად ამომწურავი, ყოვლისმომცველი, მოქმედების მხრივ ექსპლიციტური, სემანტიკურად თანმიმდევრული და არსის მხრივ სადარი“ იქნება (1996: 40, 48).

ფოკუსი 3.2.-ში ერთმანეთს შედარებულია კონფლიქტის ზინგერისეული და ჰოლსტისეული (1996) ტიპოლოგიები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ემთხვევა ერთმანეთს. ამ ნუსხიდან ამოვიღეთ ზინგერის „ექსტრა-სისტემური“ და ჰოლსტის „დეკოლონიზაციის ომები“, რადგან დეკოლონიზაციის ეპოქა თითქმის დასრულებულია. მეტ-ნაკლებად თანხმდებიან სახელმწიფოთაშორის კონფლიქტსა და არასახელმწიფო კონფლიქტთა ორ ტიპს შორის - რევოლუცია/იდეოლოგია კონფლიქტი არსებულ განსხვავებაზე (ზინგერისა და ჰოლსტის (c) ტიპი იდენტობა/გამოყოფა კონფლიქტი (ზინგერისა და ჰოლსტის ტიპი (d)). ასეთი მიდგომა ნაწილობრივ ჩანს ზემოთ აღნიშნულ „Uppsala-ს“ ტიპოლოგიაშიც (SIPRI 1997:23), რომელიც „კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების“ მიხედვითაა შედგენილი. ამ ტიპოლოგიის მიხედვით შეიარაღებულ კონფლიქტი „ორი ტიპის შეუთავსებლობით“არის გამოწვეული: „სამთავრობო კონფლიქტებით“, რომლებიც მთავრობასთან დაკავშირებული სადავო საკითხების არსებობას და შეუთავსებლობას გულისხმობს (პოლიტიკური სისტემის ტიპი, ცენტრალური სამთავრობო აპარატის ცვლილება ან მისი შემადგენლობის შეცვლა) და „ტერიტორიული კონფლიქტებით“, სადაც სადავო საკითხი და დაპირისპირების მიზეზი „ტერიტორიაზე კონტროლი (სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი), გამოყოფა ან ავტონომიის“ მოთხოვნაა. კონფლიქტის ეს ორი ტიპი თითქმის ემთხვევა ჩვენეულ რევოლუცია/იდეოლოგიის გამო და იდენტობა/გამოყოფის მიზნით მიმდინარე კონფლიქტს იმ განსხვავებით, რომ სახელმწიფოთაშორისი და არა-სახელმწიფოთაშორისი იდენტობა/გამოყოფის მიზნით მიმდინარე კონფლიქტებს „უპსალას“ ტიპოლოგია „ტერიტორიულ კონფლიქტებში“ აერთიანებს. კონფლიქტების მოგვარების სხვა ანალიტიკოსები ასევე გამოჰყოფენ რევოლუცია/იდეოლოგიისა და იდენტობა/გამოყოფის მიზნით მიმდინარე კონფლიქტებს.[8]

და ბოლოს, რევოლუცია/იდეოლოგიის და იდენტობა/გამოყოფის მიზნით მიმდინარე კონფლიქტებს ჩვენ ცვმიჯნავთ კონფლიქტთა მესამე კლასისგან - ფრაქციული კონფლიქტისგან, რომლებშიც არა რევოლუციურ-იდეოლოგიური ან იდენტობა-გამოყოფის საკითხების გამო იბრძვიან, არამედ პოლიტიკური ან კრიმინალური ფრაქციების შეუთავსებელი ინტერესების გამო და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. ეს ალბათ „ეკონომიკური შესაძლებლობებით“ განპირობებული კონფლიქტების კატეგორიას უფრო განეკუთვნება (Collier and Hoeffler, 2001). ფრაქციული კონფლიქტების ქვე-კატეგორიის არსებობას

ჰოლსტიც აღიარებს, მხოლოდ იმპლიციტურად, რადგან მისი c ტიპის კონფლიქტები რეალურად სხვა არაფერია თუ არა „შიდა ფრაქციულ/იდეოლოგიური“ კონფლიქტები.

ცხრილი 3.2 კონფლიქტის ტიპოლოგია

კონფლიქტის ტიპი	მაგალითი
სახელმწიფოთაშორისი	პარსეთის ყურის ომი 1991
არა-სახელმწიფოთაშორისი	
რევოლუციური/იდეოლოგიური	ალჟირი
იდენტობასთან დაკავშირებული/ სეცესიონისტური	შრი-ლანკა
ფრაქციული	ლიბერია

ახლა დროებით ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ არა-სახელმწიფოებრივი კონფლიქტების სამი ტიპი. ტერმინი „არა-სახელმწიფოთაშორისი“ კონფლიქტი არასწორად არ უნდა გავიგოთ. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეს ომი ორ სახელმწიფოს შორის მიმდინარე კლასიკური ომი არ არის, თუმცა, არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ მასში სახელმწიფოები ღიად ან ფარულად არ მონაწილეობენ და არც იმას, რომ „შიდა ომები“ გადმოღვრის ეფექტით არ ხასიათდება, სახელმწიფო საზღვრებზე არ გადაიღვრება ან სხვა სახელმწიფოებს არ ჩაითრევს. ტერმინში „ფრაქციული კონფლიქტი“ იგულისხმება სახელმწიფო გადატრიალება, ელიტის რიგებში ძალაუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლები, ბანდიტიზმი და ვარლორდიზმი, რომლის მიზანიც ეკონომიკური ან სხვა რამე მოსაზრებით სახელმწიფო ხელისუფლების უზურპირება, მიტაცება ან შენარჩუნებაა. „რევოლუცია/იდეოლოგიური კონფლიქტი“ მეტად ამბიციურ მიზანს - სახელმწიფოში მთავრობის ბუნების შეცვლას – ისახავს, მაგ., (ა) სისტემის კაპიტალიზმიდან სოციალისტურად გარდაქმნას, (ბ) დიქტატორული ტიპის მთავრობის დემოკრატიულით ჩანაცვლებას ან (გ) სახელმწიფოს რელიგიური ორიენტაციის შეცვლას, მაგ., სეკულარულიდინ ისლამისტურზე გადასვლას. ცივი ომის შემდგომ პერიოდში იკლო (ა-ს სიხშირემ, მაგრამ არა ბ-მ და განსაკუთრებით გ-მ.) ტერმინში იდენტობა/გამოყოფისთვის მიმდინარე კონფლიქტი იგულისხმება თემის ან „კომუნის“ შეფარდებითი სტატუსი სახელმწიფოსთან მიმართებაში. ჯგუფის ბუნებიდან და კონტექსტუალური გარემოდან გამომდინარე ამ დროს შეიძლება იბრძოდნენ გაწევრიანებისთვის, ავტონომიისთვის, გამოყოფისთვის ან კონტროლის ხელში ჩაგდებისათვის (Gurr, 1995: 3-5)[9] მოკლედ, ფრაქციული კონფლიქტი არის ბრძოლა სახელმწიფოზე ან მის ნაწილზე კონტროლის მოსაპოვებლად, რევოლუციურ-იდეოლოგიური კონფლიქტი კი ამასთან ერთად სახელმწიფოს ბუნების შესაცვლელად მიმდინარე ბრძოლას გულისხმობს, ხოლო იდენტობა-გამოყოფის მიზნით მიმდინარე კონფლიქტი კი საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს მთლიანობას (იხ. ცხრილი 3.2.). ეს ყველაფერი შეიძლება ზედაპირულ დონეზე ზარტმანისეულ სიხარბის, კრედოსა და მოთხოვნილებებისათვის მიმდინარე კონფლიქტებს შევადაროთ (Zartman, 2000a).

ალბათ არ არის საჭირო იმის დამატებით აღნიშვნა, რომ დეტალურად შესწავლის შემდეგ საკმაოდ რთულია რომელიმე კონფლიქტი ერთ რომელიმე კატეგორიას მივაკუთვნოთ. მეცნიერები მათ კატეგორიებზე ვერ თანხმდებიან ხოლმე. 1960-იან 1970-იან წლებში მარქსისტი ანალიტიკოსები ცდილობდნენ ეთნიკური კონფლიქტებისთვის კლასობრივი კონფლიქტის ინტერპრეტაცია მიეცათ (Munck, 1986), 1990-იანი წლებიდან კი ტენდენცია

შეიცვალა, რაც არაერთი ანალიტიკოსის შრომაში აისახა. ამ ბოლო დროს ზოგიერთი მეცნიერი ცდილობს არა-სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებს ეკონომიკური მოსაზრებებით მოტივირებული, „სიხარბით“ ნაკარნახევი კონფლიქტების კლასიფიკაცია მიანიჭონ (Collier and Hoeffler, 2001). საყურადღებოა ისიც, რომ დროთა განმავლობაში კონფლიქტები თავადაც იცვლიან ბუნებას, მას განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევენ თავად მხარეები, სადავეების ხელში აღებასა და მათით მანიპულირებას ახერხებენ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების მსურველი უსინდისო ავანტიურისტები, რომლებიც მოგვიანებით საკუთარ საქციელს პრინციპისათვის ბრძოლით ამართლებენ. მაგალითად, შეიძლება, 1990-იანი წლების შუიდან დაწყებული ავღანეთის კონფლიქტი რევოლუციურ/იდეოლოგიურ კონფლიქტად ჩავთვალოთ, რადგან იგი თალიბანის მიერ ისლამისტური სახელმწიფოს შექმნის მცდელობას უკავშირდება; შეიძლება, იდენტობა/გამოყოფისთვის მიმდინარე კონფლიქტად მივიჩნიოთ, რადგან იგი პუშტუნებს (თალიბანი), უზბეკებს, (დოსტუმბი) და ტაჯიკებს (მასუდი) შორის მიმდინარე ბრძოლაა. შეიძლება, ფრაქციულ კონფლიქტადაც ჩავთვალოთ, თუ მას მოქიშპე ვარლორდების და მათი დამკვეთების ინტერესებით განპირობებულ გახანგრძლივებულ დაპირისპირებად განვიხილავთ; შეიძლება, სახელმწიფოთაშორის კონფლიქტადაც მიგ-ვეჩნია, მისი ფარგლები მცირედით მაინც რომ სცდებოდეს ავღანეთის ტერიტორიას. მაშინ იგი პაკისტანს, უზბეკეთსა და ირანს შორის მიმდინარე კონფლიქტად ჩაითვლებოდა. აქედან გამომდინარე, ვთვლით, რომ კონფლიქტების ანალიზისთვის მეტად საჭირო ტიპოლოგია, მუდმივ გადასინჯვას საჭიროებს. ასევე მეტად მნიშვნელოვან და საყურადღებო ინფორმაციას იძლევა კონფლიქტის განაწილების და მისი ტიპოლოგიის კომბინირება. (იხ. ცხრილი 3.3).

ცხრილი 3.3 ძირითადი შეიარაღებული კონფლიქტების რეგიონული განლაგება ტიპების მიხედვით, 1998-2008

წელი	1998	2000	2002	2004	2006	2008
რეგიონი	**მთ.-ტერ.**	**მთ.-ტერ.**	**მთ.-ტერ.**	**მთ.-ტერ.**	**მთ.-ტერ.**	**მთ.-ტერ.**
აფრიკა	9-2	7-2	6-1	5-1	3-0	3-0
ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა	2-0	2-0	3-0	3-0	3-0	3-0
აზია	3-5	2-5	2-5	2-5	3-4	3-4
ევროპა	0-1	0-1	0-1	0-1	0-1	0-0
ახლო აღმოსავლეთი	2-2	2-2	0-2	1-2	1-2	1-2
ჯამი	16-10	13-10	11-9	11-9	10-7	10-6
ჯამი	26	23	20	20	17	16

შენიშვნა: მთ. - მთავრობა, ტერ. - ტერიტორია - ორი ტიპის შეუთავსებლობა

შეტანილია კონფლიქტები, რომლებშიც სიკვდილის კუმულატიური ჯამი შეადგენდა 1 000 მოკლულ ჯარისკაცს.

იმავე აქტორების მიერ განხორციელებული ქვე-კონფლიქტები ცალე არ არის დათვლილი.

წყარო: აღებულია უპსალას მონაცემებიდან (Gleditsch et al., 2002, UCDP and SIPRI data in Harbom and Walensteen, 2009).

ცხრილი 3.3-ში მოცემულია UCDP კრიტერიუმების მიხედვით შედგენილი, დიდი შეიარაღებული კონფლიქტების ნუსხა; ანუ, საომარი მოქმედებებით გამოწვეული 1000 სიკვდილის შემთხვევა ერთი კალენდარული წლის განმავლობაში. ათი წლის მანძილზე ამ მხრივ ყველაზე მაღალი

მაჩვენებელი აქვს აზიას (შვიდი 2006 წელს), მეორე ადგილზეა აფრიკა (სამი, 2006 წელს), შემდეგ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა მოდის (სამი, 2006 წელს), ბოლოს კი ევროპა (ერთი, 2006 წელს). მთავრობაზე კონტროლის მოპოვების მიზნით გაჩაღებული კონფლიქტები ძირითადად აფრიკაში და ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში დომინირებს, ტერიტორიაზე კონტროლის მოპოვების მიზნით კი (სახელმწიფოდან გამოყოფისა და ავტონომიის მოთხოვნით) ძირითადად აზიაში, ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. ECP-ის გამოთვლებით შეიარაღებულ კონფლიქტთა ორი-მესამედი იდენტობისა და გამოყოფის მოთხოვნით ხდება, ერთი-მესამედი კი კონტროლის და/ან მთავრობის ბუნების შეცვლის მიზნით. ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია კონფლიქტების მოგვარებისას სწორი ნაბიჯების გადასადგმელად. 2008 წელს (ყველაზე ბოლო პერიოდია, რომლის შესახებაც მონაცემები მოგვეპოვება) ECP 31 კონფლიქტს აღნუსხავს - მათგან ცხრა დიდი შეიარაღებული კონფლიქტია, რომელიც UCDP-ის ზღვრის მოთხოვნას აკმაყოფილებს, აქედან სამი აზიაში, ოთხი აფრიკაში, ხოლო ორი კი ახლო აღმოსავლეთში განვითარდა, რაც ადასტურებს, რომ 2008 წლამდე დიდი კონფლიქტები უდავოდ იკლებდა. თუმცა, მათ გარდა არის კიდევ 21 კონფლიქტი, რომელიც მართალია, 1000-იანი ზღვრის ფარგლებს ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ 2008 წლის შემდეგ შეიარაღებული კონფლიქტების ზრდის ზოგად ტენდენციაზე მიუთითებს.

ECP-ის მონაცემებში სხვა საყურადღებო რეგიონალური განსხვავებებიც ჩანს. მაგალითად, 2008 წელს აფრიკაში აღრიცხული ცხრა კონფლიქტიდან შვიდი შიდა კონფლიქტი იყო, რომლებიც საზღვრებს გასცდა, საერთაშორისო კონფლიქტად იქცა და მთელ რეგიონში დესტაბილიზაცია გამოიწვია. გაზომვები ცხადყოფს, რომ ამ კონფლიქტების საშუალო ხანგრძლივობა 10 წელია, ანუ მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელზე (რომელიც კონფლიქტების საშუალო ხანგრძლივობად 17 წელს მიიჩნევს) მნიშვნელოვნად დაბალია, რასაც ECP ასე ხსნის: „სავარაუდოდ, მათი მოკლე ხანგრძლივობა, სხვა რამეებთან ერთად, განპირობებულია უკანსკნელ წლებში სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ ამ რეგიონში განხორციელებული მრავალი სამშვიდობო ინიციატივით“ (ECP, 2009; 25). ECP კონფლიქტის ინტენსიობას 1-დან 3-მდე სკალით ზომავს (კონფლიქტის ფატალური შედეგების გათვალისწინებით). ამ სკალის მიხედვით, 2008 წელს აფრიკაში განვითარებული ყველა იმ კონფლიქტის მაჩვენებელი, რომელშიც 25-ზე მეტი საბრძოლო მოქმედებებთან დაკავშირებული სიკვდილის შემთხვევა ფიქსირდებოდა, 2.3-ს შეადგენს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დღესდღეობით ყველაზე ინტენსიური კონფლიქტები, რომლებშიც მაღალია მსხვერპლის რიცხვი, აფრიკაში ხდება; მათ შორის ჩადში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სომალსა და სუდანში (იქვე). 2008 წელს ECP-მ აღრიცხა 80 დაძაბული სიტუაცია, რომელსაც შემდეგნაირად განმარტავენ: „ნებისმიერი სიტუაცია, რომელშიც სხვადასხვა აგენტების მიერ გარკვეული მიზნების მისაღწევად წამოყენებული მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო პოლიტიკური და სოციალური მობილიზაცია მიმდინარეობს და/ან ძალის ისეთი ინტენსივობით გამოყენება ხდება, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის დონეს არ აღწევს. მათ შორის შეიძლება იყოს დაპირისპირება, რეპრესიები, სახელმწიფო გადატრიალება, დაბომბვა ან სხვა სახის შეტევები.“ აშკარა შეიარაღებული კონფლიქტების განაწილების ტენდენცია ცხადყოფს, რომ 2008 წელს პოლიტიკური დაძაბულობების უმრავლესობას ადგილი ჰქონდა აფრიკაში (27) და აზიაში (25).

ტერორიზმი და კონფლიქტი

კონფლიქტების მონაცემების კატალოგებთან ერთად შეიქმნა და განვითარდა ტერორისტული შეტევების კატალოგებიც, რომელიც მომხდარ ტერორისტულ აქტებს აღნუსხავს. 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებმა და მათმა ღრმა და სერიოზულმა გავლენამ სრულიად ახლებურად დაგვანახა ტერორისტული ძალადობის ბუნება რის გამოც ის, რაც მანამდე ერთმანეთისგან გამიჯნული იყო (ცალკე არსებობდა შეიარაღებული კონფლიქტების მონაცემთა კატალოგები ცალკე კი ტერორისტული აქტებისა) ერთმანეთს შეერწყა. მაგალითად, ლა ფრი, დუგანმა და კრაგინმა 1970-2007 წლებში განხორციელებული ტერორისტული შეტევების (მსოფლიოს მასშტაბით სულ განხორციელებულია 77 000) აღსანუსხად შექმნეს დიაგრამა, რომლის ასლიც 3.2. ნახაზზეა მოცემული. მასში გაერთიანებულია სამი განსხვავებული კატალოგის მონაცემები, რომელთა შორის არის "ტერორიზმისა და ტერორიზმზე რეაგირების შემსწავლელი ეროვნული კონსორციუმის" მიერ წარმოებული „გლობალური ტერორიზმის კატალოგი" (Global Terrorism Database (GTD)) რომელიც 1970-დან 1997 წლამდე პერიოდს აღნუსხავს, RAND- „სანტ ენდრიუსის ტერორიზმის ქრონოლოგიური მონაცემები" და „RAND-MIPT ტერორიზმის სიხშირის მონაცემთა ბაზა.



წყარო: LaFree et al. 2010 გლობალური ტერორიზმის ტენდენციები. In Hewitt et al., eds., Peace and Conflict 2010, CIDM Maryland (HYPERLINK «http://www.cidm.umd.edu(pc/)» www.cidm.umd.edu(pc/) გვ. 22

ნახაზი 3.2 ტერორისტული შეტევები 1970-2007

ნახაზი 3.2. ცალსახად აჩვენებს, რომ 1970 წლიდან ადრეულ 1990-იან წლებამდე ტერორისტული შეტევები მკვეთრად იზრდებოდა და პიკსაც კი მიაღწია; მკვეთრი ზრდა განაახლა 2000-იანი წლებიდან, მწვავე ზრდა განაგრძო ერაყზე თავდასხმის შემდეგ და თვით 1992 წლის დონესაც კი გაუთანაბრდა, ხოლო ერაყის მოვლენების გათვალისწინებით

გაასწრო კიდეც. კანადის „ადამიანთა უსაფრთხოების კვლევის პროექტის“ (Human Security Research Project (HSRP)) ანგარიში დასაბუთებულად ამტკიცებს, რომ მოვლენები საზოგადოდ გავრცელებული აზრისა და დაზვერვის საერთაშორისო პოლიტიკის მიერ შემოთავაზებული ანალიზის საპირისპიროდ ვითარდებოდა და 2007-2008 წლებში ტერორიზმის საფრთხემ, მათ შორის ისლამური საერთაშორისო ტერორიზმისამაც, იკლო. HSRP ანგარიშში ციტირებულია აშშ-ს „ინტელცენტრის“ კვლევის მონაცემები, რომელიც ცხადყოფს, რომ „2007 წლის შუა პერიოდისთვის 2004 წლის უმაღლეს წერტილთან შედარებით მსოფლიოში ისლამისტური შეტევების რაოდენობა 65 პროცენტით იყო შემცირებული, ხოლო ასეთი შეტევებით გამოწვეული ფატალური შედეგები კი 90 პროცენტით ნაკლები იყო.“ ამ კლებას რამდენიმე გამომწვევი მიზეზით ხსნიან, მათ შორის იმით, რომ ამ დროს მთელი მსოფლიოს მუსლიმ მოსახლეობაში ალ-ქაიდა მხარდაჭერას კარგავდა. „პიუს-ს“ ცენტრის მიერ განხორციელებულმა კვლევამ, რომელიც ოთხი მუსლიმური ქვეყნის მოსახლეობის აზრის გამოკითხვას (ლიბანი, ბანგლადეში, პაკისტანი და ინდონეზია) ეყრდნობა, ცხადყო, რომ 2002-2007 წლებში ალ-ქაიდასადმი მხარდაჭერამ 50 პროცენტით და მეტითაც იკლო. მთელ რიგ სხვა მუსლიმურ ქვეყნებში, მათ შორის: ავღანეთში, საუდის არაბეთსა და თვით ერაყში ჩატარებულმა გამოკითხვამ კი ცხადყო, რომ ამ ქვეყნების მოსახლეობა ისლამისტურ ტერორისტულ ძალადობას სხვა ხალხების ანალოგიურად და მათზე მეტადაც კი გმობდა (HSRP, 2007).

რა მსგავსება და განსხვავებაა ტერორიზმის ტიპოლოგიასა და ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ კონფლიქტების ტიპოლოგიას შორის? 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ პიტერ ვალენსტინმა და მისმა კოლეგებმა უცვლელად შეინარჩუნეს კონფლიქტების მათეული ანალიზის მოდელი და მას ცალკე სეგმენტი - „ტერორიზმი და შეიარაღებული კონფლიქტი“ დაამატეს, სადაც აღნიშნავენ, რა გზით „გამოიყენება ტერორიზმი მისგან „მკაფიოდ განსხვავებული - კრიმინალური ქმედებებისა და განგსტერობის მისაჩქმალად“ და ასევე უფრო ტრადიციული პოლიტიკური მიზნების შესანიღბად. იქვე აღნიშნული იყო, რომ „ტერორიზმი ხშირად მშვიდობიანი მოსახლეობისა და გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობის მქონე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებისკენაა მიმართული და არა სამთავრობო ტერიტორიებისკენ“ (Ericksson et al., 2003: 597-599). „უპსალას“ პროექტით განსაზღვრული შეიაღარებული კონფლიქტების მიხედვით, ტერორიზმის ოთხ ტიპს გამოყოფენ. პირველი არის ტერორი, რომელიც ყველა შეიარაღებული კონფლიქტის გარდაუვალი ასპექტია. მეორე ტიპი არის ტერორიზმი რომელიც ასიმეტრიულ კონფლიქტებში დამხმარე საშუალებად გამოიყენება, განსაკუთრებით დამხმარე ან აფილირებული ჯგუფების გავლენის გასაძლიერებლად („ტამილის ვეფხვები“ შრი ლანკაში, ჰეზბოლა ლიბანში). ტერორიზმის ეს ორი სახე, ჩვეულებრივი პოლიტიკური კონფლიქტების მსგავსად, მოლაპარაკებასა და პოლიტიკურ შეთანხმებებს ექვემდებარება. მესამე ტიპში გარკვეული ჯგუფები ტერორიზმს ტრადიციული შეიარაღებული ქმედების რომელიმე ფორმაზე მეტ უპირატესობას ანიჭებენ (მაგ., „ღვთის წინააღმდეგობის არმია“ უგანდაში ან „რევოლუციური გაერთიანებული ფრონტი სიერა ლეონეში). შესაძლებელია, ასეთი ტიპის ტერორიზმი ეკონომიკური შესაძლებლობებით ან სიხარბით იყოს ნაკარნახევი და ფართო პოლიტიკურ მიზნებს არ ისახავდეს. მისი მშვიდობიანი პროცესის ჩარჩოებში მოქცევა საკმაოდ რთულია, რის გამოც იგი განსხვავებული „პოლიტიკური“ ზომებით რეაგირებას საჭიროებს. და ბოლოს არსებობს მეოთხე კატეგორია - რომელიც ყველაზე მკაფიოდ, მაგრამ არა ექსკლუზიურად, ისეთ რადიკალურ ისლამისტურ დაჯგუფებას უკავშირდება, როგორიც ალ-ქაიდაა, რომელიც მოქმედებს საერთაშორისო დონეზე და მრავალმხრივი საერთაშორისო მიზნები აქვს, რის გამოც მის წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მობილიზება და პარტიზანული ომის

წარმოება საკმაოდ რთულია. ამ კატეგორიაში შედის პატარა თავდადებული დაჯგუფებები, რომლებიც პოლიტიკურ მოლაპარაკებებსა და შეთანხმების წარმოებაზე არ თანხმდებიან და რომელთან ბრძოლაც იმ მეთოდებითაა საჭირო, რაზეც ქვემოთ, მე-მე–11 თავში ვისაუბრებთ. ასეთი ტიპის ტერორიზმის ტრადიციულ კონფლიქტების ტიპოლოგიის ჩარჩოში მოქცევა რთულია, რადგან უპრეცენდენტოა და წინა თაობის მემარცხენე ტერორიზმთან ბევრი აქვს საერთო; მაგ., 1920-იანი 1930-იანი წლების საერთაშორისო „ბოლშევიზმთან“, 1960-იან წლებში ჩეგევერას ბრძოლის მეთოდებთან გლობალური ცვლილებების მისაღწევად და ჩინეთის კულტურული რევოლუციის პერიოდის, ლინ ბიაოს მსოფლიო რევოლუციის მისწრაფებებთან.

ტერორიზმის კვლევებიდან ორ ასპექტს გამოვყოფთ და მათით ვიხელმძღვანელებთ. პირველი, რაც არ უნდა კომპლექსური და წინააღმდეგობრივი იყოს ტერორიზმის განმარტებები (რაც როგორც ცნობილია, ხშირად პოლიტიკური მანიპულირების საგანი ხდება ხოლმე), ჩვენ მათ მოსაზრებებს გავიზიარებთ, ვისი აზრითაც ტერორიზმი კონკრეტული ქმედებები და სტრატეგიებია და არა კონკრეტული აქტორები და გამოკვეთილი პოლიტიკური მიზნები. შესაძლებელია, ამა თუ იმ დროს ინდივიდებმა, ჯგუფებმა, მოძრაობებმა და მთავრობებმა თავიანთი პოლიტიკური თუ ეკონომიკური მიზნების მისაღწევად ტერორიზმის ტაქტიკა აირჩიონ, შემდეგ კი უარი თქვან მასზე, მაგრამ არა თავად მიზანზე. არსებობს ისეთი დაჯგუფებებიც, რომლებიც მხოლოდ ტერორისტულ მეთოდებს იყენებენ, მათი მიზნები კი მხოლოდ ტერორის მოწყობით შემოიფარგლება. ასეთი რამ გამონაკლის შემთხვევებში ხდება ხოლმე. აქედან გამომდინარე, ამ წიგნში ტერორიზმს განვიხილავთ როგორც გარკვეული დაჯგუფებების მიერ კონკრეტული მიზნების მისაღწევად არჩეულ მოქმედებათა და სტრატეგიათა ნაკრებს და არა როგორც დაჯგუფებებს ან მათი მიზნების ბუნებას. იხ. ფოკუსი 3.3, რომელშიც თავდაპირველად ტერორიზმის ის დეფინიციაა მოცემული, რომელსაც ჩვენ ვემხრობით, შემდეგ ერთმანეთთან შეპირისპირებულია აშშ-სა და არაბ/ისლამური დეფინიციები იმის საილუსტრაციოდ თუ პოლიტიკურად რამდენად დატვირთულია ისინი (რის გამოც, გაეროს მიერ მიღებული 12 კონვენციის მიუხედავად, დღემდე ვერ თანხმდებიან ტერორიზმის რომელიმე ერთ საერთაშორისო განმარტებაზე); ბოლოს ამ ნუსხას ასრულებს „გაერთიანებული სამეფოს 2000 წლის ტერორიზმის აქტი“ და გაეროს უმაღლესი შემადგენლობის 2004 წლის განმარტება.

მეორე, დავეყრდნობით ტერორიზმის რამდენიმე ანალიტიკოსის მოსაზრებას (რაც შესაბამისობაშია უორდლოუსეულ განმარტებასთან) და მისი იმ ტიპოლოგიით ვისარგებლებთ, რომელიც სრულ თანხვედრაშია შეიარაღებული კონფლიქტის ჩვენეულ ტიპოლოგიასთან. რაც ნიშნავს, რომ ეროვნულ/სეპარატისტული ტერორიზმი იდენტობა/გამოყოფის სურვილით გამოწვეულ კონფლიქტს ენათესავება, ხოლო „სოციალურ-რევოლუციური“, „მემარჯვენე“ და „რელიგიურ ფუნდამენტალისტური ტერორიზმი“ კი რევოლუციურ/იდეოლოგიური კონფლიქტის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ (იხ. ფოკუსი 3.4).

მსჯელობას დავასრულებთ ტერორიზმი/დიდი შეიარაღებული კონფლიქტის კომბინირებული ტიპოლოგიით, სადაც ტერორიზმის ტიპებსა და 3.2. ცხრილში მოცემულ არა-სახელმიწოთაშორის კონფლიქტებს შორის მჭიდრო კორელაცია არსებობს. ვიზიარებთ მარტინის (2003) მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მნიშვნელოვანი კორელაციაა „კრიმინალურ ტერორიზმსა“ და ფრაქციულ კონფლიქტს შორის (იხ. ცხილი 3.4)[10] მსჯელობას განვაგრძობთ მე-11 თავში. რჩება ორი ტიპის ტერორიზმი, რომელსაც კონფლიქტების ჩვენეულ ტიპოლოგიაში ადგილი არ მოეძებნა.

პირველი, „სახელმწიფო ტერორიზმია“, რაც შიდა რეპრესიებსა და გარე ტერორისტული აქტების განხორციელებას გულისხმობს, ტერორიზმს კი სახელმწიფო აფინანსებს. ისტორიულად ეს ასეთი ძალადობის ყველაზე მასშტაბური ფორმაა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2001 წლის ანგარიშში „გლობალური ტერორიზმის მოდელები“ ტერორიზმის სახელმწიფო სპონსორებად სახელდებიან კუბა, ირანი, ერაყი, ლიბია, ჩრდილოეთ კორეა, სუდანი და სირია (2004 წელს ლიბია მოულოდნელად ამ სიიდან ამოვარდა). ასეთი სახის ტერორიზმი პირდაპირ უკავშირდება ტოტალიტარულ მთავრობებს, რომლებიც თავიანთი იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად, ოპოზიციური მოძრაობის წინააღმდეგობის ჩასახშობად და ძალა-უფლების შესანარჩუნებლად ტერორს მიმართავენ. გასულ საუკუნეში ამ გაგებით უამრავი ტერორისტული სიმხეცეა ჩადენილი; ამ სახის ტერორიზმს უოლტერ ლაკერი უწოდებს „ტერორიზმს ზემოდან“ (1999). ზოგიერთი გამოთვლების თანახმად, მე-20 საუკუნეში მოძალადე და რეპრესიულმა მთავრობებმა 160 მილიონი საკუთარი მოქალაქე „განზრახ მოკლა.“ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არაბულ-ისლამურ სამყაროში „სახელმწიფო ტერორიზმს“ ისრაელის სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ ტაქტიკას უწოდებენ, დასავლეთსა და განსაკუთრებით კი აშშ-ს „სახელმწიფო ტერორიზმში“ მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში სდებენ ხოლმე ბრალს (მაგ.,ატომური იარაღის გამოყენება ჰიროსიმასა და ნაგასაკიში). 2004 წლის დეკემბრის გაეროს უმაღლესი-დონის პირადი შემადგენლობის ანგარიშში სახელმწიფო ტერორიზმი შეტანილი არ იყო იმ საფუძველზე, რომ „სამართლებრივი და ნორმატიული ჩარჩო სახელმწიფო დარღვევების შემთხვევებში გაცილებით ძლიერია ვიდრე არა-სახელმწიფო აქტორებისა“, თუმცა ეს არგუმენტი არცთუ დამაჯერებლად ჟღერს (მუხლი 160). (პირადმა შემადგენლობამ სცნო არგუმენტი „ერების ლეგიტიმური ბრძოლა ოკუპაციის წინააღმდეგ“, მაგრამ უარყო ის, რომ ასეთი რამ ტერორიზმის ლეგიტიმაციას ნიშნავს).

მეორე - არსებობს „საერთაშორისო ტერორიზმი“, თუმცა, ასე არ მოიხსენიებენ ისეთ საერთაშორისო კავშირებს, რომელიც ტერორიზმს ტრანს-სასაზღვრო ქსელებთან, მათ შორის დიასპორების მხარდამჭერებთან, ინტერნეტ კომუნიკაციასთან, კრიმინალურ დახმარებასთან ან ფულის გათეთრების შესაძლებლობებთან აკავშირებს. ამ ტერმინით მოიხსენიებენ თავდადებულ ტერორისტთა შედარებით მცირე ჯგუფებს, რომლებიც საერთაშორისოა მათი პერსონალისა და მიზნის მხრივ და კონკრეტულად არცერთ სახელმწიფოში არ არის დაფუძნებული. საზოგადოდ ასეთ ტერორიზმად აღიქმება „ისლამური რადიკალიზმი“, რადგან ხშირად საერთაშორისო „ჯიჰადისტები“ სხვა სახის კონფლიქტებშიც მონაწილეობენ (მაგ., ეროვნული იდენტობისათვის მიმდინარე სეპარატისტულ მოძრაობებში, მაგალითად პალესტინასა და ჩეჩნეთში) და საოცრად გავლენიანები არიან თავიანთი მომზადების, წვრთნის, გამოცდილების, მედიის მიერ მათ მიმართ გამოვლენილი ყურადღებისა და დაფინანსების წყალობით. ჩვენ ვთვლით, რომ ერთმანეთისგან მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ტერორიზმის სხვადასხვა ტიპები მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის საზღვრები ბუნდოვანი და სადავოა, მაგრამ ასეა საჭირო ექსპლიციტური და ეფექტური პოლიტიკის შესაქმნელად, რაზეც მე-11 თავში გვექნება საუბარი (იხ. ფოკუსი 3.5).

ფოკუსი 3.3. ტერორიზმის განმარტებები

იმ მიდგომასთან, რომელსაც ამ წიგნში ვიყენებთ, ყველაზე მეტ თანხვედრაშია ტერორიზმის უორდლოუსეული დეფინიცია, რომელშიც აქცენტი კეთდება მიზანმიმართული ძალადობის ფორმებზე (რომლითაც ემუქრებიან ან იყენებენ), მის სამიზნე და ფართო აუდიტორიაზე და არა დამნაშავეთა იდენტობაზე ან მათ პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და კრიმინალურ მიზნებზე:

> *{ტერორიზმი} არის ინდივიდის ან რაღაც დაჯგუფების მიერ ძალადობის გამოყენება ან გამოყენების მუქარა, მიუხედავად იმისა არის თუ არა იგი არსებული ხელისუფლების მომხრე ან მოწინააღმდეგე; როდესაც ასეთი აქტი მიმართულია სამიზნე ჯგუფში უკიდურესი აღელვების და/ან შიშის გამოსაწვევად და როდესაც ეს სამიზნე ჯგუფი რაოდენობრივად გაცილებით აღემატება უშუალო მსხვერპლის რაოდენობას, ხოლო აქტი კი მიზნად ისახავს ამ ჯგუფის იძულებას შეასრულოს დამნაშავეთა პოლიტიკური მოთხოვნები (Wardlaw, 1982:xx).*

11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ აშშ-ს მთავრობამ კიდევ უფრო დაავიწროვა ტერორიზმის ცნება და „დაჯგუფება“ „ქვე-სახელმიწფოებრივ დაჯგუფებამდე და „ფარულ აგენტებამდე“ დაიყვანა, ხოლო სიტყვა „სამიზნე“ კი „არა-სამხედრო პირით“ (noncombatant) კიდევ უფრო შეავიწროვა.

> *ტერმინი ტერორიზმი გულისხმობს ქვე-სახელმიწფოებრივი დაჯგუფების ან ფარული აგენტების მიერ არა-სამხედრო სამიზნის მიმართ ჩადენილ წინასწარგანზრახულ, პოლიტიკურად მოტივირებულ ძალადობას, რომლის მიზანი კონკრეტულ აუდიტორიაზე გავლენის მოხდენაა.*
>
> *ტერმინი „საერთაშორისო ტერორიზმი“ ისეთ ტერორიზმს გულისხმობს, რომელშიც ჩართულები არინ ერთზე მეტი ქვეყნის მოქალაქეები ან რომელიც ერთზე მეტი ქვეყანის ტერიტორიაზე ხორციელდება.*
>
> *ტერმინი „ტერორისტული დაჯგუფება“ გულისხმობს ნებისმიერ დაჯგუფებას, ან მის მნიშვნელოვან ქვე-დაჯგუფებას, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმს ახორციელებს. (22 USC 2656f(d)).*

ისლამისტური და არაბული ქვეყნები (არაბულ სახელმიწფოთა ლიგა, სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭო და ისლამისტური კონფერენციის წევრები) მრავალგზის გამოვიდნენ მოთხოვნით მიღწეულ იქნას მასშტაბური საერთაშორისო შეთანხმება „ტერორიზმის დეფინიციის“ შესახებ, რომელშიც მკაფიოდ იქნება განმარტებული „სახელმწიფო ტერორიზმი“ და ერთმანეთისგან იქნება გამიჯნული „ტერორიზმი და ერთა ლეგიტიმური ბრძოლა უცხოური ოკუპაციის წინააღმდეგ“ (არაბულ სახელმიწფოთა ლიგის მიმართვა გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს კონტრ-ტერორიზმის კომიტეტს, 2003 წლის თებერვალი).

„2000 წლის გაერთიანებული სამეფოს ტერორიზმის აქტი“ ტერორიზმს განმარტავს როგორც მოქმედებას ან მოქმედების მუქარას, როდესაც ეს „მუქარა მიზნად ისახავს მთავრობაზე გავლენის მოხდენას ან მთელი საზოგადოების ან საზოგადოების გარკვეული ნაწილის დაშინებას“ ან „ხორციელდება ამა თუ იმ პოლიტიკური, რელიგიური თუ იდეოლოგიური მიზნის გასატარებლად,“ როცა ეს მოქმედება შეიცავს „პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ სერიოზულ ძალადობას“, იწვევს „ქონების სერიოზულ დაზიანებას“ ან „სერიოზული რისკის ქვეშ აყენებს საზოგადოების ან საზოგადოების გარკვეული ნაწილის ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას“.

თავის 2004 წლის ანგარიშში, *„უფრო დაცული მსოფლიო“ (A More Secure World)* გაერო-ს უმაღლესი დონის პირადი შემადგენლობა ტერორიზმს შემდეგნაირად განმარტავს:

> ნებისმიერი ქმედება ... რომელიც მიმართულია მშვიდობიანი მოსახლეობის ან არასამხედრო პირების წინააღმდეგ, როდესაც ასეთი ქმედების მიზანი, თავისი ბუნებიდან ან კონტექსტიდან გამომდინარე, მოსახლეობის დაშინება ან მთავრობის ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებაა განახორციელოს ან თავი შეიკავოს რაიმე ქმედებისგან.

ფოკუსი 3.4. ტერორიზმის ტიპოლოგია

შმიდი და იონგმანი (1988) ერთმანეთისგან განასხვავებენ ა) ნაციონალურ/სეპარატისტულ ტერორიზმს (მაგ., დროებითი IRA ირლანდიაში, ტამილის ვეფხვები (LTTE) შრი-ლანკაში, ETA ესპანეთში); ბ) სოციალურ-რევოლუციურ ტერორიზმს (როგორებიცაა: წითელი არმიის ფრაქცია გერმანიაში, „სენდერო ლუმინოსო“ და MRTA პერუში; (გ) მემარჯვენე ტერორიზმი (მაგ., ნეო-ნაცისტები, რასისტები და ანტი-სამთავრობო ჯგუფები) დ) რელიგიურ-ფუნდამენტალისტური ტერორიზმი (მათ შორის ებრაული, ქრისტიანული, ისლამისტური და სიხების დაჯგუფებები).

პოსტი და სხვები (2002) ეთანხმებიან შმიდისა და იონგმანის ტიპოლოგიას, მაგრამ ასევე გვთავაზობენ მეხუთე კატეგორიას - „ახალი რელიგიური ტერორიზმი“, რომელშიც შევა იაპონიაში დაფუძნებული „აუმ შინრიკიო“, რომელსაც ისინი „რადიკალური დაჯგუფებების იმ ხუთ მთავარი ტიპს“ შორის მოიაზრებენ, რომლებიც ტერორისტული მეთოდების გამოყენებისკენ ყველაზე მეტად არიან მიდრეკილები (გვ. 110-112).

მარტინიც (2003) თითქმის მსგავს კატეგორიებს გვთავაზობს; მათ შორის გამოჰყოფს სხვადასხვა ფორმის „საზოგადოებრივ (მაგ., ეთნო-ნაციონალისტურ) ტერორიზმს, „ტერორისტულ მარცხენა ფრთას“ „ტერორისტულ მემარჯვენეებს“, „რელიგიურ ტერორიზმსა“ და „კრიმინალურ ტერორიზმს“ (გვ. 112-215); ამ ნუსხაში ასევე შედის „სახელმწიფო ტერორიზმი“ (გვ. 80-111) და „საერთაშორისო ტერორიზმი“ (გვ. 216-242).

ცხრილი 3.4 ტერორიზმის ტიპოლოგია კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით

ტერორიზმის ტიპი	კონფლიქტის ტიპი
სახელმწიფო ტერორიზმი	
მეამბოხე ტერორისტები	
იდეოლოგიური	რევოლუციური/იდეოლოგიური
სოციალურ რევოლუციური (SL FARC) მემარჯვენე/გადარჩენისთვის მებრძოლები რადიკალური რელიგიური (GIA)	
ნაციონალ-სეპარატისტული (LTTE, ETA, KLA)	იდენტობასთან დაკავშირებული/ სეცესიონისტური
ეკონომიკური/ფრაქციული (RUF, LRA)	ფრაქციული
საერთაშორისო ტერორიზმი (ალ-ქაიდა)	

ფოკუსი 3.5 დაჯგუფებები, რომლებსაც სავარაუდოდ კავშირი აქვთ ალ-ქაიდასთან

წინამდებარე ნუსხა გარკვეულწილად შთაბეჭდილებებზეა აგებული, რადგან შესაძლებელია რიგ შემთხვევებში ძალიან მცირე კავშირების არსებობა დასტურდებოდეს. ალ-ქაიდა ერთგვარ იდეოლოგიურ, ლოჯისტიკურ და ფინანსურ ჰაბს წარმოადგენს - ხშირ შემთხვევაში შედარებით მცირე თანხებს სთავაზობს.

ავღანეთი
ავღანეთის ისლამური პარტია

ალჟირი
შეიარაღებული ისლამური დაჯგუფება (GIA)
სალაფისტების დაჯგუფება (GSPC)

ჩეჩნეთი
მშვიდობის დაცვის ისლამური საერთაშორისო ბრიგადა

რიადუს სილხინი
ჩეჩენი თვითმკვლელების ბატალიონი
საგანგებო დანიშნულების ისლამური ლეგიონი

ჩინეთი
აღმოსავლეთ თურქისტანის ისლამური მოძრაობა (ETIM)

ეგვიპტე
ალ-გამაა ალ-ისლამია (IG)
ალ-ჯიჰადი (ეგვიპტის ისლამისტური ჯიჰადი)

ინდონეზია
ჯემაჰ ისლამია (JI)

ლიბია
ლიბანის ისლამური მებრძოლი დაჯგუფება

ლიბანი
ასბატ ალ-ანსარ

მაროკო
სალაფისტური მოძრაობა
მაროკოს ისლამ მეომართა დაჯგუფება (GICM)
პაკისტან/ქაშმირი
ჰარაკატ ულ მუჯაჰიდი (HUM)
ჯაიშ-ე-მუჰამედ (JM)
ლაშქარ-ე-იაიბა (LT)
ალ-ბადრ მუჯაჰედინი
ჰარაკატ ულ-ჯიჰად-ისლამი (HUJI)

ფილიპინები
აბუ-საიაფის დაჯგუფება (ASG)

სომალი
ალ-ლიტიჰაად ალ-ისლამია (AIAI)
სამხრეთ-დასავლეთ აზია
ჯემაა ისლამია (JI)
კუმპულან მუჯაჰედინ მალააზია (KMM)

ტუნისი
ტუნისის მეომართა დაჯგუფება (TCG)

უზბეკეთი
უზბეკეთის ისლამური დაჯგუფება (IMU)

იემენი
ადენის ისლამური არმია (IAA)

კონფლიქტის საზღაური

ამ თავის დასრულებამდე რამდენიმე სიტყვით თანამედროვე ძალადობრივი კონფლიქტების ადამიანურ და მატერიალურ ღირებულებაზე შევჩერდებით. 1945 წლის შემდეგ მსოფლიოს მასშტაბით, ძირითადად მესამე მსოფლიოს ქვეყნებში მიმდინარე 150-ზე მეტ დიდ შეიარაღებულ კონფლიქტს 28 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა (IISS, 1997). სხვა მონაცემების თანახმად ამ კონფლიქტებმა 40 მილიონი მშვიდობიანი მოქალაქისა და სამხედრო მოსამსახურის სიცოცხლე იმსხვერპლა (ლეიტენბერგი, 2003). მშვიდობიანი მოქალაქეების სიკვდილიანობის მაჩვენებელმა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის მსხვერპლის მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენდა, ხოლო მეორე მსოფლო ომის დროს კი 50-ს მიაღწია, საუკუნის დასასრულს 80-90 პროცენტი შეადგინა, რომელთა უმრავლესობაც ქალები და ბავშვები შეადგენდნენ (Grant, 1992: 26; Collier et al., 2003). საყურადღებოა, რომ უკანასკნელ ხანებში ამ მონაცემთა უტყუარობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

საომარ მოქმედებებთან პირდაპირ დაკავშირებული სიკვდილიანობის გარდა სამოქალაქო ომებს ბავშვებისა და ზრდასრულების სიცოცხლეც ეწირება ავადმყოფობის, შიმშილის, იძულებითი გადაადგილების, ჯანდაცვის სისტემისა და სხვა სამსახურების რღვევის გამო. არაპირდაპირი სიკვდილიანობა ხშირად გაცილებით აღემატება ომის პირდაპირ შედეგებს (Stewart and Fitzgerald, 2001). განვითარებად ქვეყნებში კონფლიქტები ხშირად იწვევს საკვების ნაკლებობასა და შიმშილს; რიგ შემთხვევებში შიმშილს ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად იყენებენ ხოლმე, ზოგჯერ იგი წარმოებისა და დისტრიბუციის მოშლის დაუგეგმავი შედეგია. (Messer et al., 1998). ზოგჯერ ნაღმავენ მიწას და წამლავენ ჭებს. ხალხი იძულებით ტოვებს სახლ-კარს, სარჩო-საბადებელს და გარბის. 1990 წელს, როდესაც კონფლიქტებმა პიკს მიაღწია, შიდა კონფლიქტების შედეგად 21 მილიონი ლტოლვილი და 25 მილიონი იძულებით გადაადგილებული პირი (Internally displaced people (IDPs)) გაჩნდა. 2009 წლისთვის ლტოლვილთა საერთო რაოდენობა 16 მილიონამდე შემცირდა, გადაადგილებულ პირთა (ლტოლვილებს პლუს იძულებით გადაადგლებული პირები) საერთო რაოდენობა კი კვლავინდებურად მაღალი რჩება, ზრდას განაგრძობს და 20 წლის წინანდელ, 1990 წლის პიკს უახლოვდება, რაც ნიშნავს, რომ კონფლიქტის საზღაურის გადახდა მათ უხდებათ, ვისაც ამისი ყველაზე ნაკლები საშუალება და უნარი აქვს (UNHCR, 2009) (იხ. ცხრილი 3.5 და ნახაზი 3.3).

აფრიკის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა: ანგოლა, ერიტრეა, ლიბერია, მოზამბიკი, რუანდა, სომალი და სუდანი, მოსახლეობის ნახევარზე მეტი იძულებული გახდა სხვადასხვა დროს სახლ-კარი დაეტოვებინა. სამხრეთ სუდანში, სადაც ხუთიდან საშუალოდ ერთი ადამიანის სიცოცხლე ომმა იმსხვერპლა, მოსახლეობის 80 პროცენტი ამა თუ იმ დროს იძულებით გადაადგილებულთა რიგებს ეკუთვნის. ამას ემატება გარკვეული კლასის კონფლიქტების ხანგრძლივობა - ზოგიერთი მათგანი 25 წელიც კი გრძელდება (Gurr, 1995:52). აქ თაობები გაიზარდა, რომელთაც ომის გარდა არაფერი უნახავთ. ძნელია დაზუსტებით იმის თქმა თუ საერთო ჯამში რამდენი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა ამ კონფლიქტებს. მატერიალური ნგრევის, ფსიქოლოგიური ტანჯვისა და ადამიანური უბედურების რიცხვი კი (რასაც მაიკლ კრანა „კონფლიქტის რეალურ ღირებულებას“ უწოდებს) გაცილებით აღემატება იმ სარგებელს, რომელიც კონფლიქტის რომელიმე მხარემ მიიღო.

ცხრილი 3.5 უმთავრესი ქვეყნები, რომლებმაც ლტოლვილები შეიფარეს და მათი წარმომავლობის უმთავრესი ქვეყნები, 2008

უმთავრესი ქვეყნები, რომლებმაც ლტოლვილები შეიფარეს	
პაკისტანი	1.8 მილიონი
სირია	1.1. მილიონი
ირანი	980 000
გერმანია	582 700
იორდანია	500 400
ჩადი	330 500
ტანზანია	321 900
კენია	320 600
წარმომავლობის უმთავრესი ქვეყნები	
ავღანეთი	2.8 მილიონი
ერაყი	1.9 მილიონი
(ჯამში მათზე მოდის UNHCR ლტოლვილების 45 პროცენტი)	
სომალი	561 000
სუდანი	419 000
კოლუმბია	374 000
კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა	368 000



წყარო: UNHCR, 2009

ნახაზი 3.3. ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები, 1964-2008

კონფლიქტი კატასტროფულ გავლენას ახდენს ომში ჩართული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე. როგორც წესი, იწვევს წარმოების ვარდნას, ვალების მატებას და სოციალური დანახარჯების შემცირებას (Stewart and Fitzgerald, 2001). ტიპიური სამოქალაქო ომი განვითარებას აფერხებს და უკან ჰხევს; შემოსავლები, რომელსაც ომის დაწყებამდე იღებდნენ, საშუალოდ 15 პროცენტით მცირდება იმ ქვეყნებში, რომლებზეც ომი პირდაპირ ზემოქმედებს, ხოლო მათ მეზობელ ქვეყნებში კი ზრდა წელიწადში საშუალოდ 0.5 პროცენტით მცირდება (Collier et al., 2003:2). ეს ტენდენციები შენარჩუნებულია ბრძოლების დასრულების შემდეგაც; არასწორი გეზით წარმართული განვითარება და ინსტიტუციონალური დეფორმაცია კი კონფლიქტის განახლების რისკს ზრდის.

განვიხილოთ მოზამბიკის მაგალითი. სავარაუდო გამოთვლებით მოზამბიკში 1992 წელს დასრულებულმა კონფლიქტმა 1.5 მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მოსახლეობის ნახევარი ამა თუ იმ დროს იძულებით გადაადგილებულ პირებად იქცა. ზიანი მიადგა ბაზრებს, კომუნიკაციებსა და სააქციო კაპიტალს, მძიმე დარტყმა განიცადა საზოგადოებრივმა ჯანდაცვამ. წარმოებული პროდუქციის კუმულატიურმა დანაკარგმა დაახლოებით 20 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. კონფლიქტის დასრულების, ცივი ომის დამთავრებისა და საერთაშორისო და ადგილობრივი მედიაციის შედეგად (Hume, 1994) ეკონომიკამ კვლავ ზრდა იწყო, მაგრამ იგი არათანაბარი აღმოჩნდა; მოზამბიკი დღემდე სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთ უღარიბეს ქვეყნად რჩება და ჯერ კიდევ დიდადაა დამოკიდებული დახმარებაზე.

სხვა ხარჯებთან ერთად გასათვალისწინებელია რესურსების სამხედრო მიზნებისკენ გადასროლით გამოწვეული ალტერნატიული დანახარჯები და არაპირდაპირი გავლენა, მაგ., წამლების ექსპორტი და „შიდსი“ (Collier, et al., 2003). საომარ მოქმედებებს ეკოლოგიური დანახარჯებიც აქვს მაგ., ბუნებრივი რესურსების (მაგ., ტყეების) გაჩანაგება; ასევე აქვს ირიბი შედეგები იძულებითი მიგრაციის სახით. კულტურული ხარჯები განპირობებულია კულტურული მემკვიდრეობის გამიზნული ან უნებლიე დაზიანებით; ისინი თაობიდან თაობას გადაეცემა, რადგან ომით მიყენებული ჭრილობები, შეურაცხყოფა, ტერიტორიიდან აყრა და გენოციდი შემდეგ თაობაზე ტრავმულ გავლენას ახდენს.

თუ ომს და კონფლიქტებს ასეთი ადამიანური ტანჯვა და ეკონომიკური ზიანი მოაქვს რატომ არ ვიჩენთ მეტ ძალისხმევას რომ მათ ბოლო მოვუღოთ? მართალია, კონფლიქტები საზოგადოებას ძალიან ძვირი უჯდება, მაგრამ მათ ბენფიციარებიც ჰყავს, რომელთათვისაც ისინი შემოსავლის წყარო და ეკონომიკური წინსვლის საწინდარია. ვარლორდები, მილიცია, მმართველი ელიტის გარკვეული ნაწილი და მეამბოხეთა ჯგუფები ხელსაყრელი შესაძლებლობით სარგებლობენ და ხელთ იგდებენ მიწას, მუშახელსა და რესურსებს. ხელს ითბობენ გარე, იარაღის მწარმოებლებიც, ვაჭრებიცა და კორპორაციებიც, რომლებიც საომარ ზონებში დიდ მოგებას ნახულობენ (ქვემოთ იხ. ცხრილი 4.2). ამ სპეკულიანტებისა და ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ არასაკმარისი ძალისხმევაა მიმართული; არასკმარისი კეთდება იმისთვისაც, რომ ამ რეგიონებისთვის გაწეული დახმარება სხვის ხელში არ აღმოჩნდეს (Stewart and Fitzgerald, 2001). ასეთი ადამიანური და მატერიალური დანახარჯები კონფლიქტების მოგვარების ცენტრალურ მიზანს მეტ სტიმულს აძლევს: მან არსებული უთანხმოების მოგვარება და სოციალური ცვლილების მიღწევა ძალადობის გამოყენების გარეშე უნდა შეძლოს.

კონფლიქტების სტატისტიკაზე საუბრისას ალბათ მიზანშეწონილი იქნება მისი სტატისტიკა

მშვიდობისას შევუპირისპიროთ. „გლობალური მშვიდობის ინდექსის პროექტის“ (ზედაპირულად განვიხილეთ იმ ნაწილში, რომელშიც კონფლიქტების ტენდენციებზე გვქონდა საუბარი) მონაწილეებმა თავიანთი საქმიანობის საფუძვლად აიღეს ასეთი მოსაზრება - მშვიდობის დაცვის ხელშესაწყობად ეკონომიკური ანალიზი და ისეთი პოლიტიკის შექმნაა საჭირო, რომელიც ძალადობასთან შედარებით მშვიდობის ეკონომიკურ უპირატესობას თვალნათელს გახდის. „გლობალურმა მშვიდობის ინდექსმა“ (GPI) და „ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტმა“ (The Institute for Economics and Peace) აჩვენეს, რომ მტკიცე და პოზიტიური სტატისტიკური კორელაცია არსებობს ქვეყანაში მშვიდობის იმ ინდიკატორების არსებობასა და ეკონომიკურ განვითარებასა და მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდას შორის, რომლებიც „გლობალური მშვიდობის ინდექსის“ მეთოდოლოგიაშია ჩართული (სადაც ქვეყნები რანგირებულია მშვიდობიანობის საზომის მიხედვით). თუმცა, ისინი ასევე თვლიან, რომ შესაძლოა, მშპ მომავალში არც კი იყოს პროგრესის საუკეთესო საზომი და უერთდებიან „ეუთო-ს“ მოწოდებას იმის თაობაზე, რომ „საზოგადოებებმა თავად უნდა განსაზღვრონ რას ნიშნავს პროგრესი 21-ე საუკუნეში.“ რას ნიშნავს მშვიდობიანობის ეკონომიკური სარგებელი „გლობალური მშვიდობის ინდექსისა“ და „ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტისთვის“ (GPI/IEP) უკეთ გავიგებთ პოზიტიურ მშვიდობასთან კავშირში, რომელიც ისტორიულად უკავშირდება კონფლიქტების მოგვარებას:

> *ქვეყნის პროგრესის გაზომვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ფაქტორები, რომლებსაც დღევანდლამდე ძალიან მცირე ყურადღებას უთმობდნენ. ესენია: ვალების დონე, ერის კეთილდეობა და ბედნიერება, მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებული განსხვავება, ქვეყნის მშვიდობიანობის ხარისხი და მისი ბუნებრივი რესურსები (გასათვალისწინებელია ხომ არ ჩანაგდება ისინი დასაშვებ ზღვარს მიღმა). (Vision of Humanity, GPI, and Intitute for Economics and Peace www.economicsandpeace.org/.../Resources/2009-GPIDiscissionPaper.pdf)*

ამ კვლევების ავტორების აზრით, კონფლიქტის ხარჯები ეკონომიკურ კეთილდღეობასა და უსაფრთხოებას, განვითარებასა და ადამიანთა ბედნიერებას უნდა შევუპირისპიროთ. ასეთი მიდგომა სრულ შესაბამისობაშია კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთ ცენტრალურ ნორმასთან, რომლის თანახმადაც (როგორც შემდგომ თავებში დავინახავთ) მშვიდობა მრავალი კულტურული ფასეულობის ჰიბრიდული მანიფესტაციაა და არა ერთი მუდმივი მდგომარეობა. მაგალითად, ბუდისტური მოძღვრების თანახმად, ეკონომიკური კეთილდღეობა ფინანსური მიღწევებით არ იზომება; მისი საზომი ადამიანთა კეთილდღეობა და ბედნიერებაა. მაგ. ჰიმალაიში მდებარე, პატარა სამეფო ბჰუტანი თავის ეროვნულ სიმდიდრეს მთლიანი ეროვნული ბედნიერების ინდექსით ზომავს, რომელიც აერთიანებს კეთილდღეობის, ფსიქოლოგიურ, კულტურულ, ჯანმრთელობის, განათლებისა და სახელმწიფო მმართველობის ხარისხის ინდიკატორებს (მოლაპარაკებებით მიღწეული ჰიბრიდული „მშვიდობის“ მიმოხილვა იხილეთ მე-9 თავში). ნობელის პრემიის მფლობელი ეკონომიკის დარგში ამარტია სენი ამტკიცებს, რომ განვითარება მხოლოდ ეკონომიკური ზრდის პროდუქტი არ არის, იგი ასევე უკავშირდება ადამიანების თავისუფლების ხარისხს და იმას თუ რამდენად აქვთ მათ მათთვის სოციალურად მნიშვნელოვანი მიზნების განხორციელების შესაძლებლობა (2009).[11]

მშვიდობისა და კონფლიქტების ინდიკატორების შესახებ არსებულ უამრავ მონაცემებსა და სტატისკურ ანალიზში, რომლებზეც მკვლევრებსა და პოლიტიკოსებს მიუწვდებათ ხელი ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ერთი თვალშისაცემი მიმართულება იკვეთება, რომელზეც ამ ნაწილის დასასრულს აუცილებლად უნდა შევჩერდეთ. მიუხედავად იმისა, რომ

უკანსკნელ წლებში დიდი, შეიარაღებული კონფლიქტების კლების ტენდენცია თვალნათლივ ჩანს, მსოფლიოს მოსახლეობა საკუთარ წილს მშვიდობისა და წარმატებით მინიჭებული სიკეთისგან ვერ იღებს. პოლ კოლიერი (2008) თავის ნაშრომში, რომელიც სამოქალაქო ომების კვლევას ეძღვნება, იყენებს ტერმინს „ქვედა მილიარდი“, რომლითაც 58 ქვეყანაში (ძირთადად აფრიკასა და ცენტრალურ აზიაში) მცხოვრებ იმ ერთ მილიარდ ადამიანს მოიხსენიებს, რომლებიც მართალია, „21-ე საუკუნესთან თანაარსებობენ, მაგრამ მე-მე–14 საუკუნის რეალობაში ცხოვრობენ: სამოქალაქო ომებში, შავ ჭირსა და უმეცრებაში.“

მართალია, ცივი ომის დასრულების შემდეგ განვითარებული ქვეყნების უმრავლესობამ ზრდის ძალიან პოზიტიურ ტემპებს მიაღწია, მაგრამ პოლ კოლიერის „ქვედა მილიარდი“ ახალი ათასწლეულის დასაწყისს უფრო ღარიბი შეხვდა ვიდრე 1970-იანებში იყო. ეს ქვედა მილიარდი უამრავ ხაფანგშია გამომწყვდეული, კონფლიქტი ერთ-ერთი მათგანია, მასში კი ცალსახა კორელაცია არსებობს ეკონომიკური ზრდის ტემპებსა და სამოქალაქო ომისადმი მიდრეკილებას შორის. კოლიერის გაანგარიშებით, ტიპიური დაბალშემოსავლიანი ქვეყანა, რომლის მოსახლეობაც „ქვედა მილიარდს“ განეკუთვნება, ნებისმიერ ხუთწლიან პერიოდში სამოქალაქო ომის 14 პროცენტით მეტი რისკის წინაშე დგას. კოლიერი თვლის, რომ კონფლიქტში ჩართვისთანავე, ნებისმიერი ქვეყანა „უკუ განვითარებას“ იწყებს, ხოლო ტიპიური შვიდწლიანი ომის შემდეგ ქვეყანა 15 პროცენტით უფრო ღარიბია, ვიდრე ის არასაომარ პირობებში იქნებოდა. და პირიქით, ზრდის ტემპის ნებისმიერი პროცენტით მატება, იმდენივე პროცენტით ამცირებს კონფლიქტში ჩართვის რისკს. კოლიერი თვლის, რომ 2050 წლისთვის უზარმაზარი უფსკრული განვითარებული მსოფლიოს ერთ მილიარდ მდიდარსა და განვითარებადის ხუთ მილიარდს შორის კი არ იარსებებს (როგორც ამას „გაეროს ათასწლეულის ამოცანებში“ ვკითხულობთ), არამედ იარსებებს „ამ ხაფანგში მომწყვდეულ ერთ მილიარდსა და დანარჩენს კაცობრიობას შორის.“ იგი თვლის, რომ კონფლიქტი-სიღარიბის ციკლში მოქცეული ეს ქვედა ერთი მილიარდი, თავის დაღწევას მხოლოდ საერთაშორისო დახმარებით შეძლებს. ეს მოსაზრება კონფლიქტის მკვლევრების მაკისა და გურის პოზიციას ეხმიანება, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტების გლობალურ კლებას საერთაშორისო აქტიურობის ზრდით ხსნიან. ასეთი მოსაზრება სრულ შესაბამისობაშია „კონფლიქტების კოსმოპოლიტურ მოგვარებასთან“, რომელზეც ამ წიგნის მეორე ნაწილში ვისაუბრებთ.

კონფლიქტების კარტირება და ტრეკირება

ამ თავის დასასრულს მოკლედ ვისაუბრებთ ინდივიდუალური კონფლიქტების კარტირებასა და ტრეკირებაზე და დავადგენთ რა დახმარება შეიძლება გაუწიოს კონფლიქტების ანალიზს დღესდღეობით ინტერნეტში განთავსებულმა მონაცემებმა.

პოლ ვერი კონფლიქტების კარტირებას „კონკრეტულ კონფლიქტში ჩარევისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯად“ მიიჩნევს; „იგი კონფლიქტის წარმოშობის მიზეზების, მისი ბუნების, დინამიკისა და მოგვარების გზების შესახებ მკაფიო სურათს აძლევს როგორც მასში ნებაყოფლობით ჩართვის მსურველებს ასევე მის მხარეებს.“ (1978:18). ეს მეთოდი რომელიმე კონკრეტული კონფლიქტის დროის ამა თუ იმ მონაკვეთში განვითარებული მოვლენების სტრუქტურულ ანალიზს იძლევა. ანალიტიკოსები მას კონფლიქტის პროფაილის სწრაფად შესადგენად იყენებენ; ასევე ფართოდ იყენებენ კონფლიქტების მოგვარების ვორქშოფებზე იქ დამსწრეთა თვალსაზრისისა და მოსაზრებების გასარკვევად. ნებისმიერი კონკრეტული რუკა მისი ავტორის(ების) მოსაზრებებს ასახავს; არის სქემატური, მიუთითებს კონკრეტულ მდგომარეობაზე და არ არის მასშტაბური და ყოვლის მომცველი. ვერის აზრით (1979: 18-22) კონფლიქტის კარტირებისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

1. მოკლე რეზიუმეს სახით ჩამოყალიბებული აღწერა (მაქსიმუმ ერთი გვერდი);
2. კონფლიქტის ისტორია;
3. კონფლიქტის კონტექსტი (გეოგრაფიული საზღვრები, პოლიტიკური სტრუქტურები, საკომუნიკაციო ქსელები და ა.შ.);
4. კონფლიქტის მხარეები (პირველადი, მეორადი, დაინტერესებული მესამე მხარეები) მათ შორის მასში მონაწილე ძალები (სიმეტრიული თუ ასიმეტრიული), მთავარი მიზნები და პოტენციური კოალიციები;
5. კონფლიქტის საკითხები (ფაქტებზე დაფუძნებული, ინტერესებზე დაფუძნებული, არა-რეალისტური);
6. კონფლიქტის დინამიკა (მოვლენები, რომლებიც მის განვითარებას აჩქარებს, ახალი საკითხების წამოჭრის ალბათობა, პოლარიზაცია, სპირალიზაცია და სტერეოტიპების შექმნა);
7. არსებული პრობლემის/პრობლემების გადაწყვეტის ალტერნატიული გზები;
8. კონფლიქტის რეგულირების ან მოგვარების პოტენციალი (შიდა შემზღუდველი ფაქტორები, გარე შემზღუდველი ფაქტორები, დაინტერესებული ან ნეიტრალური მესამე მხარეები, კონფლიქტების მართვის მეთოდები).

ვერის კონფლიქტის კარტირების სახელმძღვანელოს გამოყენება შესაძლებელია „ყველა ტიპის კონფლიქტის შემთხვევაში, დაწყებული ინტერპერსონალური დონიდან საერთაშორისოთი დამთავრებული.“

ამ მხრივ გასათვალისწინებელი საკითხები მოცემულია 3.6 ფოკუსში, რომელთა მიხედვითაც ნებისმიერი კონფლიქტის საწყისი პროფაილის მომზადებაა შესაძლებელი. მას შეიძლება დაერთოს დიაგრამა, რომელზეც დატანილი იქნება მთავარი და მესამე მხარეები, საკითხები და საკომუნიკაციო არხები და მათ შორის არსებული ურთიერთობები (Fisher et al., 2000).

ფოკუსი 3.6 სახელმძღვანელო კონფლიქტების კარტირებისთვის

ა. ფონი

1. არეალის რუკა
2. ქვეყნის მოკლე აღწერა
3. კონფლიქტის ისტორიის მოკლე აღწერა

ბ. კონფლიქტის მხარეები და სადავო საკითხები

1. ვინ არიან კონფლიქტის ძირითადი მხარეები?
   როგორია შიდა ქვე-ჯგუფები და ვის ეყრდნობიან ისინი?

2. რა საკითხის გამო ხდება კონფლიქტი?
   შესაძლებელია თუ არა პოზიციების, ინტერესების (მატერიალური ინტერესები, ღირებულებები, ურთიერთობები) და მოთხოვნების გამიჯვნა?
3. რა ურთიერთობა აქვთ კონფლიქტის მხარეებს?
   აქვს თუ არა ადგილი რაოდენობრივსა და ხარისხობრივ ასიმეტრიას?

4. რამდენად განსხვავებულად აღიქვამენ კონფლიქტის მხარეები მის გამომწვევ მიზეზებსა და ბუნებას?

5. როგორია მათი ამჟამინდელი ქცევა? (რომელ ფაზაშია კონფლიქტი - ესკალაციისა თუ დეესკალაციის?)

6. ვინ არიან მხარეების მეთაურები? ელიტის/ინდივიდუალურ დონეზე, რა არის მათი ამოცანები, პოლიტიკა, ინტერესები, შეფარდებითი ძლიერი და სუსტი მხარეები?

გ. კონტექსტი: გლობალური, რეგიონალური და სახელმწიფო დონის ფაქტორები

1. სახელმწიფო დონეზე: სადავოა თუ არა სახელმიწფოს ბუნება? რამდენად ღია და მისაწვდომია სახელმიწფო აპარატი? არის თუ არა ეს ინსტიტუტები ის, რაც შეიძლება კონფლიქტის მართვის ლეგიტიმურ არხად ჩაითვალოს? რამდენად თანაბარია ეკონომიკური განვითარება და არსებობს თუ არა ეკონომიკური პოლიტიკა, რომელმაც დადებითი გავლენა შეიძლება იქონიოს?

2. რეგიონალურ დონეზე: რა გავლენას ახდენს კონფლიქტზე მეზობელ სახელმწიფოებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა? ჰყავთ თუ არა მხარეებს გარე რეგიონალური მხარდამჭერები? რომელ რეგიონალურ აქტორებს შეიძლება გამოუცხადონ მხარეებმა ნდობა?

3. გლობალურ დონეზე: არსებობს თუ არა გარე გეოპოლიტიკური ინტერესები ამ კონფლიქტში? რა გარე ფაქტორები ამოძრავებს ამ კონფლიქტს და როგორ შეიძლება მათი შეცვლა?

ფოკუსი 3.7 მშვიდობისა და კონფლიქტის ტრეკინგის ინფორმაციის წყაროები

გლობალური მშვიდობის ინდექსი visionofhumanity.org/

გლობალური მშვიდობის ინდექსი (GPI) რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ინიციატივას ანხორციელებს, მათ შორის „ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტს“. გლობალური მშვიდობის ინდექსი 1997 წელს სტივ კილელეამ, ავსტრალიელმა საინფორმაციო ტექნოლოგიების ენტრეპრენერმა დაარსა; მან 2000 წელს შექმნა „საქველმოქმედო ფონდი“ (TFC), რომელიც ავსტრალიის ერთ-ერთი უდიდესი კერძო ფონდია, რომელიც მხარს უჭერს ჰუმანიტარულ, განვითარების და მშვიდობის პროექტებსა და ინიციატივებს. კილელეაზე გავლენა მოახდინა ტიბეტურმა ბუდიზმმა; იგი „რელიგიების მშვიდობისათვის მსოფლიო საბჭოს“ ერთ-ერთი ნდობით აღჭურვილი პირია. გლობალური მშვიდობის ინდექსი ქვეყნდება ყოველ წელს 2007 წლის შემდეგ; იგი წარმოადგენს დღესდღეობით არსებულ ყველაზე სრულყოფილ მეთოდოლოგიას სახელმწიფოების მშვიდობიანობის ხარისხის დასადგენად.

საერთაშორისო კონფლიქტების კვლევის ჰეიდელბერგის ინსტიტუტი (HIIK) http://hiik.de/en.index.html

ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტთან არსებული საერთაშორისო კონფლიქტების კვლევის ჰეიდელბერგის ინსტიტუტი აგროვებს დოკუმენტაციას და აწარმოებს სახელმწიფო და საერთაშორისო პოლიტიკური კონფლიქტების კვლევასა და ანალიზს. იგი დაარსდა 1991 წელს კვლევითი პროექტის - კონფლიქტების სიმულაციის მოდელის (COSIMO) - გაგრძელების მიზნით. COSIMO აღნუსხვას კონფლიქტებს 1945 წლის შემდეგ; იგი დღესდღეობით ფლობს ინფორმაციას 1945 წლის შემდეგ განვითარებული 500-ზე მეტი პოლიტიკური კონფლიქტის შესახებ 2500 ფაზის მიხედვით, მათი ესკალაციისა და დეესკალაციის დონეებისა და ძალადობისა და არა-ძალადობის ფაზების გათვალისწინებით. კვლევების შედეგები ქვეყნდება „კვლევის ბარომეტრში.“

ბარსელონას დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, მშვიდობის კულტურის სკოლა (Escola de Cultura de Pau). კონფლიქტისა და მშვიდობის შენების პროგრამა

პროგრამამ სათავე აიღო 1998 წელს იარაღის გადაცემის წლიური ანგარიშის შედგენისას. პროგრამა დაიწყო 2001 წელს და ახორციელებს შეიარაღებული კონფლიქტების, დაძაბული მდგომარეობების, ომის შემდეგომი რებილიტაციის, ჰუმანიტარული კრიზისის, მილიტარიზაციისა და განიარაღების, ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, გენდერული და მშვიდობის შენების საკითხების ყოველდღიურ მონიტორინგსა და ანალიზს. კვლევის შედეგები ქვეყნდება „სამაფორო“ (გამოდის ორ კვირაში ერთხელ), „ბიულეტინ მენსუალში“ (ყოველთვიური), „ბარომეტროში“ (გამოდის კვარტალში ერთხელ) და მასშტაბურ ყოველ წლიურ ანგარიშ „ალერტაში.“

კრიზისების საერთაშორისო ჯგუფი HYPERLINK “http://www.icg.org” www.icg.org

დაფუძნებულია ბრიუსელში, მასში მოღვაწეობს 100 ანალიტიკოსი ხუთივე კონტინენტზე. მისი ბიულეტენი „კრიზისვოჩი“ მიმოიხილავს მოვლენებს 70 კონფლიქტურ სიტუაციაში და აფასებს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სიტუაცია უკანსკნელი თვის განმავლობაში, გაუარესდა თუ უცვლელად შენარჩუნდა.

ფოკუსი 3.7 (გაგრძელება)

კონფლიქტების პრევენციის ევროპული ცენტრი "http://www.conflict-prevention.net" www.conflict-prevention.net

დაფუძნებულია ჰააგაში, ნიდერლანდები. პროგრამა იძლევა ინფორმაციას და კვლევის შედეგებს მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე ძალადობრივი კონფლიქტების პრევენციისა და მშვიდობის შენების ძალისხმევის შესახებ; იგი უპირველეს ყურადღებას აქცევს სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს. კონფლიქტების კვლევა იძლევა წინარე ინფორმაციას, დეტალურად აღწერს კონფლიქტების ტრანსფორმაციის მიზნით განხორციელებულ მიმდინარე ღონისძიებებს, აფასებს კონფლიქტების პრევენციის და მშვიდობის შენების სამომავლო პერსპექტივებს. მონაცემთა ბაზას ასევე აქვს კონფლიქტების პრევენციის კუთხით მოღვაწე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების საძიებელი შესასწავლი კონფლიქტის გათვალისწინებით.

INCORE HYPERLINK "http://www.incore.ulst.ac.uk" www.incore.ulst.ac.uk.

დაფუძნებულია ულსტარის უნივერსიტეტში, ჩრდილოეთ ირლანდიაში. INCORE გვთავაზობს კონფლიქტების მონაცემთა მომსახურებას და გვაძლევს დეტალურ მონაცემთა ბაზას კონფლიქტებისა და კონფლიქტებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მთელი მსოფლიოს მასშტაბით; იგი იძლევა მონაცემებს კონკრეტულ ქვეყნებში მიმდინარე კონფლიქტების შესახებ, ასევე იძლევა თემატურ ინფორმაციას და ინტერდისციპლინალურ ცნობარს იმის შესახებ თუ როგორ ზემოქმედებს და თანამოქმედებს კონფლიქტი სხვა საკითხებსა და ფენომენებზე. ასევე არსებობს ონლაინ მონაცემთა ბაზა სამშვიდობო ხელშეკრულებების შესახებ მთელი მსოფლიოს მასშტაბით. INCORE აქვეყნებს „ეთნიკური კონფლიქტების კვლევის დაიჯესტს".

რისკის ქვეშ მყოფი უმცირესობები (MAR) HYPERLINK "http://www.cidcm.umd.edu/inscr/mar" www.cidcm.umd.edu/inscr/mar

პროექტის "რისკის ქვეშ მყოფი უმცირესობები" (MAR) ინიციატივა ეკუთვნის ტედ რობერტ გურს; დაარსდა 1986 წელს; 1988 წლიდან მოქმედებს მერილენდის უნივერსიტეტის საერთაშორის განვითარების და კონფლიქტის მართვის ცენტრთან (CIDCM). რისკის ქვეშ მყოფი უმცირესობები (MAR) სწავლობს 285 პოლიტიკურად აქტიურ ეთნიკურ ჯგუფს მთელი მსოფლიოს მასშტაბით, 1945 წლიდან დღემდე. კონკრეტულად სწავლობს ეთნოპოლიტიკურ ჯგუფებს - არასახელმწიფო კომუნურ ჯგუფებს, რომლებსაც გააჩნიათ „პოლიტიკური მნიშვნელობა." იგი ითვალისწინებს ორ კრიტერიუმს: პირველი - ის, რასაც ჯგუფი კოლექტიურად განიცდის, ან კოლექტიურ სარგებელს იღებს, სისტემატური დისკრიმინაცია სხვა ჯგუფებისგან ამ საზოგადოების ფარგლებში; მეორე - ჯგუფებს, რომლებიც წარმოადგენს პოლიტიკური მობილიზაციის საფუძველს და ანხორციელებს კოლექტიურ ქმედებას საკუთარი ინტერესების დასაცავად ან ხელშესაწყობად. ამ პროექტის მონაცემთა კატალოგი ახდებს ჯგუფების ტრეკინგს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მიმართულებებით. „რისკის ქვეშ მყოფი უმცირესობებს" (MAR) ასევე აქვს კატალოგში შეტანილი თითოეული ჯგუფის ისტორიის, რისკის შეფასების და ჯგუფის ქრონოლოგიის ანალიტიკური რეზიუმე

ფოკუსი 3.7 (გაგრძელება)

„უპსალას კონფლიქტების მონაცემთა პროგრამა (UCDP); HYPERLINK "http://www.pcr.uu.se/research/UCDP" www.pcr.uu.se/research/UCDP

ოც წელზე მეტია შვედეთის უპსალას უნივერსიტეტის მშვიდობისა და კონფლიექტების კვლევის დეპარტამენტი ახორციელებს „უპსალას კონფლიქტების მონაცემთა პროექტს" (UCDP). პროექტის კატალოგი ერთ-ერთი ყველაზე ზუსტია და ფართოდ გამოყენებულია ყველა იმ კატალოგებს შორის, რომელიც სახელმწიფოს შიდა და სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებს სწავლობს. შეიარაღებული კონფლიქტების შესახებ მონაცემები გროვდება ყოველწლიურად (კალენდალური წელი). აქამდე მონაცემები არსებობდა ცივი ომის დასრულების შემდგომ დაწყებული კონფლიქტების შესახებ, ანუ 1989-დან. ამ ბოლო დროს მონაცემთა ბაზა გაფართოვდა და მასში შევიდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგომი პერიოდი, 1946-2001 წლები, რაც უპსალას უნივერსიტეტსა და ოსლოს საერთაშორისო მშვიდობის კვლევების ინსტიტუტს შორის განხორციელებული პროექტის შედეგია. შეიარაღებული კონფლიქტების შესახებ მონაცემები 1987 წლიდან ქვეყნდება ანგარიშების სახით „შეიარაღებულ კონფლიქტებში მონაწილე სახელმწიფოები," 1988 წლიდან ქვეყნდება "SIRPI Yearbook" (Oxford University Press), 1993 წლიდან კი „მშვიდობის კვლევების ჟურნალში." პროექტის ვებგვერდზე ასევე განთავსებულია ინდივიდუალური კონფლიქტების პროფაილები. UCDP-ის ოთხი მთავარი სერვისი აქვს: UCDP-PRIO შეიარაღებული კონფლიქტების მონაცემთა კატალოგი 1946 წლიდან - ინფორმაცია ახლდება ყოველწლიურად; UCDP Conflict Termination Dataset, რომელიც ავსებს მონაცემთა მთავარ კატალოგს და დამატებით ინფორმაციას იძლევა კონფლიქტების შეწყვეტის შესახებ. UCDP database ვებ რესურსი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია 1989 წლის შემდეგ განვითარებული კონფლიქტების შესახებ და UCDP Non-State Conflict Data, UCDP One Sided Violence Data.

წყარო: ყველა პროექტის აღწერა აღებულია ინდივიდუალური ვებგვერდებიდან. ასევე იხ. Eck, რომელიც გთავაზობთ არსებულ მონაცემთა კატალოგების დეტალურ მდებარეობას, შინაარსს, მეთოდოლოგიას და ამოცანებს.

ასევე ვთვლით, რომ მნიშვნელოვანი იქნება რუკაზე დაიტანოთ ა) გეოგრაფიული მონაცემები (მდინარეები, მთები და ა.შ.), ბ) სახელმწიფო საზღვრები, გ) ადამიანების განაწილება; ასეთი რამ კონფლიქტების შედარებისას მრავალ საკითხს მოჰფენს ნათელს.

კონფლიქტის სტრუქტურის რუკაზე გადატანის შემდეგ მოცემულ ინფორმაციაზე დაყდნობით კონფლიქტის მოგვარების მასშტაბები უნდა დადგინდეს, რა დროსაც სასურველია მხარეთა ან მესამე მხარის მონაწილეობა. ასეთი ანალიზი იმ კონტექსტუალურ ცვლილებებს გვიჩვენებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტის სიტუაციის შეცვლა; ასევე მიუთითებს მესამე მხარის ინტერესებსა და იმაზე, თუ რამდენად შეუძლია მას სიტუაციაზე ზემოქმედება; ასევე გვიჩვენებს ცვლილებებს თავად კონფლიქტის მხარეებში და მათ შორის არსებულ ურთიერთობებში, მაგ; ბრძოლა შიდა პირველობის მოსაპოვებლად, სამხედრო ბრძოლების განსხვავებული პერსპექტივები; საზოგადოების მზადყოფნა მხარი დაუჭიროს კონფლიქტის გადაწყვეტას; მიზნების თავიდან ჩამოყალიბების შესაძლებლობა და უთანხმოების მოგვარების ალტერნატიული გზების ძიება, მათ შორის კონფლიქტის გადაწყვეტის ან ტრანსფორმაციის საშუალებების მოძიება; რა წინააღმდეგობები შეიძლება წარმოიშვას და როგორ შეიძლება მათი დაძლევა. ამ საკითხებზე შემდეგ თავში ვისაუბრებთ.

კონფლიქტის რუკა ერთი მომენტის ეთგვარი ფოტოსურათია. ანალიტიკოსებს მასზე მოვლენათა შემდგომი განვითარების ასასახად „კონფლიქტის ტრეკინგის“ მეთოდის გამოყენება დასჭიდებათ. ასეთი რამ ინტერნეტის პირობებში თავისუფლადაა შესაძლებელი. ბოლო ათი წლის განმავლობაში საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში მომხდარმა რევოლუციამ კონფლიქტის მოგვარებასა და კონფლიქტის შემდგომი პერიოდის მშვიდობის შენებაზე გარკვეული გავლენა უკვე მოახდინა (Reynolds Levy, 2004). სხვადასხვა ვებგვერდზე უამრავი რაოდენობრივი თუ თვისობრივი, მაღალი დონის მონაცემები და ინფორმაციაა ხელმისაწვდომი (იხ. ფოკუსი 3.7). კონფლიქტების კარტირებისა და ტრეკინგის მეთოდოლოგიაში მშვიდობიანი მომავლის საშუალებებიც გათვალისწინებულია, სცენარის სიმულირება შესაძლებელია რეალურ ვორქშოფებზე და ICT სათამაშო და სიმულირების ინტერფეისებზე. 3.1. ფოკუსში განხილული USHAHIDI ამ ტექნოლოგიის სამომავლო განვითარების მაგალითია.

რეკომენდირებული ლიტერატურა:

Eck (2005); Harbom and Walensteen, (2009); Hewitt et al. (2010).

თავი მეოთხე

თანამედროვე კონფლიქტები

პირველ თავში კონფლიქტების მოგვარების თეორიის მთავარი კონცეფციები გაგაცანით, მეორეში ამ დარგის ევოლუციის შესახებ ვისაუბრეთ, მესამეში კი დიაგნოსტირების სტატისტიკური ბაზა განვიხილეთ. ახლა ვისაუბრებთ იმაზე თუ როგორ განიხილავდნენ დიდ, შეიარაღებულ კონფლიქტებს ოცდამეერთე საუკუნის გარიჟრაჟზე; კონფლიქტების ადეკვატური ანალიზი - პოლემოლოგია (ფრანგულ ტერმინოლოგიას ვისესხებთ) - თავიდანვე კონფლიქტების მოგვარების ნორმატიულ პრე-რეკვიზიტად ითვლებოდა. ამიტომ ამ თავში შემდეგი თავებისთვის საჭირო კონცეპტუალურ ბაზას შემოგთავაზებთ.

თეორიები და ჩარჩოები

პირველ თავში კონფლიქტების მოგვარების დარგის რამდენიმე ცნობილი, ზოგადი თეორია გაგაცანით. ეს მოდელები კონფლიქტისა და კონფლიქტების მოგვარების ზოგად ასპექტებს გამოკვეთს. სპექტრის მეორე მხარეს კი კონკრეტული კონფლიქტების ინდივიდუალური ისტორიულ-პოლიტიკური ახსნაა. რამდენად შესაძლებელია ზოგად მოდელებსა და ინდივიდუალური კონფლიქტის ახსნას შორის რაღაც შუალედურის გამონახვა და კონფლიქტების ისეთ „საერთო თეორიამდე“ მისვლა (როგორც მას ვასკეზი უწოდებს) (1995: 137), რომლითაც ცივი ომის შემდეგომი პერიოდის დომინანტი მოდელების ახსნას შევძლებთ?

ერთი შეხედვით, ერთი, ყველაფრის მომცველი განმარტების პოვნა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში განვითარებული განსხვავებული ტიპის კონფლიქტებისთვის (აღნუსხულს ცხრილში 3.1; იხ. გვ. 68) გამოდგებოდა, შეუძლებელია. კონფლიქტების მოგვარების დარგში სისტემატიური კვლევების წარმოების დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ სხვადასხვა სკოლების თვალსაზრისებს შორის შეუქცევადი აზრთა სხვადასხვაობა იყო.[1] თუ სქემატურ მოდელად 4.1. ნახაზს ავიღებთ, დავინახავთ, რომ ამ თეორიათაგან ზოგიერთი ინტერნალურია, რადგან კონფლიქტის ძირითად წყაროს პროტაგონისტების ბუნებაში ხედავს (მაგ.,ეტიოლოგიური და ანთროპოლოგიური თეორიები), ზოგიერთი ურთიერთობითია, რადგან კონფლიქტის მიზეზს მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ეძებს (მაგ., გარკვეული თეორიები ბიჰეივიორისტულ სოციოლოგიასა და სოციალურ ფსიქოლოგიაში), ზოგი კონტექსტუალურია, რადგან განმაპირობებელ კონტექსტს, რომელიც კონფლიქტს წარმოშობს, ხოლო ზოგიერთი ვერსიის თანახმად მხარეებსაც კი ქმნის, გარე ფაქტორებში ეძებს (მაგ., გარკვეული ნეო-რეალისტური და მარქსისტული თეორიები)[2]



ნახაზი 4.1. კონფლიქტის შიდა, ურთიერთობითი და კონტექსტუალური თეორიები

ასეთი რამ უკვე თვალნათლივ გამოჩნდა თანამედროვე ეპოქის ადრეული ევროპელი თეორეტიკოსების ნააზრევში. მაქიაველის აზრით, კონფლიქტი ადამიანის თვით-დაცვისა

და ძალა-უფლების მოპოვების სურვილის შედეგი იყო. ჰობსის აზრით, ბუნებრივ პირობებში „ჩხუბის სამი მთავარი მიზეზი“ არსებობს: სარგებლის მიღება, დაუცველობის შიში და ღირსების დაცვა. ჰიუმის აზრით კი, ადამიანური კონფლიქტს საფუძვლად რესურსების შეზღუდული რაოდენობა და ალტრუიზმის ნაკლებობა უდევს. რუსოს აზრით, „საომარი მდგომარეობა“ „სოციალური მდგომარეობის“ შედეგია.

საყურადღებოა ისიც, რომ განსხვავებული ტიპის ახსნას ხშირ შემთხვევაში პოლიტიკურად კომპრომეტირებულად მიიჩნევენ, იმისდა მიხედვით კონფქლიქტის პროტაგონისტების მიერაა წამოყენებული თუ მესამე მხარის. ასე იყო ცივი ომის დროსაც[3]; იგივე ახასიათებს მისი შემდგომი პერიოდის კონფლიქტებსაც. მაგ. ფოკუსი 4.1. თვალნათლივ გვიჩვენებს რამდენად განსხვავებულია ჩრდილოეთ ირლანდიის კონფლიქტის „მესამე მხარისეული“ ინტერპრეტაციები. ზოგიერთთა აზრით, ეს „შიდა კონფლიქტია“, ზოგიერთთათვის კი „ტრადიციული ნაციონალისტური“ ან „ტრადიციული იუნიონისტური“ (გაერთიანების), რასაც სხვადასხვა დროს კონფლიქტის მხარეებიც აღიარებდნენ. ასეთი მდგომარეობა ცხადყოფს, რომ „ნეიტრალური“ გარეშე პირების თვალსაზრისი, მათ შორის სხვადასხვა სახის აკადემიური თეორიებიც შეიძლება პოლიტიკურად ანგაჟირებული იყოს.[4]

ყველაფრის მიუხედავად მაინც არსებობს კონფლიქტების ისეთი ახსნა, რომელიც ნათელს ჰფენს თანამედროვე კონფლიქტებს და მათ სოციალურ და საერთაშორისო პირობების კონტექსტში წარმოგვიდგენს. ამჯერად 1970-იან, 1980-იან წლებში შექმნილ, აწ გარდაცვლილი ედუარდ ეიზერის „გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტების“ თეორიაზე (Protracted Social Conflicts (PSC)) ვისაუბრებთ, რომელშიც განჭვრეტილია ის, რაც დღესდღეობით ასე გვაღელვებს - კონფლიქტის სოციალური ფესვები და მთავრობის უუნარობა. შემდეგ ეიზერის მოსაზრებებს თანამედროვე კონტექსტში კონფლიქტების თეორიებთან მიმართებაში განვიხილავთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს თეორიები მისი გარდაცვალების შემდეგ, 1991 წლის მერე წარმოიშვა.

ფოკუსი 4.1. ჩრდილოეთ ირლანდიის კონფლიქტის ინტერპრეტაცია

1. ტრადიციული ნაციონალისტური ინტერპრეტაცია: ბრიტანეთი ირლანდიის პირისპირ:

ირლანდიელი ხალხი არის ერთი ნაცია, ირლანდიის გაყოფა ბრიტანეთის ბრალია.

2. ტრადიციული იუნიონისტური ინტერპრეტაცია: სამხრეთ ირლანდია ჩრდილოეთ ირლანდიის პირისპირ.

ირლანდიაში ორი სხვადასხვა ინტერესის მქონე ხალხთა გჯუფი ცხოვრობს, რომლებსაც თვითგამორკვევის უფლება აქვთ; პროტესტანტები (იუნიონისტ/ლოიალისტური) და კათოლიკეები (ნაციონალისტ/რესპუბლიკელები); ამ კონფლიქტის მიზეზი ის ნაციონალისტები არიან, რომლებიც ამის აღიარებაზე უარს ამბობენ.

3. მარქსისტული ინტერპრეტაცია: კაპიტალისტები მშრომელთა პირისპირ

კონფლიქტის მიზეზი მოუგვარებელი იმპერიული მემკვიდრეობა და მმართველ კაპიტალისტთა კლასის ძალისხმევაა მშრომელები მუდმივ ჩაგვრაში და ერთმანეთისგან გაყოფილები ჰყავდეთ.

4. ინტერპრეტაცია, რომელიც მიზეზად შიდა-კონფლიქტს ხედავს: ჩრდილოეთ ირლანდიის ფარგლებში პროტესტანტები კათოლიკეთა პირისპირ.

კონფლიქტის მიზეზი არის ჩრდილოეთ ირლანდიის ორი გახლეჩილი საზოგადოების ერთმანეთთან შეუთავსებლობა.

წყარო: Whyte, 1990; 113-205

კონფლიქტების მოგვარების თეორიის შეფასების კონტექსტი

ეიზერის გარდაცვალებიდან ხუთი წლის თავზე ჰოლსტი წერდა, რომ მეოცე საუკუნის მიწურულის ომების მიზეზი „არ არის საერთაშორისო პოლიტიკა, უსაფრთხოება, ღირსება ან სტატუსი; ისინი სახელმწიფოებრიობის, მმართველობის, ნაციებისა და მათში შემავალი თემების როლისა და სტატუსის გამო მიმდინარეობს“ (1996: 20-1). ალბათ უცნაურია, რომ ‘ბოლო დრომდე საერთაშორისო ურთიერთობის თეორეტიკოსები და სტრატეგიული კვლევების ანალიტიკოსები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ეთნიკური და საზოგადოებრივი კონფლიქტის სხვადასხვა ფორმების გამომწვევ მიზეზებს, შედეგებსა და საერთაშორისო მნიშვნელობას (Brown, 1993; vii). 1990-იანი წლების შუიდიან უეცრად მოდური გახდა მსჯელობა „შიდა კონფლიქტებზე“ (Brown, 1996), „ახალ ომებზე, (Kaldor and Vashee, 1997) „მცირე ომებზე“ (Harding, 1994), „სამოქალაქო ომებზე“ (King, 1997), „ეთნიკურ კონფლიქტებზე“ (Stavenhagen, 1996) „პოსტ-კოლონიალური სახელმწიფოების კონფლიქტებზე“ (Van de Goor et al., 1996) და ა.შ..ჰუმანიტარული და განვითარების არასამთავრობო ორგანიზაციები და საერთაშორისო სააგენტოები „კომპლექსური ხასიათის ჰუმანიტარულ საგანგებო მდგომარეობასა“ და „კომპლექსური ხასიათის პოლიტიკურ საგანგებო მდგომარეობაზე“ ალაპარაკდნენ. თუმცა, ეიზერის სიცოცხლეში ეს ასე არ იყო. 1991 წელს თავად ჰოლსტიც თავის 1648-1989 წლის შეიაღარებული კონფლიქტების ანალიზში აქცენტს სახელმწიფოთაშორის ომებზე აკეთებდა. მან მხოლოდ 1996 წელს შეცვალა აქცენტები და თემის სტატუსი სახელმწიფოს ფარგლებში და სუსტი და ახალი სახელმწიფოების ბუნება „ამჟამინდელი და მომავალი ომების უპირველეს“ სიმპტომად მიიჩნია (1996: vii). ასეთი რამ სახელმწიფოთაშორისი ომების სიხშირის კლების ფონზე (არა-სახელმწიფო ომებთან შედარებით) გასაკვირი არ არის, რაზეც 1990-იან წლებში გამოქვეყნებული ყოველწლიური სტატისტიკური ანალიზიც მიუთითებს. ეს ტენდენცია 1990-იან წლებზე გაცილებით ადრე გამოიკვეთა, ზოგიერთთა აზრით კი 1945 წლიდანაც კი[5]. მართალია, ცივი ომის პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული კვლევების ანალიტიკოსები „საზოგადოებრივი კონფლიქტის ეთნიკურ და სხვა ფორმებს“ შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ, მაგრამ ისინი საყურადღებო იყო მშვიდობისა და კონფლიქტების მკვლევართათვის, რომლებიც იმ წყაროების დადგენას ცდილობდნენ, რომლებიც ეგრეთ წოდებულ „ღრმად ფესვგადგმულ“ (Burton, 1987), „ურჩ“ (Kriesberg et al., 1989) და „გაჭიანურებულ“ კონფლიქტებს წარმოშობს (როგორც მათ სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ ხოლმე).

უკანასკნელ ხანს ანალიტიკოსები თანამედროვე ომის ევოლუციას თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან მიმართებაში განიხილავენ. ძირითად გარდამტეხ მომენტებად კი მიიჩნევენ: პირველი - მე-16 და მე-17 საუკუნეებში ეგრეთ წოდებული, სუვერენული სახელმწიფოს წარმოშობას ევროპაში, რომელსაც სათავეში დინასტია ედგა და რისი მაცნეც მაქიაველი, ბოდინი და ჰობსი იყვნენ; მეორე - სახალხო სუვერენიტეტისა და ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის გაჩენა ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციების შემდგომ პერიოდში; და მესამე - დიდ სახელმწიფოთა არსებობით განპირობებული ორპოლუსიანი მდგომარეობა 1945 წლის შემდეგ. პირველ შემთხვევაში მონარქებმა სამხედრო ძალის შიდა მონოპოლიზაცია და რეორგანიზაცია მოახდინეს, შემდეგ კი ეს

ძალა გარეთ მიმართეს; ამ დროს და ასე დაიბადა თანამედროვე სახელმწიფოთაშორისი ომების მოდელები, რომლებმაც ორგანიზებული ძალადობის ადრეული, არარეგულარული, ლოკალიზებული და უდისციპლინო გამოვლინება ჩაანაცვლა. ეს მოდელი მასიური, სახელმწიფო არმიების შექმნასა და „ტოტალურ ომზე" გადასვლას გულისხმობს, რაც პირველი ინდუსტრიული რევოლუციისა და რომანტიზმის მოძრაობის გაჩენის თანმდევი პროცესი იყო, ზენიტს კი ორ მსოფლიო ომში მიაღწია. ბირთვული იარაღის შექმნამ და საბჭოთა და დასავლურ ბლოკს შორის არსებულმა დაპირისპირებამ დიდი სახელმწიფოთაშორისი ომების წარმოება უსარგებლო გახადა (შედარებით დაბალ საფეხურზე რამდენიმე გამონაკლისის გარდა). 1950-1960-იან წლებში შეიარაღებული კონფლიქტების ყველაზე გავრცელებული მოდელები იყო დეკოლონიზაციასთან დაკავშირებული ეროვნული დამოუკიდებლობისთვის მიმდინარე ომები და 1970-1980-იანი წლების პოსტკოლონიალური სამოქალაქო ომები, რომლებშიც ძალა-უფლებისა და გავლენის მოსაპოვებლად მებრძოლი დიდი სახელმწიფოები გეოპოლიტიკურ ბრძოლას აწარმოებდნენ (Howard, 1976; Giddens, 1987; Keegan, 1993). ამიტომ უწოდებს რაისი (1988) 1945 წლის შემდგომ გავრცელებულ ომების მოდელს „მესამე ტიპისას" (მანამადე არსებული ორი კლაუზევიცისეული ფაზებისაგან განსხვავებით); ეს ტერმინი მოგვიანებით გამოიყენეს და დაამკვიდრეს ჰოლსტიმ (1996) და სხვებმა. „ეროვნულ განმათავისუფლებელი" ომებით გარკვეული თემები საკუთარი სახელმწიფოების შექმნას ცდილობენ ან „სხვადასხვა ხალხები ბატონობის, გარიყულობის, დევნის, ან პოსტ-კოლონიური სახელმწიფოს მიერ მიწებისა და რესურსების განკარგვის წინააღმდეგ იბრძვიან." (Holsti, 1996:27).

ზოგიერთთა აზრით, 1990-იანი წლების შემდეგ გავრცელებულმა მოდელებმა ევოლუცია განიცადა. დაიწყო „მესამე ტიპის ომების" მესამე ფაზა ანუ გაჩნდა ცივი ომის შემდგომი პერიოდის კონფლიქტების მოდელი, რომელსაც ცოტა რამ თუ აქვს საერთო დინასტიების მმართველობის პერიოდის ევროპაში წარმოებულ ომებთან ან მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის „ტოტალურ ომებთან." ან რა უნდა ჰქონდეს საერთო ადრეული შუა საუკუნეების ომებს ამ ომებთან, როდესაც არ არსებობდა განსხვავება სახელმწიფოსა და საზოგადოებას, სამხედროსა და მშვიდობიან მოქალაქესა და ომსა და ორგანიზებულ დანაშაულს შორის (VVan Grefeld, 1991). კალდორი „ახალ ომებს" შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით ახასიათებს - პოლიტიკური მიზნები (სახელმწიფოებს აღარ აქვთ საგარეო პოლიტიკური ინტერესები; ძალის ახალი ფორმები კონსოლიდირებულია ეთნიკური ჰომოგენურობის მიხედვით); იდეოლოგია (არ არსებობს ისეთ უნივერსალური პრინციპები, როგორიცაა: დემოკრატია, ფაშიზმი ან სოციალიზმი; არსებობს მხოლოდ ტრიბალისტური და კომუნალისტური იდენტობით ნაკარნახევი პოლიტიკა); მობილიზაციის ფორმები (აღარ არსებობს სავალდებულო სამხედრო სამსახური ან პატრიოტული მოწოდებები; სამაგიეროდ არის შიში, კორუფცია, რელიგია, მაგია და მედია); გარე მხარდაჭერა (აღარ არსებობს ლიდერი ან ექს-კოლონიალური სახელმწიფოები; არსებობს დიასპორა, უცხოური დაქირავებული სამხედრო მოსამსახურეები, კრიმინალური მაფია, რეგიონალური ძალები); ომის წარმოების მეთოდები (არ ტარდება ფორმალური და ორგანიზებული კამპანიები; აღარ არსებობს დემარკირებული ფრონტის ხაზები, ბაზები და მძიმე საბრძოლო ტექნიკა; ომი ფრაგმენტული და დანაწევრებულია, მონაწილეობენ პარამილიტარული და კრიმინალური დაჯგუფებები, ბავშვი ჯარისკაცები, მსუბუქი იარაღი; ადგილი აქვს სისასტიკეს, შიმშილს, გაუპატიურებას, ალყებს) და ომის ეკონომიკა (აღარ ფინანსდება გადასახადებიდან მიღებული თანხებით და სახელმწიფო მობილიზაციით; მას ეხმარებიან გარე წყაროები, პარალელური ეკონომიკა, მათ შორის ხე-ტყის და ძვირფასი ლითონების არაოფიციალური ექსპორტი, ნარკო-ტრეფიკინგი,

კრიმინალი, რეკეტები, ძარცვა) (Kaldor and Vashee, 1997: 7-19; Munkler, 2005; Kaldor, 2006).

ფაქტობრივად, კალდორიც და ჰოლსტიც რაისს ეთანხმებიან და ყველაფერი ამის მთავარ გარდამტეხ წერტილად 1945 წელს მიიჩნევენ და არა 1989 და 1990-ს. კალდორის თქმით, 1945 წლიდან ძალიან ცოტა თუ იყო სახელმწიფოთაშორისი ომი (1999:29), ხოლო ჰოლსტი კი წერს:

> *პრობლემა იმაშია, რომ კლაუზევიცისეული ომის იმიჯი და თეორიული მსჯელობა 1945 წლის შემდეგ განვითარებული კონფლიქტების წყაროებსა და მახასიათებლებს დაშორდა. საქმე იმაშია, რომ: 1945 წლის შემდეგ ომების უმეტესობა სახელმწიფოს ფარგლებში მიმდინარეობდა, მაშ რა ინტელექტუალური ან პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ევროპული და ცივი ომის პერიოდის კონცეფციებსა და პრაქტიკას, რომლებიც მხოლოდ სახელმიწფოთა შორის მიმდინარე ომების დიაგნოსტირებისა და მკურნალობისთვისაა ვარგისი (1996:14; ემზაფა ეკუთვნის თავად ავტორს).*

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოთაშორისი ომის ანალიზი, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებში 1945 წლის შემდეგ დომინირებდა, სრულიად არა-რელევანტურია 1945 წლის შემდეგ განვითარებული კონფლიქტებისთვის. „სახელმწიფოთაშორისი ომების“ კორელატების დადგენას უამრავი რაოდენობრივი კვლევა მიეძღვნა, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მისი წყაროებისა და ბუნების შესახებ. ანალიტიკოსები ცდილობდნენ სახელმწიფოთაშორისი და მონათესავე ომების გაზომვადი მახასიათებლების დადგენას; მაგ., მათი სიხშირე, ხანგრძლივობა, ძალა, სიმწვავე, ინტენსიურობა და ხარჯები, რისთვისაც იყენებდნენ ისეთ ცვლადებს, რომლების ემპირიულად გადამოწმებაც შესაძლებელია, მაგ., სტრუქტურებს (ჰეგემონური სტრუქტურა ერთპოლუსიანი, ორპოლუსიანი თუ მრავალპოლუსიანია), ურთიერთობებს (მაგ., ალიანსების მოდელები, შეფარდებითი შესაძლებლობების განაწილება, ძალის კონფიგურაცია და ძალის გადაცემა, შეიარაღების ტემპი), სახელმწიფოებრივ მახასიათებლებს (მაგ., შიდა არეულობის ხარისხი, შიდა რეჟიმის ტიპები, ეკონომიკური განვითარების დონე), და სხვა ისეთ ასპექტებს, რომლებსაც მანსბახი და ვასკეზი (1981) „ომისკენ სავალ გზას“ უწოდებენ.[6] ამ უზარმაზარმა წამოწყებამ მკვლევრები სრულიად განსხვავებულ შედგებამდე მიიყვანა.[7]მაგრამ ხომ არ არის შესაძლებელი, რომ 1945 წლის შემდგომი პერიოდის ყველაზე გავრცელებული მოდელების კვლევისას საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული კვლევების ექსპერტები სრულიად სხვა მიმართულებით იყურებოდნენ? იქნებ, ლიდერ სახელმწიფოებს შორის ორპოლუსიანი დაპირისპირებით თვალებდაბნელებულმა ანალიტიკოსებმა დეკოლონიზაციის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე და პოსტკოლონიალური ომები ტრადიციულ ევროპულ კონცეპტუალურ კატეგორიებთან გააიგივეს და ვერ შეამჩნიეს 1945 წლის შემდეგ მომხდარი თვისობრივი ცვლილება, როცა დიდი შეიარაღებული კონფლიქტების მოდელები შიდა-ევროპული სახელმიწფოთაშორისი ომები აღარ იყო? იქნებ ანალიტიკოსები დაგვიანებით, მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიხვდნენ, რომ ცივი ომის შემდგომი პერიოდის კონფლიქტების „ახალი“ მოდელი არცთუ ახალი იყო და სხვადასხვა გეოპოლიტიკურ პირობებში თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში გავრცელებული გახლდათ.

ამ კვლევების შესახებ ახლა არაფერს ვიტყვით, მხოლოდ იმით შემოვიფარგებით, რომ ეიზერის ნაშრომი ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რადგან იგი 1970-იანი წლებიდან კლაუზევიცისეული გავრცელებული მოსაზრებების რადიკალურად გადახედვის საჭიროებას

ამტკიცებდა. რა თქმა უნდა, ეიზერი ამ შემთხვევაში მარტო არ იყო. კონფლიქტების მოგვარების სხვა თეორეტიკოსებისგან, განსაკუთრებით ჯონ ბარტონისგან, რომელთან თანაავტორობითაც გამოაქვეყნა ეს შრომა, დიდად არის დავალებული. ჩვენ ახლა მათი წვლილის ცალ-ცალკე განხილვას არ მოვყვებით. ასევე ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ მოსაზრებებს „ახალი“ ომის მახასიათებლების შესახებ, რომელსაც უამრავი წინაპარი მოეძებნება (Newman, 2004). არ ვუარყოფთ, რომ მთელი ამ პერიოდის მანძილზე „კლაუზევიცისეული“ ომებიც (ინდოეთსა და პაკისთანს შორის, ისარელსა და მის მეზობლებს შორის, ჩინეთსა და ვიეტნამს შორის, ერაყსა და ირანს შორის) მიმდინარეობდა. „შერეული სამოქალაქო საერთაშორისო ომები“ სტრუქტურულად დიდწილად ცივი ომის გეოპოლიტიკით იყო ნაკარნახევი, ხოლო დიდი სახელმწიფოების ორი დიდი ალიანსი კი, არსებული ბირთვული ჩიხის მიუხედავად, კვლავინდებურად შესაძლებელი (თუ არა მოსალოდნელი) „კლაუზევიცისეული“ დაპირისპირებისთვის ემზადებოდა. იმ დროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული კვლევების ანალიტიკოსების ყურადღების ცენტრში სწორედ ეს უკანსკნელი იყო, რის გამოც ეიზერისა და კონფლიქტების მოგვარების სხვა ანალიტიკოსების მიერ ტრადიციულ ლიტერატურაში წამოყენებული მოსაზრება არსებული მოდელების რეკონცეპტუალიზაციის საჭიროების შესახებ ბევრს მხედველობიდან გამორჩა.

ედუარდ ეიზერის გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის თეორია

(Protracted Social Conflict Theory (PSC))

ედუარდ ეიზერი 1938 წელს ლიბანში დაიბადა, ამერიკის შეერთებულ შტატებში მაგისტრატურაში საერთაშორისო ურთიერთობის შესასწავლად გაემგზავრა. თავდაპირველად მისი ვიწრო სპეციალიზაციის სფერო სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების რაოდენობრივი ანალიზი იყო. მის „კონფლიქტებისა და მშვიდობის კვლევის მონაცემთა ბანკში“, რომელიც ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტთან არსებობდა, დაცული იყო შიდა, საშინაო და გარე, საერთაშორისო მონაცემები. დროთა განმავლობაში ეიზერის ყურადღება მეორეზე მეტად პირველმა მიიპყრო, ამის მიზეზი ალბათ ის იყო, რომ თავისი სამშობლოს, ლიბანის ბედი დიდად აღელვებდა. სხვადასხვა დიალოგებსა და დისკუსიებში მონაწილეობამ (რომელთა თემაც ძირითადად ახლო აღმოსავლეთი იყო ხოლმე) მისი არჩევანი მეტად განამტკიცა; იგი ჰარვარდის უნივერსიტეტის ჰერბერტ კელმანისა და სტივენ კოჰენის პრობლემათა გადაწყვეტის ვორქშოფების ხშირი მონაწილე იყო. ასე აღმოჩნდა იგი კონფლექტების მოგვარების დარგში მოღვაწე თანამოაზრეთა გარემოცვაში და მალე დარწმუნდა, რომ მათი თანამედროვე, ფართო-მასშტაბიანი კონფლიქტების ფესვების რეკონცეპტუალიზაციის ძალისხმევა მის მოსაზრებებთან სრულ შესაბამისობაში იყო. 1980-იან წლებში მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებდა ჯონ ბარტონთან, რომელთან ერთადაც მერილენდის უნივერსიტეტში „საერთაშორისო განვითარებისა და კონფლიქტების მართვის ცენტრი“ დააარსა (the Center for International Development and Conflict Management (CIDCM)). მოგვიანებით ჯორჯ ბარტონმა ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტში განაგრძო მოღვაწეობა, ეიზერი კი მერილენდში დარჩა. სადაც იგი 1991 წელს გარდაიცვალა (იხ. Fisher, 1997 ch.4).

1970-იანი წლებიდან მოყოლებული ეიზერის მიერ გამოქვეყნებულ კვლევებში ლიბანში (მისი კვლევის მთავარი სფერო), შრი-ლანკაზე, ფილიპინებზე, ჩრდილოეთ ირლანდიაში, ეთიოპიაში, ისრაელში, სუდანში, კვიპროსზე, ირანში, ნიგერიასა თუ სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე, გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტების ძირითად ფაქტორად სახელდებოდა ის, რომ ეს იყო „საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის გაგრძელებული და ხშირ შემთხვევაში

ძალადობრივი დაპირისპირება ისეთი საბაზისო მოთხოვნილებებისთვის, როგორიცაა: უსაფრთხოება, აღიარება და მიღება, პოლიტიკურ ინსტიტუტებზე წვდომა და ეკონომიკური თანამონაწილეობა“ (1991:93). სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ტრადიციული კვლევები ამ დინამიკის სწორად აღქმის საშუალებას არ იძლეოდა. საერთაშორისო სამართლისაგან განსხვავებით, ეიზერი შიდა და საერთაშორისო პოლიტიკას შორის არსებულ განსხვავებას უარყოფდა და „ხელოვნურად“ მიიჩნევდა. „არსებობს მხოლოდ ერთი სოციალური გარემო და მისი შიდა მხარე, გაცილებით შთამბეჭდავია“ (Azar and Burton, 1986:33). სახელმწიფოს როლია (ისევე როგორც მისი სხვა სახელმწიფოებთან კავშირებისა) დააკმაყოფილოს ან უარი თქვას საზოგადოების საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე და ამგვარად ან აღკვეთოს ან ხელი შეუწყოს კონფლიქტის გაღვივებას (Azar, 1990: 10-12).

“გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის თეორიის“ მონაცემთა კატალოგზე დაყრდნობით, რომელიც მერილენდის უნივერსიტეტში 1970-იანი წლებიდან იქმნებოდა, ეიზერი სისტემატიურად ავითარებდა და ხვეწდა ძალადობრივი და გაჭიანურებული კონფლიქტების გამომწვევი დინამიკის მისეულ ხედვას. 1990-იანი წლების დამდეგს (მისი სიცოცხლის ბოლო წლებში), მან გამოჰყო „ახალი ტიპის კონფლიქტის“ სამოცზე მეტი მაგალითი, რომლებიც „ტერიტორიების, ეკონომიკური რესურსების ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მეტოქეობის გამო მიმდინარე ტრადიციული დავებისგან განსხვავებით ... საზოგადოებრივ იდენტობასთან დაკავშიებული საკითხებით იყო გამოწვეული.“ (1991:93). იმ ნაშრომის შესავალ თავში, რომელიც ალბათ მისი 15 წლიანი მოღვაწეობის ყველაზე ლაკონურ შეჯამებას წარმოადგენს, „გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის მართვა: თეორია და შემთხვევათა ანალიზი“ (Management of Protracted Social Conflict: Theory and Cases (1990)), ეიზერი იმ სამ ასპექტს, რომელიც ორთოდოქსალურად ითვლებოდა ომების კვლევებში, საკუთარ მოსაზრებას უპირისპირებს. პირველი - იმდრონდელი ტენდენციით „კონფლიქტი შიდა და გარე სიდიდეების ხისტი დიქოტომია იყო“, სადაც სოციოლოგები, ანთროპოლოგები და ფსიქოლოგები პირველით ინტერსდებოდნენ (სამოქალაქო ომები, ამბოხებები, რევოლუციები, სახელმწიფო გადატრიალებები, პროტესტები, ბუნტები, რევოლუციები და ა.შ.), ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები კი მეორეთი („სახელმწიფოთაშორისი ომები, კრიზისები, შემოსევები, კონფლიქტები სასაზღვრო ზოლში, ბლოკადები და ა.შ.). მეორე - კონფლიქტების ანალიზის გავრცელებული ჩარჩო კონფლიქტის ასპექტებისა და ტიპების ფუნქციონალურ დიფერენციაციას ეფუძნებოდა და მათ ფსიქოლოგიურ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკური კონფლიქტების ქვე-კატეგორიებად ყოფდა და მიიჩნევდა, რომ მათ „სხვადასხვა დონის ანალიზი“ სჭირდებათ. მესამე - ძირითადად აშკარა და ძალადობრივ კონფლიქტებს განიხილავდნენ, ხოლო ფარულ, ლატენტურ და არა-ძალოდობრივ კონფლიქტებს კი უგულვებელყოფდნენ; ასევე აქცენტი კეთდებოდა კონფლიქტის დინამიკაზე მათი ციკლის გათვალისწინებით, სადაც „ძალადობრივი აქტების შეწყვეტა ხშირად მშვიდობიან მდგომარეობას უტოლდება.“ მათგან განსხვავებით, გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტების შესწავლა ცხადყოფდა, რომ:

> *ამჟამად მსოფლიოს ნაკლებ განვითარებულ წერტილებში მიმდინარე მრავალ კონფლიქტში შიდა და გარე წყაროებს და აქტორებს შორის სხვაობა წაშლილია. მათში უამრავი მიზეზობრივი ფაქტორი და დინამიკა იკვეთება, რის გამოც ხშირია ამოცანების, აქტორებისა და სამიზნეების ცვლა; და ბოლოს, ამ კონფლიქტებს დაწყების ან დასრულების გამოკვეთილი წერტილები არ აქვთ. (Azar, 1990:6).*

ტერმინი - „გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტი“ ხაზს უსვამს იმას, რომ მისი წყაროები ძირითადად სახელმწიფოების შიგნითაა და არა სახელმწიფოებს შორის. ეიზერი გამოჰყოფს ცვლადთა ოთხ წყებას, რომლებიც მათი მაღალი ინტენსივობის კონფლიქტად გარდაქმნის წინაპირობას ქმნის.

მათ შორის პირველი არის „საზოგადოებრივი ჯგუფის შემადგენლობა“ (communal content). „გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტების ანალიზის ყველაზე მნიშვნელოვან ერთეულს იდენტობის ჯგუფი - რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური, კულტურული და სხვა - წარმოადგენს“ (Azar, 1986:31). კენეტ ვოლცის (1959) ცნობილი „ანალიზის დონეებისგან“ განსხვავებით, რომელიც თავისი კლასიკური ფორმით სისტემის, სახელმწიფოსა და ინდივიდების დონეებს გამოჰყოფდა, „გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტების“ ანალიზში მთავარი აქცენტი იდენტობის ჯგუფებზე კეთდება. მის თანახმად, პრობლემის ბირთვს წარმოადგენს იდენტობის ჯგუფებსა და სახელმწიფოებს შორის არსებული ურთიერთობა (რასაც ეიზერი „სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის „ეგზარტიკულაციას“ უწოდებდა (1970:7)) და ის თუ როგორ ახერხებენ სოციალური ჯგუფის წევრები ინდივიდუალური ინტერესებისა და მოთხოვნილებების მედიაციას („აქ საყურადღებოა ინდივიდის საზოგადოებრივი მოთხოვნილებები - დაცულობა, იდენტობა, აღიარება და ა.შ. 1986:31). ეიზერი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის არსებული გათიშულობის მიზეზს კოლონიალურ მემკვიდრეობაში ხედავდა, რამაც „უამრავ საზოგადოებრივ ჯგუფს“ ხელოვნურად თავს მოახვია ტერიტორიული სახელმწიფოებრიობის ევროპული იდეა, პრინციპით: „გათიშე და იბატონე.“ ამის შედეგად ბევრ პოსტკოლონიალურ, მრავალი სხვადასხვა ჯგუფისგან შემდგარ საზოგადოებაში სახელმწიფო მანქანაზე „რომელიღაც ერთი თემი ან რამდენიმე თემისგან შემდგარი კოალიცია დომინირებს, რომელიც ამ საზოგადოების სხვა წევრების მოთხოვნილებებს უგულვებელყოფს,“ რაც „სოციალურ ქსოვილს ჭიმავს, ანაწევრებს და გაჭიანურებულ სოციალურ კონფლიქტს იწვევს.“ რაც შეეხება, თავად იდენტობის ჯგუფების შექმნას, როგორც მე-2 თავში აღვნიშნეთ, ეიზერი კონფლიქტოლოგიის სხვა თეორეტიკოსების მსგავსად, სოციალურ ფსიქოლოგიასა და ანთროპოლოგიაში წარმოებული კვლევების მონაცემებს ეყრდნობა და იმ გზებს გამოჰყოფს, რომლითაც ინდივიდუალურ მოთხოვნილებებზე მოლაპარაკება მედიაციის გზით ხდება, ხოლო გაჟღერება კი სოციალიზაციისა და ჯგუფური იდენტობის კულტურულად შეპირობებული პროცესებით (Lewin, 1948; Kelly, 1955; Sheriff, 1966; Deutsch, 1973; Tajfel, 1978).

მეორე, კონფლიქტების მოგვარების დარგში მოღვაწე სხვა ანალიტიკოსების მსგავსად (ძირითადად ჯონ ბარტონის), ეიზერი თვლიდა, რომ „გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის“ საფუძველი ადამიანის მოთხოვნილებებისა და საჭიროებების უგულვებელყოფა იყო (მოთხოვნილებების დეპრივაციით გამოწვეული უკმაყოფილება, როგორც წესი, კოლექტიურად გამოიხატება. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება უკმაყოფილების დასაძლევად ზომებს არ მიიღების, გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის საშიშროება შეიქმნება; 1990:9). ინტერესებისაგან განსხვავებით, მოთხოვნილებები „ონტოლოგიურია“, მათზე მოლაპარაკება შეუძლებელია, რის გამოც ამ მიზეზით დაწყებული კონფლიქტი ინტენსიური და დაუნდობელი, ხოლო ტრადიციული კლაუზევიცისეული თვალსაზრისით კი „ირაციონალურია“. ეიზერი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს უსაფრთხოების, განვითარების, პოლიტიკური უფლების და იდენტობის (კულტურული და რელიგიური გამოხატულება) მოთხოვნილებაზე. პირველი სამი სრულ შესაბამისობაშია ჰენრი შუს სამ „ძირითად უფლებასთან“: უსაფრთხოება, საარსებო საშუალებები და თავისუფლება (1980).

ეიზერი „უსაფრთხოებას“ უფრო ფართო მნიშვნელობით იყენებდა, ვიდრე იმ დროის აკადემიურ წრეებში იყო მიღებული; იგი მას „განვითარებისა“ და „პოლიტიკური წვდომის“ ასევე ფართო ცნებებს უკავშირებდა:

> *აშკარა კონფლიქტის შესასუსტებლად საჭიროა განვითარების დაბალი დონის დაძლევა. ჯგუფები, რომლებიც იდენტობისა და უსაფრთხოების მოთხოვნილებებს კონფლიქტის საშუალებით იკმაყოფილებენ, ფაქტობრივად თავიანთი საზოგადოების სტრუქტურის შეცვლისკენ ილტვიან. შეიძლება, კონფლიქტი ნამდვილად მოგვარდეს და ეს მოგვარება გრძელვადიანი იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განვითარების დაბალი დონე დაიძლევა. გაჭიანურებული კონფლიქტების შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მშვიდობა განვითარებას ნიშნავს მისი ფართო გაგებით. (1990:155).*

მესამე - ეიზერი თვლიდა, რომ იქ, სადაც სახელმწიფოს „მინიჭებული აქვს მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, ძალის გამოყენების უფლება საზოგადოებაში წესრიგის დამყარების, მოქალაქეების დაცვისა და კოლექტიური სიკეთის უზრუნველსაყოფად, მმართველობისა და სახელმწიფოს როლი“ გადამწყვეტი ფაქტორი ხდება ინდივიდისა და იდენტობის ჯგუფის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეში. „იმ სახელმწიფოთა უმრავლესობას, რომლებშიც გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტი ხდება, ჰყავს არაკომპეტენტური, შეზღუდული, მყიფე და ავტორიტარული მთავრობა, რომელიც ადამიანის საბაზისო მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს“ (1990:10). ამ შემთხვევაში ეიზერი სამ მთავარ მომენტს გამოჰყოფდა. დასავლური ლიბერალური თეორიის მიხედვით სახელმწიფო „ინდივიდთა ის ერთობაა, რომელსაც ეფექტურად მართვა და კონფლიქტების შემთხვევაში მის მხარეთა შორის მიუკერძოებელი არბიტრის როლის შესრულება ეკისრება“; იგი პოლიტიკური საზოგადოების ყველა წევრს ისე უნდა ეპყრობოდეს, როგორც სამართლებრივად თანასწორ მოქალაქეებს, თუმცა, ემპირიულად არ მტკიცდება, რომ მთელ მსოფლიოში ასე ხდება, განსაკუთრებით კი ახალ და ნაკლებად განვითარებულ სახელმწიფოებში, სადაც „პოლიტიკური ხელისუფლება მონოპოლიზებულია დომინანტი იდენტობის ჯგუფის ან ჰეგემონ ჯგუფთა კოალიციის მიერ“, რომლებიც სახელმწიფოს, სხვათა ინტერესების ხარჯზე, საკუთარი ინტერესების გასაფართოებლად იყენებენ. „გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის“ კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს „სახელმწიფოს კომუნური (communal) შემადგენლობა“, რომელიც ყალიბდება როგორც მმართველი ელიტის მიერ ჯგუფების ინეტერესებისა და იდენტობის მობილიზაციით ასევე იმ რეაქციული საშუალებებით, რომელსაც მარგინალიზებული „უმცირესობები“ კონტრ-იდენტიფიკაციისთვის მიმართავენ. დომინანტი ინდივიდებისა და ჯგუფების მიერ ძალა-უფლების მონოპოლიზაცია ისე, რომ მასზე წვდომა ეზღუდებათ სხვა ჯგუფებს, „ლეგიტიმურობის კრიზისს“ ქმნის, რის გამოც „რეჟიმის ტიპი და ლეგიტიმურობის დონე“ „მოთხოვნილებებისა და გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის მნიშვნელოვანი მაკავშირებელი ცვლადი“ ხდება (იქვე: 11). და ბოლოს ეიზერი აღნიშნავს, რომ ასეთი გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტები ხშირია განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც ჩვეულებრივ „მოსახლეობის სწრაფი ზრდით, რესურსების შეზღუდული ბაზით“ და შეზღუდული „პოლიტიკური ქმედუნარიანობით“ ხასიათდება, რაც ხშირ შემთხვევაში მათი კოლონიალური მემკვიდრეობით მიღებული სუსტი ინსტიტუტების არსებობით, მეტროპოლიტური ცენტრების მიერ თავს მოხვეული ბიუროკრატიული მმართველობის იერარქიით და მემკვიდრეობით გადმოცემული პოლიტიკური რეპრესიების ინსტრუმენტებითაა განპირობებული. იმ ქვეყნებში, სადაც გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტები მიმდინარეობს, პოლიტიკურ ქმედუნარიანობას

ზღუდავს ხისტი ან მყიფე სახელისუფლებო სტრუქტურა, რომელიც სახელმწიფოს არ აძლევს საშუალებას დააკმაყოფილოს ან რეაგირება მოახდინოს მისი წევრების მოთხოვნილებებზე.“

და ბოლოს საყურადღებოა ის, რასაც ეიზერი „საერთაშორისო კავშირებს“ უწოდებს; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში ეკონომიკური დამოკიდებულების არსებობა და სამხედრო-პოლიტიკური კავშირების ქსელი, რომელიც პატრონაჟისა და ტრანს-სასაზღვრო ინტერესების რეგიონალურ და გლობალურ მოდელებს ქმნის. თანამედროვე სახელმწიფოები, განსაკუთრებით სუსტები, ადვილად ექცევიან გლობალურ საზოგადოებაში მოქმედი საერთაშორისო ძალების გავლენის ქვეშ: შიდა სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების შექმნასა და იმ გავლენაზე, რომელსაც ისინი სახელმწიფოს როლზე ახდენენ, დიდ ზემოქმედებას ახდენს საერთაშორისო სისტემაში არსებული კავშირები.“ (1990:11).

გამოიწვევს თუ არა წინაპირობათა ეს ოთხი ნაკრები აშკარა კონფლიქტს დამოკიდებულია „პროცესის დინამიკაში“ განვითარებულ მოვლენებსა და შესაძლო ქმედებებზე, რომლებსაც ეიზერი დეტერმინანტთა სამი ჯგუფის მიხედვით აანალიზებს: „კომუნის მოქმედებები და სტრატეგიები“, „სახელმწიფოს მოქმედებები და სტრატეგიები“ და „კონფლიქტის ჩაშენებული მექანიზმები“ (1990: 12-15). პირველი გულისხმობს იდენტობის ჯგუფის ფორმირების, ორგანიზაციისა და მობილიზაციის სხვადასხვა პროცესს; ლიდერების გამოჩენასა და ხელმძღვანელობის ბუნებას, მათ მიერ არჩეულ პოლიტიკურ მიზნებს (დაახლოება, ავტონომია, გამოყოფა, რევოლუციურ-პოლიტიკური პროგრამა), ტაქტიკასა (სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, პარტიზანული ომი) და გარე ფაქტორების მასშტაბებსა და ბუნებას. მეორე მთავარი ელემენტია სახელმწიფოს ქმედებები და სტრატეგიები; როგორც წესი, მმართველ ინდივიდებსა და ელიტას თეორიულად უამრავი პოლიტიკური არჩევანი აქვს, დაწყებული პოლიტიკური შეგუებით დამთავრებული „იძულებითი რეპრესიებითა“ და „ინსტრუმენტალური ასიმილაციით“. თუმცა, ეიზერის აზრით, სუსტი და ფრაგმენტირებული სახელმწიფო წყობები აღქმული პოლიტიკური და ეკონომიკური ხარჯების გამო და „ყველაფერი გამარჯვებულს რჩება“ ნორმის გამო, რომელიც „ჯერაც დომინირებს მრავალი კომუნისაგან შემდგარ საზოგადოებაში“, შეგუებაზე გაცილებით ხშირად რეპრესიებს მიმართავენ. და ბოლოს არსებობს კონფლიქტის თვით-განმტკიცებადი „ჩაშენებული მექანიზმები“, რომელთა ამომწურავ კვლევასაც კონფლიქტების მოგვარების ანალიტიკოსები კონფლიქტის ესკალაციის ავთვისებიანი სპირალის გააქტიურებისთანავე იწყებენ.

ეიზერი სამნერის (1906), გურის (1970), მიტჩელის (1981ა) და სხვათა შრომებზე დაყრდნობით იკვლევდა იმ პროცესს, რომლითაც ურთიერთგამომრიცხავი „გამოცდილებები, შიშები და მოსაზრებები ორმხრივ, ნეგატიურ ხატებას “ქმნის, რაც თავის მხრივ „თემურ ანტაგონიზმს ზრდის და გაჭიანურებულ სოციალურ კონფლიქტს განამტკიცებს“. ჯგუფებს შორის ისტორიულად არსებული ანტაგონიზმი, ექსკლუზიონისტური მითები, პროპაგანდა, რომელიც მეორე მხარეს დემონად წარმოაჩენს და დეჰუმანიზაციის გამომწვევი იდეოლოგიები დისკრიმინაციულ პოლიტიკას ამართლებს და სიმხეცეს ლეგიტიმაციას ანიჭებს. ასეთ გარემოებაში, ანუ იმ დინამიკაში, რომელსაც საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები „უსაფრთხოების დილემას“ უწოდებენ, მხარეები ერთმანეთის ქცევას ყველაზე საშინელი კუთხიდან განიხილავენ: „მეორე მხარეს ყოველთვის უარესი მოტივაცია ამოძრავებს“ ,კომპრომისისა და შეგუების“ საშუალება აღარ არის, „პოლიტიკური გამოსავლის პოვნის შეთავაზება იშვიათად გაისმის“ და თუ ამაზე მაინც ლაპარაკობს ვინმე, მხარეები ამგვარ შემოთავაზებას კონტროლის ხელში ჩაგდების მექანიზმად აღიქვამენ (Azar, 1990:15). ყველაფერი მეტად მწვავდება, როდესაც პოლიტიკური კრიზისის სპირალი ომში გადაზრდას

იწყებს და ის ახალი ინტერესები იჩენს თავს, რომელსაც ომის პოლიტიკური ეკონომიკა განაპირობებს; ხელმძღვანელობას ხელში იღებენ საზოგადოების ყველაზე მოძალადე და უმართავი ელემენტები, ხოლო კრიმინალი კი პოლიტიკური ნორმა ხდება. ამ დროს იწყება დისინტეგრაცია. პოლიტიკური ინსტიტუტები ცვდება, იღუნება და ინგრევა. იწყება სოციალური ფიასკო, რომელიც თანდათანობით ყველაფერს შთანთქავს.

ეიზერი გაჭიანურებული სოცალური კონფლიქტების ანალიზს „რეალისტური და სტრუქტურალისტური პარადიგმების პლურალისტულ ჩარჩოში მოქცევის“ ძალისხმევად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ კონფლიქტის დომინანტი მოდელების ახსნა ამ მიდგომით უკეთ შეიძლებოდა ვიდრე სხვა, არსებული შეზღუდული ალტერნატივებით (1991:95). შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ეიზერისეული ანალიზი ამ საკითხს ამომწურავ პასუხს სცემს; არც იმას ვამტკიცებთ, რომ იგი ერთადერთი იყო, ვინც ადამიანთა მობილიზაციასა და ექსკლუზიონისტურ იდოლოგიებს, მყიფე და ავტორიტარულ მმართველობას, სუსტ სახელმწიფოებსა და სადავო სუვერენიტეტს შეიარაღებული კონფლიქტების უმთავრეს წყაროდ თვლიდა (საკმარისია გავიხსენოთ დევიდ ჰოროვიცის (1985) და ანტონ სმითის (1986) შრომები 1980-იანი წლების შუაში). ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ეიზერმა ის ასპექტები განჭვრიტა, რაც მისი გარდაცვალების შემდეგ ამ დარგში ორთოდოქსალურად იქცა და რომ მისი მოსაზრებები მეტ აღიარებას იმსახურებს, ვიდრე აქვს.

კიდევ ერთ რამეზე შევაჩერებთ ყურადღებას. ეიზერი „ომის კორელატებსაც“ სწავლობდა. მან შექმნა ომის დომინანტი მოდელების ანალიზის ჩარჩო, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა იმისგან, რასაც სახელმწიფოთაშორისი ომების შესწავლისას იყენებდნენ (ინდიკატორები იხილეთ Esty et al., 1998). ცხრილი 4.1 გვიჩვენებს რამდენად გააფართოვა ეიზერის „წინაპირობებმა“ გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის შესწავლისთვის საჭირო რელევანტური დისციპლინების სპექტრი, რაც მნიშვნელოვნად გასცდა საერთაშორისო ურთიერთობების ნორმის ფარგლებს. ამ ცხრილში თვალნათლივ ჩანს თითოეულ შემთხვევაში დადგენილი კორელატები. არა-სახელმწიფოთაშორის ომებს ახლა ფართო მასშტაბებით იკვლევენ, თუმცა ეიზერის მოდელი კვლავ აქტუალურია, რადგან თანამედროვე კონფლიქტების შესახებ ფრიად საყურადღებო ინფორმაციას იძლევა.

ცხრილი 4.1 გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის ეიზერისეული წინაპირობები

შესაბამისი დისციპლინა	გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის წინაპირობები	კორელანტები
ანთროპოლოგია, ისტორია, სოციოლოგია	კომუნის მეტოქეობა	ეთნიკური ჰეტეროგენულობის ხარისხი
ფსიქოლოგია, ბიოლოგია, განვითარების მეცნიერებები	მოთხოვნილებები	ადამიანის განვითარების დონე
პოლიტიკა, პოლიტიკური ეკონომია	მმართველობა	სახელმწიფოს უნარი და პოლიტიკური რეპრესიის მასშტაბი
საერთაშორისო ურთიერთობები, სტრატეგიული კვლევები	საერთაშორისო კავშირები	იარაღის იმპორტის მოცულობა და ა.შ., ტრანს-სასაზღვრო წაქეზება

დაამტკიცა თუ უარყო ბოლოდროინდელმა თეორიებმა „გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის“ თეორია?

როდესაც ეიზერის გარდაცვალების შემდეგ მის თეორიაზე ვმსჯელობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ „ახალი ომების“ შესახებ შექმნილ ლიტერატურაში გათვალისწინებულია ის ცოდნა, რაც მისი გარდაცვალებისა და ცივი ომის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი და რაც, რა თქმა უნდა, მას ვერ ეცოდინებოდა. მის გამოქვეყნებულ ნაშრომებში გათვალისწინებული ვერ იქნება მსოფლიოს ბიპოლარული სისტემის დაშლის შედეგები ან ზარტმანის ასეთი დასკვნა: „ამ ათასწლეულის დასასრულს, ძველი წესრიგის მოშლა ისეთ გაურკვევლობას გამოიწვევს, რომელიც ხელს შეუწყობს კონფლიქტების გაჩაღებას“ (1997:6); აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ იგი ვერ გაითვალისწინებდა, დასავლური/აშშ ჰეგემონიის დამყარებითა და ჯიჰადისტთა გლობალური რეაქციით წარმოშობილი კონფლიქტების ფორმირებას. შესაძლებელია, ეიზერი იცნობდა კიდეც მერშეიმერის 1990 წელს გამოქვეყნებულ სტატიას „უკან მომავლისკენ“, მაგრამ თუ იცნობდა კიდეც, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, დარწმუნებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მისი ნეო-რეალისტური ინტერპრეტაცია მასზე ზეგავლენას ვერ მოახდენდა.

ახლა განვიხილოთ უფრო „გლობალური დონის“ ოთხი ინტერპრეტაცია, რომლებიც ერთობ პოპულარული გახდა ცივი ომის დასრულების შემდეგ და მეტ-ნაკლებად რელევანტურია ეიზერის თეორიასთან მიმართებაში.

2001 წლის 11 სექტემბრის კატასტროფის შემდეგ კვლავ გაღვივდა ინტერესი ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახების“ თეორიის მიმართ. ზოგიერთი მუსლიმთა დასავლეთისადმი ისტორიული შუღლის შესახებ ალაპარაკდა (Lewis, 2002), ზოგიც ამის მიზეზად ტომობრივი ფუნდამენტალიზმის (ჯიჰადი) მტრობას მიიჩნევდა სეკულარული, კონსუმერული კაპიტალიზმის წინააღმდეგ (McWorld) (Barber, 2001). სხვები გაცილებით ფრთხილობდნენ (Armstrong, 2001, Shadid, 2002) და ამგვარი შეფასებებისგან თავს იკავებდნენ. მართალია, ეიზერის ონტოლოგიაში მთავარი როლი იდენტობის ჯგუფებს ეკისრებათ, მაგრამ ისინი „კულტურული იდენტობის იმ ყველაზე მასშტაბურ დონეს არ წარმოადგენენ, რომელიც ადამიანს სხვა ჯიშებისაგან განასხვავებს“ (ასე განმარტავს ჰანტინგტონი ცივილიზაციას) (1996:43). ჩვენი აზრით, ეიზერი ამ უკანსკნელს სოციალურ მონაცემად არ მიიჩნევდა, არამედ იმ იდეოლოგიური აპარატის ნაწილად ჩათვლიდა, რომლის მობილიზებაც პოლიტიკურმა ინტერესებმა უნდა შეძლოს. სავარაუდოდ, იგი ასევე დაუპირისპირდებოდა ჰანტინგტონის მიერ დასავლელი პოლიტიკოსების საყურადღებოდ გამოთქმულ პოლიტიკურ მოსაზრებებსაც.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეიზერის ანალიზში წინა პლანზე არასდროს ყოფილა წამოწეული „ეკოლოგიური კონფლიქტი.“ ეს საკითხი ლიტერატურაში მისი გარდაცვალების შემდეგ გამოიკვეთა, თუმცა ამ შემთხვევაში ამ თვალსაზრისსა და ეიზერის თეორიას შორის წინააღმდეგობას ვერ ვხედავთ. მოსახლეობის ზრდის, ეკოლოგიური რესურსების გაიშვიათებისა და მომავლის ძალადობრივ კონფლიქტებს შორის არსებულ კავშირებზე მსჯელობისას, ტომას ჰომერ-დიქსონი (1991, 1994) „უბრალო იშვიათობით“ განპირობებული საერთაშორისო კონფლიქტების დაწყების ალბათობაზე საუბრობს, რომლებიც წარმოიშვება წყლის, ტყეების, თევზჭერისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების გამო; ასევე ადგილი ექნება მოსახლეობის გადაადგილებით გამოწვეულ, „ჯგუფური იდენტობის კონფლიქტებს“ და „ხელმოკლეობით“ განპირობებულ კონფლიქტებს, რომელთა მიზეზიც ეკონომიკური რესურსების შეფარდებითი შემცირება გახდება. ბოლო ორი აშკარად თანხვედრაშია ეიზერის თეორიასთან. მე-12 თავში ამ საკითხებს უფრო დეტალურად განვიხილავთ.

1990-იანი და ადრეული 2000-იანების მესამე, მთავარი მიმართულება კონფლიქტების მოგვარებას გაცილებით კრიტიკულად უდგება. ეს გახლავთ საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, რომელზეც ზედაპირულად ვისაუბრეთ პირველ თავში. ამ თეორიის მომხრეთა უმთავრესი არგუმენტის თანახმად „მესამე მსოფლიოს“ „ახალი ომები“, ერთი მხრივ, დაგვიანებული კაპიტალიზმის სიმახინჯეების პროდუქტია და არა ადგილობრივი მმართველობის მარცხის სიმპტომი, მეორე მხრივ კი დონორი მთავრობების, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების, დახმარებისა და განვითარების სააგენტოების საქმიანობის შედეგი, რომელსაც თავისი ძალისხმევით გაეროც ხელს უწყობს. მათი თვალთახედვით, განვითარება გლობალური უსაფრთხოების იმ რეჟიმშია ასიმილერებული, რომელიც კონფლიქტების მოგვარებას, სოციალურ რეკონსტრუქციას და საერთაშორისო სამხედრო კონტროლის უფრო ხილულ ინსტრუმენტებს სამიზნე საზოგადოებების ტრანსფორმაციისთვის, უმართავი პერიფერიების დაშოშმინებისა და სტატუს ქვოს შენარჩუნებისთვის იყენებს: „ლიბერალური მმართველობის მოსაზრებები კონფლიქტის მოგვარებისა და ომის შემდგომი რეკონსტრუქციის შესახებ სხვა არაფერია თუ არა „ამბოხის კონტროლის“ მექანიზმი, რომელიც „ღარიბთა დახმარებისთვის“ გაწეული გლობალური საქმიანობის ფართო სპექტრის ერთ ნაწილს წარმოადგენს.“ (Duffield, 2001:9).

არის თუ არა ეს ეიზერის „გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის“ თეორიის უარყოფა? ჩვენი აზრით, არა. დუფილდისეული კონფლიქტების მოგვარების კარიკატურული მოდელი, მართლაც რომ კარიკატურაა. ეიზერი უდავოდ დაეთანხმებოდა, ეთანხმებოდა კიდეც, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენელ კრიტიკოსთა იმ თვალსაზრისს, რომელსაც 1980-იან წლებში იცნობდა და რომლებიც „მესამე მსოფლიოში“ მიმდინარე გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის გამომწვევ მიზეზად პოსტკოლონიალური ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურების დეფორმაციას მიიჩნევდა. ეიზერისთვის კონფლიქტების მოგვარება მხოლოდ პრინციპული მოლაპარაკებების, ფასილიტატორული მედიაციის ან პრობლემათა გადაწყვეტის ვორქშოფების „მიკრო“ ტექნიკა არ იყო. როგორც არონალდ ფიშერი აღნიშნავს, ეიზერი მათ მოკლევადიანი შედეგების მისაღწევ მნიშვნელოვან მექანიზმებად მიიჩნევდა და გამუდმებით საუბრობდა განვითარების საჭიროებაზე გრძელვადიან პერსპეტივაში, რითიც შესაძლებელი გახდებოდა „ფუნდამენტალური მიზეზების“ აღმოფხვრა (1997:97). ეიზერისთვის „მშვიდობა არის განვითარება ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით.“ „გლობალური მმართველობისა და ახალი ომების“ დასკვნით თავში დუფილდი ჭეშმარიტად „კოსმოპოლიტური პოლიტიკის“ მომხრედ გამოდის, რომელიც აღიარებს საერთაშორისო სამართალს, ეძებს „საერთო ღირებულებებს“ და უარს ამბობს „ლიბერალური მმართველობის“ მიერ დაწესებულ, გარედან თავს მოხვეულ ნორმებსა და წესებზე:

> *უკეთესი პოლიტიკის ძიება ან უფრო დეტალური ანალიზის ჩატარება საჭირო არ არის, რეალური ამოცანა გლობალური მმართველობის ინსტიტუტებისა და ქსელების რეფორმაა … რეფორმისათვის კი მხოლოდ წესების მიხედვით მოქმედი ბიუროკრატიული აპარატის ადაპტირებად, განათლებულ და თანამშრომლობაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებად გარდაქმნაა საჭირო. (2001:264-265).*

ამ მოსაზრებას ეიზერი აუცილებლად დაეთანხმდებოდა. მსოფლიო კოსმოპოლიტურ საზოგადოებაში ასეთი ადაპტირებადი ორგანიზაციის ჩამოყალიბება იმას ნიშნავს, რასაც ჯონ ბარტონი „მეორე-რიგის სწავლას“ უწოდებდა და რასაც, როგორც მე-2 თავში დავინახეთ, კაცობრიობის გადარჩენის საშუალებად მიიჩნევდა. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკოსთა მოსაზრებებს მე-19 თავში დავუბრუნდებით.

რაც შეეხება გლობალური-დონის ინტერპრეტაციას, აქ „ახალი ომების“ შესახებ მთელი დისკურსი არსებობს, რომლის მიხედვითაც გარკვეულ რეგიონებში სახელმწიფოს ნგრევა ცივი ომის დასასრულს დაემთხვა, იარაღის ფასი დაეცა, ხელმისაწვდომობა კი გაიზარდა, შეიცვალა ომის ტაქტიკა და ფუნქცია; მისი მიზანი გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება აღარ არის, ახლა მიზანი ხანგრძლივი ეკონომიკური და სხვა სახის სარგებელის მიღებაა, რისთვისაც ძალადობის გაგრძელებაა საჭირო (Keen, 1998; Kaldor, 1999, Reno, 1999). საგანგებო ყურადღებას ამახვილებენ იმ ახალ გზებზე, რომლითაც ომები ტრანს-სასაზღვრო ეკონომიკური ექსპლუატაციის ახალ ფორმად და კრიმინალურ ქსელებად ჩამოყალიბდა და იმაზეც, თუ ხშირ შემთხვევაში როგორ უწყობს ხელს მათ გაგრძელებას ვითომცდა მათ დასასრულებლად მიღებული ზომები (თუმცა, ზემოთ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ ამ თვისებათაგან ზოგიერთი ახალი სულაც არ არის). ფართომასშტაბიანი ძალადობის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ეიზერი არ ცდებოდა, როდესაც აცხადებდა, რომ „გაჭიანურებულ სოციალურ კონფლიქტებს“ გამოკვეთილი დასაწყისი და დასასრული არ აქვთ და რომ მათ თვით გაგრძელების უნარი გააჩნიათ; წლების განმავლობაში განსხვავებული ინტენსივობით მიმდინარეობს - ცხრება და კვლავ ახალი ძალით იწყება. „დიდ სახელმწიფოთა ომების“ ეპოქის ანალიტიკოსები მათ ხშირად ვერც ამჩნევდნენ. თუ „ახალი ომების“ ანალიტიკოსები მათი სიღრმისეული გამომწვევი მიზეზების ჩაწვდომას და მათ რეინტერპრეტაციას შეეცდებიან, მიღებული შედეგები ეიზერის თეორიის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი იქნება. ამ საკითხს ომების ეკონომიკურ სტიმულებზე მსჯელობისას ცალკე განვიხილავთ.

ცივი ომის შემდგომი, გლობალური დონის კონფლიქტის ეს მოკლე ანალიზი ცხადყოფს, რომ თუ არ ჩავთვლით, ნეო-რეალისტურ და „ცივილიზაციათა შეჯახების თეორიებს“, ეიზერი ადვილად შეძლებდა ისეთი კონფლიქტების პროგნოზირებას, რომელსაც ამწვავებს ეკოლოგიური შეზღუდვები, გვიანი კაპიტალიზმის გლობალური დეფორმაცია, ძალადობის პრივატიზება და საომარი მოქმედებების შეცვლილი ტექნოლოგიები. ახლა ვისაუბრებთ ფართომასშტაბიანი ძალადობების შესახებ არსებულ სამ სხვა მოსაზრებაზე, რომელიც ეიზერის შემდეგ პერიოდში გაჩნდა და გავრცელდა. ეს მოსაზრებები ძალადობას რეგიონალურ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დონეზე განიხილავს.

პირველ რიგში მათ თვალსაზრისს განვიხილავთ, ვინც „ომისა და მშვიდობის ზონებში“ ფართომასშტაბიანი ძალადობის არსებობას ან არ-არსებობას ტრანს-სასაზღვრო ინფიცირებითა და რეგიონალური უსაფრთხოების კომპლექსებით ხსნიან (Lake and Rothchild, 1997). ზოგიერთთა აზრით, „ომისა“ და ‘მშვიდობის ზონების“ განსხვავების მიზეზი სხვადასხვა რეგიონის ძალაუფლების სტრუქტურების სტაბილურობაა. მაგალითად, ბუზანი და მისი კოლეგები 1980-იან წლების „რეგიონის უსაფრთხოების კომპლექსებს“ (ანუ სახელმწიფოთა ჯგუფებს, რომლებსაც ურთიერთდაკავშირებული უსაფრთხოების ინტერესები აქვთ) სწავლობდნენ. მათ გამოჰყვეს კომპლექსების მთელი სპექტრი, რომელშიც შედის რეგიონები, რომლებშიც შფოთი და უწესრიგობა სუფევს (გამოკვეთილია რამდენიმე კონფლიქტის წყარო), ასევე შედის უსაფრთხო რეჟიმების რეგიონები (სადაც წევრი სახელმწიფოები ერთმანეთისთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენენ, მაგრამ მთელი რიგი ოფიციალური და არაოფიციალური შეთანხმებებით საფრთხეების შემცირება შეძლეს) და პლურალისტული უსაფრთხო საზოგადოება (სადაც წევრი სახელმწიფოები ძალის არ-გამოყენების შესახებ ერთმანეთისთვის სერიოზული პირობების წაყენების საჭიროებას ვეღარ ხედავენ). რეგიონალური სტაბილურობის მთავარი დეტერმინანტები სახელმწიფოთაშორის ფაქტორებად დაყვეს: უსაფრთხოების მოცემულ კომპლექსში სახელმწიფო მოთამაშეთა

რაოდენობა, მეგობრობისა და შუღლის მოდელები და ძალთა განაწილება (Buzan, 1991 ch:5). უსაფრთხოების კომპლექსის ფარგლებში განხორციელებულ ცვლილებას ოთხი მარტივი პარამეტრით ზომავდნენ: სტატუს ქვოს შენარჩუნება, კომპლექსის ფარგლებში მომხდარი შიდა ცვლილება, გარე სასაზღვრო ცვლილება (კომპლექსში ახალი სახელმწიფოების შესვლა ან არსებულების გასვლა) და „შეერთება“ - გარე ძალის შეჭრა. ამ პარამეტრების საფუძველზე ბუზანმა და მისმა კოლეგებმა საკმაოდ კომპლექსური მოდელი შეიმუშავეს, რომელიც, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, ეიზერის მოსაზრებებთან მჭიდრო კავშირშია.[8] ამ თვალსაზრისით ასევე საყურადღებოა ამ ბოლო დროს შესრულებული ნაშრომი ტრანსნაციონალური მონათესავე ჯგუფების შესახებ (Caderman et al., 2009). ამ შრომის სახით ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი დამატება გამოუჩნდა ეიზერის მოდელს, ხოლო მეორე მხრივ კი, იგი საინტერესო კვალიფიკაციას აძლევს 1991 წლის შემდგომ სიერა ლეონეში განვითარებული მოვლენების მსგავს შემთხვევებს, სადაც ომის უპირველეს მიზეზად გარედან წამოსული წაქეზება შეიძლება ჩაითვალოს. ასეთი მიდგომა, ეიზერის ნაშრომის მთავარ არსს არ უპირისპირდება.

„ახალი ომების“ ახსნის მორიგი ტალღა 1990-იან წლებში დაიწყო, რომლის წარმომადგენლებიც აქცენტს აკეთებდნენ გლობალიზაციის ზემოქმედებით გამოწვეული „სახელმწიფოს მოშლის“ გამო დაწყებულ „მმართველობის კრიზისზე“ (Jackson, 1990; Ayoob, 1995). ბრზოსკა განმარტავს რამდენად სახასიათოა ახალი ომებისადმი ასეთ მიდგომა „ჰოლისტიკური“ გერმანული თვალსაზრისისთვის, რომლის წარმომადგენლადაც მიუნკლერს ასახელებს:

> *ამ თვალსაზრისით, შიდა ომის უმთავრესი მიზეზი სახელმწიფოს მართვის უნარის დაქვეითებაა. რისი მიზეზიც სახელმწიფოს ლეგიტიმაციის შესუსტება ან მის მიერ ძალის გამოყენების მონოპოლიური უფლების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება შეიძლება იყოს. (Munkler, 2005:109).*

ეს მოსაზრება უკავშირდება ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ შრომას „სუსტი“ „მოწყვლადი“ ან „ხელმოცარული“ სახელმწიფოების შესახებ, რომელთა რიგებსაც, აშრაფ ღანისა და კლარ ლოკჰარტის აზრით, დაახლოებით ორმოცი-სამოცი სახელმწიფო განეკუთვნება. ეს სახელმიწფოები ან „უკან-უკან მისრიალებენ, ან ფიასკოს ზღვარზე ყანყალებენ ან უკვე კოლაფსი განიცადეს“ (2008:3). ეს თვლასაზრისი ასევე ეხმიანება „კონფლიქტის ხაფანგის“ პოლ კოლიერისეულ ანალიზს, რომლის თანახმადაც ეს ხაფანგი იმ სახელმწიფოებს აუძლურებს, რომლებშიც „ქვედა მილიარდი“ ცხოვრობს; ასეთ შემთხვევაში, როგორც მე-3 თავში აღვნიშნეთ, საჭიროა რეკომენდაციები საერთაშორისო რეაგირების მოსახდენად. ამ საკითხს კვლავ დავუბრუნდებით მე-5 და მე-8 თავებში.

ალბათ, ამ თემაზე დიდ ხანს აღარ უნდა შევჩერდეთ (თუმცა ეს ერთ-ერთი მთავარი თემაა), რადგან ეს მოსაზრება ცალსახად შეთავსებადია (ეგებ ამტკიცებს კიდეც) ეიზერის თვალსაზრისთან, რომლის მიხედვით „მმართველობა და სახელმწიფო“ განსაკუთრებულ როლს ასრულებს „გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის“ ესკალაციის დაჩქარებასა და შეფერხებაში. ასევე შეთავსებადია ეიზერის მოსაზრებასთან იმის შესახებ, რომ „მესამე მსოფლიოს“ სუსტი პოსტკოლონიალური ქვეყნები ამ მხრივ ყველაზე მოწყვლადები არიან. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეიზერის აზრით, „ზედმეტად ცენტრალიზებული პოლიტიკური სტრუქტურები კონფლიქტის წყაროს წარმოადგენენ“, რის გამოც იგი „სათანადო, დეცენტრალიზებული სტრუქტურების“ შექმნის მომხრედ გამოდიოდა (1986: 33-34). ასეთი თვალსაზრისი წინააღმდეგობაშია ჰოლსტის მოსაზრებასთან, რომელიც პირიქით,

„სახელმწიფოს გაძლიერების“ მომხრე იყო (1996: xii). თუმცა, ეს აზრთა სხვადასხვაობა არც იმდენად ძლიერია, როგორც შეიძლება, ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს, რადგან ჰოლსტი „სახელმწიფოს ძლიერების“ შესახებ ეიზერის აზრს იზიარებს და თვლის, რომ მის საყრდენს „ვერტიკალური“ (მმართველსა და მართულს შორის პოლიტიკური კონსენსუსის არსებობა ინსტიტუციონალური „თამაშის წესების“ შესახებ) და „ჰორიზანტალური ლეგიტიმაცია“ (ინკლუზიური პოლიტიკური საზოგადოება, რომელშიც ჯგუფებსა და ინდივიდებს თანაბარი წვდომა აქვთ გადაწყვეტილებების მიღებასა და განაწილებაზე) წარმოადგენს (იქვე: 82-89). ასეთი თვალსაზრისი რელევანტურია მე-8 თავში განხილული „სახელმწიფოს შენების“ თემისთვის, რომელიც ამ ბოლო დროს ყურადღების ცენტრში მოექცა.

ახლა განვიხილოთ საზოგადოებრივი დონე და ვისაუბროთ იმაზე, რასაც ეიზერი „სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის დისარტიკულაციას“ უწოდებდა. 1990-იანი წლებიდან დაწყებული, ნაციონალიზმითა და ეთნიციზმით გამოწვეული ომები ეიზერისთვის რთული ასახსნელი არ იქნებოდა (Esman, 2004), რადგან სწორედ ასეთ კონფლიქტებს იკვლევდა იგი 1970-იანი წლებიდან. ეიზერის ადრეულ მოსაზრებებს არ ეწინააღმდეგება არც ვან ევერას „ნაციონალიზმისა და ომის ჰიპოთეზა“ (1994) და არც ლეიკისა და როტშილდის „შიშის შეკავება: ეთნიკური კონფლიქტის საწყისები და მართვა“ (1996). ლეიკი და როტშილდი თვლიან, რომ ეთნიკური კონფლიქტი არც „ძველი სიძულვილის“ შედეგია და არც საბჭოთა რეპრესიული აპარატის „საცობის ამოძრობითაა“ განპირობებული, არამედ:

> *ეთნიკური კონფლიქტის ყველაზე ხშირი გამომწვევი მიზეზი მომავლის კოლექტიური შიშია. როდესაც ჯგუფებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შიში უჩნდებათ, თავს იჩენს ხოლმე საშიში და რთულად მოსაგვარებელი სტრატეგიული დილემები, რომლებიც ძალადობის უზარმაზარ პოტენციალს შეიცავენ. როდესაც აღარ ხდება ინფორმაციის გაცვლა, იკარგება ნდობა და უსაფრთხოების დილემა დგება, ჯგუფებს შიში იპყრობთ, სახელმწიფო სუსტდება და კონფლიქტის დაწყების ალბათობა მატულობს. ეთნიკური აქტივისტები და პოლიტიკური ანტერპრენერები, რომლებიც ამ ჯგუფების ფარგლებში მოქმედებენ, გაჩენილი შიშით სარგებლობენ და საზოგადოების პოლარიზაციას იწყებენ. ამ მღელვარებას პოლიტიკური წარსული და ემოციები აძლიერებს და ჯგუფებს ერთმანეთისგან აშორებს. ეს ჯგუფთაშორისი და ჯგუფებს შიგნით არსებული სტრატეგიული ურთიერთობები მომწამვლელ ნახარშს ქმნის, რომელმაც შეიძლება იფეთქოს და ძალადობად და კაცის კვლად იქცეს.*

ეს თვალსაზრისი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ეიზერის „გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის“ ესკალაციის „პროცესის დინამიკას“. ეიზერი მხოლოდ „სახელმწიფოს ქმედებებსა და სტრატეგიებს“ (რაც განსახილველ ავტორებს შეტანილი აქვთ „ჯგუფის შიგნით არსებულ სტრატეგიულ ურთიერთობებსა“ და „ნდობის გაჩენის საშუალებებში“) და „თემის ქმედებებსა და სტრატეგიებს“ დაამატებდა. ასევე დაამატებდა იმას, რასაც იგი იმედგაცრუებას უწოდებდა და კონფლიქტის ყველაზე მნიშვნელოვან „წინაპირობად“ მიიჩნევდა.

და ბოლოს მივედით იქამდე, რის გამოც 1990-იან წლებში ეიზერის თეორიას აკრიტიკებდნენ - ეგრეთ წოდებული სიხარბე-უკმაყოფილების გარშემო ატეხილი დავა (Berdal and Malone, 2000). მართალია, ეიზერის ნაშრომზე პირდაპირ არაფერს ამბობენ, არც თავად მას ახსენებენ, მაგრამ მათ კი აკრიტიკებენ, ვინც მასავით მსჯელობს:

ამჟამინდელი კონფლიქტების დიდი ნაწილი, თუ არა ყველა, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ინსტიტუტების უმოქმედობის შედეგია, რომლებიც საკმარის ყურადღებას არ

უთმობენ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ჯგუფების უკმაყოფილებასა და მოთხოვნილებებს (Rasmussen et al., 1997:33).

ამ თვალსაზრისისგან განსხვავებით, კოლიერი ექსპლიციტურად უარყოფს იმას, რომ დიდი შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზი შეიძლება „უკამყოფილება“ გახდეს. იგი ამ მიზეზად „სიხარბეს“ – „ეკონომიკურ გეგმებს“ ასახელებს (Collier 2000; Collier and Hoeffler, 2001). მისი არგუმენტი სტატისტიკურ უარყოფას ეფუძნება - კერძოდ: დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებები მჭიდრო კორელაციაში არ იმყოფება შეიარაღებული კონფლიქტის სიხშირესთან; მასთან გაცილებით მჭიდრო კორელაცია აქვთ ეკონომიკურ სტიმულებს. გამოყენებულ ეკონომიკურ „სიდიდეებს“ შორისაა: ნედლეულის, ხელში ყველაზე იოლად ჩასაგდები ნადავლის (ალმასი, ნარკოტიკები, ხე-ტყე) ექსპორტის წილი მშპ-ში; საზოგადოებაში 15-დან 24 წლამდე ყმაწვილი მამაკაცების რაოდენობა, რადგან „ამბოხებებში ყველაზე ხშირად ახალგაზრდა მამაკაცები მონაწილეობენ ხოლმე“; და მოსახლეობის მიერ მიღებული განათლების საშუალო ხანგრძლივობა; ამ სიდიდით იზომება მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლის გამომუშავების შესაძლებლობები იმ შემთხვევაში, თუ ამბოხებას ან ომს არ აქვს ადგილი. შემდეგ ამ სიდიდეებს ადარებენ „უკამყოფილების“ სიდიდეებს: ეთნიკურ ან რელიგიურ სიძულვილს, ეკონომიკურ (ჰორიზონტალურ) უთანასწორობას, პოლიტიკური უფლებების არქონას და მთავრობის ეკონომიკურ კომპეტენციას. დასკვნა ასეთია: ‘შედეგები ცალსახად ადასტურებს ეკონომიკურ გეგმებსა და უკმაყოფილებას შორის არსებულ კავშირს.“

> *ნედლეულის დიდი ექსპორტის, მამრობითი სქესის ახალგაზრდების სიმრავლე და ეკონომიკური ვარდნის კომბინაცია მკვეთრად ზრდის რისკს. უკმაყოფილებაზე მნიშვნელოვანი სიხარბეა. (Collier, 2000: 110).*

ახლა აქ სტატისტიკურ მტკიცებულებებს ცალკ-ცალკე საკითხებად არ განვიხილავთ, ჩვენ მხოლოდ კოლიერის დასკვნებზე შევჩერდებით. დაზუსტებისა და დამატებითი კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ, ის აბსოლუტური კონტრასტი, რომელიც სიხარბესა და უკმაყოფილებას შორის თავდაპირველად არსებობდა, შედარებით შემცირდა; კოლიერის „ეკონომიკური პროგრამის“ რეკომენდაციები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ეიზერის „გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის“ ანალიზში განხილული მოსაზრებებისგან. მაგალითად, ჰოეფლერთან ერთად წარმოებული, 1965-1999 წლების სამოქალაქო ომების კვლევების შედეგად (2001:147), კოლიერი აცხადებს, რომ ბუნებრივი რესურსების ექსპორტზე ზედმეტი დამოკიდებულებით გამოწვეული რისკის შემცირებასთან ერთად „კონფლიქტის პრევენციის პოლიტიკა“ აუცილებლად უნდა შეიცავდეს შემდეგს: პირველი - პოლიტიკას, რომლითაც შესაძლებელი იქნება „დაბალი შემოსავლებისა და ეკონომიკის ვარდნის“ გამოსწორება და მეორე - პოლიტიკას „ეთნიკური დომინანტობით“ გამოწვეული საფრთხეების შესამსუბუქებლად, მაგ., „უმცირესობების უფლებების შეტანა კონსტიტუციაში.“

> *ამის მიღწევა შესაძლებელი იქნება კანონში ჯგუფის უფლებების ან ძლიერი ინდივიდუალური უფლებების ექსპლიციტურად შეტანით. ... ასეთი მოქმედებების მასშტაბები დამოკიდებულია რამდენად შესწევს სახელმწიფოს უნარი წინ აღუდგეს მთავრობის ძალას. როგორც წესი, სახელმწიფოები ასეთი ნდობის გასამართლებლად მზად არ არიან, რის გამოც საჭირო ხდება საერთაშორისო და რეგიონალური შეზღუდვების დაწესება (Collier, 2001:158).*

ზემოთ დავრწმუნდით, რომ ეიზერის „გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის“ პირველი სამი წინაპირობის ანალიზმა ზუსტად ანალოგიური პოლიტიკის გატარების

რეკომენდაციებამდე მიგვიყვანა: ეთნიკური დომინანტობის დაძლევა, ნაკლები ეკონომიკური შესაძლებლობებისგან გამოწვეული ნეგატიური შედეგების აღკვეთა და მთავრობის მხრიდან უმცირესობების დაცვის უუნარობის დაძლევა. კოლიერი ასევე ხაზგასმით აღნიშნავს რაოდენ მნიშვნელოვანია დიასპორების გავლენის მართვის უნარის ქონა (ეიზერის ტრანს-სასაზღვრო კავშირების მეოთხე წინაპირობა). ფაქტობრივად, „კონფლიქტის შემდგომი მშვიდობის შენების“ პოლიტიკის რეკომენდაციების განხილვისას, კოლიერი „უკმაყოფილებაზე“ ექსპლიციტურად საუბრობს; თუმცა ერთმანეთისგან მიჯნავს მის „სუბიექტურ“ და „ობიექტურ“ ფორმებს.

ცხრილი 4.2 ნედლეულის ექსპორტი და კონფლიქტის ფინანსირება

მებრძოლები	რესურსები	პერიოდი	შემოსავალი
ანგოლა მეამბოხეები (UNITA)	ალმასი	1992-2001	$4-4.2 მილიარდი ჯამში
სიერა-ლეონე მეამბოხეები (RUF)	ალმასი	1990-იანები	$25-125 მილიონი წელიწადში
ლიბერია მთავრობა	ხე-ტყე	1990-იანების დასასრული	$ 100-187 მილიონი წელიწადში
სუდანი მთავრობა	ნავთობი	1999 წლიდან	$400 მილიონი წელიწადში
რუანდა მთავრობა	ტანტალიტი (კონგოდან)	1999-2000	$250 მილიონი ჯამში
ავღანეთი (თალიბანი, ჩრდილოეთის ალიანსი)	ოპიუმი, ლილაქვა, ზურმუხტი	შუა 1990-იანებიდან-2001	$ 90-100 მილიონი წელიწადში
კამბოჯას მთავრობა, წითელი ქმერები	ხე-ტყე	შუა 1990-იანები	$230-390 მილიონი წელიწადში
მიანმარის მთავრობა	ხე-ტყე	1990-იანები	$112 მილიონი წელიწადში
კოლუმბია (FARC ამბოხებულები)	კოკაინი	1990-იანების დასასრული	$140 მილიონი წელიწადში

წყარო: Renner, 2002

> *პოლიტიკური ჭიდილის გაგრძელების ის ალტერნატივა, რომელიც სამხედრო ჩარევას არასაჭიროს გახდის, ამ ჭიდილის მოგვარებაა, რისთვისაც მინიმუმ უკმაყოფილების დაძლევაა საჭირო, მაშინაც კი თუ ობიექტური თვალსაზრისით იგი იმაზე სერიოზული არ არის, ვიდრე მშვიდობიან საზოგადოებაში გვხვდება ხოლმე. თუ ჯგუფური უკმაყოფილების მიზეზი მართლაც მეამბოხეთა ინდოქტრინაციაა, მაშ მისი ჩაცხრობა პოლიტიკური ქმედებებით უნდა იყოს შესაძლებელი. უკმაყოფილებას ობიექტურად უნდა მოვეკიდოთ, მაგრამ მთავარი მიზანი შეხედულებების შეცვლა უნდა იყოს (2001:159).*

მოკლედ, ბუნებრივი რესურსების ძალადობრივი მეთოდებით დატაცებით მიღებული ეკონომიკური სარგებელის ანალიზი მართლაც მნიშვნელოვანი დანამატია ეიზერის „გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის“ თეორიისთვის, რომელსაც, ომების ფრაქციულ და კრიმინალურ ომებად დაყოფამდე მივყავართ. ამ ომებში პოლიტიკური პროგრამებს უმნიშვნელო როლი ეკისრებათ (ამაზე უკვე ვისაუბრეთ მე-3 თავში განხილული კონფლიქტების ტიპოლოგიაზე მსჯელობისას) (იხ. ცხრილი 4.2). ასეთი რამ, ძალადობის თვითგანვრცობის

ბუნებიდან გამომდინარე, ნებიმისერ ომში შეიძლება მოხდეს. თუმცა, ეს მიდგომა ეიზერის თეორიას, მისი თავდაპირველი გაგებით, ვერ ჩაანაცვლებს; მაგ., ისეთ შემთხვევებში როგორიცაა: კონფლიქტი ჩრდილოეთ ირლანდიაში, ესპანეთის ბასკურ ნაწილში, ჩეჩნეთში, შრი-ლანკაზე ან ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი.

ამ მხრივ ალბათ უფრო მრავლის მთქმელი იქნება ის კვლევები, რომლებიც ცივი ომის დასრულების შემდეგ იმ კომპლექსურ, განსხვავებულ და ხანგრძლივ პროცესებს იკვლევდნენ და აანალიზებდნენ, რომლებშიც ჩანასახოვანი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ესკალაცია და ძალადობაში გადაზრდა ხან ხდება და ხან არა. ამ მხრივ მიღებული შედეგები ეიზერის თეორიასთან სრულ თანხვედრაშია, როგორც ამას რობერტ გურის (ეიზერის მეგობარი მკვლევარი მერილენდის უნივერსიტეტიდან) ნაშრომი ცხადყოფს. ერთი მხრივ, გური ადასტურებს კოლიერის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ უკმაყოფილება იშვითად ხდება აშკარა ამბოხის მიზეზი, მაგრამ ამის დასამტკიცებელ ინტერპრეტატიულ კონტექსტად „კომუნიდან გამომდინარე პროტესტის“ მაგალითი მოჰყავს, რაც ზუსტად ასახავს ეიზერის მიდგომას:

> *„რისკის ქვეშ მყოფ უმცირესობათა ჯგუფების“ კვლევის მიერ შესწავლილ 275 ანთროპოლოგიურ ჯგუფში ყველაზე გავრცელებული პოლიტიკური სტრატეგია ამბოხი არ იყო: ისინი სიმბოლურ და ორგანიზაციულ პოლიტიკას მიმართავდნენ ... მნიშვნელოვანია ის, რომ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მკვეთრი მატების შემდეგ, მცირდება იმ ჯგუფების რაოდენობა, რომლებიც ორგანიზებულ, შეიარაღებულ ძალადობას მიმართავდნენ. ეთნიკური ომების ერთბაშად გაჩაღება, რაც ადრეულ 1990-იანი წლებში დამკვირვებლების ყურადღების ცენტრში მოექცა, თემების ხანგრძლივი პროტესტისა და ამბოხის ზოგადი ტენდენციის კულმინაცია იყო; მათ სათავე აიღეს 1950-იან წლებში, ცივი ომის დასრულებისთანავე კი პიკს მიაღწიეს (2000: 275-276).*

კონფლიქტების ანალიზის ინტერპრეტაციის ჩარჩო

ცივი ომის შემდეგომ პერიოდში კონფლიქტების თეორიები მომრავლდა და კომპლექსური სახეც მიიღო (რაზეც უკვე ვისაუბრეთ ზემოთ), ამიტომ ჩვენს მიმოხილვას „დონეთა ანალიზის“ მცირედ სახეცვლილი მოდელით დავასრულებთ, რაც, ვთვლით, რომ საშუალებას მოგვცემს ყველაზე რელევანტური ინტერპრეტაციები გარკვეულ ჩარჩოში მოვაქციოთ და კონფლიქტის მოგვარების შესაბამისი გზები მოვძებნოთ. 1959 წელს ვოლცის მიერ შემოთავაზებული სამი დონის: „სისტემა“, „სახელმწიფო“ და „ინდივიდი“ (რომელსაც დღესაც ფართო გამოყენება აქვს; მაგ., Crocker et al., 2001: Pt 1) ნაცვლად, ჩვენ გთავაზობთ ხუთ დონიან მოდელს, რომელშიც გამოყოფილია: ორი „საერთაშორისო“(გლობალური და რეგიონალური), ერთი სახელმწიფო, რომელიც თავის მხრივ ფუნქციონალურ სექტორებად იყოფა და ორი „სოციალური“ (კონფლიქტის მხარე და ელიტა/ინდივიდი) დონე. განსახილველი ინტერპრეტაციისა და კონფლიქტის ტიპის მიხედვით ამ დონეების შეფარდებითი მნიშვნელობა და აქცენტები იცვლება (იხ. ცხრილი 4.3). ამ მოდელში ეიზერის „საერთაშორისო კავშირები“ გლობალურ და რეგიონალურ დონეებზე ხვდება, „კომუნის კმაყოფილება“, „მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა“ და „მმართველობა“ კი სახელმწიფო დონეზე (სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური სექტორები), ხოლო „პროცესის დინამიკა“ კი კონფლიქტის მხარეებისა და ელიტა/ინდივიდის დონეებზე გადაინაცვლებს.

თანამედროვე კონფლიქტების გლობალური წყაროები

წინა ნაწილში რამდენიმე მთავარი, გლობალური დონის თეორია განვიხილეთ, აქ კი მათ შორის არსებულ იმ სინერგიაზე ვისაუბრებთ, რომელიც თანამედროვე კონფლიქტების გაშუქებას კიდევ მეტად ართულებს. ცივი ომის დასრულების შემდეგ მომხდარმა გეოპოლიტიკურმა გადანაწილებამ ლიდერ-სახელმწიფოებს შორის არსებული დაპირისპირებით განპირობებული ზოგიერთი კონფლიქტი დაასრულა, თუმცა ბიძგი მისცა სხვებს, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ პერიმეტრზე ასევე მსოფლიოს იმ ნაწილებში, რომლებშიც ბიპოლარული სტრუქტურები უეცრად მოიშალა. ეს ფაზა ახლა ალბათ დასასრულს უახლოვდება ბალკანეთში(მაგრამ არა ცენტრალურ აზიაში, განსაკუთრებით კი კავკასიაში). ამჟამად კონფლიქტებისამი ურთიერთდაკავშირებული ფაქტორით არის განპირობებული: განსხვავება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, ეკოლოგიური შეზღუდვები და ომის ახალი ტექნოლოგიების გამრავალფეროვნება. „სიმდიდრესა და სიღარიბეს შორის არსებული სხვაობა და მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებული ზღვარისავარაუდოდ იმ კრიზისებამდე მიგვიყვანს, რომლის მიზეზიც კარგად ინფორმირებული, მაგრამ ძალაუფლება ჩამორთმეული უმრავლესობის გაცრუებული მოლოდინია“ (Rogers and Ramsbotham, 1999:749). პოლ კოლიერი მიიჩნევს, რომ გახშირებული კონფლიქტების მიზეზი ეკონომიკური ზრდის არ არსებობა ან შეფეხება და აბსოლუტური სიღარიბეადა არა სიმდიდრისა და სიღარიბის შორის არსებული სხვაობა (2008). რაც შეეხება ტრანსნაციონალურ დონეს, აქ იერარქიულ-იმპერიული სტრუქტურები მაგ., ისეთები, რომლებიც აშშ-ს ეკონომიკასა და საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს უკავშირდება, განსხვავებულ საერთაშორისო იდეოლოგიურ რეაქციას იწვევენ - მაგ., გლობალური ჯიჰადი. ზოგიერთები ამ ფენომენს რელიგიურ ფუნდამენტალიზმსა და სეკულარულ თანამედროვეობას შორის მიმდინარე გლობალურ იდეოლოგიურ ბრძოლად მიიჩნევენ, რომელიც დაძაბულობას წარმოშობს და ახალი ტიპის კონფლიქტების ფორმირებას უწყობს ხელს.ამას ემატება ისიც, რომ შესაძლებელია, თაღლითმა სახელმწიფოებმა, ტერორისტულმა დაჯგუფებებმა და კრიმინალურმა ქსელებმა ხელში ჩაიგდონ მასობრივი განადგურების იარაღი.

ცხრილი 4.3 თანამედროვე კონფლიქტების წყაროები: ჩარჩო

დონე	მაგალითი
1. გლობალური	გეოპოლიტიკური გარდაქმნა, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ეკონომიკებს შორის არსებული განსხვავება, ეკოლოგიური შეზღუდვები, იარაღის გავრცელება, იდეოლოგიური დაპირისპირება.
2. რეგიონალური	პატრონობის ურთიერთობები, გადაღვრა, ინტერვენცია, ტრანს-სასაზღვრო სოციალური დემოგრაფია, დიასპორა
3. სახელმწიფო *სოციალური* *ეკონომიკური* *პოლიტიკური*	 სუსტი საზოგადოება: კულტურული დაყოფა, ეთნიკური დისბალანსი სუსტი ეკონომიკა: რესურსების ღარიბი ბაზა, შედარებითი ხელმოკლეობა სუსტი პოლიტიკა: პარტიზანული მთავრობა, რეჟიმის არალეგიტიმურობა
4. კონფლიქტის მხარე	ჯგუფების მობილიზაცია ჯგუფთაშორისი დინამიკა
5. ელიტა/ ინდივიდი	ექსკლუზიონისტური პოლიტიკა, ფრაქციული ინტერესი, ხარბი ხელმძღვანელობა

ფოკუსი 4.2.

1987-1991 წლებში „მესამე მსოფლიომ“ „მესამე მსოფლიოში“ 176 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების იარაღის ექსპორტი განხორციელდა. მიიღო. კეიტ კრაუზი (1996) იარაღის ექსპორტსა და კონფლიქტს შორის არსებული კავშირის სამ თეორიულ მოდელს გამოჰყოფს და თვლის, რომ თითოეულ მათგანს მკურნალობისინდივიდუალური მეთოდითსჭირდება მიდგომასჭირდება. იარაღისარსებობა ხელმისაწვდომობაშეიძლება განვიხილოთ როგორც ა) კონფლიქტის გამომწვევი დამოუკიდებელი ცვლადი, ბ) დამოკიდებული ცვლადი, რომელიც მოჰყვება კონფლიქტს და გ) შუალედური ცვლადი, რომელიც სირღმისეული ფაქტორებითს მიერ გამოწვეულ კონფლიქტში კატალიზატორის როლს ასრულებს. თავად ამ თეორიის ავტორი მესამე ალტერნატივის მხარეს იხრება. ფაქტობრივად ცივის ომის შემდგომ დაწყებული კონფლიქტების დიდი ნაწილი მიმდინარეობდა არა მძიმე ტექნიკის არამედ ცეცხლსასროლი ირაღის გამოყენებით ხდებოდადაარა მძიმე ტექნიკის გამოყენებით (Boutwell et al., 1995). რაც მთავარია, ხშირ შემთხვევაში იარაღი მათი მიმღებები ქვე-სახელმწიფოებრივი დაჯგუფებებსები მიეწოდებოდათ. იყვნენ(Karp, 1994). ერთ-ერთი გამოთვლის მიხედვით,ლებით ცეცხლსასროლი იარაღით ვაჭრობა წელიწადში 10 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს (The Economist, 12 February, 1994 19-21). ხშირ შემთხვევაში კი მოვლენები სწორედ ისე ვითარდება, როგორც 1994 წელს რუანდაში განვითარდა, ყველაზე მეტი ხოცვა-ჟლეტვა მაჩეტეს გამოყენებით მოხდა.

თანამედროვე კონფლიქტების რეგიონალური წყაროები

ცივი ომის დასრულებამ და მსოფლიო პოლიტიკის „რეგიონალიზაციამ“ცხადყო, რომ საჭირო იყო რეგიონალურ დონეზე მიმდინარე პროცესების შესწავლა.როგორც მესამე თავში აღვნიშნეთ, კონფლიქტების შესახებ არსებული მონაცემებიგვაჩვენებს, რომ თანამედროვე კონფლიქტები რეგიონების მიხედვით განსხვავდება. ეს მოსაზრება შესაბამისობაშია და ამტკიცებს იმ კვლევების მონაცემებს, რომლებიც ცხადყოფს, რომ კონფლიქტები ერთი არეალიდან მეორეში ვრცელდება და რომ ამა თუ იმ მოწყვლად რეგიონში ძალადობრივ კონფლიქტებს ერთი საერთო გამომწვევი ფაქტორი აქვთ - მაგ., დიდი ტბების რეგიონი აფრიკაში (იდენტობის/დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე კონფლიქტები და ლტოლვილთა გადაადგილება), დასავლეთ აფრიკა (პოსტკოლონიალური სახელმწიფოების რღვევის შედეგად წარმოშობილი ფრაქციული კონფლიქტები), კავკასია (საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილი იდენტობის/დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე კონფლიქტები)) და ცენტრალური აზია (საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილი იდენტობის/ დამოუკიდებლობისათვის მიმდინარე კონფლიქტები და ფრაქციული კონფლიქტები) (იხ. Caderman et al., 2009).

ფოკუსი 4.3 კონფლიქტების ინტერვენციის რეგიონალური მოდელი

რამდენიმე რუანდადან გამოძევებულმა მეამბოხემ დახმარება გაუწია უგანდის პრეზიდენტ მუსევენის ხელისუფლებაში მოსვლაში, რის შემდეგაც 1986 წელს მოხდა მათი რეინტეგრაცია უგანდის არმიაში; მოგვიანებით ისინი თავიანთი იარაღით კვლავ შეუერთდნენ „რუანდის პატრიოტულ ფრონტს“, რომელმაც 1994 წელს უგანდაში ძალაუფლება აიღო ხელში. შემდეგ ადგილი ჰქონდა ტუტსის კონტროლის კონსოლიდაციას ბურუნდიში, ხოლო 1996 წლის შემოდგომაზე კი დაიწყო ტრანს-სასაზღვრო მოქმედება, სადაც ზაირი დაუპირისპირდა ჰუტუს მილიციას, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრებოდა 1994 წელს რუანდაში განხორციელებულ სისხლისღვრაზე და რომელიც პრეზიდენტ მობუტუს აფარებდა თავს. დაპირისპირებამ, რომელსაც მობუტუს დასავლური რეჟიმის მიერ დისკრიმინირებული ზაირელი ტუტსები ემხრობოდნენ, სამხედრო დახმარება გაუწია ლორან-დეზირე კაბილას, რომელმაც კინშასას წინააღმდეგ გაილაშქრა და მობუტუ დაამხო. ამ მოვლენამ გავლენა იქონია ანგოლაში მიმდინარე მოვლენებზე, რის შემდეგაც ანგოლას ჯარები კონგო-ბრაზივილში გაგზავნეს, რის შედეგადაც 1997 წლის ოქტომბერში დენი სასუ-ნგესოს ხელისუფლებაში დაბრუნდა. ამასობაში მსგავსი მოვლენები ვითარდებოდა სუდანის ხანგრძლივ კონფლიქტშიც.

ზაირში (დღევანდელ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკაში) 1998-2003 წლებში გამანადგურებელი ომში საჭირო გახდა უცხოური ინტერვენციის განხორციელება რუანდას, უგანდას, ზიმბაბვეს, ანგოლას და ნამიბიის მხრიდან. სამშვიდობო და ძალაუფლების განაწილების ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2003 წელს, მაგრამ აღმოსავლეთში ბრძოლა გაგრძელდა სამთავრობო და მეამბოხე ძალებს შორის, რომელსაც მხარს უჭერდნენ უცხოური მილიციის დანაყოფები.

რეგიონალური ეფექტები შეიძლება იყოს როგორც გარეთ („გადაღვრა“ „გადადება“ „დიფუზია“) ასევე შიგნით მიმართული (‘გავლენა“, „ინტერფერენცია“, „ჩარევა“) (Lake and Rothchild, 1997) (იხ. ფოკუსი 4.3. და რუკა 4.1). „შიდა“ ომები მთელ რეგიონზე ახდენს გავლენას, რადგან ასეთ დროს ადგილი აქვს იარაღის გავრცელებას, ეკონომიკურ დისლოკაციას, კავშირს ტერორიზმთან და ლტოლვილთა ნაკადების მოძრაობას; კონფლიქტი რეგიონალურ პოლიტიკაში მაშინ გადაიღვრება, როცა იგი მეზობელ სახელმწიფოებსაც ითრევს ან როდესაც ერთი და იგივე ადამიანები რამდენიმე სახელმწიფოში პოულობენ დასაყრდენს. პირიქითაც ხდება: რეგიონში არსებული არასტაბილურობა, სხვა ქვეყნების მთავრობების ქმედებები, ადამიანებისა და იდეების ტრანს-სასაზღვრო გადაადგილება, შავი ბაზრების საქმიანობა, კრიმინალური ქსელები და ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის გავრცელება სახელმწიფოთა შიდა პოლიტიკაზე ახდენს გავლენას . რეგიონალური კონფლიქტების აშკარა წყაროები არსებობს იმ რეგიონებში, რომლებშიც სახელმწიფო საზღვრები მდინარის აუზის გასწვრივ მდებარეობს (Gleik, 1995)[9] ან იქ, სადაც შეუსაბამობაა სახელმწიფო საზღვრებსა და ადამიანების განაწილებას შორის (რაცყოფილი კოლონიალური საზღვრების შენარჩუნების შედეგია); ეს ფაქტორები ამა თუ იმ სახელმწიფოს მოსახლეობის ფართო-მასშტაბიანი გადაადგილებისა და მისი თანმდევი დესტაბილიზაციისაგან დაუცველს ხდის (Gurr, 1993; Gurr and Harf, 1994).

სახელმწიფოს როლი

ახლა საერთაშორისო დონის კონტექსუალური ფაქტორების განხილვიდან სახელმწიფო დონის სტრუქტურული ფაქტორების განხილვაზე გადავალთ. სადაც არ უნდა იმალებოდეს კონფლიქტის ნამდვილი წყარო, კრიტიკული ბრძოლა მაინც სახელმწიფოს დონეზე მიმდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი მკვლევარი „სახელმწიფოს დასასრულს“

წინასწარმეტყველებდა, რაც მათი მოსაზრებით გლობალიზაციისა და „კონკრეტული თემის და მასში არსებული სენტიმენტების ადგილობრივი მახასიათებლების“ (როგოც მას ფოლკი უწოდებს (1985:60))ზეწოლის შედეგი იქნებოდა, სახელმწიფო მაინც „ადამიანთა უმრავლესობის იდენტობის უპირველეს კერად რჩება“. (Kennedy, 1993: 134). კლარკი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო გლობალიზაციის მერყევ ძალებსა („მუდმივად მზარდი საერთაშორისო ზეწოლა“) და ფრაგმენტაციას (შიდა უკმაყოფილების მაღალი დონე) შორის კვლავაც მთავარ მედიატორს და საპირწონეს წარმოადგენს (1997: 202). იმის გამო, რომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემა სუვერენიტეტზე იურიდიულ მონოპოლიას კვლავაც სახელმწიფოს ანიჭებს, კონფლიქტის მხარეები საბოლოოდ მაინც სახელმწიფო კონტროლის მოპოვებისთვის იბრძვიან, როდესაც მათ რევოლუციური პროგრამების ინსტიტუცია (მეორე ტიპის კონფლიქტი), თემის მოთხოვნილებების დაცვა (მესამე ტიპის კონფლიქტი) ან მხოლოდ ფრაქციული ინტერესების გატარება (მეოთხე ტიპის კონფლიქტი) სურთ. თვით „ხელმოცარულ“ სახელმიწფოებშიც (მაგ., სომალიში) კი მეომარი ელემენტების საბოლოო ჯილდო სახელმწიფო კონტროლის მოპოვებაა. იგივე ითქმის თანამედროვე ტერორიზმის სხვადასხვა ფორმებზეც. კლასიკური სახელმწიფოთაშორისი ომებისა და შედარებით ქვედა დონის შიდა არეულობისგან განსხვავებით, ამ წიგნში განხილული დიდი ფატალური კონფლიქტები სახელმწიფოს კრიზისებად იქცევა ხოლმე, რადგან სახელმწიფო საერთაშორისო არენაზე ჯერ კიდევ მთავარ აქტორად რჩება და შიდა, ადგილობრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ტვირთიც მას აწევს. ამ შემთხვევაში კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს სამ – სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ – სექტორს შორის არსებული ურთიერთკავშირი -; ესკალაციის გარკვეულ საფეხურზე თამაშში კიდევ ორი ფაქტორი ერთვება: კანონი და წესრიგი და უსაფრთხოება. ეს უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც ინტერვენციების განხილვისას „სახელმწიფოს შენებასა“ (თავი მე-5) და ომის შემდგომ რეკონსტრუქციაზე ვისაუბრებთ (მე-8 თავი).

რუკა 4.1 რეგიონალური კონფლიქტი აფრიკაში 1990-იან წლებში“ გადაღვრის ეფექტი

სოციალურ სექტორში საყურადღებოა იმ სოციალური განსხვავების ტიპები, რომელთა გამოც რღვევის ზოლიწარმოიქმნება. უკანასკნელ წლებში დავა გამძაფრდა მათ შორის, ვინც კონფლიქტის მიზეზად ვერტიკალურ (ეთნიკურ) ფესვებს ასახელებს და მათ შორის, ვინც ამის მიზეზად „ჰორიზონტალურ“ (კლასობრივ) ფესვებს ხედავს (Munck, 1986). დავის გამძაფრების მიზეზი კი ისეთი რევოლუციური იდეოლოგიების გამოჩენა იყო, როგორიცაა: ისლამისტური და ჰინდუ ნაციონალისტური მოძრაობები (ასევე ებრაული, ქრისტიანული და თვით ბუდისტურც კი). არიან ისეთი მკვლევრებიც, რომლებიც დასავლურ მიდგომას, რომლისთვისაც მთავარი კლასობრივი და ეთნიკური ფესვებია, უსარგებლოდ თვლის მსოფლიოს ისეთ ნაწილებში მიმდინარე კონფლიქტების სოციალური ფესვების გასაანალიზებლად, როგორიცაა აფრიკა, სადაც სოციალური ცხოვრება „პირველ რიგში იმ უფრო კომპაქტური ორგანიზაციების, ქსელების, დაჯგუფებების, ასოციაციების და მოძრაობების ფარგლებში მიმდინარეობს, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ცვალებადი გარემოებების ფონზე ჩამოყალიბდა“ (Chazen et al., 1992:73-103).თანამეგობრობის გენერალური მდივნის განცხადებით, თანამეგობრობის 53 წევრი ქვეყნიდან 49 ეთნიკურად ჰეტეროგენულია; ჯონ დერბი აღნიშნავს, რომ განსახლების კომპლექსური მოდელებისა და სახელმწიფო საზღვრებსა და ხალხთა განაწილებას შორის არსებული შეუსაბამობის გამო „ეთნიკური ჰომოგენურობის მიღწევა შეუძლებელია, რაშიც გამოცდილებაც გვარწმუნებს,“ (Darby, 1998:2).

ეკონომიკურ სექტორში მეტ-ნაკლებად თანხმდებიან იმაზე, რომ გაჭიანურებული კონფლიქტის მიზეზი გარკვეულწილად ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე (ეკონომიკური ჩამორჩენილობა) და არათანაბარი განვითარებაა. ამ თემაზე დიდი მსჯელობა მიმდინარეობს; ფაქტებით კი დასტურდება, რომ: პირველი - (რაც უპირისპირდება სოციალური და პოლიტიკური რევოლუციის გარკვეულ ტრადიციულ თეორიებში გამოთქმულ მოსაზრებებს) ეკონომიკური ჩამორჩენილობის აბსოლუტურ დონესა და ძალადობრივ კონფლიქტს შორის გარკვეული კორელაცია არსებობს (Jongman and Schmid, 1997; Stewart and Fitzgerald, 2001; Collier et al., 2003);[10] მეორე - კონფლიქტს მეტისმეტად დაჩქარებული ან არათანაბარი განვითარება იწვევს; თანამედროვეობა ტრადიციულ მოდელებს არღვევს, მაგრამ მოსალოდნელ ან სათანადო შედეგებს ვერ აღწევს - განსაკუთრებით იქ, სადაც ურბანიზაცია და მოსახლეობის მატება სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს, რის შედეგადაც იზრდება გაუნათლებელი და დაუსაქმებელი ახალგაზრდა მამაკაცების რიცხვი (Newman, 1991); და მესამე - კონფლიქტი შეიძლება დაიწყოს იქაც, სადაც განვითარება ზომიერად მიმდინარეობს და სათანადო დონესაც აღწევს, მაგრამ განვითარებით მიღებული სარგებელი არათანაბრად ნაწილდება (Lichbach, 1989). სამივე შემთხვევაში მზარდი უკმაყოფილება იდეოლოგიური ექსტრემიზმისა და რასობრივი მარგინალიზაციისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის.

მრავალი ანალიტიკოსის აზრით უმთავრესი არენა სამთავრობო სექტორია, რადგან ყველა სოციალური და პოლიტიკური უკმაყოფილება საბოლოოდ მაინც პოლიტიკური ფორმით გამოიხატება. აქ სამი ძირითადი მოდელი იკვეთება. კონფლიქტი შეიძლება ენდემური გახდეს თვით მტკიცე, ლიბერალურ დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი მაშინ, როცა მთავრობა ასკრიპტულია, ხოლო რომელიღაც ერთი თემი კი თვლის, რომ სახელმწიფო ხელისუფლება რომელიღაც სხვამ სამუდამოდ „ჩაიგდო ხელში“; ამიტომ სიტუაციის შეცვლისკენ ისწრაფის და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ამ სახელმწიფოს ლეგიტიმურობას - როგორც ეს კანადაში, ბელგიაში, ესპანეთსა (ბასკები) და ჩრდილოეთ ირლანდიაში მოხდა (Lijphart, 1977; Gurr

and Harff, 1994, ch. 5). ასეთი რამ მოხდა რამდენიმე არადასავლურ სახელმწიფოშიც, მაგ., შრი-ლანკაში (Horowitz, 1991). მეორე - კონფლიქტის დაწყების დიდი ალბათობაა იმ ქვეყნებში, სადაც ავტორიტარული რეჟიმი წარმატებით მანიპულირებს სახელმწიფო აპარატით, მას ძალაუფლების შესანარჩუნებლად იყენებს, უბლოკავს პოლიტიკურ წვდომას ყველას, ვინც მისი პატრონაჟის ვიწრო ქსელის წევრი არ არის და საბოლოოდ ექსპლუატატორ „კლეპტოკრატად“ ყალიბდებდება. ასეთი რამ მოხდა პოსტ-საბჭოთა პერიოდის ზოგიერთ აზიურ და პოსტ-კოლონიალურ აფრიკულ სახელმწიფოში. ამ ქვეყნებში პოლიტიკა „ნულოვან ჯამად“ იქცა, ცვლილების განხორციელება მხოლოდ არსებული რეჟიმის პირდაპირი გამოწვევების წინაშე დაყენებით არის შესაძლებელი. მესამე - იზრდება „ხელმოცარულ“ ან „დანგრეულ“ სახელმწიფოთა რიცხვი (Helman and Ratner, 1992-3; Zartman, 1995a, Rotberg, 2004), რომლებსაც შემოსავლების გაზრდისა და წესრიგის დამყარებისათვის საჭირო რესურსი არ გააჩნიათ და შედეგად ენდემურ და ქაოსურ ძალადობრივ კონფლიქტში ეხვევიან.1998 წლის აპრილში გაეროს უსაფრთხოების საბჭოში წარდგენილ ანგარიშში აფრიკის შესახებ, მისი გენერალური მდივანი კოფი ანანი აღნიშნავდა:

> *მრავალ აფრიკულ ქვეყანაში პოლიტიკური ხელისუფლების ბუნება და მისი ხელში ჩაგდებისა და შენარჩუნების რეალური და წარმოსახვითი შედეგები ამ კონტინენტზე კონფლიქტების წარმოშობის მთავარ წყაროს წარმოადგენს. . ხშირად პოლიტიკური გამარჯვების შემთხვევაში, ყველაფერი - სიმდიდრე, რესურსები, პატრონაჟი, ხელისუფლებაში მოსვლის პრესტიჟი და პრეროგატივა - გამარჯვებულს რჩება. იმის გამო, რომ აქ ხელმძღვანელი პირები არავის წინაშე ანგარიშვალდებულები არ არიან, რეჟიმი არ არის გამჭვირვალე, ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის არ არსებობს ანგარიშვალდებულება და ბალანსი, არ იცავენ კანონის უზენაესობას, არ არსებობს ხელმძღვანელობის შეცვლის ან ჩანაცვლების მშვიდობიანი საშუალებები და ნაკლები პატივისცემით ეკიდებიან ადამიანის უფლებებს, პოლიტიკური კონტროლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და მდგომარეობაც უკიდურესად დაძაბულია. (Annan, 1998).*

დასასრულს, უნდა აღვნიშნოთ რაოდენ მნიშვნელოვანია კანონი, წესრიგი და უსაფრთხოების სექტორები კონფლიქტის ესკალაციის კრიტიკულ საფეხურზე. ეს ის მომენტია, როდესაც შიდა კონფლიქტი რუბიკონს სცდება და სახელმწიფოს სადავეების ხელში ჩაგდების მიზნით გაჩაღებულ ძალადობრივ დაპირისპირებად იქცევა. ამის ორი აშკარა ინდიკატორი არსებობს, რომელთაგანაც პირველი კანონისა და წესრიგის სექტორში უნდა ვეძიოთ - სამართლებრივი სისტემა და სამოქალაქო პოლიცია პარტიკულარისტული ინტერესების დამცველი ხდება და მიუკერძოებელი ორგანო აღარ არის; მეორე - უსაფრთხოების სექტორში - როდესაც სამოქალაქო არეულობის მართვა სამხედრო საშუალებების გარეშე შეუძლებელი ხდება და საქმეში შეიარაღებული მილიცია ერთვება. როგორც ბარო პოსენი (1993) მიუთითებს, ამ ეტაპზე საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებისთვის კარგად ნაცნობი „უსაფრთხოების დილემა“ დამანგრევლად ზემოქმედებს რუდიმენტულ მდგომარეობაში მყოფ სოციალურ-სახელმწიფო-საერთაშორისო არენაზე. როდესაც ჯინი ბოთლიდან ამოდის და შეიარაღებული ფრაქციები იქმნება და აქტიურდება, მისი ბოთლში დაბრუნება რთულია. გური ერთ-ერთი მათგანია, ვინც დიაგრამის სახით გამოსახა ის ათწლიანიან უფრო ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც აშკარა კონფლიქტის დაწყებიდან მის ესკალაციასა და სამხედრო დაპირისპირებად გარდაქმნას სჭირდება - ამ დროს აუცილებელია პრევენციული ზომების გატარება.

ჯგუფის მობილიზაცია და პარტიათაშორისი დინამიკა

თანამედროვე კონფლიქტების კონტექსტუალური და სტრუქტურული წყაროების განხილვის შემდეგ, კონფლიქტების მხარეებს შორის არსებული ურთიერთობის წყაროებზე ვისაუბრებთ. ტედ გური (1993, 1995, 2000) გვიჩვენებს როგორ გარდაიქმნება ხალხების, რეგიონალური ავტონომიის მომხრეების, ადგილობრივი მოსახლეობის, შეურიგებელი სექტების, ეთნოკლასებისა და სხვა ჯგუფების არაძალადობრივი პროტესტი ძალადობრივად, და საბოლოოდ როგორ გადაიზრდება იგი სრულ ამბოხში, რასაც, როგორც წესი, რამდენიმე წელი სჭირდება. დროში ასეთი გაწელვა ძალადობრივი კონფლიქტების პროაქტიული პრევენციის შესაძლებლობას იძლევა, რაზეც შემდეგ თავში ვისაუბრებთ. როგორც წესი, მიზნები განსხვავებულია ხოლმე, მათ შორის შეიძლება იყოს: პოლიტიკური წვდომის, ავტონომიის , გამოყოფის ან კონტროლის მოპოვების მოთხოვნა, რასაც, როგორც წესი, ბიძგს ისტორიულად არსებული უკმაყოფილება და თანამედროვე სოციალურ-კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური შეზღუდვებით გამოწვეული გაღიზიანება აძლევს (საუბარი გვქონდა წინა ნაწილში). მობილიზაციას ხელს უწყობს ის ახალი საფრთხეები, რომელიც უშიშროებას ემუქრება, (რის წინაშეც იდგნენ იუგოსლავიის ამომრჩევლები) და ახალი შესაძლებლობები, რომლებსაც ადამიანები ხედავენ მაშინ, როცა მსგავსი მოთხოვნები სხვაგანაც ჩნდება. აგრესიის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე თუ რა ტიპის ლიდერები აიღებენ ხელში სადავეებს. როდესაც პროტესტის მიზეზი გამოყოფის მოთხოვნაა (რომელიც ყველაზე ფეთქებადსაშიში საკითხია), კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს წარსული, თუნდაც ძალიან დიდი ხნის წინანდელი პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

ელიტა და ინდივიდები

ბოლოს კი ელიტა/ინდივიდის დონეზე შევჩერდებით, თუმცა სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებზე საუბრისას „წარმომადგენლობისა“ და „სტრუქტურის“ შეფარდებით მნიშვნელობას არ განვიხილავთ (რაც „დიდი ადამიანებისა“ და „უზარმაზარი არაპიროვნული ძალის“ გარშემო მიმდინარე დავის პირდაპირი მემკვიდრეა). ლიდერთა როლის მნიშვნელობას თვალნათლივ დავინახავთ თუ ერთმანეთს შევადარებთ სლობოდან მილოშევიჩსა და ფრანიო ტუჯმანს იუგოსლავიაში და ფ. უ. დე კლარკსა და ნელსონ მანდელას სამხრეთ აფრიკაში. „ჰუმან რაით ვოჩი“ მიიჩნევს, რომ კომუნის ძალადობა იშვითად თუ არის „ღრმადფესვგადგმული სიძულვილის“ ან „ძველი შუღლის“ ნაყოფი, როგორც ამას ქადაგებენ ისინი, ვისაც სურს რომ ეს ასე იყოს და ვინც გვარწმუნებს, რომ ეს „ბუნებრივი პროცესია“, რომელსაც ვერაფერს მოვუხერხებთ:

> *„ჰუმან რაითს ვოჩის“ მიერ ჩატარებული ფართო საველე კვლევა, რომელიც აქ რეზუმირებული სახითაა მოცემული, ცხადყოფს, რომ კომუნაში არსებული დაძაბულობა თავისთავად ძალადობრივი და შეუპოვარი კონფლიქტის უშუალო მიზეზს არ წარმოადგენს. ცალსახაა, რომ კომუნაში არსებული დაძაბულობა ამ ფეთქებადი ნარევის აუცილებელი ინგრედიენტია, თუმცა ფართომასშტაბიანი ძალადობის დასაწყებად მხოლოდ იგი არ კმარა. ხშირ შემთხვევაში საზოგადოებრივი ძალადობის უშუალო მიზეზი მთავრობის მხრიდან სხვადასხვა კომუნას შორის არსებული უთანხმოების სათავისოდ გამოყენება ხდება. (Human Rights Watch, 1995: 1-2).*

ბრაუნი იზიარებს იმ აზრს, რომ აკადემიური ლიტერატურა „მეტისმეტ აქცენტს აკეთებს მასიური დონის ფაქტორებზე“, მაგრამ „ საკმარისად ვერ აცნობიერებს ელიტისა და ლიდერების მიერ ძალადობის წაქეზებაში შესრულებულ როლს.“ იგი დიდ კონფლიქტთა უმრავლესობის გამომწვევ მიზეზად ‘შიდა, ელიტის დონეზე მიმდინარე საქმიანობას“ თვლის, რომელიც

“მარტივად რომ ვთქვათ, ცუდი ხელმძღვანელების ბრალია- ანუ სურათი იმისგან სრულიად განსხვავებულია, რა დასკვნის გამოტანის საშუალებასაც ამ თემაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა იძლევა.“ (Brown, 1996: 22-23) (იხ. ცხრილი 4.4).

კომპლექსური კონფლიქტების სისტემების ანალიზი და კარტირება

მესამე თავში განვიხილეთ როგორ გამოიყენებოდა კონფლიქტების მოგვარების დარგში მთელი მისი ისტორიის მანძილზე კონფლიქტის მხარეების, საკითხების, ურთიერთობებისა და ა.შ. შესახებ არსებული, სარწმუნო მონაცემები, მათი კარტირებისას და როგორ წარმოგვიდგენს მას პოლ ვერი თავის „კონფლიქტების რეგულირებაში“ (1979). იმის გამო, რომ ხშირ შემთხვევაში ამ მონაცემთა ინტერპრეტაცია დავის საგანი ხდება (რაზეც ამ თავშია საუბარი), უკანასკნელ ხანებში კონფლიქტების კარტირება უფრო კომპლექსური და სისტემური გახდა (რაზეც საუბარი იყო მე-2 თავში), რაც კომპლექსური და სწრაფად ცვალებადი კონფლიქტური სიტუაციების შემადგენელ, მრავალფეროვან ფაქტორებს შორის არსებული კავშირების დადგენის შესაძლებლობას გვაძლევს (Korppen et al., 2008). მაგალითად, ახლა უკვე ვიცით, რომ რიგ შემთხვევებში კონფლიქტში კეთილი ზრახვით ჩარევას, შესაძლოა სრულიად მოულოდნელი, პარადოქსული შედეგიც კი მოჰყვეს, რაც მისი კონტექსტის კომპლექსურობის შედეგია. ამიტომ სათანადო ზომების მიღებამდე მნიშვნელოვანია ამ ფაქტორებს შორის არსებული ურთიერთკავშირების გააზრება.

ცხრილი 4.4 შიდა კონფლიქტის უშუალო მიზეზები

	შიდა ფაქტორების მოქმედებით გამოწვეული	გარე ფაქტორების მოქმედებით გამოწვეული
ელიტის ბიძგით გამოწვეული	ცუდი ლიდერები (23)	ცუდი მეზობლები (3)
მასის ბიძგით გამოწვეული	ცუდი შიდა პრობლემები (7)	ცუდი სამეზობლო (1)

წყარო აღებულია Brown, 1996: 582, 597

ფრჩხილებში მოცემული ციფრები მიუთითებს ნომერს ბრაუნის „მთავარი აქტიური კონფლიქტების“ ნუსხიდან.

კონფლიქტების კომპლექსური სიტუაციების ანალიზი ამ დარგის (კონფლიქტების მოგვარების) განუყოფელი ნაწილი მისი დაარსებისთანავე გახდა. მისი დამფუძნებელი თეორეტიკოსები ლუის ფრაი რიჩარდსონი, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, ხოლო 1950-იან წლებში კი კენეტ ბოულდინგი, ქვინსი რაიტი, იოჰან გალტუნგი, ანატოლ რაპოპორტი, ჯონ ბარტონი და სხვები თვლიდნენ რომ კონფლიქტების ანალიზში ჯამი ყოველთვის მის შემადგენელ ნაწილებზე მეტია, რომ შესაძლოა, ჩარევამ სრულიად მოულოდნელი და არაპროგნოზირებადი შედეგი გამოიღოს, ხოლო კრიტიკულ მომენტებში კი უეცარ ბიფურკაციასაც ჰქონდეს ადგილი, რადგან კო-ადაპტაციის პროცესში ერთმანეთში გადახლართულ სისტემებს ცვალებად გარემოსთან და ეკო-ლანდშაფტებთან შეგუება უხდებათ - ეს სისტემები თვით-ორგანიზებადი და კომპლექსური შემგუებლობის უნარის მქონეა.

მეორე თავში აღვნიშნეთ, რომ ლუის ფრაი რიჩარდსონი ამინდის სისტემების პროგნოზირებადობისა და ტურბულენტობის მათემატიკური გამოთვლების სპეციალისტი იყო. ვახსენეთ ისიც, რომ მისი გავლენით *„კონფლიქტების მოგვარების ჟურნალის“* (1957) პირველ ნომერში კენეტ ბოულდინგი და ქვინსი რაიტი გლობალური კონფლიქტების

მონაცემთა ცენტრის შექმნის იდეით გამოდიოდნენ, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებას მოახლოებული საერთაშორისო კონფლიქტის გრიგალებისა და შტორმების შესახებ აცნობებდა და განგაშის ზარებს ჩამოჰკრავდა. ჯონ ბარტონის მოსაზრებებზე დიდი გალენა მოახდინა ზოგადი სისტემების თეორიამ, განსაკუთრებით კი მისი პირველი და მეორე რიგის შესწავლის იდეამ.

შედარებით მოგვიანებით - ანუ ბოლო ოცი წლის მანძილზე - კონფლიქტების ანალიტიკური სფერო ბუნებრივი და სოციალური მეცნიიერებებიდან მიღებულმა კომპლექსურმა იდეებმა გაამდიდრა; მასში წვლილი შეიტანა სოციოლოგიამ, პოლიტოლოგიამ, სოციალურმა ფსიქოლოგიამ, ორგანიზაციულმა თეორიამ და სხვა მსგავსმა დარგებმა (Hendrick, 2009). რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს უთანხმოებისა და აზრთა სხვადასხვაობის გარეშე არ ჩაუვლია (Rosenau and Earnest, 2006). ამ შემთხვევაში არ არსებობს ერთი რომელიმე ყოვლისმომცველი მიდგომა; არსებობს განსხვავებული, ტრანსდისციპლინალური ჩარჩოებისაგან შექმნილი ჰიბრიდი.

თანამედროვე ანალიტიკოსები, მაგ., პიტერ კოლემანი (Coleman et al., 2003) აღიარებენ, რომ სისტემური კომპლექსურობა გრძელვადიან სტაბილურობასთან სრულ შესაბამისობაშია, რადგან როდესაც კომპლექსური სისტემა რომელიმე ერთი მოდელით იწყებს განვითარებას, ვერცერთი ცალკე აღებული სტიმული და ვერც სტიმულთა მთელი ნაკრები მისი მუდმივი ინერციის დასაძლევად საკმარისი ვერ იქნება. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ მიზნად სისტემური კონფლიქტის ტრანსფორმაციას ვისახავთ, საჭირო გახდება მთელ კომპლექსზე ზემოქმედება ან მისი (ამ სისტემის) სხვა, უფრო ხელსაყრელ გარემოში გადატანა. ისინი, ვინც კონფლიქტების ტრანსფორმაციის სფეროში მოღვაწეობენ, მოთმინებით უნდა აღიჭურვონ და თითოეული ელემენტი და მათი რიგითობა გულდასმით შეარჩიონ, შეფერხებასა და აშკარა რეგრესსაც უნდა ელოდონ. ისიც გასაგებია, რატომ შეიძლება იყოს გარდამავალი პერიოდი მოვლენათა თავდაპირველ განვითარებაზე ნაკლებ სტაბილური, მეტად ტურბულენტური და პოტენციურად უფრო საშიში. კოლემანის კონფლიქტების ანალიზისა და ტრანსფორმაციის განხილვა დინამიკური სისტემების საშუალებით მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია და კომპლექსური კონფლიქტების გააზრებისა და მართვის საჭირო ინსტრუმენტს წარმოადგენს (Coleman et al., 2005).

ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღვნიშნოთ, თუ როგორ ხდება კონფლიქტის ლინგვისტური განზომილების კარტირება. ამ დროს კეთდება „მენტალური მოდელები“ და დგინდება ის როლი, რომელსაც ისინი კომპლექსური და ურჩი კონფლიქტების განახგრძლივებაში ასრულებენ. ეს მოდელები კოგნიტიური სტრუქტურების კონცეპტუალური ჩარჩოებია, რომლებიც დიდწილად გაუცნობიერებელია და ჩვენს ფარულ ცოდნასა და წარმოდგენებს ქმნის და იმ გავრცელებული სოციალური ნორმების მორჩილებას გვასწავლის, რომელსაც ლაკოფი და ჯონსონი იმ „მეტაფორებს“ უწოდებენ, „რომელთა მიხედვითაც ვცხოვრობთ“ (1980). მაგ., როგორც ერთხელ დევიდ სტროჰმა პირად საუბარში აღნიშნა „სისტემური აზროვნება ხილული მენტალური მოდელია“. ნორბერტ როპერსი ოლივერ უილის და სხვათა შრომაზე (2006) დაყრდნობით მენტალური მოდელებით აზროვნებას „სისტემური აზროვნების“ ერთ-ერთ „მახასიათებლად“ მიიჩნევს.

> *თუ დავუშვებთ, რომ ყველა ანალიტიკური მოდელი კომპლექსური რეალობის რედუცირებული ვარიანტია (და აუცილებლად რომელიღაც თვალსაზრისს ეყრდნობა) მაშ ის ვერ ჩაითვლება ვერანაირ ინსტრუმენტად და ვერც „რეალობად“(2008a:13).*

იგივე თვალსაზრისი არსებობს „მოსაზრებების, გრძნობებისა და ქმედებების“ დინამიკურ-სისტემურ მოდელად განხილვის მცდელობის შესახებაც. „მენტალური მოდელები“ სისტემების პერსპექტივის რუკების მნიშვნელოვანი ელემენტია (Woodrow, 2006). სისტემური კონფლიქტების ანალიზის რუკებზე მენტალური მოდელები „ფართოდ გავრცელებული შეხედულებებისა და ნორმების“ კატეგორიაში ხვდება, რომელიც, თავის მხრივ, მშვიდობის შენების (SAT) მოდელის „დამოკიდებულების“ (ატიტუდის) განზომილების ნაწილია (Riciagliano, 2011).

სისტემების პერსპექტივის კარტირების ნიმუშად იხილეთ ნახაზები 4.2. და 4.3. ეს პიტერ უოდროუს (ნორბერტ როპერსთან ერთად) მიერ შედგენილი წინასწარი მოდელია ბურუნდისა და შრი-ლანკას შემთხვევებისთვის. დროთა განმავლობაში საჭირო გახდება მათი ადაპტირება და გარკვეული მოდიფიკაციების შეტანა მხარეთა მიერ განცდილი ცვლილებების, მესამე მხარეების ჩართვის და გარემოებათა ცვლილებების გამო.



წყარო: Woodrow, 2006:8

ნახაზი 4.2. ბურუნდის კონფლიქტის გააზრება: სისტემური თვალსაზრისი


= შეყოვნება
C = კონტრმოქმედება
R = გაძმტკიცება
* = უმცირესობები
შრი-ლანკაში
სინჯალელები =
უმცირესობა
რეგიონში
ომის ეკონომიკის
სარგებელი
და დეფიციტი
ევროპიული
მიდგომები
C
R
ბილიტარიზაცია
R
ეთნიკური ხიბლი + რელიგია
ამბრრეკვლებისთვის, მხარდაჭერა
(ნაციონალიზმი/ექსტრემიზმი)
R
R
R
R
C
R
R
R
R
C
C
R
C
C
R
R
R
R

დასკვნა

მოცემულ თავში თანამედროვე კონფლიქტების ანალიზის ჩარჩო განვიხილეთ, რომელიც ედუარდ ეიზერის „გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის“ თეორიას ეყრდნობა, მასში ასევე შეტანილია „ანალიზთა დონეების“ მეთოდი საერთაშორისო, სახელმწიფო და ქვესახელმიწფოებრივ დონეებზე. ეს ჩარჩო არ წარმოადგენს კონფლიქტების ერთ-ერთ თეორიას, ის თანამედროვე კონფლიქტების მთავარი წყაროების განლაგების ერთ-ერთი მოდელია. სახელმწიფოთაშორისი ომების განახლება გამორიცხული არ არის, თუმცა, უახლოეს მომავალში დომინანტი მოდელი მაინც უმართავი, მრავალდონიანი კონფლიქტები იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ თავში განხილული თეორიები მხოლოდ ნაწილობრივ ემთხვევა ერთამენთს, მათგან მარტივი დასკვნის გამოტანა შეიძლება. თანამედროვე კონფლიქტების კომპლექსური ბუნების გამო მათი მოგვარების გზები და მეთოდები მრავლისმომცველი უნდა იყოს. მშვიდობისმყოფელებს, რომლებიც მიმდინარე ომებში ჰუმანიტარული სივრცის და სამშვიდობო ინიციატივების მაქსიმალიზაციას ცდილობენ (თავი 6) და რომელთა მიზანიც კონფლიქტის ძალადობრივი ფაზის დასრულებაა (თავი 7) საკმაოდ შეზღუდული უფლებები აქვთ; მშვიდობის მშენებლების, რომელთა მიზნებიც გრძელვადიან პერსპექტივაშია გაწერილი, ამოცანა ძალადობრივი კონფლიქტის პრევენცია (თავი 5) და მიღწეული შეთანხმებების ხანგრძლივ მშვიდობად გარდაქმნაა (თავები, 8, 9, 10); მათი ამოცანა ასევე კონფლიქტის უფრო სიღრმისეული წყაროების მოგვარებაა. აქ ასევე მოცემულია კრიმინალური სიხარბის (თავი 6) და პოლიტიკური ტერორის მიერ წარმოქმნილ საფრთხეებზე რეაგირების ჩარჩო (იხ. თავი 11). ამისთვის ალბათ საჭირო გახდება კონტექსტუალური ცვლილებების გატარება საერთაშორისო დონეზე(მაგ. უფრო სამართლიანი გლობალური და რეგიონალური ღონისძიებების გატარება), სტრუქტურული ცვლილების გატარება სახელმწიფო დონეზე (მაგ., სათანადო კონსტიტუციური ცვლილებების გატარება, სახელმწიფოს ეფექტური მართვა - რაც რიგ შემთხვევებში სახელმწიფოს შენებასაც მოიცავს)), ურთიერთობების მოგვარება კონფლიქტების მხარეთა დონეზე (თემებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება და შერიგება) და კულტურული ცვლილების განხორციელება ყველა დონეზე (მაგ.,ძალადობის შემცველი დისკურსისა და ინსტიტუტების ტრანსფორმაცია). პირველ თავში ამ მიზეზით ვისაუბრეთ კონფლიქტის დინამიკური ესკალაცია/დეესკალაციის მოდელის შემთხვევაში სათანადო სექტორული განზომილებების (პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური, ფსიქოლოგიური კულტურული) გამოყენების საჭიროებასა და ისეთი ჩარჩოს შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც ითვალისწინებს და ერთმანეთს უკავშირებს ეკოლოგიურ, გლობალურ, საზოგადოებრივ და პერსონალურ რგოლებს, გვაჩვენებს კონფლიქტების კოსმოპოლიტური მოგვარების წინაშე არსებულ გამოწვევებსა და ამოცანებს. ამ საკითხებზე საუბარს შემდეგ თავებში განვაგრძობთ.

რეკომენდირებული ლიტერატურა

Berdal and Malone (2000); Brown (1996); Collier et al., (2003); Duffield (2001); Kaldor (2006); Korppen et al., (2008); Martin (2003); Munkler, (2005); Reno (1999).

მეხუთე თავი

ძალადობრივი კონფლიქტის პრევენცია

დასაბამიდანვე კონფლიქტების მოგვარების მთავარ მიზანს ძალადობრივი კონფლიქტების პრევენცია წარმოადგენდა. როგორც 1994 წელს "ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის" ეროვნულ უმცირესობათა საკითხების უმაღლესი კომისარი მაქს ვან დერ სტოლი აღნიშნავდა, ძალადობრივი კონფლიქტები, მათ შორის ეთნიკური კონფლიქტებიც არ არის „გარდაუვალი, მათი პრევენცია ნამდვილად შესაძლებელია." ამისთვის „კონფლიქტის პოტენციური წყაროების დადგენა და გაანალიზება და მათი ადრეულ ეტაპზევე მოგვარებაა საჭირო; ასევე აუცილებლია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა შეიარაღებული დაპირისპირების აღსაკვეთად" (van der Stoel, 1994). მისი ეს სიტყვები „კონფლიქტების მოგვარების ჟურნალის" პირველ ნომერში კენეტ ბოულდინგისა და ქვინსი რაიტის მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს ეხმიანება. პირველად „ადრეული წინასწარ შეტყობინების ცენტრების" დაარსების საჭიროებაზე დიდი ხნის წინ ალაპარაკდნენ; ამ მოვლენებიდან ორმოცდათი წლის თავზე კი „ეუთომ", გაერომ" და სხვა მრავალმა საერთაშორისო ორგანიზაციამ პრევენციის აუცილებლობის შესახებ კონსენსუსს მიაღწია.

ეს იყო ერთგვარი რეაგირება რუანდაში, იუგოსლავიასა და უამრავ სხვა ადგილას დატრიალებულ კატასტროფაზე; ნაწილობრივ კი იმის შედეგიც იყო, რომ მიხვდნენ, რომ გაცილებით იოლია კონფლიქტის ადრეულ სტადიაზე მოგვარება, ვიდრე მაშინ როცა ის მასობრივ ძალადობაში გადაიზრდება. გენერალ-მაიორი რომეო დალარის განცხადება იმის შესახებ, რომ 1994 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში რუანდაში ერთ, ხუთი ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარ, მექანიზირებულ ბრიგადას ასი ათასობით ადამიანის გადარჩენა შეეძლო, მთელი საერთაშორისო საზოგადოებისთვის ყურადსაღები აღმოჩნდა. მიხვდნენ იმასაც, რომ კონფლიქტის შემდგომი რეკონსტრუქციის ვეებერთელა ხარჯებთან შედარებით პრევენცია ეკონომიურადაც გაცილებით ეფექტურია (Chalmers, 2004). რა უნდა მოვიმოქმედოთ მომავალში მსგავსი კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად?

გაეროს გენერალურმა მდივანმა, ბუტრუს გალიმ თავის „მშვიდობის დღის წესრიგში" (An Agenda for Peace) კონფლიქტის პრევენცია განმარტა, როგორც ახალი შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება, მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტების გავრცელების შეჩერება და უკვე დასრულებული შეიარაღებული კონფლიქტების განახლების ალბათობის შემცირება. ამ თავში პირველ მათგანზე ვისაუბრებთ, კონფლიქტების გავრცელების შეჩერებაზე მე-6 თავში ვიმსჯელებთ, მე-7 თავში შევეხებით შეიარაღებული კონფლიქტების დასრულებას, ხოლო ომის შემდგომ მშვიდობის შენებაზე კი მე-8 და მე-10 თავებში ვისაუბრებთ . დაკვირვებამ ცხადყო, რომ დასრულებულ შეიარაღებულ კონფლიქტთა ნახევარი მოგვიანებით თავიდან იფეთქებს ხოლმე, რაც ნიშნავს, რომ პრევენცია, კონფლიქტის დასრულება და მშვიდობის შენება ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს, თუმცა, ამ თავში ვისაუბრებთ იმაზე თუ როგორ შევაჩეროთ შეიარაღებული კონფლიქტი მის დაწყებამდე (იხ. ნახაზი 5.1).

მოცემული თავის პირველი ნაწილი ომის მიზეზებისა და იმ დონეების განხილვას ეძღვნება, რომელზეც მათი შეჩერებაა შესაძლებელი. ვისაუბრებთ იმაზე თუ როგორ ყალიბდება კონფლიქტები და როგორ ქმნის მათი კონსტრუქციულად მართვა შემდგომი კონფლიქტების მართვის მეორე-რიგის უნარს. შემდეგ შევეხებით იმ ფაქტორებს, რომელიც მშვიდობიანი ცვლილებების გატარების საშუალებას იძლევა და კონფლიქტების დაწყების რისკს ამცირებს;

ასევე განვიხილავთ იმ ზომებს, რომლებიც არსებული კონფლიქტის ძალადობრივად გადაქცევის რისკს ამცირებს. შემდეგ ვისაუბრებთ რა ზომებს მიმართავს საერთაშორსო საზოგადოება კონფლიქტების პრევენციისთვის და კრიტიკულად განვიხილავთ მის მიერ მიღწეულ ერთობ შეზღუდულ პრაქტიკულ შედეგებს.



1-3 ძალადობრივი კონფლიქტის პრევენცია (სიღრმისეული პრევენცია, მსუბუქი პრევენცია, კრიზისის მენეჯმენტი)
4-6 გაძლიერების პრევენცია, ძალადობრივი კონფლიქტის გახანგრძლივება და გავრცელება
7-9 ძალადობრივ კონფლიქტში განმეორებით ჩართვის პრევენცია

ნახაზი 5. 1. კონფლიქტის პრევენცია და კონფლიქტის ციკლი

კონფლიქტების პრევენციის მიზანი ზოგადად კონფლიქტებისგან თავის არიდება არ არის; მისი მიზანი ძალადობრივი კონფლიქტების თავიდან აცილებაა. კონსტრუქციულად მიმდინარე კონფლიქტები კრეატიულია და ცვლილებების განხორციელების აუცილებელ საშუალებას ქმნის. ახლა ვნახოთ როგორ განმარტავს კრისბერგი (1998ა:22) კონსტრუქციულ კონფლიქტს: „კონფლიქტების შედეგები კონსტრუქციულია მაშინ თუ, ორივე მხარისთვის მისაღებია. ისინი კონსტრუქციულია მაშინ თუ იმ ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც მომავალი კონფლიქტები კონსტრუქციულად წარიმართება“. აქ შეიძლება მხოლოდ ის დავამატოთ, რომ კონსტრუქციული შედეგები სასიკეთოდ უნდა აისახოს ყველა იმ ადამიანის კეთილდღეობასა და წარმატებაზე, რომელსაც იგი (ეს კონფლიქტი) შეეხო (Pogge, 2002; Carney, 2005; Harris, 2010).

ამ ყველაფერს საფუძვლად რთული კითხვა უდევს: რამდენად საჭიროა ძალადობრივი კონფლიქტის პრევენცია? იქნებ ძალადობა უსამართლობასთან გამკლავების ერთადერთი საშუალებაა? ამ საკითხზე ზოგადად ვისაუბრეთ წინა თავებში, სადაც აღვნიშნეთ, რომ: პირველი - ძალადობრივი კონფლიქტების შედეგად ყველა მხარე და თავად საზოგადოება წაგებული რჩება და მეორე - ძალადობის პრევენციისასგათვალისწინებული უნდა იყოს მოთხოვნილებებისა და ლეგიტიმური მისწრაფებების დაკმაყოფილება და ასევე აშკარა უსამართლობის აღმოფხვრა . .

ომის მიზეზები და პრევენცია

ომები ხშირად ავტო-საგზაო შემთხვევებს ჰგავს. მათ ერთდროულად აქვთ საერთო და კონრეტული მიზეზიც. ყველა საგზაო შემთხვევა საბოლოო ჯამში შიდა წვის ძრავის გამოგონებას უკავშირდება ... მაგრამ პოლიციასა და სასამართლოს სიღრმისეული მიზეზები არ აინტერესებს. ისინი თითოეულ შემთხვევაში კონკრეტულ მიზეზს ეძებენ - მძღოლის შეცდომა, სიჩქარის გადაჭარბება, სიმთვრალე, მუხრუჭების გაუმართაობა, ცუდი გზები. ასევე ხდება ომების დროსაც. (A. J. Taylor ციტირებულია Davies, 1996: 896).

იქნებ ტეილორი არ ცდება და ჩვენც ვისწავლოთ ომების პრევენცია საგზაო შემთხვევების აღკვეთის მაგალითზე. როგორც წესი, ყოველთვის შესაძლებელია მივუთითოთ იმ კონკრეტულ ზომებზე, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა საგზაო უბედური შემთხვევის თავიდან აცილება. მძღოლი ნასვამი რომ არ ყოფილიყო, ნისლიანი ამინდი რომ არ ყოფილიყო, გზები რომ განათებული ყოფილიყო, ეს ავარია ხომ არ მოხდებოდა? მაგრამ ალბათ დარწუნებით ვერ ვიტყვით რა როლს ასრულებს კონკრეტული მიზეზი ამა თუ იმ უბედური შემთხვევის დროს. მხოლოდ დიდი რაოდენობით საგზაო შემთხვევების მაგალითების განხილვის საფუძველზე შეგვიძლია დავადგინოთ რა ურთიერთკავშირი არსებობს ავარიებსა და მათთან დაკავშირებულ ფაქტორებს შორის. შესაძლოა, საჭირო გახდეს გარკვეული ზოგადი ზომების გატარება, რაც გზებზე მოძრაობას უფრო უსაფრთხოს გახდის. მაგალითად, უბედური შემთხვევების სიხშირეზე სერიოზულად ზემოქმედებს ის, რომ მძღოლებს მართვის მოწმობის ასაღებად გამოცდის ჩაბარება უხდებათ, ისიც რომ გზებზე შუქნიშნები დგას. ისინი ავტო-საგზაო შემთხვევების „აღმკვეთები“ არიან.

ომის პრევენციაც დაახლოებით იგივეს გულისხმობს. უნდა შევისწავლოთ ის ზოგადი გარემოებები, რომლებიც კონფლიქტის დაწყების ალბათობას ამცირებს. ასევე უნდა გავაანალიზოთ კონფლიქტში ჩარევის კონკრეტული ზომები, რომელთა საშუალებითაც კონფლიქტის ომად გადაქცევის აღკვეთა გახდება შესაძლებელი. სიღრმისეული პრევენციისთვის სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კონფლიქტის გამომწვევ ძირეულ მიზეზებს, მაგ., ეკონომიკური მდგომარეობით გამოწვეულ უკმაყოფილებას, პოლიტიკაზე გავლენის არქონას ან გარკვეული ჯგუფის დისკრიმინაციას. პოზიტიური პოლიტიკა, მაგ., თანაბარი ეკონომიკური განვითარება, ლეგიტიმური ინსტიტუტების არსებობა და ტოლერანტობის კულტურა შესაძლებელია ომის „აღმკვეთებად“ იქცეს. მსუბუქი პრევენცია გულისხმობს არსებული კონფლიქტის ძალადობრივ კონფლიქტში გადაზრდის აღკვეთას. ; ასეთ დროს შესაძლებელია გამოვიყენოთ მედიაცია, რწმენის გაჩენის ღონისძიებები და კრიზისების მართვის საშუალებები. კონფლიქტების ამგვარად მართვის უნარიც ერთგვარი „აღმკვეთია“ (preventer) (მკითხველი სხვადასხვა წყაროში განსხვავებულ ტერმინს შეხვდება. მაგ., კარნეგის კომისიის 1997 წლის მოხსენებაში „სასიკვდილო კონფლიქტების პრევენციის შესახებ“ სიღრმისეულ პრევენციას „სტრუქტურული“,ხოლო მსუბუქს კი „ოპერაციული პრევენცია“ ეწოდება).

სუგანამი თავის გამჭრიახ ანალიზში „ომის გამომწვევი მიზეზების შესახებ“ (On the Causes of War) (1996) სამ შეკითხვას სვამს, რომლითაც ომის გამომწვევ მიზეზებს სხვადასხვა ტიპებად ყოფს . პირველი - „რა პირობების არსებობაა საჭირო ომის დასაწყებად?“ აქ იგულისხმება ომის გამომწვევი აუცილებელი მიზეზები. მეორე - „რა ვითარებაში ხდება ომები ყველაზე ხშირად?“ ეს შეკითხვა ომის კორელატებს ეხება. მესამე - „როგორ დაიწყო ეს კონკრეტული ომი?“ ეს შეკითხვა კონკრეტული ომის ისტორიის შესწავლას გულისხმობს. ჩვენ ამ შეკითხვებს სხვა ფორმულირებას მივცემთ და მათ კონფლიქტების პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებს მივუსადაგებთ. პირველი - შესაძლებელია თუ არა ომის პრევენცია

მისი აუცილებელი პირობების მოშლით? მეორე - შესაძლებელია თუ არა ომების სიხშირის შემცირება იმ გარემოებების კონტროლის გზით, რომლებშიც ისინი წარმოიშობა ხოლმე? და მესამე - შესაძლებელია თუ არა კონფლიქტის კონკრეტული პროცესის შეცვლა და მისი ძალადობრივ კონფლიქტში გადაზრდის აღკვეთა? პირველი ორი შეკითხვა სიღრმისეულ პრევენციას ეხება, ბოლო კი მსუბუქი პრევენციის სფეროდანაა.

რეალურად, პირველი შეკითხვა ყველა ომის აღმოფხვრას შეეხება, მაგრამ შესაძლოა იგი შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ და ნაკლებ კატეგორიული გავხადოთ: რა პირობებში არ არსებობს ომის დაწყების სერიოზული შესაძლებლობა? ასეთი რამ ხდება იმ სახელმწიფოებში, სადაც მშვიდობიანი ცვლილებების მოლოდინი არსებობს და ასევე პლურალისტურ საზოგადოებებში, სადაც სახელმწიფოს დაკარგული აქვს თავდასხმის შიში. ეს პირობები საკმარისია მაშინ, როდესაც მშვიდობიანი ცვლილება რეალისტური და მიღწევადი მიზანია.

მეორე შეკითხვა ომის კორელატებს ეხება. გელერი და ზინგერი (1998) ამ მხრივ სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულ ანალიზს აჯამებენ. ის სტრუქტურული ფაქტორები, რომლებიც სახელმიწფოთაშორისი და არასახელმწიფოთაშორისიომების სიხშირეს ამცირებს, სტატისტიკური ანალიზით დგინდება.

მესამე შეკითხვაზე პასუხის გასაცემად კონკრეტული კონფლიქტის პოლიტიკური ანალიზი, განსჯა და ფაქტებია საჭირო. აქ შეგვიძლია იგივე შეკითხვები დავსვათ, რასაც ისტორიკოსები სვამენ, როცა ადგენენ რა შემთხვევაში გახდება შესაძლებელი მშვიდობაზე მოლაპარაკება. პრინციპში, ამ შეკითხვებით ვადგენთ კონკრეტული ომის გამომწვევ ფაქტორებსაც (Goertz and Levy, 2007).

ახლად წამოწყებული კონფლიქტები და მშვიდობიანი ცვლილება

კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, ხელი შეუწყოს ისეთი სიტუაციების ჩამოყლიბებას, როდესაც ძალის გამოყენება ერთ-ერთ ალტერნატივად არ განიხილება; ანუ საჭიროა ისეთი სიტუაციების შექმნა, რომლებშიც მშვიდობიანი ცვლილების სტაბილური მოლოდინი არსებობს. „კონფლიქტების პრევენციული მოგვარება“ გულისხმობს კონფლიქტების მანამ მოგვარებას, სანამ ისინი ძალადობაში გადაიზრდება და ისეთი კონტექსტების, სტრუქტურებისა და მხარეთა შორის ისეთი ურთიერთობების შექმნას, რომლებიც ძალადობის ალბათობას ჯერ ამცირებს, შემდეგ კი წარმოუდგენელს ხდის.

თავდაპირველად განვიხილოთ როგორ ყალიბდება კონფლიქტი. კონფლიქტის საფუძველს გარკვეული სოციალური ცვლილებები ქმნის: მაგ., ეს შეიძლება იყოს, ეკონომიკური ცვლილება, რომელიც ორი ეთნიკური ჯგუფის შეფარდებით შესაძლებლობებს მთლიანად ცვლის; ასევე შეიძლება გაჩნდეს ახალი წყარო, რომელიც მანამდე არსებულ ბუნდოვან საზღვარს სტრატეგიულ მნიშველობას ანიჭებს; შეიძლება შეიქმნას შეხედულებათა ახალი სისტემა, რომელის საფუძველზეც ზოგი ადამიანის თვალსაზრისი სხვების მოსაზრებებთან შეუთავსებელი ხდება. ასეთი ცვლილებების პასუხად, ადამიანები კოლექტიურად ადგენენ მიზნებს და ერთობლივ ქმედებას იწყებენ, ამ მიზნების მისაღწევად ხშირად დახმარებასა და მხარდაჭერას სხვა ახალი ჯგუფებისა და მხარეებისგან იღებენ. ერთი ჯგუფის მიზნების მეორე ჯგუფის მიზნებთნ შეუთავსებლობა კონფლიქტის მიზეზი ხდება. ასე ყალიბდება კონფლიქტი. ხოლო თუ ეს შეუთავსებლობა იმდენად მძაფრია, რომ მხარეთა ურთიერთობა რღვევას იწყებს და ინსტიტუციონალური სტრუქტურები და კონტექსტი, რომელშიც ეს მხარეები თანაარსებობენ , კონფლიქტს ვეღარ იტევს, შესაძლებელია დაიწყოს ძალადობა.

ამ პროცესის უმთავრესი ნაწილი მიზნების ჩამოყალიბებაა. ამ ეტაპზე მხარეებს კონფლიქტის კონსტრუქციულად ან დესტრუქციულად წარმართვის პირველი შესაძლებლობა უჩნდებათ. მათ თავად უნდა გადაწყვიტონ, გაითვალისწიენებენ თუ არა სხვების მიზნებს და ჩამოაყალიბებენ თუ არა საკუთარს ისე, რომ სხვების მიზნებთან შეთავსებადი იყოს. როგორც წესი, სხვების ინტერესებს ისეთ საზოგადოებაში ითვალისწინებენ, რომელშიც მხარეებს შორის კომუნიკაცია არსებობს, პოლიტიკური სისტემა თანამშრომლობის სტიმულს იძლევა და საერთო პოლიტიკურ-კულტურული ან კოლექტიური ღირებულებების განცდა არსებობს. ასეთ შემთხვევაში, საკუთარი მიზნების ჩამოყალიბებისას მხარეებმა შეიძლება, ინდივიდუალურ ინტერესებთან ერთად კოლექტიურიც გაითვალისწინონ. მოკლედ - კონფლიქტების პრევენციის უპირველესი ელემენტია ის თუ რამდენად კოორდინირებულია მიზნები ან რამდენად შესაბამისობაშია ისინი სხვების მიზნებთან.

მეორე ელემენტი, რომელიც კონფლიქტის წარმოქმნას განსაზღვრავს არის ის თუ რა სტრატეგიასა და ქცევას ირჩევენ მხარეები საკუთარი მიზნების მისაღწევად (Mitchell, 1981a). ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტია არსებული ურთიერთობები და კონტექსტი; ისინი მსუბუქდება მაშინ, როცა მხარეები ერთმანეთთან თანამშრომლობისთვის მზად არიან.

მესამე ელემენტი არის კონკრეტული კონფლიქტის მიმართება სხვა კონფლიქტურ ფორმაციებთან; განსაკუთრებით, მისი მნიშვნელობა სხვა მხარეებისთვის, კონკრეტული კონფლიქტის გავრცელების მასშტაბები, მისი ზეგავლენა სხვა საკითხებზე და პოლარიზაციის პოტენციალი.

ყველაზე მეტად კი კონფლიქტის განვითარებაზე ზემოქმედებენ თავად მხარეები და მათი კულტურულ-სოციალური გარემო. კონფლიქტის ძალადობრივ კონფლიქტად გადაქცევის პრევენცია ყველაზე უკეთ თავად მხარეებს შეუძლიათ.

მხარეთა შორის მოლაპარაკება კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის უმთავრესი მეთოდია (Starkey, et al., 1999). მთავარია, რა მიდგომას აირჩევენ მხარეები მოლაპარაკებების საწარმოებლად და რა არჩევანი აქვთ მათ. როგორც წესი, მხარეთა უმრავლესობას სრულიად განსხავავებული მიზნები ამოძრავებთ. საკითხებზე მოლაპარაკება ყველაზე უკეთ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც მხარეები აცნობიერებენრომ მათი მიზნების მიღწევა სხვა საშუალებებითაც შეიძლება, ან მათი მიზნები სხვა მიზნებს შეიძლება დაუკავშირდეს , ან მათი განსხვავებულად ჩამოყალიბებაა შესაძლებელი (ისე როგორც პირველ თავში იყო აღწერილი). ასეთ შემთხვევაში საყურადღებო ინფორმაციას იძლევა მოლაპარაკეკებისა და პრევენციული მოლაპარაკებების შესახებ არსებული მდიდარი ლიტერატურა (Fisher and Ury, 1981; Pruitt and Carnevale 1993; Raiffa et al., 2002, Zartman, 1982, 2001: Zartman and Faure, 2005). მოლაპარაკებების პროცესზე კულტურულ გარემოსა და კონტექსტთან ერთად მხარეთა დამოკიდებულებაც ახდენს გავლენას. (Gulliver, 1979; Faure and Rubin, 1993).

მაგალითისთვის ავიღოთ ეთნიკური კონფლიქტები, რომლებშიც კონფლიქტის პრევენციისა და მართვის მთელი რიგი შესაძლებლობები არსებობს (McGarry and O'Leary, 1993; Gurr, 1998; Cordell and Wolff, 2009). ამ შესაძლებლობათა შორისაა: უმცირესობების უფლებების დაცვა, ავტონომია, საარჩევნო სისტემები და საკანონმდებლო ორგანოები, რაც ეთნიკურ ჯგუფებს თანამშრომლობისთვის საჭირო სტიმულს აძლევს; ამ შესაძლებლობათა შორისაა ასევე ძალაუფლების დანაწილების სხვადასხვა ტიპები და კონსოციალური

სისტემები, ასევე ფედერალური და კონფედერალური სისტემები (O'Leary and McEvoy, 2010; Hannum, 1990; Rothchild and Hartzell, 1999; Horowitz, 1985; Burgess, 2006). სამხრეთ ტიროლის კონფლიქტი (გრძელდებოდა პროვინციის გამოყოფიდან სენ ჟერმანის ზავის დადებამდე და საბოლოოდ 1969 წელს ავტონომიის მინიჭებამდე) მშვიდობიანად მოგვარებული ეთნიკური კონფლიქტის თვალსაჩინო მაგალითია (Alcock, 1970). მოლაპარაკებების პროცესი ხანგრძლივი და რთული იყო, რამდენიმეჯერ მიღწეული შეთანხმებებიც კი დაირღვა და მოლაპარაკება თავიდან გახდა საჭირო; ისეთ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი, როდესაც მოვლენათა შემდგომი გამწვავების მიზნით ექსტრემისტთა ერთმა დაჯგუფებამ ელექტროგადამცემ ბოძებზე მიიტანა იერიში. თუმცა, ორივე მხარემ ძალადობისგან თავი შეიკავა და მოლაპარაკებები საბოლოო წარმატებამდე გაგრძელდა. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მეზობელი სახელმწიფო გერმანიის მიერ გაწეული დიპლომატიური დაცვა და იტალიის (რომლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა კონფლიქტი) მიერ ამ დახმარების აღიარება. ავტონომიაზე შეთანხმებამ უმცირესობას კულტურული და ეკონომიკური უფლებების გარანტია მისცა; ამ შეთნხმების საფუძველზე მას ასევე უფლება მიენიჭა საკუთრი უკმაყოფილება მუდმივმოქმედი კომისიის საშუალებით რომში, მინისტრთა საბჭოს წინაშე დაეყენებინა. „დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის ევროპის კონვენციამ" სცნო ავსტრიის უფლება ეწარმოებინა შიდა გარანტიების განხორციელების მონიტორინგი. სამხრეთ ტიროლის კონფლიქტს ხშირად იშველიებენ, როდესაც საქმე ევროპის ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნიკურ კონფლიქტებს ეხება. სამხრეთ ტიროლელი ექსპერტები კი „ევროპის საბჭოს" და სხვა ორგანიზაციებს კონსულტაციას უწევენ ავტონომიასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას. ამ შემთხვევაში გადაიჭრა არა მხოლოდ ეს კონკრეტული საკითხი, არამედ იგი შემდგომი დავების გადაწყვეტის სისტემების საფუძველიც გახდა - რაც პრევენციის შესაძლებლობის ძირითად ასპექტს წარმოადგენს (Ury, 1993).

შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტის მეორე მაგალითად განვიხილოთ 1930-იანი წლებში, შვედეთში პროფკავშირებსა და კომპანიის მეპატრონეებს შორის მიმდინარე მწვავე და გაჭიანურებული კონფლიქტი (Rothstein, 2005). კონფლიქტს კომუნისტების გამოსვლები ამწვავებდა, რომლებიც აცხადებდნენ, რომ შვედეთი „კაპიტალისტთა კლასთან უწმინდურ ალიანსში მყოფი ბურჟუაზიული სახელმწიფო იყო", ხელმძღვანელმა პირებმა პროფკავშირები არ სცნეს და მშრომელთა დასაშლელად საგანგებო ძალაც კი დაიქირავეს (იქვე:167-200). დაპირისპირებამ პიკს 1931 წლის მაისში, ადალენში მიაღწია, როდესაც ჯარისკაცებმა შეკრებილ დემონსტრანტებს ესროლეს და ხუთი ადამიანი მოკლეს. როზშტეინს (იქვე: 183) ციტატად მოჰყავს ერთი კომუნისტის სიტყვები, რომელმაც განაცხადა: „იმ ტყვიებმა, რომლებმაც ჩვენი მეგობრები მოკლა, ჩვენში ჩვენს კლასობრივ მტერთან კონსენსუსის მიღწევისა და შერიგების შესაძლებლობის ილუზია მოკლა". ამ მოვლენების შემდეგ კონფლიქტის ორივე მხარე შიდა ბრძოლებმამოიცვა. მართალია, პროფკავშირების წარმომადგენლებს მუშათა პირობების დაუყოვნებელი გაუმჯობესება სურდათ, მაგრამ კაპიტალისტების გაძარცვაც უნდოდათ. ქარხნების მეპატრონეებს ეს გაფიცვები ძვირად უჯდებოდათ; მემარჯვენე პოლიტიკური პარტია კი ულტიმატუმების ენაზე ლაპარაკის მომხრედ გამოდიოდა და სოციალურ კონსენსუსს არ აღიარებდა. საბოლოოდ კონფლიქტი სოციალ-დემოკრატიული მმართველობის შექმნით მოგვარდა, რომელმაც პროფკავშირებს თავის წევრთა სახელით,კანონისა და წესების ფარგლებში, აზრის გამოხატვის უფლება მიანიჭა; ურთიერთანამშრომლობა იქნა მიღწეული კომპანიების ხელმძღვანელებს შორისაც. მართალია, გარკვეული შეზღუდვები დაწესდა, მაგრამ სოციალური ნდობა და დავების გადაწყვეტის უფრო ფართო სისტემაც ჩამოყალიბდა, რაც შვედეთის სოციალური კეთილდღეობის სისტემის საფუძვლად იქცა.

მესამე მაგალითს რესურსების თაობაზე მიმდინარე საერთაშორისო მოლაპარაკებებიდან მოვიყვანთ, რომლის საფუძველზეც მიიღეს გაეროს კონვენცია „ზღვის კანონის შესახებ“ (Sebenius, 1984). მიუხედავად იმისა, რომ ეს კონვენცია კრიტიკას იმსახურებს იმის გამო, რომ იგი გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებს მინერალების მომპოვებელ მულტინაციონალურ კომპანიებსა და სანაპირო ზოლზე მდებარე სახელმწიფოებს და ამასთან აღსრულების ნაკლები შესაძლებლობა აქვს, მაგრამ თავად მოლაპარაკება ჩინებულად წარიმართა. ამ მოლაპარაკებებით მიაღწიეს საერთაშორისო შეთანხმებას სანაპირო წყლების საზღვრების დადგენის, წყალქვეშა ტერიტორიებისა და თევზჭერის საკითხების შესახებ. ამ შეთანხმებით შეიქმნა გარკვეული რეჟიმი საზღვაო დავების გადასაწყვეტად; თავად ეს მოლაპარაკებები კი კარგი გაკვეთილი გახდა საერთაშორისო რესურსებისა და ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული შეთანხმებების მისაღწევად.

ყველა ამ კონფლიქტს ერთი საერთო მახასიათებელი ჰქონდა - თავდაპირველად მხარეები ერთმანეთთან შეუთავსებელ პოზიციებზე იდგნენ, რასაც რთული და ხანგრძლივი მოლაპარაკებები მოსდევდა, რომლებიც რიგ შემთხვევებში იშლებოდა ან მარცხით სრულდებოდა, მაგრამ მოლაპარაკებების პროცესი ან კონტექსტი იცვლებოდა და წინ სავალი გზაც ყოველთვის ჩანდა. კონფლიქტის პრევენციულ გადაწყვეტას გარკვეული ფარგლები აქვს, მაგრამ სწრაფად და ადვილად იშვიათად ხდება.

სიღრმისეული ანუ სტრუქტურული პრევენცია

პირველ თავში კონფლიქტების მოგვარების ქვიშის საათის მოდელის შესახებ ვისაუბრეთ (იხ. ნახაზი 1.3. და 1.4). ამ მოდელის თანახმად მოქმედების ყველაზე მეტი თავისუფლება არსებობს ძალადობის დაწყებამდე და მისი დასრულების შემდგომ, მშვიდობის შენების ბოლო ეტაპზე. ამ მოდელის თანახმად კონფლიქტის მართვის შესაძლებლობა ნელ-ნელა ვიწროვდება და არჩევანი იკლებს, დგება კრიზისი, შემდეგ კი იგი კვლავ ფართოვდება და ნელ-ნელა ფართო პოლიტიკურ კონტექსტში გადადის. ასეთ შემთხვევაში კონფლიქტის პრევენციისა და მის სამართავად დასმული კითხვები ძალიან ჰგავს მათ, რომელსაც ნებისმიერ სახელმწიფო საკითხთან კავშირში დავსვამდით. როგორ უნდა გადანაწილდეს როლები და რესურსები ისე, რომ ეს განაწილება ლეგიტიმური და მისაღები იყოს? რა წარმოადგენს პოლიტიკური საზოგადოების საფუძველს? როგორ უნდა წარიმართოს ურთიერთობა ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის ერთი პოლიტიკური საზოგადოების ფარგლებში და მათ შორის? რა წარმოადგენს ამ საზოგადოებისთვის მიღებულ ფასეულობებს, ნორმებსა და წესებს? როგორ მივაღწიოთ საზოგადოებრივ კეთილდღეობას? როგორ დავიცვათ ამ საზოგადოების ღირებულებები, ნორმები და წესები?

როდესაც პოლიტიკური საზოგადოება შეთანხმებულად და ლეგიტიმურად მოქმედებს, თავისი წევრების კეთილდღეობაზე ზრუნავს და მათ აღიარებულ ფასეულობებს იცავს, ძალადობრივი კონფლიქტის თავიდან აცილება შესაძლებელია. როცა რესურსებისა და როლების განაწილება იძულებითი და ამ ადამიანებისთვის არათანაბარი, არალეგიტიმური და მიუღებელი მეთოდებით ხდება, ძალადობრივი კონფლიქტის დაწყების ალბათობა დიდია.

ეს ვრცელდება პოლიტიკური საზოგადოების ნებისმიერ დონეზე: როგორც გლობალურ ან ნაციონალურ, ასევე კონკრეტული თემის დონეზე. კონფლიქტური ფორმაციები პოლიტიკური საზოგადოების ყველა დონეზე ყალიბდება, დაწყებული გლობალურიდან დასრულებული სახელმწიფო და ადგილობრივი დონით. ეს კონფლიქტური ურთიერთობები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ამიტომ კონფლიქტების პრევენციის პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს კონფლიქტურ ფორმაციებს საერთაშორისო, ნაციონალურ და ქვე-ნაციონალურ დონეებზე. თუ კონფლიქტის კონტექსტს მისი ტრანსფორმაციისთვის საჭირო უმნიშვნელოვანეს ელემენტად მივიჩნევთ, მაშინ ლოკალური და რეგიონალური კონფლიქტების მოგვარება საერთაშორისო გარემოს გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია.

განსხვავებული ავტორები ომის პრევენციის სხვადასხვა საშუალებებს გამოჰყოფენ საერთაშორისო დონეზე. ვოლენსტინი (1984) საუბრობს სახელმწიფოების ტენდენციაზე შეინარჩუნონ საერთაშორისო სისტემა, განსაკუთრებით „უნივერსალისტურ“ პერიოდებში, როდესაც მისი (სისტემის) შენარჩუნება ყველას ინტერესებში შედის. კეოჰეინი და ნაი (1989ბ) ამტკიცებენ, რომ ურთიერთდამოკიდებულების კომპლექსური ფაქტორები ურთიერთგადაჯაჭვულ საკითხთა ისეთ წყებას წარმოშობს, რომელშიც უსაფრთხოება სხვა საკითხებზე მაღლა არ დგას. რუსეტი და ონილი (2001) ამტკიცებენ, რომ ომის რისკს საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩართულობა ამცირებს. ჰეგრე (2003) მიიჩნევს, რომ ომის პრევენციის ერთ-ერთი საშუალება განვითარებაა. „დემოკრატიული მშვიდობის“ ლიტერატურაში კი თვლიან, რომ დემოკრატიული ტიპის რეჟიმები კონფლიქტების პრევენციის საშუალებაა მხოლოდ ამ რეჟიმებს შორის (მაგრამ არა დემოკრატიასა და სხვა ტიპის რეჟიმებს შორის).

პრევენციის ეს ფაქტორები ერთმანეთთან დაკავშირებული პირობების მთელ კომპლექსს წარმოადგენს, რომელსაც საკუთარი წვლილი შეაქვს ისეთი ფენომენის ჩამოყალიბებაში როგორიც „ლიბერალური მშვიდობაა“: დასავლურ და განვითარებულ სახელმწიფოთა ჯგუფი, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთმანეთთან ომის თავიდან აცილებას ახერხებენ.

რასმუსენი (2003) თვლის, რომ ეს პირობები შემთხვევით არ შექმნილა და რომ ისინი გარკვეული ისტორიული პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა. ბრიტანეთსა და ამერიკას შორის არსებულმა პოლიტიკურმა ურთიერთობამ პოლიტიკური კავშირების ბირთვი შექმნა. როგორც რასმუსენი ამბობს: „მშვიდობა ფაქტი არ არის, ის პოლიტიკაა.“ „ლიბერალური მშვიდობა“ იმის გამო გაჩნდა, რომ ის ლიბერალურ სახელმწიფოებს აწყობდათ, ისინი სარგებელს იღებდნენ ორმხრივი ვაჭრობით, ურთიერთდამოკიდებულებით და ერთმანეთს შორის მშვიდობიანი, არასაომარი მდგომარეობით. მსოფლიო ომებში გამარჯვებულებმა ომის შემდგომ მოწყობაში გამიზნულად გაითვალისწინეს ლიბერალური პრინციპები. ლიბერალური წყობის წარმატებამ მისი გაფართოება გამოიწვია. დემოკრატიული სახელმწიფოები ომებსაც იგებდნენ და სახელმწიფოებსაც ამარცხებდნენ, მერე იქიდან ავტოკრატიას სდევნიდნენ და დემოკრატიას ამყარებდნენ. ამის შედეგად ლიბერალურ სახელმწიფოთა რაოდენობა თანდათან გაიზარდა, რასაც თან მოჰყვა მათი ლიბერალურ სისტემაში ჩართვა, რომელშიც დასავლეთი დომინირებდა. როგორც მიტჩელი, გეითსი და ჰეგრე (1999) ამტკიცებენ: „დემოკრატიზაცია ომს მოსდევს, დემოკრატიზაცია ომების სისტემურ რაოდენობას ამცირებს, დროთა განმავლობაში კი დემოკრატია დამამშვიდებლად ზემოქმედებს ომზე.“

დღეს დემოკრატიის ხელშეწყობა განვითარების, მშვიდობის შენებისა და კონფლიქტების პრევენციის პოლიტიკის დამხმარე საშუალებაა. მას სერიოზულად ეკიდებიან წამყვანი საერთაშორისო ინსტიტუტები, რადგან საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები ფინანსური დახმარების გაწევის წინაპირობად სწორედ მას აყენებენ. დემოკრატიზაცია კონფლიქტების პრევენციისა და მათი მართვის ინსტრუმენტად იმ შემთხვევაში იქცევა, თუ დემოკრატიული ინსტიტუტები ფეხსმოიკიდებენ, რამდენადაც მათ ამის საშუალებას ადგილობრივი პირობები მისცემს.საქმე იმაშია, რომ ხშირ შემთხვევაში რიგ სახელმწიფოებში დემოკრატია მხოლოდ ფასადურ ხასიათს ატარებს, იგი გარეგანი ზეწოლის შედეგია და ერთპარტიული მმართველობის ან უმსხვილესი ეთნიკური ჯგუფის ძალაუფლების დასაკანონებლად გამოიყენება. . ასეთ დროს დემოკრატიზაცია შეიძლება იმ ფაქტორად იქცეს, რომელიც კონფლიქტს გაამწვავებს.

„ლიბერალური მშვიდობა“ მართლაც უდიდესი მონაპოვარია, განსაკუთრებით მისი ევროპული ფორმით. შესაძლებელია, იგი მეტად განივრცოს და რუსეთსა და დასავლეთს შორის არსებული ისტორიული მეტოქეობაც კი დაძლიოს. თუმცა ამ მშვიდობას ნაკლი მაინც აქვს. ეს არის მშვიდობა შინ მაშინ, როცა უცხოეთში შეიარაღებული ძალის გამოყენებაზე უარს არ ამბობენ, რითიც იმ მილიონობით ადამიანის კეთილდღეობას იცავენ, რომელიც სხვა მილიონობით ადამიანის სიღატაკის ხარჯზე ცხოვრობს. ეს მშვიდობა მყიფეა, რადგან მის ბირთვში არსებული ინსტიტუტები მუდმივი ზრდის, მობილური, გლობალური ფინანსების, დასაქმების მაღალი დონის, იაფი ნავთობის უწყვეტი მარაგის და ვაჭრობის გაფართოების წყალობით განვითარდა. ამ პირობებმა რომ წაიფორხილოს, რისი მოლოდინის საფუძველსაც გლობალური ეკონომიკური კრიზისი გვაძლევს, შესაძლებელია, ეკონომიკურ განვითარებას, დემოკრატიას, ვაჭრობასა და მშვიდობას შორის არსებულმა კავშირმა ფრიად არასასურველი შედეგი გამოიღოს.

არასახელმწიფოებრივი ომები კვლევის შედარებით ახალი მეთოდით სიღრმისეულად შეისწავლეს და იმ ფაქტორთა მთელი რიგიც დაადგინეს, რომლებსაც შიდა ომების პრევენციის უნარი აქვთ. ამ კვლევების ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა კი ალბათ ასეთია - უკვე მომხდარი სამოქალაქო ომები მომავალი სამოქალაქო ომების ალბათობაზე მიუთითებს. ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო ომის აღკვეთა ხანგრძლივი მშვიდობითაა შესაძლებელი (Sambanis, 2002). რეჟიმის ნებიმიერი ცვლილება, იქნება ეს ავტოკრატიიდან დემოკრატიისაკენ თუ პირიქით, როგორც წესი, კონფლიქტს უკავშირდება, რის გამოც პოლიტიკური სტაბილურობა ერთ-ერთ აღმკვეთ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს. ასევე ძლიერი კავშირია სამოქალაქო ომსა და ერთ სულ მოსახლეზე დაბალ შემოსავალს შორის, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის განვითარება და წარმატება შიდა ომების პრევენციის ფაქტორია.

ხშირ შემთხვევაში იმის დადგენაზე მნიშვნელოვანი არის თუ არა ესა თუ ის სისტემა დემოკრატიული, არის იმის დაზუსტება თუ რა სახის დემოკრატიის დამყარებაა მიზანშეწონილი, განსაკუთრებით ზოგიერთ ცენტრალური და აღმოსავლეთ აზიისა და აფრიკის ქვეყანაში, სადაც დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა ფორმა უფროა ვიდრე შინაარსი (Schopflin, 1994; Clapham, 1996a). საზოგადოება, რომელიც მზად არის ცვლილებისა და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისთვის, სადაც ადამიანებს საშუალება ეძლევათ ნაყოფიერად და პროდუქტიულად იცხოვრონ, ყოველთვის შეინარჩუნებს მშვიდობას იმისდა მიუხედავად ექვემდებარება თუ არა ეს საზოგადოება ლიბერალური დემოკრატიის თანამედროვე სტერეოტიპებს.საყურადღებოა, რომ სხვადასხვა კულტურაში კონფლიქტების მოგვარების საკუთარი მეთოდებიც აქვთ. დასავლური მეთოდები სხვებზე აღმატებულად არ უნდა მივიჩნიოთ. შეიძლება, ისეც მოხდეს, რომ სხვა კულტურაში გადანერგილი დასავლური მეთოდები ადგილობრივმა დაჯაბნოს კიდეც. ომის თავიდან აცილება დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე თუ რამდენად მოეპოვებათ ადგილობრივ ინსტიტუტებს კონფლიქტების მოგვარებისა და განვითარების ხელშეწყობის ისეთი მოდელები, რომლებიც ადგილობრივი კულტურისათვის მისაღები იქნება. რიგ შემთხვევებში ლოკალურად შემუშავებული პროპორციული კენჭისყრის სისტემები წარმატებული აღმოჩნდა ძალადობრივი კონფლიქტების პრევენციისთვის (Reynal-Querol, 2002). დემოკრატიასა და კონფლიქტების მოგვარებაზე მსჯელობას განვაგრძობთ მე-11 თავში.

დემოკრატიული ფორმების გარდა მნიშვნელოვანია მმართველობის სხვა მახასიათებლებიც. იქ, სადაც მთავრობა ლეგიტიმური და მოქალაქეების წინაშე ანგარიშვალდებულია და კანონის უზენაესობასაც იცავენ, შეიარაღებული კონფლიქტების წარმოშობის ნაკლები ალბათობაა. როგორც მე-4 თავში დავინახეთ, ეიზერი თვლის, რომ შეიარაღებული კონფლიქტი ასუსტებს მთავრობას, ამახინჯებს ინსტიტუტებს და ხელს უშლის განვითარებას . ამის საპირისპიროდ, დასტურდება, რომ კარგი მმართველობა, ჯანსაღი ინსტიტუტები და ეფექტური განვითარება ხელს უშლის შეიარაღებული კონფლიქტების წარმოშობას (Miall, 2003).

განვითარება მნიშვნელოვანი პრევენციული ფაქტორია. ჰენდერსონმა და ზინგერმა (2000) შეისწავლეს აფრიკის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის პოსტკოლონიალური სახელმწიფოების სამოქალაქო ომის წინა პერიოდები და დაადგინეს, რომ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა განვითარების დონე, დემილიტარიზაცია და სრული დეკოლონიზაცია ხელს უშლიდა სამოქალაქო ომების დაწყებას. კოლიერი და ჰოეფლერი (1998) და ჰეგრე და სხვები (2001) ადასტურებენ იმ ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ განვითარების მაღალი დონე სამოქალაქო ომის რისკს ამცირებს და პირიქით, როგორც მესამე თავში აღვნიშნეთ, მცდარი მიმართულებით განვითარება კონფლიქტის ისეთ „ხაფანგს“ ქმნის, რომლიდან

თავის დაღწევაც უჭირთ ყველაზე ღარიბ ქვეყნებს (Collier et al., 2003). ძალადობრივი კონფლიქტის დაწყების რისკი ყველაზე მაღალიაუღარიბეს ქვეყანათა ჯგუფში. თავის მხრივ, ძალადობრივი კონფლიქტი მეტად აღატაკებს ადამიანებს და განვითარება უკუ სვლას იწყებს. აქედან გამომდინარე ყველაზე დიდი რისკის ქვეშ უღარიბესი ქვეყნები იმყოფებიან, რომლებსაც სტაგნაციური ეკონომიკა და წარსულში კონფლიქტის ისტორია აქვთ. საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში სამოქალაქო ომის დაწყების ნაკლები რისკია, რაც ნელ-ნელა და ეკონომიკის წინსვლის პარალელურად ქრება. "ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის" (OECD) წევრ ქვეყნებში სამოქალაქო ომის დაწყების უმნიშვნელო რისკია. კოლიერი (Collier et al., 2003:187) თვლის, რომ თუ უღარიბესი ქვეყნების პაკეტებში გათვალისწინებული იქნება ეკონომიკის წლიური 3 პროცენტიანი მდგრადი ზრდა, კონფლიქტების ხანგრძლივობა მკვეთრად შემცირდება, მათი თავიდან წამოწყების ალბათობაც დაიკლებს და გლობალური მასშტაბით სამოქალაქო ომების სიხშირეც განახევრდება.

მნიშვნელოვანი ფაქტორია სხვადასხვა ჯგუფებს შორის არსებული უთანასწორობის დონეც. სტიუარტი (2002) მიიჩნევს, რომ ჰორიზონტალური უთანასწორობა მნიშვნელოვნად ზრდის კონფლიქტის დაწყების რისკს დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებში. აქედან გამომდინარე, ჯგუფებს შორის არსებული თანასწორობა და ინკლუზიურობა შეიძლება, პრევენციულ ფაქტორებად ჩავთვალოთ.

კონფლიქტის წარმოშობის ხელშემწყობ ფაქტორადაა აღიარებული ადამიანის უფლებების დარღვევაც. ადამიანის უფლებათა დარღვევა მოახლოებული კონფლიქტის მაუწყებელი გამაფრთხილებელი ნიშანია. რაღა თქმა უნდა, ადამიანის უფლებების ხელყოფა ბიძგს აძლევს ესკალაციას (როგორც ეს კოსოვოში მოხდა); ამავე დროს იგი ხანგრძლივი ბრძოლების თანმდევი მოვლენაცაა. და პირიქით - ადამიანის უფლებების მაღალ დონეზე დაცვა როგორც წესი ისეთ ფაქტორებს უკავშირდება ხოლმე, როგორიცაა,დემოკრატიული მმართველობის არსებობა, განვითარების დონე და მართვის ხარისხი.

განსახილველ საკითხზე მსჯელობის დასასრულს შევეცდებით დავადგინოთ რა კავშირია ამ მონაცემებსა და ეიზერის „გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის თეორიას" შორის. არასახელმწიფოთაშორისი ომების მსუბუქი (ანუ ოპერაციული), პრევენციული ფაქტორები მეტ-ნაკლებად შეესაბამება ეიზერის გაჭიანურებული კონფლიქტის „პროცესის დინამიკის" ისეთ ცვლადებს, როგორიცაა,სახელმწიფოს მხრიდან მოქნილი ქმედებებისა და სტრატეგიების განხორციელება , კომუნის და დაპირისპირებული ჯგუფების ლიდერების თავშეკავებული ქმედება, ზომიერი სტრატეგიის და დეესკალაციის „ჩაშენებული" მექანიზმების გამოყენება . პრევენციის სიღრმისეული (ანუ სტრუქტურული) ფაქტორები კი ეიზერისეული „გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტების" „წინაპირობებს" შეესაბამება; ამ ფაქტორთა რიგს განეკუთვნება: სათანადო პოლიტიკური ინსტიტუტები და ეფექტური მმართველობა, კოგეზიური სოციალური სტრუქტურები, ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესაძლებლობები და ისეთი აღიარებული სამართლებრივი და სოციალური ნორმების არსებობა, რომლებსაც ამ ფორმაციების მშვიდობიანი გზით ტრანსფორმაციის უნარი შესწევთ. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონში სტაბილური და მშვიდობიანი გარემოს არსებობას. 5.1. ცხრილი ცხადყოფს, რომ შიდა კონფლიქტების პრევენციის ფაქტორები სხვადასხვა დონეზე მოქმედებს. დემოკრატიასა და კონფლიქტის ფორმების შესახებ მსჯელობას მე-11 თავში სხვა პერსპექტივიდან განვაგრძობთ.

ადრეული გაფრთხილება

პრინციპში, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან კონფლიქტებზე რეაგირების ძალისხმევა ომის პრევენციისთვის სრულიად საკმარისი უნდა იყოს. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ძალადობრივი პოლიტიკური კონფლიქტების ადრეული გამაფრთხილებელი სისტემის ამოქმედება, რაც როგორც მეორე თავში დავინახეთ, კონფლიქტების მოგვარების დარგის დამფუძნებლების ერთ-ერთი მიზანი იყო. ასეთ შემთხვევაში ორი რამ არის საჭირო: პირველი – უნდა დადგინდეს კონფლიქტის ტიპი და ის ადგილი, სადაც მოსალოდნელია ძალადობრივი კონფლიქტის დაწყება; მეორე - საჭიროა დაპირისპირების პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგი და მისი ძალადობრივ კონფლიქტად გადაქცევის ალბათობის დადგენა.

ცხრილი 5.1 სახელმწიფოთაშირისი კონფლიქტის შემაფერხებელი ფაქტორები

კონფლიქტის წარმომშობის ფაქტორები	შესაძლო შემახერხებელი ფაქტორები
გლობალური დონე	
არასათანადო სისტემური სტრუქტურები	ცვლილებები საერთაშორისო წესრიგში
რეგიონალური დონე	
რეგიონალური დიასპორები	რეგიონალური უსაფრთხოების მოწყობა
სახელმწიფო დონე	
ეთნიკური განშრევება	ძალაუფლების განაწილება/ფედერალიზმი/ ავტონომია
სუსტი ეკონომიკები	სათანადო განვითარება
ავტორიტარული მმართველობა	ლეგიტიმურობა, დემოკრატიზაცია
ადამიანის უფლებების დარღვევა	კანონის უზენაესობა, ადამინის უფლებების მონიტორინგი/დაცვა
საზოგადოებრივი დონე	
სუსტი საზოგადოებები	სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, ინსტიტუტები
სუსტი კომუნიკაციები	მრგვალი მაგიდები, ვერქშოფები, თემთაშორისი ურთიერთობები
პოლარიზებული დამოკიდებულებები	კულტურათაშორისი სამუშაოები
სიღარიბე, უთანასწორობა	სიღარიბის შემცირება და სოციალური რეფორმები
ელიტური/ინდივიდუალური დონე	
ექსკლუზიონისტური პოლიტიკა	უფრო ძლიერი მოდერატორები

ადრეული პროგნოზის მისაღებად შეიძლება ჩატარდეს სტატისტიკური კვლევა, რომლითაც დადგინდება კონფლიქტის გამომწვევი ან პრევენციის ფაქტორები. ასეთი მიდგომაა გამოყენებული ტედ გურის ნაშრომში, რომელიც ეყრდნობა პროექტის „რისკის ქვეშ მყოფი უმცირესობები“ მონაცემებს და გამოჰყოფს სამ ფაქტორს, რომლებიც კომუნის ამბოხისადმი მიდრეკილებას განსაზღვრავს: კოლექტიური სტიმულები, ერთობლივი მოქმედების უნარი და გარე შესაძლებლობები. თითოეული ფაქტორი წარმოდგენილია პროექტის კოდირებული

მონაცემების მიხედვით შექმნილი ინდიკატორებით და ახსნილია იმ კორელაციით, რომელიც მათ წინა წლების ეთნიკურ ამბოხებებთან აქვთ. მიღებული ცხრილი საშუალებას იძლევა უმცირესობები მათი რისკისადმი მიდრეკილების მიხედვით დავყოთ (Gurr, 2000). მიღებული შედეგები ცხადყოფს, რომ რისკისადმი მეტად მიდრეკილები არიან ისინი, ვისაც მაღალი მაჩვენებლები აქვს როგორც ამბოხების სტიმულის ასევე უნარი/შესაძლებლობის მხრივ. რისკების ამ დიაგნოსტირების მოდელით გურმა დაადგინა, რომ კოსოვოელი ალბანელებისა და აღმოსავლეთ ტიმორელების ამბოხების მაღალი ალბათობა არსებობდა, ხოლო სხვა ხელმოკლე ჯგუფებში კი ამ რისკის ალბათობა ნაკლები იყო.

მსგავს მიდგომას იყენებენ ეკონომეტრიულ პროგნოზირებაშიც. მაგ., კოლიერმა და მისმა თანაავტორებმა (2003:53) დაადგინეს, რომ „დაბალი, სტაგნაციური და ერთ სულ მოსახლეზე არათანაბრად განაწილებული შემოსავლების მქონე ქვეყნები, რომლებიც ექსპორტს ძირითადად ნედლეულის სახით ახორციელებდნენ, გახანგრძლივებული კონფლიქტების დაწყების მაღალი რისკის ქვეშ არიან. „მსოფლიო ბანკი“ ქმნის „რისკის ქვეშ მყოფი“ ეკონომიკის ინდიკატორებს, რომელთა მიხედვითაც დგინდება ამ ქვეყნების კონფლიქტისადმი მიდრეკილების რისკი უსაფრთხოების სხვადასხვა ინდიკატორების გათვალისწინებით (მაგ., შეიარაღებული დიასპორები, იარაღის იმპორტი), საზოგადოების კოგეზია (მაგ., ეთნიკური დომინანტობა), ეკონომიკური მიღწევები და მმართველობა (Cleves et al., 2002).

სხვა მსგავს მიდგომებში იყენებენ ისეთ ინდიკატორებს, როგორიცაა გენოციდი (davies, et al.,1997) ადამიანის უფლებათა დარღვევები (Schimd, 1997:74), სახელმწიფოს წარუმატებლობა (esty et al., 1998), ლტოლვილთა ნაკადები, სასურსათო კრიზისი, იარაღის ნაკადი და ეკოლოგიური კონფლიქტები (Davies and Gurr, 1998). ოსტინი ადრეული გაფრთხილების სხვა მოდელებს განიხილავს.

ეს სტატისტიკური მიდგომები ერთგვარი სახელმძღვანელოა, რომელიც მიუთითებს საით უნდა წარმართონ თავიანთი ძალისხმევა კონფლიქტების პრევენციის სააგენტოებმა; თუმცა, ეს მიდგომები კონფლიქტებისადმი მიდრეკილების ალბათობის საზომი უფროა და ზუსტ გაფრთხილებად ნაკლებად გამოდგება.

ახლა გადავდივართ კონფლიქტების რაოდენობრივი შეფასებებიდან მათ თვისობრივ შეფასებაზე, სადაც კონკრეტული საზოგადოებებისა და სიტუაციების შესახებ ზღვა ინფორმაცია მოიპოვება. მათ შორისაა ჰუმანიტარული სააგენტოების ანგარიშები (რომლებიც გაერთიანებულია ვებგვერდზე ReliefWeb), „კრიზისების ჯგუფის“ მიერ მომზადებული თვისობრივი ანგარიში კონკრეტული კონფლიქტებისა თუ კონფლიქტის რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფების შესახებ, მედიისა და აკადემიური წრეების მიერ მომზადებული ანალიზები და დიპლომატიური სამსახურებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები. ასევე არსებობს „რეალურ დროში“ მოწოდებული ინფორმაცია, რომელიც მიღებულია რეალური ან პოტენციური კრიზისის მიმდინარეობის ადგილიდან; მაგ., მე-3 თავში აღწერილი „უშაჰიდის“ ინიციატივა. თვისობრივი მონიტორინგი კონტექსტუალურად და შინაარსობრივად გაცილებით მდიდარ ინფორმაციას იძლევა ვიდრე რაოდენობრივი, სტატისტიკური ანალიზი, თუმცა ხმაურითა და ინფორმაციის სიჭარბით ხასიათდება . თანამედროვე თვისობრივი მონიტორინგი გაცილებით მნიშვნელოვანია კონკრეტული კონფლიქტების შესახებ ინფორმაციის დროულად მისაღებად და სათანადო ზომების გასატარებლად, რადგან ამ დარგის მეცნიერულად შემსწავლელისა და ადგილობრივი დამკვირვებლის (რომელიც

არსებული სიტუაციის შესახებ დეტალურ ინფორმაციას ფლობს) ცოდნათა კომბინაციას შეუდარებელი სამსახურის გაწევა შეუძლია. „კრიზისების ჯგუფში“ გაერთიანებულ ექსპერტებს, პოლიტიკოსებს, ანალიტიკოსებს, პრაქტიკოსებსა და იმ სააგენტოთა ქსელს, რომლებიც მონიტორინგს უწევენ კონკრეტულ სიტუაციებს, მოვლენათა მოსალოდნელი განვითარების პროგნოზირებაც შეუძლიათ და სათანადო ზომების მიღების ხელშეწყობაც (Austin, 2004).

მაშინაც კი, როდესაც დამკვირვებლები „ადრეულად აფრთხილებენ“ მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ, არ არსებობს იმის გარანტია, რომ მათ ხმას გაიგონებენ და საპასუხო რეაგირებას მოახდენენ. შესაძლოა, მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება სხვა კრიზისებზე იყოს მიმართული (როგორც ეს იუგოსლავიის შემთხვევაში მოხდა), ან მათ არსებული პოლიტიკური კურსის შეცვლა არც სურდეთ (როგორც რუანდას შემთხვევაში მოხდა). როგორც წესი, გარედან ჩარევას ყველაზე ხშირად ყველაზე მოწყვლადი ქვეყნების მთავრობები ეწინააღმდეგებიან ხოლმე. გაეროს სამდივნო ადრეული გაფრთხილების სისტემის ამოქმედებას ცდილობს, თუმცა სისტემატიურად და ყოველთვის ვერ ახერხებს. იმის გამო, რომ ადამიანთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებების წინასწარმეტყველება ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია, პროგნოზირების ვერცერთი სისტემა შეუმცდარ და უტყუარ შედეგებს ვერ მოგვცემს. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს საკმარისი ინფორმაცია ისეთი სიტუაციების შესახებ, სადაც ომისადმი მიდრეკილება თვალნათლივ ჩანს და სათანადო რეაგირების მოხდენაც შესაძლებელია. ნათელია ისიც, რომ მთავარია არა ადრეული გაფრთხილების მიღება, არამედ იმ პოლიტიკური რესურსების ფლობა, რომლებიც დროული რეაგირების საშუალებას მოგვცემს.

ხშირ შემთხვევაში სავარაუდო კონფლიქტის პროგნოზირება შესაძლებელია, რადგან , , როგორც წესი, მას ერთჯერადი ხასიათი არ აქვს; ის მეორდება და ჭიანურდება და კონფლიქტურ რეგიონებში გავრცელებაც ახასიათებს. 1816-1992 წლებში წარმოებული ომების ნახევრის მთავარი მიზეზი „გაჭიანურებული დაპირისპირება “ იყო, რაც ორ სახელმწიფოს ან ხალხებს შორის არსებულ გაჭიანურებული დავის არსებობას გულისხმობს. ასეთი რამ თავისუფლად შეიძლება გახდეს მომავალი დაპირისპირების საგანი. როგორც მე-3 თავში აღვნიშნეთ რთული არ არის იმ რეგიონების დადგენა, სადაც მომავალი ძალადობრივი კონფლიქტების დაწყებაა მოსალოდნელი, მათ შორისაა,დასავლეთ აფრიკა, აფრიკის დიდი ტბების რეგიონი, კავკასია, ინდოეთი-პაკისტანის საზღვარი და ინდონეზიის ნაწილი. ეკონომიკურ ინდიკატორებზე დაყრდნობით ისიც თამამდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამოქალაქო ომის რისკი გაცილებით მაღალია ღარიბ სახელმწიფოებში, (განსაკუთრებით იქ, სადაც ერთხელ უკვე იყო სამოქალაქო ომი) ვიდრე განვითარებულში. აქედან გამომდინარე, არსებობს უამრავი ინდიკატორი, რომელიც პრევენციული ზომების გატარების აუცილებლობაზე მიუთითებს. რა დროული ზომების მიღება შეიძლება ასეთ შემთხვევაში?

მსუბუქი ანუ ოპერატიული პრევენცია

როდესაც დავები ძალადობაში გადაზრდის ზღვარზეა, საქმეში მსუბუქი ანუ ოპერაციული პრევენცია ერთვება, რასაც „პრევენციულ დიპლომატიასაც“ უწოდებენ, მაგრამ ჩვენ უფრო ზოგად ტერმინს გამოვიყენებთ, რადგან იგი მეტი აქტორის მონაწილეობას გულისხმობს. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თავად პროტაგონისტები თამაშობენ, რადგან სტრატეგიებს (იქნება ეს ზომიერი თუ კონსტრუქციული) სწორედ ისინი ირჩევენ (Kriesberg, 1998a). დაპირისპირებულ მხარეებს შორის პირდაპირმა მოლაპარაკებებმა შესაძლებელია შეამციროს მათ შორის არსებული კონფლიქტის

ესკალაციის რისკი (Zartman, 2001). მაკედონიისა და ესტონეთის კონფლიქტების პრევენციის იმ შემთხვევებში, რომლებიც ყველაზე ხშირად მოჰყავთ მაგალითად, პოტენციური კონფლიქტის აღკვეთა შიდა და გარე ზომების კომბინირებით გახდა შესაძლებელი.

მსუბუქი პრევენციის სხვადასხვა სახეები არსებობს (Creative Associates, 1997: 3-6). მათ შორისაა ოფიციალური დიპლომატია (მედიაცია, დამშვიდება, ფაქტების მოძიება, მოლაპარაკება, სამშვიდობო კონფერენციები, დესპანების გაგზავნა, კონფლიქტების პრევენციის ცენტრის დაარსება, ცხელი ხაზების შექმნა) და არაოფიციალური დიპლომატიის საშუალებები (პრივატული მედიაცია, დანაბარების გადაცემა, კულუარული არხების შექმნა, სამშვიდობო კომისების დაარსება, პრობლემათა გადაწყვეტის ვერქშოფების ჩატარება, კონფლიქტების მოგვარების ტრეინინგები, მრგვალი მაგიდის მოლაპარაკებების გამართვა). მსუბუქი პრევენციის ღონისძიებათა კატეგორიას ასევე განეკუთვნება ადგილობრივ აქტორთა მიერ მშვიდობის დასამყარებლად გაწეული ძალისხმევა (მოლაპარაკებები, რომლებშიც სამღვდელოება ერთვება, პოლიტიკოსებს შორის დებატების გამართვა, პარტიათაშორისი დისკუსია). გარკვეულ შემთხვევებში შედეგიანია მედიატორთა შორის ახსნა-განმარტებითი ხასიათის საუბრების გამართვა და ნდობის გაღრმავება. რიგ შემთხვევებში ამართლებს შესაბამისი სახელმწიფოების მხრიდან პოზიტიური ან ნეგატიური წაქეზება. ლიტერატურაში (Carnegie Commission, 1997; Wallensteen, 1998; Leatherman et al., 1999; Zartman, 2001; Hampson and Malone, 2002) განხილულია მთელი რიგი პოლიტიკური ზომები (მედიაცია კუნთების თამაშით, მობილიზაცია რეგიონალური და გლობალური ორგანიზაციების საშუალებით, მედიაზე გავლენის მოხდენის მცდელობა); ეკონომიკური ზომები (სანქციები, გადაუდებელი დახმარება, ფინანსური დახმარების პირობითი შეთავაზება) და სამხედრო ზომები (პრევენციული მშვიდობის დამყარება, ემბარგო იარაღზე, დემილიტარიზაცია).

ამ მხრივ კონფლიქტების მოგვარებაზე გაცილებით მეტ საშუალებას ოპერაციული პრევენცია ფლობს, რადგან ამ უკანასკნელის მიზანი მხარეთა ერთმანეთთან დაკავშირება და მათ შორის არსებული დავის გაანალიზება და ტრანსფორმაციაა. კონფლიქტის ადრეულ ეტაპზე მოგვარება პრევენციის ცენტრალური საკითხია. ასეთ დროს საჭიროა მთავარი საკითხების იდენტიფიცირება, უნდობლობისა და ერთმანეთის შესახებ მცდარი წარმოდგენების აღმოფხვრა და იმ შედეგების შესწავლა, რომელმაც მხარეებს შორის საერთოს გამონახვას შეიძლება შეუწყოს ხელი. ოპერაციული პრევენციის შემთხვევაში მთავარია მოლაპარაკებების გზების გამონახვა, დავების მოგვარების პროცედურებისა და არხების დადგენა და დაძაბული ურთიერთობის ტრანსფორმაცია. სწორედ ამით ხასიათდებოდა მაქს ვან დერ სტოლის "ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის" უმაღლესი კომისრის „ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში" მოღვაწეობა. მისი ესტონეთის კონფლიქტში ჩარევის ამბავი განხილულია ფოკუსში 5.1. 1990-იან წლებში მისი მოღვაწეობა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში პრაქტიკაში განხორციელებული პრევენციული დიპლომატიის ერთ-ერთი ნიშანსვეტია (Kemp, 2001). ეს კრიტერიუმებიამავდროულად ადგილობრივი და უცხოელი, არასამთავრობო მშვიდობის დამცველების საქმიანობის კრიტერიუმებიცაა.

ხშირ შემთხვევაში გაჭიანურებული კონფლიქტები პოლიტიკურ დონეზე მიმდინარეობს , იმართება მოლაპარაკებები, შემდეგ იშლება, მიიღწევა შეთანხმება, რასაც კვლავ უთანხმოება მოსდევს, საბოლოოდ კონფლიქტი გადაწყდება ან დროებით შეჩერდება და ძალადობა ჩერდება. სამხრეთ ტიროლის გამო მიმდინარე ხანგრძლივი ბრძოლა ავსტრიისა და იტალიის მთავრობებსა და ადგილობრივ მხარეებს (ტრენტინო-ალტო-ადიჯე) შორის მოლაპარაკებით გადაწყდა. რიგ შემთხვევებში პოლიტიკური კონფლიქტის ძალადობაში გადასვლის რისკი

მოლაპარაკებების საშუალებით აღმოიფხვრება ხოლმე, რის მაგალითებადაც შეგვიძლია მოვიყვანოთ ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკების მშვიდობიანი გაყრა და მოსკოვსა და თათრეთის მთავრობას შორის გამართული მოლაპარაკებები რუსეთის ფედერაციაში ამ უკანსკნელის სტატუსის შესახებ (Hopmann, 2001: 151-6).

ძალადობის ადრეულ ეტაპზე პრევენციის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს, განვითარების სააგენტოებსა და სოციალურაქტორებს. რთულია იმის შეფასება თუ რა შედეგი მოაქვს ასეთ „პრევენციული მშვიდობის შენებას“ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სასურველი შედეგი კონკრეტულ ჯგუფებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება ან საზოგადოების გარკვეული ნაწილის ან რეგიონის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა. ასეთი ზემოქმედების მკაფიოდ შეფასება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც პროგრამებს შორის მკვეთრი ურთიერთობაა ლოკალურ, თემის და ელიტის დონეზე. ასეთ დროს ზოგჯერ უამრავი გამოწვევა იჩენს თავს. მაგალითად, „მორიგების რესურსების“ (Conciliation Resources) პროგრამამ ფიჯიში ხელი შეუწყო „მოქალაქეების კონსტიტუციური ფორუმის“ შექმნას, რომელმაც საკუთარი წვლილი შეიტანა 1997 წელს ხელისუფლების განაწილების სისტემის ჩამოყალიბებაში. მისი მიზანი იყო აღეკვეთა ფიჯის მკვიდრი მოსახელობის დომინანტობა ინდოელი წარმოშობის ფიჯელებზე. მაგრამ 2000 წლის გადატრიალების შემდეგ კონსტიტუცია გაუქმდა, რის შემდეგაც სიტუაცია უარესად დაიძაბა და პოლარიზაციამ უწინდებურზე დიდ მასშტაბებს მიაღწია. „მორიგების რესურსები“ თავის პარტნიორებთან თანამშრომლობას კვლავ აგრძელებს მულტიკულტურალიზმის, ადამიანის უფლებების დაცვისა და კონსტიტუციის აღდგენის მიზნით.

განვითარების სააგენტოების საქმიანობას სრულიად განსხვავებული შედეგები მოსდევს ხოლმე; ზოგი პოზიტიური, ზოგიც უკიდურესად ნეგატიური (Muscat, 2002). როგორც წესი, დიდი სამთავრობო დონორები ადგილობრივ მთავრობებთან თანამშრომლობენ ხოლმე; ცენტრიდან დაფინანსებული პროგრამების ამოქმედება კი ზოგჯერ ადგილობრივ თემებზე ნეგატიურ გავლენას ახდენს; მაგ., ევროკავშირის ხელშეწყობით განხორციელებული საირიგაციო პროგრამების ამოქმედებამ ავაშის ველზე (ეთიოპია) ადგილობრივ აფარის კლანსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის არსებული ლატენტური კონფლიქტი გაამწვავა; თუმცა, კონფლიქტი ნაწილობრივ მოაგვარა რეგიონალური მთავრობის ხელშეწყობით განხორციელებულმა მცირე-მასშტაბიანმა პროექტმა (რომელსაც მხარს არ უჭერდა ცენტრალური ხელისუფლება). განვითარების სააგენტოები ღარიბ ქვეყნებს მნიშვნელოვან რესურსებს სთავაზობენ და ხშირ შემთხვევაში ადგილობრივ კონფლიქტებშიც კი ერთვებიან.

ძალადობრივი კონფლიქტების პრევენციის ზომების ქმედუნარიანობა განსხვავებულ გარემოებებზეა დამოკიდებული. როგორც სტედმანი (1995) აცხადებდა, მათ შეიძლება გარკვეული სიტუაციები გაამწვავონ კიდეც, ხოლო ლუნდი (1995) კი თვლიდა, რომ ასეთი ზომების გამოყენება სიტუაციას ამსუბუქებს. ლატენტური კონფლიქტების ძალადობრივად გარდაქმნის პრევენციისათვის გარკვეული ზომების მიღება ყოველთვის გამართლებულია, მაგრამ იმისათვის რომ მათ ცუდზე მეტი კარგი შედეგი გამოიღონ, ისინი ინფორმირებული, სენსიტიური, ყოველ მხრივ გააზრებული უნდა იყოს და რაც მთვარია, მასში ჩართულნი უნდა იყვნენ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის წარმომადგენლები. მართალია, 1990-2000-იან წლებში ეთნიკური კონფლიქტების წყარო ხშირ შემთხვევაში ეთნიკური კუთვნილება იყო, მაგრამ უამრავი ისეთი ეთნიკური ჯგუფიც არსებობს, რომელიც

მშვიდობიან თანაცხოვრებას ეწევა; მათ შორის კონფლიქტი არ წარმოიშვება - მაგ., ჩინური თემი მალააზიაში, ფრანგულენოვანი მოსახლეობა კანადაში, მაკედონელთა თემი ალბანეთში და ა.შ. ჰოროვიცი (1985) და გური (2000)იმ ფაქტორების მაგალითსა და ანალიზს წარმოგვიდგენენ, რომლებმაც ამ შემთხვევაში კონფლიქტების პრევენციამოახდინეს..

კონფლიქტის პრევენციის შეფასება დამოკიდებულია იმაზე თუ ანალიზის რა ჩარჩოა საამისოდ შერჩეული და რა კრიტერიუმებით დგინდება კონფლიქტისადმი მიდრეკილება. ვოლენსინი (2002ბ) კონფლიქტების პრევენციის ანალიზისთვის 30 კანდიდატისგან შემდგარ ნუსხას გვთავაზობს, სადაც ცივი ომის დასრულების შემდეგ კონფლიქტების ოპერაციულ პრევენციას ჰქონდა ადგილი. ეს სია გაცილებით გრძელი იქნებოდა სტრუქტურული პრევენციის ანალიზის შემთხვევაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მიდგომა ახალი ფეხადგმულია, რადგან ახლახანს დაიწყო ოპერაციული და სტრუქტურული პრევენციის გავლენის კვლევა კონფლიქტების სიხშირესა და მათ წამქეზებელ ძალებზე.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კონფლიქტების პრევენცია

მხოლოდ ორმაცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ რაც კონფლიქტის პრევენციის იდეაზე როგორც საერთაშორისო და მულტილატერალური კონფლიქტების მართვის წამყვან საკითხზე პირველად დაიწყეს მსჯელობა. დღეს კი რეგიონალური და საერთაშორისო ორგანიზაციების უშიშროების არქიტექტურაში მშვიდობიანი ცვლილების მექანიზმებსა და მომავლის პრობლემური საკითხების პროგნოზირების სისტემებს ითვალისწინებენ (საერთაშორისო მშვიდობისადაუსაფრთხოებისორიუმთავრესისაკითხი,რომელიცარიყოგათვალისწინებული არცერთ ისტორიულად არსებულ ზავში, როგორც ჰოლსტი აღნიშნავდა ამ წიგნის მე-2 თავში) (იხ, ცხრილი 2.1). კონფლიქტების პრევენციის გარკვეული მექანიზმები შეიმუშავეს გაერომ, "ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ", ევროკავშირმა, "აფრიკის კავშირმა" (AU) "დასავლეთ აფრიკულ სახელმწიფოთა ეკონომიკურმა თანამეგობრობამ" (ECOWAS) „სამხრეთ აფრიკის განვითარების თანმეგობრობამ" (SADC), "განვითარების სამთავრობათაშორისო ორგანიზაციამ" (IGAD), „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერების ასოციაციამ" (ASEAN), დიდი რვიანის ქვეყნებმა (G8), საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა. თუმცა, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, მათი ძალისხმევა ხშირად არასახარბიელო შედეგებით მთავრდებოდა. 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, მას შემდეგ რაც მთელი მსოფლიოს ყურადღება ტერორიზმის პრევენციისკენ იქნა მიმართული, კონფლიქტების პრევენციის უფრო ფართო კონცეფციამ, გარკვეული დროით მაინც მაღალ ნიშნულს მიაღწია.

გაეროს კონფლიქტების პრევენციით დაინტერესება „მშვიდობის პროგრამით" დაიწყო (An Agenda for Peace) (ბუტრუს გალი, 1992), გაგრძელდა „ბრაჰიმის ანგარიშით" (Brahimi, 2000), მას მოჰყვა გენერალური მდივნის ანგარიში კონფლიქტების პრევენციის შესახებ (გაერო, 2001) და გენერალური ასამბლეის 2001 წლის ივნისში გამართული 55-ე მოწვევა, რომელზეც კონფლიქტების პრევენცია ამ ორგანიზაციის პრიორიტეტად გამოცხადდა. კოფი ანანმა თავის თანამშრომლებს „პრევენციის კულტურის" შექმნისკენ მოუწოდა. გაეროს 2001 წლის აგვისტოს უშიშროების საბჭოს 1366 რეზოლუციის თანახმად, ამ ორგანიზაციის უმთავრესი როლი შეიარაღებული კონფლიქტების პრევენცია გახდა. დაარსდა „პრევენციული ქმედების ნდობის ფონდი" და შეიქმნა ტრეინინგ პროგრამა გაფრთხილების ადრეული სისტემისა და პრევენციული ზომების დასანერგად. 2000 წლის ნოემბერში „გაეროს

განვითარების პროგრამამ“ (UNDP) კონფლიქტების პრევენციის სტრატეგია შეიმუშავა, რომლითაც განსაზღვრა საკუთარი როლი კონფლიქტების შემდგომი მშვიდობის შენების საქმეში. ამ პროგრამის სახსრების 20 პროცენტი „მესამე დონის“ დაფინანსებას ხმარდება, რომელიც „პრევენციული და სამკურნალო საქმიანობისათვისაა“ გამიზნული.

გაერომ შემდგომი ნაბიჯები 2004 წელს გადადგა, როდესაც „უმაღლესი დონის ანგარიში“ შეიმუშავა , და „პრევენციის პასუხისმგებლობა“ თავად იკისრა (Bellamy, 2008). იმედოვნებდნენ, რომ ამ პასუხისმგებლობას თავის თავზე „მშვიდობის შენების კომისია“ აიღებდა, მაგრამ წევრი სახელმიწფოების მოსაზრებები გაიყო; ცხადი გახდა, რომ ისინი არ დაეთანხმებოდნენ კოფი ანანის მოწოდებას „პრევენციის კულტურის“ დანერგვის საჭიროების შესახებ. ამ საკითხზე მსჯელობას განვაახლებთ და მეტ ინფორმაციას მოგაწვდით მე-8 და მე-9 თავებში. გაერო კონფლიქტების პრევენციისთვის დღემდე საკმაოდ შეზღუდული რაოდენობით თანხებს გამოყოფს; პრევენციის პასუხისმგებლობა კონცენტრირებული სახით არ აკისრია სამდივნოს ერთ რომელიმე სააგენტოს (Piiparinen, 2008). ზოგიერთმა სახელმწიფომ მხარი დაუჭირა გაეროს უფრო აქტიურ როლს კონფლიქტების პრევენციაში, თუმცა განვითარებადმა ქვეყნებმა, სადაც კონფლიქტების პრევენციის ზომები უფრო ფართოდ იქნებოდა გამოყენებული და მათ საქმეებში მეტადაც ჩაერეოდნენ, შეშფოთება გამოთქვეს. გამოჩნდნენ ისეთებიც, მაგალითად რუსეთი და ჩინეთი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სახელმწიფოთა დაცვის საუკეთესო საფუძველი სუვერენიტეტის პრინციპია. ბუშის ადმინისტრაციის მიერ პრეემფციული ომის წარმოების პოლიტიკამ გაეროს მრავალი წევრი ქვეყნის შეშფოთება გამოიწვია, მაგრამ ობამას ადმინისტრაციამ აქცენტი პრევენციაზე გადაიტანა, რაც ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენის განცხადებაშიც გამოიკვეთა: „ჩვენ ვეცდებით მივიღოთ პრევენციული ზომები და არა პრეემფციული, რათა თავიდან ავიცილოთ ომის რისკი და უმოქმედობით გამოწვეული საფრთხე“ (Woocher, 2009).

კლიმატის ცვლილებით, რესურსების გამოყენებით, ენერგიისა და სურსათის უსაფრთხოებით გამოწვეული გლობალური გამოწვევები ახალ სტიმულს მისცემს გაეროს როლის გააქტიურების მომხრეებს. ეს არგუმენტი მოცემულია აკადემიური წრეების წარმომადგენლებისა და გაეროს ოფიციალური პირების ერთობლივად მომზადებულ ანგარიშში „21-ე საუკუნის მდგრადი გლობალური მმართველობა“ (Sustainable Global Governabce for the 21st Century) (Weiss et al., 2009). ამ თემის განხილვას მე-12 თავში განვაგრძობთ.

გაეროს მიერ წამოყენებული კონფლიქტების პრევენციის პრინციპი წინააღმდეგობას ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ძირითადად კი რეგიონალური ორგანიზაციების მხრიდან, წააწყდა;

„ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში“ (OSCE) 55 წევრია და მათი გეოგრაფიული განლაგება ვანკუვერიდან ვლადივასტოკამდე აღწევს. ეს არის რეგიონალური ორგანიზაცია, რომელიც ადრეულ შეტყობინებას, კონფლიქტების პრევენციას, კრიზისების მენეჯმენტს და კონფლიქტების შემდგომ რეაბილიტაციას აწარმოებს. მის კონფლიქტების პრევენციის სტრუქტურაში შედის: კონფლიქტების პრევენციის ცენტრი, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა სამსახური და „უმაღლესი კომისარიატი ეროვნული უმცირესობების საკითხებში“ (High Commissionaire on National Minorities (HCNM)) (რაზეც ზემოთაც გვქონდა საუბარი), რომელთა საქმიანობაც ისეთი ეთნიკური დაძაბულობების დროულ მოგვარებას გულისხმობს, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მშვიდობას, სტაბილურობას ან „ეუთოს“ წევრ ქვეყნებს შორის მეგობრულ ურთიერთობას. „უმაღლესი

კომისარიატი ეროვნული უმცირესობების საკითხებში“ კრებს ინფორმაციას, აწარმოებს მედიაციას, ხელს უწყობს დიალოგის წარმართვას, იძლევა რეკომენდაციებს და ატყობინებს „ეუთოს“ წევრ ქვეყნებს პოტენციური კონფლიქტების დაწყების ალბათობის შესახებ; საყურადღებოა ის, რომ „უმაღლეს კომისარიატს ეროვნული უმცირესობების საკითხებში“ კონფლიქტში ჩასარევად „ეუთოს“ წევრი სახელმწიფოების თანხმობა არ სჭირდება. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ინოვაციაა; ასევე მნიშვნელოვანი პრეცენდენტი იყო, როდესაც წევრ სახელმწიფოებს მიეცათ შესაძლებლობა სხვა წევრების შიდა საქმეების მონიტორინგი ეწარმოებინათ.

კონფლიქტების პრევენციის საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციათა შორის ყველაზე მეტი წვლილი ევროკავშირმა შეიტანა . კონფლიქტების პრევენცია ევროსაბჭოსა და ევრო კომისიისთვის პრიორიტეტულ საკითხად და ევროკავშირის სხვადასხვა პოლიტიკური კურსის ორგანიზაციული ჩარჩოს ნაწილად იქცა, მათ შორისაა: „საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის“ „ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის“ და „განვითარების თანამშრომლობის პოლიტიკის“ ჩარჩოები (Stewart, 2008). ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადრებით მოეკიდა ევროკავშირის შვედური პრეზიდიუმი (Bjkordahl, 2007). 2001 წლის გოტენბურგის სამიტზე ევროპის საბჭომ განაცხადა:

> *კონფლიქტების პრევენციისთვის თანამშრომლობაა საჭირო, რაც ხელს შეუწყობს დავების მშვიდობიან მოგვარებას და კონფლიქტების ძირეული მიზეზების გამოვლენას. ევროკავშირი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კონფლიქტების პრევენციის ხელშეწყობას თავის პოლიტიკურ პასუხისმგებლობად და ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა მთავარ ამოცანად მიიჩნევს. მას გადაწყვეტილი აქვს გააუმჯობესოს ძალადობრივი კონფლიქტების პრევენციის თავისი შესაძლებლობები და წვლილი შეიტანოს პრევენციის გლობალურ კულტურაში.*

ევროკავშირმა პოლიტიკური ზომების ამომწურავი ნაკრები და ისეთი პოლიტიკური ინსტრუმენტები შეიმუშავა, რომლებიც მოიცავს ადამიანის უფლებების პროგრამებს, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლას, უშიშროების სექტორის მხარდაჭერას, სამთავრობო რეფორმებსა და ეკონომიკურ დახმარებას. კომისია თავის მიზნად „სტრუქტურულ სტაბილურობას“ ასახელებს: „ცვლილებების მართვის უნარი ძალადობის გარეშე“. კონფლიქტის ზონებში (მათ შორის, პაპუა ახალ გვინეაში, სოლომონის კუნძულებზე, ფიჯიზე, ინდონეზიასა და ნეპალში) კონფლიქტების პრევენციის შეფასების მისიები გაიგზავნა. 2001 წელს შეიქმნა სწრაფი რეაგირების მექანიზმები, რომლებიც მწვავე კრიზისების ზონებში გამოიყენეს (Kronenberger and Wouters, 2004).

ეროკავშირის მიერ შემუშავებული კონფლიქტების პრევენციის ზომები მოიცავს როგორც სიღრმისეულ ასევე მსუბუქ ელემენტებსაც - მთავრობის მხარდაჭერას, კანონის უზენაესობას, ეკონომიკურ განვითარებას და მშვიდობის შენების მისიების წარგზავნას, როგორც ეს კოსოვოსა და ბოსნიის შემთხვევაში მოხდა (Kronenberger and Wouters, 2004: 151-72). ევროკავშირის დისკურსში „კონფლიქტის პრევენციას“ თანდათანობით „კრიზისის მენეჯმენტი“ დაერქვა, რაც გათვალისწინებული იყო 1999 წელს მიღებულ „ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაში“. მაგ. 2007 წელს, ევროკავშირის კონფერენციაზე, სახელწოდებით „ადრეული გაფრთხილებიდან ადრეულ მოქმედებამდე: კრიზისისა და გრძელვადიანი საფრთხეების წინააღმდეგ ევროკავშირის მიერ შემუშავებული რეაგირების პროგრამა,“კომისარმა ბენიტა ფერერო-ვალდნერმა განაცხადა:

ევროკავშირი კრიზისების მართვის ინსტრუმენტთა ვრცელ და მრავალფეროვან ნაკრების ფლობს. მაქსიმალური შედეგების მისაღწევად წევრ სახელმწიფოებს, საბჭოს სამდივნოსა და კომისიას შორის მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო; თანამშრომლობა აუცილებელია ყოველ ეტაპზე, დაწყებული დაგეგმვიდან დასრულებული განხორციელების საბოლოო ეტაპამდე. მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ კოორდინირებულად გამოვიყენოთ ყველა ინსტრუმენტი, იქნება ეს განვითარების ხელშეწყობა, ჰუმანიტარული დახმარება, „ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკით“ აღიარებული კანონის უზენაესობა, პოლიცია თუ სამხედრო მისიები; მხოლოდ სწრაფი რეაგირების პროგრამებით არ უნდა შემოვიფარგლოთ.

2003-2010 წლებში ევროკავშირმა კონფლიქტების ზონებში (აჩეჰში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, აღმოსავლეთ ჩადში, საქართველოში, გვინეა-ბისაუში, მაკედონიაში, მოლდოვასა და სომალიში) 26 სამხედრო, საპოლიციო, კანონის უზენაესობისა და მონიტორინგის მისიები გაგზავნა. ტერიტორიის გამო მიმდინარე შიდა ომების სირთულეებისა და სხვა პრობლემების მიუხედავად (მაგ., საერთაშორისო და ადგილობრივი პოლიციის სტანდარტების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა), ევროკავშირმა ამ მხრივ ნამდვილად წინ გადადგა ნაბიჯი; ლისაბონის ხელშეკრულების ფარგლებში გატარებული რეფორმები კი ამ კონფლიქტურ ზონებს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას მიანიჭებს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ (OECD) „განვითარების ხელშემწყობმა კომიტეტმა“ განვითარების ხელშემწყობ პროგრამებში ჩაშენებული გრძელვადიანი სტრუქტურული პრევენციული ღონისძიებების მიხედვით შედგენილი კონფლიქტების პრევენციის ნორმატივები გამოსცა (Ackermann, 2003). პოლიტიკა და პროგრამები გაეროს მრავალმა სააგენტომ და სხვა რეგიონალურმა და ქვე-რეგიონალურმა საერთაშორისო ორგანიზაციამაც შეიმუშავა; მათში ხაზგასმითაა საუბარი კონფლიქტების პრევენციისთვის საჭირო ძლიერ ფასეულობებსა და სტრუქტურებზე (Ackermann, 2003, Mack, 2003; Smith, 2003). თითქმის უკლებლივ ყველა თანხმდება იმაზე, რომ დაწყებულ კონფლიქტში ჩარევა გაცილებით უფრო დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული ვიდრე მისი პრევენცია.ჩალმერსი (2004) თვლის, რომ პრევენციულ ზომებზე დახარჯულ ყოველ ერთ ფუნტზე საერთაშორისო საზოგადოება საშუალოდ 4.1. ფუნტს ზოგავს, რადგან ძალადობრივ კონფლიქტში ჩარევა მისი დაწყების შემდეგ გაცილებით ძვირი ჯდება.

მსგავსი ინსტიტუციონალური წინ გადადგმული ნაბიჯები შეიმჩნევა „აფრიკის კავშირის“ მშვიდობის, უსაფრთხოებისა და დროული გაფრთხილების არქიტექტურაშიც. ამ ახალი, მასშტაბური, მთელი კონტინენტის მომცველი პროექტის არსის პირველი განმარტება „მშვიდობისა და უსაფრთხოების საბჭოს“ 2003 წლის დეკემბრის პროტოკოლში გამოჩნდა, რომელშიც დადგენილი იყო „აფრიკის კავშირის“ მთავარი საყრდენები: „მშვიდობისა და უსაფრთოების საბჭო“, „ბრძენთაპანელი“ (Panel of the Wise) და „კონტინენტის დროული გაფრთხილების სისტემა“, „აფრიკის საყრდენი ძალა“ და „მშვიდობის ფონდი“ (Engel and Porto, 2010). „მშვიდობისა და უსაფრთხოების საბჭო“ „კონფლიქტების განჭვრეტისა და პრევენციის“ საგანგებო მანდატს ფლობს. „ბრძენთა პანელის“ მიზანია „აფრიკის კავშირის“ თავმჯდომარეს სათანადო რჩევა მისცეს კონფლიქტების პრევენციის საკითხებთან დაკავშირებით. „დროული გაფრთხილების სისტემა“ წარმოადგენს „... ჰიბრიდულ მოდულს, რომელიც კონფლიქტების ანალიზის რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს აერთიანებს“ (იქვე: 10). მართალია, „აფრიკის კავშირი“ რესურსების ნაკლებობას განიცდის და შეზღუდული ოპერატიული წვდომაც აქვს, მაგრამ ის, რომ მას მშვიდობის დაცვისა და კონფლიქტების პრევენციის საყრდენები აქვს, ერთ რამეზე მიუთითებს - აფრიკას განზრახული აქვს აფრიკულ

პრობლემებს აფრიკული გადაწყვეტა მოუძებნოს და ისეთი ნორმების ინსტიტუციონალიზაცია მოახდინოს, რომლებიც შესაბამისობაშია კოსმოპოლიტურ და კონტინენტურ მისწრაფებებთან და ამასთან ერთად აფრიკის კონფლიქტებისადმი მიდრეკილების გარდაქმნასაც ცდილობს.

აღიარებული ფაქტია, რომ კონფლიქტების პრევენციის შემთხვევაში რიტორიკის რეალობად გარდაქმნა საკმაოდ რთულია. გაეროს გამოცდილებით დადასტურებულია, რომ კონფლიქტების პრევენციის რიტორიკის პრაქტიკაში განხორციელება განსაკუთრებით რთულდება იქ, სადაც პრევენციული პროგრამების განსახორციელებლად მწირი რესურსები მოიპოვება. ალბათ როდესაც კოფი ანანი „პრევენციის კულტურის“ დანერგვის საჭიროებაზე საუბრობდა, გარკვეული ნორმების შექმნას გულისხმობდა. აკერმანი თვლის, რომ ნორმების დაწესება სამ ეტაპად მიმდინარეობს: ინფორმირებულობის გაზრდა და პროპაგანდა, აღიარების მოპოვება და ინსტიტუციონალიზაცია-ინტერნაციონალიზაცია (Ackermann, 2003:347). 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში კონფლიქტების პრევენციის ნორმების დანერგვა განვითარების მეორე ეტაპზე გადავიდა.

2001 წლის „გენერალური ასამბლეისა და უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციაში 1366“ ნათქვამი იყო, რომ წევრმა სახელმწიფოებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა კონფლიქტების პრევენციას მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ. ამას დიდი გამოხმაურება და სათანადო ღონისძიებების გატარებაც მოჰყვა. პასუხად დიდი რვიანის ქვეყნებმა 2001 წლის ივლისში მიიღეს „რომის ინიციატივა კონფლიქტების პრევენციის თაობაზე“, სადაც აქცენტი კეთდება ცეცხლსასროლ, ცივ და მსუბუქ იარაღზე,კონფლიქტური ზონებიდან მოპოვებულ ალმასებზე, კონფლიქტის ზონაში მყოფ ბავშვებზე, სამოქალაქო პოლიციაზე, კონფლიქტსა და განვითარებაზე, ქალთა როლზე და კერძო სექტორის წვლილზე კონფლიქტის პრევენციაში. იმავე წელს, გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ პოლიტიკის კოორდინირებულად გატარების მიზნით „კონფლიქტის გლობალური პრევენციის ერთიანი პროგრამა“ აამოქმედა, რომელშიც სამი დეპარტამენტი მონაწილეობდა: თავდაცვის სამინისტრო, საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი და საგარეო საქმეთა დეპარტამენტი (Kapila, Wermester, 2002). 2004 წელს პროგრამას ფრიად შეზღუდული რესურსები, სულ 74 მილიონი ფუნტი ჰქონდა, მაგრამ მისი რიტორიკა სრულიად ნათელი იყო. არასამთავრობო ორგანიზაციები, მათ შორის: „International Alert”, “The International Crisis Group” და “the European Center for Conflict Prevention” (რომლის მონაცემთა ბაზაში 2004 წელს აღრიცხული იყო კონფლიქტების პრევენციის 850 აქტიური ორგანიზაცია (www.euconflict.org)) იკვლევენ, პროპაგანდას უწევენ და ახორციელებენ კონფლიქტების პრევენციას,

ფოკუსი 5.1. კონფლიქტის პრევენცია ესტონეთში

1993 წელს ნარვას მოქალაქეების დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა ესტონეთიდან გამოყოფას. თითქმის ყველა მათგანი რუსი იყო, რომლებიც აღშფოთებულები იყვნენ იმ ფაქტით, რომ მათ თავიანთ ქვეყანაში მეორახარისხოვანი მოქალაქეებივით ექცეოდნენ. ესტონეთის მთავრობამ რეფერენდუმი კანონგარეშედ გამოაცხადა და საჭიროების შემთხვევაში შეიარაღებული ძალის გამოყენებითაც იმუქრებოდა და აცხადებდა, რომ ესტონეთის დაშლას არ დაუშვებდა. რუსების რაზმებმა შეიარაღება დაიწყეს, ხოლო რუსეთის პრეზიდენტმა კი განაცხადა, რომ საჭიროების შემთხვევაში კონფლიქტში ჩაერეოდა და რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებებს დაიცავდა. იმ დროს, როდესაც ჩიხში შესული მდგომარეობა კონფლიქტში გადაზრდის პირას იყო, საქმეში „ეუთოს“ უმაღლესი კომისარი, ვან დერ სტოლი ჩაერთო. ნარვას საქალაქო საბჭოსა და მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ, მან ნარვას საქალაქო საბჭოს შესთავაზა რეფერენდუმის შედეგები მისი მოქალაქეების მისწრაფებად გამოეცხადებინა, რომელსაც დაუყოვნებელი შედეგები არ მოჰყვებოდა. ესტონეთის მთავრობას კი მოუწოდა ძალის გამოყენების მუქარა შეეწყვიტა. მისი რჩევა გაითვალისწინეს; შეიარაღებული კონფლიქტი არ დაწყებულა .

ამ კონკრეტულ შემთხვევაში უმაღლესი კომისრის როლის შეფასებისას სხვა ფაქტორებიც უნდა გავითვალისწინოთ: რუსულენოვანი მოქალაქეების მობილიზაცია არ მომხდარა, რუსეთმა კონფლიქტში ჩარევა არ ისურვა, რადგან მიხვდა, რომ პროცესით დასავლეთი იყო დაინტერესებული; გასათვალისწინებელია ისიც, რომ ესტონეთის პოლიტიკურ სისტემას საკუთარ ქვეყანაში მიმდინარე დავის მოგვრება თავად შეეძლო . ესტონეთის საარჩევნო სისტემა პოლიტიკურ პარტიებს ფართო მასების მხარდაჭერისთვის ბრძოლის სტიმულს აძლევდა; რუსულენოვანი მოსახლეობის ინტერესების დამცველი და გამჟღერებელი ცენტრალური პარტია გახდა. ყოველივე ამან და ადგილობრივი მთავრობის მიერ მიღებულმა ზომებმა კონფლიქტის მართვა შესაძლებელი გახადა მიუხედავად იმისა, რომ მისი მოგვარება ვერ შეძლო. სტრუქტურულმა პრევენციამ, რომელსაც კონფლიქტის მართვის კონსტიტუციური უნარი ჰქონდა, „ეუთო-ს“ ჩარევამ, რომელსაც უმცირესობების მონიტორინგის უფლება გააჩნდა და მაქს ვან დერ სტოლის დიპლომატიურმა ჩარევამ პოტენციური კონფლიქტის თავიდან აცილება შეძლო.

კენია: შემთხვევის ანალიზი

კენიაში შიდა ეთნიკური კონფლიქტები მიმდინარეობდა, რომლის მიზეზიც დომინანტი ეთნიკური ჯგუფების მიერ სახელმწიფოს კონტროლი იყო. 1990-იანი წლების სტაგნაციური ეკონომიკა, ეკონომიკის ზრდის ტემპების კლება, რასაც თან ერთვოდა პერიფერიებში მიმდინარე კონფლიქტები (მაგ., პასტორალისტები ჩრდილო-აღმოსავლეთში) ქვეყნის სტაბილურობას საფრთხეს უქმნიდა. თუმცა 2002 წლის არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში მშვიდობიანად მოვიდნენ ოპოზიციური ძალები, რაც აფრიკისთვის უჩვეულოც იყო და მოულოდნელიც. მთავრობის ახალმა პოლიტიკამ, რაც უფასო განათლებას, სოფლის მეურნეობის კოოპერატივების ხელშეწყობას და კორუფციასთან ბრძოლას გულისხმობდა, თავდაპირველად გარკვეული დივიდენდები მოიტანა როგორც ეკონომიკური პროგრესის ასევე საერთაშორისო დახმარების კუთხით. ეთნიკური და ეკონომიკური უთანხმოებების მიუხედავად კენია მაინც ახერხებდა ფართომასშტაბიანი შიდა კონფლიქტის არიდებას მანამ,

სანამ 2008 წლის იანვარში ერთობ სადავო არჩევნების შემდეგ ძალადობამ არ იფეთქა. შემდეგ განვითარებული მოვლენები იყო ყველაფერი იმის ეფექტური გამოყენება, რაზეც ამ თავში ვისაუბრეთ: სწორად წარმართული, კრიზისის დასაძლევი დაუყოვნებელი მოქმედება, კონფლიქტის ნაციონალური მართვის სტრუქტურებისა და რეგიონალური შესაძლებლობების გამოყენება, რასაც ემატებოდა და ამყარებდა ადგილობრივი ინიციატივები.

2008 წელს, თემთა შორის დაწყებულ ძალადობრივ კონფლიქტში 1500 ადამიანი მოკლეს. შემდგომი ესკალაციისა და წინა პერიოდში მიღწეული შედეგების განადგურების საფრთხეც არსებობდა. მაგრამ ამ შემთხვევაში სიტუაციაგაეროს ყოფილი გენერალური მდივნის კოფი ანანის დროულმა ჩარევამ იხსნა, რომელმაც კენიის პრეზიდენტ მვაი კიბაკისა და „ნარინჯისფერი დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერ, რაილა ოდინგას შორის მოლაპარაკებების გამართვა და წარმოება საკუთარ თავზე აიღო. მოლაპარაკებების შედეგად ძალაუფლების გადანაწილებაზე შეთანხმდნენ, რამაც, თემთა შორისი დაძაბულობის მიუხედავად, სიტუაციის სტაბილიზაციის, პრევენციული ზომების გატარებისა და პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა შექმნა. საქმეში საერთაშორისო საზოგადოება ჩაერთო.

ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „აფრიკის კავშირმა“. ქვეყანაში „აფრიკის კავშირის“ მეთაური (პრეზიდენტი, განელი ჯონ კუფოური), სამხრეთ აფრიკის არქიეპისკოპოსი ტუტუ და აფრიკის ყოფილი სახელმწიფო და მთავრობის მეთაურთა ფორუმის წარმომადგენლები ჩავიდნენ და პოლიტიკურ ლიდერებს მოლაპარაკებისა და ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებისკენ მოუწოდეს. „აფრიკის კავშირის“ მანდატით მოქმედ „ცნობილ აფრიკელთა შემადგენლობის“ მეთაურად კოფი ანანი აირჩიეს. 2008 წლის 29 იანვარს „კენიის ნაციონალური დიალოგის და შერიგების“ (KNDR) ინიციატივა ამოქმედდა. შეთანხმებას ძალაუფლების გადანაწილების შესახებ 28 თებერვალს მიაღწიეს; კონფლიქტის მოგვარების გრძელვადიან პერსპექტივას კვლავაც „კენიის ნაციონალური დიალოგის და შერიგების“ ინიციატივა ხელმძღვანელობს. „ცნობილ აფრიკელთა შემადგენლობა“ კი „აფრიკის კავშირის“ ერთ-ერთი საყრდენის, „ბრძენთა შემადგენლობის“ ასლია.

მართალია, კონფლიქტის პრევენციის თავადაპირველი მიზანი მხოლოდ პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაცია იყო, მაგრამ მოგვიანებით მშვიდობის შენების მასშტაბური პროგრამის სახით ახალი ინიციატივა წამოიწყეს, რომლის მიზანიც კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების მოგვარება გახდა (ვისაუბრებთ მე-9 თავში). კენიაში მშვიდობის ინოვაციური მეთოდით (კიბერ სივრცის გამოყენებით) შენება დაიწყო. შეიქმნა პლატფორმა „უშაჰიდი“, რომელიც კენიელებს საშუალებას აძლევდა ძალადობის შემთხვევების რუკა მობილური ტელეფონების, ტექსტური შეტყობინებების (SMS), ელექტრონული ფოსტისა და ქსელის საშუალებით შეექმნათ და სამოქალაქო და არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ინფორმაცია სწრაფად და რეალურ დროში მიეწოდებინათ. სისტემა საგანგებოდ ინფორმაციის დროულად მიწოდების და დროული გაფრთხილების სისტემის ასამუშავებლად შეიქმნა. ტექნოლოგია ღია წყაროს პრინციპს ეფუძნება და მისი ადაპტირება და გამოყენება განსხვავებულ კონტექსტშია შესაძლებელი.

„გაეროს განვითარების პროგრამამ კენიისთვის“ (UNDP Kenya) მშვიდობის შენების სხვადასხვა მიდგომები გამოიყენა. მაგ., დაიწყო „ტულევინის“ ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 2007 წლის ოქტომბრიდან 2009 წლის დეკემბრამდე მშვიდობისა და კონფლიქტების მოგვარების თემაზე არაერთი ტრეინინგი ჩატარდა. პროგრამის ფარგლებში მშვიდობის შენების მიზნით რამდენიმე საფეხბურთო ჩემპიონატი და

სხვა სპორტული შეჯიბრებებიც გაიმართა; ურთიერთგაგების, კონფლიქტების მოგვარებისა და შერიგების ხელშესაწყობად გამოყენებული იქნა ადგილობრივი რადიოც.

ყოველივე ეს კი ალბათ მესამე თავში გამოთქმულ მოსაზრებას ფაქტებით ამყარებს იმის შესახებ, რომ ძალადობრივი კონფლიქტების სიხშირე მცირდება და ასევე იმასაც ამტკიცებს, რომ აფრიკული ომები დღეს გაცილებით მცირე ხანს გრძელდება ვიდრე ასეთი ომები საშუალოდ გრძელდება ხოლმე.

დასკვნა

ალბათ რთულია იმის ცალსახად მტკიცება, რომ კონკრეტული ძალადობრივი კონფლიქტის პრევენცია რომელიღაც კონკრეტული ინიციატივის შედეგია. ზემოთ, ამ თავში 1993 წლის ესტონეთის შემთხვევა განვიხილეთ, როდესაც კონფლიქტში ჩაერთო „ეუთოს“ უმაღლესი კომისარი ეროვნული უმცირესობების საკითხებში (HCNM). მაგრამ რამდენად დაბეჯითებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ სწორედ მისმა ჩარევამ აღკვეთა ძალადობრივი კონფლიქტი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საკმაოდ რთულ და სადავო სფეროში უნდა გადავინაცვლოთ, რომელზეც ბევრს მსჯელობენ ისტორიკოსები, ფილოსოფოსები და მეცნიერების ფილოსოფოსები - უნდა განვიხილოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და ჰიპოთეტური მდგომარეობა. იმისათვის, რომ ამ კონფლიქტის აღკვეთა ეუთოს წარმომადგენლის ჩარევას დავუკავშიროთ, უნდა მოგვეპოვებოდეს დამაჯერებელი ფაქტები, რომელთა საფუძველზეც დავასკვნიდით, რომ არსებული ფაქტორები ომის პრევენციისთვის თავისთავად საკმარისი არ იყო და რომ მისმა ჩარევამ არა მხოლოდ დაძაბულობის დეესკალაცია შეძლო არამედ მისი ომში გადაზრდის ალბათობა შეამცირა.

ამისდასხვამსგავსიმიზეზეებისგამორთულიშესაფასებელიარაშედეგიჰქონდაძალადობრივი კონფლიქტების პრევენციის ინტენსიურ ძალისხმევას ცივი ომის შემდგომ პერიოდში. შესაძლებელია, ესა თუ ის შემთხვევა ადასტურებდეს, რომ კონფლიქტების პრევენციის კონკრეტული ზომები ეფექტური იყო ამ კონკრეტული კონფლიქტის შემთხვევაში; მაგ., ევროკავშირის მიერ ჩატარებული ღონისძიებები მაკედონიაში, „ეუთოს“ როლი მოლდოვასა და თათრეთში, ან პრევენციული ზომები კენიაში, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. თუ საკითხს უფრო გლობალურად შევხედავთ, ფაქტების მიხედვით რაიმე კონკრეტული დასკვნის გამოტანა რთული იქნება. მე-3- თავში აღვნიშნეთ, რომ ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად, დიდი შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევები 1990-იანი წლების შუიდან მცირდება (იხ. ნახაზი 3.1), თუმცა არ არსებობს ფაქტები, რომლებიც იმის მტკიცების საფუძელს მოგვცემდა, რომ ახალი ომების რაოდენობა მცირდება (Hegre, 2004). რადგანკონფლიქტის პრევენციის ეგიდით განხორციელებულ ყველა ძალისხმევა ომის შემდგომი მშვიდობის შენების საქმეს ემსახურება, ალბათ არერეალისტური იქნება ვიფიქროთ, რომ ასეთი ზომები გლობალურ ცვლილებებს გამოიწვევს. მაგ., ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევით, რომლითაც შეისწავლიდნენ პრევენციული ზომების გავლენას კონფლიქტებზე, დადგინდა, რომ 1990-იან წლებში, როდესაც ეთნიკური ჯგუფები მთავრობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, დიმპლომატიურმა ჩარევამ და შემსუბუქებისკენ მიმართულმა ძალისხმევამ კონფლიქტების წარმოქმნის ალბათობა შეამცირა, ხოლო „კანფეტების“ დაპირებამ კი ესკალაციის პერსპექტივები გაზარდა (ობერგი, მოლერი და ვალნსტინი (2009)). პრევენციის მიზნით გატარებული ღონისძიებების ეფექტურობის დასადგენად უფრო მეტი და დეტალური კვლევაა საჭირო.

მოცემულ თავში თანამედროვე შეიარაღებული კონფლიქტების მიზეზები და პრევენციის საშუალებები განვიხილეთ. ე. ჯ. პ. ტეილორი თვლის, რომ რადგან ომებს ზოგადი და სპეციფიკური მიზეზები აქვთ, კონფლიქტების პრევენციის სისტემა უნდა ითვალისწინებდეს როგორც ზოგად პირობებს, რომლებიც ამა თუ იმ საზოგადოების კონფლიქტებისადმი მიდრეკილებას განაპირობებს, ასევე იმ პოტენციურ ფაქტორებს, რომლებიც ომისადმი მიდრეკილებას საომარ კონფლიქტად აქცევს. იმისათვის რომ კონფლიქტების სტრუქტურულმა პრევენციამ ახლად დაწყებული კონფლიქტები ადრეულ საფეხურზევე მოაგვაროს, მან საზოგადოებები კონფლიქტებისადმი ნაკლებ მიდრეკილი უნდა გახადოს. იმისათვის რომ კონფლიქტების ოპერატიული პრევენცია წარმატებული აღმოჩნდეს, მან კონფლიქტის არიდება უნდა შეძლოს, თუმცა აუცილებელი არ არის ის პირობები მოსპოს, რომელიც ამ საზოგადოების კონფლიქტისადმი მიდრეკილებას განაპირობებს(იხ. ცხრილი 5.2). ნათელია, რომ კონფლიქტების პრევენციისას საჭიროა როგორც მსუბუქი ასევე სიღრმისეული მიდგომების გამოყენება. ოპერაციული და სტრუქტურული პრევენციის ტიპებისა და მათი აქტორების მიმოხილვის შემდეგ, ამ თავის დასასრულს კიდევ ერთხელ განვიხილავთ თუ რამდენად მნიშვნელოვანია რეგიონალური და კონტექსტუალური ვარიაციების გათვალისწინება პრევენციული ღონისძიებების წარმატებით განხორციელებისათვის. ; ასევე შევეხებით იმ მიდგომებსაც, რომლებსაც ცივი ომის შემდგომი პერიოდიდან დაწყებული 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულის ჩათვლით იყენებდნენ.

ცხრილი 5.2. წარმატება და წარუმატებლობა კონფლიქტების პრევენციაში

	წარმატება	**წარუმატებლობა**
მსუბუქი ზომები	შეიარაღებული კონფლიქტი აცილებულია	შეიარაღებული კონფლიქტი
სიღრმისეული ზომები	ცვლილება მშვიდობიანი გზით	კონფლიქტისადმი მიდრეკილი სიტუაცია

მე-3- თავში აღვნიშნეთ, რომ განსხვავებული ტიპის სახელმწიფოებში სხვადასხვა ტიპის კონფლიქტების წარმოქმნის საშიშროება არსებობს. უკვე მრავალი წელია, რაც „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ წევრ ქვეყნებში სახელმწიფოს შიდა და სახელმწიფოთაშორის ომებს ადგილი არ ჰქონია. ამ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს შორის ომების აღკვეთას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საერთო ინტერესებისა და იდენტობის ქონამ, საერთაშორისო ინსტიტუტების არსებობამ, დავების მოგვარების მექანიზმებმა და უშიშროების საერთო ორგანოების წევრობამ. აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში ხანგრძლივი მშვიდობის პერიოდი საბჭოთა კავშირისა და ყოფილი იუოგოსლავიის დაშლით დასრულდა; დაიწყო ახალი კონფლიქტები, რომლებიც ძირითადად დამოუკიდებლობის მოპოვების და თვითგამორკვევის მიზნით მიმდინარეობდა; ახლა ამ ტერიტორიაზე კონფლიქტების რაოდენობა მცირდება. 1985 წლის შემდეგ შიდა ომები აღარ მომხდარა ლათინურ ამერიკაში. ახალი ომები იწყება და ძველები გრძელდება სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკასა და სუბსაჰარულ აფრიკაში. ეს უკანასკნელი ერთადერთია, სადაც შეიარაღებული კონფლიქტების დონე მატულობს.

კონფლიქტების პრევენციის შესაძლებლობები რეგიონების მიხედვით განსხვავდება. შესაძლებლობები არსებობს საერთაშორისო დონეზე (საერთაშორისო ინსტიტუტებისა და ნორმების სახით), სახელმწიფო დონეზე (სახელმწიფო ინსტიტუტების, პარლამენტებისა და

კანონების და ა.შ. სახით) და ქვე-სახელმწიფოებრივ დონეზე (ადგილობრივი საზოგადოების, სამოქალაქო ასოციაციებისა და ა.შ. სახით). როგორც ვნახეთ კონფლიქტების პრევენციის შესაძლებლობები გაცილებით მეტია ევროპაში, სადაც კონფლიქტების რისკი დაბალია; ეს შესაძლებლობები ნაკლებია იქ, სადაც მაღალია კონფლიქტების წარმოქმნის რისკი. კონფლიქტის პრევენციის ალბათობა ძალიან დაბალია, ან არ არსებობს ეკონომიკურ სტაგნაციის პირობებში მყოფ, წარუმატებელ სახელმწიფოებში, თუმცა, სომალის მაგალითი ცხადყოფს, რომ კონფლიტის პრევენცია ადგილობრივი საშუალებების გამოყენებით ასეთ შემთხვევაშიც კი შესაძლებელია (იხ. მე-8 თავი). რეგიონებს, რომლებიც მცირე ძალადობრივი კონფლიქტებით ხასიათდება და მათ, სადაც ნაკლები ენდემური ძალადობრივი კონფლიქტია ან საერთოდ არ არის, ერთმანეთისაგან მთელი რიგი ფაქტორები განასხვავებს, მათ შორის სტრუქტურული მიზეზების განსხვავებული კონფიგურაციები და კონფლიქტის პრევენციისათვის საჭირო ზომები.

ჩვენს მიერ განხილული მაგალითები ცხადყოფს, რომ კონფლიქტების პრევენცია ადვილი არ არის. ძალადობისა და ქაოსური ცვლილებების პირობებში პრევენციული ზომების გამოყენებით სასურველი შედეგის მიღწევა რთულია. თუმცა, მეორე მხრივ, იქ, სადაც პრევენციული ზომების გატარება დაიწყო და ხელსაყრელი გარემოებებიც შეიქმნა, მშვიდობის შენების კუმულატიური პროცესი სახეზეა. საჭიროა პრევენციის უნარის გაძლიერება და მისი კულტურის დანერგვა, რისთვისაც ახლად დაწყებული კონფლიქტის იდენტიფიკაცია, განხილვა და ტრანსფორმაციაა საჭირო.

რეკომენდირებული ლიტერატურა

Engel and Porto (2010); Hampson and Malone (2002); Leatheman et al., (1999); Lund (1996); Miall (2007); Rubin and Jones (2007); Wallensteen (1998); Woocher (2009); Zartman (2001).

მეექვსე თავი

ძალადობრივი კონფლიქტის შეჩერება: მშვიდობის დაცვა

ამ თავში განვიხილავთ კონფლიქტების მოგვარების როლს იმ გარემოში, რომელიც ყველაზე მეტი გამოწვევის წინაშე გვაყენებს - მძვინვარე კონფლიქტის ზონებში, სადაც ძალადობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და პრევენციის ზომებმა არ გაამართლა. 1.3. ნახაზზე გამოსახული ქვიშის საათის მოდელის განხილვისას აღვნიშნეთ, რომ რაც უფრო მეტია ძალადობა მით უფრო ძლიერი ჩარევაა საჭირო. ასევე ვთქვით, რომ კონფლიქტის ესკალაციის დროს მშვიდობის დაცვის ღონისძიებების გატარება მიზანშეწონილია სამი მიზნით: ძალადობის შეჩერება და მისი ომში გადაზრდის აღკვეთა; ინტენსიურობის შესუსტება და უკვე დაწყებული ომის გავრცელების გეოგრაფიული არეალისა და ხანგრძლივობის შეზღუდვა; ცეცხლის შეწყვეტის მიღწევა და ომის შემდგომი რეკონსტრუქციისათვის საჭირო პირობების შექმნა. ამათგან პირველი უკავშირდება იმას, რის შესახებაც მე-5 თავში ვიმსჯელეთ, მესამე იმას, რაზეც მე-8 თავში გვექნება საუბარი; მოცემულ თავში კი მათგან მეორეზე ვისაუბრებთ: მიმდინარე ომის გამანადგურებელი შედეგების შემცირების მიზნით განხორციელებული ჩარევა. . ამ შემთხვევაში ქვიშის საათის მოდელის იმ ნაწილში განთავსებულ შესაძლებლობებს განვიხილავთ, სადაც მისი ყელი ყველაზე ვიწროა და პოლიტიკური და ჰუმანიტარული ჩარევის შესაძლებლობა უკიდურესად შეზღუდულია. ამ შემთხვევაში გაეროსა და სხვა მშვიდობის დამცველების როლის ცვლილებაზე (უსაფრთხოების დერეფნის შექმნა) ვისაუბრებთ და იმასაც ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ამ დროს მშვიდობის დამცველებისროლს (ჰუმანიტარული დერეფნის შექმნა) არასამთავრობო ორგანიზაციები, გაეროს სამოქალაქო სააგენტოები და დახმარების სააგენტოები ასრულებენ ხოლმე. ყველა ამ სააგენტომ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს იმ პოლიტიკური ამოცანების შესამსუბუქებლად, რომლებიც კონფლიქტის გადასაწყვეტად და მის მდგრად, მშვიდობიან პროცესში გადასაყვანადაა (პოლიტიკური დერეფნის შექმნა) საჭირო. მოცემულ თავში ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ საომარ ზონებში მომქმედი მშვიდობის დამცველები და სხვადასხვა ჰუმანიტარული და განვითარების სააგენტოები კარგად უნდა იცნობდნენ კონფლიქტების მოგვარების სფეროს. მშვიდობის დაცვა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თვით ნგრევის ყველაზე ინტენსიურ პერიოდშიც კი (იხ. ცხრილი 6,1).

ცხრილი 6.1. კონფლიქტის გავრცელების შეჩერება და მშვიდობის დაცვა

ფაზა	მშვიდობის დაცვის ფორმა	უარყოფითი როლი	დადებითი როლი
ძალადობა	პრევენცია (იხ. თავი 5)		
ომი	შეზღუდვა	გავრცელების ლიმიტირება	უსაფრთხო კორიდორის შექმნა
		ინტენსიურობის ლიმიტირება	ჰუმანიტარული კორიდორის შექმნა
		ხანგრძლივობის ლიმიტირება	პოლიტიკური სივრცის შექმნა
ცეცხლის შეწყვეტა	სტაბილიზაცია (იხ. თავი 8)		

თავდაპირველად განვიხილავთ მშვიდობის დაცვის, როგორც კონფლიქტების მოგვარების მექანიზმის, წარმოშობასა და განვითარებას; შევჩერდებით იმ პრინციპებსა და მეთოდებზე, რომლებიც მისი განვითარების ორ ფაზაში გამოიკვეთა. ამ ფაზებს პირველი და მეორე თაობის მშვიდობის დაცვის მისიებსუწოდებენ. შემდეგ ვისაუბრებთ ომის ზონების დინამიკაში ჩატარებული კვლევების შესახებ (მშვიდობიან მოსახლეობაზე, როგორც სამიზნეზე, სოციალური და კულტურული ინსტიტუტების მოშლასა და მთვარსარდალთა შეუპოვრობაზე), რამაც იმდენად სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა 1990-იანი წლების მეორე თაობის მშვიდობის დამცველები, რომ, ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, ისინი უმწეოები აღმოჩნდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვისა და მშვიდობის აღდგენის საქმეში. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვაკვირდებით თუ როგორ მოხდა მშვიდობის დაცვის ადაპტირება და კონფლიქტების მოგვარების ისეთ ინტერვენციულ მექანიზმად ქცევა, რომელიც 21–ე საუკუნის გამოწვევებს პასუხობს. მესამე თაობის ოპერაციებს ზოგჯერ „მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციებს“ (Peace Support Operations (PSO)) უწოდებენ ან უფრო გავრცელებულია მათი „სამშვიდობო ოპერაციების“ (peace operations) სახელით მოხსენიება; მათ ამგვარად უფრო შეზღუდული ბუნების მქონე ტრადიციული მშვიდობის დაცვისგან განასხვავებენ. თუმცა, ალექს ბელამი და პოლ უილიამსი კი თვლიან, რომ ტერმინები „მშვიდობის დაცვა“ და „სამშვიდობო ოპერაციები“ ურთიერთჩანაცვლებადია.

> *ახლა როდესაც ხუთი წელია გასული წიგნის „რას ნიშნავს მშვიდობის დაცვა“ გამოსვლიდან, ჩვენ კვლავაც დარწმუნებულები ვართ, რომ სამშვიდობო ოპერაციები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს შეიარაღებული კონფლიქტების მართვის, სტაბილური მშვიდობის შენარჩუნებისა და საფრთხის ქვეშ მყოფი მოსახლეობის დაცვის საქმეში. (2010:10).*

საქმე იმაშია, რომ სამშვიდობო ოპერაციების ფარგლები გაცილებით ნაკლებად არის დადგენილი ვიდრე ტრადიციული მშვიდობის დაცვისა. მშვიდობის დაცვასა და მშვიდობის იძულებით დამყარებას შორის არსებული გამყოფი ზოლი ცოტა არ იყოს ბუნდოვანია (როგორც გაეროს მიერ წარმოებულ მშვიდობის დაცვას და არა-გაეროს მიერ წარმოებულს შორის), ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როცა სამშვიდობო ოპერაციები საომარი მოქმედებების ქარცეცხლში გახვეულა (მაგ., ავღანეთსა და ერაყში). ამ თავის მიზანია განვსაზღვროთ რა პირობებში უხდებათ საქმიანობა მესამე თაობის მშვიდობის დამცველებს და როგორ უნდა გაამართლოს მან თავისი სახელი. მოცემულ თავში სიტუაციის ანალიზის სახით მოკლედაა განხილული საერთაშორისო ჩარევის შემთხვევა სომალიში, სადაც ძალადობრივი კონფლიქტი აგერ უკვე თითქმის ოცი წელია გრძელდება. თავის დასასრულს განვიხილავთ დღესდღეობით არსებულ პოლიტიკურ მოსაზრებებს მშვიდობის დაცვის შესახებ და შევეცდებით დავადგინოთ რა წვლილის შეტანა შეუძლია მასში კონფლიქტების მოგვარებას.

გაეროს პირველი და მეორე თაობის მშვიდობის დაცვა, 1956-1995

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის დაცვასა და კონფლიქტების მოგვარებას, როგორც აკადემიურ დარგს, კონცეპტუალურად ბევრი რამ აქვთ საერთო; ორივე - თეორიულიც და პრაქტიკულიც დაახლოებით ერთსა და იმავე დროს, 1950-იან წლებში წარმოიშვა, ე.ი. მაშინ, როდესაც კონფლიქტების მოგვარების პირველი ცენტრები და ჟურნალები არსდებოდა (იხ. მე-2 თავი). ამ დროს გაეროს გენერალური მდივანი დაგ ჰამარსკიოლდი და გაეროს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტი ლესტერ პიარსონი მშვიდობის დაცვის ძირითად პრინციპებს ადგენდნენ, რომელთა მიხედვითაც 1956 წელს სუეცის კრიზისის პასუხად შექმნილ „გაეროს საგანგებო ძალებს“ (United Nations Emergency Force (UNEF I)) უნდა

ემოქმედათ. გაეროს ქარტიაში არაფერია ნათქვამი მშვიდობის დაცვის შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ქარტიის მეექვსე (დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა) და მეშვიდე თავებს (იძულებითი აღსრულება) შორის მოქმედებს და „ექვსნახევარი თავია“. ადრეულ 1990-იან წლებში შემუშავებული „მშვიდობისპროგრამა“ (An Agenda for Peace) კონკრეტულ შემთხვევებში ცდილობდა გვერდი აევლო თანხმობის საჭიროებისა და ძალის მინიმალურად გამოყენების პრინციპისათვის; 1990-იან წლებამდე მშვიდობის დაცვის არსს განსაზღვრავდა „გაეროს საგანგებო ძალების I“ (UNEF I) პრინციპები, რასაც საფუძვლად ედო:

- კონფლიქტის მხარეების თანხმობა;
- პოლიტიკური ნეიტრალიტეტი (არ უნდა მიმხრობოდა არც ერთ მხარეს);
- მიუკერძოებლობა (მანდატისადმი ერთგულება);
- ძალის გამოუყენებლობა თუ ეს საჭირო არ იყო თავდაცვის მიზნებიდან გამომდინარე;
- ლეგიტიმურობა (სანქცირებული უსაფრთხოების საბჭოს მიერ (გენერალური მდივნის რჩევით) და ანგარიშვალდებული მის წინაშე).

ცივი ომის პერიოდში მშვიდობის დაცვის 13 ოპერაცია განხორციელდა, ძირითადად სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებში (თუმცა 1960-1964 წლების კონგოს შემთხვევა გამონაკლისს წარმოადგენდა). მათი მთავარი ფუნქცია საზღვრების მონიტორინგი და ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ ბუფერული ზონების შექმნა იყო. მისიებში ძირითადად ევროკავშირის მცირე და ნეიტრალური სახელმწიფოების მსუბუქად შეიარაღებული ჯარისკაცები მონაწილეობდნენ. ასეთი იყო პირველი თაობის მშვიდობის დაცვა.

ცხრილი 6.2. გაეროს მშვიდობის დაცვის ზრდა

	1988	1992	1994	2000	2004	2008
აქტიური მისიების რაოდენობა	5	11	17	14	16	17
ჯარების გამგზავნი ქვეყნების რაოდენობა	26	56	76	89	103	121
სამხედრო და პოლიცია	9,605	11,650	75,523	37,338	62,271	87,637
საერთაშორისო სამოქალაქო პერსონალი	1,516	2,606	2,260	3,243	3,949	2,606
გაეროს წლიური მშვიდობის დაცვა $ მილიარდებში	2,30	1,69	3,61	2,22	4,5	7,4

წყარო: UNDPKO

ცივი ომის დასრულებისთანავე გაეროს მშვიდობის დაცვის საქმიანობა სწრაფად, მოულოდნელად და გასაოცრად გაფართოვდა, რადგან საერთაშორისო საზოგადოება ისეთი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, რომელსაც პირველი თაობის მშვიდობისმყოფელები არც იცნობდნენ. (იხ. ცხრილი 6.2).

1990-იან წლებში მშვიდობის დაცვის ოპერაციების რაოდენობრივი ზრდის პარალელურად ამ ოპერაციების ბუნება, ფუნქცია და შემადგენლობაც შეიცვალა. ეს მეორე თაობის

მშვიდობის დაცვა იყო. ახლა ტრადიციული მშვიდობის დამცველებისაგან განსხვავებით, მათი ამოცანა მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევა აღარ იყო; უამრავი სხვა ამოცანაც ჰქონდათ: უსაფრთხოება, ჰუმანიტარული და პოლიტიკური მიზნები. ცივი ომის შემდგომი მშვიდობის დაცვის ოპერაციები უფრო მრავლმხრივი და კომპლექსური გახდა: მშვიდობის დამცველები ახლა სხვადასხვა სფეროს (სამხედროები, სამოქალაქო პოლიცია და დიპლომატია), სახელმწიფოს და კულტურის წარმომადგენლები იყვნენ.მეორე თაობის მშვიდობის დაცვა მულტილატერალური, მრავალგანზომილებიანი, მრავალეროვნული/ მულტიკულტურული იყო. 1990-იან წლებში იმ ქვეყანათა რიცხვი, რომლებსაც მშვიდობის დაცვაში საკუთარი წვლილი შეჰქონდათ გასამმაგდა. 1980-იანი წლების მიწურულს ამ ქვეყნების რიცხვმა 26-ს მიაღწია და ზრდას სტაბილურად განაგრძობდა. სულ მალე გაეროს წევრი ქვეყნების ნახევარი მშვიდობის დაცვის მისიებში მონაწილეობის მისაღებად საკუთარ ძალებს გზავნიდა. სამშვიდობო მისიებში შეტანილი წვლილით ახლა უკვე არა მხოლოდ მცირე ზომის, ნეიტრალური სახელმწიფოები (მაგ., კანადა, ირლანდია და სკანდინავია) გამოირჩეოდნენ, არამედ სამშვიდობო საქმიანობაში უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი ქვეყანა და აზიის (ბანგლადეში, პაკისტანი, ინდოეთი) და აფრიკის (ნიგერია, ეთიოპია, განა) სახელმწიფოებიც (Cunliffe, 2009)ჩაერთვნენ. . საერთო ჯამში „გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დაწყების შემდეგ მის მისიებში მონაწილეობის მისაღებად სამხედრო და საპოლიციო პერსონალი მისმა 130-მა წევრმა სახელმწიფომ გაგზავნა“, ჯამში „გაეროს დროშის ქვეშ მილიონი კაცი საქმიანობდა“ (Bellamy and Williams, 2010:58). ბევრს გაუჩნდა იმედი, რომ ბოლოს და ბოლოს გაერო თავის სრული პოტენციალით ამოქმედდებოდა.

როგორც ცხრილი 6.2.-დან თვალნათლივ ჩანს 1990-იან წლების შუიდან გაეროს მიმართ გაჩენილი დიდი ნდობა, ათწლეულის დასასრულს თანდათან გაილია. შემცირდა ჯარების რაოდენობა, ასევე იკლო მშვიდობის დაცვისთვის გამოყოფილმა ბიუჯეტმა (თუმცა არ შემცირებულა იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც მისიებში საკუთარ ძალებს გზავნიდნენ). ხშირ შემთხვევაში მშვიდობის დამცველები დაუძლეველი პრობლემების წინაშე იდგნენ და ვერც მშვიდობიანი მოსახლეობის, ჰუმანიტარული მისიების წარმომადგენლების და ზოგჯერ ვერც საკუთარითავის სათანადოდ დაცვას ვერ ახერხებდნენ. ეს ასე მოხდა ყოფილ იუგოსლავიაში, რუანდის გენოციდისა და სომალიში განვითარებული მოვლენების დროს.

1993 წელს სომალიში განცდილი მარცხის შემდეგ, როდესაც UNOSOM IIმისიაში მონაწილე 18 ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს და საჯაროდ შეურაცხყვეს, აშშ-ს ჯარების მასშტაბური მონაწილეობა გაეროს ეგიდით წარმოებულ მისიებში ფაქტობრივად გამოირიცხა. ამ ათწლეულის დასასრულს გაერომ გამოაქვეყნა ანგარიში კიდევ ორი სხვა შემთხვევის შესახებ, რომელიც მის მიერ კონფლიქტების მოგვარების კუთხით გაწეული ძალისხმევის ყველაზე დიდ წარუმატებლობად ითვლება. 1994 წლის აპრილიდან ივლისამდე რუანდის გენოციდის დროს 800 000 ადამიანი მოკლეს მაშინ, როცა რუანდაში გაეროს სამშვიდობო მისია (UNAMIR) იმყოფებოდა; თუმცა, მისიის შემადგენლობა რიცხობრივად შემცირებული იყო და ხოცვა-ჟლეტის შეჩერების არანაირი ბერკეტი არ ჰქონდა. მეთაური დაჟინებით ითხოვდა მისიის მიმდინარე მოვლენებში ჩარევას, მაგრამ უშიშროების საბჭომ სომალიში განცდილი მარცხიდან ასე სწრაფად ჩარევა არამიზანშეწონილად მიიჩნია. ამ ამბებიდან ერთი წლის თავზე, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში განხორციელებულ ყველაზე საზარელ საომარ დანაშაულში, ბოსნიის მუსლიმური ქალაქი სერბი სამხედროების წინაშე დაეცა, სადაც 8000 მუსლიმი პირდაპირ გაეროს მშვიდობის დამცველების თვალწინ მოკლეს; გაეროს ძალები ამ ტერიტორიაზე ერთი წლით ადრე, მაშინ ჩააყენეს, როდესაც სრებენიკა 1993 წელს უსაფრთხო ზონად გამოცხადდა (უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუცია

819, 18 აპრილი). ამ მოვლენების შემდეგ გაეროს ორ ანგარიშში ცალსახად იყო ნათქვამი, რომ მთელი მოსახლეობის მკვლელობის, გაძევების და დატერორების პირობებში, გაეროს ნეიტრალური, მიუკერძოებელი მედიატორის როლი არასაკმარისი იყო. ორივეანგარიშში საუბარი იყო გაეროს ქმედუნარიანობის გაზრდის საჭიროებაზე, რაც მას საშუალებას მისცემდა სათანადო რეაგირება მოეხდინა სხვადასხვა ტიპის კონფლიქტებზე.

როდესაც 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ უსაფრთხოების კუთხით ახალი გამოწვევები დადგა, რასაც ავღანეთსა და ერაყში შეჭრა მოჰყვა, მსოფლიო ორგანიზაცია კიდევ უფრო მარგინალიზებულიაღმოჩნდა.

საომარი ზონები, ომისდროინდელი ეკონომიკა და ძალადობის კულტურა

კონფლიქტების მოგვარებისას ყველაზე მეტი გამოწვევის წინაშე ისეთ შემთხვევებში აღმოჩნდებიან ხოლმე, როდესაც მშვიდობიანი მოსახლეობა ვარლორდების და მილიციის ძალა-უფლების ქვეშ იმყოფება. ასეთ სიტუაციებში „არ განასხვავებენ მებრძოლებსა და მშვიდობიან მოქალაქეებს, არ არსებობს ქალების, ბავშვებისა და მოხუცების დანდობის ვალდებულება და საფრთხე ემუქრება ყველა ფასეულ ინსტიტუტსა და მთელი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას“, ხოლო მიზანი კი არის „ისეთი საერთო შიშის დათესვა, რომელიც ყველა სოციალური ურთიერთობის ქსოვილში აღწევს... და სოციალური კონტროლის საშუალება ხდება“ (Summerfield, 1996:1). მშვიდობიანი მოსახლეობა და ჰუმანიტარული დახმარების პერსონალი ასეთი ომების სამიზნეა და არა მათი შემთხვევითი მსხვერპლი. პირველ მსოფლიო ომში საომარი მოქმედებების მსხვერპლის 80 პროცენტი მებრძოლები იყვნენ; 1990-იან წლებში კი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის უფრო მეტი იყო; ეს ადამიანები საკუთარ სახლებსა და საცხოვრებელ ტერიტორიაზე ამოხოცეს, რადგან სწორედ ეს ადგილები იქცა ბევრი თანამედროვე ომის ბრძოლის ველად. როგორც ნორდსტრომი აღნიშნავს, თანამედროვე ომებში ყველაზე ნაკლებ საშიში ადგილი სამხედრო დანაყოფებია (1992: 271). დღესდღეობით მილიციის შენაერთები, პარამილიტარისტები, ვარლორდები და არმიები, რომლებიც რესურსების ხელში ჩაგდებას ძარცვა-რბევით, ტერორითა და ძალის გამოყენებით ცდილობენ, იმ „ბინძური ომის“ სტრატეგიებს იყენებენ, რომლებიც ერთ დროს სახელმწიფო სპონსორობით განხორციელებულ ტერორიზმს უკავშირდებოდა,. საფრთხეები, რომლებიც მშვიდობიან მოსახლეობას ემუქრება, მეტად გაიზარდა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენათა შემდეგ, როდესაც საერთაშორისო საზოგადოება გლობალური ტერორიზმისა და თვითმკვლელი ტერორისტების იერიშების საფრთხის წინაშე დადგა (2002 წელს განხორციელებულ 190-მდე ტერორისტულ აქტს 7 000 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა).

თანამედროვე ომებში ასეთი უგუნური და ირაციონალური ძალადობის გამოვლინება ძველი სიძულვილის გამოძახილი ხომ არ არის, როგორც ზოგიერთი მიიჩნევს? ან იქნებ ტომობრივ ომებზე გადავდივართ და შუასაუკუნეების ომებს ვუბრუნდებით? (Kaplan, 1994). ან იქნებ ამ ყველაფერს უფრო სისტემატიური ახსნა მოეძებნება ? ისეთი, როგორსაც რადიკალური პოლიტიკური ეკონომიის თვალსაზრისის და ანთროპოლოგიური და პოლიტიკური მეცნიერებების გადმოსახედიდან გვთავაზობენ. კონფლიქტების მოგვარების ღონისძიებები დიდადაა დამოკიდებული იმაზე თუ რა პასუხს გავცემთ ამ კითხვებს.

უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბებულ მოდელში (რომელზეც სათანადო დოკუმენტაცია არსებობს) - მაგ., აფრიკის ისეთ ნაწილებში როგორიცაა ტიგრაის რეგიონი, ერიტრეა, სამხრეთ და დასავლეთ სუდანი, ჩრდილოეთ უგანდა, ანგოლა და სომალი - გავრცელებულია მიწების

გადაწვის ტაქტიკა, იტაცებენ პირუტყვს, აჩანაგებენ და იპარავენ მარცვლეულის მარაგს, წამლავენ ჭებს და წყლის მარაგებს. გამუდმებით მიმდინარეობს მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება, რაც ზრდის მათ დამოკიდებულებასა და მეტი კონტროლის საშუალებასაც იძლევა. ისეთმა აქტორებმა, როგორიებიც არიან, საერთაშორისო ნარკო კარტელები ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, თალიბანი ავღანეთში, ამბოხებულთა დაჯგუფებები დასავლეთ აფრიკაში, ჩრდილოვანი ეკონომიკაშექმნეს, ვაჭრობენ ისეთი ძვირფასი რესურსებით როგორიცაა: მერქანი, ალმასი, ნარკოტიკები და ა.შ. წითელი ქმერების ხელმძღვანელმა პირებმა კამბოჯაში, ტაილანდის საზღვარზე ხე-ტყისა და ძვირფასი ქვების კონტრაბანდით იმდენად მოითბეს ხელი, რომ ძალთა დემობილიზაციის არანაირი სურვილი არ გააჩნდათ მიუხედავად იმისა, რომ ეს 1991 წლის „პარიზის სამშვიდობო შეთანხმებით“ იყო გათვალისწინებული. ; არსებობს იმის მტკიცებულებაც, რომ „წითელი ქმერები“ და კამბოჯას ჯარები ამ საქმიანობით ერთობლივად ითბობენ ხელს (Keen, 1995). მართალია, ეს ყველა შიდა კონფლიქტს არ ეხება, მაგრამ ისეთი ომის ეკონომიკაც არსებობს, რომლებშიც მშვიდობიანი მოქალაქეები „რესურსების ბაზად აღიქმებიან, რომლებსაც სადაც მოუნდებათ იქ გარეკავენ, გაძარცვავენ ან განწმენდენ“ (Duffield, 1997:103). იტაცებენ ჰუმანიტარულ და განვითარებისთვის განკუთვნილ დახმარებას; იტაცებენ, მძევლებად აჰყავთ ან ხოცავენ ჰუმანიტარული სამსახურების თანამშრომლებს. ეს ომები სარფიანი და რაციონალურია მათთვის, ვისაც შეუძლია ამ მდგომარეობით ისარგებლოს და მზად არის ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ძალადობრივ მეთოდებსაც მიმართოს (Keen, 2008).

ალბათ, ახლა მიზანშეწონილი იქნება სხვა კუთხით შევხედოთ იმ ფაქტორების ეკონომიკურ ანალიზს, რომლებიც ამ ენდემურ ომებს (რომლებსაც ზოგჯერ შეცდომით „ახალ ომებს“ უწოდებენ ხოლმე) განგრძობის საშუალებას აძლევს.(Munkler, 2005; Kaldor, 2006). ზემოთ ისიც აღვნიშნეთ, რომ კოლიერმა და მისმა კოლეგებმა მსოფლიო ბანკიდან, „სამოქალაქო ომის, დანაშაულისა და ძალადობის ეკონომიკის“ პროექტზე მუშაობისას ფრიად საყურადღებო მოსაზრებები წამოაყენეს იმ სირთულეებთან დაკავშირებით, რომელთა წინაშეც მშვიდობის დამცველები და კონფლიქტის ზონებში დასაქმებული სხვა ადამიანები აწყდებიან (Collier et al., 2003). ამ თვალსაზრისით სამოქალაქო ომთა დიდი უმრავლესობის მიზეზი იდეოლოგია ან უკმაყოფილება კი არა სიხარბე და მტაცებლობაა. მესამე და მეოთხე თავებში აღვნიშნეთ, რომ ჭეშმარიტი იდეოლოგიური და იდენტობის საკითხებით გამოწვეული კონფლიქტების მიზეზი არსებული სახელისუფლებო სტრუქტურების უნიათობა ხდება ხოლმე, რადგან ისინი თავიანთი მოქალაქეების ლეგიტიმური პოლიტიკური მისწრაფებებისა და მათი სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ვერ ახერხებენ; აღვნიშნეთ ისიც, რომ დიდი, შეიარაღებული კონფლიქტების უმრავლესობის დინამიკა მხოლოდ ეკონომიკური მოტივებით არ აიხსნება. შედარებით მყიფე „კვაზი-სახელმწიფოებში“ კი, სადაც ფორმალური სტრუქტურები შესუსტდა, ხოლო ომის ეკონომიკა კი ენდემურად იქცა, ასეთი ანალიზი შთამბეჭდავ შედეგებს იძლევა. კუპერი (2001) აცხადებს, რომ კონფლიქტის საქონლით ვაჭრობა, რომელიც სიმდიდრის დაპატრონებისა და აქედან გამომდინარე იარაღის ყიდვის შესაძლებლობას იძლევა, მნიშვნელოვნად ართულებს მშვიდობის დაცვისა და შენების პროცესს ამგვარი კონფლიქტის ზონებში.. იგი თვლის, რომ ისეთი სტრატეგიების შემუშავება, რომლებიც კონფლიქტის საქონლით ვაჭრობას აკრძალავს (მაგ., სიერა ლეონეში ალმასებით ვაჭრობის აკრძალვა) შესაძლოა ისეთივე მნიშვნელოვანი იყოს, როგორც ის პროგრამები, რომელთა პრიორიტეტიც სამშვიდობო პროცესებში იარაღის კონტროლი და განიარაღებაა. კონფლიქტის საქონლის კონტროლის პროგრამების შემუშავება ჯერ ჩანასახოვან ეტაპზეა, თუმცა მათზე სულ უფრო მეტს ლაპარაკობენ და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კონფლიქტის სტაბილიზაციის ადრეულ ეტაპზევე ყურადღება უნდა მიექცეს მათ, ვინც საომარ ეკონომიკაზე ხელს ითბობს და მის გასახანგრძლივებლად ყველა ღონეს ხმარობს.

ამის მისაღწევად ნელ–ნელა იქმნება სტრატეგია და პოლიტიკა, რომლის აღსრულება მთავრობას, რეგიონალურ ორგანიზაციებსა და გაეროს დაეკისრება. ამ სტრატეგიებისა და პოლიტიკის ჩამოყალიბებისას მკვლევრები ხშირად საუბრობენ იმ როლზე, რომელსაც ისინი მშვიდობის დამცველთა საქმიანობაში შეასრულებენ. ზოგიერთთა აზრით, გაეროს სამშვიდობო ოპერაციების მანდატი კონკრეტული კონფლიქტის ეკონომიკური რეალობის გათვალისწინებით უნდა შეიქმნას, რაც მშვიდობის დამცველებს საშუალებას მისცემს რესურსებით მდიდარი ადგილები გააკონტროლონ; რის შედეგედაც აღარ მოხდება ამ რესურსების უკანონო ექსპლუატაცია და კონტრაბანდის სახით ქვეყნის ფარგლებს გარეთ გატანა; რაც იმას ნიშნავს, რომ მასზე ხელს ვეღარ მოითბობენ ის ელემენტები, რომლებსაც ამ კონფლიქტის გაგრძელება ხელს აძლევთ. მაგალითად, გაეროს მიერ სიერა ლეონეში განხორციელებული ოპერაციის დროს (UNAMSIL), მშვიდობის დამცველები კონგოს ალმასების რეგიონში ჩააყენეს, რის შედეგადაც ასეთი საქმიანობა აღიკვეთა (Wilton Park Conference, 2003).

ოუტრამი ლიბერიის სამოქალაქო ომის ანალიზში აღნიშნავს, რომ ეკონომიკური დატაცების ასეთი თეორიები სიღრმისეული არ არის, რადგან ისინი ამ ომების ძალადობის ფარგლებსა და მათ აბსურდულობას ვერ ხსნიან. ეს ძალადობა იმ ფარგლებს სცდება, რაც ეკონომიკური სარგებლის სახით შეიძლება იქნას მიღებული, რადგან რაციონალურად მოაზროვნე ვარლორდები ოქროს კვერცხის მდებელ ბატს საკუთარი ხელით არ მოკლავენ. ყოველივე ამის ასახსნელად ეკონომიკურ მოტივებთან ერთად სოციალურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისის გათვალისწინებაც საჭიროა. აკუმულირებულმა შიშმა ლიბერიაში ადამიანები უფრო შორს წაიყვანა ვიდრე „ეთნიკური მტრის“ ხოცვაა , ეს ზოგადი შურისძიება იყო რომელსაც ადრესატი არ გააჩნდა. (Outram, 1997:368). ამ ფენომენს უკეთ ჩავწვდებით თუ ნორდსტრომის მოსაზრებასაც განვიხილავთ. ოუტრამი ერთმანეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფ მხარეებსა და მათ მიერ შექმნილ პოლიტიკურ ეკონომიას იკვლევდა, ხოლო ნორდსტრომი კი ძირითადად ძალადობის მსხვერპლს სწავლობდა. მოზამბიკსა და შრი ლანკაში ჩატარებული კვლევით მან აბსურდული დესტრუქციისა და ტერორის გამოყენების შემთხვევები შეისწავლა და შემდეგ დასკვნამდე მივიდა - ეს ყოველდღიური ყოფის მოსპობის მიზანმიმართული ძალისხმევა იყო (Nordstrom, 1992:269). ამ პროცესში „ბინძური ომი“ იმ საშუალებად იქცევა, რომლითაც ძალადობის ეკონომიკა „ძალადობის კულტურას“ (როგორც მას ნორდსტრომი უწოდებს) ერწყმის. მისი თქმით: „ძალადობა ძალა-უფლების პარალელურია“ და ხალხს აღარ აქვს სხვა გამოსავალი, მათ „ძალაზე დაფუძნებული ფუნდამენტალური ცოდნის კონსტრუქტები“ უნდა მიიღონ (იქვე). ეს მშვიდობის დამცველებმაც უნდა გაითვალისწინონ და ყველა იმან, ვინც კონფლიქტის მოგვარების მიზნით აქტიურ საომარ ზონაში მიდის. სტასის კალივასი პოლიტიკური მეცნიერების თვალსაზრისიდან მსჯელობს (2006:17) და აცხადებს, რომ სამოქალაქო ომი „სუვერენული ერთობის დაპირისპირებულ შეიარაღებულ ბანაკებად ძალადობრივი გზით დაყოფაა“. თითოეული ბანაკი სახელმწიფოს შენების ისეთი პროექტის განხორციელებას ცდილობს, რომელშიც მოქალაქეთა მართვას თვითონ შეძლებს. მოქალაქეებზე ძალადობრივი იერიში ტერიტორიის კონტროლის ხელში ჩასაგდებად მიმდინარე ბრძოლის ნაწილია. კალივასი ძალადობის ხარისხის გეოგრაფიული განსხვავების მიზეზად იმ კონტროლის დონეს მიიჩნევს, რომელიც თითოეულ ბანაკს ამა თუ იმ ტერიტორიაზე გააჩნია. თავისი თეორიის ტესტირებას კი საბერძნეთის სამოქალაქო ომისა და სხვა კონფლიქტების მიკრო დონის მაგალითების მიხედვით ცდილობს. მისი მტკიცებით, მშვიდობიან მოსახლეობაზე ყველაზე დიდი ძალადობა არც საბაზო ტერიტორიაზე ხდება, სადაც კონტროლი უდავოდ რომელიმე ერთი ბანაკის ხელშია, და არც წინა ხაზზე, არამედ შუალედურ ტერიტორიებზე, რომელსაც დომინანტი მხარე მხოლოდ ნაწილობრივ აკონტროლებს. თითოეული ბანაკი მიმართავს

შერჩევით ძალადობას და ცდილობს არ დაუშვას მშვიდობიანი მოქალაქეების იმ მხარეს გადასვლა, რომლის სრული კონტროლიც მის ხელთ არ არის. ამ ძალადობის თანამონაწილე ხდება მშვიდობიანი მოსახლეობაც, რომელიც მოწინააღმდეგეთა ძალების ხარჯზე საკუთარი ანგარიშების გასწორებას ცდილობს და თავისი ტყავის გადასარჩენად სხვებს სწირავს, რაც მიკრო დონეზე უსაფრთხოების დილემას ამწვავებს. განურჩეველი ძალადობა, რომელიც მოქალაქეებს დამნაშავეთა დაქვემდებარების სურვილს უკარგავს, იმ ტერიტორიებზე იჩენს ხოლმე თავს , რომელსაც დამნაშავე ვერ აკონტროლებს. როგორც კალივასი (2006:389) აღნიშნავს „ომის მსვლელობის პროცესში მუდმივად იქმნება და ფორმას იცვლის კოლექტიური და ინდივიდუალური პრეფერენციები, სტრატეგიები, ღირებულებები და იდენტობები."

ომის ზონებში მუშობა სერიოზული გამოწვევების წინაშე აყენებს მათ, ვინც მასში კონფლიქტის მოგვარების მიზნით ერთვება; ანალიტიკოსები კარგად უნდა იცნობდნენ ამ ომების კონკრეტულ დინამიკას. ჰუმანიტარულ ჩარევასთან დაკავშირებით უკვე აღვნიშნეთ, რომ ასეთ დროს საჭიროა ჰუმანურობის, მიუკერძოებლობის, ნეიტრალიტეტისა და უნივერსალური პრინციპების დაცვა და ისიც დავძინეთ, რომ აქტიური კონფლიქტის პოლიტიზირებულ გარემოში ამის მიღწევა საკმაოდ რთულია (Ramsbotham and Woodhouse, 1996). ყოველივე ეს უნდა გაითვალისწინონ კონფლიქტების მომგვარებლებმა და არ უნდა შეწყვიტონ ეფექტური და საერთაშორისო ლეგიტიმაციის მქონე ანტიდოტის ძებნა იმ საშინელების დასაძლევად, რომელსაც ომი ჰქვია.

მესამე თაობის მშვიდობის დაცვა: რა ითვლება სამშვიდობო ოპერაციად?

ასეთი გამოწვევების ფონზე უხდებათ საქმიანობა მესამე თაობის მშვიდობის დამცველ მისიებს. ამ თაობის დოქტრინა პირველ რიგში შემდეგ კითხვაზე პასუხის გაცემას ითხოვს: შეუძლიათ კი ასეთ გარემოებებში რამე როლის შესრულება კონფლიქტის მოგვარების მიზნით გატარებულ ღონისძიებებს ან გაეროს მიერ წარგზავნილ მშვიდობის დამცველებს? ეგებ ეს ძალისხმევა კონტრ-პროდუქტიულიც კი აღმოჩნდეს? ამ კითხვების პასუხად 1990-იანი წლების შუაში კრიტიკული მოსაზრებები გამოქვეყნდა აკადემიურ ლიტერატურაში, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა გაეროს მშვიდობის დაცვით ოპერაციებსაც და კონფლიქტების მოგვარების იმ მოდელსაც, რომლის მიხედვითაც ისინი იყოშექმნილი.

ზოგიერთი ომის ზონებში მიუკერძოებელი და არაიძულებითი ჩარევის ეფექტურობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა (Rieff, 1994). მათი აზრით უფრო გამართლებული იყო კონფლიქტების თავის ნებაზე მიშვება მანამ, სანამ „ისინი თავად არ განელდებოდნენ "; ზოგიერთთა აზრით კი, კონფლიქტში უფრო გაბედულად ჩარევა იყო საჭირო (Luttwak,1999, Betts, 1994). სხვები ამ ყოველივეს აკრიტიკებდნენ და თვლიდნენ, რომ ეს მიდგომები არა-დასავლურ ქვეყნებზე ეგრეთ წოდებული დასავლური ინტერესების და ფასეულობების თავს მოხვევაა და სხვა არაფერი (Clapham, 1996b). ეფექტურ და საერთაშორისო ლეგიტიმაციის მქონე მესამე თაობის მშვიდობის დამცველებს ამ კრიტიკისთვის უნდა გაეძლოთ; სამხედრო თვალსაზრისით ძლიერები უნდა ყოფილიყვნენ და საერთაშორისო ნორმების დასაცავად მეტად თავდადებულნი.

ამ სირთულეების მიუხედავად, მშვიდობის დამცველთა საქმიანობაში დიდი გამოცოცხლება შეინიშნებოდა უკვე ამ წიგნის მეორე გამოცემის გამოსვლის დროს და გრძელდება დღემდე, რასაც 6.2 ცხრილში მოყვანილი მონაცემებიც მოწმობს. თუმცა ამ გამოცოცხლებას ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებაც ახლდა თან - შეიცვალა თავად მშვიდობის დაცვის ბუნება, რის გამოც ახალი კითხვები დაიბადა მესამე თაობის მშვიდობის დაცვის დეფინიციის და ზოგადად სამშვიდობო ოპერაციების მიმართ.

1990-იანი წლების დასაწყისში, ანუ მეორე თაობის მშვიდობის დამცველების ასპარეზზე გამოჩენისას, ცხადი გახდა, რომ გაეროს მშვიდობის დაცვას თავისი არსებითი ხასიათი შეენარჩუნებინა, როგორც მას ჰამერსკიოლდ/პიარსონი განმარტავდნენ (რაზეც ვისაუბრეთ ზემოთ):

- კონტექტსი ხელს უწყობდა უკვე მიღწეული სამშვიდობო შეთანხმებების დაცვას, თუმცა თვლიდნენ, რომ ეს შეთანხმებები მოკლევადიანი პერსპექტივისაიყო;
- ოპერაციები არაიძულებითი ხასიათისა იყო;
- მისიები ინტეგრირებული იყო გაეროს ეგიდის ქვეშ;
- მათ გაეროს მშვიდობის იძულებითი დამყარების (*peace enforcement)*მისიებისგან ცალკე მდგომებად აღიქვამდნენ, როგორც ეს 1991 წელს ერაყი-კუვეიტის კონფლიქტის დროს გამოჩნდა.

არცერთი ეს კრიტერიუმი მესამე თაობის მშვიდობის დაცვის ოპერაციებში უცვლელი სახით არ გადასულა:

- პირველი - „ახალი ომების“ პირობებში, კონტექსტი აღარ არის ცალსახა, შეთანხმების შემდეგ მიღწეული კონსენსუსი, ხოლო ჩარევა კი მოკლე ვადიანი პერსპექტივით არ ხდება;
- მეორე - მეორე თაობის მისიებისგან განსხვავებით გაეროს ბრაჰიმის ანგარიში გაცილებით „ძლიერი“ ძალების არსებობას მოითხოვდა, რომლებიც შეძლებდნენ აგრესიის მოგერიებას (Brahimi: 2000 x) და რამდენიმე ნაციონალური აკადემიის შექმნას (UK Ministry of Defense, 2004: sect. 3:3).
- მესამე - მესამე თაობის სამშვიდობო ოპერაციები უნდა განხორციელებულიყო გაეროს ეგიდით, მაგრამ უნდა ეწარმოებინათ რეგიონალური უსაფრთხოების ორგანიზაციებსან „მოსურნეთა და უნარიანთა“ კოალიციებს - მაგალითად „ნატოს“ ჯარები ბოსნიასა და კოსოვოში (IFOR, SFOR, and KFOR); ნიგერიის მშვიდობის დამცველთა ჯარები (ECOMOG) დასავლეთ აფრიკაში; ბრიტანეთის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი IMAT (საერთაშორისო სამხედრო მრჩეველთა გუნდი) – (International Military Advisory Team) სიერა ლეონეში, რომელიც UNAMSIL-ის ძალების მხარდამხარ, მაგრამ მისგან დამოუკიდებლად მუშაობდა; და ავსტრალიელი სამხედროები, რომლებიც სათავეში ედგნენ ჯარებს აღმოსავლეთ ტიმორში (INTERFET/UNTAET).
- მეოთხე - განსხვავება წაიშალა გაეროს მიერ სანქცირებულ და მის მიერ მართულარაიძულებით მშვიდობის დაცვის ოპერაციებსა (მაგ., ONUMOZ-ის მისია მოზამბიკში სამშვიდობო შეთანხმების მხარდასაჭერად 1992 წელს) და გაეროს მიერ სანქცირებულ სამშვიდობო ოპერაციებს შორის, რომლებსაც თავად გაერო არ ხელმძღვანელობს (მაგ., 1991 წელს კუვეიტის გასათავისუფლებლად წარმოებული ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალი“, კოსოვოში 1999 წელს, ავღანეთში 2001 წელს და ერაყში, 2003 წელს) (Coleman, 2007; Pugh 2007).

ამ ყველაფრიდან გამომდინარე იბადება კითხვა: : რა შეიძლება ჩაითვალოს სამშვიდობო ოპერაციად კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით? იმ ოპერაციების მიმოხილვა, რომლებსაც ანალიტიკოსები სამშვიდობო ოპერაციების კატეგორიას მიაკუთვნებენ , კიდევ უფრო მკაფიოდ გვიჩვენებს ამ პრობლემის არსს.

გაეროს მშვიდობის დაცვის დეპარტამენტის (UNDPKO) მიერ შედგენილ ნუსხაში 18 მისიაა, რომელსაც გაეროს მშვიდობის დაცვის დეპარტამენტი 2010 წლის მაისში ახორციელებდა:

მობილიზებული იყო 86 099 ჯარისკაცი, 13 419 პოლიციელი და 2 325 სამხედრო ექსპერტი (მათ შორის არიან სამხედრო დამკვირვებლები, სამხედრო ლიაზონის ოფიცრები და გაეროს სამხედრო მრჩევლები) (იხ. ფოკუსი 6.1).

სხვა მონაცემთა წყაროები გაცილებით მეტ „სამშვიდობო ოპერაციას“ ასახელებენ. როდესაც „საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრმა 2006 წელს პირველად გამოაქვეყნა თავისი „წლიური გლობალური სამშვიდობო ოპერაციების მიმოხილვა“ მისი „მონაცემები ძირითადად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაზე იყო კონცენტრირებული“. 2007 წელს კი კრიტიკის ზეწოლით მონაცემთა კატალოგი მნიშვნელოვნად გააფართოვა და მასში ევროკავშირის, აფრიკის კავშირის, ნატოს და „სხვა სამშვიდობო ოპერაციების“ მონაცემებიც შეიტანა, რის შემდეგაც სიას კიდევ ოცდაათი გაეროს არაწევრი სახელმწიფოს მისია შეემატა და სამშვიდობო ოპერაციების სურათიც მნიშვნელოვნად შეიცვალა როგორც გაეროს, ასევე მის ფარგლებს გარეთაც (CIC, 2008: ix). ამ სიას მოჰყვა სამშვიდობო ოპერაციების სხვა ნუსხებიც, მაგალითად ის, რომელიც რეგულარულად ახლდება ZIF საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციების საერთაშორისო ცენტრის მიერ (http://zif-berlin.org).

სამშვიდობო ოპერაციების ზოგიერთ ნუსხაში შეტანილია როგორც აშშ-ს ხელმძღვანელობის ქვეშმყოფი 130 000 ჯარისკაციანი შემადგენლობა ერაყში და არუსეთის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ძალები „ახლო უცხოეთში“, ასევე ეუთოს სამოქალაქო პირებით დაკომპლექტებული მისიები და გაეროს მშვიდობის შენებისა და საგანგებო წარმომადგენლობების მისიები (იხ. ფოკუსი 6.2).

ყოველივე ამის შედეგად ადრეული 1990-იანი წლებისგან განსხვავებით, სადაც რომელიმე ერთი მისია, ვთქვათ, კამბოჯაში მოქმედი UNTAC (UN Transitional Authority in Cambodia) მასშტაბურ და მრავლისმომცველ სამშვიდობო ოპერაციად ითვლებოდა (იხ. ფოკუსი 8.1, გვ. 211), დღესდღეობით კომპლექსურ და მრავალფეროვან კომბინაციებში რამდენიმე ცალკეული მისიაა გაერთიანებული (ხშირ შემთხვევაში წინასწარი განზრახვის გარეშე) ერთი მიზნისთვის - როგორც მოხდა ერაყში, სადაც გაერთიანდა MNF-I, NTM-I (ნატოს მისია), UNAMI (გაერო), EUJUST LEX (ევროკავშირი).

ჩვენი აზრით ფოკუსი 6.1. და 6.2. იმის გრაფიკულ ილუსტრაციას იძლევა, თუ რამდენად წაიშალა ის მკაფიო პრინციპები, რომელიც თავდაპირველად გაეროს მშვიდობის დაცვის ოპერაციებს განსაზღვრავდა, რის გამოც ტერმინების „მშვიდობის დაცვის ოპერაციების“ და „სამშვიდობო ოპერაციების“ ურთიერთჩანაცვლება შესაძლებელი გახდა; ამ უკანსკნელში ისეთი ელემენტების ჩართვაც შესაძლებელია, რომლებიც ადრე სრულიად ცალკე მდგომ კატეგორიას - მშვიდობის იძულებით დამყარებას (თუ არა საომარ მოქმედებებში მონაწილეობას) განეკუთვნებოდა.

აქვს კი ამას მნიშვნელობა? ამ თავში განხილული არგუმენტით შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ აქვს. თავდაპირველად შევჩერდებით იმაზე, თუ როგორ ცდილობდნენ გაეროს მშვიდობის დაცვისა და სამშვიდობო ოპერაციების ხელახალი დეფინიციების დადგენას ბოლო პერიოდში; ბოლოს კი შევაჯამებთ, რა იგულისმება სამშვიდობო ოპერაციებში და შევეცდებით,„გამოვიხსნათ“მშვიდობის დაცვისა და სამშვიდობო ოპერაციების კონცეფცია და პრაქტიკა ისეთ ინტერვენციებთან ასოციაციისაგან, რომელიც ასეთი აღწერილობის ფარგლებში არ ხვდება.

ფოკუსი 6.1 გაეროს მშვიდობის დაცვის მიმდინარე მისიები 2010 წლის მდგომარეობით

მისია	**რეზოლუცია (თარიღი)**	**სამხე-დრო**	**პოლი-ცია**	MEM	**მთავარი ძირითადი ფუნქცია**
ევროპა UNFICYP (კვიპროსი)	186 (1964)	858	68		შუაში ჩადგომა და მონიტორინგი,
UNMIK (კოსოვო)	1244 (1999)	-	8	8	დროებითი ადმინისტრაცია, KFOR-თან საქმიანობ
აზია/წყნარი ოკეანეთი UNMOGIP (ინდოეთი/ პაკისტანი)	47 (1948)	-	-	44	ქაშმირის ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგი
UNMIT (აღმოსავლეთი ტიმორი)	1704 (2006)	-	1497	33	ახალი მთავრობის გარდამავალი უსაფრთხოება
UNMIN (ნეპალი)	1740 (2007)	-	-	68	სამშვიდობო შეთანხმების ხელშეწყობა, ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგი, არჩევნების მხარდაჭერა, იარაღის მენეჯმენტის მონიტორინგი
ახლო აღმოსავლეთი UNTSO (ახლო აღმოსავლეთი)	50 (1948)	-	-	154	არაბეთ-ისრაელის ზავის დარღვევის მონიტორინგი
UNDOF (გოლანის მაღლობები)	350 (1974)	1007	-		ისრაელი-სირიას საზღვრის მონიტორინგი
UNIFIL (ლიბანი)	425/6 (1978)	12 067	-		ომიდან გამოსვლის ზედამხედველობა, ლიბანის მთავრობის მხარდაჭერა, არჩევნების მხარდაჭერა და სახელმიწფო კონსტიტუციის პროექტის შედგენა, ადამიანის უფლებათა ხელშეწყობა, ეროვნული შერიგება, სასამართლო და იუსტიციის სისტემის რეფორმები
UNAMI (ერაყი)	1500/1546 (2003)	221	-	13	
ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა MINUSTAH (ჰაიტი)	1542 (2004)	8 454	2462		დროებითი მთავრობის ხელშეწყობა
აფრიკა BINUB (ბურუნდი)	1719 (2006)	-	12	17	დემოკრატიული მთავრობის ხელშეწყობა DDR, ადამიანის უფლებათა ხელშეწყობა, სამოქალაქო სააგენტოების კოორდინაცია

MINURSO (დას. საჰარა)	690 (1990)	20	6	213	რეფერენდუმის ზედამხედველობა
MONUC (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა)	1291 (2000)	18 887	1206	713	მშვიდობის დაცვა, რეკონსტრუქცია, ჰუმანიტარული დაცვა
UNMIL (ლიბერია)	1509 (2003)	7 983	1319	127	სამშვიდობო შეთანხმების ხელშეწყობა
UNOCI (კოტ-დივუარი)	1528 (2004)	7 189	1147	195	ჰუმანიტარული დაცვა (დარფური) (ჰიბრიდული მისია აფრიკის კავშირთან ერთად)
UNMIS (სუდანი)	1590 (2205)	9 435	697	479	სამშვიდობო შეთანხმების ხელშწყობა
UNAMID (დარფური)	1769 (2007)	17 060	4789	238	ჰუმანიტარული დაცვა (დარფური) (ჰიბრიდული მისია აფრიკის კავშირთან ერთად)
MINURCAT (ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა/ ჩადი)	1778 (2007)	2 918	208	23	ჰუმანიტარული დახმარება
ჯამი		**86 099**	**13419**	**2325**	

სამშვიდო ოპერაციების ახალი დეფინიცია

1992 წელს დაარსდა გაეროს სამშვიდობო ოპერაციების დეპარტამენტი, რომელშიც შედის დაგეგმარებისა და მხარდაჭერის სამსახური, საველემისიების უზრუნველყოფის განყოფილება, მუდმივმოქმედ „სიტუაციათა დარბაზი“ და „განვლილი გაკვეთილების“ განყოფილება. მისი დაარსების მიზანი იმ ძველი პრაქტიკის შეცვლა იყო, როდესაც გეგმებს ადგილზე სახავდნენ. დეპარტამენტის საქმიანობა 1990-იანი წლების წნეხის და ბრაჰიმის (Brahimi, 2000) ანგარიშის შემდეგ გამოცოცხლდა. მის საქმიანობაში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა; დაარსდა სპეციფიკური შემთხვევებისთვის „ინტეგრირებული დავალების ძალები“. 2007 წელს დეპარტამენტი „საველე მხარდაჭერის დეპარტამენს“ გამოეყო, გენერალური მდივნის უშუალო დაქვემდებარებაში გადავიდა და ლოჯისტიკური დახმარების ბაზა გახდა, რომელსაც ეფექტურად უნდა მიეწოდებინა მარაგი გაეროს სპეციალური წარმომადგენლისთვის, რეზიდენტი კოორდინატორისა და სამხედრო ძალების მეთაურისთვის. ამის გარდა, ცალკე განყოფილებად გადაკეთდა სამხედრო განყოფილების ნაწილი, სამოქალაქო პოლიცია (CIVPOL), რომლის დანიშნულება „კანონის უზენაესობისა და უსაფრთხოების ინსტიტუტების“ მეთვალყურეობა იყო. თუმცა, არსებობდა მოსაზრება, რომ, მშვიდობის დაცვის დეპარტამენტის (DPKO) ასეთი გახლეჩვა შეკავშირების ნაცვლად მეტ გაურკვევლობას წარმოშობდა.

შეცვლილ გარემოში არ არსებოდა იმის მკაფიო განმარტება თუ რას გულისხმობს გაეროს მშვიდობის დაცვა ან რა ახალი მნიშვნელობა შეიძინა ისეთმა ტერმინებმა როგორიცაა, „მიუკერძოებლობა“ ან „ძალის მინიმალური გამოყენება“. ამ მიზეზით მშვიდობის დაცვის დეპარტამენტმა შეიმუშავა საერთო „კულმინაციური დოქტრინა“, რომელიც მესამე თაობის მშვიდობის დამცველების სამოქმედო პრინციპებად უნდა ქცეულიყო. ისეთმა ტრადიციულმა პრინციპებმა, როგორიც იყო თანხმობა, მიუკერძოებლობა და ძალის გამოუყენებლობა(„წმინდა სამება“), თუ ეს თავდაცვის მიზნებისთვის არ იყო საჭირო, გარკვეული ცვლილება განიცადა; მაგ., ამ ფორმულირებამ: „გაეროს მშვიდობის დამცველები უნდა იყვნენ მიუკერძოებლები თავიანთ ქმედებებში კონფლიქტის მხარეების მიმართ, თუმცა არ უნდა იყვნენ ნეიტრალურები საკუთარი მანდატის შესრულებისას“ (DPKO: 2007, 66) ასეთი სახე მიიღო: „მართალია, ძალის გამოყენება უნდა მოხდეს შეზღუდული ფორმით, მისი გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ თავდაცვის მიზნით არამედ სხვა შემთხვევებშიც; მშვიდობის დამცველებმა შეიძლება მიმართონ ძალის გამოყენებას საკუთარი თავის, მანდატისა და ამ მანდატით განსაზღვრული ჯგუფების დასაცავად“ (მაგ., მშვიდობიანი მოსახლეობისა და ჰუმანიტარული სამსახურის მუშაკების) (იქვე: 69). გათვალისწინებულ იქნა სამი სხვა პრინციპიც: სწრაფი დისლოკაციის საჭიროების ალბათობა და მოროდიორების შეკავების უნარი; მანდატის მტკიცედ და სამართლიანად შესრულების ლეგიტიმურობა და სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობა ნაციონალურ და ადგილობრივ დონეზე. ყოველივე ეს განსახილველ პროექტშიგათვალისწინებული იყო, მაგრამ ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგობის გამო, ბევრი რამ ამოიღეს. მაგ,; ძალის გამოყენების შესახებ საბოლოო ვერსიაში ვკითხულობთ: „ძალის გამოყენება არ მოხდება იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ეს თავდაცვისა და მანდატის დაცვისათვისაა საჭირო.“ (DPKO 2008). დოქტრინას აღარც „კულმინაციური“ უწოდეს და ბოლო სამი პრინციპი „წარმატების ფაქტორებში“ გადაიტანეს. ეს დოკუმენტი გაეროს მშვიდობის დაცვის „სტრატეგიულ სახელმძღანელოდ“ ვერ იქცა, იგი მხოლოდ მშვიდობის დაცვის დეპარტამენტის (DPKO) შიდა მოხმარების დოკუმენტია (Bellamy and Williams, 2010: 142-3).

ფოკუსი 6.2. არა-გაეროს მიერ მართული მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციები 2009 წლის სექტემბრის მდგომარეობით

აკრონიმი	სრული დასახელება	ჯარები	სამხედრო დამკვირ-ვებლები	პოლი-ცია	სამოქა-ლაქო პერსო-ნალი	ორგა-ნიზაცია
MICOPAX	მშვიდობის კონსოლიდაციია მისია ცენტრალურ აფრიკაში	371		150		აფრიკის კავშირი
AMISON	აფრიკის კავშირის მისია სომალიში	5,122		6	46	აფრიკის კავშირი
EUFOR Althea	ევროკავშირის სამხედრო ოპერაცია ბოსნია და ჰერცოგოვინაში	2,014				ევრო-კავშირი
EU NAVFOR Somalia	ევროკავშირის საზღვაო ძალა მეკობრეობის წინააღმდეგ	1,900				ევრო-კავშირი
EUPM	ევროკავშირის საპოლიციო ძალა ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში			125	27	ევრო-კავშირი
EUSEC RD Congo	ევროკავშირის საკონსულტაციო და დამხმარე მისია კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის უსაფრთხოების რეფორმებისთვის				47	ევრო-კავშირი
EUTM Somalia	ევროკავშირის სამხედრო მისია სომალის უსაფრთხოების ძალების ტრეინინგში წვლილის შესატანად	141				ევრო-კავშირი
EU SSR GUIN-EA-BISSAU	ევროკავშირის მისია გვინეა-ბისაუს რესპუბლიკის უსაფრთხოების სექტორის რეფორმისათვის				8	ევრო-კავშირი
EU BAM Rafah	ევროკავშირის სასაზღვრო დახმარების მისია რაფას გამშვებ პუნქტზე			11	12	ევრო-კავშირი
EUPOL COPPS	ევროკავშირის პოლიციის მისია პალესტინის ტერიტორიებისთვის			21	20	ევრო-კავშირი
EUPOL Afghan-istan	ევროკავშირის პოლიციის მისია ავღანეთში			173	96	ევრო-კავშირი

EUPOL RD Congo	ევროკავშირის პოლიციის მისია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში			21	7	ევრო-კავშირი
EUJUST LEX IRAQ	ევროკავშირის კანონის უზენაესობის ინტეგრირებული მისია ერაყისათვის				53	ევრო-კავშირი
EULEX Kosovo	ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია კოსოვოში			1,220	435	ევრო-კავშირი
EUMM	ევროკავშირის მონიტორინგის მისია საქართველოში			193	102	ევრო-კავშირი
ოპერაცია Licorne (კოტ-დივუარი)		923				საფრან-გეთი
KFOR	ნატოს კოსოვოს ძალები	12,631				ნატო
NTM-I	ნატოს ტრეინინგ მისია ერაყში	200				ნატო
OSCE (ეუთოს) მისია საქართვე-ლოში					32	ეუთო
OSCE (ეუთოს) მისია მოლდო-ვაში					12	ეუთო
OSCE (ეუთოს) მისია ბოსნია-ჰერცოგოვინაში					16	ეუთო
OMIK	ეუთოს მისია კოსოვოში				172	ეუთო
MNF-I	მილტინაციონალური ძალა ერაყში	130,000				აშშ
MFO	მილტინაციონალური სადამკვირვებლო ძალა		1,660			კოალიცია
ISAF	საერთაშორისო უსაფრთხოების ძალების დახმარება	71,030				კოალიცია
ISF	საერთაშორისო უსაფრთხოების ძალები	790				კოალიცია
RAMSI	რეგიონალური დახმარების მისია სოლომონის კუნძულებზე	160		268	106	კოალიცია
TIPH	დროებითი ინტერნაციონალური დგომა			27	37	კოალიცია
JCC	ერთობლივი კონტროლის მშვიდობის დამცველი ძალები	1,278				კოალიცია
ჯამი		226,560	1,670	2,215	1,228	კოალიცია

წყარო: CIC 2010: 180-90

შენიშვნა: MFO ავსტრალია (25), კანადა (28), კოლუმბია (358), ფიჯი (338), უნგრეთი (39), იტალია (78), ახალი ზელანდია (26), ურუგვაი (58), აშშ (703)

ISAF ავსტრალია (1350), კანადა (2830), საფრანგეთი (3095), გერმანია (4365), იტალია (2795), ნიდერლანდები (2160), პოლონეთი (1910), ესპანეთი (1000), გაერთიანებული სამეფო (9000), აშშ (348000),

ISF ავსტრალია (337), ახალი ზელანდია (140)

RAMSI ავსტრალია (337), ახალი ზელანდია (92), პაპუა ახალი გვინეა, ტონგა, ფიჯი, კირიბატი, ნაურუ, სამოა, ვანუატუ, კანადა

TIPH დანია (10), იტალია (12), ნორვეგია (20), თურქეთი (7), შვედეთი (10), შვეიცარია (5).

JCC უკრაინა, მოლდოვა (453), რუსეთი (335), დნეპრისპირეთი (490).

ცხრილი 6.3 ტრადიციული მშვიდობის დაცვა, სამშვიდობო ოპერაციები და ომი

ტრადიციული მშვიდობის დაცვა	სამშვიდობო ოპერაციები	ომი
უნივერსალური თანხმობა	სამიზნე მოსახლეობების თანხმობა, შესაძლებლობის სემტხვევაში მთავრობებისაც, მაგრამ არა სპოილერების (ამრევების)	თანხმობის არარსებობა
პოლიტიკური ნეიტრალიტეტი კონფლიქტის მთავარ მხარეებს შორის	ნეიტრალიტეტის არ-არსებობა, როდესაც კონფლიქტის ერთ-ერთი მხარე ეწინააღმდეგება მანდატს	ნეიტრალიტეტის არარსებობა
მიუკერძოებლობა მანდატის შესრულებისას	მიუკერძოებლოება მანდატის განხორციელებისას	მიუკერძოებლობის არარსებობა
ძალის არგამოყენება თავდაცვის შემთხვევების გარდა	მანდატის შესრულებისთვის საჭიროა ძალის სრული სპექტრი	ძალის სრული სპექტრი
საერთაშორისო მანდატი	გაეროს ქარტიის მიზნების და პრინციპების მხარდაჭერა, შესაძლებლობის შემთხვევაში ექსპლიციტური მანდატით	ეროვნული ინტერესები

იმის გამო, რომ არ არსებობს მკაფიო საერთაშორისო შეთანხმება და იმის გამო, რომ სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობას გაეროს გარდა სხვა ორგანიზაციებიც ღებულობენ, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ დღესდღეობით არ არსებობს ერთი საერთო რეგულაცია. ამიტომ მისი კომპლექსურობის, მრავალფეროვნებისა და უამრავი ურთიერთგადაჯაჭვული ამოცანის გამო, რომლებსაც დღესდღეობით ამდენად განსხვავებული აქტორები ახორციელებენ, საუკეთესო გამოსავალი იქნება „მესამე თაობის“ სამშვიდობო ოპერაციები ერთი მხრივ „პირველი თაობის“ მშვიდობის დაცვის ოპერაციებს შევადაროთ, მეორე მხრივ კი საომარ მოქმედებებს. შემდეგ კონფლიქტების მოგვარების გადმოსახედიდან ვიმსჯელებთ იმაზე თუ რითი განსხვავდება მესამე თაობის სამშვიდობო ოპერაციები საომარი მოქმედებებისგან (იხ. ცხრილი 6.3).

მესამე თაობის მშვიდობის დაცვა და ადამიანთა უსფრთხოება

კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა ასე უნდა დავსვათ - არის თუ არა მესამე თაობის მშვიდობის დაცვა იმის კომბინირების მცდელობა, რისი გაერთიანებაც შეუძლებელია, ანუ მეტი სამხედრო ძალისა და ჭეშმარიტად კოსმოპოლიტური საერთაშორისო ნორმების შერწყმა. საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ისინი, ვისაც სამხედრო მოქმედებების განხორციელების უნარი აქვთ, შეიძლება გაეროს გვერდის ავლით ჩაერიონ, რის გამოც მათ არ ექნებათ ის საერთაშორისო ლეგიტიმაცია, რაც ასეთი ოპერაციების ეფექტურობის საფუძველს წარმოადგენს.

> *გაეროს მშვიდობის დაცვის როლის ტრანსფორმაცია და სამხედრო ამოცანებიდან სამოქალაქო ამოცანებზე გადასვლა, გაეროს ნატოს პირისფარეშად აქცევს ... ნატოსძალებს მინიჭებული აქვთ თავისუფლება განსაზღვრონ სუვერენიტეტის ფარგლები არადასავლურ სამყაროში და ჩაერიონ მაშინ, როდესაც ამას საჭიროდ თვლიან, შემდეგ კი ყველაფრის დალაგება და კონფლიქტური სიტუაციების ინტერნაციონალიზაციით გამოწვეულ არარეალისტურ მოლოდინზე პასუხისმგებლობის აღება გაეროს მოუხდება (Chandler, 2001:17).*

აქედან გამომდინარე სამხედრო კოლექტიური უსაფრთხოების ცნება გააფართოვეს,როგორც ამას გაეროს ქარტიის მეშიდე თავი ითვალისწინებს და შეთანხმდნენ, რომ სამხედრო ძალის გამოყენება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში მოხდება, მხოლოდ გაეროს ეგიდით და მხოლოდ მაშინ, როცა ეს კიდევ უფრო ფართო ცნების, ადამიანთა უსაფრთხოების დასაცავად იქნება საჭირო. მილენიუმის ანგარიში: „ჩვენ, საზოგადოება: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი ოცდამეერთე საუკუნეში“ (We the People: *The Role of the United Nations in the Twenty-First Century)* (United Nations, 2000) ისეთი თემების ირგვლივ იყო აგებული, როგორიცაა: შიშისგან თავისუფლება (კონფლიქტების მართვისა და მოგვარების გზით), საჭიროებების დაუკმაყოფილებლობისგან თავისუფლება (ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის საშუალებით) და მომავლის დაცვა (დედამიწის რესურსების დაზოგვისა და ეკოსისტემის მოვლა-პატრონობით). თაკურის აზრით, შიშისგან თავისუფლება ცენტრალური იყო კოფიანანის ახალი საუკუნის ამოცანათა სამეულში, რომლის თანახმად მშვიდობის დაცვა და მშვიდობის შენება გაეროს უმთავრესი როლია თანამედროვე სამყაროში. (Thakur, 2001: 117). სწორედ ეს იქცა მომავლის სამშვიდობო ოპერაციების ნორმატიულ ბაზად. მართალია, 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებმა, მსოფლიო სავაჭრო ცენტრსა და პენტაგონზე განხორციელებულმა იერიშმა და „გლობალურმა ომმა ტერორიზმის წინააღმდეგ“ ეს პროგრამა ჩრდილში მოაქცია, მაგრამ ბოლომდე არ დაკარგულა და გაეროს ადამიანის უფლებათა კომისრის, სერჯიო ვიეირა დე მელოს (დაიღუპა ბაღდათში, 2003 წელს) ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნის სათაურში იჩინა თავი: ადამიანთა უსაფრთხოება ყველასთვის (Cahill, 2004). მსგავს დასკვნამდე მივიდა 2000 წლის სექტემბერში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე კანადის მთავრობის ინიციატივით დაარსებული „ინტერვენციისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის საერთაშორისო კომისია“, რაზეც საუბარი გვექნება მე-8 და მე-9 თავებში (იხ. ფოკუსი 6.3).

კონფლიქტების მართვა და სამშვიდობო ოპერაციების შესახებ მიმდინარე თეორიული დებატები

ახლა მეორე ნაწილში განხილულ თეორიულ საკითხებზე ვიმსჯელებთ და ერთმანეთისგან გავმიჯნავთ „ტრადიციული მშვიდობის დაცვის“ პლურალისტულ (პირველი თაობის) და „სამშვიდობო ოპერაციების“ სოლიდარისტულ კონცეფციებს (მესამე თაობის); ამასთან, ვიმსჯელებთ „სტაბილიზაციის ძალების“ რეალისტურ კონცეფციასა და მომავლის კოსმოპოლიტურ „გაეროს ახალ, გადაუდებელი შემთხვევების სამშვიდობო სამსახურზე“ (იხ. ცხრილი 6.4).

ფოკუსი 6.3 ადამიანთა უსაფრთხოება

1945 წელს გაეროს ქარტიის ხელმოწერის შემდეგ უსაფრთხოების კონცეფციის მნიშვნელობა და მასშტაბები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ადამიანის უსაფრთხოება ხალხის უსაფრთხოებას - მათ ფიზიკურ დაცვას, ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობას, ღირსების პატივისცემას, დაფასებას და მისი ძირითადი უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების დაცვას ნიშნავს. მსოფლიომ აღიარა, რომ უსაფრთხოების კონცეფციაში სახელმწიფოებთან ერთად ხალხიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რის გამოც ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში საერთაშორისო მიდგომები მნიშვნელოვნად შეიცვალა. ადამიანის უსაფრთხოება მიმდინარე დებატების ცენტრალულ საკითხად კოფი ანანმა აქცია, როდესაც მან გაეროს 54-ე გენერალურ ასამბლეაზე აღნიშნა, რომ მისი მიზანი „ახალ საუკუნეში ადამიანის უსაფრთხოების დაცვა და ინტერვენციაა ჩარევა არის.“

უსაფრთხოების ტრადიციული, ვიწრო გაგება უგულებელყოფს იმას, ში გამორჩენილია ის, რაც ჩვეულებრივ ადამიანებს აღელვებთ, რაც მათთვის ყველაზე ელემენტალური და სრულიად ლეგიტიმურია - უსაფრთხოება ყოველდღიური ყოფაში. უსაფრთხოების ტრადიციული გაგება კი სახელმწიფოს ქონებისა და ადამიანური რესურსების დიდი ნაწილის შეიარაღებასა და შეიარაღებულ ძალებზე იხარჯებამიმართავს, მაშინ როცა ; სახელმწიფოები თავიანთი მოქალაქეების ქრონიკული შიმშილისა და ავადმყოფობისგან დაცვას ვერ ახერხებენ ვერ იცავენ; ვერ უზრუნველყოფენ თავშესაფრით; მაღალია დანაშაულისა და უმუშევრობის დონე, ადგილი აქვს სოციალურ კონფლიქტსა და ეკოლოგიურ საფრთხეებს. როცა გაუპატიურება ომისა და ეთნიკური წმენდის იარაღია, როცა ათასობით ადამიანი იხოცება, მოქალაქეებს კი საკუთარი უსაფრთხოების ძალები კლავენ, გაუმართლებელია უსაფრთხოება მხოლოდ სახელმწიფო ან ტერიტორიული უსაფრთხოების დონეზე განვიხილოთ. ადამიანის უსაფრთხოების ცნებაში ასეთ განსხვავებული გარემოებები უნდა მოიაზრებოდეს და მოიაზრება კიდეც.

წყარო: ICISS, 2001: 15

ცხრილი 6.4 თანამედროვე მშვიდობის დაცვის მოდელების სპექტრი და კონფლიქტის მოგვარების დონეები

	1	2	3	4
თეორია	კვაზი-რეალისტური	პლურალისტური	სოლიდარული	კოსმოპოლიტური
პრაქტიკა	სტაბილიზაციის ძალები	ტრადიციული მშვიდობის დაცვა	სამშვიდობო ოპერაციები	გაეროს გადაუდებელი სამშვიდობო სამსახური
კონფლიქტების მოგვარების უნარი	კონფლიქტების მოგვარების ნულოვანი ან დაბალი უნარი	შეზღუდული პასიური კონფლიქტების მოგვარების უნარი	მაღალი სამხედრო/ დაბალი სამოქალაქო კონფლიქტების მოგვარების უნარი	მაღალი სამხედრო/ მაღალი სამოქალაქო კონფლიქტების მოგვარების უნარი

სპექტრის ერთ ბოლოში ნეორეალისტური პოზიციაა, რომელიც უპატივცემულოდ ეკიდება გაეროს, ნაკლებად აინტერესებს საერთაშორისო სამართალი და უარს ამბობს მშვიდობის ენის გამოყენებაზე. აშშ-ს ვერსიაში კი საუბარია კოალიციის შექმნაზე, რომელსაც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლასა და მის დამარცხებაში აშშ უხელმძღვანელებს. ამ თვალსაზრისით საჭიროა არა სამშვიდობო ოპერაციები არამედ სტაბილიზაციის ძალები - „სამხედრო მხადაჭერა სტაბილურობის, უსაფრთხოების, გარდამავალი პერიოდისა და რეკონსტრუქციისათვის“ იქ, სადაც დაემხო ის რეჟიმები, რომელიც საფრთხეს უქმნიდა საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას და იქ, სადაც ხელმოცარული სახელმწიფოები ტერორისტების პოტენციურ თავშესაფარს წარმოადგენენ. (US Department for Defense, 2005). არსებობს მათი რუსული ეკვივალენტებიც, რომლებიც თავს „მშვიდობის დამცველებს“ უწოდებენ და „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“ სტაბილურობის ოპერაციებს ახორციელებენ (JCC მოლდოვაში, JPKF სამხრეთ ოსეთში, CIS ძალები საქართველოში) (იხ. ცხრილი 6.4). დაახლოებიით იმავე როლს ასრულებენ ჩინეთის უსაფრთხოების ძალები ტიბეტსა და სხვა ადგილებში.

ცალკე ჯგუფია ის, რომლის წარმომადგენლადაც დევიდ ჩანდლერს განვიხილავთ (2004, 2006), რომელიც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკას სახელმწიფოთა ლიმიტირებულ საზოგადოებად მიიჩნევს, რომლის საერთო ინტერესი კოლექტიური წესრიგის დაცვაა, თუმცა ეს საკმარისი არ არის ჩარევის უნივერსალური პრინციპების დასაცავად. სუვერენიტეტი პლურალისტულ ფასეულობებს აერთიანებს და ალბათ ჯობს, ასეთადაც დარჩეს. მისი ალტერნატიული ვარიანტი ხელს უშლის ადგილობრივ განვითარებას და ძალა-უფლების ბოროტად გამოყენებამდე მივყავართ. პირველი თაობის გაეროს ტრადიციული მშვიდობის დაცვის პრინციპები ჯერ კიდევ ყველაზე მიზანშეწონილი და გონივრულია, ამიტომ ალბათ სჯობს, მშვიდობის დაცვა გაეროს მივანდოთ.

არსებობენ ისეთებიც, ვინც საეთაშორისო საზოგადოების შესახებ გაცილებით მაღალი წარმოდგენის არიან. ამ თვალსაზრისის მომხრეთა ერთ-ერთი წარმომადგენელია ნიკოლას ვილერი (2000), რომელიც მნიშვნელოვნად მიიჩნევს სახელმწიფოთა საზოგადოებას, რომელიც უნივერსალურ ჰუმანიტარულ ფასეულობებს აერთიანებსდა სახელმწიფოს სუვერენიტეტზე გაცილებით მაღლა დგება მაშინ, როცა ესა თუ ის სამოქალაქო მთავრობა ჩამოშლის პირასაა ან თავის უპირველეს მოვალეობას ვეღარ ასრულებს და თავისი მოქალაქეების ძირითად უფლებებს ვეღარ იცავს. ასეთ შემთხვევაში საქმეში საერთაშორისო საზოგადოება უნდა ჩაერთოს, რადგან მას სრულიად ლეგიტიმური ინტერესი აქვს. ამ დროს

რისკის ქვეშ „კაცობრიობის უსაფრთხოება“ დგას, რის გამოც საერთაშორისო საზოგადოების ინტერვენცია სრულიად კანონზომიერია. აი, ასე შეიძლება განვმარტოთ მესამე თაობის სამშვიდობო ოპერაციები. ალბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ახლანდელი სპეციალისტები სამშვიდობო ოპერაციებს სწორედ ამ ფართო კატეგორიაში განიხილავენ.

არიან ისეთებიც, ვინც თვლიან, რომ სამშვიდობო ოპერაციებში ჩადებული ლოგიკა სრულ პოტენციალს მხოლოდ შემდეგ ეტაპზე მიაღწევს ანუ მაშინ, როცა მეოთხე თაობის მშვიდობის დაცვის ოპერაციები დაიწყება და როდესაც ის უნივერსალური პრინციპიები, რომლებსაც ჭეშმარიტი სამშვიდობო ოპერაციები ეფუძნება, გლობალურ პოლიტიკაში (კოსმოპოლიტური დემოკრატია, გლობალური სამოქალაქო საზოგადოება, თანაბარი ეკონომიკური მდგომარეობა, უნივერსალური ღირებულებები, რომლებსაც სხვადასხვა კულტურის მატარებლები აღიარებენ), ოპერაციულ ქმედუნარიანობასა და პრაქტიკაში განხორციელდება. ამ მოსაზრების კონცეპტუალურ საფუძველსისეთი თეორეტიკოსების ნაშრომები წარმოადგენს , როგორებიც არიან რიჩარდ ფოლკი (1995), დევიდ ჰელდი (1995) და მერი კალდორი (2003), რომლებიც თვლიან, რომ გლობალურმა წესრიგმა ახალი მკვეთრი ნაბიჯი უნდა გადადგას და კოსმოპოლიტური მთავრობა შექმნას, რაზეც მე-11 თავში ვისაუბრებთ. ოპერაციულ დონეზე კი აქ იგულისხმება ის, რასაც ვუდჰაუსი და რემსბოტამი „კოსმოპოლიტურ სამშვიდო ოპერაციებს“ (2005) უწოდებენ. ამ მხრივ ყველაზე ინოვაციურია მოსაზრებები, რომელთა თანახმადაც ისეთი სამხედრო ძალა უნდა შეიქმნას, რომელიც მთლიანად გაეროს განკარგულებასა და სამსახურში იქნება და რომლის შემადგენლობასაც გაერო მოამზადებს; ისინი გაეროს სახელით იმსახურებენ და არა რომელიმე სახელმწიფოს ჯარების. 2006 წელს გაეროს წარედგინა გეგმა „გაეროს საგანგებო მდგომარეობათა სამშვიდობო სამსახურის“ (United Nations Emergency Peace Service (UNEPS) შექმნის თაობაზე (Langille, 2000a; Jaohansen, 2006); მაიკლ კოდნერმა (2008) კი შეადგინა მოთხოვნა პირველი ინსტანციის „გაეროს საინტერვენციო ძალების“ (United Nations Intervention Force (UNIF) შექმნის თაობაზე, რომელიც 10 000 ჯარისკაცს გააერთიანებდა. ამ საკითხს ქვემოთ კვლავ განვიხილავთ. ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა ცხადყოფს, რომ ამ ერთი შეხედვით „წარმოუდგენელ“ იდეებს მოსალოდნელზე გაცილებით მეტი მხარდამჭერი ჰყავს ამჟამად მოსამსახურე და სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ძალების სახით (Woodhouse and Ramsbotham, 2005; Curran and Woodhouse, 2007).

და ბოლოს აუცილებლად უნდა შევჩერდეთ კიდევ უფრო რადიკალურ კრიტიკაზე, რომელიც 6.4 ცხრილში შეტანილი არ არის. ეს არის კრიტიკულ რიტორიკული მიდგომა მშვიდობის დაცვისადმი, რომელიც სათავეს საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური პერიოდიდან იღებს (Pugh et al., 2008a) და ასევე პოსტ-სტრუქტურალიზმის ეპოქის ფუკოსეულ თვალსაზრისსაც მოიცავს (Duffield, 2001, 2007, ასევე იხ. Ballemy and Williams, 2004). ეს კრიტიკული მიდგომა არსებულ მეთოდებს არასრულყოფილად და ხარვეზიანად მიიჩნევს და თვლის, რომ ისინი ობიექტური, არარეფლექსიური და ინსტრუმენტალისტურია. ამ თვალსაზრისით, მშვიდობის დაცვის ყველა არსებულ ვერსიას საკუთარი ეპისტომოლოგიური და ონტოლოგიური საფუძვლების კრიტიკული გააზრების უნარი აკლია; ისინი არსებულ ძალთადისბალანსს და უთანასოწრობას აღადგენენ მაშინაც კი, როცა თვლიან, რომ მიუკერძოებლად იქცევიან. მისგან განსხვავებით რადიკალური კრიტიკული თეორია საკუთარ პოზიციას კონსტრუქციულად, რეფლექსიურად და ნორმატიულად მიიჩნევს, მხოლოდ ის იცნობს თავის ეპისტომოლოგიურ და ონტოლოგიურ ინსტიტუტებს და მის დისკურსს და ამიტომ შეუძლია ჭეშმარიტი განთავისუფლების მიზნებს ემსახუროს (Fetherston, 2000: 190-218). ამით ტრადიციულ კონფლიქტის მოგვარებასა და კრიტიკულ თეორიას შორის მიმდინარე ფუნდამენტური დებატები გაგაცანით, რაზეც მეორე ნაწილში ვისაუბრებთ და მე-19 თავში შევაჯამებთ.

მშვიდობის დაცვის მისამართით გამოთქმული ესკრიტიკული მოსაზრებები გარკვეულწილად ემთხვევა იმ პრაგმატულ და კოსმოპოლიტურ თვალსაზრისს, რომელსაც კონფლიქტების მოგვარების შესახებ გამოთქვამენ ხოლმე (რაზეც ზემოთ ვიმსჯელეთ); მაგ., საუბრობენ წმინდად სამოქალაქო პირების მიერ მშვიდობის დაცვის განხორციელების შესაძლებლობაზე (არა-სამხედრო მშვიდობის დაცვა); ამბობენ, რომ მშვიდობის დამცველები ზედმეტად სახელმწიფო-ცენტრისტული კონტროლის სისტემიდანუნდა გათავისუფლდნენ; ისინი პასუხისმეგებელი უნდა იყვნენ უფრო გამჭვირვალე, დემოკრატიული და ანგარიშვალდებული ინსტიტუციის წინაშე“, რომელიც იყენებს „მუდმივ მოხალისე ძალას, გაწვეულს იმ ადამიანთა რიგებიდან, რომლებიც კოსმოპოლიტურ ფასეულობებს აღიარებენ და არა პატრიოტულს“ (ვესტფალიის შემდგომი ანუ დემოკრატიული მშვიდობის დაცვა) და „რადგან ტრანსფორმაციის მიზანი იმ უსამართლობის მოსპობაა, რომელიც კონფლიქტის დაწყების მიზეზი ხდება, სამხედრო-სამოქალაქო ჩარევის საჭიროება ალბათ გაქრება კიდეც“ (Bellamy and Williams, 2004). თუ ყველა კრიტიკული კრიტერიუმი დაკმაყოფილდება, მაშინ აღარც სამშვიდობო ოპერაციები გახდება საჭირო: „კრიტიკული თეორიის თანახმად, იმ სოციალურ ბრძოლაზე დაფუძნებული სტრუქტურული ტრანსფორმაცია, რომელიც გლობალიზაციის პროცესის განუყოფელი ნაწილია, მოკლევადიან პერსპექტივაში დემოკრატიული მშვიდობის დაცვის ახალ ფორმებამდე მიგვიყვანს, გრძელვადიან პერსპექტივაში კი მშვიდობის დაცვას მოძველებულ ფენომენად აქცევს. “ (Pugh, 2004: 53-4).

ფოკუსი 6.3 ადამიანთა უსაფრთხოება

1945 წელს გაეროს ქარტიის ხელმოწერის შემდეგ უსაფრთხოების კონცეფციის მნიშვნელობა და მასშტაბები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ადამიანის უსაფრთხოება ხალხის უსაფრთხოებას - მათ ფიზიკურ დაცვას, ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობას, ღირსების პატივისცემას, დაფასებას და მისი ძირითადი უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლების დაცვას ნიშნავს. მსოფლიომ აღიარა, რომ უსაფრთხოების კონცეფციაში სახელმწიფოებთან ერთად ხალხიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რის გამოც ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში საერთაშორისო მიდგომები მნიშვნელოვნად შეიცვალა. ადამიანის უსაფრთხოება მიმდინარე დებატების ცენტრალულ საკითხად კოფი ანანმა აქცია, როდესაც მან გაეროს 54-ე გენერალურ ასამბლეაზე აღნიშნა, რომ მისი მიზანი „ახალ საუკუნეში ადამიანის უსაფრთხოების დაცვა და ინტერვენციაა .“

უსაფრთხოების ტრადიციული, ვიწრო გაგება უგულებელყოფს იმას, რაც ჩვეულებრივ ადამიანებს აღელვებთ, რაც მათთვის ყველაზე ელემენტალური და სრულიად ლეგიტიმურია - უსაფრთხოება ყოველდღიურ ყოფაში. სახელმწიფოს ქონების და ადამიანური რესურსების დიდი ნაწილი შეიარაღებასა და შეიარაღებულ ძალებზე იხარჯება, მაშინ როცა სახელმწიფოები თავიანთი მოქალაქეების ქრონიკული შიმშილისა და ავადმყოფობისგან დაცვას ვერ ახერხებენ ; ვერ უზრუნველყოფენ თავშესაფრით; მაღალია დანაშაულისა და უმუშევრობის დონე, ადგილი აქვს სოციალურ კონფლიქტსა და ეკოლოგიურ საფრთხეებს. როცა გაუპატიურება ომისა და ეთნიკური წმენდის იარაღია, როცა ათასობით ადამიანი იხოცება, მოქალაქეებს კი საკუთარი უსაფრთხოების ძალები კლავენ, გაუმართლებელია უსაფრთხოება მხოლოდ სახელმწიფო ან ტერიტორიული უსაფრთხოების დონეზე განვიხილოთ. ადამიანის უსაფრთხოების ცნებაში ასეთ განსხვავებული გარემოებები უნდა მოიაზრებოდეს და მოიაზრება კიდეც.

წყარო: ICISS, 2001: 15

სიტუაციის ანალიზი: სომალი 1991-2010



წყარო: Bradbury and Healy, 2010

რუკა 6.1. სომალი სომალილენდი, პუნტლენდი და ა.შ.

სომალიში განხორციელებული საერთაშორისო ჩარევა, რომელიც უკვე ოცი წელია გრძელდება, იმ გამოწვევების სულისშემძვრელი მაგალითია, რომლის წინაშეც მშვიდობის დამცველები დგანან ხოლმე სამოქალაქო ომების მსვლელობის პროცესში. მშვიდობის დამცველები ამ პერიოდის დასაწყისშიც მონაწილეობდნენ და მის ბოლოსაც. დიქტატორი სიად ბარეს დამხობის შემდეგ, 1991 წელს სომალის სახელმწიფო ჩამოიშალა, დაიწყო იარაღის გავრცელება და დარიგება, დაჯგუფებების მიერ დამყარებული სამხედრო დიქტატურის შედეგად ქვეყანა ქაოსმა მოიცვა. ძალადობას შიმშილიც დაერთო, ყველაზე მეტად ყველაზე მოწყვლადი, მდინარის პირას მცხოვრები მწყემსი მოსახლეობა დაზარალდა, კატასტროფის დროს კი, 1991 წლის დეკემბრიდან 1992 წლის მარტამდე 250 000 სომალელი დაიღუპა. შექმნილი მდგომარეობის საპასუხოდ, 1992 წლის აპრილში ტერიტორიაზე გაეროს მსუბუქად შეიარაღებული „მეორე თაობის“ მშვიდობის დამცველები (UNOSOM I) შევიდნენ, რომელთაც გაეროს დესპანი მოჰამედ საჰნოუნი მეთაურობდა. არსებობდა მოსაზრება, რომ საჰნოუნის მიდგომას, რომლიც მხარს უჭერდა ადგილობრივი სომალური მეთოდების გამოყენებით მხარეთა შორის მოლაპარაკებების ხელშეწყობას , წესით დადებითი შედეგი უნდა გამოეღო (Sahnoun, 1994: Ramsbotham and Woodhouse, 1996: 193-26), მაგრამ მოლაპარაკებების პროცესი მოულოდნელად ჩაიშალა, როდესაც აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშ უფროსის გადაწყვეტილებითა და გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობით (1992 წლის დეკემბერი), ტერიტორიაზე კონტროლის დამყარების მიზნით მრავალრიცხოვანი, ძირითადად ამერიკელებით დაკომპლექტებული „ამერიკული გაერთიანებული საგანგებო დავალების ძალები“ (American United Task Force (UNITAF)) შევიდნენ. 1993 წლის აპრილში UNITAF28 ათასიანმა UNOSOM II-მა ჩაანაცვლა და ომის მსვლელობაშიც ჩაერთო. 1993 წლის ოქტომბრის საბრძოლო ოპერაციების დროს 18 აშშ-ელი რეინჯერი დაიღუპა, რის შემდეგაც 1994 წლის მარტში აშშ-ს ძალებმა ტერიტორია დატოვეს, 1995 წლის მარტში UNOSOM II - ც გავიდა.

ამ მოვლენებიდან დაახლოებით ათი წლის თავზე, 2006 წლის დეკემბერში გაერომ კვლავ გასცა ამ ტერიტორიაზე მშვიდობის დამცველების შესვლის მანდატი - ამჯერად ტერიტორიაზე აფრიკის კავშირის 8 000 მშვიდობის დამცველი შევიდა (ახლა, როდესაც ეს წიგნი იწერება, ტერიტორიაზე 6000 მშვიდობის დამცველი იმყოფება, ძირითადად უგანდადან და ბურუნდიდან) (AMISOM), რასაც წინ უძღოდა „ისლამური სასამართლოების კავშირის“ ძალების განდევნის მიზნით წარმოებული ინტერვენცია ეთიოპიის მხრიდან, რომელსაც დასავლეთი უჭერდა მხარს. აღნიშნულმა ძალებმა იმ ზაფხულს ცენტრალური სამხრეთ სომალის დიდი ნაწილი დაიკავეს. პასუხად ისლამისტები მეტად აგრესიულ ჰარაკატ ალ-შაბაბსა (ახალგაზრდული მოძრაობა) და ახლად შექმნილ, აგრესიულ ჰიზბულ ისლამიაში (ისლამისტური პარტია) გაერთიანდნენ და გარდამავალ ფედერალურ მთავრობასა (Transitional Federal Government (TFG)) და მის დამცველ AMISOM-ს ჯიჰადი გამოუცხადეს. 2009 წლის მაისსა და ივნისში გარდამავალი ფედერალური მთავრობა გადარჩა, თუმცა სიტუაცია ჩიხში შევიდა, როდესაც ამბოხებულებმა და AMISOM-ის ძალებმა ერთმანეთს ცეცხლი გაუხსნეს. დაპირისპირებამ ძირითადად დასახლებული რაიონები მოიცვა, რასაცმშვიდობიანი მოსახლეობა ემსხვერპლა. 2009 წლის სექტემბრისათვის მილიონ სამასი ათასი სომალელი საცხოვრებელი ადგლებიდან აიყარა. დახმარების სააგენტოების გამოთვლებით მოსახლეობის ერთი მესამედი საკვებს ჰუმანიტარული დახმარების სახით იღებდა, ქვეყანას წელიწადში 60 000 ადამიანი ტოვებდა და მუდმივად მზარდ დიასპორას უერთდებოდა. ომში კვლავაც მშვიდობის დამცველები ჩაერთვნენ.

ამ ოცწლიანი გამოცდილებით ძალიან მწარე გაკვეთილი მივიღეთ. კონფლიქტი კლანური

სამოქალაქო ომიდან ჯერ ვარლორდიზმად იქცა, მერე კი ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის (ეთიოპიასა და ერიტრეას) მიმდინარე არაპირდაპირ ომში გადაიზარდა. , ახლა კი უკვე ალბათ გლობალური რელიგიური და იდეოლოგიური ბრძოლის სახე აქვს. 1991 წლის მაისში ძირითადად ისააკის კლანის წარმომადგენელთა კონფერენციამ ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში „სომალილენდის დამოუკიდებელი რესპუბლიკის“ დაარსება გამოაცხადა. 1998 წელს, მის მომიჯნავე ტერიტორიაზე (ძირითადად ჰარტის რაიონში) არასეპარატისტული „პუნტლანდის სომალის სახელმწიფო“ დაარსდა. მშვიდობის დამყარების საერთაშორისო ოპერაციების წარმოებას სომალის საზოგადოების წარმომადგენლობისა და ლეგიტიმურობის პრობლემატური ბუნება ართულებდა:

წარმომადგენლობა სომალიში მრავლობითი აფილაციით ხასიათდება, ხშირია ალიანსის ცვლა, იდენტობა ცვალებადია და დამოკიდებულია ნაციონალობაზე, კლანსა და აღმსარებლობაზე. როგორც წესი, სამშვიდობო პროცესებში სომალის წარმომადგენლები რამდენიმე „ქუდით“ ცხადდებიან და აფილაციას საკუთარი და პატრონების ინტერესებიდან გამომდინარე იცვლიან (Hoehne, 2010: 37).

ამ ყველაფრის უკან კი დგას ის ფაქტი, რომ სომალის სახელმწიფოს იდეა ევროპული კოლონიალური იმპორტის ნაყოფი იყო, რომლის დროსაც სომალის ტერიტორია ხუთ ხელოვნურ ნაწილად დაიყო, რომელთაგანაც თანამედროვე სომალიში მხოლოდ ორი შედის (Lewis, 2002). სომალელებს მშვიდობა სურთ, მაგრამ ცენტრალიზებული სახელმწიფო მათ აზრს არ იზიარებს. ძალაუფლება სომალის პასტორალურ კულტურაშია გაფანტული. აშშ-ს მოთხოვნა: „ხელმოცარული სახელმწიფოების აღდგენის“ შესახებ რეგიონებში სტაბილური ვითარების დამყარების, მეკობრეობის აღკვეთის და ტერორისტთა თავშესაფრის მოსპობის მიზნით რადიკალურად ეწინააღმდეგება ადგილობრივ ტრადიციებს.

> *საერთაშორისო მედიაციის ნორმალური ფორმები ადვილად ვერ ართმევს თავს ცენტრალიზებულ, სახელმწიფოზე დაფუძნებულ ხელისუფლებასა და ტრადიციულ, ეგალიტარულ პოლიტიკურ კულტურას შორის არსებულ აშკარა წინააღმდეგობას. რომელშიც ლეგიტიმური ძალაუფლება სახელმწიფოს ცენტრალიზებული ინსტიტუტის ხელში არ არის თავმოყრილი, რადგან იგი იმ კლანურ სისტემაშია გაბნეული, რომელსაც ჩვეულებითი სამართალი და სხვა ინსტიტუტები განკარგავს. სომალელები სახელმწიფოთა ალტერნატიული, სომალური და დასავლური, დემოკრატიული ტრადიციების ჰიბრიდული მოდელების ექსპერიმენტულ ვარიანტებს იყენებენ. აქედან გამომდინარე სომალილენდსა და პუნტლენდში სომალელებს მთავრობის ისეთი ლოკალური ფორმები აქვთ, რომლებში მონაწილეობის მეტი საშუალება არსებობს; ასეთი რამ მათ ათწლეულების მანძილზე არ გამოუცდიათ, რის გამოც გაუჭირდებათ ამ მონაპოვარის დათმობა. (Bradbury and Healy, 2010: 106).*

აღნიშნული სერიზული გამოწვევის წინაშე აყენებს დღესდღეობით მოდურ მოსაზრებას „სახელმწიფოს შენების“ უპირველოსობის შესახებ (განვიხილავთ მე-8 თავში) და სათუოს ხდის საერთაშორისო მშვიდობის დამცველების წარმატებას.

და ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო აქტორების, მათ შორის გაეროსა და სხვა დიპლომატებისთვის სრულიად მოულოდნელად, მრავალი წლის განმავლობაში საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩენილმა სომალელებმა მშვიდობის დაცვისა და შერიგების უამრავი ადგილობრივი საშუალება გამოიყენეს. 2001 წლის შემდეგ სომალურმა ცენტრებმა („ინტერფისის“ ხელშეწყობით) ცენტრალურ-სამხრეთ სომალიში, სომალილენდსა და პუნტლენდში 90-ზე მეტი ასეთი შემთხვევა აღწერეს და რუკაზე გადაიტანეს

(Bradbury and Healey, 2010: 45-74). ამას კი მიაღწიეს დაუწერელი ჩვეულებითი სამართლის (xeer), სუნი შაფის სკოლის სომალის შარის სამართლით, ტრადიციული ღირებულებებით (caado), სოციალური ქცევის ადგილობრივი კოდექსით, კლანების ბელადების, მუსლიმი სწავლულების (ulema) და ქალთა ჯგუფების საშუალებით. როგორც მე-9 თავში აღვნიშნავთ ტრადიციულ დისკუსიებში ადგილობრივ შესაძლებლობებსა და რესურსებს ხშირ შემთხვევაში არასათანადოდ აფასებენ და მათზე მცდარი წარმოდგენისანი არიან.

დასკვნა

დანამდვილებით ვერ ვიტყვით რამდენად მიღწევადია „კოსმოპოლიტური“ მომავალი, მაგრამ საკითხისადმი კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით მიდგომა გვაჩვენებს რა განსხვავებაა ჭეშმარიტ სამშვიდობო ოპერაციებსა და სხვა სახის ჩარევას შორის და ასევე გვანახვებს როგორ უნდა მოხდეს „პრაგმატული“ წერტილოვანი (ინკრემენტალური) გაუმჯობესება იმისთვის, რომ ამ ოპერაციებმა დაკისრებული მოვალეობა და დასახული ამოცანები შეასრულონ. მართალია, სამშვიდობო ოპერაციებმა რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით კი 1990-იან წლებში სერიოზული მარცხი განიცადა, მაგრამ ჩვენ ვიზიარებთ ალექს ბელამისა და პოლ უილიამსის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ უკანასკნელ წლებში:

> *გაცილებით მეტი მკაფიო მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ სამშვიდობო ოპერაციების საშუალებით შესაძლებელია კონფლიქტების მართვა და სტაბილური მშვიდობის საფუძვლის ჩაყრა. ახლა იმ პირობების შესახებაც მეტი რამ ვიცით, რომლებიც წარმატების საწინდარია და იმ ფაქტორებსაც უკეთ ვიცნობთ, რომლებიც მარცხს იწვევს. ახლა უფრო ფართო წარმოდგენა გვაქვს იმის შესახებ თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული სამშვიდობო ოპერაციები. (2010:402).*

ამ თავის დასასრულს კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ კონფლიქტების მოგვარება, როგორც ახალი დარგი, და გაეროს მშვიდობის დაცვა, როგორც ახალი საქმიანობა, ერთსა და იმავე ათწლეულში, 1950-იან წლებში წარმოიშვა ; იმ დროიდან მათ მსგავსი სამოქმედო გეგმა ჰქონდათ. მშვიდობის დამცველების მთავარი მიზანი ნაციონალური მტრის დამარცხება არ იყო, მისი მიზანი სამშვიდობო პროცესების მხარდაჭერა, მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვა და ლეგიტიმური საერთაშორისო მანდატის შესრულება იყო. მაშინაც კი, როდესაც ტრადიციული სამხედრო საომარი მოქმედებების გამოყენება გარდაუვალია, მათი (ამ მოქმედებების) საბოლოო მიზანი მხოლოდ მშვიდობის განმტკიცებაა. კონფლიქტების მოგვარების კლასიკური მიდგომების თვალსაზრისით მტერი თავად ძალადობრივი კონფლიქტია და არა მისი მხარეები. კონფლიქტების მოგვარების უმთავრესი მიზანი ძალადობრივი კონფლიქტის ტრანსფორმაცია და პოლიტიკური ან სხვა ტიპის მშვიდობიანი ცვლილებების გატარებაა; აქედან გამომდინარე, კონფლიქტში ჩარევა მისი მოგვარების მიზნით და სამშვიდობო ოპერაციები ერთი და იმავე პრინციპებით უნდა იმართებოდეს (ამაზე მე-14 თავში ვისაუბრებთ). რაც მთავარია, სამშვიდობო ოპერაციები მათი ინტერესების დაცვას უნდა ემსახურებოდეს, ვისთვისაც ეს ჩარევა ხორციელდება და არა მათი, ვინც ერევა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამგვარ ინტერვენციას სამშვიდობო ოპერაციას ვერ ვუწოდებთ. როგორ დავადგინოთ რა შედის და რა არა მათ ინტერესებში, ვისთვისაც ეს ჩარევა ხორციელდება? ამ შეკითხვაზე პასუხს მე-9 თავში გავცემთ.

რეკომენდირებული ლიტერატურა

Bellamy et al. (2004): Bellamy and Williams (2010); Bradbury and Healy (2010); Diehl (2008); Durch (2007); MacQueen (2006); Pouligny (2006); Woodhouse and Ramsbotham (2000, 2005).

მეშვიდე თავი

ძალადობრივი კონფლიქტის დასრულება მშვიდობის დაცვა

ამ თავში კონფლიქტების მოგვარების იმ როლზე ვისაუბრებთ, რომელსაც იგი ომების დასრულებისას ასრულებს და არა მათი მიმდინარეობისას. საგანგებოდ შევჩერდებით იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ცივი ომის შემდგომ პერიოდში ომების დასასრულებლად გაატარეს და იმ ფაქტორებზეც ვისაუბრებთ, რომელთა წყალობითაც ეს ძალისხმევა წარმატებული ან წარუმატებელი აღმოჩნდა. ზემოთ უკვე განვიხილეთ ძალადობრივი კონფლიქტის დასრულების თანმხლები სირთულეები, ქვემოთ კი იმ როლზე ვიმსჯელებთ, რომელსაც კონფლიქტის ტრანსფორმირების საშუალებები , დეესკალაცია, წინასწარი მოლაპარაკებები, მედიაცია, მოლაპარაკებები და სამშვიდობო მოლაპარაკებები ძალადობის დასრულებასა და მშვიდობის აღდგენაში ასრულებს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითებს წარმატებული და წარუმატებელი სამშვიდობო პროცესებიდან და იმ შემთხვევებსაც განვიხილავთ, როდესაც ეს პროცესები თან ახლდა გაჭიანურებულ კონფლიქტს, თუმცა მას შედეგი არ გამოუღია. .

1990 წლის 11 თებერვალს, საპატიმროდან გამოსულმა ნელსონ მანდელამ მსოფლიო თავისი სიტყვაუხვობით გააოცა, როდესაც მან ხალხს ასე მიმართა: „ამხანაგებო, მეგობრებო და ჩემო სამხრეთ ამერიკელო თანამოძმენო, მოგესალმებით სულ ყველას ერთად მშვიდობის, დემოკრატიისა და საყოველთაო თავისუფლების სახელით.“ ამ მოვლენიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, 1993 წლის 13 სექტემბერს „თეთრი სახლის“ ეზოში ისრაელის პრემიერ მინისტრმა იცხაკ რაბინმა ხელი ჩამოართვა იასერ არაფატს, რასაც დიდი უკმაყოფილებით იხსენებდა:

> *ვიცოდი, რომ მეორე მხრიდან ჩემკენ გამოწვდილი ხელი ის იყო, რომელსაც მანამდე დანა და თოფი ეჭირა; ეს ის ხელი იყო, რომელიც სროლისა და ხოცვის ბრძანებას იძლეოდა. ალბათ მსოფლიოში არსებულ ყველა ხელს შორის ეს ის ხელი იყო, რომლის შეხებაზე არასოდეს მიფიქრია და მიოცნებია; ამას ვერ წარმოვიდგენდი. სიამოვნებით მოვაწერდი ხელს სამშვიდობო ხელშეკრულებას ჰოლანდიასთან, ლუქსემბურგთან ან ახალ ზელანდიასთან. მაგრამ ამის საჭიროება არ დამდგარა. ამიტომ იმ ტრიბუნაზე მდგომი, მე იმ ერს წარმოვადგენდი, რომელსაც თავის ყველაზე სასტიკ და საძაგელ მტერთან სურს მშვიდობა. (პრემიერ მინისტრი რაბინის მიმართვა ებრაელთა ფედერაციების გენერალური ასამბლეის საბჭოსადმი, მონრეალი, 1993 წლის 18 ნოემბერი).*

კონფლიქტის მოგვარება გაცილებით მრავლისმომცველია ვიდრე კონფლიქტის ტრანსფორმაცია. ძალადობრივი კონფლიქტის დასრულება მის საფუძველში არსებული მიზეზების მოგვარებას არ გულისხმობს. ხშირ შემთხვევაში, არც მიზეზების მოგვარებაა კონფლიქტის დასრულების გარანტი. შესაძლებელია, კონფლიქტის მოსაგვარებლად გაწეულმა ძალისხმევამ ომის დასრულება ვერ შეძლოს, ხოლო ომის დასასრულებლად ჩატარებულმა ღონისძიებებმა არსებული კონფლიქტი ვერ მოაგვაროს. , კონფლიქტის მოგვარება გულისხმობს როგორც მის ტრანსფორმაციას ასევე ძალადობის აღმოფხვრას, რისი მიღწევაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ძალადობრივი კონფლიქტის დასრულებასთან დაკავშირებული გამოწვევები

პირველ რიგში განვიხილავთ როგორ დასრულდა ცივი ომის შემდგომი პერიოდის დიდი შეიარაღებული კონფლიქტები და რა დაბრკოლებები არსებობდა კონფლიქტის მოგვარების კუთხით.

ფოკუსი 7.1 სამშვიდობო ხელშეკრულებები შეიარაღებულ კონფლიქტებში, 1998-2000

ეთიოპია-სომალი 1988
ირანი-ერაყი 1988
ნამიბია 1988
მაროკო-დასავლეთ საჰარა 1989
ჩადი-ლიბია 1990
ნიკარაგუა 1990
ლიბანი 1990
კამბოჯა 1991
ჩადი 1992
მოზამბიკი 1992
ელ სალვადორი 1992
ჯიბუტი 1994
ინდოეთი, ჯარკანდი 1994
ბოსნია - ხორვატიის რესპუბლიკა 1994
მალი, აირი და აზავადი 1995
ნიგერია, ეარი და აზავადი 1995
ბოსნია -სერბეთის რესპუბლიკა 1995
ხორვატია-აღმოსავლეთ სლავონია 1995
გვატემალა 1996
ლიბერია 1996
ფილიპინები, მინდანაო 1996
ტაჯიკეთი 1997
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა 1997
ბანგლადეში, ჩიტაგონგის მთიანი რეგიონი 1997
ჩრდილოეთ ირლანდია 1998
გვინეა-ბისაუ 1998
ეკვადორი-პერუ 1998
აღმოსავლეთ ტიმორი 1999
ერიტრეა-ეთიოპია 2000

წყარო ვალენსტინი, 2002 ბ

ფოკუსი 7.2 რჩეული სამშვიდობო შეთანხმებები შეიარაღებულ კონფლიქტებში, 2000-8

კენია	2008	გარიგება ძალაუფლების განაწილების შესახებ
კოტ-დივუარი	2007	უაგადუგუს პოლიტიკური შეთანხმება
სუდანი/ჩადი/ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	2007	კანის დეკლარაცია
უგანდა	2007	შეთანხმება ანგარიშვალდებულებისა და შერიგების შესახებ
კამერუნი/ნიგერია	2006	შეთანხმება ბაკასის ნახევარკუნძულის შესახებ
სუდანი	2006	დარფურის სამშვიდობო ხელშეკრულება
ჩრდილოეთ ირლანდია	2006	სან ენდრიუს ხელშეკრულება
ნეპალი	2006	მასშტაბური სამშვიდობო ხელშეკრულება
სენეგალი	2004	კაზამანსის ხელშეკრულება
სუდანი	2004	მასშტაბური სამშვიდობო ხელშეკრულება
ლიბერია	2003	მასშტაბური სამშვიდობო ხელშეკრულება
კომოროსი	2003	ნძუანის ხელშეკრულება
კოტ-დივუარი	2003	ლინას-მარკუსის ხელშეკრულება
ანგოლა	2002	სამშვიდობო შეთანხმება (ლუკასას პროტოკოლი 1994)
აჩეჰი	2002	აგრესიის შეწყვეტის ჩარჩო ხელშეკრულება
უგანდა	2002	სამშვიდობო ხელშეკრულება
მაკედონია	2001	ჩარჩო ხელშეკრულება
ბუგენვილი	2001	ბუგენვილის სამშვიდობო ხელშეკრულება
ბურუნდი	2000	არუშას სამშვიდობო და შერიგების ხელშეკრულება
სიერა-ლეონე	2000	სამშვიდობო ხელშეკრულება მთავრობასა და გაერთიანებულ რევოლუციურ ფრონტს შორის

კონფლიქტები სამშვიდობო ხელშეკრულების დადებით არაერთგზის დასრულებულა, მაგრამ ეს ჩვეულებრივი რამ არ გახლავთ. უმეტეს შემთხვევაში კონფლიქტები დროთა განმავლობაში თავისით განელდება და იმ ზღვარს ჩამოსცილდება ხოლმე, რომელსაც მკვლევრები შეიარაღებულ კონფლიქტს უწოდებენ. ასეთ დროს საფუძველში არსებული მიზეზები რჩება და შეიძლება, კონფლიქტი თავიდან დაიწყოს. ასეთი რამ ეიზერის გაჭიანურებული კონფლიქტის თეორიასთან სრულ შესაბამისობაშია (იხ. მეოთხე თავი). კრაუცი (2010) 1946-1989 წლებს შორის პერიოდში 141 შეწყვეტილ კონფლიქტზე მიუთითებს, რომელთა მხოლოდ 9 პროცენტი დასრულდა ზავით; 1 პროცენტი ცეცხლის შეწყვეტით, მაგრამ არა ზავით, 58 პროცენტი ერთი მხარის გამარჯვებით, 32 პროცენტი კი სხვა შედეგით. ცივი ომის დასრულების შემდგომ პერიოდში 1990-2005 წლებს შორის 147 კონფლიქტი დასრულდა; მათგან 18 პროცენტი ზავით, 20 პროცენტი ცეცხლის შეწყვეტით, მაგრამ არა ზავით და 14 პროცენტი ერთი მხარის გამარჯვებით, 48 პროცენტი კი სხვა შედეგით, რაც ნიშნავს, რომ ცივი ომის დასრულების შემდგომ პერიოდში სამშვიდობო ხელშეკრულებებით დასრულებულ კონფლიქტთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო ცალსახა გამარჯვებით დასრულებული კონფლიქტების რაოდენობა კი მნიშვნელოვნად შემცირდა. თუმცა, სხვა შედეგით (ძალადობის შეწყვეტა, რომელსაც სამშვიდობო ხელშეკრულების დადება არ მოჰყოლია) დასრულებული კონფლიქტების რაოდენობა სხვებზე მეტია. თუმცა, ცივი ომის დასრულების შემდგომ პერიოდში მნიშვნელოვანი სამშვიდობო ხელშეკრულებებიც დაიდო და ისეთებიც, რომელთა შესახებ ნაკლებად არის ცნობილი. (იხ. ფოკუსი 7.1). ყველაზე ხშირია კონფლიქტების ცეცხლის შეწყვეტით დასრულებისა და დროებითი შეთანხმების მიღწევის შემთხვევები, შედარებით იშვიათობას წარმოადგენს სამუდამოდ გადაწყვეტის შემთხვევები. ამ ბოლო დროს მიღწეული შეთანხმებების შესახებ იხილეთ ფოკუსი 7.2.

სადავოა ის, თუ რაში მდგომარეობს „ომის დასრულება“. ვოლენსტინი და მისი კოლეგები, ასეთ შემთხვევაში მინიმალისტურ განმარტებას სჯერდებიან და „ომის დასრულებას“ უწოდებენ ვითარებას, როდესაც ერთი წლის განმავლობაში საბრძოლო მოქმედებებთან დაკავშირებულ 25-ზე ნაკლებ სიკვდილის შემთხვევას აქვს ადგილი; თუმცა ასეთ დროს სამშვიდობო შეთანხმებებს ხშირად არღვევენ და ძალადობაც თავიდან იწყება ხოლმე. კამბოჯა, სადაც 1990 წელს „მასშტაბურ პოლიტიკურ შეთანხმებას“ მიაღწიეს, 1996 წლის მიწურულს კვლავ მაღალი ინტენსივობის კონფლიქტის ქარ-ცეცხლში გაეხვა (Schmid, 1997:79). 1999 წლის ივლისში, სიერა ლეონეში დადებული ლომეს ზავი ჩაიშალა, განახლდა საბრძოლო მოქმედებები, რომელთა შეწყვეტაც დიდწილად UNAMSIL-ის ჩარევისა და 2002 წლის მაისის არჩევნების შედეგი იყო. 1990-1996 წლებში გვატემალაში 16 სამშვიდობო ან ნაწილობრივი ხელშეკრულება დაიდო; ასევე დაიდო მრავალი შეთანხმება, რომელთა უმრავლესობა , როგორც წესი, წარუმატებელი იყო.[1]ომი დროის რომელიმე კონკრეტულ წერტილში არ სრულდება, ეს მთელი პროცესია. ძალადობრივი კონფლიქტი სრულდება მაშინ, როდესაც ახალი პოლიტიკური გადანაწილება ხდება, ან როდესაც მხარეები რიგდებიან ან პირველ კონფლიქტს მორიგი, ახალი კონფლიქტი გადაფარავს.[2]ალბათ ამიტომ, სახელმწიფოს შიგნით შეთანხმების მიღწევაზე გაცილებით ადვილი სახელმწიფოთაშორისი ზავის დადებაა. მოლაპარაკება შესაძლებელი გახდა თანამედროვე სამოქალაქო ომების მხოლოდ 25 პროცენტის შემთხვევაში, მაშინ როცა სახელმწიფოთაშორისი ომების ნახევარზე მეტი ზავით სრულდება (Pillar, 1983; Licklider, 1995).[3] თუ მოვლენებს დროის უფრო ვრცელ მონაკვეთში განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ შეიარაღებული კონფლიქტები ბოლოს მართლაც სრულდება ხოლმე (Licklider, 1995).

ლიკლაიდერმა (1995) დაადგინა, რომ მოლაპარაკებებით დასრულებული სამოქალაქო

ომების შემთხვევაში შეიარაღებული კონფლიქტი გაცილებით ხშირად იწყება თავიდან ვიდრე მაშინ, როცა იგი რომელიმე ერთი მხარის სამხედრო გამარჯვებით სრულდება; თუმცა, მეორე მხრივ, სამხედრო გამარჯვებით დასრულებულ კოფლიქტებს ხშირად მოსდევს გენოციდი. იგივე აზრს იზიარებს ტოფტი (2010) და ამტკიცებს, რომ მოლაპარაკებით მოგვარებული კონფლიქტები ხშირად თავიდან იწყება; ნაკლებია მდგრადი მშვიდობის მიღწევის შესაძლებლობა.

აღნიშნული დასკვნები ცხადყოფს, რომ საფუძველში არსებული კონფლიქტების მოსაგვარებლად საჭიროა მშვიდობის დაცვის უწყვეტი ღონისძიებების გატარება.

დაბრკოლებები, რომელიც კონფლიქტის მოგვარებას ახლავს თანმეოთხე თავში ზოგიერთ იმ მიზეზზე ვისაუბრეთ, რომლებიც თანამედროვე სოციალური კონფლიქტების დასრულებას ართულებს. კონფლიქტის წყაროები, რომლებიც, როგორც წესი, ომის მსვლელობის პროცესში ძლიერდება, არსებობს საერთაშორისო, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დონეებზე, ასევე ელიტებისა და ინდივიდების ფრაქციულ დონეზეც. ამას ემატება დესტრუქციული პროცესები და ის ინტერესები, რომელსაც ომი წარმოქმნის (საუბარი იყო მეექვსე თავში). ომით გამიწვეული ეკონომიკური დესტრუქცია იმავე საზოგადოებაში ახალი ომების გაჩაღების ალბათობას ზრდის. (Collier et al., 2003). ძალადობა წარმოშობს ჯგუფებს, რომლებიც ომის გახანგრძლივებით პირდაპირ სარგებელს იღებენ. . ომის გაგრძელება ხელს აძლევთ ჯარისკაცებს, რომლებიც საარსებო წყაროს შოულობენ, ვარლორდები იმ რესურსებსა და შემოსავლებს ებღაუჭებიან, რომელთა კონტროლიც მათ ხელშია (King, 1997: 37; Berdal and Keen, 1998). თვით დაბალი ინტენსივობის კონფლიქტებშიც კი პროტაგონისტები , ეკონომიკურად ან ფსიქოლოგიურად შეიძლება იყვნენ დამოკიდებული კონფლიქტის გახანგრძლივებაზე. ლიდერებს, რომელთა სახელები მჭიდროდ არის დაკავშირებული ამა თუ იმ კონფლიქტთან, ომის დასრულების შემთხვევაში დევნა, დამხობა და სიკვდილი ემუქრებათ, რაც მათ კონფლიქტის გაგრძელების სტიმულს აძლევს (მაგ., კარადიჩი ბოსნიაში, სავიმბი ანგოლაში, ველუპილაი პრაბჰაკარანი შრი ლანკაში). კონფლიქტის გაგრძელება ხელს აძლევთ ადგილობრივ და რეგიონალურ პარტიულ მუშაკებსა და სამხედრო ოფიცრებსაც, რომლებმაც კონფლიქტის მიმდინარეობისას კარიერულ წინსვლას მიაღწიეს (Sisk, 1997:84). მშვიდობის დამყარების შემთხვევაში ეს პროტაგონისტები თავიანთ როლს ან სტატუსს დაკარგავენ, რაც მათ ინტერესებს პირდაპირ საფრთხეს უქმნის (King, 1997). გარდა ამისა, მხარეებს არ აქვთ იმის გარანტია, რომ შეთანხმების მიღწევას შეძლებენ (Walter, 1997, 2002), რაც მათ თავდადებას ჰმატებთ (Fearon, 1998:107).

ალბათ გაცილებით ადვილი იქნებოდა დაგვესკვნა, რომ კონფლიქტების მოგვარება შეუძლებელია და რომ პოლიტიკური ჯგუფები (მაგ., ნაციები) საკუთარი მიზნების სისრულეში მოსაყვანად უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოლებენ. მაგრამ ალბათ მიზანშეწონილი იქნება, დაბრკოლებებთან ერთად ხელშეწმყობი ფაქტორებიც განვიხილოთ. ძალადობრივი კონფლიქტები საზოგადოებას ძალიან ძვირი უჯდება, ამიტომ მათი დასრულება მის საკმაოდ დიდ სეგმენტს აძლევს ხელს. კონფლიქტში მყოფ თემებს, რომელთა უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას საფრთხე ემუქრება, მისი დასრულების მიმართ საერთო ინტერესი აქვს. ზომიერი პოლიტიკოსები და ამომრჩეველი, რომელიც ძალადობის პირობებში მცირე ხნით დუმს ან დროებით გადაადგილებულია, ნორმალური პოლიტიკური დინების აღდგენას მიესალმება. მშვიდობის აღდგენას და ომის დასრულებას ჩვეულებრივი ადამიანები სიხარულით მიეგებებიან. მაშასადამე მშვიდობასაც ჰყავს მხარდაჭერები და თანაც უხვად; მშვიდობის დამცველების საყრდენად სწორედ ისინი უნდა იქცნენ.

შეგვიძლია გავიხსენოთ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც კონფლიქტის მოგვარება მოლაპარაკებებით გახდა შესაძლებელი. მათ შორისაა აპართეიდი სამხრეთ აფრიკაში, შიდა კონფლიქტები ნიკარაგუაში, ელ სალვადორსა და გვატემალაში; შეთანხმებების მიღწევა მოზამბიკსა და ნამიბიაში და ტა'იფის ზავი, რომლითაც ლიბანში სამოქალაქო ომი დასრულდა. სხვა შემთხვევებში პროტაგონისტები კონფლიქტების გახანგრძლივებას არაძალადობრივი ან კონსტრუქციული საშუალებებით ახერხებენ (Stephan and Chenowith, 2008; Kriesberg, 1998a). სწორი პოლიტიკური ხედვით, მშვიდობის დამცველების ჩართვით, მოდერაციითა და სათანადო პირობების შექმნით, კონფლიქტების მოლაპარაკების გზით დასრულება სრულიად შესაძლებელია. ამიტომ კონფლიქტის ეფექტიანად მოგვარების ინგრედიენტები და ის პირობები უნდა დავადგინოთ, რომელთა არსებობაც კონფლიქტების წარმატებით დასრულების შესაძლებლობას მოგვცემს.

კონფლიქტის მოგვარება და ომის დასრულება

ძალადობრივი კონფლიქტების დასასრულებლად საჭირო საშუალებების განხილვისას ვაიურენენის თვალსაზრისზე შევჩერდებით, რომელიც კონფლიქტის პროცესის ცვალებადობას აღიარებს. კონფლიქტები თავიანთი ბუნებით დინამიკურია, მათი მოგვარებისას კი ცვალებად ურთიერთობათა კომპლექსია გასათვალისწინებელი, რომელიც ნაწილობრივი ცვლილებებისადმი რეზისტენტული ვრცელი სისტემის ნაწილია:

კონფლიქტების თეორიის დიდი ნაწილი საკითხებს, აქტორებსა და ინტერესებს ისე განიხილავს, როგორც მოცემულობა კარნახობს, და ამაზე დაყრდნობით ისეთი გამოსავლის პოვნას ცდილობს, რომელიც მათ შორის არსებულ დაპირისპირებას შეამსუბუქებს ან აღმოფხვრის. თუმცა, დროთა განმავლობაში საზოგადოების სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური დინამიკის ცვლილებასთან ერთად საკითხები, აქტორები და ინტერესებიც იცვლება. კონფლიქტების თვით არასტრუქტურული ასპექტების შემთხვევაშიც კი (მაგალითად, აქტორების პრეფერენციების), სტაბილურობის (რომელზეც თამაშის თეორიის მიდგომაშია საუბარი) გარანტია არ არსებობს. ახალი სიტუაციური ფაქტორები, გამოცდილებით შესწავლა, მეტოქესთან ურთიერთობა და სხვა ფაქტორები გვაჩვენებს, რომ აქტორთა პრეფერენციები მოცემულობად არ უნდა ჩავთვალოთ. (Vayrynen, 1991:4).

ვაიურენენი (1991) კონფლიქტის ტრანსფორმაციის რამდენიმე საშუალებას გამოჰყოფს. მისი მოსაზრებები გალტუნგისას (1984, 1989, 1996, 2004) ავსებს; გალტუნგმა თავისი თვალსაზრისის შექმნა მხარეთა შიგნით და მხარეთა შორის (სტრუქტურული, ატიტუდისა და ბიჰეივიორისტული ასპექტების გათვალისწინებით) მიმდინარე კონფლიქტების მოგვარების განხილვით დაიწყო და თავისი მოსაზრებები კონფლიქტების მშვიდობიანი ტრანსფორმაციის სრულ თეორიად ჩამოაყალიბა. ამ წყაროებსა და ბარტონის, ეიზერისა და კერლის თეორიებზე (საუბარი იყო მეორე თავში) დაყრდნობით ჩვენ გაჭიანურებული კონფლიქტების გარდაქმნის ხუთ ზოგად საშუალებას (შემოგთავაზებთ, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია მეოთხე თავში განხილულ თანამედროვე კონფლიქტის ანალიზის ჩარჩოსთან.

1. კონტექსტის ტრანსფორმაცია. კონფლიქტები სოციალურ, რეგიონალურ და საერთაშორისო კონტექსტებში ვითარდება, რაც ხშირ შემთხვევაში კრიტიკულ როლს ასრულებს მათ გახანგრძლივებაში. ზოგჯერ კონტექსტის ცვლილებამ შესაძლოა უფრო მკვეთრი გავლენა იქონიოს კონფლიქტზე, ვიდრე მხარეებში ან მათ ურთიერთობაში მომხდარმა ცვლილებამ. კონტექსტის ტრანსფორმაციის უპირველეს

მაგალითად ცივი ომის დასრულება მოჰყავთ ხოლმე, რადგან მას გაჭიანურებული კონფლიქტების დასრულება მოჰყვა სამხრეთ აფრიკაში, ცენტრალურ ამერიკასა და ბევრ სხვა ადგილას. შესაძლებელია, მათი გამომწვევი სტრუქტურებისა და პოლიტიკის შეცვლის გარეშე გლობალური ძალების ზემოქმედებით გამოწვეული ადგილობრივი კონფლიქტები ადგილობრივ დონეზე ვერც მოგვარდეს.[5] ეს კოსმოპოლიტურ ჩარჩოში კონფლიქტის სისტემური მოგვარების ცენტრალური საკითხია, რაზეც ამ წიგნის მეორე ნაწილში გვექნება საუბარი.

2. სტრუქტურული ტრანსფორმაცია. კონფლიქტის სტრუქტურას მისი აქტორები და მათ შორის არსებული შეუთავსებელი მიზნები ან ურთიერთობები ქმნის. თუ კონფლიქტის საფუძველი მხარეებს შორის არსებული ურთიერთობების სტრუქტურაა, მის მოსაგვარებლად ამ სტრუქტურის ტრანსფორმაცია იქნება საჭირო. ასიმეტრიულ კონფლიქტებში სტრუქტურული ტრანსფორმაცია დომინანტ და სუსტ მხარეს შორის ურთიერთობის ცვლილებას განაპირობებს. . ასეთ დროს პირველი გამოსავალი ძალაუფლების სუსტი მხარისთვის გადაცემაა (მაგ., საერთაშორისო მხარდაჭერით, აღიარებით ან მედიაციით); მეორე - უთანასწორო მდგომარეობაზე უარის თქმაა, მაგ., როგორც კოსოვოელი ალბანელების შემთხვევაში მოხდა, როდესაც მათ სერბიაში გამართულ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს და „ჩრდილოვანი სახელმწიფოს“ შექმნა განიზრახეს; დაახლოებით იგივე მიდგომა გამოიყენა 2009 წელს პალესტინის პრემიერ მინისტრმა სალამ ფაიადმა.

3. აქტორთა ტრანსფორმაცია. შესაძლოა, მხარეებს საკუთარი ინტერესების გადახედვა, მიზნების შეცვლა ან მათზე უარის თქმა დასჭირდეთ და სრულიად განსხვავებული ხედვა შიძინონ. ასეთი ტრანსფორმაცია შეიძლება აქტორის შეცვლამ, ხელმძღვანელობის გამოცვლამ, კონკრეტული ლიდერის ამომრჩეველთა ცვლილებამ და ახალი მიზნების, ღირებულებებისა და წარმოდგენების შექმნამ განაპირობოს . მხარეთაშორისი კონფლიქტის მოგვარებაში შეიძლება უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულოს მხარის შიგნით მიმდინარე კონფლიქტის ტრანსფორმაციამ (იხ. მე-18 თავი). შესაძლოა, გაჭიანურებულ კონფლიქტში ცვლილება ხელმძღვანელობის შეცვლამ გამოიწვიოს. კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზეზი შეიძლება იმ ამომრჩეველთა პირობებისა და ინტერესების ცვლილებაც გახდეს, რომელსაც ესა თუ ის პარტია წარმოადგენს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ცვლილება ნელა და შეუმჩნევლად მიმდინარეობს. აქტორთა ტრანსფორმაციის მაგალითს წარმოადგენს პარტიათა გახლეჩა და ახალი პარტიების შექმნა; თუმცა, შესაძლოა, ასეთ დროს კონფლიქტის მოგვარება კიდევ უფრო გართულდეს, მაგ., იმის გამო, რომ უფრო მეტი ვეტოს უფლების მქონე მოთამაშე გაჩნდება (Cunningham, 2006).

4. საკითხის ტრანსფორმაცია. კონფლიქტებს ხშირად განმარტავენ როგორც მხარეთა კონფლიქტურ პოზიციას ამა თუ იმ საკითხისადმი. როდესაც მხარეები პოზიციებს შეიცვლიან, საკითხი სიმწვავეს კარგავს, ან ახალი საკითხი წამოყოფს თავს, კონფლიქტი ტრანსფორმაციას განიცდის. პოზიციების ცვლილება ინტერესებისა და მიზნების ცვლილებას და აქედან გამომდინარე კონფლიქტის აქტორების, კონტექსტისა და სტრუქტურის ტრანსფორმაციას უკავშირდება. საკითხების ახალ ჩარჩოში გააზრებამ და მათ შორის ახლებური კავშირების დადგენამ შესაძლებელია გადაწყვეტის გზაც გამოაჩინოს (Aggestam, 1999, Starkey et al., 1999).

5. პირადი და ჯგუფური ტრანსფორმაცია. ადამ კერლი მიიჩნევს, რომ კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის სწორედ ეს უკანასკნელი ფაქტორია ყველაზე მნიშვნელოვანი. [6]პარტიზანთა ყოფილი ლიდერი, რომელიც მზად იყო საბოლოო გამარჯვებამდე ნებისმიერი საშუალებით ებრძოლა, ეროვნული ლიდერი ხდება და შერიგებაზე ლაპარაკობს; მჩაგვრელი მთავრობის ხელმძღვანელი ოპონენტების მთავრობის რიგებში შემოშვებაზე თანხმდება. ჭრილობები ცხრება და ადამიანები ახლებური ცხოვრების დასაწყებად ემზადებიან (Monville, 1993).

ასეთი ტიპის ტრანსფორმაციები ყოველთვის უმტკივნეულოდ არ ხდება. კონფლიქტები ძლიერდება და ფართოვდება, ძალაუფლება ზომიერიდან ექსტრემისტი ლიდერების ხელში გადადის, ძალადობა მატულობს, თავშეკავება და ზომიერება კი ქრება; ასეთი რამ კონფლიქტებისთვის არის დამახასიათებელი. ტრანსფორმაციის ეს ხუთი ტიპი მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ჩარჩოს ქმნიან, რომლის მიხედვითაც იმ ნაბიჯების გაანალიზებაა შესაძლებელი, რომელიც კონფლიქტის მოგვარების მიზნით უნდა გადაიდგას, კონფლიქტის ჩარევის გზების შერჩევაც სწორედ ამ ჩარჩოს გამოყენებით ხდება. ზემოთ ჩამოთვლილთაგან შუა სამი ფაქტორი, რომელიც გარდაქმნას უზრუნველყოფს (სტრუქტურა, აქტორი, საკითხი) კონფლიქტის დონის იმ ფაქტორებს შეესაბამება, რომლებიც მეოთხე თავში განხილული კონფლიქტის მიზეზების ჩვენეულ ტიპოლოგიაში გამოვყავით: კონტექსტის ტრანსფორმაცია გლობალურ, რეგიონალურ და სახელმწიფო დონეებს შეესაბამება, ხოლო ინდივიდუალური და ჯგუფის ტრანსფორმაცია კი ინდივიდუალურ-ელიტარულ დონეს.

მრავალი კულტურა კონფლიქტს ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მყოფი მოთხოვნების „ხლართს“ უწოდებს, რომელსაც გახსნა სჭირდება. ცენტრალურ ამერიკაში კონფლიქტის შემთხვევაში ამბობენ, „ყველანი ისე გავიხლართეთ“ როგორც მებადურის ბადეში; ეს ფრაზა კონფლიქტის კონცეფციას ალბათ ყველაზე უკეთ ასახავს. აქ თავად კონფლიქტს *entredado*-ს (ბადეში გაბმა ან გახლართვა) უწოდებენ (Duffey, 1998). კონფლიქტის საფუძველში პრობლემატური, კონფლიქტური ურთიერთოებების და განსხვავებული მსოფლმხედველობების კვანძი მდებარეობს, რომლის გახსნაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს. წარმატება დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე თუ როგორ შეიკრა ეს კვანძი და რა თანმიმდევრობით გაიხსნება იგი. ზოგჯერ ამ კვანძის გასხნას კონფლიქტების მოგვარების მეთოდების კოორდინერებული და დროული გამოყენება სჭირდება (Fisher and Keashley, 1991). რიგ შემთხვევებში შესაძლოა, ამ ბადიდან გამოსავალი ახალმა ხედვებმა და ახლებურმა ურთიერთობებმა დაგვანახოს.

კონფლიქტების ტრანსფორმაციის ასეთი ვრცელი მიმოხილვა საჭიროა იმ მცდარი წარმოდგენის შესაცვლელად, რომლის თანახმადაც კონფლიქტების მოგვარება აქტორთა ინტერესების ჰარმონიზაციითა და მესამე მხარის მედიატორების ჩარევით ხდება, როდესაც ისინი კონფლიქტურ მხარეებს კეთილგონიერებისა და ჰუმანურობისაკენ მოუწოდებენ. სინამდვილეში პირიქითაა; კონფლიქტის ტრანსფორმაციას მხარეთა ინტერესების, მიზნების და საკუთარი თავის აღქმის შეცვლა სჭირდება, რაც მხარეებს შეიძლება აიძულოს თავად კონფლიქტმა, ინტრაპარტიულმა ცვლილებებმა და ამომრჩევლის ან კონფლიქტის კონტექსტში მომხდარმა ცვლილებამ. კონფლიქტის მოგვარებას არა მხოლოდ იმ საკითხების გათვალისწინება სჭირდება, რომელიც მხარეთა უთანხმოების მიზეზს წარმოადგენს, არამედ იმ სოციალური, ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ცვლილებების განხორციელებაც, რომლებსაც კონფლიქტის საფუძველში არსებული მიზეზების დაძლევა შეუძლიათ. კონფლიქტის მოგვარებისას გასათვალისწინებელია ინტრა-პარტიული კონფლიქტები,

რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს საკითხის გადაწყვეტას, გლობალური და რეგიონალური კონტექსტი, რომელიც სადავო საკითხის სტრუქტურირებას ახდენს , მხარეთა მოსაზრებები და ის სოციალური და ინსტიტუციური საშუალებები რომლებიც განსაზღვრავენ შესაძლებელი და განხორციელებადია თუ არა კონფლიქტის დარეგულირება. . კონფლიქტის გადაჭრის მიზნით მიღებული ზომები „კონფლიქტისადმი სენსიტიური“ უნდა იყოს სხვადასხვა დონეზე.

ახლა, როდესაც ძალადობრივი კონფლიქტის დასრულებისთვის საჭირო ზოგადი მოთხოვნები და ის ფაქტორები განვიხილეთ, რომლებიც მისი ტრანსფორმაციის საშუალებას იძლევა, მათზე უფრო დეტალურად და სიღრმისეულად ვიმსჯელებთ; განვიხილავთ: პირველი - პირობებს, რომლებიც ნამდვილად განაპირობებს კონფლიქტების დასრულებას. ; მეორე - როლს, რომელსაც მედიაცია და მესამე მხარის ჩარევა ასრულებს ომის დასრულებაში; და მესამე - წარმატებულ მოლაპარაკებებსა და სამშვიდობო გადაწყვეტილებებს. ვისაუბრებთ გარდამტეხ მომენტებზე და ჩიხში შესულ მდგომარეობაზე. ; განვიხილავთ მშვიდობის შენარჩუნების გზებს, იმ სკეპტიკოსთა მოსაზრებების საწინააღმდეგოდ რომლებიც უარს ამბობენ ამა თუ იმ სამშვიდობო შეთანხმების პირობებზე და იმ სპოილერებზევისაუბრებთ, რომლებსაც ნებისმიერი შეთანხმების ჩაშლა სურთ.

დეესკალაცია, ძალადობრივი კონფლიქტის დასრულების მომწიფება და პირობები

ცივი ომის დასრულება უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო, რომელმაც მრავალი კონფლიქტის კონტექსტიც შეცვალა და მოგვიანებით განვითარებული არაერთი კონფლიქტის დასრულებასაც შეუწყო ხელი. მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ის, რომ გარე სახელმწიფოების მხრიდან დაპირისპირებულ მხარეთა მხარდაჭერის შესაძლებლობამ და სურვილმა იკლო. კონფლიქტები დასრულდა ცენტრალურ ამერიკაში, სამხრეთ აფრიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რასაც ხელი შეუწყო გეოპოლიტიკურმა ცვლილებებმა, ჩარევის იდეოლოგიური გამართლების არ-არსებობამ და ამბოხებული ჯგუფებისთვის შეიარაღებული დახმარების შეწყვეტამ (მაგ., ელ სალვადორში, ნიკარაგუაში, მოზამბიკსა და კამბოჯაში). ცივი ომის დასრულებამ ჩრდილო ირლანდიის ხანგრძლივ კონფლიქტზეც იქონია გავლენა, რადგან რესპუბლიკელების მიერ იმის მტკიცება , რომ გაერთიანებულ სამეფოს ჩრდილოეთ ირლანდიისადმი სტრატეგიული ინტერესი გააჩნდა , უსაფუძვლო გახდა.

ამ თავისთვის საჭირო სტატისტიკური ბაზა მე-3 თავში განვიხილეთ. როგორც ჰეგრე (2004: 244) გვაჩვენებს, ცივი ომის დასრულების შემდეგ სამოქალაქო ომების სიხშირემ მნიშვნელოვნად იკლო. ასეთი ომები 1990-იან წლებამდე ორმოცი წლის განმავლობაში მხოლოდ მატულობდა. ამ მატების მიზეზი კი ძირითადად ომების ხანგრძლივობის ზრდა იყო და არა ახალი ომების დაწყება; 1990-იანი წლების შემდეგ კი კლება ძირითადად მათი ხანგრძლივობის შემცირების ხარჯზე მოხდა. გადამწყვეტი იყო ის, რომ მეამბოხე ჯგუფებს ბრძოლების დაფინანსების სახსრები ჰქონდათ. გარე სახელმწიფო დახმარებას მოკლებულმა ამბოხებულებმა კი კონტრაბანდასა და ბუნებრივი რესურსების გაჩანაგებას მიჰყვეს ხელი. სუსტი სახელმწიფოების პერიფერიებში, „გლობალურ ტრამალებზე“ ასეთი დაჯგუფებები დღემდე არსებობს, რომლებიც ძალადობრივი კონფლიქტების დასრულებას ყველა საშუალებით ეწინააღმდეგებიან (Fearon, 2004).

მართალია, გარე ჩარევა ჩვეულებისამებრ კონფლიქტის დასრულებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტია, მაგრამ ყველაზე მთავარი ფაქტორი მაინც კონფლიქტის მხარეების მზაობაა თანხმობა განაცხადონ მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიღწევაზე. ეს მზაობა უამრავი ფაქტორით შეიძლება იყოს განპირობებული, რის გამოც ცივი ომის შემდგომი ჰეტეროგენული კონფლიქტების შესახებ რამის განზოგადებულად თქმა საკმაოდ რთულია (Mitchell, 1999, 2000; Downs and Stedman, 2002). როგორც წესი, შეიარაღებულ კონფლიქტებში მხარეები მოლაპარაკებაზე მაშინ თანხმდებიან, როდესაც მიზნების იარაღით მიღწევის იმედსკარგავენ . მაგ., ჩრდილოეთ ირლანდიაში რესპუბლიკელების ლიდერთა გადაწყვეტილებას, ერთდროულად ეწარმოებინათ პოლიტიკური და შეიარაღებული სტრატეგია, შედეგად მოჰყვა პოლიტიკური მოლაპარაკებების თანდათანობითი დაწყება და მალე პოლიტიკური შედეგიც დადგა. მაგრამ ცეცხლის შეწყვეტის ერთადერთი მიზეზი ეს არ იყო. მას სხვა წინაპირობებიც ჰქონდა, მათ შორის, გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის მთავრობის პოზიციის შეცვლა, რომლის წყალობითაც ისინი დაპირისპირებული პროტაგონისტებიდან თანამშრომლობაზე ორიენტირებულ მედიატორებად იქცნენ; ამასთანავე, „იუნიონისტები“ მიხვდნენ, რომ მათთვის სასურველი შედეგი - ახალი, მთავრობის შექმნა, რომელშიც უფლებამოსილებები გადანაწილებული იქნებოდა, მულტიპარტიულ მოლაპარაკებებზე იყო დამოკიდებული.

ზარტმანი (1995ა:18) თვლის, რომ კონფლიქტები მოლაპარაკების გზით გადასაწყვეტად მხოლოდ გარკვეულ პირობებში მწიფდება. უმთავრესი პირობაა: „მტკივნეული ჩიხის“ არსებობა. ორივე მხარე უნდა მიხვდეს, რომ ძალადობის გაგრძელებით მიზნებს ვერ მიაღწევენ და რომ კონფლიქტის გაგრძელება ძვირად დაუჯდებათ. „მტკივნეული ჩიხის“ კონცეფცია პოლიტიკოსთა და დიპლომატთა წრეებში მიღებული და აღიარებულია; მაგ., ჩესტერი და კროკერი მიზანმიმართულად ცდილობდნენ „მტკივნეული ჩიხის“ შექმნას, რადგან იცოდნენ, რომ შეთანხმებას მხოლოდ ამგვარად მიაღწევდნენ. ზოგიერთი „პროცესის მომწიფებასა“ და „ მომწიფებული მომენტებით“ სარგებლობის საჭიროებაზე საუბრობს (Druckman, 1986).

ზარტმანი თვლის, რომ იმისათვის, რომ მოლაპარაკებები წარმატებული იყოს, მათში მხარეთა მხრიდან სათანადო და ქმედუნარიანი წარმომადგენლები უნდა მონაწილეობდნენ; უნდა არსებობდეს დადგენილი ვადა და მისაღები კომპრომისი. მოლაპარაკებების წარმატებისთვის აუცილებელი წინაპირობებია, აღიარება და დიალოგი, ამის მისაღწევად საჭიროა, რომ ორივე მხარე ლეგიტიმურად იყოს ცნობილი. მაგალითად, მთავრობასა და მეამბოხეებს შორის მიმდინარე კონფლიქტში, მთავრობამ მეამბოხეები მოლაპარაკების მხარედ უნდა სცნოს. მოლაპარაკებისთვის ხელსაყრელ პირობად ითვლება მასში თანასწორი მხარეების მონაწილეობა: ასიმეტრიის შემცირება მოლაპარაკებას უწყობს ხელს. დრუკმენი და გრინი (1995) თვლიან, რომ რეჟიმსა და მეამბოხეებს შორის შეფარდებითი ლეგიტიმურობისა და ძალაუფლების შეცვლა მოლაპარაკებებისადმი მიდრეკილებაზე ზემოქმედებს.

„სიმწიფის“იდეა ერთი შეხედვით შესაძლოა მარტივად მოგვეჩვენოს, მაგრამ ზოგმა ავტორმა მასში გარკვეული ცვლილებები შეიტანა და მისი მოდიფიცირებული ვარიანტი შემოგვთავაზა. ქრისტოფერ მიტჩელი (1995) „სიმწიფის მომენტის“ ოთხ ტიპს გამოყოფს, თავდაპირველად დგება „მტკივნეული ჩიხი“, რომელზეც ზარტმანი საუბრობს; „მოახლოებული ორმხრივი კატასტროფის“ განცდა, რომელსაც ზარტმანიც აღიარებს. არსებობს სხვა მოდელიც, რომელიც ამ მომენტს „დოლარის აუქციონს“ უწოდებს (Rapoport, 1989) და თვლის, რომ „მტკივნეული ჩიხის“ მდგომარეობა მხარეებს თავდადებას ჰმატებს; შემდეგ „მაცდური შესაძლებლობა“ დგება (მაგ., გარემოებათა ისეთი დამთხვევა, რომელმაც ირლანდიის

რესპუბლიკური არმია ცეცხლის პირველ შეწყვეტამდე მიიყვანა: ჩრდილო ირლანდიელ ნაციონალისტებსა და რესპუბლიკელებს შორის ურთიერგაგება დამყარდა). სხვები თვლიან, რომ ეს ტერმინი ტავტოლოგიაა და სხვა არაფერი, რადგან დაზუსტებით ვერ ვიტყვით, არის თუ არა სიტუაცია ჩიხში შესული , სანამ არ მოხდება ის, რაც მას უნდა მოჰყვეს (Licklider, 1993:309, Hampson, 1996: 210-14). თუ ისეთი ჩიხი, რომელიც მხარეებს ტკივილს აყენებს, ხანგრძილივი დროის მანძილზე გრძელდება და მას მოლაპარაკებები მოსდევს, რაც ხშირ შემთხვევაში მართლაც ხდება ხოლმე, მაშ ეს ცნება კონფლიქტების მოლაპარაკებების გზების საძიებლად ფასეული ყოფილა.

ზოგიერთთა აზრით, „მტკივნეული ჩიხის“ მარტივ მოდელში მეტისმეტი ყურადღება ეთმობა მხარეთა შორის ძალაუფლებით ურთიერთობებს; ამასთან, იგი სათანადოდ არ ითვალისწინებს მხარეებსა და მათ კონტექსტში მომხდარ იმ ცვლილებებს, რომელმაც შესაძლოა მოლაპარაკებების დაწყებას შეუწყოს ხელი (Stedman, 1991). შეიძლება, გავიხსენოთ მრავალი „მტკივნეული ჩიხი“, რომელსაც მართლაც მოჰყვა წარმატებული მოლაპარაკებების დაწყება, მაგრამ ისეთი შემთხვევაც მრავლადაა, როდესაც ასეთი რამ არ მომხდარა, მაგ., კვიპროსზე. ასეთ შემთხვევაში, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს ჩიხი არცთუ ისეთი მტკივნეულია. სიტუაციათა ანალიზზე დაყრდნობით ძნელია იმის დაზუსტებით თქმა რამდენ ხანს უნდა გრძელდებოდეს ჩიხში მოქცეული მდგომარეობა იმისთვის, რომ წარმატებული მოლაპარაკებების დაწყებას მისცეს ბიძგი. ზოგადად, ჩიხში შესული მდგომარეობა ხალხზე უფრო მტკივნეულ გავლეას ახდენს, ვიდრე იმ ლიდერებზე, რომლებიც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებენ და მოლაპარაკებების დაწყებაზე თანხმდებიან ან უარს ამბობენ. ასევე ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ სიმწიფე მოლაპარაკებების დასაწყებად და სიმწიფე იმისათვის, რომ ისინი წარმატებული აღმოჩნდეს; მაგ., ანგოლასა და კამბოჯაში საჭირო პირობები მომწიფდა, მაგრამ მოლაპარაკებების შემდეგ ისევ გ საწყის მდგომარეობას დაუბრუნდა, რადგან ერთ-ერთი მხარე პირობების შესრულებაზე უარს ამბობდა, მიუხედავად იმისა, რომ „მტკივნეული ჩიხი“ კვლავაც არსებობდა. მოდელი, რომლის მიხედვითაც კონფლიქტები საწყის მდგომარეობას უბრუნდებიან და მერე ნელ-ნელა ისევ სიმწიფეში შედიან, ცოტა ზედაპირულია და არ ითვალისწინებს ისეთ ცვლილებებს, რომლებიც დროთა განმავლობაში ხდება, იცვლება მხარეთა მიზნები, ცვლილებას განიცდიან მათი მხარდამჭერები, იცვლება კონტექსტი, აღქმა, დამოკიდებულება და ქცევის მოდელი. „მომწიფება“ უეცრად არ ხდება; ეს კომპლექსური პროცესია, რომელიც სიტუაციის ტრანსფორმაციას, საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლას და ახალი თვალსაზრისისა და ხედვის ჩამოყალიბებას გულისხმობს.

მედიაცია და მესამე მხარის ჩარევა

მართალია, კონფლიქტის შედეგები დიდადაა დამოკიდებული მის მხარეებზე და მთავარ როლსაც სწორედ ისინი ასრულებენ, მაგრამ კონფლიქტების გლობალიზაციის გამო მედიაციის პროცესში უამრავი გარე აგენტი და მესამე მხარე ერთვება. ბერკოვიჩმა (1996) დაადგინა, რომ მის მიერ შესწავლილი, ცივი ომის შემდგომი კონფლიქტების ორ მესამედში მედიაციას მიმართავდნენ. იგივე დასკვნამდე მივიდნენ ვილკენფელდი და სხვები (2005) ცივი ომის შემდგომი საერთაშორისო კრიზისების კვლევისას: მათ ორ მესამედში მედიაცია იყო გამოყენებული (მაშინ როდესაც 1918-1996 წლებში კრიზისების მხოლოდ ერთიმესამედი წყდებოდა ამ გზით). ვილკენფელდმა და მისმა კოლეგებმა ასევე დაადგინეს, რომ ის კრიზისები, რომლებშიც მედიაციით ხდებოდა ჩარევა, ორჯერ უფრო ხშირად სრულდებოდა

შეთანხმებით ვიდრე ისინი, სადაც მედიაციას არ მიმართავდნენ. ბერკოვიჩი და გარტნერი (2006) კი საპირისპირო დასკვნამდე მივიდნენ და დაადგინეს, რომ ის კონფლიქტები სადაც მხარეებს შორის პირდაპირი მოლაპარაკება იმართებოდა გაცილებით უფრო წარმატებით სრულდებოდა, ვიდრე ის კონფლიქტები სადაც მედიაცია იყო გამოყენებული. ისინი თვლიან, რომ ასეთ შემთხვევაში შერჩევითობას აქვს ადგილი: მედიატორთა ყურადღებას ყველაზე ხშირად რთული დავები იპყრობს, რის გამოც ჩნდება ილუზია, თითქოს მედიაცია იშვიათად სრულდება შეთანხმებით. მედიაციის საშუალებით მიღწეული შედეგი უფრო მყარია , რაც რა თქმა უნდა, მის (მედიაციის) ტიპზეა დამოკიდებული. გასაკვირი არ არის, ერთ-ერთი ბოლოდროინდელი კვლევით მიღებული დასკვნა, რომლის თანახმადაც მწვავე კონფლიქტებში მედიაცია ხშირ შემთხვევაში წარუმატებლად სრულდება; თუმცა, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ისიც, , რომ გარკვეულ შემთხვევებში ის ნამდვილად აღწევს დასახულ მიზანს. კონფლიქტების მოგვარების მიზნით გაწეული ძალისხმევა განსხვავებული აგენტების (საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელმწიფოების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ინდივიდების) და სხვადასხვა ჯგუფების (პარტიის ლიდერების, ელიტის, ხალხის) მონაწილეობას გულისხმობს; განსხვავებულია მისი ფორმები, ხანგრძლივობა და მიზნები. პირველ და მეორე თავებში მათ პირველი, მეორე, მესამე დონისა და მრავალდონიანი დიპლომატია ვუწოდეთ, რომლებიც ჩარევის „რბილ“ და „ხისტ“ ფორმებს იყენებენ, მათ შორის შუამავლობას და შერიგებას და წყნარ ანუ „წმინდა წყლის“ მედიაციის საშუალებებს, ასევე მედიაციისა და მშვიდობის დაცვის სხვადასხვა ფორმებს , რომლის უკიდურეს წერტილსაც მშვიდობის ძალისმიერი მეთოდით დამყარება წარმოადგენს.ცხარე დავისა და კამათის საგანია ის თუ როგორი უნდა იყოს მედიაცია - მიკერძოებული თუ მიუკერძოებელი, იძულებითი თუ არაიძულებითი, სახელმწიფოს მიერ წარმოებული თუ არა და ვინ უნდა აწარმოებდეს მას - შინაურები თუ გარეშე პირები (Touval and Zartman, 1985; Curle, 1986; Mitchell and Webb, 1988; van der Merwe, 1989; Lederach, 1995; Bercovitch, 1996; Beardsley et al., 2006; Bercovitch and Gartner, 2006: Kydd, 2006). სხვადასხვა მიდგომების ინტეგრირების მცდელობა, მაგ., ფიშერისა და კიშლის (1991) „გარემოების მოდელის“[7] და კონფლიქტის სასიცოცხლო ციკლის მოდელის გამოყენება (Creative Associates, 1997: 3-4), გვაჩვენებს, რომ კონფლიქტის სხვადასხვა ფაზაში განსხვავებული ზომების მიღებაა მიზანშეწონილი; თუმცა ამ მოდელების გამოყენება არც ეთიკურ საკითხებს წყვეტს და არც კოორდინაციის პრაქტიკულ ამოცანებს (Webb, et al., 1996). თუმცა, ყველა მათგანი ერთ რამეს ცალსახად ადასტურებს, რომ მესამე მხარის ჩარევა კოორდინირებული უნდა იყოს (Jones, 2002) და ხანგრძლივი დროის მანძილზე უნდა გრძელდებოდეს. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ხშირად „მესამე მხარეებს სხვა მესამე მხარეებიც სჭირდებათ ხოლმე“ (Hampson, 1996:233; Crocker et al., 1999). როგორც მეოთხე თავში აღვნიშნეთ, თუ კონფლიქტი კომპლექსური სისტემაა, საერთო მოდელის შესაცვლელად ინდივიდუალური ცვლილებები არ არის საკმარისი და იგი (კონფლიქტი) თავის „საწყის“ “ მდგომარეობას დაუბრუნდება. მეორე მხრივ კი, თუ სიტუაცია ისე იცვლება,, რომ სისტემა არასტაბილური ხდება , „კომპლექსურობისა და ქაოსის“ თეორიის თანახმად მცირედ ცვლილებს მისი ახალ კონფიგურაციაში გადაყვანა შეუძლია. ამ სპექტრის შედარებით რბილი მიდგომის თანახმად, მესამე მხარე არსებით როლს ასრულებს საკითხის ტრანსფორმაციაში. იგი ეხმარება და ერთმანეთთან აკავშირებს კონფლიქტის მხარეებს, მოიპოვებს მათ ნდობას, უდგენს დღის წესრიგს, აზუსტებს და განმარტავს კონკრეტულ საკითხებს და ახდენს შეთანხმების ფორმულირებას. მესამე მხარე ხელს უწყობს მხარეთა შეხვედრას, არჩევს შეხვედრის ადგილს, ამცირებს დაძაბულობას, სწავლობს მხარეთა ინტერესებს და ისინი ახალი და წარმოუდგენელი შესაძლებლობებისკენ ხელჩაკიდებული მიჰყავს. ამას თავად პროტაგონისტები ვერ იკისრებენ, რადგან შესაძლოა, ეს მათთვის

საშიშიც იყოს. ხშირად მედიაცია ახალი პოლიტიკური სივრცის შექმნას ემსახურება, რადგან იგი მხარეებს კონფლიქტთან დაკავშირებული საკუთარი არგუმენტებისა და შეხედულებების გამოთქმის და მათი სიღრმისეულად შესწავლის საშუალებას აძლევს, გარკვეულ ჩარჩოში აქცევს და დისკუსიას წარმართავს. მხარეებს საშუალება ეძლევათ იმსჯელონ მათ წინაშე არსებული სხვადასხვა შესაძლებლობების დადებით და უარყოფით მხარეებზე და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღონ გადაწყვეტილება მოქმედების შესახებ. მხარეებისმედიაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება იმ ეტაპზე, როდესაც კონფლიქტში მყოფი მხარეები ხვდებიან და აღიარებენ, რომ კონფლიქტის გაგრძელებით თავიანთ მიზნებს ვერ მიაღწევენ, რის გამოც მიზანშეწონილად მიიჩნევენ ოფიციალური მოლაპარაკებების დაწყებას. შესაძლებელია, ამ დროს რთული იყოს პირისპირ შეხვედრების მოწყობა, რის გამოც მედიაცია და „უკუ არხები“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება. მედიაციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩრდილოეთ ირლანდიის, სამხრეთ აფრიკისა და ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის სამშვიდობო პროცესში 1990-იანი წლებში. მაგალითად, ჩრდილოეთ ირლანდიაში სოციალურ-დემოკრატიულმა ლეიბორისტულმა პარტიამ (SDLP), სინ ფეინმა და ირლანდიის მთავრობამ ერთმანეთთან კომუნიკაცია კლონარდის მონასტრის (რელიგიური თემი, რომელიც ბელფასტში „ფრონტის ხაზზე“ მცხოვრებ რესპუბლიკელთა ოჯახებს ეხმარებოდა) წარმომადგენელთა საშუალებით შეძლეს, რომლებიც მათ ერთმანეთის საიდუმლო შეტყობინებებს გადასცემდნენ; ასე მომზადდა საფუძველი ჰიუმ-ედამსის საქმიანი წინადადებებისთვის (Coogan, 1995). სამხრეთ აფრიკაში კი აფრიკის ნაციონალურ კონგრესსა (ANC) და მთავრობას შორის წინასწარი კომუნიკაცია მესამე მხარის საშუალებით შედგა მანამ, სანამ ღია მოლაპარაკებებისთვის მზად ყოფნას გამოთქვამდნენ.

ამ ეტაპზე ყველა საკუთარ როლს ასრულებს, საერთაშორისო ორგანიზაციები, მთავრობები და არასამთავრობო ორგანიზაციები. მიუხედავად იმისა, რომ , არასამთავრობო ორგანიზაციებს ასეთ შემთხვევაში საკმაოდ შეზღუდული რესურსები აქვთ, კონფლიქტში ჩარევა მათაც შეუძლიათ. კონფლიქტებში ჩარევის გამოცდილება მიიღეს ისეთმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, როგორიცაა, „დავათა კონსტრუქციული მოგვარების აფრიკის ცენტრი“ (ACCORD) „კონფლიქტის კონსტრუქციულად მართვის ბერგოფის კვლევითი ცენტრი“, „კარტერის ცენტრი“, „სენტ ეგიდიოს საზოგადოება“, „მოლაპარაკებათა ჰარვარდის ცენტრი“, „მრავალდონიანი დიპლომატიის ინსტიტუტი“, „საერთაშორისო სიფხიზლე და საერთო საფუძვლების ძიება“ (van Tongeren, 1996; Serbe et al., 1997). ისინი განსხვავებულ მიდგომებს იყენებენ, მათ შორის ფასილიტაციასა და მდგრად მედიაციას, ასევე პრობლემათა გადწყვეტის ვორქშოფებს (Fisher and Ury, 1981) (de Reuck, 1984, Burton 1987: Kelman, 1992; Mitchel and Banks, 1996; Francis, 2002).

შეგვიძლია, გავიხსენოთ მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მთავრობებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ძირითადი მომენტების ტრანსფორმაციაში- სენტ ეგიდიოს საზოგადოებამ მოზამბიკში(Hume, 1994: Msabaha, 1995:221) , „ჯიმი კარტერმა“ ეთიოპია/ერიტრეაში (Ottoway, 1995:117), მორავიელებმა და მენონიტებმა ცენტრალურ ამერიკაში (Wehr and Lederach, 1996: 65,69), ნორვეგიულმა ორგანიზაცია „ფაფომ“ ისრაელსა და “პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას“ შორის გამართულ ოსლოს მოლაპარაკებებში (Corbin, 1994) და „კენტის უნივერსიტეტის კონფლიქტების ანალიზის ცენტრმა“ მოლდოვაში. პირველი და მეორე დონის დიპლომატიის საშუალებით მიღწეული შედეგების რაოდენობრივმა შესწავლამ ცხადყო, რომ პირველი დონის

დიპლომატიის ძალისხმევა უფრო ეფექტურია მაშინ, როდესაც მას მეორე დონეზე მიმდინარე არაოფიციალური ღონისძიებებიც თან ახლავს; ამ დონეების ერთობლივი ქმედება გაცილებით შედეგიანია ვიდრე მათ მიერ ცალ-ცალკე გაწეული ძალისხმევა (Bohmelt, 2010).

შედეგების შესახებ დაზუსტებით რამის თქმა ალბათ ძალიან ძნელია, მაგრამ გულდასმითი ანალიზი ამყარებს პრაქტიკოსთა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მეორე დონის დიპლომატია გზას უკაფავს პირველს (Fisher, 2005). მაგალითად, კელმანი აანალიზებს ვორქშოფებისა და სხვა მეორე დონის შეხვედრების გავლენას ისრაელი-პალესტინის ურთიერთობაზე და, წერს: „ასეთი აქტივობების კუმულაციური ეფექტით ისეთი პოლიტიკური ატმოსფერო შეიქმნა, რომელმაც ხელი შეუწყო პროდუქტიული მოლაპარაკებების დაწყებას“ და იქვე აგრძელებს: „იმასაც კარგად ვხვდები, რომ რთულია ჩვენი ძალისხმევის შედეგების გამოცალკევება იმ ხლართებიდან, რომელშიც ელიტისა და უბრალო ხალხის საქმინობაც გაბლანდულია.“ იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვორქშოფების გავლენა პოლიტიკურ კონტექტსზეა დამოკიდებული. „განვითარებული მოვლენების ფონზე ჩამოყალიბებულმა მხარეთა ინტერესებმა განაპირობა ის, რომ მათ დაარწმუნეს ხელმძღვანელობა ისტორიული კომპრომისის მისაღწევად საჭირო მოლაპარაკებების დაწყების აუცილებლობაში. ამ ორ მხარეს შორის არსებულმა კავშირმა დაარწმუნა ისინი ასეთი კომპრომისის მიღწევის შესაძლებლობაში.“ (Kelman, 2005:51, 55 ემფაზა ეკუთვნის ავტორს).

რიგ შემთხვევებში მეორე დონის მედიატორები თავიანთ მეთოდებს ადგილობრივ კულტურას უსადაგებენ და ერთ ან რამდენიმე მხარესთან თანამშრომლობენ და არა ყველასთან. მაგალითად, ჯონ-პოლ ლედერახმა ცენტრალური ამერიკის მაგალითზე დაადგინა, რომ მხარეებს მესამე მხარის სანდოობა (confianza) სურთ და არა მისი ნეიტრალურობა; მათთვის „შინაურულ-მიკერძოებული“ მეტად მისაღებია ვიდრე მიუკერძოებელი გარეშე პირი (Lederach, 1995; Wehr and Lederach, 1996)). 182

დღესდღეობით არასამთავრობო ორგანიზაციები ცდილობენ კონფლიქტებში გარეშე პირების ნაცვლად ამ საზოგადოების წევრები ჩართონ სათანადო მომზადების შემდეგ. ასეთი მომზადების საშუალებით ისინი თავად დაეუფლებიან კონფლიქტების მოგვარების უნარებს და მათ (უნარები) ადგილობრივ ტრადიციებს დაუკავშირებენ. მეორე თავში აღვნიშნეთ, რამდენად მნიშვნელოვნად მიიჩნევს „კონფლიქტების კოსმოპოლიტური მოგვარება“ კონფლიქტის მოგვარების დისკურსში გლობალური სამოქალაქო კულტურის იდეალის ჩართვას, რომელიც იმადამიანთა მოსაზრებებს გაითვალისწინებს, რომლებსაც აქამდე, საერთაშორისო წესრიგის პოლიტიკაში საკუთარი სიტყვა არ ეთქმოდათ. ელიზ ბოულინგმა სამოქალაქო საზოგადოების პრობლემათა გადწყვეტის *modus operandi*- განჭვრიტა, ხოლო კერლმა და ლედერახმა კი მშვიდობის ქვევიდან შენების მოდელი შექმნეს, რომელიც უფლებამოსილების ადგილობრივი მოსახლეობისათვის გადაცემას გულისხმობს. ადგილობრივი ტრადიციების გათვალისწინება აუცილებელია, რადგან მეორე თავში აღწერილ, ძირითადად ევრო-ამერიკულ მოდელს თავისი ნაკლოვანი მხარეები აქვს. ახლო აღმოსავლეთის არაბული სამყაროს შესახებ წარმოებულ კვლევაში, რომელზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, პოლ სალემი „ტომთა შორის კონფლიქტების მართვის მდიდარი ტრადიციის“ შესახებ საუბრობს, „რომლის უკანაც ათასწლიანი გამოცდილება და სიბრძნე დგას.“ (1997:xi). ასეთი მიდგომები ყალიბდება კონფლიქტების მოგვარების თანამედროვე პრაქტიკასა და თეორიაში. რუპესინგი (1996) თვლის, რომ კონფლიქტების მართვის პროცესში აუცილებელია იმ საზოგადოების გათვალისწინება, რომელსაც უშუალოდ ეხება ეს კონფლიქტი; ასევე საჭიროა იმ ტრადიციის ცოდნა, რომლითაც ეს საზოგადოება

კონფლიქტებს აგვარებს. იგივე აზრის არის სალემიც. კელმანი, როტმანი და სხვები თვლიან, რომ კრეატიული დიალოგისა და ახლებური აზროვნების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად ადგილობრივი სიბრძნისა და კულტურის გამოყენებაა საჭირო. ჩრდილოეთ ირლანდიის საზოგადოებასთან ურთიერთობის ორგანიზაციებმა იმ ადამიანთა ქსელი შექმნეს, რომელიც მშვიდობის შენების მუდმივმოქმედ რესურსს წარმოადგენს და რომლებმაც გავლენა უნდა მოახდინონ როგორც ელიტის ასევე უბრალო ხალხის მოსაზრებებზე. ისინი იმედოვნებენ, რომ კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებული მოსაზრებებისა და სოციალურ-პოლიტიკური ძალების შეჯახება კონფლიქტის კონტექსტის ფაქიზ ტრანსფორმაციას შეძლებს. არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოებას ასევე შეუძლიათ გარკვეული ნაბიჯების გადადგმა სტრუქტურული ტრანსფორმაციის მიმართულებით - მაგ., შეუძლიათ მეტი უფლებამოსილება გადასცენ შედარებით სუსტ მხარეს (van der Merwe, 1989; Lederach, 1995; Curle, 1996).

რა თქმა უნდა, ცივის ომის შემდგომ პერიოდში კონფლიქტების მართვის მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთაშორისო ორგანიზაციები და მთავრობები. ამ ბოლო დროინდელი მედიაციის გახმაურებელ შემთხვევებს შესანიშნავად გადმოგვცემს ჰარიეტ მარტინი. გაეროს გენერალური მდივანი და მისი წარმომადგენლები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში შუამავლის როლს ასრულებენ (Findlay, 1996)და იქაური კონფლიქტების მოგვარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ; მაგ., ელ სალვადორის, კამბოჯის, მოზამბიკსა და ნამიბიაში განვითარებულ მოვლენებში. მნიშვნელოვანია „გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის“ წევრი სახელმწიფოების წვლილიც, რომელთა როლსაც მათთვის გაეროს მიერ მინიჭებული ლეგიტიმაცია აძლიერებს; გაეროს საგანგებო როლის შესრულების საშუალებას თავისი ლეგიტიმაცია აძლევს, ხოლო მისი გადაწყვეტილებები კი ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი ხდება ხოლმე კონფლიქტის გადაჭრის პრინციპების შემუშავებისას (როგორც ეს პალესტინის 242 და 338 რეზოლუციების შემთხვევაში მოხდა). მართალია, გაერომ ცივი ომის შემდგომ პერიოდში რამდენიმე სასტიკი მარცხი იწვნია, (მათ შორის ბოსნიაში, რუანდასა და სომალიში[8]) მაგრამ იგი მაინც იმ ორგანიზაციად რჩება, რომლის საშუალებითაც საერთაშორისო საზოგადოება აღწევს ცეცხლის შეწყვეტას, მშვიდობის დაცვას, ხელს უწყობს არჩევნების ჩატარებას და აწარმოებს დემილიტარიზაციას, რადგან გაერო ამ მხრივ ერთობ ფასეულ ცოდნას ფლობს.[9]გაეროს თავის ვებგვერდზე „Peacemaker” განთავსებული აქვს 2010 წლამდე მის ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელიც მის მშვიდობის დამცველებს და დაინტერესებულ გარეშე პირებს მშვიდობიანი შეთანხმებების მიღწევაში მნიშვნელოვნად დაეხმარება.[10]

მედიატორების რანგში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მთავრობებიც. მაგ., პორტუგალიის ძალისხმევით მიღწეული (გაეროს დახმარებით) ბიკესის ზავი ანგოლაში(Hampson, 1996:87-127), “ASEAN-ის“ ქვეყნებმა წამყვანი როლი შეასრულეს კამბოჯაში, აშშ-მ ცენტრალურ ამერიკაში, ჩრდილოეთ ირლანდიაში, ინდოეთ-პაკისტანსა და სხვა ქვეყნებში. თუმცა, საერთაშორისო მდგომარეობის გამო ყველაზე მნიშვნელოვანი როლი მაინც გაეროს ეკუთვნის. ალბათ, ობამას ადმინისტრაციაც თავის წინამორბედზე მეტად დაუჭერს მხარს მედიაციას. ხშირ შემთხვევაში მთავრობები მედიატორის როლს გაურბიან მაშინ, როდესაც სასწორზე მათი სახელმწიფო ინტერესები არ დევს.

კონფლიქტის სტრუქტურას ნებისმიერი მედიატორი ცვლის. მაშინ, როდესაც ესა თუ ის მთავრობა იძულებას მიმართავს, იგი კონფლიქტში აქტორი ხდება. ზოგჯერ ძალისმიერმა ჩარევამ შეიძლება ომის დასრულებაც გამოიწვიოს, როგორც ეს ბოსნიის შემთხვევაში მოხდა.

2009 წელს შრი ლანკის მთავრობამ ტამილის შეიარაღებული ამბოხი ჩინეთის დახმარებით ჩაახშო. საკითხავია რამდენად სტაბილურია ამგვარად დასრულებული კონფლიქტი და რამდენად გამძლეა ასეთი იძულებითი გადაწყვეტა.[11] ამგვარად, ახლა განვიხილეთ ის დილემა, რომელზეც ზედაპირულად იყო საუბარი პირველ თავში (Ramsbotham and Woodhouse, 1996).

სამშვიდობო პროცესები: გარდამტეხი მომენტები, ჩიხში შესული მდგომარეობა, და სპოილერები (მოლაპარაკების ჩამშლელები)

კონფლიქტის ტრანსფორმაცია შესაძლოა თანდათანობით ან მყისიერად მოხდეს; ხშირ შემთხვევაში სწრაფ ცვლილებებს ინერციისა და ჩიხში შესული მდგომარეობის ხანგრძლივი პერიოდი მოჰყვება ხოლმე. იმისათვის რომ ეს პროცესი წინ წავიდეს, მხარეებმა მოლაპარაკების მისაღები ფორმა უნდა გამონახონ, მთელი მონდომება და ენერგია მშვიდობიანი გადაწყვეტისკენ მიმართონ, ის სპოილერები მართონ, რომლებიც ამ პროცესის ბლოკირებას ცდილობენ და ყოველი ასეთი დაბრკოლების შემდეგ თავიდან მიუსხდნენ მოლაპარაკებების მაგიდას და მედიაცია განაახლონ.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, სიტუაციიდან გამომდინარე, კონფლიქტის სხვადასხვა ეტაპზე განსხვავებული მოქმედებების განხორციელება და ჩარევის სხვადასხვა ტიპის გამოყენებაა მიზანშეწონილი. თუ მხარეები მოლაპარაკებისა და მედიაციისთვის მზად არ არიან, შეიძლება, ის ამომრჩეველი ავამოქმედოთ, რომელიც მშვიდობის დაცვის მომხრედ გამოდის; ასევე შესაძლებელია, სათანადო ზომების მიღება აქტორების პოლიტიკისა და იმ სიტუაციის შესაცვლელად, რომელიც კონფლიქტის გახანგრძლივებას უწყობს ხელს. მაგალითად, აპართეიდის საერთაშორისო კამპანიამ თანდათანობით გაზარდა ზეწოლა სამხრეთ აფრიკაში მოქმედ საერთაშორისო ბიზნესებზე - დაუწესა სანქციები და განხორციელდა დეინვესტირება. სტრუქტურულ ტრანსფორმაციას შეიძლება ხელი შეუწყონ გარე და შიდა აქტორებმა, რაც კონფლიქტის მხარეებს ასიმეტრიული ურთიერთობის დაძლევის საშუალებას მისცემს, რისთვისაც საჭირო გახდება ინფორმირებულობის გაზრდა, გარე დახმარების გაწევა და ლეგიტიმაციის მინიჭება, რის საფუძველზეც მეტად დაბალანსებული ურთიერთობები დამყარდება, რომელიც მოლაპარაკებებისა და კონფლიქტის მოგვარების ერთგვარ წინაპირობად იქცევა (იხ. ცხრილი 1.11. გვ.???).

სამშვიდობო პროცესის დაწყების შემდეგ ასეთი დილემა წარმოიშობა - რომელ საკითხს უნდა დაეთმოს მეტი ყურადღება, კონფლიქტის მთავარ, ძირეულ საკითხს , რომელიც, როგორც წესი, ყველაზე რთული გადასაწყვეტია ხოლმე თუ პერიფერულს, რომელიც გარკვეული შეთანხმების მიღწევის და ინერციის წარმოქმნის საშუალებას იძლევა? ნაბიჯ-ნაბიჯი მიდგომა მხარეებს საშუალებას აძლევს მოსინჯონ ერთმანეთის სანდოობა და ერთმანეთისგან საპასუხო მოქმედებებს დაელოდნონ (იხ. ფოკუსი 7.3). ექსპერიმენტული კვლევებით დადგინდა, რომ ორ მხარეს შორის მიმდინარე კონფლიქტებში გაცილებით ადვილია დაძაბულობის შემცირებისკენ მიმართული, პატარა ნაბიჯების გადადგმა ვიდრე ყველაფრის ერთი ხელის მოსმით გადაწყვეტა (Osgood, 1962; Axelrod, 1984). ხანგრძლივი და მრავლისმომცველი შეთანხმებების უცბად მიღწევა გაცილებით რთულია, რის გამოც საჭიროა დროებითი შეთანხმებების მიღწევა. ეს შეთანხმებები აუცილებლად ცენტრალურ საკითხებს უნდა ეხებოდეს, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მხარეებს სჯერათ , რომ მთელი ეს პროცესი მათ მისაღებ შედეგამდე მიიყვანს . დროებითი შეთანხმებების მიღწევისას არსებობს იმის რისკი, რომ მხარეებმა მიცემული სიტყვა გადათქვან ან საპასუხო ზომების მიღებაზე უარი

განაცხადონ მას შემდეგ რაც გარკვეულ კომპრომისს მიაღწევენ. . წარმატების მიღწევის მეტი შანსი აქვთ ისეთ შეთანხმებებს, რომლებიც მხარეებს ამ პროცესის გახანგრძლივების სტიმულს აძლევს (მაგ., გარდამავალი გადაწყვეტილებები ძალაუფლების გადანაწილების შესახებ), მითუმეტეს თუ მათ ზურგს უმაგრებენ გარე გარანტორები და ადგილობრივი მხარდამჭერებიც ჰყავთ.

ის, რა ბედიც ისრაელი-პალესტინის კონფლიქტში ოსლოს ხელშეკრულებას ეწია, თვალნათლივ ადასტურებს, რომ სამშვიდობო პროცესს თან ახლავს, როგორც „გარდამტეხი მომენტი“ ასევე „ „ჩიხში შესული მდგომარეობა“. გარდამტეხი მომენტი არა მხოლოდ სიმწიფის რომელიმე ერთ წერტილში დგება, არამედ ისეთ დროსაც, როდესაც მხარეები ხვდებიან, რომ გამოსავალი მოლაპარაკებებზე გადის; ისინი მიზნებს თავიდან აყალიბებენ, ქმნიან ახალ პოლიტიკურ სივრცეს და შეთანხმების ახალ საფუძველს; გარდამტეხი მომენტი შეიძლება დადგეს მაშინაც, როცა პოლიტიკური ხელმძღვანელობა და გარემოებათა თანხვედრა ხელსაყრელ პირობებს ქმნის. „ჩიხში შესული მდგომარეობა“ დგება მაშინ, როდესაც ელიტა პროცესს აღარ სწყალობს (მაგ., ისრაელში), როდესაც მხარეები, რომლებმაც შეთანხმებას მიაღწიეს, ღალატს არჩევენ (როგორც ეს ანგოლაში, კამბოჯასა და შრი ლანკაში მოხდა), როდესაც პოლიტიკური სივრცე იხურება ან მოლაპარაკებებისას ისეთ პირობებს აყენებენ, რომელიც წინსვლას ხელს უშლის. გარდამტეხ მომენტებში ისეთი გზების ძიებაა საჭირო, რომელიც მოლაპარაკებით წარმოქმნილი ინერციისა და იმ ურთიერთობებით სარგებლობას გახდის შესაძლებელს, რომელმაც მხარეები ამ შეთანხმებამდე მიიყვანა; მისი მიზანი ასევე უნდა იყოს - ხალხში ამ პროცესის მხარდაჭერის სურვილის გაჩენა, კრიტიკოსების გადარწმუნება და პროცესის ისეთ კალაპოტში წარმართვა, რომელიც ახალი შეთანხმებების მიღწევასა და მოსალოდნელი დავების განჭვრეტას შესაძლებელს გახდის. „ჩიხში შესული მდგომარეობისას“ საჭიროა დაბრკოლებების შემოვლითი გზების ძიება, შიდა და გარე დახმარების იმედის ქონა, პროცედურების დადგენა და მიღწეული შეთანხმებების შემთხვევაში დაშვებული შეცდომებიდან სათანადო დასკვნების გამოტანა.

შეთანხმებაზე მოლაპარაკების შესაძლებლობის გაჩენისას ან მას შემდეგ, რაც მოლაპარაკება შედგება, ხშირ შემთხვევაში თავად მხარის შიგნით იჩენს ხოლმე კონფლიქტი თავს. ლინჩი (2002) მიიჩნევს, რომ ასეთ დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებენ „სკეპტიკოსები“ და „სპოილერები“. სკეპტიკოსები შეთანხმების კონკრეტულ პირობებს ეწინააღმდეგებიან, მაგრამ არა თავად მის პრინციპს. სპოილერები კი ფუნდამენტალურად ეწინააღმდეგებიან მთელ შეთანხმებას და მის ჩაშლას ცდილობენ. სდეტმანი (1997) მიზანშეწონილად მიიჩნევს სკეპტიკოსებზე ზეწოლას ან მათთვის ისეთი სტიმულის შეთავაზებას, რომელიც მათ ამ შეთანხმებაში ჩაითრევს, ან მათ სოციალიზაციის საშუალებას მისცემს. „სპოილერების“ შემთხვევაში კი საჭიროა მათი მარგინალიზაცია, არალეგიტიმურად გამოცხადება ან შესუსტება. პროცესის დასაჩქარებლად შესაძლებელია „ჩქარა, თორემ მატარებელი გავა“ ტაქტიკის გამოყენება - ანუ მოლაპარაკებებისთვის გარკვეული ვადების დაწესება, რაც სპოილერებს მოქმედების ნაკლებ დროს და შანსს დაუტოვებს. წარმატებულ სამშვიდობო პროცესში ზომიერი (გაწონასწორებული) მხარეები შეთანხმების დაცვას ცდილობენ; ასეთ დროს სპოილერების გამოყენება შესაძლებელია კონსენსუსის მისაღწევად.

სამშვიდობო პროცესები შესწავლას (მეორე რიგის შესწავლას) გულისხმობს, სადაც მხარეები თანდათანობით აცნობიერებენ რაზე დასათანახმებლად და რასთან შესაგუებლად არიან მზად. შესაძლებელია, შეთანხმების გარკვეულმა ელემენტებმა მოლაპარაკებების ადრეულ ეტაპზევე იჩინონ თავი, თუმცა, ალბათ ამ დროს ისინი არსაკმარისად მასშტაბური

ან ინკლუზიური იქნება, რის გამოც ვერ გაძლებს და ჩაიშლება; თუმცა, შეთანხმების მთავარი პრინციპები და ფორმულები დარჩება. რა თქმა უნდა, საბოლოო შეთანხმების მიღწევამდე შესაძლებელია, მათი დახვეწა ან გამარტივება. მოლაპარაკებების მწარმოებლები და მედიატორები ერთმანეთისგან, თავიანთი საქმიანობიდან და სხვა სამშვიდობიო პროცესებიდან სწავლობენ.[12]საბოლოოდ ყოველივე ეს ხორცს გადაწყვეტილების მიღებისას ისხამს; თუმცა, კონფლიქტების მოგვარების პროცესში ესეც ერთ-ერთი ნაბიჯია და არა უკანასკნელი.

ფოკუსი 7.3 სტრატეგიული დილემა სამშვიდობო პროცესებში

მოლაპარაკებები და შეთანხმებები

მოლაპარაკება კონფლიქტების მოგვარების საქმეში უდიდეს როლს ასრულებს, რადგან იგი ის ძირითადი საშუალებაა, რომლითაც მხარეები საქმის მშვიდობიან გადაწყვეტას და მათ შორის არსებული უთანხმოების მოგვარებას ცდილობენ. რა ტიპის შედეგზე მოლაპარაკებითაა შესაძლებელი გაჭიანურებული კონფლიქტის მოგვარება? რამის განზოგადებულად თქმა რთულია, რადგან განსხვავებული ტიპის კონფლიქტს განსხვავებულ შედეგებამდე მივყავართ (Horowitz, 1985; Falkenmark, 1990; Montville, 1991; Miall, 1992: 131-63; McGarry and O'Leary 1993; SiSk 1997).

ხშირ შემთხვევაში მოლაპარაკების პროცესი ნელი და თანდათანობითია. იგი წინასწარი მოლაპარაკებებით იწყება (Harris and Reilly, 1998: 59-68). როგორც წესი, მოლაპარაკებათა რაუნდების თანმიმდევრულად წარმართვას მიმდინარე კონფლიქტი უშლის ხოლმე ხელს. პრობლემური საკითხების ახლებურად დანახვა, მხარეთა წარმოდგენებისა და მოსაზრებების ცვლილება და პოტენციური შედეგები ამ პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილებია (Aggastam, 1999).



როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, თეორეტიკოსები ერთმანეთისგან განასხვავებენ ინტეგრაციულ (დადებითი ჯამი) და პოზიციურ ვაჭრობას (ნულოვანი ჯამი). ინტეგრაციული მეთოდები ისეთი გზების მოძიებას გულისხმობს, რომლითაც კონფლიქტური პოზიციების შერიგება თუ არა, კონფლიქტის საფუძველში არსებული ინტერესების, ღირებულებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მაინც გახდება შესაძლებელი (Fisher and Ury, 1981; Galtung, 1984; Pruitt and Rubin, 1986; Burton, 1987). ინტეგრაციული მიდგომის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ საკითხის უფრო ფართო კონტექსტში წარმოჩენა ან მხარეთა ინტერესების თავიდან ჩამოყალიბება, რაც მათ ერთმანეთთან თავსებადს გახდის; მაგ, მხარეებმა შეიძლება თანაბარი წვდომა მოიპოვონ სადავო რესურსზე, ან მისი მეტი წილი შეხვდეთ; შესაძლებელია, თანხმობის განცხადების შემთხვევაში კომპენსაციის შეთავაზება ან სადავო რესურსის განკარგვის უფლების გადაცემა ფუნქციურ საფუძველზე და არა ტერიტორიულზე ან სუვერენულზე. პოზიციური ვაჭრობის დროს სადავო საგანი ფიქსირებული ოდენობით იყოფა, კომპენსირება კი სხვა რამის ხარჯზე ხდება. მოლაპარაკებებისას პრაქტიკულად ორივე მიდგომას იყენებენ. ასეთ დროს მიზანი ისეთი შედეგის მიღწევაა, რომელზეც არცერთი მხარე არ იტყვის უარს; თუმცა, ისეთი შედეგებიც არსებობს, როდესაც ორივე მხარე სტატუს კვოს შენარჩუნებას არჩევს. შედეგებმა კონფლიქტიც კი შეიძლება წარმოშვას.

ალბინს (1997) ამ მიდგომების გამოყენების საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითი მოჰყავს იერუსალიმის სტატუსის განსაზღვრის შემთხვევიდან. ორივე მხარე - ისრაელიცა და პალესტინაც თანხმდება იმაზე, რომ ქალაქის გაყოფა შეუძლებელია, თუმცა მათი ხანგრძლივი კონფლიქტის მიზეზად რჩება ის თუ რომელი მხარე უნდა აკონტროლებდეს მას. ორივე მხარე პრეტენზიას აცხადებს მის სიწმინდეებზე და მას თავის დედაქალაქად მიიჩნევს. კონფლიქტის გადასაწყვეტად შესთავაზეს ალტერნატიული ვარიანტები, მათ შორის, ქალაქის საზღვრების გაზრდა და გაფართოებული ტერიტორიის მხარეთა შორის გაყოფა; ორივე მხარის დედაქალაქი ამ გაფართოებული ტერიტორიის ფარგლებში მოექცეოდა (რესურსის გაფართოება); დიდი იერუსალიმის ფარგლებში პატარა, დეცენტრალიზებული, საკუთარი თვითმმართველობის მქონე ქალაქების დაარსება, სადაც წარმომადგენლები პროპორციული წესით იქნებოდნენ არჩეული (არ იქნებოდა ერთი ხელისუფლება: უფლებამოსილების გადაცემა ქვედა დონეზე); ისრაელის სუვერენიტეტი პალესტინის ავტონომიის სანაცვლოდ (კომპენსაცია); ორმაგი დედაქალაქი და წმინდა ადგილებზე თანაბარი წვდომა (ერთობლივი სუვერენიტეტი); ან მათი ინტერნაციონალიზაცია; ერთი ფედერალური სახელმწიფოს შექმნა, რომლის დედაქალაქიც იერუსალიმი იქნებოდა (აქტორების გაერთიანება) და ქალაქზე კონტროლის ორივე თემის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული ხელმძღვანელობისთვის გადაცემა, რომელიც ფუნქციური და არა ეთნიკური და ნაციონალური ასპექტების მიხედვით იქნებოდა ორგანიზებული (ფუნქციონალური).

ეთნიკურ კონფლიქტებში ინტეგრაციული გამოსავლის პოვნა საკმაოდ რთულია (Zartman, 1995b); თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში კონსოციონალიზმი, ფედერალიზმი, ავტონომია ძალაუფლების განაწილება, ძალაუფლების გაბნევა და ელექტორული სისტემები, რომლებიც სტიმულს აძლევს შიდა ეთნიკური კოალიციების შექმნას, კონფლიქტიდან გამოსვლის საშუალებას იძლევა. (Lijphart, 1968; Horowitz, 1985; 597-600; Sisk, 1997)

კონფლიქტის კარგ გადაწყვეტად ჩაითვლება ის, რომელიც არა მხოლოდ დაპირისპირებულ ინტერესებს დაახლოვებს არამედ ფართო საზოგადოებისთვის გარკვეულ ნორმებსაც შექმნის. ცალსახაა, რომ სამართლიანობა და პატიოსნება მოლაპარაკებების აუცილებელი ატრიბუტია (Albin, 2001). თუმცა, სადავოა სამართლიანობის კრიტერიუმებიც. შედეგებმა კოსმოპოლიტურ სამყაროში მეტი კრიტერიუმი უნდა დააკმაყოფილოს ვიდრე მაშინ, როცა ვაჭრობაში მხოლოდ სუვერენული ჯგუფები მონაწილეობენ. მაგალითად, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ ადამიანისა და უმცირესობების უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს.

მოლაპარაკების გზით მიღწეული ზოგიერთი შეთანხმება სხვებზე უფრო მყარია . მართალია, შესაძლოა, ასეთი განზოგადება ცოტა ბუნდოვანი იყოს, მაგრამ წარმატებულ შეთანხმებას შემდეგი მახასიათებლები უნდა ჰქონდეს (Hampson, 1996: 217-21): პირველი – მასში ამ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მხარეები უნდა მონაწილეობდნენ, რადგან ასეთ დროს მათგან მოლაპარაკებებზე თანხმობის მიღების მეტი ალბათობა არსებობს - რაც ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ ჩართულობა (ინკლუზიურობა) მნიშვნელოვანი ფაქტორია, და ეწინააღმდეგება იძულებით მიღებულ გადაწყვეტილებებს. მეორე - შეთანხმება კარგად შედგენილი და დეტალური უნდა იყოს, განსაკუთრებით გარდამავალ ეტაპზე - მაგ., დემობილიზაციის გამოცხადების დროს, ცეცხლის შეწყვეტისა და არჩევნებში ხმის მიცემის წესების შემთხვევებში. მესამე, მასში მიზნები მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, მაგრამ ამასთან ერთად ლავირების საშუალებასაც უნდა იძლეოდეს. მეოთხე - მხარეებს ამ პროცესის გაგრძელებისა და პოლიტიკაში მონაწილეობის სტიმულს უნდა აძლევდეს - მაგ., ძალაუფლების განაწილებით და არა ისეთი არჩევნების ჩატარებით, რომელშიც ყველაფერი

გამარჯვებულს რჩება. მეხუთე - შეთანხმება უნდა უზრუნველყოფდეს დავის გადაწყვეტას და მედიაციას, ხოლო უთანხმოების წარმოშობის შემთხვევაში ხელახალი მოლაპარაკების შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს და მეექვსე - შეთნხმება კონფლიქტის ცენტრალური საკითხების მოგვარებას უნდა უზრუნველყოფდეს, ნამდვილი ტარნსფორმაციის საშუალებას იძლეოდეს და მხარეთათვის მისაღებ ისეთ ნორმებსა და პრინციპებს მოიცავდეს, როგორიცაა, თანასწორობა და დემოკრატია. კონფლიქტების მოგვარების კოსმოპოლიტურ მიდგომას თუ გავითვალისწინებთ, ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს მეშვიდესაც დავამატებდით – –– შეთანხმება ადამიანთა უფლებების კოსმოპოლიტურ სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს და სამართლიანობას და ინდივიდებისა და ჯგუფების მიმართ პატივისცემას უნდა გამოხატავდეს.

სიტუაციის ანალიზი

ახლა ის ორი სამშვიდობო პროცესი განვიხილოთ, რომელთაც ცენტრალური ადგილი უჭირავთ ცივი ომის შემდგომი კონფლიქტების მოგვარებაში. მათი არათანაბარი მიმდინარეობა და მკვეთრი უკუსვლა გვაჩვენებს რა სირთულეებს შეიძლება წავაწყდეთ გაჭიანურებული კონფლიქტების მოგვარებისას და რა სახის ტრანსფორმაციამ შეიძლება შეცვალოს მათი კურსი.

პირველი: სამხრეთ აფრიკა: აპართეიდის რეჟიმიდან მრავალპარტიულ არჩევნებზე გადასვლა ცივი ომის შემდგომი პერიოდის კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა. როგორ დათანხმდნენ უმცირესობაში მყოფი თეთრკანიანები, რომლებიც ასე ებღაუჭებოდნენ ძალაუფლებასა და ხელისუფლებას, უმრავლესობის მმართველობას? როგორ შეიცვალა მთავრობა ასე უჩვეულოდ და თანაც სისხლის ღვრის გარეშე?

მეორე: ისრაელი-პალესტინა. 1993 წლის 13 სექტემბერს, ოსლოს აკორდის ხელმოწერის დროს, ისრაელის პრემიერ მისნისტრმა იცხაკ რაბინმა პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის ლიდერ, იასერ არაფატს ხელი ჩამოართვა, მაშინ ეს ჟესტი ამ გაჭიანურებულ კონფლიქტში უდიდესი, ისტორიული მნიშვნელობის წინ გადადგმულ ნაბიჯად ჩათვალეს. აკორდმა გზა გაუხსნა პალესტინის მთავრობის თვითმმართველობას, ისრაელისა და პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის მიერ ერთმანეთის აღიარებას და უთანხმოების სხვა საკითხებზე მოლაპარაკებების დაწყებას. მაგრამ აკორდის სისრულეში მოყვანა ვერ მოხერხდა, რადგან ისრაელი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პალესტინელების შევიწროებას კლავ განაგრძობდა, რის შემდეგაც შეკითხვა ასე დაისვა - იყო კი მიზანშეწონილი ამდენად უთანასწორო მხარეთა შორის არსებული კონფლიქტის მოგვარების მცდელობა. .

სამხრეთ აფრიკა: უმრავლესობის მმართველობაზე გადასვლა

კონფლიქტის სტრუქტურის საფუძველს ნაციონალური პარტიით დაკომპლექტებულ მთავრობასა და შავკანიან უმრავლესობას შორის არსებული უთანხმოება წარმოადგენდა. მთავრობის მიზანს აპართეიდის სისტემის გახანგრძლივება და თეთრკანიანების პრივილეგირებული მდგომარეობის განმტკიცება წარმოადგენდა; შავკანიანები კი რადიკალური ცვლილებების გასატარებლად და თანასწორი საზოგადოების შესაქმნელად იბრძოდნენ, რომელიც იარსებებდა პრინციპით - ერთი ადამიანი, ერთი ხმა. ამ კონფლიქტის ტრანსფორმაციისთვის საჭირო იყო პოლიტიკური პროცესის საშუალებით ძალაუფლების უმრავლესობისთვის გადაცემა და აპართეიდის წინააღმდეგ მიმართული წინააღმდეგობის კამპანიის დაწყება. უმრავლესობას აღარ სურდა რასობრივი დომინანტობის პირობებში ცხოვრება, რისთვისაც ქალაქებში აწყობდა ამბოხსა და პოლიტიკურ მობილიზაციას

მიმართავდა; დაიწყო ისეთი მოძრაობები როგორიც იყო სტივ ბიკოს „შავი ცნობიერება“. სამხრეთ აფრიკის რეჟიმი საერთაშორისო ზეწოლის ქვეშ მოექცა; დაიწყო ანტიაპართეიდული კამპანია, საერთაშორისო იზოლაცია, სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის აკრძალვა, გაატარეს ნაწილობრივი სანქციები, დაიწყო ინვესტიციების გატანა, რის შედეგადაც ძალათა დისბალანსი მეტ-ნაკლებად გამოსწორდა.

კონტექსტის ცვლილებამ მნიშვნელოვანი დაბრკოლებები მოსპო. სამხრეთ აფრიკა აფრიკის სამხრეთში, არსებული რეჟიმების (რომლებიც არსებობდა კუბის მხარდაჭერით და საბჭოთა კავშირის მომარაგების წყალობით) წინააღმდეგ მიმართულ საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა; თეთრკანიან სამხრეთ აფრიკელებს სჯეროდათ, რომ მათი რეჟიმი ის ბასტიონი იყო, რომელიც კომუნიზმის გავრცელებას უშლიდა ხელს, ხოლო “აფრიკის ნაციონალური კონგრესი“ კი თვლიდა, რომ ფრონტის ხაზზე მდებარე სახელმწიფოებში მიმდინარე განმათავისუფლებელი ომი წარმატებით დასრულდებოდა. ცივი ომის დასრულებისა და რეგიონში მომხდარი ცვლილებების გამო ამ მოსაზრებას მალე ნიადაგი გამოეცალა. რის გამოც აპართეიდის საკითხი იდეოლოგიურ კონფლიქტებს გაემიჯნა და ბრძოლამ სამხრეთ აფრიკაში გადაინაცვლა.

ფრიად მნიშვნელოვანი კონტექსტუალური ფაქტორი იყო ეკონომიკური ცვლილებაც. მანამდე სოფლის მეურნეობისა და მაღაროების წყალობით, სადაც შავკანიანი დაბალანაზღაურებადი მუშები იყვნენ დასაქმებულები, ეკონომიკა მომგებიანად მუშაობდა. ეკონომიკის დივერსიფიკაციასა და მოდერნიზაციასთან ერთად საჭირო გახდა ისეთი მუშახელი, რომელსაც მეტი უნარები ექნებოდა. მუშახელის საჭიროებამ ახალი ქალაქები წარმოშვა; გაჩნდა ისეთი დიდი ქალაქი როგორიც იყო სოვეტო, რომელიც რეჟიმისადმი წინააღმდეგობის ცენტრად იქცა. რაც მეტ რეპრესიულ მეთოდს მიმართავდა მთავრობა სიტუაციის კონტროლის მისაღწევად, მით მეტი საერთაშორისო სანქცია მოქმედებდა მის მიმართ და მით მეტი ინვესტიცია გადიოდა ქვეყნიდან.

მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აქტორთა ცვლილებამაც. ნაციონალისტური პარტიის ხელმძღვანელობის შეცვლამ, როდესაც ბ. ჯ. ვორსტერი პ. ვ. ბოტამ შეცვალა, პარტიის პოლიტიკაც შეცვალა - ახლა აპართეიდს თავგამოდებით აღარ იცავდნენ, რეფორმების საჭიროებაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ერთი პირობით - ამ ცვლილებებს თეთრკანიანი უმცირესობისთვის ძალაუფლება და პრივილეგიები უნდა შეენარჩუნებინა. ხელისუფლებაში ბოტას ნაცვლად ფ. ვ. დე კლარკის მოსვლამ რადიკალური რეფორმების გატარებას და აპართეიდის მრავალ ასპეტქზე უარის თქმას დაუდო საფუძველი. ამ ცვილებებს ხელი შეუწყო ამომრჩეველთა დონეზე მიმდინარე ცვლილებებმაც. მაგალითად, აპართეიდის პოლიტიკის შეცვლის აუცილებლობაზე პირველები სამხრეთ აფრიკელი ბიზნესმენები ალაპარაკდნენ; მათ აფრიკის ეროვნულ კონგრესთან კონტაქტების შენარჩუნება თავიანთ თავზე აიღეს, როდესაც სამშვიდობო პროცესი ჩიხში შევიდა, მაგ., 1985-1986 წლებში. სულ მალე თეთრკანიანთა უმრავლესობამ ცვლილების საჭიროება აღიარა, რამაც გავლენა იქონია 1988 წლის არჩევნებზე და 1992 წლის რეფერენდუმის შედეგებზე. 1992 წელს თეთრკანიანთა შორის დაწყებულმა განხეთქილებამ, ექსტრემისტ თეთრკანიანებსა და აფრიკის ეროვნულ პარტიას შორის შიდა პარტიულ კონფლიქტს დაუდო საფუძველი.

შავკანიან უმრავლესობაში ახალი აქტორი გამოჩნდა, რისი მიზეზიც აფრიკის ეროვნულ კონგრესსა (ANC) და ინკატას შორის წარმოქმნილი განხეთქილება იყო. უთანხმოება ჯერ კიდევ 1976 წელს დაიწყო, თანდათანობით სერიოზული სახე მიიღო და საბოლოოდ შიდა

შეიარაღებული კონფლიქტის ახალ წყაროდ იქცა, რამაც 1992-1994 წლების სამშვიდობო პროცესს გარკვეული საფრთხე შეუქმნა. შეიძლებოდა, ინკატასა და თეთრკანიან ექსტრემისტებს შეთანხმების მიღწევისთვის ხელი შეეშალათ, თუმცა, საბოლოოდ მათ მთავრობისა და აფრიკის ეროვნული კონგრესის ალიანსის განმტკიცებას შეუწყეს ხელი; ამაზე ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ.

სადავო საკითხებთან დაკავშირებით ორივე მხარემ მნიშვნელოვნად შეიცვალა პოზიციებიცა და მიზნებიც (Zartman, 1995a). 1980-იანი წლების მიწურულს ნაციონალისტურ პარტიაში მთელი რიგი ცვლილებებიგანხორციელდა, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი ბოტას პოზიციის ცვლილება იყო, როდესაც იგი აპართეიდის გულმოდგინე დამცველიდან ლიმიტირებული რეფორმების გატარების მომხრედ იქცა. იგი სამ პალატიანი პარლამენტის შექმნას ემხრობოდა, რომელშიც თეთრკანიანები, ინდოელები და ფერადკანიანები შევიდოდნენ, მაგრამ მასში შავკანიანების ადგილი მაინც არ იქნებოდა. ბოტამ მანდელასთან მოლაპარაკებაც სცადა, მაგრამ ამ უკანასკნელმა გათავისუფლებამდე მოლაპარაკებაზე უარი თქვა. რეფორმებმა დასახულ მიზანს ვერ მიაღწია და მთავრობის მხარდამჭერთა ბაზის გაფართოება ვერ შეძლო, პირიქით ქალაქებში დაპირისპირებამ იმატა. მთავრობამ საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, რის გამოც მასზე საერთაშორისო ზეწოლა გაძლიერდა, ქვეყნიდან ინვესტიციების გადინება დაიწყო. 1985 წლისთვის პროცესი ჩიხში შევიდა : მთავრობას არ სურდა დამატებითი რეფორმების გატარება, ხოლო შავკანიანი მოსახლეობა კი სტატუს კვოს გაგრძელებაზე უარს ამბობდა.

სწორედ იმ დროს, როდესაც კონფრონტაციამ იმატა და მოლაპარაკებების დაწყების შესაძლებლობა თითქმის აღარ იყო, მოვლენათა განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მესამე მხარის მედიატორებმა.[13] ზამბიაში ბიზნესმენთა ერთი ჯგუფი აფრიკის ეროვნულ კონგრესის წევრებს შეხვდა, რის შემდეგაც გაისმა მოწოდება პოლიტიკური მოლაპარაკებების დაწყებასა და აპარტეიდის გაუქმების შესახებ. 1986 წელს ბოტამ პოზიცია კვლავ იცვალა; შავკანიანებს სამშობლოს ფარგლებს გარეთ ცხოვრება და საქალაქო საბჭოების არჩევნებში ხმის უფლება შესთავაზა, მაგრამ მის წინადადებას ბოიკოტი გამოუცხადეს. ბოტას რეფორმები არ განხორციელდა . 1987-1988 წლებში სიტუაცია კვლავ ჩიხში შევიდა. თეთრკანიანი ელექტორატი 1988 წლის არჩევნების ცვლილებების ტემპით უკმაყოფილო იყო; ნაციონალური პარტიის ხელმძღვანელის არჩევნებში დე კლარკმა გაიმარჯვა და კურსიც შეიცვალა.

ცვლილება მოხდა აფრიკის ეროვნულ კონგრესშიც. 1985 წლამდე ეს კონგრესი საკუთარ თავს ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობად მიიჩნევდა, ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და წარმატებული შეიარაღებული ბრძოლით სოციალისტური მთავრობის შექმნას გეგმავდა. 1985 წელს კი მიხვდნენ, რომ მათი მიზანი არარეალისტური იყო და საჭირო იყო კომპრომისზე წასვლა.

გარდამტეხი მომენტი 1989-1990 წლებში დადგა. დე კლარკი მოლაპარაკებების პოლიტიკაზე გადავიდა: სეგრეგაციის დასრულება დაიწყო, აფრიკის ეროვნულ კონგრესს დაწესებული აკრძალვა მოუხსნა და 1990 წლის 11 თებერვალს მანდელა საპყრობილედან გაათავისუფლა. 1990 წლის მაისის გროტე სხირის ოქმით მთავრობა „საგანგებო მდგომარეობის გასაუქმებლად გარკვეული ნაბიჯების თანდათანობით გადადგმაზე“ დათანხმდა; აფრიკის ეროვნულმა კონგრესმა თანხმობა განაცხადა „ძალადობის შეზღუდვაზე“. აფრიკის ეროვნული კონგრესი ასევე თანხმდებოდა იმაზეც, რომ მოლაპარაკებების მიმდინარეობის პროცესში

ნაციონალური პარტია ხელისუფლებაში დარჩებოდა, ხოლო ეს უკანასკნელი კი მზად იყო უარი ეთქვა ხელისუფლების მონოპოლიზებაზე. ახლა მთავრობის მიზანი ისეთი შეთანხმების მიღწევა იყო, რომელიც ხელისუფლების განაწილების შესაძლებლობას უზრუნველყოფდა და თანაც ისე რომ მრავალრასობრივ მთავრობაში მას თავისი გარანტირებული როლი ჰქონოდა. 1991 წლის თებერვალში მხარეებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს, მთავრობამ თანხმობა განაცხადა აფრიკის ეროვნული კონგრესის მილიციის ძალების არსებობის გახანგრძლივებაზე, სანაცვლოდ კი კონგრესმა დადო პირობა, რომ ამ ძალებს არ აამოქმედებდა. 1991 წლის აპრილში მთავრობამ პოლიტიკური პატიმრები გამოუშვა, 1991 წლის სექტემბერში მხარეებმა ხელი მოაწერეს ეროვნული მშვიდობის აკორდს, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო უსაფრთხოების ძალების ქცევის კოდექსი და მოლაპარაკების პროცესში დავის გადაწყვეტის მექანიზმები. ამას „დემოკრატიული სამხრეთ აფრიკის კონვენცია“ (CODESA) მოჰყვა, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ახალი კონსტიტუციის პრინციპები; დეტალებზე სამუშაოდ შეიქმნა მუშა ჯგუფები.

ამ ყველაფრის მიუხედავად პარტიათა პოზიციებს შორის დიდი უფსკრული იყო. ნაციონალური პარტია თეთრკანიანების მმართველობის შენარჩუნებას ცდილობდა; ისეთი ფედერალური კონსტიტუციის მიღება სურდა, რომელიც ხელისუფლების გადანაწილების საშუალებას უზრუნველყოფდა , შეიქმნებოდა ორპალატიანი პარლამენტი, პროპორციული წარმომადგენლობა, დაცული იქნებოდა ჯგუფის უფლებები და დაარსდებოდა ძლიერი რეგიონალური მთავრობები. აფრიკის ეროვნულ კონგრესს კი პირიქით, სურდა, რომ დროებითი მთავრობის ხელისუფლებაში ყოფნა ხანმოკლე ყოფილიყო, არჩევნები ჩატარებულიყო შემდეგი პრინციპით - ერთი ადამიანი, ერთი ხმა; კონსტიტუციაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ინდივიდის უფლებები და ცენტრალიზებული მთავრობის შექმნა. მოლაპარაკებების შედეგად მხარეები კომპრომისამდე მივიდნენ და „გარდამავლი აღმასრულებელი საბჭოს“ შექმნაზე შეთანხმდნენ, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევდა მთავრობას და არჩეულ საკონსტიტუციო ასამბლეას, რომელიც ახალი კონსტიტუციის შექმნაზე იმუშავებდა. თუმცა ვერ შეთანხმდნენ საკონსტიტუციო ასამბლეის იმ ხმათა რაოდენობაზე, რომელიც საკონსტიტუციო უმრავლესობად ჩაითვლებოდა.

ამასობაში ორივე მხარეს სპოილერები გააქტიურდნენ. თეთრკანიანი ექსტრემისტებისთვის ნაციონალური პარტიის პოზიცია მიუღებელი კომპრომისი იყო, ხოლო ინკატას თავისუფლების პარტია კი შიშობდა, რომ ის მთავრობა, რომელშიც აფრიკის ეროვნულ კონგრესს დომინანტი როლი ექნებოდა, ზულუს რეგიონალურ ხელისუფლებას დაჯაბნიდა. ამ ორმა პარტიამ საერთო ენა და ინტერესები გამონახა და ერთობლივი ძალისხმევით მოლაპარაკებების ჩაშლა გადაწყვიტა. თავდაპირველად მათი ზეწოლით სიტუაცია გაუარესდა. რეფერენდუმზე თეთრკანიანებმა, რომლებიც მოლაპარაკებების გაგრძელების მომხრენი იყვნენ, დე კლარკს დაუჭირეს მხარი, მაგრამ დე კლარკი საარჩევნო ხმებთან დაკავშირებულ საკითხებზე დათმობაზე წასვლას არ აპირებდა. ქალაქებში ძალადობა გაძლიერდა, რაშიც ინკატას სდებდნენ ბრალს და თვლიდნენ, რომ იგი ამისთვის პოლიციის ძალებს იყენებდა. აფრიკის ეროვნულმა კონგრესმა მოლაპარაკებების შეწყვეტა გადაწყვიტა.

მდგომარეობა უკვე მესამედ და ამჯერად სერიოზულად შევიდა ჩიხში. ძალადობა მატულობდა და მოლაპარაკებები ჩაშლის პირას იყო მისული. აფრიკის ეროვნულმა კონგრესმა ხალხს გაფიცვისა და დემონსტრაციების მოწყობისკენ მოუწოდა. პოლიციამ ძალა გამოიყენა, რის შედეგადაც 1992 წლის სექტემბერში ბიშოში, ცისკეიში, 28 დემოსნტრანტი დაიღუპა. ამ კატასტროფამ მხარეებს მოლაპარაკებების ჩაშლის შემთხვევაში მოსალოდნელი სიხლის

ღვრის საფრთხე შეახსენა (რისი დიდი ალბათობის წინაშეც იდგნენ). ძალადობის მიუხედავად, კონსტიტუციური განვითარების მინისტრი როლფ მეიერი და აფრიკის ეროვნულ კონგრესის მთავარი წარმომადგენელი და მოლაპარაკებებში ჩართული პირი რამაპოსა, შეხვედრებს არაოფიციალურ ვითარებაში (სხვადასახვა სასტუმროების ნომრებში) აგრძელებდნენ. 1992 წელს, როდესაც დე კლარკი და მანდელა „ურთიერთგაგების აკორდზე“ შეთანხმდნენ, მხარეებმა მოლაპარაკებები განაახლეს. ასე ჩაიყარა ის საფუძველი, რომელზეც ხელისუფლების გადანაწილება უნდა მომხდარიყო; უნდა შეკრებილიყო დროებითი, არჩეული პარლამენტი, რომელიც ახალ კონსტიტუციაზე იმუშავებდა; ასევე შეიქმნებოდა დროებითი ეროვნული ერთობის მთავრობა, რომელშიც ძალაუფლება გადანაწილებული იქნებოდა და იმ პარტიებით დაკომპლექტდებოდა, რომლებიც ამომრჩეველთა ხმების ხუთ პროცენტზე მეტს მიიღებდნენ; მისი მოქმედების ვადა ხუთი წლით განისაზღვრა. აფრიკის ეროვნული კონგრესი ხელისუფლების გადანაწილებასა და ხანგრძლივ გარდამავალ პერიოდზე თანხმდებოდა, ხოლო ნაციონალური პარტია კი იმაზე, რომ თეთრკანიანთა ხელისუფლებაში ყოფნის გაგრძელების გარანტია არ არსებობდა. ეს უკანსკნელი ხედავდა, რომ საჭირო იყო დროულად მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარდაჭერას დაკარგავდა, ამიტომ მან არჩევნების 1994 წლის აპრილში დანიშვნაზე თანხმობა განაცხადა. 1993 წლის სექტემბერში შექმნილმა დროებითმა აღმასრულებელმა საბჭომ თანდათანობით მთავრობის მეტი და მეტი ფუნქცია იტვირთა; ახლა ნაციონალური პარტია და აფრიკის ეროვნული კონგრესი მიღწეულ შეთანხმებას ინკატასა და თეთრკანიანი ექსტერმისტებისაგან ერთობლივად იცავდა; ეს უკანასკნელნი კონფედერაციული ალტერნატივის მომხრედ გამოდიოდნენ, რომელიც იმ რეგიონებს, რომლებშიც თავად ცხოვრობდნენ, ავტონომიას მიანიჭებდა.

არჩევნებამდე დარჩენილი ექვსი თვის მანძილზე მიმდინარეობდა ბრძოლა, რომელშიც ერთ მხარეს ნაციონალური პარტია და აფრიკის ეროვნულ კონგრესი იდგა, მეორეზე კი სპოილერები. ყველაფერი კი არჩევნებით დაგვირგვინდა. ინკატამ „დროებითი აღმასრულებელი საბჭოს“ რიგები დატოვა, რასაც ნატალში აფრიკის ეროვნული კონგრესის მხარდამჭერების წინააღმდეგ ძალადობის გაძლიერება მოჰყვა. მოლაპარაკებები აფრიკის ეროვნულ კონგრესსა და ინკატას თავისუფლების პარტიის ლიდერ ბუტელეზის შორის გამართული მოლაპარაკებები უშედეგო აღმოჩნდა; ბუტელეზი არჩევნების ბოიკოტირებით იმუქრებოდა. უკანასკნელ წუთს აფრიკის ეროვნული კონგრესი ზულუსის ბელად კინგ გუდვილთან დიდ დათმობაზე წავიდა და მას ნატალის მიწებზე მეურვეობა გადასცა. ბუტელეზის მიმდევრები არ გაჰყვნენ, რის გამოც იძულებული გახდა უკანასკნელ წუთს არჩევნებში მონაწილეობაზე დათანხმებულიყო. არჩევნები ლეგიტიმურად ჩატარდა, შეიკრიბა ახალი პარლამენტი, რომელშიც აფრიკის ეროვნულმა კონგრესმა ხმათა საკანანამოდებლო უმრავლესობის, ანუ ორი მესამედის მოპოვება, ვერ შეძლო. ძალაუფლების განაწილება რეალობად იქცა. ეროვნული ერთობის მთავრობის თავმჯდომარე მანდელა გახდა, ხოლო დე კლარკი და ბუტელეზი კი მინისტრები.

ამგვარად, მოლაპარაკებებისა და არჩევნებით აპართეიდი და თეთრკანიანთა ბატონობა დასრულდა (Waldmeier, 1998; R. Harvey, 2003). შავკანიანთა ოპოზიციის ლეგიტიმიზაციამ კონფლიქტის სტრუქტურა შეცვალა და უმრავლესობასა და უმცირესობას შორის არსებული ასიმეტრიული ურთიერთობა პარტიებსა და მათ მიმდევრებს შორის არსებულ სიმეტრიულ ურთიერთობად აქცია. ყველაფრის მიუხედავად გარკვეული დაძაბულობა დარჩა; ნელა და მდორედ მიმდინარეობდა სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაცია, არჩევნებში გათვალისწინებული იყო შიდა კონფლიქტის მოგვარებისთვის საჭირო სამი ელემენტი „მონაწილეობა, ლეგიტიმაცია და განაწილება“ (Zartman, 1995b:339). სამხრეთ აფრიკაში

მხარეებმა მისაღებ და ლეგიტიმურ კონსტიტუციურ შეთანხმებას ისეთ ვითარებაში მიაღწიეს, რომელიც, მრავალთა აზრით, ასეთი გადაწყვეტის იმედს არ იძლეოდა.

ოსლოს აკორდი: მოუხელთებელი მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში

1990-იანი წლებში მიმდინარე სამშვიდობო პროცესებს შორის ყველაზე მეტი ყურადღება სრულიად სამართლიანად დაიმსახურა ისრაელი-პალესტინის პროცესმა. ამიტომ მნიშვნელოვანია განვიხილოთ, თუ რა გავლენა მოახდინა ამ პროცესის ხარვეზებმა კონფლიქტების მოგვარების ხედვასა და პრაქტიკაზე. როდესაც 1993 წელს ოსლოს აკორდს ხელი მოაწერეს, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ნორვეგიის მხრიდან ამ პროცესის ხელშეწყობა ამ ხანგრძლივ კონფლიქტში მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა. თუმცა, ოსლოს ხელშეკურების პირობები პრაქტიკაში არ განხორციელდა, რის გამოც კონფლიქტის ძირეული საკითხი „საბოლოო სტატუსის“ შესახებ მოუგვარებელი დარჩა, ღაზასა და დასავლეთ სანაპიროს ძალადობრივი ოკუპაცია გაგრძელდა, პალესტინელი თვითმკვლელი ტერორისტები კი შურისძიებას ისრაელის მშვიდობიანი მოსახლეობის აფეთქებით განაგრძობდნენ. რა არ მოხდა ისე როგორც საჭირო იყო?

საილუსტრაციოდ ამ სამშვიდობო პროცესის და აკორდის შესახებ არსებულ ორ განსხვავებულ ხედვას შემოგთავაზებთ. პირველის თანახმად, ოსლოს აკორდი ნამდვილად უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ კონფლიქტის მოგვარებას ხელი შეუშალეს ორივე მხარის „სპოილერებმა“და მხარეთა შორის არსებულმა ფუნდამენტურმა ასიმეტრიამ. აქ შლაიმის (2000) და სმიტისეულ (2004) ვერსიებს მოვიყვანთ, ხოლო კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისს კი აგელსტამის (1999), გალტუნგისა (2004) და კრისბერგისეული (2001) თვალსაზრისის მაგალითებზე განვიხილავთ.

მეორე პერსპექტივის თანახმად, ისრაელი-პალესტინას შორის არსებული ასიმეტრიის კონტექსტში კონფლიქტის მოგვარების მცდელობა შეცდომა იყო. ამ თვალსაზრისის დასტურად ჯონსის (1999:30) მოსაზრებას მოვიყვანთ, რომლის აზრითაც ეს სამშვიდობო პროცესი იმ საშუალებად იქცა „რომელშიც უფრო ძლიერი ნელა და მიზანმიმართულად თელავს სუსტის მისწრაფებებს“. ჯონსის აზრით (იქვე: 160), თავად ოსლოს აკორდი და მთელი ის პროცესი, რომელმაც მხარეები ამ შეთანხებამდე მიიყვანა, „უთანასწორობისა და დომინანტობის სტრუქტრების რეპროდუქციაა“, რაც იმას ნიშნავს, რომ კონფლიქტის ასეთ კონტექსტში მოგვარების მცდელობა საფუძველშივე პრობლემატური იყო.

პირველი თვალსაზრისის თანახმად, ასეთი ნაბიჯის გადადგმა შესაძლებელი გახადა ფასილიტაციამ და შემოვლითი გზის არჩევამ, რაც ვერ შეძლო ოფიციალურმა დიპლომატიამ მადრიდში. ნორვეგიის კონფლიქტში ჩარევა კეთილი მიზნით განხორციელდა, მისი ამოცანა კი კონფლიქტით მიყენებული ტანჯვის შემსუბუქება იყო. ამ ინტერვენციის შედეგად მხარეებმა ერთმანეთი აღიარეს და პალესტინა დაიყო , რაც ხანგრძლივი კონფლიქტის გადაჭრის შესაძლობას ქმნიდა. აკორდის მიზანი ამ ორი ხალხის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და მათთვის ერთმანეთის გვერდით თანაარსებობის საშუალების მიცემა იყო; ღაზასა და იერიქონს ავტონომია უნდა მინიჭებოდა, რაც ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო. ეს მრავალი პალესტინელის, ისრაელელისა და გარეშე მხარისათვის ამ კონფლიქტის ყველაზე რეალისტური შედეგი იყო. მხარეები შეთანხმდნენ, რომ „საბოლოო სტატუსთან“ დაკავშირებულ საკითხებს სამი წლის განმავლობაში გადაწყვეტდნენ.ორი მხარის ამ საკითხისადმი დამოკიდებულების შეცვლა მხოლოდ მოლაპარაკებების გზით იყო შესაძლებელი; საჭირო იყო მოვლენათა ახალ ჩარჩოში წარმოდგენა და ისეთი რეალობის

შექმნა, რომელიც ახალი ურთიერთობის პოტენციალს შექმნიდა (Aggestam, 1999:173).

მეორე თვალსაზრისის თანახმად კი ოსლოს პროცესის დაწყებისას პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია დასუსტებული და სასოწარკვეთილი, ხოლო ისრაელის მთავრობა კი საოცრად მძლავრი იყო. ამის შედეგად ძლიერმა მხარემ სუსტი მიწასთან გაასწორა და დაჩაგრა, ისრაელის მიერ თავსმოხვეულმა შეთანხმებამ პალესტინის მხარე დაანაწევრა და მეტად გააღატაკა; არა მხოლოდ სახელმწიფოებრიობა დააკარგვინა, არამედ ავტონომიაც (Said, 2000). ეს პროცესი დასრულდა იმით, რასაც არაბები „აპართეიდის კედელს“ უწოდებენ, დასავლეთ სანაპირო სამხედრო გზებმა და ახალმა დასახლებებმა დასერა.

ასეთ შედეგებზე პასუხისმგებლობა მთლიანად ნორვეგიელ ფასილიტატორებს არ უნდა დავაკისროთ. „ოსლოს სული“ ხელშეკულებაზე ხელმოწერამდე გაქრა, რადგან ისრაელის მთავრობის იურისტებმა ამ ხელშეკრულებას უამრავი შეზღუდვები და გაფრთხილებები შეაგებეს (Corbin, 1994). იმ დროს არც რაბინი და არც პერესი პალესტინის სახელმწიფოს შესაქმნელად მზად არ იყვნენ; მოლაპარაკებების დაჩქარების შესაძლებლობა ორივემ ხელიდან გაუშვა (Shlaim, 2000; Smith, 2004). შეთანხმებას ორივე მხრიდან მოწინააღმდეგები ჰყავდა. აკორდს ორივე მხარემ ძალადობის დაწყებით უპასუხა: ჰებრონის სისხლისღვრა, ჰამასის თავდასხმები და რაბინის მკვლელობა. 1996 წელს, ნათანიაჰუს არჩევის შემდეგ ისრაელის მთავრობამ ოსლოს პროცესზე კატეგორიული უარი თქვა, აკორდის განხორციელება შეჩერდა, ხოლო ოკუპირებულ ტერიტორიებზე კი ახალშენების აგების პროცესი დაჩქარდა.

შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამ ინკრემენტულმა პროცესმა ისრაელის მთავრობა მომგებიან პოზიციაში ჩააყენა, რის გამოც გაჩნდა რისკი, რომ ეს პროცესი წინ ვეღარ წავიდოდა.ასეც მოხდა. ყველაფრის მიუხედავად, მოგვიანებით განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბების გზით კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობა კვლავ არსებობდა. . მაგალითად, 2000 წელს კემპ-დევიდის მოლაპარაკებაზე ისრაელის პრემიერ მინისტრი, ბარაკი წინამორბედებზე შორს წავიდა, აღმოსავლეთ იერუსალიმზე პალესტინის სუვერენიტეტი აღიარა და პალესტინისთვის დასავლეთ სანაპიროს სადავო მიწების 90-95 პროცენტის (რიცხვი სადავოა), მაგრამ არა მთლიანის, გადაცემისთვის მზაობა გამოთქვა. აშშ-ისრაელის ნარატივი განვითარებულ მოვლენებში ძირითადად იასერ არაფატს ადანაშაულებს; მის ბრალეულობად ითვლება ის, რომ კემპ-დევიდში შეთანხმებას ვერ მიაღწიეს; მან ხელი დააფარა, ან იქნებ წვლილიც შეიტანა, ძალადობრივ „ალ-აქსა ინტიფადას“ დაწყებაში, რაც ისრაელის მთავრობამ ჩაახშო (ალბათ ასე მოიქცეოდა სხვა ნებისმიერი მთავრობა) (Ross, 2004). ალბათ საჭირო აღარ არის იმის აღნიშვნა, რომ ამას პალესტინელების მხრიდან მძვინვარე დაპირისპირება მოჰყვა.

2003 წლის ოქტომბერში, ბეილინს, ლეიბორისტული ოპოზიციის სხვა წევრებსა და პალესტინის ყოფილ მინისტრებს შორის დადებულმა ჟენევის არაოფიციალურმა აკორდმა ოსლოს პროცესი არაოფიციალურად დაასრულა; მათ კონფლიქტის შესახებ მრავლისმომცველ შეთანხმებას მიაღწიეს. ამ სამშვიდობო გეგმის თანახმად, ისრაელი 1967 წლის, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებს უნდა დაბრუნებოდა (თუ არ ჩავთვლით მცირე ტერიტორიულ ცვლილებებს); პალესტინა სახელმწიფო უნდა გამხდარიყო. ებრაული დასახლებები (მათ გარდა, რომელიც გაიცვალა) კვლავ პალესტინის სუვერენიტეტის ქვეშ მოექცეოდა; იერუსალიმი გაიყოფოდა; აღმოსავლეთ იერუსალიმის

არაბულ მიწებსა და ტაძრების მთაზე პალესტინის სუვერენიტეტი გავრცელდებოდა. სანაცვლოდ, პალესტინის მხარე პალესტინელი დევნილების დაბრუნების უფლებას თმობდა. ეს დათმობა მეტად მტკივნეული იქნებოდა და პალესტინელთა ბრძოლას მთავარ საყრდენს - რწმენას გამოაცლიდა. ამ მოსაზრებით პალესტინელთა უმრავლესობამ ჟენევის აკორდზე უარი განაცხადა, ისრაელი კი მიწების დათმობის წინააღმდეგი იყო. 2000-2008 წლებში აშშ-ს ბუშის ადმინისტრაციამ ეს კონფლიქტი ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართული გლობალური ომის პრიზმაში განიხილა და ჰამასის არჩევნებში მიღწეული გამარჯვების ან პალესტინის შემდგომი გამთლიანების მოკლე პერიოდის აღიარებაზე უარი განაცხადა, რითიც სტატუს კვო ფაქტობრივად გაყინა და „როუდ მეფისა“ და ანაპოლისის ინიციატივები წარუმატებელი აღმოჩნდა. თუმცა, იმ მოლაპარაკებების შედეგად, რომელიც ოლმერტ/ლივნი კადიმას მთავრობასა (ისრაელი) და პალესტინის ახალ ხელმძღვანელობას შორის პრეზიდენტ მაჰმუდ აბასის მეთაურობით გაიმართა, გარკვეული ნაბიჯები მაინც გადაიდგა. 2010 წელს ნათანიაჰუს მთავრობის მეორედ მოსვლამ მოლაპარაკებების წარმოება კვლავ შეუძლებელი გახადა.

ამ თავში გაჩვენეთ რატომ არის შეთანხმებისთვის საჭირო რამდენიმე წინაპირობის არსებობა. პირველი - ისრაელის მთავრობას თანხმობა უნდა განეცხადებინა. საჭირო იყო როგორც საგარეო ასევე შიდა ცვლილებების განხორციელება. ამ კონფლიქტის მოგვარებისთვის გაწეული სუსტი ძალისხმევის მიზეზი არასაკმარისი ბაზის არსებობა იყო. შეთანხმების ჩარჩოს მიღებას (და ამავე დროს ძალიან შორს იყვნენ) მხოლოდ ისრაელის ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკოსები (ამ ბოლო დროს კადიმა) და პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია მიუახლოვდა. ესპანური წარმოშობის ებრაელებს, ლიკუდის სხვა მხარდამჭერებსა და რელიგიურ პარტიებს ორი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე თანხმობა უნდა განეცხადებინათ, ხოლო პალესტინელი ისლამისტები კი ებრაული სახელმწიფოს არსებობას უნდა შეგუებოდნენ.

ეს ანალიზი ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში კონფლიქტის მოგვარება მხოლოდ მხარეებს არ უნდა მივანდოთ; ასევე გასათვალისწინებელია ის ფართო რეგიონალური და გლობალური კონტექსტი, რომელშიც კონფლიქტი მიმდინარეობს. ჩვენ მიერ განხილული ორი თვალსაზრისის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი თუ კონფლიქტის მოგვარებაში მისი ტრანსფორმაციის შესაძლებლობასაც ჩავრთავთ. ეტზიონის (1964) „კაფსულაში მოქცეული“ კონფლიქტის მოსაზრებიდან გამომდინარე კონფლიქტის ტრანსფორმაციის პროცესი ადგილობრივ დონეს უნდა გასცდეს და ფართო დონეზე გავრცელდეს. . ეს მოსაზრება მთავარია კონფლიქტის კოსმოპოლიტური მოგვარების კონცეფციისთვის, რაზეც ამ წიგნის მეორე ნაწილში იქნება საუბარი და რაც წამოყენებულია ჯონსის მოსაზრებაში „კოსმოპოლიტური მედიაციის“ (1991) შესახებ. ანუ, მედიაცია კონფლიქტების მოგვარების მხოლოდ ერთი ნაწილია. ასევე არსებითია კონფლიქტის ასიმეტრიისა და მისი კონტექსტის შეცვლა (ნახაზი 1.9. და 1.12). მედიატორები დამცველებად არ უნდა იქცნენ; თუმცა, მედიაცია და ადვოკატირება ერთმანეთს ავსებს. მშვიდობა და სამართლიანობა განუყოფელია და მათი ერთად დამყარება უნდა ვცადოთ (van der Merwe, 1989:7).

გალტუნგი (Galtung 2004: 103-9) თვლის, რომ ამ კონფლიქტის დაბალანსებაა საჭირო; ისრაელიცა და პალესტინაც უფრო ვრცელ, ახლო აღმოსავლურ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. 2002 წლის არაბეთის სამშვიდობო ინიციატივა (რომელზეც, ქვემოთ მე-18 თავში ვისაუბრებთ) იმედის მომცემ რეგიონალურ კონტექსტს ქმნის. დაბალანსების ერთ-

ერთი საშუალება იქნება ამ კონფლიქტის ჭილიბის შეცვლა, ანუ აშშ-ს მიერ ისრაელის მთავრობისთვის უპირობოდ გაწეული ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური დახმარების შეცვლა. თუ მაგალითად, აშშ ნაკლებად იქნება დამოკიდებული ახლო აღმოსავლეთის ნავთობზე და სპარსეთის ყურესა და ახლო აღმოსავლეთში თავის სტრატეგიულ როლზე უარს იტყვის, ან თუ ირწმუნებს, რომ ამ რეგიონში (ავღანეთის ჩათვლით) კონფლიქტის გაგრძელება მისი ჯარების უსაფრთხოებას საშიშროებას უქმნის, მაშინ შესაძლოა ისრაელმა გათვლები შეცვალოს და მხარეებმა იმ შეთანხმებას მიაღწიონ, რომლის შესახებაც ბოლო ოცი წელია არაოფიციალურ შეხვედრებზე საუბრობენ ხოლმე. ამჟამად ეს ძალიან შორეული პერსპექტივაა, მაგრამ კონტექსტის ასეთი ცვლილება კონფლიქტის ტრანსფორმაციას შესაძლებელს გახდის. ძლიერი პრეცენდენტი შექმნა დეინვესტირების პოლიტიკამ სამხრეთ აფრიკაში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კონფლიქტის მოგვარებას გაცილებით მეტი რამ სჭირდება ვიდრე ფასილიტატორებსა და მედიატორებს ხელეწიფებათ; ისმის კითხვა: როგორ უნდა დანერგოს მსოფლიო საზოგადოებამ სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების კოსმოპოლიტური სტანდარტები მთელ მსოფლიოში თანაბრად.

ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის შესახებ მე-18 თავში ვისაუბრებთ.

დასკვნა

ჩვენ ვისაუბრეთ კონფლიქტების მოგვარების იმ მიდგომებზე, რომლებიც კონფლიქტების დასრულებისას გამოიყენება; თუმცა, ვაღიარეთ ისიც, რომ მრავალ თანამედროვე კონფლიქტში მათი გამოყენება არ ხერხდება. ვთქვით, რომ კონფლიტების მოგვარება მხარეთა შორის მედიაციასა და არსებული უთანხმოების მიზეზებზე ინტეგრაციული შეთანხმების მიღწევაზე გაცილებით მეტია. კონფლიქტის მოგვარებისას გასათვალისწინებელია კონფლიქტის კონტექსტი, მისი სტრუქტურა, მხარის შიგნით და მხარეთა შორის არსებული უთანხმოება და ის მთავრობა და საზოგადოება, რომელშიც ეს კონფლიქტი მიმდინარეობს. ამის გამო ამ ბოლო დროს დიდი ინტერესით სწავლობენ და აანალიზებენ გადაუჭრელ კონფლიქტებს როგორც კომპლექსურ სისტემებს, რაზეც მეორე და მეოთხე თავებში გვქონდა საუბარი. ასეთი რამ გვაფიქრებინებს, რომ კონფლიქტში ჩარევას „მწიფე მომენტის“ ლოდინი არ სჭირდება. სამშვიდობო პროცესები ტრანსფორმაციათა თანმიმდევრობაა, რომელიც გარდამტეხი და ჩიხში შესული მომენტებით ხასიათდება. ამ პროცესის სხვადასხვა ეტაპზე საჭიროა კონტექსტის, აქტორების, საკითხების და მასში მონაწილე ადამიანების ტრანსფორმაცია.

შეთანხმების მიღწევის შემთხვევაშიც კი, თუ მას ახალი სიცოცხლე არ შთაბერეს მხარეებმა, ამომრჩეველმა და გარე მხარდამჭერებმა, ყველაზე დიდი რუდუნებით მიღწეული პოლიტიკური შეთანხმებაც კი ჩაიშლება. ამიტომ რეკონსტრუქცია და მშვიდობის შენება მუდმივ პრიორიტეტს წარმოადგენს, განსაკუთრებით შეთანხმების შემდეგ ფაზაში. შემდეგ სამ თავში იმ ზომებზე ვისაუბრებთ, რომელთა მიღებაც საჭიროა იმისათვის, რომ მიღწეული შეთანხმებები არ ჩაიშალოს და ძალადობა არ განახლდეს.

რეკომენდირებული ლიტერატურა

Cochrane (2008); Harris and Reilly (1998); Shlaim (2000); Stedman et al. (2002); Wallensteen (2007).

მერვე თავი

ომის შემდგომი რეკონსტრუქცია

ამ და მის მომდევნო თავში საუბარი გვექნება იმ წვლილზე, რომლის შეტანაც კონფლიქტების მოგვარების დარგს ომის შემდგომ რეკონსტრუქციასა და მშვიდობის შენების პროცესის იმ მყიფე საფეხურზე შეუძლია, როდესაც ომი დასრულებულია, მაგრამ მშვიდობა ჯერ უზრუნველყოფილი არ არის.

> *ომის დასრულების შემდეგ მშვიდობის შენება უმნიშვნელოვანესი ხდება. ხშირ შემთხვევაში გაერო ამ კრიტიკული საკითხის მოგვარებას უმნიშვნელო ყურადღებას უთმობს და მწირ რესურსებს გამოყოფს. მშვიდობის წარმატებით შენებისთვის კონფლიქტურ ტერიტორიაზე ისეთი მშვიდობის დამცველების ჩაყენებაა საჭირო, რომელთაც სპოილერების ქმედების აღკვეთის მანდატიც აქვთ და საამისო უნარებიც გააჩნიათ; მშვიდობის დაცვის ბიუჯეტში გათვალისწინებული უნდა იყოს დემობილიზაციისა და განიარაღების ხარჯები; უნდა შეიქმნას ახალი ფონდი, რომელიც სამხედრო პირების რეაბილიტაციასა და რეინტეგრაციას და ადრეული სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყებას უზრუნველყოფს; კანონის უზენაესობის დასაცავად აქცენტი უნდა გაკეთდეს სახელმწიფო ინსტიტუტების აღმშენებლობაზე. ამ საქმიანობის წარმატებით განხორციელება გაეროს მთავარი ფუნქცია უნდა გახდეს. (გაეროს უმაღლესი შემადგენლობა; 2004 წ.)*

ასტრიდ სურკესა და ინგრიდ სამსეტის (2007) გამოთვლებით, ცივი ომის შემდგომი პერიოდის ფაქტები ცხადყოფს, რომ მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიღწევის შემდეგ შემთხვევათა 25 პროცენტში „სამოქალაქო ომის განახლების“ შესაძლებლობა არსებობს. ზოგიერთთა მტკიცებით კი, რომ არა ომის შემდგომი სამშვიდობო ოპერაციები, ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იქნებოდა. (Fortna, 2008). მოცემულ თავში ცივი ომის შემდგომ პერიოდში გაწეული იმ ძალისხმევის შესახებ ვისაუბრებთ, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებამ ომის შემდგომი სამშვიდობო პროცესის განსამტკიცებლად გასწია და რომელსაც იმ ინსტიტუტის საშუალებით ახორციელებს, რომელსაც დღეს „ლიბერალურ მშვიდობას“ უწოდებენ; მას ხშირად გაეროს პოლიტიკურ „ნიუ იორკის კონსენსუსს“ უკავშირებენ და ამგვარად ეკონომიკური სფეროს „ვაშინგტონის კონსენსუსისგან“ მიჯნავენ. ლიბერალური ჩარევა (ინტერვენციონიზმი???) უამრავ ვარაუდს ეფუძნება, რომელთა რეზიუმეც ჯერ კიდევ ათი წლის წინ როლანდ პარიზმა ჩამოაყალიბა.

> *ამ პარადიგმის მთავარი პრინციპი არისდაშვება, რომლის თანახმადაც მშვიდობის ყველაზე მტიცე საფუძველი ... საბაზრო დემოკრატია, ანუ ქვეყნის შიგნით ლიბერალური სახელმწიფოებრივი წყობა და ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკაა ... მშვიდობის შენება ფაქტობრივად უზარმაზარი ექსპერიმენტია, რომელიც სამოქალაქო კონფლიქტის კონტროლის მიზნით ომისგან გახლეჩილ სახელმწიფოებში სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობის დასავლური მოდელის ჩანერგვას გულისხმობს: ანუ ეს არის მშვიდობის აღდგენა პოლიტიკური და ეკონომიკური ლიბერალიზაციის გზით. (1997:56).*

მას შემდეგ ამ დაშვებებმა უამრავი გამოცდა გაიარა, თუმცა მიღწეული შედეგები არაერთგვაროვანი აღმოჩნდა; იგი მკაცრი კრიტიკის ობიექტიც გახდა, გარკვეული მოდიფიკაციაც განიცადა, მაგრამ მასზე უარი არ უთქვამთ. ოცდამეერთე საუკუნის მეორე ათწლეულის ომის შემდგომი სამშვიდობო ოპერაციები ძირითადად ამ მოსაზრებებს ეფუძნება; თუმცა რუსეთისა და ჩინეთის მზარდმა გავლენამ მომავალში ისინი შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს, რაზეც მე-11, მე-19 და მე-20 თავებში ვისაუბრებთ. მოცემულ

თავში ამ კუთხით გაწეულ ძალისხმევაზეც ვიმსჯელებთ და კონფლიქტების მოგვარების დარგში ამ კუთხით არსებულ აზრთა სხვადასხვაობასაც განვიხილავთ. თავის დასასრულს კი ცხადი გახდება რა მიდგომა აქვს კონფლიქტების მოგვარების დარგს განსახილველი საკითხისადმი; მეცხრე თავში კი მას მშვიდობის შენების უფრო ვრცელ ჩარჩოში და უფრო სიღრმისეულად განვიხილავთ.

იმისთვის, რომ მოცემულ თავში განხილული საკითხი უკეთ გავაანალიზოთ ალბათ მიზანშეწონილი იქნება თავიდანვე ერთმანეთისგან გავმიჯნოთ: მშვიდობის შენება, ნაციის შენება და სახელმწიფოს შენება (peacebuilding, nationbuilding and statebuilding) მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურაში ეს ცნებები ხშირად მკაცრად გამიჯნული არ არის. მშვიდობის შენებას (როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ) ამ ტერმინთა შორის ყველაზე ფართო მნიშვნელობა აქვს და მშვიდობის კვლევებისა და კონფლიქტების მოგვარების ტრადიციას უკავშირდება. მისი ყველაზე ლაკონური განმარტების თანახმად ეს სტრუქტურული და კულტურული ძალადობის დაძლევის პროექტია (კონფლიქტის ტრანსფორმაცია), რომელიც კონფლიქტის მხარეთა შორის მშვიდობის ჩამოგდებას (კონფლიქტის გადაწყვეტა) და მშვიდობის დაცვას (კონფლიქტის გავრცელების შეზღუდვა) გულისხმობს. ამაზე უფრო დეტალურად მე-9 თავში ვიმსჯელებთ. ტერმინს „ნაციის შენება“ ერთგვარი შუალედური მნიშვნელობა აქვს; იგი ფართოდ გამოიყენებოდა დეკოლონიზაციის პერიოდში, როდესაც ახლადშექმნილ სახელმწიფოებში განსხვავებული პოპულაციების ერთ ნაციად ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა. სახელმწიფოს შენებას კი, რომელიც ამ თავის ცენტრალური საკითხია, ყველაზე ვიწრო დიაპაზონი აქვს და მისით მმართველობის ისეთი თვითკმარი ინსტიტუტების აღდგენის/შენების პროცესს აღნიშნავენ, რომელსაც საზოგადოებრივი სიკეთის მოტანა, ლეგიტიმურობის განმტკიცება და სტაბილური მშვიდობის უზრუნველყოფა შეუძლია:

> *მშვიდობის შენების სტრატეგიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძვრა მაკრო-დონეზე 1990-იანი წლების ბოლოს და 2000-იანების დასაწყისში მოხდა, როდესაც მშვიდობის შენების ძირითადმა სააგენტოებმა გააცნობიერეს, რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ლეგიტიმური სამთავრობო ინსტიტუტების შენებასა და განმტკიცებას იმ ქვეყნებში, რომლებმაც ეს–ეს არის თვი დააღწიეს სამოქალაქო ომის მდგომარეობას, ანუ იმ სიტუაციაში არიან, რასაც ამ წიგნში სახელმწიფოს შენებას ვუწოდებთ. სახელმწიფოს შენება მშვიდობის შენების კონკრეტული მიდგომაა, რომელიც აღიარებს, რომ იმ საზოგადოების უსაფრთხოება და განვითარება, რომელიც თავს აღწევს სამოქალაქო ომს, ნაწილობრივ დამოკიდებულია ქმედუნარიანი, ავტონომიური და ლეგიტიმური სამთავრობო ინსტიტუტების არსებობაზე. (Paris and Sisk, 2009: 1-2).*

ეს მიდგომა მნიშვნელოვნად განსხვავდება სამშვიდობო ოპერაციების ძველი თაობის მიდგომებისგან (მათ მე-6 თავში „მეორე თაობის“ სამშვიდობო ოპერაციები ვუწოდეთ), რომლებიც ძირითდად გამოსწორების სწრაფ მეთოდებს ეფუძნებოდა , მაგ., არჩევნების ჩატარებას, ეკონომიკის პრივატიზაციის უეცარ დაწყებას, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ომის შემდგომი მთავრობებისა და ბაზრების ამოქმედების ინსტიტუციური საფუძვლების მშენებლობას.“ მიდგომის ასეთი ცვლილების მიზეზი გახლავთ მოსაზრება, რომლის თანახმადაც რიგ შემთხვევებში ნაადრევ საბაზრო დემოკრატიას წინ უნდა უსწრებდეს ქმედუნარიანი და ლეგიტიმური სამთავრობო ინსტიტუტების შექმნა ანუ „ინსტიტუციონალიზაცია ლიბერალიზაციის წინ“ (Paris, 2004). პარიზი და სისკი ლახდარ ბრაჰიმის აზრს იშველიებენ:

სახელმწიფოს შენების ცნება სულ უფრო და უფრო მეტად იკიდებს ფეხს საერთაშორისო საზოგადოებაში; სახელმიწფოს შენება გაცილებით უკეთ აღწერს ზომებს, რომელბსაც პოსტკონფლიქტურ ქვეყნებში უნდა მივმართოთ - უნდა ავაშენოთ ეფექტური სამთავრობო სისტემები და ინსტიტუტები. ფაქტობრივად თუ ჩვენს ძალისხმევას აღვნიშნავთ ტერმინით „სახელმწიფოს შენება", იგი მეტ საერთაშორისო ყურადღებას და მხარდაჭერას მიიპყრობს. (Brahimi, 2007).

კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით ასეთი მიდგომა მისასალმებელია, რადგან იგი მშვიდობის შენების უფრო ფართო ასპექტებს (ვისაუბრებთ მე-9 თავში) არანაირად არ ეწინააღმდეგება. როგორც მეოთხე თავში დავრწმუნდით, 1980-იან წლებში ჯონ ბარტონი და ედუარდ ეიზერი ღრმად ფესვგადგმული და გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტის მოსაგვარებლად მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ ქმედუნარიანი და ლეგიტიმური ინსტიტუტების შექმნას, რომლებიც ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასუზრუნველყოფდნენ. ასეთ შემთხვევაში ვერ მივესალმებით მხოლოდ ისეთ ჩარევას, რომელიც ამ ქვეყნების მოქალაქეთა ინტერესების დაცვას კი არა, არამედ თავად შუამავალთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურება. მაგ., ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ომის ფარგლებში სურთ, საერთაშორისო დანაშაულისა და ტერორიზმის „უსაფრთხო თავშესაფრების" გაჩენა წინასწარ აღკვეთონ. არ ვუარყოფთ, რომ ეს შესაძლებელია ცალკე განხილვის საგანი იყოს, მაგრამ ერთი რამ ცალსახაა, ჭეშმარიტ სამშვიდობო ოპერაციებს ასეთი მოტივი არ უნდა ამოძრავებდეთ. მოწყვლად და მყიფე სახელმიწფოებსა და ტერორიზმზე რეაგირების საკითხებს მე-11 თავში დავუბრუნდებით, რადგან ისინი სპეციფიკურია და ამ თავში განხილულ, ომის შემდგომი რეკონსტრუქციის თემის ფარგლებს სცდებაა.

მოცემულ თავში ომის შემდგომი სახელმწიფოს შენება კონფლიქტების მოგვარების თვალსაწიერიდანაა განხილული, ამ საკითხის უფრო ვრცელი ანალიზი კი მოცემული იქნება მე-9 თავში.

ომის შემდგომი სამშვიდობო ოპერაციები

მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, ომის შემდგომ რეკონსტრუქციას ოკუპანტთა გამარჯვებული ჯარები ახორციელებდნენ. ყოფილი მტრების განადგურების შემდეგ ოკუპაციური ჯარები ნიშნავდნენ ახალ მთავრობებს, ხელს უწყობდნენ ფიზიკურ თუ ეკონომიკურ რეკონსტრუქციას, შემდეგ კი ხელისუფლებას თანადათანობით ადგილობრივ მთავრობებს გადასცემდნენ. ეს კარგად უნდადავიმახსოვროთ , რადგან იგი ლიბერალური ჩარევის პროტოტიპს და მშვიდობის საფუძვლის გარანტს წარმოადგენს. ასეთი იყო აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის მიდგომა 2003 წლის ერაყის რეკონსტრუქციისასაც. ამ ლოგიკით 1945 წლის შემდეგ გერმანიამ და იაპონიამ ტრანსფორმაცია განიცადეს და ომის გამჩაღებლებიდან მშვიდობის ბასტიონებად იქცნენ - ლიბერალური მშვიდობის პრინციპებმაც თავიანთი როლი შეასრულეს.

1990-იანი წლების მიწურულს გამოსულ, ამ წიგნის პირველ გამოცემაში მოცემულ თავს „მშვიდობის შენება კონფლიქტის გადაწყვეტის შემდეგ " ეწოდებოდა; მასში განხილული იყო 1988-1992 წლებში გაეროს მიერ განხორციელებული მისიების მაგალითები ნამიბიაში (UNTAG), ანგოლაში (UNAVEM), ელ სალვადორში (ONUSAL), კამბოჯაშსა (UNTAC) და მოზამბიკში (ONUMOZ). ასევე განხილული იყო შედარებით კომპლექსური ჩარევა ბოსნიაში

1995 წლის შემდეგ. „მესამე თაობის“ მისიების გამოჩენისა და მათ მიერ სომალიში, ბოსნიასა და რუანდაში (იხ. მეექვსე თავი) განცდილი მარცხის გამო, რაც მეტად გაამძაფრა 2001 წლის შემდეგ დაწყებულმა ტერორიზმის „წინააღმდეგ მიმართულმა გლობალურმა ომმა“, მეორე გამოცემაში ამ თავს სათაური კვლავ შევუცვალეთ, „ომის შემდგომი რეკონსტრუქცია“ ვუწოდეთ, მასში შეტანილი მონაცემთა ბაზა გავაფართოვეთ (რასაც აზრთა მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა მოჰყვა) და ისეთი შემთხვევებიც შევიტანეთ, სადაც აშკარა სამოქალაქო ომს ადგილი არ ჰქონდა (მაგ., ჰაიტიზე) და ისეთებიც, სადაც ჩარევა ძალისმიერი საშუალებებით მოხდა (მაგ., ავღანეთი და ერაყი). ამგვარად გვსურდა, მკითხველის ყურადღება ზოგადად ომის შემდგომი რეკოსნტრუქციისთვის მიგვეპყრო მიუხედავად იმისა, თუ რა ბუნების ომი უძღვოდა წინ ამ ჩარევას. ყველა ამ შემთხვევას ერთი რამ ჰქონდა საერთო, ჩარევა მნიშვნელოვანი მასშტაბებისა იყო (გამოირიცხა ის შემთხვევები, რომლებშიც მცირე რაოდენობით სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობდნენ) და ყველა ოპერაცია იმართებოდა პრინციპით- „ჩარევა-რეკონსტრუქცია-გაყვანა“ (intervention-reconstruction-withdrawal (IRW)). თითოეულ შემთხვევაში გაცხადებული მიზანი იყო „ჩარევა“ ადგილობრივებისთვის მხარდაჭერისა და ომის შემდგომი სტაბილური მშვიდობის დამყარების მიზნით, (რე)კონსტრუქციის პროცესში მონაწილეობა და შემდეგ გასვლა. ამ წიგნის მესამე გამოცემაშიც იგივე ლოგიკურ ჯაჭვს ვიყენებთ. 8.1. ცხრილში აღნუსხული თითქმის ყველა მისია ომის შემდგომი სამშვიდობო ოპერაციაა. ამ ნუსხაში ერაყის მოვლენების ჩართვა არ ნიშნავს, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრას კონფლიქტის მოგვარებასთან რამე ჰქონდა საერთო, არც იმაზე ამბობს რამეს თუ რამდენად გამართლებული იყო ეს ომი (ჩვენი აზრით არ იყო). მაგრამ ამ ომის ამ სიაში შეტანა მაინც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, რადგან იგი იმის მნიშვნელოვან გაკვეთილად გამოდგება, თუ რა უნდა გაეთვალისწინებინათ ერაყის ომის შემდგომ რეკუნსტრუქციის გეგმაში და რა ზომები მიიღეს დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია ომის შემდგომი მშვიდობის შენების გამოწვევების მრავალმხრივი მიმოხილვისათვის.[1]

იმის გამო, რომ მოცემულ თავში ძირითადად გარედან ჩარევის შემთხვევებს განვიხილავთ აქვე უნდა განვაცხადოთ, რომ არ ვთვლით, რომ კონფლიქტში ჩართული მედიატორები ის უპირველესი აქტორები არიან ან უნდა იყვნენ, რომლებიც შედეგების ბედს წყვეტენ. როგორც წესი, ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილობრივი აქტორები და ამომრჩეველია. თუმცა, თანამედროვე შეიარაღებულ კონფლიქტებში, როგორც წესი, ნგრევა იმდენად დიდია და მშვიდობიან მოსახელობას იმდენად დიდი მხარდაჭერა სჭირდება, რომ რეკონსტრუქციისთვის გარე მხარდაჭერა აუცილებელია (თუმცა გარეშე მხარეს ყოველთვის ეს მოტივი არ ამოძრავებს). რამდენად არის ასეთი ჩარევა მშვიდობიანი მოსახლეობის ინტერესებში ცალკე კვლევის საგანია. ქვემოთ ვიმსჯელებთ იმაზე თუ კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით რა სახის გარეშე ჩარევაა ყველაზე ნაყოფიერი ან უნაყოფო; ვთვლით, რომ კონფლიქტი ომის შემდგომ ფაზაშიც გრძელდება, რის გამოც მის მოგვარებას კვლავ მნიშვნელოვანი ძალისხმევა სჭირდება. ომის შემდგომ რეკონსტრუქციაზე მსჯელობას დავასრულებთ იმით, რომ მისი ეფექტურობა დიდწილად დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად ლეგიტიმურია იგი ადგილობრივი მოსახლეობის თვალში.

ჩარევა-რეკონსტრუქცია-გასვლა (IRW)

1989-2009 ოპერაციები

1978 წელს დასავლეთის სახელმწიფოების საკონტაქტო ჯგუფის მიერ ინიცირებული „კონფლიქტის გადაწყვეტის შეთავაზების“ (Settlement roposal in Namibia)ფარგლებში, გაეროს გარდამავალი პერიოდის დახმარების ჯგუფს (UNTAG), უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციის435 თანახმად გადაეცა მანდატი, რომლის მიხედვით მას გაეროს გენერალური მდივნის მიერ დანიშნული სპეციალური წარმომადგენლისთვის დახმარება უნდა გაეწია, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით ნამიბიის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაში, რაც გაეროს ზედამხედველობითა და კონტროლით განხორციელდებოდა. (Ramsbotham and Woodhouse, 1999b: 167-72). გარდამავალი პერიოდის ვადა ერთი წელი იყო. დეკოლონიზაციიდან ათი წლის შემდეგ, 1988-1989 წლებში ეს გეგმა სრულიად შეცვლილ გარემოებებში საერთაშორისო ომის შემდგომი ინტერვენციისა და რეკონსტრუქციის პროგრამების შაბლონად იქცა. ცივი ომის დასრულებამ საბოლოოდ დაუსვა წერტილი ლიდერი სახელმწიფოების მიერ დაპირისპირებული მხარეებისა და რეჟიმების მხარდაჭერას და შესაძლებელი გახადა შეთანხმებული გარე მოქმედება ომების დასასრულებლად ან რეპრესიული და საშიში რეჟიმების დასამხობად, რის შემდეგაც დაიწყებოდა ქვეყნის შიდა პოლიტიკური ქმედუნარიანობის აღდგენა ისეთ დონემდე, როდესაც ძალაუფლების სიცოცხლისუნარიანი და საერთაშორისო საზოგადებისთვის მისაღები, ადგილობრივი ხელისუფლებისათვის დაბრუნება შესაძლებელი გახდებოდა. .

მსოფლიო პოლიტიკის ეს გასაოცარი ეპოქა ორი მთავარი ფაზით ხასიათდებოდა (იხ. მე-6 თავი). პირველი ნამიბიის აკორდისა და ბოსნიაში დეიტონის შეთანხმების მიღებას (1995 წ.) შორის პერიოდს ემთხვევა, როდესაც დიდ სახელმწიფოებს სურდათ, წინამძღოლისა და კოორდინატორის როლი გაეროს ეკისრა (ეს გახლდათ ამ წიგნის პირველი გამოცემის თემა). ამას მოჰყვა პერიოდი, რომელშიც ნორმად იქცა (მცირეოდენი სახეცვლილებებით) ის, რომ ამ როლს ერთი რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოების მეთაურობის ქვეშ მყოფი მულტილატერალური კოალიციები კისრულობდნენ, რომელსაც მხარს უჭერდნენ რეგიონალური ალიანსები ან ორგანიზაციები, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, დიდი რვიანის ქვეყნები (რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ დიდ ოცეულად იქცა) და ზოგიერთი დახმარებისა და განვითარების სააგენტო; ამ შემთხვევაში გაერო და მისი სააგენტოები მეტ-ნაკლებად ცენტრალურ ან პერიფერულ როლს ასრულებდნენ. ორივე პერიოდისთვის დამახასიათებელია ის, რომ ჩარევის პოლიტიკას ძირითადად პოლიტიკურად და სამხედრო თვალსაზრისით უფრო ძლიერი სახელმწიფოებიგანსაზღვრავდნენ, რაც სრულიად ბუნებრივია - ძლიერი სახელმწიფოები სუსტების საქმეებში ერევიან და არა პირიქით - რის გამოც, ზოგიერთი კრიტიკოსი ამ მიდგომის წინააღმდეგია, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ.

ჩარევა-რეკონსტრუქცია-გასვლის (IRW) სამშვიდობო ოპერაციებმა დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა; თუმცა, განსაკუთრებით საყურადღებოა საწყისი პირობები და ფუნქციები, განსაკუთრებით ამ მისიების მანდატებით განსაზღვრული ფუნქციები; ხშირ შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების პარამეტრების დადგენისას კონტექსტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს (ან უნდა ჰქონდეს). საწყისი დეკლარირებული ფუნქციები ხშირად ერთმანეთს ემთხვევა, ზოგჯერ კი პოლიტიკური კომპრომისის შედეგია, მაგრამ ოპერაციების მსვლელობის პროცესში შესაძლებელია, მათ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადონ. პირობები სამშვიდობო ოპერაციების მასშტაბებისა და შედეგების დადგენისას გაცილებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ვიდრე ამას აღიარებენ ხოლმე.

სამშვიდობო ოპერაციების ექვსი განსხვავებული კონტექსტუალური ფუნქციის გამოყოფა შეიძლება (იხ. ცხრილი 8.1).

- ინტერპოზიცია და მონიტორინგის ოპერაციები ტრადიციული „პირველი თაობის“ ფუნქციებია, რომელთაგანაც ზოგიერთი, მაგ., UNDOF (ისრაელი-სირია) ცივი ომის დროიდან არსებობს. შედარებით ბოლოდროინდელია UNMEE (2000-8), რომლის ამოცანაც ეთიოპია-ერიტრეას კონფლიქტში აგრესიის შეწყვეტის მონიტორინგი იყო. UNIFIL-მა (ლიბანი) თვისობრივი ცვლილება განიცადა 2006 წლის ისრაელი-ჰეზბოლას ომის შემდეგ, რის გამოც მრავალთა აზრით იგი დღესდღეობით ამ რეგიონში შესაძლო სამომავლო ინტერვენციის და მისიათა მონიტორინგის პროტოტიპია. ეს მისიები არ არის შეტანილი 8.1. ცხრილში, რადგან ისინი ომის შემდგომ რეკონსტრუქციას არ ახორციელებენ, რის გამოც ჩარევა-რეკონსტრუქცია-გასვლის (IRW) მაგალითად ვერ ჩაითვლება.

- დეკოლონიზაციის ოპერაციები ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომების დასრულების შემდეგ თვითმმართველობაზე გადასვლის ხელშესაწყობად იწყება (ნამიბია, აღმოსავლეთ თიმორი (თიმორ ლესტე)). ამ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ „კოლონიზატორი“ სახელმწიფო (სამხრეთ აფრიკა, ინდონეზია) გასვლაზე თანახმაა, საქმეს უმარტივებს ამ პროცესში შუამავალ მხარეს.

- დემოკრატიის აღდგენის ოპერაციების ამოცანა უკვე არსებული დემოკრატიის დაცვა ან დემოკრატიულად არჩეული, მაგრამ გაძევებული ხელმძღვანელის ხელისუფლებაში დაბრუნებაა (ჰაიტი, სიერა ლეონე). ასეთ დროს ხშირ შემთხვევაში უზურპატორები ძლიერ წინააღმდეგობას მიმართავენ; თუმცა, ლეგიტიმურად არჩეული (თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებით) ალტერნატივის არსებობა საქმეს გარკვეულწილად აიოლებს.

- მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციები ისეთი ჩარევაა, რომლის მიზანიც ცეცხლის შეწყვეტის ან სხვა სამშვიდობო შეთანხმების მიღწევის შემდეგ საომარი მდგომარეობიდან მშვიდობაზე გადასვლის ხელშეწყობაა (კამბოჯა, ელ სლვადორი, მოზამბიკი, ბურუნდი). ეს სამშვიდობო ოპერაციების *locus classicus*-სია, რასაც ზოგადად თან ახლავს ხოლმე სამშვიდობო ოპერაციები. მიღწეული სამშვიდობო შეთანხმება მნიშვნელოვნად ზრდის წარმატების მიღწევის შანსს, მაგრამ იმის გამო, რომ სამოქალაქო ომებში მხარეთა შორის ჩამოვარდნილი მშვიდობა ხშირ შემთხვევაში კონფლიქტს კი არ ასრულებს, არამედ მას ინტენსიურ პოლიტიკურ მეტოქეობად გარდაქმნის, შეთანხმების შემდგომი პერიოდი ხშირად ყველაზე მეტი საფრთხის შემცველია. 1990-იან წლებში ანგოლასა და რუანდაში მიღწეული შეთანხმებების კოლაფსმა მათ მხარდასაჭერად მივლენილი სამშვიდობო ოპერაციებიც (UNAVEM II, UNAMIR) გადაიყოლა. ამ მოვლენებიდან ომის შემდეგომი საერთაშორისო ჩარევის შესახებ ბევრი რამ შეიძლება ვისწავლოთ და მნიშვნელოვანწილად ვისწავლეთ კიდეც.

- ჰუმანიტარული ჩარევის ოპერაციები. ცივი ომის პერიოდისგან განსხვავებით, როდესაც ეს ოპერაციები ძირითადად უდიდესი ძალაუფლების მქონე ტირანების წინააღმდეგ ხორციელდებოდა (მაგ., ადი-ამინი უგანდაში), ახლა შიდა კონფლიქტების ან სამოქალაქო ომებისკენაა მიმართული და მათი მთავარი მიზანი მშვიდობიანი

მოსახლეობის კეთილდღეობაა (ბოსნია 1992-5, სომალი 1992-5). თუმცა ამ ოპერაციებს ხშირად ტირანიის წინააღმდეგ მიმართულადაც თვლიან, როგორც ეს კოსოვოსა (1999) და დარფურში (2007) მოხდა. (არსებობს ისეთი ჰუმანიტარული ჩარევები, რომლებიც სამშვიდობო ოპერაციები არ არის, მაგ. ოპერაცია „შვების ოპერაციები“ ერაყში 1991 წლის შემდეგ). ეს კონტექსტუალური ფუნქცია მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ზემოთ განხილული მშვიდობის ხელშეწყობის ოპერაციებისგან. იმ შემთხვევაში, როდესაც ოპერაციათა ამ ორი ტიპის გამიჯვნა ვერ მოხერხდა „ცუდი გაკვეთილი“ მივიღეთ ბოსნიაში (სრებრენიკის სისხლისღვრა) და სომალიში (აშშ-ს 18 რეინჯერის სიკვდილი). გაეროს მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაცია განახორციელეს იქ, სადაც სინამდვილეში ასეთი ოპერაცია საჭირო არ იყო. და პირიქით - როდესაც უშიშროების საბჭოს ყველაზე ძლიერმა წევრებმა რუანდას გენოციდის პირველივე კვირებში (1994) ზომების მიღებაზე უარი თქვეს, ამას გაეროს სამშვიდობო ოპერაციების მისიის დისკრედიტაცია მოჰყვა.

- რეჟიმის შეცვლის ოპერაციები ისეთი მთავრობის დამხობის ექსპლიციტური ძალისხმევაა, რომელიც საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას, განსაკუთრებით კი ყველაზე ძლევამოსილი შუამავლის ინტერესებს, საშიშროებას უქმნის (ავღანეთი, 2001, ერაყი, 2003). კონტექსტუალური ფუნქციის ძალიან მნიშვნელოვანი ცვლა მოხდა მაშინ, როდესაც სამშვიდობო ოპერაციები ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართულ ომში ჩაერთო. სუსტი და ხელმოცარული სახელმწიფოები ტერორისტების პოტენციურ თავშესაფრად განიხილება (აშშ, 2002). აშშ-ს თავდაცვის პოლიტიკის მოთხოვნები განივრცო და სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის პრიორიტეტულ საკითხად მასში დემოკრატიის იძულებითი დამყარება და „ნაციის შენების“ ოპერაციები შეიტანეს: „აშშ-ს სამხედრო მისიის ბირთვად“ „სტაბილურობა, უსაფრთხოება, გარდამავალი პერიოდისა და რეკონსტრუქციის ოპერაციები“ იქცა (აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტი, 2005).

ცხრილი 8.1 ჩარევა-რეკონსტრუქცია-გასვლა (IRW) 1989-2009

	ა) დამოუკი-დებლობა	(ბ) დემოკ-რატია	(გ) მშვიდობის ხელშეწყობა	(დ) ჰუმანი-ტარული	ე) თავდაცვა/ რეჟიმის ცვლილება
1989	ნამიბია		ნიკარაგუა[1]		
1990					
1991			ანგოლა ელ სალვადორი[1]		
1992			კამბოჯა მოზამბიკი	(ბოსნია (UNPROFOR))[2] (სომალი (UNITAF))[2]	
1993			რუანდა		
1994		ჰაიტი	გვატემალა[1]		
1995			ბოსნია (IFOR/ SFOR)		
1996					
1997					
1998					
1999	აღმოსავლეთ ტიმორი	სიერა-ლეონე[3]		კოსოვო	
2000					
2001					
2002					ავღანეთი
2003			კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (ზაირი) ლიბერია[1]		ერაყი
2004		ჰაიტი	ბურუნდი, კოტ-დ'ივუარი	სუდანი (დარფური)?	
2005			სუდანი (სამხრეთი)		
2007				სუდანი (დარფური)	

1. ცენტრალურ ამერიკაში, ნიკარაგუასა და ჰონდურასში გაეროს სადამკვირვებლო ჯგუფს (ONUCA) თავდაპირველად მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი არა-ინტერვენციის ხელშეკრულების განხორციელების კონტროლი ევალებოდა. მოგვიანებით მისი მანდატი გაფართოვდა და გადაწყდა, რომ მას ჩარევა-რეკონსტრუქცია-გასვლის როლი (IRW) უნდა შეესრულებინა. 1991 წელს შექმნილ, გაეროს სადამკვირვებლო მისიას ელ სალვადორში (ONUSAL) უნდა გაეკონტროლებინა ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების განხორციელება. მისი მანდატი 1992 წლის იანვრის სამშვიდობო ხელშეკრულების შემდეგ გაფართოვდა და დაეკისრა სრული ჩარევა-რეკონსტრუქცია-გასვლის როლის განხორციელება. 1994 წელს გაეროს ვერიფიკაციის მისია გვატემალაში (MINUGUA) ადამიანის უფლებათა დაცვის გაკონტროლებისა და ნდობის შენების მიზნით ჩააყენეს, მოგვიანებით მისი მანდატი გაფართოვდა და 1997 წლიდან მას უფრო ფართე სპექტრის სამშვიდობო ხელშეკრულებების განხორციელება დაეკისრა. 1999 წლის ივლისის ლუსაკას ხელშეკრულების შემდეგ სრულმასშტაბიანი ჩარევა-რეკონსტრუქცია-გასვლის ოპერაციები კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არ დაწყებულა 2003 წლამდე.

2. არც ბოსნია 1992-1995 და არც სომალი 1992-1995 წლები არ იყო ჩარევა-რეკონ-სტრუქცია-გასვლის ოპერაცია, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს ოპერაციები ფრჩხილებში მაინც არის აღნიშნული, რადგან მათ ხშირად სწორედ ასეთად მოიხსენიებენ ხოლმე. UN Protection Force-ის (UNPROFOR) პერიოდი ბოსნიაში წარუმატებელი აღმოჩნდა მაშინ, როდესაც გაეროს ოეპრაცია სომალიში (UNOSOM II) 1993 წლის მაისში შეიძლება განვიხილოთ როგორც პროტო ჩარევა-რეკონსტრუქცია-გასვლის მისია. იგივე შეიძლება ითქვას სამხედო სადამკვირვებლო ჯგუფ ECOWAS-ზე (ECO-MOG) ლიბერიაში 1990-1996 წლებში, რომელზეც ძალიან ბევრს და ხშირად წერენ ჰუმანიტარული ჩარევის შესახებ არსებულ ლიტერატურაში. ასევე არ არის შეტანილი 1996 წლის „აბუჯა II ხელშეკრულება“ ჩარლს ტეილორის 1997 წლის არჩევნებამდე, რადგან მას ტეილორის ძალაუფლებისთვის ბრძოლის გაგრძელებად განიხილავენ ხოლმე. ლიბერია ჩარევა-რეკონსტრუქცია-გასვლის ოპერაციების ფარგლებში 2003 წლიდან შევიდა მას შემდეგ, რაც (გ) კატეგორიის ფარგლებში ტეილორი მოლაპარაკებების შედეგად გადადგა.

3. 1996 წლის სეირა-ლეონეს წარმატებული არჩევნების მიუხედავად, 2000 წლის თებერ-ვლამდე საერთაშორისო ძალისხმევას არჩეული პრეზიდენტი კაბაჰის ხელისუფლებაში დასაბრუნებლად ნამდვილი ჩარევა-რეკონსტრუქცია-გასვლის ოპერაციის სახე არ მიუღია. UNAMSIL - გაეროს მისია სიერა ლეონეში 1999 წლის ოქტომბერში გაფართოვდა. 1994 წლის ჩარევა-რეკონსტრუქცია-გასვლის ოპერაცია არჩეული პრეზიდენტი არისტიდეს დასაბრუნებლად ჰაიტიში თავდაპირველად წარმატებულად მიაჩნდათ; შემდგომი არჩევნები 1995 წელს ჩატარდა. 2000 წლის სადავო არჩევნებმა საჭირო გახადა 2004 წელს ახალი ჩარევა-რეკონსტრუქცია-გასვლის ოპერაციის განხორციელება.

ვერ ვიტყვით, რომ ამ მახასიათებლებს შორის განსხვავებება მტკიცეა და წყალი არ გაუვა, მაგრამ ისინი უნდა დავიმახსოვროთ და ქვემოთ განხილული სამშვიდობო ოპერაციების წარმატებასა და ეფექტიანობაზე მსჯელობისას გავითვალისწინოთ.

და ბოლოს, დავრწმუნდებით, რომ არცერთი ეს შემთხვევა არაფრით ჰგავს 1945 წლის ომის შემდგომ კონტექსტს, სადაც კლასიკურ, სახელმწიფოთაშორის ომში გერმანიამ და იაპონიამ სრული მარცხი განიცადა და უპირობო კაპიტულაცია გამოაცხადა. 1945 წელს პოლიტიკური კონფლიქტი ბრძოლის ველზე წყდებოდა და რეკონსტრუქციის დაწყებამდე ბოლომდე სრულდებოდა. აქ განხილულ შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში ასეთი რამ არ მომხდარა. საზოგადოდ გავრცელებული აზრის მიუხედავად, ესენი არ არის „ომის-შემდგომი“ კონფლიქტები მათი პირდაპირი მნიშვნელობით. თუმცა, ეს შემთხვევითი არ არის, ეს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის დიდი შეიარაღებული კონფლიქტების ბუნების ტრანსფორმაციის შედეგია. ეს ისეთივე განსხვავებაა, მაგ., როგორიც ირლანდიის სამშვიდობო პროცესსა (სადაც კონფლიქტის ჯერ–ჯერობით დაუმარცხებელ მხარეებს შორის შერიგება შედგა) და სამხრეთ აფრიკის სამშვიდობო პროცესს შორის იყო (სადაც ძირითადი კონფლიქტი აპართეიდის შეუქცევადმა დამარცხებამ გადაწყვიტა). ალბათ ეს უკვე გასაგებს ხდის საწყის ეტაპზე რატომ წააწყდა სამშვიდობო პროცესი ჩრდილოეთ ირლანდიაში მეტ პრობლემებს ვიდრე სამხრეთ აფრიკაში, სადაც რეკონსტრუქციის პროცესი ხანგრძლივად და რთულად წარიმართა.

ომის შემდგომი დაგეგმვა

კონფლიქტების მოგვარების გადმოსახედიდან, 1989-2009 წლების ომის შემდგომი რეკონსტრუქციის პროცესზე შეგვიძლია ერთი რამ ცალსახადვთქვათ: : შეუძლებელია, ერთი საერთო მოდელი ითვალისწინებდეს სხვადასხვა ქვეყნების საჭიროებებს და ყველა ტიპის სიტუაციას ესადაგებოდეს. ყველაზე მნიშვნელოვან მოლაპარაკებებად ალბათ მაინც შიდა მხარეებს, ამომრჩეველსა და იმ მოსახლეობას შორის გამართული მოლაპარაკებები უნდა ჩაითვალოს, რომელზეც უშუალო გავლენას ახდენს რომელიმე მოცემული კონფლიქტი, თუმცა მათ ყოველთვის არ აქვთ სათანადო მხარდაჭერა კონფლიქტისადმი სენსიტიური საგარეო პოლიტიკის მხრიდან - როგორც ეს მეექვსე თავში განხილულ სომალის მაგალითზე გამოჩნდა. აქამდე გაეროს ამ მხრივ საკმარისი რესურსები არ გააჩნდა. გარდა ამისა, საყურადღებოა ისიც, რომ რომელიმე ერთი სახელმწიფოს ფარგლებში განხორციელებული ჩარევა, როგორც წესი, შუამავალი სახელმწიფოს პრიორიტეტებისა და მოკლევადიანი პოლიტიკური ინტერესების გავლენის ქვეშ ექცევა ხოლმე. ერთი მხრივ არსებობს დახმარებისა და კატასტროფული მდგომარეობების მართვის ფართო ინსტიტუციონალური ბაზა და დაგეგმარების სტრქუტურები, მეორე მხრივ კი გრძელვადიანი საერთაშორისო განვითარება; ორივეს განხორციელება სახელმწიფო ადმინისტრაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშია, მათ შორის გაეროსიც. მაგრამ როდესაც საერთაშორისო საზოგადოებამ პირველად განახორციელა ფართომასშტაბიანი, ომის შემდგომი ჩარევის, რეკონსტრუქციისა და გასვლის მისიები, მათ ეტაპებს შორის სიცარიელე იყო; აი, სწორედ აქ უნდა ჩართულიყო რეკონსტრუქციისა და მშვიდობის შენების მხარდაჭერის ოპერაციები. ევროპის ყოფილი კოლონიალური სამსახურები დაიხურა, ხოლო გაეროს მეურვეთა საბჭო კი ფაქტობრივად დაკონსერვდა (2005 წლის მსოფლიო სამიტზე გენერალურმა ასამბლეამ ამის ოფიციალურად გაფორმებაზე თანხმობა განაცხადა). გაეროს გენერალური მდივნის სიტყვებით, ამ მოვლენამ „გაეროს ინსტიტუციურ მექანიზმში სიცარიელე დატოვა“ ანუ

არ არსებობდა ის მექანიზმი, რომლითაც იგი „ქვეყნებს ომიდან ხანგრძლივ მშვიდობაზე გადასვლაში დახმარებას გაუწევდა“ (Annan, 2005; 114; see also Chesterman 2004a).

ერთ-ერთი მთავარი კატალიზატორი, რომელმაც ამ სიცარიელის ამოვსება დააჩქარა, 2003 წელს ერაყში ომის შემდგომი რეკონსტრუქციის ოპერაციების კატასტროფული წარუმატებლობა იყო. გადაწყვეტილებებს ძირითადად გარემოებებიდან გამომდინარე იღებდნენ; მაგ. შეიქმნა „გაერთიანებული სამეფოს კონფლიქტების შემდგომი რეკონსტრუქციის დანაყოფი“, რომლის მიზანიც „უცხოური და თანამეგობრობის სამსახურის“, თავდაცვის სამინისტროსა და საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის საქმიანობის კოორდინირება იყო (საყურადღებოა, რომ ასეთი რამ ერაყში შეჭრამდე მხოლოდ კონფლიქტის პრევენციისთვის ხდებოდა - იხ. მეხუთე თავი). 2010 წელს გადაწყდა, რომ კონფლიქტისა და ბუნებრივი კატასტროფების ზონებში იმუშავებდნენ FCO, MOD, DIFID-ის მიერ დაფინანსებული 1000 კაციანი „სამოქალაქო სტაბილიზაციის ჯგუფის“ ექსპერტები (800 სამოქალაქო პირი და 200 სახელმწიფო მოხელე). აშშ-ში ბუშის ადმინისტრაციამ სახელმწიფოს სათავეში მოსვლისთანავე „კლინტონის საპრეზიდენტო გადაწყვეტილების დირექტივა 56, კომპლექსური გადაუდებელი შემთხვევების სააგენტოთაშორისი გეგმა“ გააუქმა, რადგან ჩათვალა, რომ გაეროს ომის შემდგომი რეკონსტრუქციის გამოცდილებიდან ბევრს ვერაფერს ისწავლიდნენ. ალბათ ამიტომაც იყო 2003 წელს ერაყში პენტაგონიდან მართული „რეკონსტრუქციისა და ჰუმანიტარული დახმარების სამსახური“ ასეთი წარუმატებელი. შემდეგ ოპერაციების კოორდინირება „სააგენტოთაშორისო თანამშრომლობის ჯგუფს“ დაევალა, მაგრამ თავდაცვის დეპარტამენტის (USDOD) და საერთშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სამხედრო დაგეგმვის რესურსებს შორის არსებული დიდი სხვაობის გამო (თავდაცვის დეპარტამენტის პერსონალის საერთო რაოდენობა 1.3 მილიონს შეადგენდა, ხოლო „საერთაშორისო განვითარების სააგენტოსი” (USAID) კი მხოლოდ ათასს) ოპერაციის ჩატარება საკმაოდ რთული აღმოჩნდა. „რეკონსტრუქციისა და სტაბილიზაციის“ კოორდინატორის ახალი სამსახური 2004 წლის აგვისტოში შეიქმნა ; მისი ამოცანა ერთგვარი ესკიზის შექმნა იყო, რომლის მიხედვითაც დაახლოებით ოცდახუთი რისკის ქვეშ მყოფი ქვეყნის „კონფლიქტის შემდგომ“ გეგმებს შეიმუშავებდნენ; ამ სამსახურს ამავე დროს რეკონსტრუქციის სამი ოპერაციის კოორდინირებულად წარმართვის უნარი უნდა ჰქონოდა, რომლიდანაც თითოეული „ხუთიდან შვიდ წლამდე“ გაგრძელდებოდა. საქმეში ჩართული იყო მსოფლიო ბანკიც, რომლის ინვესტიციებიც „კონფლიქტის შემდგომი პერიოდის“ ქვეყნებში 1998 წლის შემდეგ ათი წლის განმავლობაში 16 პროცენტიდან 20-25 პროცენტამდე გაიზარდა. შეშფოთებას იწვევდა ის გრანდიოზული და მასშტაბური სახელმწიფო გეგმები, რომელთა მიზანიც სამიზნე ქვეყნების „სოციალური ქსოვილის შეცვლა“ იყო, რაც ძლევამოსილი სახელმწიფოების ინტერესების გატარებასთან ასოცირდებოდა. ხოლო დასავლურ (განსაკუთრებით კი აშშ-ს) ბიზნესებს კი უზარმაზარ პოტენციურ კონტრაქტებს ჰპირდებოდა (Naomi Klein, The Guardian, 6 April, 2005).

საერთაშორისო დონეზე დიდი ძალისხმევა მიმართეს „მშვიდობის შენებაში არსებული სიცარიელის“ შესავსებად. „გაეროს მშვიდობის დაცვის დეპარტამენტი“ (Department for Peacekeeping Operations (DPKO)) ცდილობდა „მშვიდობის შენების ოპერაციებში“ საველე სამუშაოები ჩაერთო და დაედგინა ახალი კულმინაციური დოქტრინის ფარგლებში (საუბარი გვქონდა მეექვსე თავში) რა როლს შეასრულებდა მშვიდობის დაცვა სტაბილიზაციის ფაზაში; შეიქმნა გაეროს მშვიდობის შენების კომისია, რომლის შექმნის ინიციატივა „საფრთხის, გამოწვევებისა და ცვლილებების შესახებ გაეროს ანგარიშში“ წამოაყენეს (United Nations

High Level Panel, 2004) და 2005 წლის მსოფლიო სამიტზე მიიღეს (UN General Assembly, 2005, paragraph 97), რაზეც საუბარი გვექნება მეცხრე თავში.

ამ წიგნის დაწერის დროს ჯერ კიდევ ვერ თანხმდებიან იმაზე თუ რამდენად ქმედუნარიანი და ეფექტურია მშვიდობის შენების კომისიის საქმიანობა (Ponzio, 2007). ალექს ბელამისა და პოლ უილიამსის აზრით, „ჯერ კიდევ ძალიან ადრეა რამის მტკიცება „მშვიდობის შენების კომისიის“ საქმიანობის ეფექტურობის შესახებ ... რამდენად გააძლიერა მან გაეროს უნარი ხელი შეუწყოს თვითკმარ, სტაბილურ მშვიდობაზე გადასვლას,“ თუმცა მას უდავოდ აქვს იმ გრძელვადიანი მისიების დახმარების პოტენციალი, რომლებიც სამწუხაროდ, ამჟამად „რესურსებისნაკლებობას“ განიცდიან; ასევე აქვს უნარი შეავსოს ის სიცარიელე, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს უშიშროებაზე კონცენტრირებასა და მსოფლიო ბანკის ეკონომიკურ ფაქტორებზე კონცენტრირებას შორის არსებობს (2010: 253-4). როლანდ პარისი (2009) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს „მშვიდობის შენების კომისიის“ მიერ ორგანიზებულ, ქვეყნის შიგნით გამართულ შეხვედრებს, რომლებსაც მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებიან, რადგან თვლის, რომ ამგვარი შეხვედრები კონკრეტული ქვეყნის საჭიროებების გამოვლენისა და მათი ადაპტირების საშუალებას იძლევა. კომისია მზად არის ითანამშრომლოს იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც ჩართული არიან მშვიდობის შენების საქმეში, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოებასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ქალთა ორგანიზაციებსა და კერძო სექტორთნ. , (UN Document PBC/2/BDI/4, November 27, 21, ციტირებულია პარიზთან, 2009:72). კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით ეს მიდგომა იმედისმომცემ პერსპექტივად ჩაითვლება, რაზეც მე-9თავში უფრო დეტალურად ვისაუბრებთ. თუმცა პარისი ზოგადად ოპტიმისტურად განწყობილი არ არის. „მშვიდობის შენების კომისია“ არსებული ბიუჯეტიდან ფინანსდება; არ არსებობს დაფინანსების გარე წყაროები. შესაძლებელია, „მშვიდობის შენების კომისიასა“ და „გაეროს მშვიდობის დაცვის დეპარტამენტს“ შორის არსებულმა ინსტიტუციურმა შუღლმა ომის შემდგომ დაუყოვნებელ სტაბილიზაციასა და მშვიდობის შენების უფრო გრძელვადიან პერსპექტივას შორის ურთიერთობა წაახდინოს. „მშვიდობის შენების კომისია“ ნაკლები ავტორიტეტით სარგებლობს გაეროს გენერალურ სამდივნოში, სადაც მას მხოლოდ თათბირების მოწვევის და რაღაც ამორფული „პრიორიტეტის“ დასახვის უფლებამოსილება გააჩნია, რომლებსაც „ჩვეულებრივ“ გარკვეული „მნიშვნელობა“ აქვს მონაწილეთათვის. პარისი შიშობს, რომ იმის გამო, რომ „მშვიდობის შენების კომისია“ კონსენსუსის საფუძველზე მუშაობს, იგი ალბათ რთულ არჩევანზე ხშირად უარს იტყვის და „ყველაზე დაბალ საერთო დენომინატორებზე“ შეჩერდება, ხოლო აქტორები კი განაგრძობენ იმის კეთებას, რასაც ისედაც აკეთებდნენ. მოკლედ, „მშვიდობის შენების კომისია“ ძირითადად „განხილვის სამსჯავროა, რომელსაც აღმასრულებლის ფუნქციები არ გააჩნია .“

> *მთავარი გამოწვევაა ... ბალანსის პოვნა ერთი მხრივ, საერთაშორისო მშვიდობის შენების სისტემის არსებული სტრუქტურის მოქნილობასა და მეორე მხრივ კი გარკვეულ იერარქიას შორის ... მშვიდობის შენების კომისია, მისი არსებული ფორმით , ამ ბალანსს ვერ იცავს. იგი ცდება, როდესაც მშვიდობის შენების არსებული ქსელის თვისებების შენარჩუნებას ცდილობს და არ აქვს უნარი რთული არჩევანი გააკეთოს სხვადასხვა მიდგომებსა და ამოცანებს შორის. (იქვე: 74-5).*

ამ საკითხს სიღრმისეულად მე-9 თავში განვიხილავთ.

ომის შემდგომი საერთაშორისო რეკონსტრუქციის გეგმა: დილემები და კომპრომისები

ახლა კი შემოგთავაზებთ ერთი შეხედვით მეტისმეტად მყარ სქემას, რომელიც „ჩარევის, რეკონსტრუქციისა და გასვლის“ ოპერაციების რეკონსტრუქციულ სექტორებს (უსაფრთხოება, კანონი და წესრიგი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ/კულტურული ფაქტორები) და დროებით ფაზებს (ჩარევა, სტაბილიზაცია, ნორმალიზაცია) აერთიანებს; ამგვარად წარმოგიდგენთ იმ გრანდიოზულ საქმეს, რომელსაც შუამდგომლები ეჭიდებიან და იმ დაძაბულობასა და კომპრომისებსაც გაჩვენებთ, რომლებიც ამ პროცესებს ახლავს თან.. უკანსკნელ ხანს ომისშემდგომ სამშვიდობო ჩარევას ხშირად მშვიდობის შენებასთან (Jarstad and Sisk, 2008) ან სახელმწიფოს შენებასთნ დაკავშირებულ (Rothchild and Roeder, 2005; Paris and Sisk, 2009) დილემას უწოდებენ ხოლმე. ხშირ შემთხვევაში ეს ორი ერთმანეთს არ გამორიცხავს; როგორც წესი, ავტორები „ცოტა-ცოტა ორივეს“ მიიჩნევენ საჭიროდ; მაგ., ანა ჯარსტადი თვლის, რომ „გრძელვადიან პერსპექტივაში საქმე ის კი არ არის რომელს ავირჩევთ - მშვიდობასა თუ დემოკრატიას, არამედ ის თუ რა ზომებს მივიღებთ მშვიდობისა დადემოკრატიის დასამყარებლად, როდის და როგორ, რა თანმიმდევრობით და რა კომბინაციით“ (Jarstad and Sisk, 2008:35. ემფაზა ეკუთვნის ავტორს).

ალბათ სჯობს მათ აშკარა წინააღმდეგობები, გარდაუვალი დაძაბულობები და უხერხული კომპრომისები ვუწოდოთ, რომლებსაც ხშირად პარადოქსული შედეგები მოსდევთ ხოლმე. დილემის ექსპლიციტური ანალიზი აუცილებლად უნდა ჩატარდეს სახელმწიფოს შენებისა და მშვიდობის შენებისკენ მიმართული „ჩარევა-რეკონსტრუქცია-გასვლის“ ოპერაციების დაწყებამდე და მათი მიმდინარეობისასაც (Paris and Sisk, 2009:310). ამგვარად შესაძლებელი იქნება მოსალოდნელი გამოწვევის მასშტაბების დადგენა, შემცირდება არარეალისტური შედეგების მოლოდინი და მოქმედებაც ზომიერი იქნება. ასეთი რამ სრულ თანხვედრაშია ამ წიგნის პირველ გამოცემაში გამოთქმულ თვალსაზრისთან, რომლის თანახმადაც ამ სტადიაზე მყოფი კონფლიქტი ერთობ კომპლექსური ხასიათისაა. კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით ამ დაძაბულობათა დიდი ნაწილი დილემა (ორი ერთმანეთთან შეუთავსებელი ალტერნატივა, რომლიდანაც არც ერთი არ არის სასურველი) კი არა, ურთიერთდამოკიდებული (ერთი არ არსებობს მეორის გარეშე) შესაძლებლობის კომბინაციაა, რომლებიც ერთმანეთს ძაბავს (ერთი ასუსტებს მეორეს). ინტენსიურ კონფლიქტებში ასეთი რამ რთული არჩევანისთვის არის დამახასიათებელი. . მაგ., ასე ხდება ხოლმე „ჩარევა-რეკონსტრუქციისა და გასვლის“ ოპერაციების ცენტრალური ელემენტის - ჩარევის - შემთხვევაში, რადგან მხოლოდ ძლიერი ერევა სუსტის საქმეში, გარე დახმარება საჭიროა, მაგრამ ამავე დროს ეწინააღმდეგება დამოუკიდებელი და მდგრადი ადგილობრივი სტრქუტურის აშენებას. იგი ასევე ეხება ცენტრალურ ურთიერთობასაც, სადაც მოკლევადიანი ამოცანა პირდაპირი ძალადობის დასრულება, ომში ხელახალი ჩართვის აღკვეთა და უფრო მდგრადი და გრძელვადიანი მშვიდობის აშენებაა.

ომის შემდგომი რეკონსტრუქცია ორ საქმეს აკეთებს: პირველი - „უარყოფითი“ ამოცანა -წყვეტს ძალადობას და აღკვეთს ომის თავიდან გაჩაღების შესაძლებლობას და მეორე - „პოზიტიური“ ამოცანა - ამყარებს თვითკმარ მშვიდობას, რომელიც თავად უზრუნველყოფს სტაბილურობას. ბრაჰიმის ანგარიშში წერია:

> *ისტორიამ გვაჩვენა, რომ კომპლექსურ ოპერაციებში მშვიდობის დამცველები და მშვიდობის მშენებლები განუყოფელი პარტნიორები არიან; შესაძლებელია, მშვიდობის მშენებლებმა თავიანთი საქმიანობა მშვიდობის დამცველების დახმარების გარეშე ვერ წარმართონ, მაგრამ ვერც მშვიდობის დამცველები შეძლებენ მისი მშნებლების გარეშე წარმატების მიღწევას.*

ეს კი პოზიტიური და ნეგატიური ამოცანების ურთიერთდამოკიდებულებაზე მეტყველებს. თუმცა, ისინი ამავდროულად ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ნეგატიური მიზნის თანმდევი ლოგიკა წინააღმდეგობაშია პოზიტიური მიზნის მნიშვნელოვან ელემენტთან; პოზიტიური მიზნის ამოსავალი დებულებები კი ნეგატიური მიზნის გადაუდებელ, მოკლევადიან პრიორიტეტებს ეწინააღმდეგება. ომის შეწყვეტა ან მისი ხელახალი გაჩაღების აღკვეთა არახელსაყრელ კომპრომისებს საჭიროებს, რაც საფრთხეს უქმნის მდგრადი მშვიდობის გრძელვადიან მიზანს - მაგ., შესაძლოა საჭირო გახდეს ძალაუფლების წარმომადგენლებთან გარიგებაზე წასვლა ან ოპერაციაში ადგილობრივი მილიციის ძალების ჩართვა. და პირიქით - იმ მოსაზრებით განხორციელებულმა ზომებმა, რომ გრძელვადიან მშვიდობიან რეკონსტრუქციას ყველაზე უკეთ საბაზრო დემოკრატია უწყობს ხელს, შესაძლოა ომის განახლების საფრთხე წარმოშვას. მმართველობის დონეზე, შესაძლოა, კონფლიქტურმა ელექტორალურმა პროცესებმა პოლიტიკური უთანხმოება გაამწვავოს და „მცდარი“ პოლიტიკოსების წისქვილზე დაასხას წყალი. ეკონომიკური კუთხით, შესაძლოა, თავისუფალი ბაზრის კაპიტალისტურმა და კონკურენტულმა ბუნებამ შიდა არეულობის საფრთხე წარმოშვას, ხოლო გარედან თავს მოხვეულმა „ პირობებმა“ “ კი არეულობას მისცეს ბიძგი. სოციალურ ფრონტზე კი შესაძლოა წარმოიშვას დაძაბულობა სტაბილურობასა და სამართლიანობას შორის. ორივე - დემოკრატიაცა და საბაზრო ეკონომიკაც თავიანთი ბუნებით კონფლიქტური პროცესებია, რომლებმაც შესაძლოა, გრძელვადიან პერსპექტივაში მეტ პოლიტიკურ სტაბილურობამდე მიგვიყვანოს, მაგრამ როგორც ხშირად აღნიშნავენ, მათ გარდამავალ ფაზაში პოლიტიკური არასტაბილურობის გამწვავებაც შეუძლიათ, განსაკუთრებით იქ, სადაც ამ მხრივ ნაკლები გამოცდილება არსებობს.

მოკლედ, დიდი „ჩარევა-რეკონსტრუქციისა და გასვლის“ ოპერაციები, იქნება ეს მშვიდობის შენების ფართო მიზნებით თუ უფრო ფოკუსირებული, სახელმწიფოს შენების პრიორიტეტებით მოტივირებული, ურთულესი განსახორციელებელია. ახლა განხილვის მთავარ თემას დავუბრუნდეთ და პირველ რიგში აღვნიშნოთ, რომ ომის შემდგომი რეკონსტრუქციის მშფოთვარე პირობებში სახელმწიფოს შენებისა და მშვიდობის შენების კონცეფციები ერთმანეთთან წინააღმდეგობაში იმყოფება (რაც მე-6 თავში განხილული სომალის მაგალითიდან თვალნათლივ ჩანს), მაგრამ ამავე დროს ერთმანეთზე დამოკიდებულიცაა. ქმედუნარიანი სამთავრობო ინსტიტუტების გარეშე მშვიდობის სიღრმისეული შენება არამდგრადი პროცესია; ამავე დროსამ სამთავრობო ინსტიტუტების ეფექტური საქმიანობისთვის საჭიროა ისინი ლეგიტიმური და ანგარიშვალდებული იყვნენ, რაც თავის მხრივ კვლავ ადასტურებს ფართომასშტაბიანი მშვიდობის შენებისა და შერიგების აუცილებლობას.



წყარო: რამსბოტამი 2000, 2004; წყობილი პარადიგმებისთვის იხ. დუგანი, 1996, გვ. 9-20; და ლედერახი, 1997, გვ. 73-85

ნახაზი 8.1 ჩარევა-რეკონსტრუქცია-გასვლის ოპერაციები. წყობილი ფაზები, წყობილი ამოცანები და გასვლა.

ნახაზი 8.1. და ფოკუსი 8.2. ცხადყოფს თუ რა დიდი ამოცანების წინაშე დგას ომის შემდგომი მშვიდობის შენებისა და სახელმწიფოს შენების ოპერაციები. 8.1 ნახაზზე ფაზები თანმიმდევრულად არ არის მოცემული, ისინი „ჩაბუდებულია.“ ანუ, ომის წინა პრევენციისაგან განსხვავებით (იხ. მე-5 თავი), ომის შემდგომი მშვიდობის ოპერაციების ამოცანები ერთდროულად უნდა განხორციელდეს (გრძელვადიან მშვიდობის შენებას და საშუალო ვადაში გაწერილ სახელმწიფოს შენებას თან ახლავს მოკლევადიანი მშვიდობის დამყარების სამუშაოები; (ყოველ შემთხვევაში, იმედია, რომ მოკლევადიანი იქნება)). ფოკუსი 8.2-ის მიზანი რამე ზუსტი შაბლონის შემოთავაზება არ არის; მასში რეზუმირებული სახითაა მოცემული ბოლო ოცი წლის განმავლობაში განხორციელებული „ჩარევა-რეკონსტრუქციისა და გასვლის“ ოპერაციები, რომლებიც დღემდე გრძელდება. პარისი და სისკი „დილემების ანალიზში“ აღნიშნავენ:

> *მისიის დაგეგმვის ტიპიური მიდგომის თანახმად რამდენიმე ნაბიჯის დაზუსტებაა საჭირო; ეს ნაბიჯები კონკრეტულმა აქტორებმა, კონკრეტულ დროს უნდა გადადგან; ეს დრო წინასწარ, კონკრეტული განრიგით უნდა განისაზღვროს ან გარკვეული წინაპირობების მიხედვით უნდა დაიგეგმოს; არსებული ინსტრუმენტები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში უნდა იქნას გამოყენებული, სწორედ ამ ძირითად დებულებას ეფუძნება. ამისგან განსხვავებით, დილემის ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ სახელმწიფოს შენების მრავალი ელემენტი ერთმანეთს ადვილად არ ეხამება და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის საპირისპიროდ მოქმედებს. ფაქტობრივად, ზოგიერთი ეს ელემენტი ისე მოქმედებს ერთმანეთზე, რომ ომით გახლეჩილ ქვეყნებში ლეგიტიმური, ქმედუნარიანი სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნას აბრკოლებს კიდეც. (2009:310).*

ამ თვალსაზრისს სავსებით ვიზიარებთ. მაგრამ მას შემდეგ, რაც 1992 წელს გაეროს გენერალურმა მდივანმა ომის შემდგომი მშვიდობის შენებისთვის საჭირო ამოცანები დასახა, ფაზური, დარგობრივი (სექტორული) მიდგომის უპირატესობა ცალსახად გამოიკვეთა. დასახულ ამოცანათა შორის იყო:

> *საომარ მდგომარეობაში მყოფი მხარეების განიარაღება და წესრიგის აღდგენა, იარაღზე მეთვალყურეობა და მისი განადგურება, ლტოლვილების დაბრუნება, უშიშროების პერსონალის ტრეინინგი და საკონსულტაციო მხარდაჭერა, არჩევნების მონიტორინგი, ადამიანის უფლებების გაძლიერებული დაცვა, სამთავრობო ინსტიტუტების რეფორმირება ან განმტკიცება და პოლიტიკური ჩართულობის ფორმალური და არაფორმალური პროცესების ხელშეწყობა. (Boutros-Ghali, 1992:32).*

1997 წელს განსახორციელებელ ამოცანათა შორის იყო „სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა ან განმტკიცება, არჩევნების მონიტორინგი, ადამიანის უფლებების დაცვა, რეინტეგრაციისა და რეაბილიტაციის პროგრამების განხორციელება და განვითარებისთვის საჭირო პირობების შექმნა“ (Annan, 1997), რაც გაეროს მისიების შემადგენლობაზეც აისახა. მაგ., 1990-იანი წლების დასაწყისში UNTAC -ს კამბოჯაში უნდა შეესრულებინა ყველა ზემოთ ხსენებული ამოცანა მაშინ, როცა კონფლიქტის მხარეები ჯერ კიდევ არ იყვნენ შერიგებულები - წითელი ქმერები მშვიდობის შენების პროცესს არჩევნებამდე გამოეთიშა; ეს ამოცანები ოთხ ეტაპად უნდა განხორციელებულიყო - მისია 1992 წლის მარტში უნდა ჩართულიყო პროცესში, 1993 წლის სექტემბერში კი ქვეყნიდან გასულიყო (იხ. ფოკუსი 8.1). პარისისა და სისკის მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ „მესამე თაობის“ სამშვიდობო ოპერაციები განვითარდა, თავდაპირველი შაბლონის ფარგლებს გასცდა და კომპლექსური სახე მიიღო, ეტაპობრივი, დარგობრივი (სექტორული) მიდგომა (ამა თუ იმ ფორმით) კვლავ „მისიის დაგეგმვის ტიპიურ მიდგომად“ რჩება.

8.2 ფოკუსში მოცემული ფაზები და სექტორები ძირითადი ამოცანების მიმოხილვის შესაძლებლობას გვაძლევს. ფაზა 1: (ჩარევა) აქცენტი კეთდება ნეგატიურ და პოზიტიურ პრიორიტეტებს შორის მყისიერ კომპრომისებზე; ამ დროს უსაფრთხოება, კანონი და წესრიგი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია. ფაზა 2 (სტაბილიზაცია) იწყება იმავე დროს; ამ დროს მნიშვნელოვანია პოლიტიკური სტაბილურობა და სამთავრობო სექტორის გამართულობა. შემოგთავაზებთ პოლიტიკური სტაბილურობის მისაღწევად საჭირო ურთიერთდაკავშირებულ მოთხოვნებს და იმ კრიტიკულ მნიშვნელობას, რომელსაც სამთავრობო სექტორი ასრულებს ასეთ დროს. ეტაპი 3 (ნორმალიზაცია) იზრდება ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული სექტორების შეფარდებითი მნიშვნელობა. საყურადღებოა რა იგულისხმება თავად „ნორმალიზაციაში“. ამ დროს თავს იჩენს ხოლმე უამრავი დილემა და საჭირო ხდება კომპრომისზე წასვლა, რის გამოც კონფლიქტოლოგები ასეთი ჩარევების მართებულობასა და უამრავ საკითხთან დაკავშირებით ვერ თანხმდებიან ხოლმე.

ფოკუსი 8.1. გაეროს გარდამავალი პერიოდის ხელისუფლების გეგმის კომპონენტები კამბოჯაში

1. სამხედრო კომპონენტი.ამტკიცებს უცხოური ძალების გაყვანას; მონიტორინგს უწევს ცეცხლის შეწყვეტის დარღვევის შემთხვევებს; ხელმძღვანელობს დროებითი თავშესაფრების მშენებლობასა და მხარეების განიარაღების პროცესს; ეხმარება განნაღმვით სამუშაოებში.

2. სამოქალაქო პოლიციის კომპონენტი. ზედამხედველობას უწევს ადგილობრივ სამოქალაქო პოლიციას; ტრეინინგი;

3. ადამიანის უფლებათა დაცვის კომპონენეტი. უზრუნველყოფს უმაღლესი ეროვნული საბჭოს მხრიდან ადამიანის უფლებათა კონვენციის ხელმოწერას ; ზედმახედველობას უწევს ადამიანის უფლებათა დაცვას; იწყებს საგანმანათლებლო და ტრეინინგ პროგრამებს.

4. სამოქალაქო ადმინისტრაციის კომპონენტი: არჩევნების ნეიტრალურ გარემოში ჩატარების მიზნით ზედამხედველობას უწევს ადმინისტრაციასხუთი მიმართულებით - საერთაშორისო ურთიერთობები, სახელმწიფოთავდაცვა, ფინანსები, საზოგადოებრივი უსაფრთხოება, ინფორმაცია.

5. ელექტორატის კომპონენტი. დემოგრაფიული აღწერის ჩატარება; ამომრჩეველის დარეგისტრირება და ინფორმირება; საარჩევნო კანონპროექტის შექმნა; საარჩევნო პროცესის ზედამხედველობა და დამტკიცება.

6. რეპატრიაციის კომპონენტი. 360 000 ლტოლვილის სამშობლოში დაბრუნება;

7. რეაბილიტაციის კომპონენტი. გადაუდებელი სურსათით, ჯანმრთელობის დაცვითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფა; ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოების დაწყება; სოფლებში განვითარების სამუშაოების დაწყება;

ჩამოთვლილთა გარდა არსებობდა საინფორმაციო დანაყოფიც

***წყარო:* გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1996; 447-84**

ფოკუსი 8.2 ომის შემდგომი რეკონსტრუქცია/გასვლის მატრიცა

ომის შემდგომი რეკონსტრუქციის ეტაპები მასპინძელ ქვეყანაში

სექტორი ა უსაფრთხოება

ფაზა 1. შეიარაღებული დანაყოფების გასაკონტროლებლად საჭიროა საერთაშორისო ძალების ჩართვა; განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის (DDR) პროცესის ზედმახედველობა; ეროვნული არმიის რეკონსტრუქცია; განნაღმვის დაწყება;

ფაზა 2. მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფი ეროვნული შეიარაღებული ძალები, რომლებიც მოწინააღმდეგის ძალებზე ძლიერია.

ფაზა 3. პოლიტიკის დემილიტარიზაცია; საზოგადოებრივი უსაფრთხოება; ძალადობის კულტურის ტრანსფორმაცია.

სექტორი ბ. კანონი და წესრიგი

ფაზა 1. სასამართლოების საერთაშორისო კონტროლი და ა.შ. მთავრობის გათავისუფლება ორგანიზებული კრიმინალის წნეხისგან; სამოქალაქო პოლიციის მომზადება; ადამიანის უფლებების ხელშეწყობა/ დანაშაულის დასჯა.

ფაზა 2.ადგილობრივი ძალების გამოყენებით, კანონის ფარგლებში წესრიგის მიუკერძოებელი დაცვა .

ფაზა 3. არაპოლიტიზირებული სასამართლო და პოლიცია; ინდივიდუალური და უმცირესობათა უფლებების პატივისცემა; ორგანიზებული დანაშაულის შემცირება;

სექტორი გ. მთავრობა

ფაზა 1. საერთაშორისო დაკვირვების ფონზე ახალი კონსტიტუციის, საარჩევნო კანონების და ა.შ.მიღება; მუქარის აღკვეთა;

ფაზა 2. გადასახადების საკმარისი რაოდენობით ამოღება და სახელმწიფო ბიუჯეტის შექმნა; გონივრული წარმომადგენლობითი მთავრობები ...

ფაზა 3. დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა; ჭეშმარიტად პოლიტიკური საზოგადოების ბაზაზე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება; ადგილობრივი პოლიტიკის სახელმწიფო პოლიტიკაში ინტეგრირება.

სექსტორი დ ეკონომიკა

ფაზა 1. საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა; ძირითადი მომსახურებების აღდგენა; სპოილერების მხრიდან მოძრავი რესურსების ექსპლუატაციის აღკვეთა.

ფაზა 2. ოფიციალური ეკონომიკიდან შემოსული თანხა საკმარისია ძირითადი მომსახურებების უზრუნველსაყოფად; ყოფილ სამხედრო პირთა ხელახალი დასაქმების უზრუნველყოფა; გაუმჯობესებული მომავლის პერსპექტივა (განსაკუთრებით დასაქმების კუთხით).

ფაზა 3. განვითარების ხელშეწყობა ნებისმიერი წარმომავლობის მოქალაქის გრძელვადიანი ინტერესების გათვალისწინებით.

სექტორი ე.

ფაზა 1. თავდაპირველი უნდობლობის დაძლევა/მედიის მონიტორინგი; ყველაზე დაუცველი მოსახლეობის საერთაშორისო დაცვა; ლტოლვილების დაბრუნება;

ფაზა 2. მშვიდობისა და სამართლიანობის კონფლიქტური პრიორიტეტების მართვა; პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მედია;

ფაზა 3. სოციალური დანაყოფების დეპოლიტიზაცია; ფსიქოლოგიური ჭრილობების მოშუშება; გენდერული თანასწორობის დამყარებისკენ სვლა; გრძელვადიანი შერიგებისთვის საჭირო განათლების უზრუნველყოფა.

საერთაშორისო ჩარევის გარდამავალი პერიოდები

ფაზა 1. სამშვიდობო პროცესის პირდაპირი, კულტურულად სენსიტიური მხარდაჭერა;

ფაზა 2. ეტაპობრივი გადასვლა ადგილობრივ/სამოქალაქო კონტროლზე ზედმეტი ინტერფერენციის/ უგულვებელყოფის გარეშე.

ფაზა 3. თანამშრომლობაზე ორიენტირებულ და თანასწორ რეგიონალურ/გლობალურ სტრუქტურებში ინტეგრაცია

ფაზა 1. ჩარევა

ყველა სექტორის პირველი ეტაპის ამოცანების ერთობლიობა ერთი თვალის გადავლებითაც გვაჩვენებს რა უზარმაზარ მიზნებს ისახავს ჩარევის პირველი ეტაპი:

> *შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება; განიარაღება, დემობილიზაცია, რეინტეგრაციის მეთვალყურეობა; ახალი ეროვნული შეიარაღებული ძალების რესტრუქტურიზაცია და ინტეგრაცია; განნაღმვითი სამუშაოების დაწყება; სასამართლოებისა და ციხეების აღდგენა; ორგანიზებული დანაშაულის აღმოფხვრა; პოლიციის მომზადება; ადამიანის უფლებების დაცვა და ამ უფლებების ხელყოფის დასჯა; ახალი კონსტიტუციის მიღების, არჩევნების მსვლელობის და სამოქალაქო ადმინისტრაციის რეკონსტრუქციის ზედამხედველობა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით; მუქარის აღკვეთა; ჰუმანიტარული დახმარების გაწევა; ძირითადი სერვისების აღდგენა; სპოილერების მიერ მოძრავი პირველადი რესურსების ექსპლუატაციის აღკვეთა; ჯგუფებს შორის თავდაპირველი უნდობლობის დაძლევა; მედიის მონიტორინგი და მისი სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობის მიზნით გამოყენება; დაუცველი მოსახლეობის დაცვა; დევნილების დაბრუნების პროცესის ზედამხედველობა.*

თვალნათლივ ჩანს, რომ ინტერვენციის შემდგომი ფაზის ნეგატიურ ამოცანათა შორის უსაფრთხოება (მშვიდობის დაცვა) და ელიტური მოლაპარაკებები (მშვიდობის დამყარება) დომინირებს, რაც ომის ხელახალი გაჩაღების აღკვეთას ემსახურება . გარდამავალი ეტაპის დაწყება საჭიროა პირველივე ფაზიდან დაიწყოს, , რომელიც აღდგენით სამუშაოებს მოიცავს და გასტანს მეორე ფაზამდე,რაც პოლიტიკური სტაბილურობის აღდგენას გულისხმობს. პირველი ეტაპის გამოწვევები სამი ძირითადი თვისებით ხასიათდება.

პირველი არის ის, რომ ფაქტობრივად კონფლიქტი გრძელდება. არც ერთ დაპირისპირებულ მხარეს სამხედრო გამარჯვებისთვის არ მიუღწევია; გადარჩენილი და ჯერ არ დამარცხებული მხარეები ძველი პოლიტიკური მიზნების მიღწევას კვლავ ცდილობენ. ამ წიგნის პირველ გამოცემაში ამ ფენომენს „შებრუნებულ კლაუზევიცს“ ვუწოდებდით, რადგან ამ თვალსაზრისით ასეთი მშვიდობა ომის „დამატებითი საშუალებებით“ გაგრძელებას ნიშნავს.[2]იგივე აზრს იზიარებს კონფლიქტების მოგვარების დარგიც. როდესაც ომის დასრულების მიზეზი სამშვიდობო პროცესის დაწყებაა, კონფლიქტის ჯერ არ დამარცხებული მხარეები უნდა დავარწმუნოთ იმაში, რომ მათი საწყისი პოლიტიკური მიზნები, რომლებიც კვლავაც ცოცხლობენ, არაძალადობრივი საშუალებებით უკეთ მოგვარდება; აღარ არის საჭირო ძალადობის გაგრძელება ან მისი ხელახალი დაწყება. იქ, სადაც ძალაუფლებისათვის ბრძოლა სამხედრო გზებით გვარდებოდა (მაგ., კოსოვოში, ავღანეთსა და ერაყში), კონფლიქტის გადარჩენილი მხარეები ომის შემდგომი გავლენის მოსაპოვებლად მეტოქეობას განაგრძობენ, რეკონსტრუქციის პროცესში კი დამატებითი აქტორები და ქვეაქტორები ჩნდებიან, რაც კიდევ მეტად ართულებს სიტუაციას. გრენიერი და დოდელინი ელ სალვადორში განვითარებულ მოვლენებზე დაყრდნობით მშვიდობის დაცვასა და ომის შემდგომ რეკონსტრუქციას „ბაზარს“ უწოდებენ, სადაც გარიგებები ხდება და ძალადობის შეწყვეტის სანაცვლოდ გარკვეულ პრივილეგიებს ითხოვენ, მაგ., პოლიტიკურ შესაძლებლობებს ან ეკონომიკურ უპირატესობას (Grenier and Daudelin, 1995:350). ომის შემდგომი ინტერვენციის პირველ ფაზაში მთავარ როლს ჩართული მხარეები ასრულებენ; მათ ისეთი სტიმულების გაჩენა უნდა უზრუნველყონ, რომელიც ძალადობის შეწყვეტას უზრუნველყოფს და ქმნის იმას, რასაც გაეროს გენერალურმა მდივანმა ნეგატიური და პოზიტიური სტიმულები უწოდა (Annan, 1997). ასეთი რამ გაეროს „ჩარევა - რეკონსტრუქცია - გაყვანის“ შემთხვევებში არაერთხელ

მომხდარა.ასე მოხდა სამხრეთ აფრიკის ადმინისტრაციის, „სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციების“ ლიდერების და 1989 წლის ნამიბიის არჩევნების შემთხვევაში. ასე მოხდა ავღანეთში 2001 წლის ნოემბრის ბონის მოლაპარაკებების დროს, 2003 წლის ნოემბრის შემდეგ ერაყში, სადაც სუვერენიტეტის გადაცემის პროცესის სამზადისში ჩართული იყო ყველა ლეგიტიმური მხარე. ბრაჰიმის ანგარიშის თანახმად (Brahimi, 2000) „გაეროს ოპერაციები არ მიმდინარეობდა პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში; ისინი თავად ცდილობდნენ ასეთი სიტუაციების შექმნას.“ პოლიტიკური კონფლიქტი შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგაც გრძელდება, ამიტომ „ომის შემდგომ“ რეკონსტრუქციას უნდა მივმართოთ და არა ჩვეულებრივ, „პოსტ-კონფლიქტურს.“ ავღანეთსა და ერაყში ომის შემდგომი რეკონსტრუქციის დაწყებისას ომი ჯერ კიდევ გრძელდებოდა.

მეორე და მთავარი მახასიათებელია ომის საზღაური და ის ფაქტი, რომ წინა ომის დროს (ან წინა რეჟიმის პირობებში) მთავრობის ინსტრუმენტები მმართველობის ხუთივე თემატურ განზომილებაში ბოლომდე დაჩლუნგდა ან საერთოდ მოიშალა (იხ. მე-3 თავი). რთულია ნგრევის მასშტაბების გაზომვა: ომს ეწირება უამრავი ადამიანის სიცოცხლე (მილიონობით სიცოცხლე ისეთ ქვეყნებში როგორიცაა კამბოჯა და ავღანეთი); ასობით ათასობით ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული პირი (მოსახლეობის მეოთხედი მოზამბიკში); დანგრეული ეკონომიკა თვით ბუნებრივად მდიდარ ქვეყნებშიც კი (ანგოლაში ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს 23 პროცენტს შეადგენდა; ელ სალვადორში შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ომის წინანდელ მონაცემებთან შედარებით 38 პროცენტით დაეცა); არსებული პოლიტიკური სტრუქტურების ნგრევა საკმაოდ მაღალგანვითარებულ სისტემებშიც კი (კოსოვოში სერბიის ინსტიტუტების ნგრევასთან ერთად; ერაყში ყველა დონის საჯარო მოხელის გაქცევა); ძალაუფლებას ხელში იღებენ მტაცებელი ვარლორდები, ეკონომიკა კრიმინალის ხელში ხვდება, „კლეპტოკრატია“ ინსტიტუციონალური ხდება (Cranna, 1994). კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 2003 წლის შემოდგომამდე ძალადობის შედეგად 53 მილიონი მცხოვრებიდან 3 500 000 ადამიანი დაიღუპა (International Peace Committee), 3 400 000 ადამიანი იძულებით გადაადგილებულ პირად იქცა, 17 მილიონი კი სურსათის გარეშე, სრულიად დაუცველი დარჩა (გაეროს ჰუმანიტარული დახმარების სამსახური) (Swing, 2003:25). პირველ ფაზაში, როგორც წესი ერთადერთი ფართომასშტაბიანი ორგანიზაცია, რომელსაც შექმნილ ვითარებაზე რეაგირების უნარი აქვს, კომფლიქტის მოგვარების მიზნით ჩართული სამხედრო ძალები არიან ხოლმე, როგორც ეს ბასრაში (ერაყი)2003 წლის აპრილშიმოხდა, როდესაც ბრიტანულ ჯარებს გადაუდებელი სამუშაოების წარმოება და მთელი ადგილობრივი ინფრასტრუქტურის აღდგენა მოუხდა. UNMIK-ის მეთაური კოსოვოში, ბერნარდ კუშნერი აღწერს თუ თავდაპირველად რამდენად იყო გაერო დამოკიდებული ნატოზე ლოჯისტიკისა და პერსონალის მხრივ (Kouchner, 2001). ამგვარი ვითარება კითხვებს ბადებს სამოქალაქო და სამხედრო ურთიერთობის შესახებ სხვადასხვა დონეზე,განსაკუთრებით მეორე ფაზაში, როდესაც ძალაუფლება მასპინძელი ქვეყნის სამოქალაქო ხელისუფლების ხელში უნდა გადავიდეს (M. Williams, 1998). ამ დროს საჭირო ხდება მილიციის განიარაღება და ეროვნული არმიის რეკონსტრუქციის დაწყება, პოლიციის გადამზადება და სასამართლოებისა და საპყრობილეების აშენება, საარჩევნო სიების შექმნა, ახალი კონსტიტუციის შემუშავების პროცესის მეთვალყურეობა და „თავისუფალი და სამართლიანი“ არჩევნების ჩატარება, ლტოლვილთა და იძულებულ პირთა დაბრუნება და ხელახალი განსახლება, გადაუდებელ დავალებათა სამსახურების აღდგენა, ეკონომიკის აღმავლობის დაწყება, ადამიანის უფლებათა დაცვაში ტრეინინგების ჩატარება და უმცირესობათა დაცვა - თანაც ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ

ვადებში; ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ავსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა და 1991 წლის კამბოჯის პარიზის სამშვიდობო აკორდის ერთ-ერთმა შემოქმედმა, გარეტ ევანსმა, UNTAC-ის მანდატი დაახასიათა, როგორც „ზედმეტად ამბიციური და გარკვეულ ასპექტებში აშკარად წარუმატებელი (Evans, 1994:27). მომავალი გვაჩვენებს რა ვერდიქტს გამოუტანენ ავღანეთსა და ერაყში გაწეულ მსგავს ძალისხმევას.

მესამე მთავარი მახასიათებელი არის რეკონსტრუქციის პროცესის მტრების არსებობა - განსაკუთრებით იქ, სადაც ომი ჯერ კიდევ გრძელდება, მხარეები ამ პროცესში ჩართულ ძალებს მეომრებად აღიქვამენ. სამშვიდობო პროცესებში სპოილერები შეიძლება იყვნენ იდეოლოგიურად შეურიგებელი მტრები, რომელთა პოლიტიკურმა იდეებმა კრახი განიცადა ან უსინდისო ექსპლუატატორები, რომლებმაც ყველაფრის მოშლით ხელი მოითბეს და ამ მდგომარეობის დასრულება ხელს არ აძლევთ (Stedman, 1997; Kydd and Walter, 2002). ამ მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა 1989 წლის შემდეგ. იმ დროს ჩარევა-რეკონსტრუქცია-გასვლის (IRW) ოპერაციების სამხედრო კომპონენტი ჯერ კიდევ მუშავდებოდა და ტრადიციული მშვიდობის დაცვის ერთ-ერთ ვარიანტად განიხილებოდა. იმ დროს ჩარევას მიღწეული შეთანხმებების განხორციელებად თვლიდნენ, რომლის ყველა მთავარი მოთამაშეც ამ ცვლილებებზე თანახმა იყო. ანგოლაში, ბოსნიაში, სომალსა და რუანდაში განვითარებულმა მოვლენებმა კი ცხადყო, რომ საჭიროა სავიმბების, კარადზიკების, აიდიდებისა და ინტერაჰმუე მილიციების ძალების გათვალისწინებაც. კონფლიქტის მოგვარების მიზნით ჩართულ ძალებს ისეთი ურთიერთგამომრიცხავი როლების შეთავსება მოეთხოვებათ, როგორიცაა, ბრძოლა/იძულებითი მშვიდობის დამყარება და მშვიდობის დაცვა/თანხმობის მიღწევა. როგორც მეექვსე თავში დავინახეთ შეიძლება, მებრძოლ ჯარებს მშვიდობის დაცვა მოუხდეთ, რიგ შემთხვევებში კი მშვიდობის დამცველებს იძულებითი მშვიდობის დამყარება უწევთ. საჭირო გახდა „ნეიტრალიტეტის“ ხელახალი ინტერპრეტაციაც; მას მშვიდობისა და რეკონსტრუქციის პროცესის ძლიერი „მიუკერძოებელი“ დახმარება უწოდეს. ამ მხრივ ძალიან მრავალფეროვანი გამოცდილება დაგროვდა, სადაც მოვლენებს სრულიად განსხვავებული სახელმიწფო დაჯგუფებების არსებობა ართულებდა, ზოგიერთ ძალებს (მათ შორის აშშ-ს ძალებსაც) ასეთი როლების შესასრულებლად გამოცდილება არ ჰყოფნიდათ. დღესდღეობით სამშვიდობო პროცესებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სპოილერების ტიპს და წინასწარ ადგენენ გზებს, რომლითაც მათ სამშვიდობო პროცესის ჩამშლელებიდან დაინტერესულ პირებად აქცევენ (მაგ., როგორც ჩრდ. ირლანდიაში მოხდა); უფრო დამყოლებთან საერთო ენის გამონახვა ისე შეიძლება, რომ რეკონსტრუქციის პროცესს სერიოზული ზიანი არ მიადგეს (აქ განსჯა ცოტა არ იყოს რთულდება ხოლმე); საჭიროა მათი მხარდამჭერების გულის მოგება, მათი რაოდენობისა და მნიშვნელობის შემცირება (Avant, 2009); შეურიგებლების დამარცხება ან მარგინალიზება (ასეთ დროს საჭიროა მშვიდობის ძალადობრივი გზით დამყარება). ეს ყველაფერი სათქმელად ადვილია, განსახორციელებლად კი ძნელი. სპოილერები ძალიან დაიხვეწნენ და მოხერხებულად სარგებლობენ ზემოთ აღნიშნულ ამოცანებს შორის არსებული დაძაბულობითა და წინააღმდეგობრიობით; მაგ., ისეთებით როგორიცაა სათანადო ბალანსის მონახვა ინტერვენციული ძალების უსაფრთხოებასა და ადგილობრივი მოსახლეობის „გულის მოგების“ განსხვავებულ პრიორიტეტებს შორის ან საწყისი მოლოდინის შემცირებასა და ამავდროულად „მნიშვნელოვანი ცვლილების“ განხორციელებას შორის. მაგ., 2002 წლის ნოემბერში კამბოჯაში წითელმა ქმერებმა კონტიგენტის ბარაკებიდან გამოყრა და დემობილიზაციის გეგმის ჩაშლა მოახერხეს, თუმცა 2003 წლის მაისის არჩევნების შემთხვევაში ვერაფერს გახდნენ. ავღანეთსა და ერაყში მოწინააღმდეგეების სამიზნე

გაეროსა და საერთაშორისო დახმარების მისიები გახდნენ, რომლებზეც გამანადგურებელი გავლენა იქონიეს; მათი სამიზნე გახდა ეკონომიკური რეკონსტრუქციის გუნდიც, აღდგენილი პოლიცია, შეიარაღებული ძალები და ადმინისტრაცია; ისინი არ ერიდებოდნენ ძალის გამოყენებას მათ წინააღმდეგ, ვისაც ოკუპაციურ ძალებად აღიქვამდნენ.

მოკლედ, კონფლიქტების მოგვარების პირველი ფაზის მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ მოველენები გასამხედროებულ გარემოში ვითარდება, სადაც შეიძლება, კონფლიქტების მოგვარების გრძელვადიანი მიზნები მოკლევადიან უსაფრთხოებასა და გადაუდებელი მდგომარეობიდან გამომდინარე მოვლენებს შეეწიროს. ეს პროცესი „ზემოდან-ქვემოთ“ მიმართული და „გარე-აქტორების“ მიერ მართულია, რაც კონფლიქტების მოგვარების „ქვემოდან ზემოთ“ მიმართული პროცესისა და მშვიდობის შენების „ძალაუფლების ადგილობრივებისთვის“ გადაცემის პროცესისგან ძირეულად განსხვავდება.

ფაზა 2. სტაბილურობა

მეორე ფაზაში საშინაო პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციის მხრივე უკვე საკმაო პროგრესია მიღწეული, ამიტომ ადგილობრივი მთავრობისთვის ძალაუფლების გადაცემა და საერთაშორისო ძალების გაყვანის პირველი ეტაპის დაწყება სრულიად შესაძლებელია. ფოკუსი 8.2-ში მოცემული მატრიცის მიხედვით მეორე ეტაპის მოთხოვნები ასეთნაირად შეიძლება შევაჯამოთ:

> *მოწინააღმდეგეზე მეტად სიტუაციას ეროვნული შეიარაღებული ძალები აკონტროლებენ; არსებობს კანონის ფარგლებში წესრიგის მიუკერძოებლად დაცვის ადგილობრივი საშუალებები; მთავრობას აქვს საკმარისი ლეგიტიმურობა, მითუმეტეს თუ ის დემოკრატიულად არჩეულია; ცენტრსა და რეგიონებს შორის ურთიერთობა სტაბილურია; ოფიციალური ეკონომიკისა და დაბეგვრის სისტემა მთავრობას საკმარის შემოსავალს აძლევს, რითიც იგი ძირითად მომსახურებას უზრუნველყოფს (გრძელდება საერთაშორისო დახმარებაც); ეკონომიკას ყოფილი მეომრების უზრუნველყოფის და საზოგადოებაში უკეთესი მომავლისა და დასაქმების შესაძლებლობის რწმენისგამყარების უნარი აქვს; არსებობს მშვიდობასა და სამართლიანობას შორის არსებული კონფლიქტური პრიორიტეტების წარმატებით დაძლევის უნარი, ხელს უწყობენ უმცირესობათა უფლებების დაცვასა და დამოუკიდებელი და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მედიის ჩამოყალიბებას.*

რა ძირითადი ფუნქციები აკისრია სახელმწიფოს, ისეთი სამთავრობო ინსტიტუტებს შექმნის ან (რე)კონსტრუქციის საქმეში , რომლებიც ლეგიტიმურიცაა და ფართო სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობის უნარიც შესწევთ?

> *ძირითადი ფუნქციების განმარტებათა უმეტესობაში საუბარია ჩამოთვლილთაგან ყველა ან ზოგიერთ ასპექტზე: უსაფრთხოების დაცვა, კანონის უზენაესობა (მათ შორის კოდიფიცირებული და გამოქვეყნებული კანონების არსებობა; ეფექტური პოლიციისა და იუსტიციის სისტემის ამოქმედება), ძირითადი სერვისების არსებობა (მათ შორის დახმარება გადაუდებელ შემთხვევებში, ღარიბთა დახმარება და საბაზისო ჯანდაცვა) და საბიუჯეტო გეგმების შექმნისა და დაბეგვრის საშუალებით ელემენტალური გადასახადების აკრეფის უნარი. არცერთი ეს ფუნქცია დასავლური ტიპის დემოკრატიის ან „ნეო-ლიბერალური“ საბაზრო იდეოლოგიის გატარებას არ მოითხოვს. მართალია, დემოკრატიზაცია და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მშვიდობის შენების მუდმივ მახასიათებლებად რჩება, მაგრამ ისინი მოცემული წიგნის ამ ნაწილში განხილული სახელმწიფოს შენების კონცეფციისაგან ანალიტიკურად განსხვავდება. (Paris and Sisk, 2009:15).*

ომის შემდგომი რეკონსტრუქციის ფაზების არათანმიმდევრული ბუნების გამო მეორე ფაზის რთული ამოცანების გარკვეული ნაწილი პირველივე ფაზაში სრულდება. მეორე ფაზა ამ ძალისხმევის კონსოლიდაციას ახდენს და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ მესამე ფაზის ამოცანების შესრულებისკენ. ამ ფაზაში წინა პლანზე გადმოდის და დომინირებს „სტრუქტურული მშვიდობის შენების" ასპექტი, რომელიც განსაკუთრებით თავს იჩენს „სამთავრობო" სექტორში, რომელზეც სხვა სექტორებიც არიან მიბმულები. ეს ფაზა კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით განსაკუთრებულ პრობლემებს ქმნის, რადგან ამ დროს სტაბილურობის მიღწევის მიზნით გარკვეულ კომპრომისებზე წასვლაა საჭირო. მეტი სიცხადისათვის ჯერ მეორე ფაზის სტაბილურობის მოთხოვნებზე ვისაუბრებთ ყოველგვარი კრიტიკის გარეშე, შემდეგ კი, მესამე ფაზაზე საუბრის დაწყებამდე ამ რთულ საკითხებს შევაჯამებთ.

უსაფრთხოების სექტორისშესახებ უამრავი რამ დაწერილა. ამ შემთხვევაში საუბრობენ: „განიარაღებაზე, დემობილიზაციაზე, რეპატრიაციაზე, ხელახალ განსახლებასა და რეინტეგრაციაზე" (DDRRR) ასევე მთავრობის ხელმძღვანელობით მიმდინარე ეროვნული შეიარაღებული ძალების (რე)კონსტრუქციაზე (Collier, 1994; Cillers, 1995; Berdal, 1996; Ball 1997; Kingma, 1997, 2001; Edelstein, 2009). იგი ასევე მოიცავს სრულად განსხვავებულ და ფართო დიაპაზონის საკითხებს, დაწყებული ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის (UNIDER< 1996) კონტროლით, ბავშვი ჯარისკაცების რეინტეგრაციითა (Doodwin-Gill and Cohn, 1994; McCalin, 1995) და განნაღმვითი ოპერაციებით (UN Department of Defence, 1998) დასრულებული. 1992-1993 წლებში ანგოლაში 350 UNAVEM II-ის სამხედრო დამკვირვებლები ამ პროცესს 150,000 მებრძოლის მაგალითზე აკვირდებოდნენ, მაგრამ დაკისრებულ საქმეს თავი ვერ გაართვეს, რაც სრულიად გასაგებია (Anstee, 1996). მას შემდეგ საერთაშორისო საზოგადოებამ მეტი შეიტყო იმის შესახებ თუ რა ზომების მიღებაა საჭირო ამ გამოწვევებით სავსე შემთხვევებში წარმატების მისაღწევად. მეამბოხეებისა და ვარლორდებისათვის იარაღის ჩაბარება კოზირზე უარის თქმას ნიშნავს, რაც მათ ტყუილისა და თაღლითობისკენ უბიძგებს; ასეთ დროს კონფლიქტის მოგვარების მიზნით ჩართულ ძალებს მოვლენებზე მკაფიო წარმოდგენა და მტკიცე ნება უნდა გააჩნდეთ.მათ ასევე უნდა შეძლონ ზეწოლის, დამოუკიდებელი შემოწმებისა და პოზიტიური პოლიტიკური და ეკონომიკური სტიმულების სწორი კომბინაციის გამოყენება გადამწყვეტი მომენტი მაშინ დგება, როდესაც განახლებული ეროვნული ძალები ადგილობრივი მთავრობის უსაფრთხო კონტროლის ქვეშ აღმოჩნდებიან და შემორჩენილ, არადემობილიზებულ ძალებზე ან კერძო ჯარებზეუპირატესობას მოიპოვებენ. ამ ეტაპის დადგომამდე სიტუაცია არამდგრადია დაშუამავალი სამხედრო ძალების გაყვანაზე ფიქრი ნაადრევია, თუმცა, როგორც ჩანს ავღანეთში ასეთ რისკზე წასვლას აპირებენ.

ლიტერატურაში ასევე საფუძვლიანადაა განხილული კანონისა და წესრიგის სექტორი, სადაც განსაკუთრებული აქცენტი სამოქალაქო პოლიციაზე (Call and Barnett, 1999), გარდამავალი პერიოდის მართლმსაჯულებაზე (Kritz, 1995; Mani, 2002; Albin, 2009) და ადამიანის უფლებებზე კეთდება (O'Flahety and Gisvold, 1998).სასამართლოებისა და საპატიმროების აღდგენისა და მართლმსაჯულების სისტემისა და პოლიციის რეკონსტრუქციისა და გადამზადების შემდეგ, მეორე ფაზის მოთხოვნა ასეთია - პოლიტიკურად არამდგრად ელემენტებს ძალადობის დაწყების მოწოდებების გაკეთების საშუალება არ უნდა მიეცეთ, კრიმინალურ ელემენტებს კი დაუსჯელად საქმიანობისა. აუცილებელია „მიუკერძოებლობის" მოთხოვნის დაცვა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო და პოლიციის სისტემები ლეგიტიმურობას დაკარგავს; ეს საკმაოდ რთულად შესასრულებელი ამოცანაა, რადგან

იმედგაცრუებული დაინტერესებული პირები წესრიგის დაცვას ზეწოლად მიიჩნევენ. როგორც 1989-2009 წლებში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, კანონისა და წესრიგის საკითხები მოწესრიგებამდე ჯერ აუცილებლად უარესობისკენმიდის. დანაშაულის რაოდენობა სწრაფად მატულობს, რადგან სამშვიდობო ეკონომიკა უმუშევარი ყოფილი ჯარისკაცებისა და მათი ოჯახების წევრების სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფას ვერ ახერხებს, ასევე ვერ აკმაყოფილებს ასობით ათასი უკან დაბრუნებულ ლტოლვილის საჭიროებებს; ჯერ კიდევ ფუნქციონირებს საომარი პერიოდის შავი ეკონომიკა, იარაღი კვლავაც იშოვება, თავისუფალი საბაზრო პირობების უეცარი შემოღება დესტაბილიზაციას ამძაფრებს. მაგ., ელ სალვადორში 1998 წელს ერთ წელიწადში უფრო მეტი ადამიანი მოკლეს ვიდრე ომის დროს. აქედან ერთი რამ შეგვიძლია დავასკვნათ - ყველაფერი მოსალოდნელია და ამიტომ პრევენციის გეგმები დეტალურად უნდა შედგეს. მართლმსაჯულებისა და პოლიციის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებების წარმოებისას გახლეჩილი საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხებიც უნდა იქნას გათვალისწინებული, როგორც ეს რუანდაში, სამხრეთ აფრიკასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში მოხდა.

სწორედ მეორე ფაზის სამთავრობო მოთხოვნების შემთხვევაში იჩენს თავს ომის შემდგომი რეკონსტრუქციის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა. საკონსტიტუციო ცვლილებებისა და არჩევნების შესახებ არსებული ლიტერატურა ძალიან ვრცელი და სადავოა (Kumar, 1998; Sisk and Reynolds, 1998). სამწუხაროდ ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული და უკომპრომისო გამოწვევაა, რადგან იგი იმ საკითხს ეხება, რომელიც საბოლოო ჯამში ყველა პოლიტიკური კონფლიქტის მიზეზი ხდება - ვინ იქნება მმართველი? საჭიროა საკონსტიტუციო ჩარჩოსა და საარჩევნო პროცესთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა, რომლის ფარგლებშიც შიდა პოლიტიკური ინტერესები დომინირებს, რეალურად კი ისეთი სტრუქტურის შექმნაა საჭირო, რომელშიც მოსახლეობის, როგორც ერთი მთლიანობის, ინტერესები იქნება გათვალისწინებული. ამ დროს, როცა ყველა შიდა მოთამაშე პროცესზე მეტ-ნაკლებად თანხმდება, როცა მასზე დასტური განაცხადეს რეგიონალურმა ორგანიზაციებმა და გაერომ, შუამავალ მხარეებს უდიდესი სიფრთხილე მართებთ, რადგან მათი საერთაშორისო ლეგიტიმაცია ყველაზე მნიშვნელოვანი ამ დროს ხდება. არსებობს უამრავი განსხვავებული საკონსტიტუციო შეთანხმება, რომელთა გამოყენებაც სხვადასხვა ვითარებაშია მიზანშეწონილი, მაგრამ აქ ახლა ამის განხილვის დრო და ადგილი არ არის (Shain and Linz, 1995). მეორე ფაზის მოთხოვნები ცხადი და მკაფიოა; პირველი: არსებული მთავრობის საკმარისი (დემოკრატიული) ლეგიტიმურობა და მეორე - საკმარისი საზოგადო რწმენა სისტემის ღიაობაში, რაც წაგებულებს ბრძოლის არაძალადობრივი მეთოდებით და კონსტიტუციის ფარგლებში გაგრძელების სტიმულს მისცემს. ეს მეორე ფაზის კონსოლიდირებისა და მესამე ფაზაზე გადასვლისათვის კრიტიკული მნიშვნელობის ფაქტორია, რაზეც შემდეგ ორ აბზაცში, ეკონომიკური და სოციალური სექტორების განხილვისას დეტალურად ვისაუბრებთ. იმ შემთხვევებში, სადაც ასეთ პრაქტიკას საერთოდ არ იცნობენ ან ნაკლები წარმოდგენა აქვთ მის შესახებ, ან სადაც სახელმწიფო ახალია, ან ცენტრალური მთავრობა ნაკლებად აკონტროლებს რაიონებს ან საკუთარი თავი ხალხს ტირანიით ან ავტორიტარული საშუალებებით მოახვია, ამ მოთხოვნების შესრულება ძალიან რთული ხდება. ამიტომ, ზოგიერთები ასეთ დაძაბულ და არამდგრად პოლიტიკურ გარემოში „არჩევნების სასწრაფოდ ჩატარების“ გონივრულობას ეჭვ ქვეშ აყენებენ. ქვემოთ განვიხილავთ საერთაშორისო დემოკრატიული ნორმების ლეგიტიმურობას მათთან მიმართებაში, ვინც მათ ადვოკატირებას უწევს და ასევე იმ კულტურებთან მიმართებაში, რომლებშიც მათი გადანრეგვა ხდება; ასევე ვისაუბრებთ იმ როლზე, რომელიც გარე

აქტორებმა უნდა შეასრულონ; განვიხილავთ სამთავრობო, ზემოდან-ქვემოთ მიმართული დახმარების პროგრამებისა და იმ პროგრამების შეფარდებით ქმედუნარიანობას, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო ჯგუფები ახორციელებენ ქვემოდან-ზემოთ (იხ. მეცხრე თავი).

ეკონომიკურ სექტორში მეორე ფაზის სტანდარტი სამი მთავარი და ერთმანეთთან დაკავშირებული ფაქტორით დგინდება (Ball and Halevy, 1996; Kreimer et al., 1998; Pugh, 2000; Ball, 2001). პირველი - მთავრობამ ოფიციალური ეკონომიკიდან უნდა მიიღოს საკმარისი შემოსავალი, რათა მან ძირითადი მომსახურების გაწევა შეძლოს (საჭიროების შემთხვევაში უნდა არსებობდეს საერთაშორისო დონორების დახმარებაც). ეს აუცილებელი მოთხოვნაა, რომელიც დამოკიდებულია „სამთავრობო“ სექტორის წარმატებაზე, რადგან იგი არაოფიციალური ეკონომიკის მოთვინიერებას და რეგიონალური ხელისუფლების ორგანოების ურჩობის დაძლევას გულისხმობს (რეგიონალური ხელისუფლება ხშირად უარს ამბობს შემოსავლების ცენტრალური მთავრობისთვის გადაცემაზე). მეორე მოთხოვნა - ძირგამოთხრილი საომარი ეკონომიკის (ანუ ავტორიტარული კლეპტოკრატიის) დემონტაჟის დაწყებაა, რადგან იგი ხელს უწყობს ექსპლუატატორებს წინააღმდეგობა გაუწიონ რეკონსტრუქციას. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, შესაძლოა საჭირო გახდეს საერთაშორისო რეჟიმის დაწესება ისეთი მოძრავი აქტივებით სარგებლობაზე, როგორიცა ალმასი, ნარკოტიკები ან ნავთობი. მესამე მოთხოვნის გაზომვა გაცილებით რთულია, რადგან იგი მთელი ეკონომიკის განვითარებას გულისხმობს. მეორე ფაზის უმთავრესი ამოცანაა , პირველ რიგში დაშლილი მილიციის თანამშრომლების დასაქმება, რათა უკმაყოფილება შემცირდეს და ადვილად მართული გახდეს; მეორე მნიშვნელოვანი ამოცანაა საზოგადოებაში გაჩნდეს განწყობა, რომ რთული და მძიმე მატერიალური პირობების მიუხედავად, არსებობს მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მომავლის უკეთეს პერსპექტივებზე მიუთითებს - განსაკუთრებით დასაქმების თვალსაზრისით. 1989-2009 წლების შემთხვევებიდან მიღებული გამოცდილება გვარწმუნებს, რომ მომავლის მოლოდინის სწორი მართვა არსებულ სარგებელზე გაცილებით მნიშვნელოვანია. ზოგიერთი კომენტატორი საბაზრო პირობების თავს ნაჩქარევად მოხვევას არამიზანშეწონილად მიიჩნევს, რაც საერთო შეთანხმებით უნდა მომხდარიყო მოზამბიკში. პარისი თვლის, რომ ასეთ დროს „მშვიდობაზე ორიენტირებული მარეგულირებელი პოლიტიკის“ შექმნაა საჭირო, სადაც უპირატესობა ეკონომიკის ზრდის სტიმულირებას მიენიჭება (ინფლაციის ხარჯზეც კი) და სადაც რესურსები მიემართება მათკენ, ვინც ყველაზე ძლიერი დარტყმა განიცადა (1997: 85-6). მეორე ფაზის უმთავრესი მიზანია რაც შეიძლება მეტი ადამიანის იმაში დარწმუნება, რომ მოვლენები უკეთესობისკენ შეიცვლება თუ ისინი რეკონსტრუქციის პროცესში მონაწილეობას განაგრძობენ.

სოციალური სექტორის სტანდარტები კი არცთუ მკაფიოა. აქ ერთადერთი გამოკვეთილი მიზანი ჯგუფთაშორისი ანტაგონიზმის შეკავებაა; იგი არ უნდა მიუახლოვდეს იმ დონეს, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას რეკონსტრუქციის პროცესს; პროცესი არ უნდა მოხვდეს არაკეთილსინდისიერი პოლიტიკური ინტერესების გამტარებლების ხელში (UNRISD, 1995). ასეთ დროს საჭიროა საფრთხის ქვეშ მყოფი უმცირესობების დამშვიდება (Gurr,2000), ლტოლვილების დასახლება (Stein et al., 1995; Black and Coser, 1999)და მშვიდობასა და სამართლიანობას შორის არსებული კონფლიქტური პრიორიტეტების სწორად მართვა (Boraine et al., 1997; Scheutt, 1997; Skaar, 1999; Baker, 2001). სოციალური უთანხმოების გაზომვა რთულია; თუმცა, ნათელია, რომ მის დასაძლევად, შესარიგებლად და ტრავმების მოსაშუშებლად მიღებული ყველა ზომა ნაყოფს მხოლოდ გრძელვადიან

პერსპექტივაში გამოიღებს (იხ. მე-10 თავი). გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ის, რასაც ლუკ რეხლერი „განათლებას, ინფორმაციასა და კომუნიკაციის სისტემას“ უწოდებს (დამატებით განვიხილავთ მე-9 თავში).

> *ასეთ შემთხვევაში საყურადღებოა განათლებისა და დისკრიმინაციის დონე, განსახილველ საკითხთა და დამოკიდებულებათა რელევანტურობა, მედიის კონტროლი, ჟურნალისტთა პროფესიონალიზმის ხარისხი, როლი, რომელსაც მედია ასრულებს კონფლიქტების ტრანსფორმაციაში და დესტრუქციული სიცრუის კონტროლის მექანიზმი (Retchler and Paffenholz, 2001:13).*

აქ ახლა მატრიცის ის ნაწილი ერთვება საქმეში, რომელსაც „საერთაშორისო ინტერვენციის გარდამავალი პერიოდი“ ეწოდება; ამ ეტაპზე ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სექტორული მოვლენა პირველ ეტაპზე ჯარების გაყვანას განაპირობებს. თუმცა, ეს სტრატეგია იმდენად „გასვლა“ არ არის, რამდენადაც კონტროლის ადგილობრივებისთვის „უსაფრთხო გადაცემის სტრატეგია“. ის ძალები, რომლებიც ამას ვერ აცნობიერებენ , საერთოდ არ უნდა ჩაერიონ კონფლიქტში. ამ ეტაპზე მოკლევადიანი „ნეგატიური“ და გრძელვადიანი „პოზიტიური“ მიზნები გასვლის პროცესშიც იჩენს თავს. ამ დროს მასპინძელი ქვეყნის მოსახლეობისა და მისი ამომრჩევლებისთვის გამიზნული მესიჯი ასე გამოიყურება: „ჩვენ არ ვართ მუდმივი საოკუპაციო ძალები, მალე გავალთ და სიტუაციის კონტროლს თქვენ გადმოგცემთ.“ სპოილერებსთვის კი მესიჯი ასეთი უნდა იყოს: „ამაოდ ელით ჩვენს გასვლას იმ იმედით, რომ ძველებურად განაგრძობთ ყველაფერს; აქ კარგა ხნით ვართ და მხოლოდ მაშინ გავალთ, როცა სიტუაცია უსაფრთხო გახდება. გირჩევნიათ, ეს გააცნობიეროთ და სამშვიდობო პროცესში ჩაერთოთ, სანამ ჯერ კიდევ გაქვთ ამის დრო.“ ეს გახლდათ მთავარი დილემა მაშინ, როდესაც 2010 წელს ობამა ავღანეთში „შეიჭრა“. . რა თქმა უნდა, ამ ორ პოზიციას შორის დაძაბულობის განმუხტვა გაცილებით ადვილია მაშინ, როცა კონფლიქტის მოგვარების მიზნით ჩართულ ძალებს საერთაშორისო საზოგადოებისა და ქვეყნის მხრიდან ლეგიტიმაცია აქვთ მინიჭებული.

რაც შეეხება პირველი ეტაპის სამხედრო-სამოქალაქო გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივობას, ამ შემთხვევაში რამე ფიქსირებული ვადა არ არსებობს. იგი თითოეული შემთხვევის სიღრმესა და კომპლექსურობაზეა დამოკიდებული. ადრეული 1990-იანი წლების გმირულ ეპოქაში ელოდნენ, რომ ეს გარდამავალი პერიოდი ძალიან სწრაფად წარიმართებოდა; მაგ., UNTAG-მა ნამიბიაში 1989 წლის აპრილიდან 1990 წლის მარტამდე დაჰყო, , ONUSAL-მა ელ სალვადორში 1991 წლის აპრილიდან 1995 წლის აპრილამდე, UNTAC-მა კამბოჯაში 1992 წლის მარტიდან 1993 სექტემბრამდე და ა.შ. რიგ შემთხვევებში კონტროლი მომდევნო მისიებს (UNAVEM II UNAVEM III ანგოლაში) ან გაძლიერებულ საინტერვენციო ძალებს გადაეცათ (UNPROFORIFOR-მა ჩაანაცვლა ბოსნიაში), ზოგ შემთხვევაში კი თითქმის უპირობო გასვლა მოხდა (UNOSOM II სომალიში, UNAMIR რუანდაში). 1995 წლის შემდეგ ბოსნიასა და კოსოვოში ძალები მეტი ხნით დასარჩენად იყვნენ მზად, რადგან საერთაშორისო საზოგადოების ნდობით აღჭურვილ, ახალ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ (კოსოვოში ყველაფერს ემატებოდა გაურკვეველი მდგომარეობა მომავლის სტატუსის შესახებ). აღმოსავლეთ თიმორში (ახლანდელი თიმორ ლესტე) ოპერაცია1999 წლიდან 2002 წლამდე გაგრძელდა, 2006 წლის შემდეგ კი დახმარება კვლავ გახდა საჭირო. ავღანეთსა და ერაყში თავდაპირველი გეგმის მიხედვით ძალები სწრაფად უნდა გამოსულიყვნენ (გაერთიანებული სამეფოს „კონფლიქტის შემდგომი რეკონსტრუქცის დანაყოფი“ 2004 წელს თავდაპირველი გეგმის მიხედვით მხოლოდ 18

თვით უნდა დარჩენილიყო ქვეყანაში), მაგრამ გეგმები მალე შეიცვალა და ახლაც კი, 2010 წელს, ეს გეგმა განუხორციელებლი რჩება.

ფაზა 3. ნორმალიზაცია და მის მიღმა

8.2 ფოკუსში მოცემული მატრიცა ცხადყოფს, რომ მესამე ფაზის მრავალი მოთხოვნა, რომელიც ჩარევის მთავარი მიზნების რიტორიკაშია აღნუსხული, მხოლოდ ისეთი სურვილების ჩამონათვალია, რომელიც ომის შემდგომ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების უმრავლესობისთვის მიუღწევლად შეიძლება ჩაითვალოს (თუმცა, ჩრდილოეთ ირლანდიის შემთხვევაში მრავალი მათგანი უკვე ხორციელდება, მაგ.,):

დემილიტარიზებული პოლიტიკა; საზოგადოებრივი უსაფრთხოება; ძალადობის კულტურის ტრანსფორმაცია; არაპოლიტიზირებული პოლიცია და სასამართლო სისტემა; ინდივიდისა და უმცირესობათა ჯგუფების უფლებების პატივისცემა; ორგანიზებული დანაშაულის შემცირება; ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა დემოკრატიული არჩევნების გზით; სამოქალაქო საზოგადოებისშექმნაჯეშმარიტიპოლიტიკურითემისფარგლებში;ადგილობრივიდასახელმწიფო პოლიტიკის თანაბარი ინტეგრაცია; ყველა წარმომავლობის მოქალაქეების გრძელვადიანი ინტერესების განვითარება; სოციალური დაყოფის დეპოლიტიზაცია; ფსიქოლოგიური ტრავმის მოშუშება; გენდერული თანასწორობისკენ სვლა; განათლება შერიგებისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში; ინტეგრაცია თანამშრომლობაზე ორიენტირებულ და თანასწორ რეგიონალურ/ გლობალურ სტრუქტურებში.

ამ შემთხვევაში აზრთა სხვადასხვაობაა; ერთი მხრივ არსებობს მოსაზრება რომ ისეთი ამოცანები, როგორიცაა გენდერული თანასწორობა ან შერიგება გრძელვადიან პერსპექტივაში უმჯობესია სტაბილურობისა და კონცეპტუალური და ოპერაციული ინტერესებიდან გამომდინარე გადაიდოს, ხოლო მეორე მხრივ არიან ისინი ვინც მიიჩნევენ, რომ ასეთ ჩარევას სწორედ ეს კონცეფციები ამართლებს, რის გამოც ისინი თავიდანვე წინა პლანზე უნდა წამოიწიოს. ამ საკითხზე კონფლიქტების მოგვარების სპეციალისტები და პროფესიონალები ვერ თანხმდებიან. მაგალითად, მაიკლ ლუნდი პირველი პოზიციის წინააღმდეგ გამოდის და აცხადებს: „მისასალმებელია, ნებისმიერი საზოგადოების ძალისხმევა გაუმჯობესებას მიაღწიოს და თავისი ნაკლოვანებები აღმოფხვრას... მაგრამ ასეთი მიდგომა მშვიდობის შენებას მეძველმანის ბოხჩას ამსგავსებს, რომელიც ადამიანების დაუკმაყოფილებელი საჭიროებებითაა სავსე“ (2003:26; ასევე იხ. Cousens et al., 2000:4). თუმცა, არიან ისეთებიც, ვინც საპირისპიროს ამტკიცებენ (Lederach, 1997; Reychler and Paffenholz, 2001).

ზოგადად კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივიდან მეტად გამართლებულია პირველ და მეორე ფაზებში დომინირებდეს მშვიდობის დაცვა, მშვიდობის ელიტის დონეზე დამყარება და სტრუქტურული მშვიდობის შენება, ხოლო მესამე - ნორმალიზაციის ფაზის ამოცანების მისაღწევად, რომლებიც უფრო შორს მიმავალია და მეტად სიღრმისეულ საკითხებს ეხება, სოციალური და კულტურული მშვიდობის შენებაა საჭირო. მაშასადამე, დროთა განმავლობაში „რბილი პროგრამა“ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ვიდრე „მტკიცე“. ასეთი სოციალურ-კულტურული ტრანსფორმაციის მიღწევამდე, დამოუკიდებელი სასამართლო, ელექტორალური დემოკრატია, უმცირესობათა უფლებები ფორმალობად რჩება, რომლის მიღმაც ავტორიტარული მმართველობა და დისკრიმინაცია ძველებურად გრძელდება.

მესამე - ნორმალიზაციის ფაზაში პერსონალის გაყვანა, გაცილებით მეტ კითხვას ბადებს ვიდრე ის, რასაც გაყვანა გულისხმობს პირველ ფაზაში. სხვადასხვა შემთხვევაში მნიშვნელოვანი

განსხვავება არსებობს, რასაც ერთად აღებულს შეიძლება ვუწოდოთ „ნორმალური“ საერთაშორისო ინტერვენცია და განვითარებად ქვეყნებში შეჭრა, საიდანაც, როგორც ამბობენ, „გაეროს განვითარების პროგრამა“ („UNDP”) არასდროს გამოდის. 8.2. ფოკუსში წარმოდგენილი მატრიცის მეექვსე სექცია ამ მიზანს ასე განმარტავს: „თანამშრომლობაზე ორიენტირებულ და თანასწორ რეგიონალურ და გლობალურ სტრუქტურებში ინტეგრაცია“, რაც გვაჩვენებს, რაოდენ მნიშვნელოვანია რეგიონალური სტაბილურობა ჩარევა-რეკონსტრუცია-გაყვანის (IRW)ოპერაციებისთვის, რაზეც მე-4 და მე-5 თავებში გვქონდა საუბარი. იგი ასევე ითხოვს პასუხს კითხვაზე: რას ნიშნავს გლობალური თანასწორობა და ძალაუფლების გლობალური განაწილება? საუბარი გვექნება ამ წიგნის მეორე ნაწილში.

ამ თავში შევეცადეთ მოკლედ მიმოგვეხილა ომის შემდგომი სახელმწიფოს შენებისა და მშვიდობის შენების უჩვეულოდ ამბიციური ბუნება, რომელიც მას უკანსკნელი ოცი წლის განმავლობაში ჩამოუყალიბდა. მაგრამ მაინც როგორია „ლიბერალური მშვიდობა“ ამ პერიოდის დასასრულს? ლიტერატურის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ ამ მხრივ მოსაზრებები პოლარიზებულია, ხოლო სიტუაციას კი ის დაბრკოლებები ამძიმებს, რომლებსაც რეკონსტრუქციის ძალისხმევა ავღანეთსა და ერაყში აწყდება. ლიბერალურიი მშვიდობა ნეოლიბერალიზმმა გაიტაცა და მიისაკუთრა, ხოლო ნეო-ლიბერალიზმი კი ნეოკონსერვატიზმმა იმსხვერპლა. 2000-2008 წლებში ბუშის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული სამხედრო ქმედებების გაცხადებული გამამართლებელი მიზეზი (რა თქმა უნდა, აშშ-ს ინტერესების დაცვასთან ერთად) „თავისუფლების გავრცელება“ იყო, რასაც სრულიად განსხვავებული რეაქციები მოჰყვა, სადაც ვიღაც უცნაური მოკავშირეები ლიბერალურ ინტერვენციონიზმს უპირისპირდებიან, ხოლო ისინი კი, ვისაც ლიბერალური მშვიდობის გადარჩენა სურთ, სრულიად განსხვავებულ და ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავ თვალსაზრისს გვთავაზობენ.

ზოგი მოვლენებს „კონსერვატორული“ თვალსაწიერიდან უყურებს და ლიბერალური ინტერვენციონიზმის წინააღმდეგ ილაშქრებს. ჯეფრი ჰერბსტი (2003) „ხელმოცარული სახელმწიფოების“ აღდგენის წინააღმდეგ გამოდის, რაც მისი ზრით უვარგისი პოლიტიკური ერთეულების ხელოვნურ სუნთქვით მართვაზე გადაყვანას ნიშნავს. იგი თვლის, რომ ეს ქვეყნები თავიანთ ნებაზე უნდა მივუშვათ და წარუმატებლობისთვის გავწიროთ. ჯერემი ვაინშტეინი (2005) კი თვლის, რომ საერთაშორისო ინტერვენცია არასტაბილურ ძალაუფლებისათვის ბრძოლას ყინავს მაშინ, როცა მიზანშეწონილი იქნებოდა მისი თავის ნებაზე მიშვება და ყველაფრის საკუთარი ძალებით მოგვარებისა და „დამოუკიდებლად გამოჯანსაღების“ უფლების მიცემა. ზოგი „ლიბერალურ ინტერვენციონიზმზე“ უარს ამბობს და მკაცრად აკრიტიკებს მას. დევიდ ჩენდლერი (2006, 2008) სახელმწიფოს ჩარევის გზით შენებას „ლიბერალური მშვიდობის პოლიტიკური ეკონომიიდან“ გამომდინარე ეწინააღმდეგება და მას საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ განხორციელებულ თითქმის შეუნიღბავ, ნეოკოლონიალური იძულების ფორმად მიიჩნევს. მაიკლ პუფი, ნეილ კუპერი და მენდი ტერნერი კიდევ უფრო განამტკიცებენ მარკ დუფილდის (2007) არგუმენტს და ამბობენ, რომ საჭიროა:

> *ომის ეკონომიკის და მშვიდობის პოლიტიკური ეკონომიის ანალიზისადმი მიდგომის ფუნდამენტალური შეცვლა. ლიბერალური მშვიდობის ჩარჩოში კონფლიქტის შემდგომი მშვიდობის პოლიტიკური ეკონომია და სახელმწიფოს შენება ძალაუფლების გადაცემის*

იმიტაციაა, სადაც მშვიდობის მშენებლები საზოგადოებას პასუხისმგებლობას ძალა-უფლების გადაცემის გარეშე გადასცემენ. უფრო მეტიც, ლიბერალური პროგრამები მოსახლეობისგან ითხოვენ მეტად ჰქონდეთ საკუთარი თავის იმედი; ისინი საზოგადოებრივი დოვლათის კარგვას უწყობენ ხელს და მათ მსოფლიო ეკონომიკაში უთანასწორო ინტეგრაციის შესაძლებლობას სთავაზობენ. (Pugh et al., 2008a: 391).

აზრთა სხვადასხვაობას ლიბერალური ინტერვენციონიზმის მომხრეთა შორისაც აქვს ადგილი. მართალია, როლანდ პარისი და ტიმოთი სისკი, ლიბერალურ ინტერვენციონიზმს კონკრეტულ შემთხვევებში აკრიტიკებენ, მაგრამ თვლიან, რომ ლიბერალურ მშვიდობაზე უარი არ უნდა ვთქვათ; იგი უნდა გავაუმჯობესოთ და დავხვეწოთ; „მართალია, ექსპერტთა უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ამ ოპერაციების შედეგი უფრო დადებითია ვიდრე უარყოფითი, მაგრამ სერიოზულ ეჭვს იწვევს საერთაშორისო ორგანიზაციების უნარი შექმნან მდგრადი მშვიდობისთვის საჭირო სათანადო პირობები“ (2009:11).

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგან ხშირად კონფლიქტი საზღვრებს სცდება,, ვრცელდება, , მდგომარეობა არასტაბილურია და საერთაშორისო ნორმები ირღვევა მაშინ, როცა ხელისუფლება და წესრიგი ქრება“ომის შემდგომ სახელმწიფოს შენების პროექტზე ხელაღებით უარის თქმა უმაღლესი დონის უპასუხისმგებლობა და „მილიონობით ადამიანის უკანონობისთვის, ავადმყოფობისა და შიშისთვის გაწირვის ტოლფასი“ იქნებოდა. თუმცა თანხმობა აქ სრულდება, აზრები იყოფა, რადგან სახელმწიფოს შენების პროექტის შესახებ უამრავი განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს. მაგალითად, ჯეიმს ფირონი და დევიდ ლეიტინი სიტუაციას ძირითადად რეალისტური პოზიციიდან უყურებენ და „სუსტი სახელმწიფოების“ შემთხვევაში საჭიროდ მიიჩნევენ ძალაუფლების გადაცემას „არა სრული სუვერენიტეტით“ არამედ „ნეომინდობილობის“ ერთგვარი ფორმით, სადაც აღნიშნული სახელმწიფო „საერთაშორისო ინსტიტუციების ზედამხედველობის ქვეშ მოექცევა“ (2004:42). სტივენ კრაზნერი (2004) კიდევ უფრო შორს მიდის და „ჩამოშლილი ან ხელმოცარული სახელმწიფოების“ შემთხვევაში „საზიარო სუვერენიტეტის“ მომხრედ გამოდის, სადაც გარეშე ინსტიტუციები მუდმივ პასუხისმგებლობას აიღებენ ყველაზე მოწყვლადი სახელმწიფოების მმართველობის გარკვეულ ასპექტებზე, რის შემდეგაც ეს სახელმწიფოები საერთაშორისო სამართალის მიხედვით სუვერენულად აღარ იქნებიან განხილულნი. ეს მიდგომა გაცილებით რადიკალურია, ვიდრე შედარებით ზომიერი თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც უნდა დაწესდეს „გარდამავალი ადმინისტრირება“, როგორც აღმოსავლეთ თიმორისა (თიმორ ლესტე) და კოსოვოს შემთხვევაში მოხდა (Chesterman, 2004a; Caplan, 2005). ეს ურთიერთობები ფრიად კომპლექსურია. მაშინაც კი, როდესაც სახელმწიფოს შენების პროცესში მეტი ნიუანსის გათვალისწინებას, დეტალიზებული და „მსუბუქი“ მიდგომის გამოყენებას გვთავაზობენ, შესაძლოა, გაცილებით ხანგრძლივი ჩარევა გახდეს საჭირო ვიდრე ეს 1990-იან წლებში „მოკლე, მწვავე შოკის“ გამოყენების პირობებში ხდებოდა.

დასკვნა

ამჯერად ომის შემდგომი რეკონსტრუქციის შესახებ მიმდინარე დავასა და დაპირისპირებაზე აღარ შევჩერდებით; არც იმაზე ვისაუბრებთ როგორ აფასებენ მას საზოგადოდ. მსჯელობას შემდეგ თავში განვაგრძობთ და მშვიდობის შენების უფრო რადიკალურ და ტრანსფორმაციულ მიმართულებაზევისაუბრებთ. ამჯერად კი იმის რეზუმირებით შემოვიფარგლებით, რაზეც ზემოთ, ამ თავში ვისაუბრეთ. არც კონკრეტული ინტერვენციების

შესახებ არსებულ უთანხმოებაზე ვიტყვით რამეს. მთავარია, ომის შემდგომი შეთანხმებისა და რეკონსტრუქციის ძალისხმევა კონფლიქტების მოგვარებისა და კონფლიქტების ტრანსფორმაციის პრინციპების მიხედვით შეფასდეს. ზემოთ ხაზგასმით აღვნიშნეთ რამდენად მნიშვნელოვანია მასპინძელ ქვეყანაში გავრცელებული ადგილობრივი აზრი ამ ოპერაციების შესახებ; იგი მნიშვნელოვანია იმის განსასჯელად თუ რამდენად წარმატებული იყო ესა თუ ის ოპერაცია; თუმცა, ამ შემთხვევაშიც აზრთა მნიშვნელოვან სხვადასხვაობას ექნება ადგილი. აღვნიშნეთ ისიც, რომ ჩარევების აღქმული ლეგიტიმურობა იკლებს 8.1. ცხრილში წარმოდგენილი ჩარევის ტიპების მიხედვით. ასევე ვთქვით, რომ პროცესის ლეგიტიმურობას ართულებს ის ფაქტი, რომ გაეროს წინამძღოლობით განხორციელებული მშვიდობის შენების ოპერაციები, რომლებიც შეთანხმების საფუძლევზე ხორციელდებოდა, შერეული ტიპის ან ისეთმა ჩარევებმა ჩაანაცვლა, რომლებიც გაეროს ხელმძღვანელობით არ ხორციელდება , ხოლო შეთანხმება ჯერ მიღწეული არ არის ან თავსმოხვეულია. ყურადღება მივაქციეთ რეკონსტრუქციის „დაგეგმარებაში არსებულ ხარვეზებს“, რომელიც გვაჩვენებს, რომ „ინტერვენცია-რეკონსტრუქცია-გაყვანის“ ოპერაციები საერთაშორისო უნდა იყოს. რიგ შემთხვევებში საომარი მოქმედებების თავდაპირველი მოთხოვნების მიუხედავად ომის შემდგომი რეკონსტრუქცია ეროვნული ორგანიზაციების, სამოქალაქო-სამხედრო და საშინაო-მულტინაციონალურ/მულტილატერალურ (მრავალმხრივ) პარტნიორობას და კოორდინირებულ ძალისხმევას საჭიროებს. მშვიდობის მოპოვებას ომში გამარჯვებაზე მეტი ძალისხმევა სჭირდება. ჩვენ შევქმენით მატრიცა, სადაც ამოცანები სექტორებისა და ფაზების მიხედვით დავყავით (ფოკუსი 8.2). ეს სექტორები ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული; მესამე ფაზის ერთობ ამბიციური მიზნები კი ყველა ფაზაში, თავიდანვე უნდა იყოს გათვალისწინებული. ამისათვის ქვეყნის შიდადა შუამავალ მხარეს შორის ეფექტური თანამშრომლობაა საჭირო. პირველ ფაზაში (რომელიც დაუყოვნებლივ მოსდევს ჩარევას), როდესაც კონფლიქტი ჯერ კიდევ გრძელდება, მშვიდობის დაცვისა და ელიტური მშვიდობის დამყარების კომპონენტები დომინირებს. თუმცა, როგორც მეექვსე თავში აღვნიშნეთ, ომის შემდგომი რეკონსტრუქციის კონტექსტში, სამხედრო ძალებმა მთლიანი სამშვიდობო პროცესი კონფლიქტების მოგვარების სცენარის მიხედვით უნდა წარმართონ. მეორე ფაზაში (სტაბილიზაცია) გარდაუვალი დაძაბულობაა პოლიტიკური სტაბილურობის მოთხოვნებს, რომლებიც მშვიდობისმყოფელთა შეიარაღებული ძალების უსაფრთხო გამოყვანის საშუალებას იძლევა და გრძელვადიანი ნორმალიზაციისა და ტრანსფორმაციის ნორმებს შორის, რომლებმაც ამ ჩარევას ლეგიტიმაცია მიანიჭა.სახელმწიფოს შენების ფაზაში სამთავრობო სექტორი და სტრუქტურული მშვიდობის შენების პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანები დომინირებს. ამ დროს მასპინძელ ქვეყანაში სამშვიდობო ძალების ქვეყნიდან გასვლა მდგრადი მშვიდობის შენებისკენ მიმართულ, პოლიტიკური სტაბილურობის ფუნქციად უნდა აღიქვან. ყველა ამ ეტაპზე აუცილებელია მოლაპარაკებებში მხარეთა ჩართვა, პოლიტიკური სივრცის გახსნა, შეთანხმების ახალი საფუძვლების პოვნა და მისი ახალ ჩარჩოში მოქცევა. ბოლოს კი, მესამე ფაზაში (ნორმალიზაცია), და მის მიღმა, შესაძლებელია კონფლიქტის სრული მოგვარება და მისი მიზნების ტრანსფორმაცია. ამ შემთხვევაში წინა პლანზე კულტურული მშვიდობის შენება და სოციალურ-ფსიქოლოგიური სექტორი გადმოდის, რაზეც შემდეგ თავში გვექნება საუბარი.

რეკომენდირებული ლიტერატურა

Cousens et al., (2000): Ghani and Lockhart (2008); Hampson (1996); Jarstad and Sisk (2008); Lund (2003): Paris (2004); Paris and Sisk (2009): Feychler and Paffenholz (2001); Stedman et al. (2002).

მეცხრე თავი

მშვიდობის შენება

მერვე თავში ვნახეთ და დავრწმუნდით, რომ მშვიდობის შენება სახელმწიფოს შენებასა და რეკონსტრუქციაზე გაცილებით ფართო ცნებაა. წინა თავებში აღვნიშნეთ ისიც, რომ კონფლიქტების მოგვარების დარგის ცენტრალურ საკითხს მშვიდობის შენება წარმოადგენს, რაზეც ჯერ კიდევ იოჰან გალტუნგის პიონერულ ნაშრომში იყო საუბარი (1975). ეს დღესდღეობითაც მნიშვნელოვანია, რადგან იგი ცივი ომის დასრულების შემდეგ, ომის შემდგომი რეკონსტრუქციის მრავალი ასპექტის მდგრად საფუძველს წარმოადგენს. მოცემულ თავში მის მიერ თანამედროვეობაში შეტანილ წვლილზე ვისაუბრებთ; მაგ., იმაზე თუ მშვიდობის შენების რა პრინციპებია ჩაშენებული საერთაშორისო ინსტიტუტებში, რა კრიტერიუმებით ფასდება მშვიდობის შენების ღონისძიებები და იმას თუ როგორ გაფართოვდა და თავის თავდაპირველ ფარგლებს გასცდა იგი. თავდაპირველად მშვიდობის შენება ძირითადად „ქვემოდან ზემოთ“ მიმართულ პროცესად წარმოედგინათ, რაზეც ამ წიგნის პირველ გამოცემაში იყო საუბარი. დღესდღეობით უკვე ნათელია, რომ მშვიდობის ქვემოდან შენება არც პანაცეაა და არც ჯადოსნური ჯოხი, რადგან მის მიღმა ხშირად კორუმპირებული და საკუთარი ინტერესების მიხედვით მოქმედი აქტორების საქმიანობა იმალება. ყველაფრის გათვალისწინებით შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ მშვიდობის ქვემოდან შენების განხილვა კონფლიქტის მოგვარების ფართო პროცესის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია; დაუშვებელია გლობალური და მაღალი დონის ძალების უგულვებელყოფა, რომლებიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ ადგილობრივ თემებზე. საჭიროა ადგილობრივ ან სპეციფიკურ ღირებულებებსა და ინტერესებზე მოლაპარაკება და მათი უნივერსალური ადამიანური ღირებულებებით ლეგიტიმიზაცია - მაგ., მშვიდობის სამართლიანობის კომპონენტით, რომლის მიზანი ადამიანის უფლებებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა. ამ წიგნში უკვე ვისაუბრეთ რა საფრთხეებთანაა დაკავშირებული „უნივერსალური ღირებულებების“ დანერგვის გაუაზრებელი მოწოდებები. ვთვლით, რომ მშვიდობის დარგში განსაკუთრებული როლი განათლებას ეკისრება, რის გამოც იგი ომის შემდგომი მშვიდობის შენების პროცესის განუყოფელ კომპონენტად უნდა იქცეს. უპირატესობა უნდა მიენიჭოს მშვიდობას (არაძალადობას), უნდა დაიწყოს პროცესი, რომელსაც ოლივერ რიჩმონდი უწოდებს „მედიის საშუალებით“(via media) (იხ. ქვემოთ) და რომელიც ლოკალური-განსაკუთრებული და უნივერსალური ღირებულებებისა და ინტერესების შესახებ მოლაპარაკების საშუალებას იძლევა.

ცივი ომის შემდგომი პერიოდის საერთაშორისო ომების შემდგომი რეკონსტრუქციის მიზნით გაწეული ძალისხმევის შეჯამებისას მარკ ჰოფმანი კითხვას ასე სვამს: „რაღა დარჩა ლიბერალური მშვიდობისგან?“ და თავადვე პასუხობს, ნამდვილი მშვიდობის შენება ძალით თავს მოხვეულ და ბიუროკრატიულ სტრუქტურებზე უარის თქმას გულისხმობს; საჭიროებს გაცილებით მეტ სენსიტიურობას და ადგილობრივი პირობების უკეთ გააზრებას, მზაობას სხვათა აზრის მოსასმენად, რომელიც ხშირ შემთხვევაში ერთმანეთის საწინააღმდეგოა, მაგრამ გასათვალისწინებელია, თუ მშვიდობის შენების ინკლუზიური, „კოლექტიურ განსჯაზე“ დაფუძნებული პროექტის მიღება გვსურს:

პირველ რიგში უარი უნდა ვთქვათ პატერნალისტურ, ტექნოკრატიულ, ყველა შემთხვევისათვის საერთო მშვიდობის შენებაზე. უნდა გადავიდეთ ქვემოდან ზემოთ მიმართულ, საზოგადოების შენებაზე ორიენტირებულ მიდგომაზე; აუცილებელია ადგილობრივ დინამიკაში კრეატიულად

და დინამიკურად ჩართვა ისე, რომ „ადგილობრივთა გარომანტიულების“ ხაფანგში არ გავებათდა ძალადობის და/ან უთანასწორობის არსებული სტრუქტურები არ განვამტკიცოთ. სწორ საძირკველზე აგებული მშვიდობა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს, მოთხოვნილებებსა და მისწრაფებებს უნდა ასახავდეს და არა საერთაშორისო მშვიდობის მშენებელი საზოგადოებისას. თუ შეკითხვას ასე დავსვამთ რისი მიღწევა გვსურს „ჩვენ?“, საკითხისადმი მიდგომა სათავეშივე მცდარი იქნება. (Hoffman, 2009:11).

ამ მოსაზრებას ალბათ კონფლიქტების მოგვარების დარგის სხვა მკვლევრებიც ეთანხმებიან (Lederach and Moomaw, (2002)), Keating and Knight (2004), Richmond (2008)). 9.1. ფოკუსი მოცემული წიგნის ძველი გამოცემიდან არის გადმოღებული არა იმიტომ, რომ ამომწურავი და ყოვლისმომცველია, არამედ იმისთვის, რომ გაჩვენოთ რამდენად გამძლე და თანმიმდევრულია კონფლიქტების მოგვარების კრიტიკა 1990-იანი წლების შემდეგ განხორციელებული სახელმწიფოსა და მშვიდობის შენების ოპერაციების განხილვისას. კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით ომის შემდგომი სამშვიდობო ოპერაციების უმთავრესი მიზანი დასავლური ნორმების დანერგვა კი არა, ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინება უნდა იყოს; ამისათვის სახელმწიფოს მხრიდან საჭიროა ადეკვატური ფუნქციონირება და მოსახლეობის მოთხოვნილებების გათვალისწინება (ეფექტური მმართველობა); საჭიროა ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციის გამართვა და მათი ამ პროცესში ჩართვა (ლეგიტიმური მმართველობა). აქედან გამომდინარე, მათ შორის არსებული დაძაბულობის მიუხედავად მერვე თავში განხილული სახელმწიფოს შენების კონცეფცია მშვიდობის შენების ფართო საკითხებისგან განუყოფელია.

ფოკუსი 9.1. ჩარევა-რეკონსტრუქცია-გაყვანის ტრანსფორმაციონისტული კრიტიკა

1989-2009 წლების ტრანსფორმაციონისტულ კრიტიკაში სულ მცირე რვა კომპონენტი გამოიყოფა:

1. აქცენტი კეთდება „ქვემოდან-ზემოთ“ მიმართული მიდგომის გამოყენებასა და მკვიდრიმოსახლეობის ჩართულობაზე და არა „ზემოდან-ქვემოთ“ მიმართულ მიდგომაზე;

2. სოციალურ–ფსიქოლოგიური ასპექტების უგულვებელყოფასთან დაკავშირებული კრიტიკა; 3. უკმაყოფილება ღონისძიებათა რიგითობისა და შეზღუდული ვადების გამო, რაც მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივებში გაწერილი პრიორიტეტული ღონისძიებების ზუსტად დადგენას ართულებს;

4. კონფლიქტის მოგვარების მიზნით ჩართული ძალების მოტივების ეჭვ ქვეშ დაყენება; ასეთი ძალების მხრიდან დაჟინებით ითხოვენ მასპინძელი მოსახლეობისა და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას;

5. მეტი აქცენტი გენდერულ თანასწორობაზე;

6. მეტი კულტურული სენსიტიურობის მოთხოვნა;

7. არასამხედრო სიტუაციებში სამხედრო ჩარევის განხორციელებით და სიტუაციაზე კონტროლის მოპოვებით გამოწვეული უკმაყოფილება, პროტესტი. 8. უკმაყოფილება გამოწვეული იმით, რომ იმას, რაც 1990-იან წლებში გაეროს მიერ მართული ოპერაციები იყო, დღესდღეობით მეტი სამხედრო ძალის მქონე ქვეყნები მართავენ; გაერო სულ უფრო და უფრო განზე დგება და მხოლოდ ფორმალური ორგანოს ფუნქცია აქვს შენარჩუნებული.

მშვიდობის შენების მოდელის ჩართვა საერთაშორისო პოლიტიკაში

1990-იან წლებში კონფლიქტების პრევენციისა და გენდერულად სენსიტიური საკითხები საერთაშორისო ორგანიზაციების დღის წესრიგის ნაწილი გახდა (რაზეც მეხუთე თავში ვისაუბრეთ და კვლავ დავუბრუნდებით მეცამეტეში), ომის შემდგომი მშვიდობის შენება კი იმ აქტორთა პოლიტიკის ამოცანად იქცა, რომლებსაც საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარებაში თავის დამკვიდრება სურთ. მე-6 და მე-8 თავებში კონფლიქტის შემდგომი მშვიდობის იდეის შექმნისა და ჩამოყალიბების შესახებ ვისაუბრეთ, რის შედეგადაც 1992 წელს გაერომ „მშვიდობის პროგრამა“ მიიღო, ხოლო 1995-ში კი „მშვიდობის პროგრამის დამატება“. იქვე განვიხილეთ „გაეროს მშვიდობის შენების კომისიის“ შექმნაც. კონფლიქტების შემდგომი მშვიდობის შენების პროცესში ერთ-ერთ წამყვან მოთამაშედ მსოფლიო ბანკი ჩამოყალიბდა. 1997 წლიდან, მსოფლიო ბანკის „კონფლიქტების პრევენციისა და რეკონსტრუქციის განყოფილების“ ფარგლებში მოქმედებს “კონფლიქტების შემდგომი ფონდი“. მშვიდობის დამყარებიდან ხუთი წლის განმავლობაში სამოქალაქო ომიდან ახლად გამოსულ ქვეყანას კონფლიქტის ქარ-ცეცხლში თავიდან გახვევის საშუალოდ 50 პროცენტიანი შანსი აქვს; მთელი ერთი თაობის შრომა სჭირდება იმ სტანდარტზე დაბრუნებას, რომლითაც ქვეყანა კონფლიქტის წინა პერიოდში ცხოვრობდა. ამის გამო მსოფლიო ბანკი თავისი თანხების დიდ ნაწილს ომის შედეგების აღკვეთისკენ მიმართული პროექტების დაფინანსებაზე მიმართავს. მის მიერ მყიფე და კონფლიქტების

ქარ-ცეცხლში გახვეულ ქვეყნებში წარმოებულ მხარდაჭერით სამუშაოებს „მყიფე და კონფლიქტის ქვეშ მყოფი ქვეყნების ჯგუფი“ ახორციელებს, რომელმაც 2008 წელს ახალი „სახელმწიფო და მშვიდობის შენების ფონდი“ (SPF) შექმნა. მან ორი ადრე არსებული ფონდი „კონფლიქტების შემდგომი ფონდი“ და „დაბალშემოსავლიანი, სტრესის ქვეშ მყოფი ქვეყნების ფონდი“ (LICUS) ჩაანაცვლა. მსოფლიო ბანკი თავის მშვიდობის შენების პროგრამებს სამი თემატური სფეროს გარშემო წარმართავს: გენდერული ძალადობა, ძალაუფლების ახალგაზრდობისთვის გადაცემა, მათი დასაქმება და თემისმონაწილეობით მიმდინერე განვითარება. . ეს საკითხები მშვიდობის შენების უფრო მასშტაბურ ამოცანებს უკავშირდება, რომლებიც კონკრეტული კონფლიქტის ღრმად ფესვგადგმული გამომწვევი მიზეზების ტრანსფორმაციისკენაა მიმართული. მაგალითად, ტაილანდში სადაც 2004 წლის შემდეგ სამხრეთის სამ პროვინციაში პატანი, იალა და ნარატაივატი, მალაი მუსლიმების ძალადობრივ, სეპარატისტულ ამბოხებას ჰქონდა ადგილი, მსოფლიო ბანკი მშვიდობის შენების პროგრამას აფინანსებს, რომლის მიზანიც ადგილობრივ თემებს და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და ასევე ტაის სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ნდობის გაჩენაა. პროექტი მსოფლიო ბანკის საზოგადოებრივი განვითარების კატეგორიაშია შეტანილი, მაგრამ პირველმა ფაზამ ცხადყო, რომ მას განმტკიცება სჭირდებოდა - სამხრეთ ტაილანდში მცხოვრებ თემებს უკეთ უნდა გაეაზრებინათ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, რისთვისაც საჭირო იყო მშვიდობის შესახებ ცნობიერების ამაღლება, რაც არაძალადობის შესახებ დიალოგის წარმართვის შესაძლებლობას შექმნიდა და მშვიდობის დამყარების პერსპექტივას განამტკიცებდა; ასევე მოხდებოდა სხვა კონფლიქტური რეგიონების ცოდნის გაზიარება.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ამ წიგნის მეორე გამოცემის გამოსვლის შემდეგ, მნიშვნელოვნად გაიზარდა მშვიდობის შენების კონკრეტული პროექტების შესახებ არსებული ინფორმაციის მასშტაბები და ხარისხი; მშვიდობის შენების საქმეში ჩართულია უამრავი ორგანიზაცია დაწყებული მსოფლიო ბანკითა და გაეროთი, ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციებით დამთავრებული. დღესდღეობით მსოფლიო ბანკს 2008 წელს დაარსებული საკუთარი საჯარო მონაცემთა ბაზა “State and Peace-Building Grant Database” აქვს, რომელშიც 2009 წელს 43 ქვეყანაში განხორციელებული სამასამდე პროექტი და 44 სხვადასხვა ქვეყნის პროფაილია აღნუსხული (http://info.worldbank.org/etools/fragilityandconflict/database_external.asp).

ნიდერლანდებში დაფუძნებულ „ევროპის კონფლიქტების პრევენციის ცენტრს“ იმ 1000 სამოქალაქო ორგანიზაციის კვლევის მონაცემთა ბაზა აქვს, რომლებიც მსოფლიოს მასშტაბით მშვიდობის შენების საქმეში არიან ჩართულები (People Building Peace Global Directory www.conflict-prevention.net). “მშვიდობის შენების პორტალზე“ (შექმნილია გაეროს სოციალური და ეკონომიკურ საქმეთა დეპარტამენტის, UNDP-ის, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და აფრიკის კავშირის მიერ) 577 არასამთავრობო, აკადემიური, სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციაა აღნუსხული, რომლებიც მსოფლიოში მშვიდობის შენებისთვის იბრძვის. ამ არასამთავრობო ორგანიზაციათაგან ზოგიერთს მშვიდობის შენებისადმი ისეთი მიდგომები აქვს შემუშავებული, რომლებიც საერთაშორისო და ადგილობრივ დონეებს შორის არსებულ სიცარიელეს ავსებს და პრაქტიკული და თეორიული თვალსაზრისით ერთობ მნიშვნელოვან შედეგებს აღწევს.მაგ., “International Alert”-ის წარმომადგენელი დენ სმითი (2004: 27-8) თავის ანგარიშში, რომელსაც გერმანიის, ჰოლანდიის, ნორვეგიისა და ბრიტანეთის მთავრობების მშვიდობის შენების კუთხით გაწეული

საქმიანობის შესწავლის საფუძველზე აქვეყნებს, აცხადებს, რომ სტანდარტული ოპერაციული პროცედურების ხელსაწყოების ყუთის ნაცვლად, კონფლიქტს მოგვარების მიზნით ჩართულ ძალებს „მშვიდობის შენების პალიტრა“ უნდა ჰქონდეთ, რომლიდანაც ძირითად ფერებს შეარჩევენ, მერე შეაზავებენ (როგორც საღებავების შემთხვევაში ხდება ხოლმე) და კონკრეტულ სიტუაციებს მოარგებენ. ცნობილია სმითის ოთხი ფერის გამა, რომელზეც მერვე თავში, 8.2. ფოკუსში განხილულ სექტორულ შეფასებაში ვიმსჯელეთ:

- უსაფრთხოება(განიარაღება, დემობილიზაცია და მებრძოლთა რეინტეგრაცია, მათ შორის ბავშვი ჯარისკაცების კონტროლი; უშიშროების სექტორის რეფორმა; განნაღმვა; ცეცხლსასროლი და მსუბუქი იარაღი).

- პოლიტიკური ჩარჩო (პარტიათა დემოკრატიზაცია, მედია, არასამთავრობო ორგანიზაციები, დემოკრატიის კულტურის ჩანერგვა; კარგი მმართველობა ანგარიშვალდებულების, კანონის უზენაესობის, იუსტიციის სისტემის საშუალებით; ინსტიტუტების ჩამოყალიბება ; ადამიანის უფლებების პოპულარიზაცია);

- სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლები (ფიზიკური რეკონსტრუქცია: ეკონომიკური ინფრასტრუქტურა; განათლებისა და ჯანდაცვის ინფრაქტრუქტურა; რეპატრიაცია და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება; სურსათის უვნებლობა);

- შერიგება და სამართლიანობა (დიალოგი ანტაგონისტური ჯგუფების ლიდერებს შორის; დიალოგი მკვიდრ მოსახლეობას შორის; სხვა ღონისძიებები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება უთანხმოების დაძლევა; სიმართლისა და შერიგების კომისიები; ტრავმის თერაპია და მოშუშება).

ამ ჩარჩოს მიხედვით, მშვიდობის შენების პროცესის ინსტიტუციონალიზაციისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაეროს ჩართვა მშვიდობის შენების საქმეში. უამრავი ანგარიში დაიწერა და ბევრი მოკვლევა ჩატარდა გაეროს სისტემის წარუმატებლობის გამო, როდესაც მან 1992 წლის მშვიდობის პროგრამის მოთხოვნების შესრულება ვერ შეძლო და მარცხი იწვნია სომალიში, რუანდასა და ყოფილ იუგოსლავიაში შექმნილ მძიმე ვითარებაში (რაზეც მე-6 თავში ვისაუბრეთ). დაიწყო საუბარი იმ რეფორმების გატარების აუცილებლობაზე, რომლებიც გაეროს სისტემაში მშვიდობის შენების ინსტიტუციონალიზაციას მოახდენდა. გამოქვეყნდა ორი მნიშვნელოვანი ანგარიში; ერთი - 2004 წლის დეკემბერში (the UN High Level Panel on Threats, Challenges and Change), მეორე კი 2005 წლის მარტში (კოფი ანანის *In Larger Freedom),* რომლებშიც გაისმა ისეთი ორგანოს შექმნის მოწოდება, რომელიც მშვიდობის შენებას შეუწყობდა ხელს. ახალი ინერცია შეიძინა ომის შემდგომი მშვიდობის შენების პოლიტიკურმა ნებამ, რაც სამშვიდობო შეთანხმებების ხშირი ჩაშლით იყო განპირობებული. 2005 წლის სექტემბერში, ნიუ-იორკში გაეროს შტაბ-ბინაში ჩატარებულ სამიტზე მიაღწიეს შეთანხმებას „მშვიდობის შენების კომისიის“ (Peacebuilding Commission (PBC)) შექმნის თაობაზე, რომელსაც უნდა ეარსება გაეროს სისტემის ფარგლებში და მთავრობათაშორისი საკონსულტაციო ორგანო ყოფილიყო. გადაწყვეტილება გაეროს ასამბლეის 2005 წლის სექტემბრის შედეგების დოკუმენტის (Outcome Document of September 2005)[1]სახით გაფორმდა.

მშვიდობის შენების კომისიის საქმიანობა მე-8 თავში განვიხილეთ და სახელმწიფოს შენებისა და რეკონსტრუქციის თვალსაზრისით მისი მოკლე შეფასებაც შემოგთავაზეთ. ახლა კვლავ

ვუბრუნდებით ამ თემას, მაგრამ მასზე უფრო ფართო, მშვიდობის შენების თვალსაწიერიდან ვიმსჯელებთ. მშვიდობის შენების კომისიის მანდატი მას სამი სხვადასხვა მხრივ საქმიანობის უფლებას აძლევს: პირველი - კონსულტაციები გასცეს კონფლიქტის შემდგომი მშვიდობის შენებისა და აღდგენის ინტეგრირებული სტრატეგიების შესახებ; მეორე - განკარგოს ფინანსები ადრეული აღდგენითი სამუშაოებისა და მდგრადი რესურსებისთვის საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში; და მესამე - პოლიტიკურ, უშიშროების, ჰუმანიტარულ და განვითარების აქტორებთან ერთად მშვიდობის შენების საუკეთესო პრაქტიკა შეიმუშაოს. 31 წევრისაგან დაკომპლექტებულ მშვიდობის შენების კომისიის ორგანიზაციულ კომიტეტს ზურგს უმაგრებს ნიუ-იორკში, გაეროს სამდივნოსთან არსებული მშვიდობის შენების ხელშემწყობი სამსახური (PBSO) და მშვიდობის შენების ფონდი (PBF). კომისიამ საქმიანობა 2006 წლის ოქტომბერში სიერა ლეონესა და ბურუნდის მშვიდობის შენების საჭიროებების შესწავლით დაიწყო; 2009 წლის მიწურულს იგი რამდენიმე აქტიურ პროექტს ახორციელებდა, რომლის ფარგლებშიც დახმარებას უწევდა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, კოტ-დ'ივუარში, გვინეაში, ჰაიტიში, ლიბერიაში, კენიაში, კომოროს კუნძულებზე, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სიერა ლეონეში, სომალიში, აღმოსავლეთ ტიმორსა და ნეპალში მიმდინარე სამშვიდობო პროცესებს. კომისიის ასეთი მრავალმხრივი მანდატის მიუხედავად მშვიდობის შენებისთვის უმნიშვნელო თანხები იყო გამოყოფილი - 12 ქვეყანაში განხორციელებულ 100 პროექტზე სულ 165 მილიონი აშშ დოლარი. 2009 წლის მიწურულს ამ თანხის დიდი ნაწილი ორ პრიორიტეტულ ქვეყანაზე - სიერა ლეონეზე (35 მილიონი დოლარი) და ბურუნდიზე (35 მილიონი დოლარი) დაიხარჯა (UN PBC www.unpbf.org/index.shtml).

მერვე თავში შედარებით ზედაპირულად განვიხილეთ მშვიდობის შენების კომისიის საქმიანობა, თუმცა, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მშვიდობის შენების პოლიტიკა სიმწიფის ასაკში შევიდა და მისი ინსტიტუციონალიზაცია მოხდა; იგი „ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ომის" გავლენასაც გადაურჩა, თუმცა, რაღაც მომენტში (როცაამ წიგნის მეორე გამოცემა მზადდებოდა) მისი საქმიანობა შესუსტდა და თითქოს კურსიც შეიცვალა. სამხედრო მოქმედებების მშვიდობის შენების მტკიცე ჩარჩოში მოქცევის ამაო ძალისხმევამ ავღანეთსა და ერაყში თვალნათლივ გვაჩვენა, რატომ ითვლება საერთაშორისო საზოგადოებისთვის პრიორიტეტულად მშვიდობის შენება და „ხელმოცარული სახელმიწფოების გადარჩენა". 2009 წლის მიწურულს მსოფლიო ბანკს მშვიდობის შენების პროექტებისა და პროგრამების ეფექტურობის შეფასების მეთოდოლოგიის დასახვეწად გაეროს მშვიდობის შენების კომისიასთან თანამშრომლობა ჰქონდა დაგეგმილი (მსოფლიო ბანკი, 2009) (იხ. ქვემოთ). უკანასკნელ ხანებში გამოჩნდა კონკრეტული პროექტების შემსწავლელი კვლევები, რომელთა მიზანიც მშვიდობის შენების საერთო ეფექტურობის გაზრდაა (მაგ., სიერა ლეონეს სიტუაციის ანალიზი იხ. Curran and Woodhouse, 2007).

მშვიდობის შენების გარშემო მიმდინარე დებატები და დისკურსი: პროგრამებს მიღმა და კონფლიქტების მოგვარების ემანსიპატორული ეთიკისკენ

მშვიდობის შენების ხელშეწყობის საქმიანობის ინსტიტუციონალიზაციისა (რაც გარკვეულწილად გაეროს მშვიდობის შენების კომისიის შექმნაშიც გამოიხატება) და ზემოთ განხილული საქმიანობების პარალელურად, მომრავლდა კონფლიქტების შემდგომი მშვიდობის შენების შესახებ შექმნილი ლიტერატურა, რომელიც იმ დონემდე მომწიფდა, რომ მშვიდობის შენების დისკურსის სტრატეგიული მიზანი და იდოლოგიური შინაარსი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა და გადააფასა. მოცემულ თავში ამ საკითხის გარშემო მიმდინარე

დებატებსა და დისკურსზე გვექნება საუბარი; გადავაფასებთ კონფლიქტების მოგვარების დარგის ღირებულებებს, მათ შორის იმ თვალსაზრისსაც, რომლის თანახმადაც აუცილებელია ეთიკური განზომილების არსებობა, რომელიც მშვიდობის შენების პროექტების სამიზნე თემთა მოთხოვნილებებს გაითვალისწინებს (Murithi and Dower, 2008).

მშვიდობის შენებისა და მისი მნიშვნელობის გარშემო მიმდინარე დებატი, კიდევ უფრო მასშტაბურ კითხვებს ბადებს, რომლებზე პასუხის გაცემასაც ამ წიგნის მეორე ნაწილში შევეცდებით; ეს კითხვები ისმის როგორც მშვიდობისა და კონფლიქტის თეორიის ასევე ამ დარგის განვითარების სამომავლო პერსპექტივების მისამართითაც. რას წარმოადგენს მშვიდობის შენება? რის მიღწევას ცდილობენ მშვიდობის მშენებლები? როგორ აშენებენ ისინი მას? ეს კითხვები კიდევ უფრო ფუნდამენტურ კითხვებს ბადებს კონფლიქტების მოგვარების ბუნებისა და იმ მშვიდობის მისამართით, რომლის შენებისკენაც იგი ისწრაფვის. ოლივერ რიჩმონდი თვლის, რომ ის ონტოლოგია, ეპისტომოლოგია, თეორიები და მეთოდები, რომლის საშუალებითაც მშვიდობის არსს იკვლევენ, მრავალი საკითხის გათვალისწინებას და ინტერდისციპლინარულ კვლევას საჭიროებს; მისი ჰიბრიდულობისა და განსხვავებულობისთვის მზად უნდა ვიყოთ. ჩვენ მას ვეთანხმებით იმაში, რომ ემანსიპატორული ნორმის დასაკმაყოფილებლად, რომელიც ნეგატიური (უსაფრთხოება, შიშისგან თავისუფლება) და პოზიტიური (ადამიანის პოტენციალის განვითარება) მშვიდობის შერწყმას გულისხმობს (დაარსებიდან თან სდევდა ამ დარგს) კონფლიქტების მოგვარება მშვიდობის შენების სხვადასხვა კონცეფციისადმი ღია უნდა იყოს; თავი უნდა აარიდოს ტექნიკური და იდეოლოგიური შაბლონების გამოყენებას; როგორც რიჩმონდი ამბობს, საჭიროა „მშვიდობის ისეთ დისკურსულ პრაქტიკაზე მოლაპარაკება, რომელშიც ჰეგემონიის, ბატონობის და ჩაგვრის პრობლემა იდენტიფიცირებული და გადაჭრილია“ (Richmond, 2008:163). მაშასადამე, მშვიდობის შენება მოლაპრაკებული, დისკურსული პრაქტიკის პროდუქტი უნდა იყოს და არა ტექნიკურად დადგენილი და გარედან თავს მოხვეული შაბლონის. ამჟამად კონფლიქტების მოგვარების დარგში მიმდინარე დებატები ამ გამოწვევას ეხმიანება და მშვიდობის შენების მოლაპარაკებებზე დაფუძნებული, დისკურსული ღერძის ჩამოყალიბებას ცდილობს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მშვიდობის შენების სადავო კონცეფცია

თავდაპირველად მშვიდობის შენებას ცალსახად კეთილი მიზნებით განხორციელებულ საქმიანობად განიხილავდნენ, რომელსაც მოტივაციას ინტერნაციონალისტური დღის წესრიგის ამოცანები აძლევდა, იყო ინკლუზიური და მათ სასიკეთოდ მიმართული, ვინც კონფლიქტში ზიანსა და ტრავმას განიცდიდა. ასეთად იყო იგი წარმოდგენილი ფორმალურ დოკუმენტებში და „მშვიდობის პროგრამის“ დისკურსსა და იმ ანგარიშებსა თუ მოხსენებებში, რომელმაც 2004-2005 წლებში მშვიდობის შენების კომისიის შექმნას დაუდო საფუძველი. როდესაც ეს ტერმინი ომის შემდგომი რეკონსტრუქციის მთავარი მამოძრავებელი ძალის აღსანიშნად დამკვიდრდა, მკვლევრებმა და კრიტიკოსებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს მშვიდობის შენების პროგრამის ის ასპექტები, რომლებიც წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკაში იყო გათვალისწინებული. მაგ., როჯერ მაკ გინტი შიშობს, რომ შესაძლებელია, მშვიდობის შენება ფუნქციონალურ და ტექნოკრატიულ საქმიანობად იქცეს, რომლის ფარგლებშიც „გარკვეულ საქმიანობებს პლუსებს დაუსვამენ, თავებსა და იარაღს გადათვლიან, კონსტიტუციებში ცვლილებებს შეიტანენ და საცხოვრებელი ერთეულების რეკონსტრუქციას მოახდენენ“ (Mac Ginty, 2006: 3-4). ასეთი მშვიდობა ემანსიპატორული

არ არის, ეს იმ ჰეგემონი სახელმწიფოების მიერ დამყარებული ლიბერალური მშვიდობაა, რომელთა მიზანსაც ისეთი მსოფლიო წესრიგის სტაბილიზაცია წარმოადგენს, რომელშიც მდიდრები და ძლიერები ბატონობენ; მისი მიზანი ძალადობისგან გათავისუფლება და მისი ტრანსფორმაცია არ არის. ბოლოდროინდელი კვლევები ეხმიანება რიჩმონდის მოწოდებას კვლევის ისეთი პროგრამების შექმნის აუცილებლობის შესახებ, რომელიც ლიბერალური მშვიდობის იდეას გახსნის და შემადგენელ ვარიანტებად დაშლის. ჰეზერშოუს (2008) აზრით, საჭიროა არა მშვიდობის შენება არამედ „მშვიდობების შენებება“. იგი მშვიდობის შენების დისკურსებს განსხვავებულ კატეგორიებად ჰყოფს და მაიკლ ბენკსის (1987) მშვიდობის ოთხი საწყისი კონცეფციიდან სამს იშველიებს. ბენკსი მშვიდობის კონცეფციებს ლიბერალური მშვიდობის სამი ვარიანტის მიხედვით განიხილავდა (i) კონსერვატორული წესრიგი-სტაბილურობაზე დაფუძნებული ვარიანტი, რომელიც მშვიდობის შენების სპექტრის ბოლოში არსებულ სახელმწიფოს შენებას უთანაბრდება;(ii) ორთოდოქსალური ლიბერალური მშვიდობის შენების მოდელი, რომელიც პლურალიზმსა და დემოკრატიულ რეფორმებს უთანაბრდება (დემოკრატიული მშვიდობის შენება); (iii) სამართლიანობა-ემანსიპატორული ვარიანტი, რომელიც მშვიდობის ისეთ შენებას ნიშნავს, რომელშიც სამოქალაქო საზოგადოება დომინირებს (Heathershaw, 2008). ეს კატეგორიზაცია სრულ შესაბამისობაშია მე-6 თავში განხილულ მშვიდობის შენების კატეგორიებთან. ბოგი და მისი კოლეგები (2009) ემანსიპატორულ მშვიდობას განიხილავენ, რომლის თანახმადაც იმ ადგილების კლასიფიკაცია, სადაც მშვიდობის შენება მიმდინაროებს, „ხელმოცარული სახელმწიფოების“ კატეგორიებით კი არა „ჰიბრიდული პოლიტიკური წესრიგის“ მიხედვით უნდა მოხდეს, ხოლო მშვიდობის შენება კი “გლობალური სამხრეთის ეგრეთ წოდებული მყიფე რეგიონების საზოგადოებების ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ელასტიურობის“ გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს; ისინი თვლიან, რომ სომალილენდსა (იხ. მე-6 თავში მოცემული სიტუაციის ანალიზი) და ბუგენვილში არსებული სიტუაცია ამ მოდელის ქმედუნარიანობას ცხადყოფს (Boege et al., 2009: 599). თითოეულ ამ დისკურსს თავისი მომხრეები ჰყავს და სათანადო ლიტერატურაც არსებობს, რომელსაც ჰეზერშოუ იშველიებს და განიხილავს.[2]

1990-იან წლებში ფეხი მოიკიდა მშვიდობის შენების შემდეგმა ვარიანტებმა - სამოქალაქო საზოგადოება, ხალხი-ხალხთან ან მშვიდობის ქვემოდან შენება, მაგრამ 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებმა და ტერორიზმის წინააღმდეგ დაწყებულმა ომმა კვლავ წამოატივტივა სტაბილურობა-წესრიგი-სახელმწიფოს შენების დისკურსი და პოლიტიკა, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა აშშ-ს ადმინისტრაციისა და მისი მოკავშირეებისთვის და მათ მიერ ერაყსა და ავღანეთში წარმოებული პოლიტიკისათვის. ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეულის მიწურულს, კონფლიქტების მოგვარების საზოგადოებაში (რაზეც მე-6 თავში ვისაუბრეთ) კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ იმას თუ რამდენად გამართლებულია სახელმწიფოს შენებისა და რეჟიმის ცვლილების მიზნით გაწეულ ჩარევას „მშვიდობის შენება“ ეწოდოს. განსაკუთრებულ კითხვებს ბადებს სამხედრო ძალის ჭარბი გამოყენება, ავღანეთსა და ერაყში რეჟიმის შეცვლის მიზნით. მრავალი მოსაზრების თანახმად, ამ ოპერაციებისთვის მშვიდობის შენებად მონათვლა არამიზენშოწინილია (Rogers, 2007).

დღესდღეობით მშვიდობის შენების საწყისი კონცეფციის რელევანტურობის დადასტურებას და დახვეწას ცდილობენ. ამ კონცეფციაში მთავარი დისკურსებია ხალხი-ხალხთან, მშვიდობის ქვემოდან შენება და სამოქალაქო საზოგადოება. ამიტომ მოცემული თავის დასკვნით ნაწილში ამ კონცეფციას კონფლიქტების მოგვარების დარგის თვალსაწიერიდან

განვიხილავთ და მეორე - საწყის კონცეფციაზე 1990-იანი და 2000-იანი წლების მშვიდობის შენების გამოცდილების გათვალისწინებით ვიმსჯელებთ. მოცემულ თავს მშვიდობის შენების განახლებული ვარიანტით დავასრულებთ, რომელიც, ჩვენი აზრით, ტრანსფორმაციული და კოსმოპოლიტურია და შესაბამისობაშია მე-6 თავში განხილულ მშვიდობის დაცვის მოდელთან. ეს მოდელი უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივ საშუალებებს, მაგრამ ამავე დროს ადგილობრივი/კომუნის და საერთაშორისო/გლობალური პერსპექტივების ჩართვის აუცილებლობასაც აღიარებს. ოლივერ რიჩმონდი საკითხს ასე აღწერს:

> *ამ ინსტიტუტებს ქვემოდან ზემოთ მიმართული სოციალური ონტოლოგია უნდა ქმნიდეს ... რომელიც ორმხრივ ონტოლოგიასა და მშვიდობის მეთოდებს ეფუძნება. ეს არ ნიშნავს, რომ მშვიდობა არ უნდა იყოს ლეგიტიმური და ფორმალიზებული სამთავრობო, ინსტიტუციური ან კონსტიტუციური სტრუქტურებისა და სამართლებრივი ჩარჩოების დონეზე ... მაგრამ ისინი თანხმობას უნდა ეფუძნებოდეს და განსხვავებულობასა და ჰიბრიდულობას ითვალისწინებდეს ... მშვიდობის ქმედუნარიანმა კონცეფციამ ... ადგილობრივთა ლეგიტიმურობა ისეთი მოუქნელი დომინანტი ინსტიტუტებით არ უნდა ჩაანაცვლოს, რომლებიც ადგილობრივებს ჩრდილქვეშ მოაქცევს (Richmond, 2008:163).*

რიჩმონდი მშვიდობის შენების ასეთ ჰიბრიდულ დისკურსებს „შუალედურ გზას“ (via media) უწოდებს, ხოლო უფრო თანამედროვე კვლევების ავტორები კი თვლიან, რომ მშვიდობის შენება „მშვიდობის ჩრდილოურ ეპისტომოლოგიას“ უნდა გასცდეს (Liden et al., 2009a). მოცემული თავის დასასრულს ამ მოსაზრებას განვიხილავთ, შემდეგ მე-19 თავში კი კვლავ დავუბრუნდებით.

ჰიბრიდული მშვიდობა და მშვიდობის ქვემოდან შენება: კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივა

ფაზა 1: მშვიდობის ქვემოდან შენების იდეის საწყისები

კონფლიქტების მოგვარების დარგის პრაქტიკოსმა მეცნიერებმა, პირველებმა სრულიად ახლებურად დაინახეს კონფლიქტის შემდგომი მშვიდობის შენების დინამიკა და პროცესები და იმ აზრამდე მივიდნენ, რომ მშვიდობის დაცვის ეფექტური და მდგრადი პროცესი არა მხოლოდ ელიტის მიერ მიღწეულ სამშვიდობო შეთანხმებებს უნდა ემყარებოდეს არამედ, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ომის გამო გახლეჩილ თემებს მშვიდობის ქვემოდან შენების საშუალებას უნდა აძლევდეს, რისთვისაც ადგილობრივი აქტორებისა და არასამთავრობო სექტორის აღიარება და ადგილობრივი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებაა საჭირო. ასეთი მიდგომა მოქალაქეებისაგან წამოსულ სამშვიდობო ინიციატივებსგანამტკიცებს და საზოგადოებას პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას აძლევს, რასაც საბოლოო ჯამში სამოქალაქო საზოგადოების შექმნამდე მივყავართ. 9.1. ნახაზზე გრაფიკულადაა წარმოდგენილი სქემა, რომლის ფარგლებშიც შეიძლება მშვიდობის ქვემოდან შენება და მასში საზოგადოების ჩართვა განხორციელდეს.


სოციალურ-ეკონომიკური
ადგილობრივი მეწარმეები
სახელოსნო კოოპერატივები
ცნობილი
ბიზნესმენები/ინვესტორები
ადგილობრივი ჯანდაცვის მუშაკები
სოციალური მუშაკები
ახალგაზრდობის მუშაკები
მასწავლებლები/კურიკულუმების
შემდგენელები მედია სახეები
ცენტრალური
ფისკალური
ხელისუფლება
სასულიერო
ხელისუფლება
წვერი
იდენტობა
ადგილობრივ ეროვნულ
ადგილობრივ ეროვნულ ეთნიკურ
ადგილობრივ ეროვნულ ეთნიკურ
ადგილობრივ ეროვნულ ეთნიკურ
ეროვნულ ეთნიკურ
ეროვნულ ეთნიკურ

თვალსაზრისთანაც, რომელსაც ვრცლად მე-13 თავში განვიხილავთ; ამ თვალსაზრისის თანახმად, ყველაზე ძალადობრივ კონფლიქტებშიც კი ყოველთვის რჩება რაღაც სივრცე, რომელიც მშვიდობის კულტურის შენარჩუნების საშუალებას იძლევა. თვალსაზრისის ასეთი ცვლილების გამო კონფლიქტების მოგვარების ვექტორი შეიცვალა და „გარე ნეიტრალურიდან“ ადგილობრივ აქტორებთან თანამაშრომლობისკენ გადაინაცვლა. ამ მიდგომის მიერ განცდილი ევოლუცია თვალნათლივაა ილუსტრირებული ორი პრაქტიკოსი-მკვლევრის ადამ კერლის (იხ. მე-2 თავი) და ჯონ პოლ ლედერახის ნააზრევში. მთელი თავისი აკადემიური კარიერის განმავლობაში (რომელიც ოფიციალურად 1978 წელს მისი ბრედფორდის უნივერსიტეტის მშვიდობის კვლევების კათედრის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადადგომით დასრულდა) და „პენსიაზე“ ყოფნისასაც, კერლი, კვაკერი, აქტიურად იყო ჩართული მშვიდობის დაცვის საქმიანობაში. 1990-იან წლებში იგი „ოსიჯეკის მშვიდობის არაძალადობისა და ადამიანის უფლებების ცენტრთან“ თანამშრომლობდა, ანუ იქ, სადაც 1992 წელს სერბებსა და ხორვატებს შორის ყველაზე ძალადობრივი ომი მიმდინარეობდა. ამ პროექტში საქმიანობამ კერლი დაარწმუნა, რომ კონფლიქტით განცდილი ტრავმა და პრობლემები იმდენად დიდია, რომ გარეშე ნეიტრალური მედიატორების ინტერვენციაზე დაფუძნებული მედიაციის მოდელი, არც საკმარისად ძლიერია და არც რელევანტური.

> *იმის გამო, რომ კონფლიქტების მოგვარება გარეშე ორგანოებისა და ინდივიდების ჩარევით არაეფექტური აღმოჩნდა [თანამედროვე ეთნიკური კონფლიქტების ქაოტურ პირობებში - განსაკუთრებით, თუმცა არა მხოლოდ, სომალიში, აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ სსრკ-ში], აუცილებელია თავად კონფლიქტში მყოფი თემების მშვიდობს დაცვის პოტენციალის გათვალისწინება. (Curle, 1994:96).*

კერლი თვლიდა, რომ ცივი ომის შემდგომი კონფლიქტების შემთხვევაში, კონფლიქტების მოგვარების როლი ადგილობრივი მშვიდობის დამცველების მხარდაჭერა უნდა ყოფილიყო, რაც ადგილობრივ მკვიდრთა მოთხოვნილებების შესაბამისი რჩევის, კონსულტაციებისა და ფასილიტაციის სახით თუ სხვადასხვა თემატური ვორქშოფებისა და ტრეინინგების საშუალებით უნდა განხორციელებულიყო. ასეთ დროს საჭირო ა ძალაუფლება კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემების კეთილი ნების მქონე წარმომადგენლებს გადაეცეს. ; საწყის ეტაპზე „მშვიდობის დამცველთა ადგილობრივი ჯგუფების ჩამოყალიბება“, სიბრძნის შიდა რესურსების გამოყენების, გამბედაობისა და თანაგრძნობის გაჩენის ხელშეწყობაა საჭირო. (იქვე: 104). კერლის თვალსაზრისით, ძალადობის „შადრევნის მოსათვინიერებლად“ და მშვიდობის დასამყარებლად უფრო სიღრმისეული ტრანსფორმაციაა საჭირო, რისთვისაც აუცილებელია არა მხოლოდ კონფლიქტის პოლიტიკის ჩაწვდომა, არამედ ადგილობრივი სიბრძნის სულიერი და ფილოსოფიური წყაროების სიღრმისეული წვდომა. (Curle, 1999).

ჯონ პოლ ლედერახი, რომელიც, როგორც მკვლევარი და პრაქტიკოსი, მენონიტების ტრადიციის (რაც კვაკერების მრავალ ფასეულობასა და მოსაზრებას იზიარებს) მიმდევარი იყო, და ცენტრალურ ამერიკაში საქმიანობის გამოცდილება გააჩნდა, მნიშვნელოვნად მიიჩნევდა ძალაუფლების მკვიდრთათვის გადაცემას. მისი ეს ერთობ საყურადღებო იდეები სიღმისეულადაა განხილული 1990-იანი წლებში გამოცემულ პუბლიკაციებში (1995, 1997, 1999, 2001, 2003).

ამგვარად, კონფლიქტების მოგვარების დარგში მშვიდობის ქვემოდან შენება თემების ჩაგვრისა და ძალადობით გამოწვეული ტანჯვისაგან გათავისუფლების იდეას დაუკავშირეს და შექმნეს პროექტი, რომლის მიზანიც მშვიდობის კულტურისა და სტრუქტურების

კულტივაცია იყო (ამას გალტუნგი პოზიტიურ მშვიდობას უწოდებდა), რისთვისაც საჭირო იყო ტრანსფორმაციული მიდგომის გამოყენება და არა მზა რეცეპტებისა და დირექტივების გაცემა. ლედერახი წერდა:

> *ძალაუფლების მკვიდრთათვის გადაცემაში იგულისხმება,რომ ტრანსფორმაციისას უნდა გავითვალისწინოთ, დავიცვათ და სათანადო პატივი ვცეთ ადამიანის უფლებებსა და კულტურულ რესურსებს. ეს მოვლენების ახალი პრიზმიდან დანახვას ნიშნავს; არსებული გარემო და ადამიანები პრობლემად არ უნდა „აღვიქვათ“ , ხოლო გარეშე პირები კი „ამ პრობლემის გადაჭრის გზად“. გრძელვადიან პერსპექტივაში ტრანსფორმაცია სწორედ ამ გარემოში არსებული ადამიანებისა და რესურსების აღიარებასა და მათ განვითარებას ეფუძნება. გა. (1995:212)*.

ამ თვალსაზრისის თანახმად, კონფლიქტის ტრანსფორმაციის მოკლე და გრძელვადიანი პერსპექტივების ჩარჩოს შექმნას კონფლიქტის „კულტურული ასპექტების და რესურსების“ დადგენა სჭირდება. კონფლიქტების მოგვარების თეორიაში კულტურის რელევანტურობისა და სენსიტიურობის საკითხის წინა პლანზე წამოწევას ხელი შეუწყო როგორც გამოცდილებით შეძენილმა ცოდნამ, ასევე კონფლიქტების მოგვარების თეორიის ადრეული ფორმების კრიტიკამ, რომელიც ადგილობრივ კულტურას ნაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევდა (იხ. მე-15 თავი).

ფაზა 2: მშვიდობის ქვემოდან შენებიდან მშვიდობის მოლაპარაკების გზით შენებისკენ: ტრანსფორმაციულ-კოსმოპოლიტური მოდელისკენ

კონფლიქტების მოგვარების დარგში დღემდე ცენტრალური ადგილი უჭირავს 1990-იან წლებში შექმნილ მოდელს, რომლის მიხედვითაც მშვიდობის შენების საქმეში ადგილობრივი და მკვიდრი მოსახლეობაა პრიორიტეტული.; თუმცა, ბოლოდროინდელმა კვლევებმა ცხადყო, რომ მშვიდობის შენების პროცესში მკვიდრებისთვის ძალაუფლების გადაცემა და სამოქალაქო საზოგადოების როლისა და ადგილობრივი კულტურული ფასეულობების გათვალისწინება მარტივი არ არის. ზემოდან ქვემოთ მიმართული, ინსტიტუციური მშვიდობის შენების მსგავსად, რომელიც ადგილობრივი ინტერესებისა და უუფლებოების მარგინილაზაციას იწვევს, ძალაუფლების ადგილობრივი კულტურებისა და თემებისთვის გადაცემის შემთხვევაშიც ხშირია ძალთა ასიმეტრია და პატრიარქატი, სადაც ჩვეულებებმა და სამოქალაქო საზოგადოების აქტორებმა და ორგანიზაციებმა შეიძლება ისეთივე როლი ითამაშონ , რაშიც გარეშე აქტორებს სდებენ ხოლმე ბრალს (იხ. ფოკუსი 9.2).

მსგავსი შედეგები დასტურდება სხვა სფეროებშიც. მაგ., გუდჰენდმა დაადგინა, რომ შრი ლანკაში ცენტრალური მთავრობის პოლიტიკა პერსონალიებისა და პატრონაჟის გავლენის ქვეშაა მოქცეული, რაც „სამოქალაქო საზოგადოების ცენტრალიზებულ და კლიენტალურ ბუნებაში აისახება“ (Goodhand and Klem, 2005: 204). დაახლოებით იგივე მოსაზრებას იზიარებს ჩოპრა (2009) კენიაში მიმდინარე მშვიდობის შენების პროცესის შესახებ, რასაც დონაისი კ შრი-ლანკაში მშვიდობის ქვემოდან შენების პროცესის შესახებ წერს:

> *შრი –ლანკაში მშვიდობის შენება არა მხოლოდ იმ ფაქტმა შეაფერხა, რომ ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოება თავისთავად ეთნიკურად დაყოფილია არამედ იმანაც, რომ მისი ადგილობრივი მოსახლეობა აგრესიულად ნაციონალისტური ორიენტაციისა იყო და დღემდე ასეთად რჩება. მაშასადამე, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტი ორგანიზაციები ყოველთვის მშვიდობის მომხრედ არ გამოდიან; შესაძლებელია, ისინიც ფრაქციულ, ნულოვანი ჯამის პოლიტიკაში ჩაერთონ, რაც მდგრადი მშვიდობის შენებას აბრკოლებს. (Donais, 2009:14).*

აქედან გამომდინარე, პოტენციური წინააღმდეგობა არსებობს ერთი მხრივ, საერთაშორისო ნორმებსა და ღირებულებებსა და სახელმწიფოს როლს შორის, მეორე მხრივ კი მშვიდობის ქვემოდან შენების „ჭეშმარიტებას“ შორის, რაც თვალნათლივ ჩანს კონფლიქტის შემდგომი მშვიდობის შენების მრავალ გარემოში.[3]ასეთი მდგომარეობა კიდევ უფრო საჭიროს ხდის კოსმოპოლიტური მოდელისა და ეთიკის დანერგვას, რომელიც ამ დონეებს შორის მედიატორის როლს შეასრულებს. მშვიდობის შენების შემდეგ ეტაპზე წარმოებული კვლევები, რომლებიც ერთი მხრივ ლიბერალური მშვიდობის ინსტიტუციონალური შეზღუდვებისა და ორთოდოქსალური მიდგომის ჩარჩოდან გამოსვლას, ხოლო მეორე მხრივ კი სახელმწიფოს შენების კონტროლზე დაფუძნებულ და სტაბილიზაციაზე ორიენტირებულ მიდგომას ემხრობა, კოსმოპოლიტური მიმართულებით მიდის და იძლევა „გლობალური მმართველობის მოდელს, რომელშიც ადამიანის უფლებების კოსმოპოლიტური პროგრამა შესაბამისობაშია პოლიტიკური ავტონომიისა და კულტურული მრავალფეროვნების კომუნიტარულ დაცვასთან“ (Liden, 2009: 616; იხ. ასევე Heathershaw, 2008; Richmond 2005, 2008; Donais, 2009; Pearce, 2005; Pouligny, 2005; Orjuela, 2003).

ჩვენი აზრით, ტრანსფორმაციულ-კოსმოპოლიტური მოდელი საუკეთესოა მშვიდობისა და მშვიდობის შენების დისკურსული პრაქტიკისთვის, რომლის აუცილებელ კომპონენტსაც მშვიდობის დარგში განათლება წარმოადგენს, რადგან მხოლოდ ასე იქნება შესაძლებელი მშვიდობის მედიაციის გზით (*via media*) შენება, რომლის მომხრედაც გამოდიოდა რიჩმონდი. სისტემური კონფლიქტის თეორიის ჩარჩოს ფარგლებში არსებული მშვიდობის მრავალმხრივი შესაძლებლობების დასადგენად (კონფლიქტი კომპლექსური და ჰოლისტიკური სისტემაა და არა მარტივი და სწორხაზოვანი პროცესი) ფართომასშტაბიანი კვლევა ჩაატარეს ნორბერტ როპერსმა და მისმა კოლეგებმა „მშვიდობის მხარდაჭერის ბერგოფის ფონდში“, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. მათ განიხილეს შრი-ლანკაში განხორციელებული მშვიდობის შენების პროგრამა, რომელზე დაყრდნობითაც როპერსი აცხადებს, რომ აუცილებელია მშვიდობის შენების სხვდასხვა ალტერნატივა და მისთვის საჭირო სივრცე შეიქმნას, ასევე მნიშვნელოვანია უკუკავშირის საშუალებით კონფლიქტების გამომწვევი სხვადასხვა მიზეზისა და რეალობის მუდმივი მიმოხილვა და მშვიდობისკენ სავალი გზების დადგენა (Ropers, 2008a, Smith, 2008; Fisher and Zimina, 2009).

მართალია, ჩვენ ტრანსფორმაციულ, კოსმოპოლიტურ ჩარჩოს მოდელში მოქცეულ მშვიდობის შენების განახლებულ ვერსიას გთავაზობთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მშვიდობის შენების აქამდე გაწეულ ძალისხმევას არაეფექტურად ან საზიანოდ მივიჩნევთ. პირიქით - მნიშვნელოვანი მტკიცებულება არსებობს იმისა (განხილული იყო მე-3 თავში), რომ ომების სიხშირისა და ინტენსიურობის ბოლოდროინდელი (უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში) კლება გარკვეულწილად მშვიდობის შენების დარგში არსებულ მეტ კომპეტენციასა და შესაძლებლობებს უკავშირდება. ჩვენ მხოლოდ მათ თვალსაზრისს ვიზიარებთ, ვინც თვლის, რომ მშვიდობის შენების ისეთი ვარიანტის შემუშავებაა საჭირო, რომელიც შესაბამისობაში იქნება კონფლიქტების მოგვარების იმ რადიკალური ტრადიციის ნორმებთან და ამოცანებთან, რომლებშიც ბოლო ხანს კონფლიქტების სტაბილიზაციისა და სახელმწიფოს შენების პროგრამები შეიჭრა. ვაღიარებთ, რომ ეს ორიგინალური მოდელი განახლებას და მშვიდობის შენების კომპლექსურობის, აქტორების სიმრავლის, ჰიბრიდულობისა და განსხვავების გათვალისწინებას საჭიროებს; მათზე შეთანხმებაკი უნივერსალურ და კონკრეტულ, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე უნდა იქნეს მიღწეული.

ფოკუსი 9.2. ეფექტური მშვიდობის შენების ადგილობრივი ბარიერები სიერა-ლეონეში

სიერა-ლეონეში „მშვიდობის ქვემოდან შენების“ მცდელობისას ზოგიერთმა ისეთმა სტრუქტურულმა ბარიერმა იჩინა თავი, რომელიც ხელს უშლიდა კონფლიქტის შემდგომ მშვიდობის შენებას. ამ დაბრკოლებათაგან მრავალის მიზეზი ქვეყნის მწვავე ეკონომიკური ჩამორჩენილობა და სიღარიბე იყო, რასაც გარკვეულწლად ადგილობრივი ტრადიციები და მმართველი სტრუქტურები უწყობდა ხელს. სიერა-ლეონეში წარმოებული აღდგენის სტრატეგია რესურსებს განვითარების პროექტებზე მიმართავს, რაც მსოფლიო ბანკის მშვიდობის შენების სტრატეგიის ერთ-ერთ თემატურ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. სიერა-ლეონეში ერთ-ერთი ასეთი პროექტის ზეგავლენის შემსწავლელი კვლევით (რომლის მიზანიც აქაური სიღარიბისა და მოწყვლადობის მიზეზების დადგენაც იყო) დადგინდა, რომ ტრადიციულ სოფლურ დასახლებებში არსებობს მმართველთა კლანი, რომელთა უხუცესებიც დაქვემდებარებული კლანის წარმომადგენელი ახალგაზრდა მამაკაცების დასაქმებისა და ქორწინების საქმეებს წყვეტენ. ხშირ შემთხვევაში ისინი იძულებით ტოვებენ თავიანთ სოფლებს და სამუშაოს საძებნელად ალმასის საბადოებში მიდიან; მუშაობას იწყებენ მილიციაში ან კიდევ უფრო მეტ მარგინალიზებას განიცდიან. იგივე კვლევით დადგინდა, რომ „სოფლებში არ არსებობდა განვითარების ხელშემწყობი ნამდვილი სოციალური კოგეზია“. განვითარებისა და ჰუმანიტარული დახმარების ხელშესაწყობად დაარსებული სოფლების განვითარების კომიტეტები (წარმოადენდა კონფლიქტის შემდგომი აღდგენის დახმარების ნაწილს) ხშირად ადგილობრივი მმართველი ელიტის გავლენისა და მმართველობის ქვეშ ექცეოდა; არადემოკრატიული პრაქტიკა და თაღლითობა მშვიდობის შენებისა და განვითარების ამოცანებს ძირს უთხრიდა. იმ შემთხვევებში, სადაც ადგილობრივი ინსტიტუტები ვერაფერს ხდებოდნენ, სიღარიბისა და ჩამორჩენილობის დასაძლევად საჭირო იყო საერთაშორისო და ადგილობრივი აქტორების თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც ისინი ახალ როლებს იტვირთავდნენ და ახალ უნარებს გამოიმუშავებდნენ.

განათლების როლი მშვიდობისა და მშვიდობის შენების საკითხებში კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით

ახლა უნდა შევჩერდეთ იმაზე, რითიც დავიწყეთ - ანუ იმ ნორმებსა და ეთიკაზე დავფიქრდეთ, რომლითაც მშვიდობის შენების კონცეფციის შემქმნელები ხელმძღვანელობდნენ. როგორც ზემოთ დავრწმუნდით, გალტუნგი მიიჩნევდა, რომ მშვიდობის შენება სისტემურად იყო დაკავშირებული მის დაცვასა და დამყარებასთან; იგი ძალადობის სამი დიდი გამოვლინების (სტრუქტურული, ქცევის და კულტურული) დაძლევის სამ მთავარ სტრატეგიას გამოჰყოფდა. გალტუნგისა და მისი თანამოაზრეების მთავარი პრინციპი ძალადობაზე, როგორც კონფლიქტის მოგვარების საშუალებაზე, უარის თქმა იყო. ეს მიდგომა პაციფიზმითა და არაძალადობით იყო ნაკარნახევი და გმობდა სამხედრო ძალის გამოყენებას ძალადობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლეველად. ისინი ოპტიმისტურად უყურებდნენ ადამიანის პოტენციალს; მათი მიდგომა ემანსიპატორული და არაძალადობრივი იყო.

კერლი და ლედერახი ბრაზილიელი რადიკალი პედაგოგის, პაოლო ფრეირის გავლენის ქვეშ იყვნენ, რომლის „ჩაგრულთა პედაგოგიკა“ 1970 წელს გამოქვეყნდა. ფრეირი, რომელიც 1960-იანი წლებიდან ბრაზილიისა და ჩილეს ღარიბებთან მუშაობდა, კატეგორიულად

ეწინააღმდეგებოდა განათლების ისეთ ფორმას, რომელშიც მასწავლებელი ცენტრალური ფიგურაა; იგი ამ მიდგომას ჩაგვრის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ „განათლება გათავისუფლებას უნდა ემსახურებოდეს". 1969 წელს, როდესაც კერლი „ჰარვარდის განათლებისა და განვითარების კვლევების ცენტრს" ხელმძღვანელობდა და კარიერას მშვიდობის განათლების მიმართულებით იწყებდა, ფრეირე იქ მოწვეული პროფესორის რანგში მოღვაწეობდა. კერლის „განათლება გათავისუფლებისთვის" 1973 წელს გამოვიდა; ნაშრომში ფრეირის სერიოზული გავლენა იგრძნობა; მისი „მშვიდობის დამყარება" (1971) ფრეირესეული განათლებისა და მშვიდობის დამყარების ფართოპროექტში ინტეგრირების ერთგვარი ძალისხმევაა, რომლის (ამ პროექტის) მიზანიც ადამიანის პოტენციალის გათავისუფლება და ძალადობის დაძლევაა. უკანასკნელ წლებში ზოგიერთი თეორეტიკოსისა და აქტივისტის აზრით, დარგმა ცენტრალურ ფასეულობებთან შეხება დაკარგა და ლიბერალური მშვიდობის ტექნოკრატიულ და შაბლონურ ვერსიაში გაიხლართა. მაგ., დაიანა ფრენსისი საჭიროდ მიიჩნევს კონფლიქტების ტრანსფორმაციისა და მშვიდობის შენების ძირეული ფასეულობების და ამოცანების გადასინჯვას და აცხადებს:

> *„ადამიანის უმთავრეს მოთხოვნილებებზე" აქცენტირება, რაც ცენტრალურია კონფლიქტების მოგვარებისთვის, ძალიან მცირე ადგილს უტოვებს გათავისუფლების, სამართლიანობისა და ადამიანის უფლებების დისკურსს. შესაბამისად, არაძალადობრივი რეზისტენტულობისა და კონფლიქტში ჩართვის თეორიამ კონფლიქტების მოგვარების დარგში მარგინალიზაცია განიცადა. თუ შეიარაღებულ კონფლიქტს, როგორც ჩაგრული ჯგუფების ბრძოლის საშუალებას, ოდესმე რამე ჩაანაცვლებს (რასაც„კონფლიქტების პრევენცია"მოითხოვს) ძალიან სერიოზული ხარვეზი იქნება.(Francis, 2010; www.opendemocracy.org.uk; see also Fisher and Zimina, 2009).*

ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისისმიხედვით , მიუხედავად იმისა, რომ მშვიდობის შენების დარგმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია, მისი მთავარი ამოცანა, რაც ჩაგვრისა და ძალადობისაგან გათვისუფლებაში მდგომარეობს და რაც ფასეულობათა სისტემის ბირთვს წარმოადგენს, მიუღწეველი დარჩებათუ მშვიდობის მშენებლები მხოლოდ რომელიმე კონკრეტული კონფლიქტის მოგვარებით შემოიფარგლებიან და ომის გლობალურ ფენომენს არაძალადობრივი მეთოდებით არ დაუპირისპირდებიან.[4]

მოცემული თავის ბოლოს კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ განათლება მშვიდობის დარგში მშვიდობის შენების ცენტრალურ კომპონენტად უნდა იქცეს, რაც საშუალებას მოგვცემს კონფლიქტების მოგვარების ცენტრალური ღირებულებები არაძალადობისა და ემანსიპაციისკენ მივმართოთ და ისეთი ტრანსფორმაციული კოსმოპოლიტური მოდელი შევქმნათ, რომელიც მშვიდობის შენების პროცესს ამ ფასეულობების მიხედვით წარმართავს. 2000 წლის აპრილში, დაკარში, სენეგალში გამართული „მსოფლიო განათლების ფორუმზე" ხაზგასმით ისაუბრეს გავლენაზე, რომელსაც ომი და გადაუდებელი ჰუმანიტარული შემთხვევები ახდენს ბავშვების განათლებაზე და მოითხოვეს ისეთი პროგრამების ამოქმედება, რომლებიც ხელს შეუწყობს ისეთი საკითხების წახალისებას, როგორებიცაა ურთიერთგაგება, მშვიდობა, ტოლერანტობა და უზრუნველყოფს ძალადობის აღკვეთას (Worls Education Forum, 2000). დაკარის ფორუმზე შეთანხმდნენ პროგრამის - „განათლება ყველას" მიზნებზეც; თუმცა, მარკ სომერსის მიერ წარმოებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ომის ქარ-ცეცხლში გახვეულ ტერიტორიებზე ბავშვების სკოლაში სიარულის რეალისტური იმედი არ არსებობს; იქაც კი, სადაც სასწავლო პროცესი მიმდინარეობს, გოგონები ბიჭებზე გაცილებით იშვითად დადიან სკოლაში. დაწყებითი კლასების მოწაფეების გარდა, სხვა მოსწავლეებისთვის არ

არსებობს ახალგაზრდული პროგრამები; დიდია მილიციის აგრესიულ ძალებში შესვლის ზეწოლა. სომერსი ასკვნის, რომ აუცილებელია სერიოზული ინვესტიციების განხორციელება განათლებაში, რაც კონფლიქტების შემდგომი მშვიდობის შენების აუცილებელ კომპონენტად უნდა იქცეს: „ბავშვებისა და რისკის ქვეშ მყოფი მოზარდების კრეატიული, თანამონაწილეობის პრინციპზე აგებული განათლების სისტემაზე მიმართული ინვესტიციების ნაკლებობა მშვიდობაზე გადასვლას ართულებს, ეგებ შეუძლებელსაც კი ხდის.“ (Sommers, 2002:1; see also Davies, 2005; Baxter and Ikowba, 2005).

საყურადღებოა ისიც, რომ განათლების განვითარება და განათლების რესურსებით უზრუნველყოფა სულ უფრო ხშირად ხდება სამშვიდობო შეთანხმებების ნაწილი. დუპი გვაჩვენებს, რომ 1989-2005 წლებში ხელმოწერილი 105 სამშვიდობო ხელშეკრულებიდან ორმოცდაჩვიდმეტში ჩადებულია მუხლი, რომელიც მოითხოვს, რომ განათლება ომის შემდგომი რეკონსტრუქციის ერთ-ერთი კომპონენტი გახდეს. ამ შეთანხმებებში ოთხი მთავარი თემა იკვეთება: „განათლების უფლების პატივისცემა და მისი დაცვა ; საგანმანათლებლო მომსახურების განახლება; საგანმანათლებლო სექტორში კონფლიქტით გამოწვეულ პრობლემებზე რეაგირება; განათლების სისტემის რეფორმირება, როგორც ერთ–ერთი გზა იმ საკითხებისმოგვარებისა,, რომლებიც დაპირისპირებულ მხარეთა შეუთავსებლობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს“ (Dupuy, 2008:155).

მშვიდობის დარგში განათლება ტრანსფორმაციული კოსმოპოლიტური მოდელის სტრატეგიულად ეფექტური დრაივერია. იან ჰარისი მშვიდობის დარგში თანამედროვე განათლების ხუთ მთავარ პოსტულატს გამოჰყოფს: (1) ძალადობის ფესვების ახსნა; (2) ძალადობის ალტერნატიული საშუალებების სწავლება; (3) ძალადობის სხვადასხვა ფორმების მიმოხილვა; (4) მშვიდობა არის პროცესი, რომელიც კონტექსტების მიხედვით განსხვავდება; (5) კონფლიქტი ყველგანაა (Harris, 2004). ერთ-ერთ ბოლოდრონდელ კვლევაზე დაყრდნობით, ოდრა დეგესისი მშვიდობის განათლების ახალი პედაგოგიკის პოტენციალს წარმოგვიდგენს და განათლების მიზნად გათავისუფლებას მიიჩნევს:

> *განათლების სისტემებმა შეიძლება წარმოშვან კონფლიქტი სკოლებში, მაგრამ მათ განთავისუფლებაც შეუძლიათ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რასიზმი, სექსიზმი და ქსენოფობია კურიკულუმის ნაწილია და მათ ვსწავლობთ, მაგრამ მათი „უგულებელყოფა“ და ჰუმანიზმით, ტოლერანტობით, მრავალფეროვნებით, დემოკრატიითა და კრიტიკული აზროვნებით ჩანაცვლებაც შეიძლება. სკოლებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ რასიზმის, ქსენოფობიის, ტოლერანტობისა და დემოკრატიული ფასეულობების სწავლების კუთხით. განათლების სისტემა ისეთ გარემოს უნდა უზრუნველყოფდეს, სადაც მოსწავლე საკუთარი მსოფლმხედველობის ჩამოაყალიბებას შეძლებს, რომ მომავალში სათნადო რეაგირება მაოხდინოს კონფლიქტზე და მსოფლიო პროცესებში ჩაერთოს, როგორც კეთილსინდისიერი მოქალაქე ან მშვიდობის დამცველი. ... პედაგოგიკას, რომელიც მოსწავლეს საგანმანათლებლო პროცესის მონაწილედ და სოციალური რეალობის ალტერნატიული საშუალებების მაძიებლად მიიჩნევს ტრანსფორმაციული სწავლა ეწოდება. დაფიქრება, აქტიური სწავლა და ტრანსფორმაციული მეთოდები აუცილებელია მშვიდობის დარგში განათლებისთვის და იმისათვის, რომ კონფლიქტისადმი დამოკიდებულება შეიცვალოს (Degesys, 2008; see also Nagda et al., Fetherston and Kelly, 2007; Bush and Saltarelli, 2000; Nells, 2006).*

ლიუერი, გაერთიანებული სამეფოს ბრედფორდის უნივერსიტეტთან ერთად, ამ მეთოდს შრი-ლანკაში ნერგავდა; იგი მიიჩნევდა, რომ მშვიდობის შენება განათლებაზე უნდა ყოფილიყო

დაფუძნებული და არა ტრეინინგებზე, რადგან მისი აზრით, განათლება სიღრმისეული ცოდნის მიღებას და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას გულისხმობს, ხოლო ტრეინინგი კი მხოლოდ ტექნიკის ათვისებით შემოიფარგლება. . ლიუერმა და მისმა კოლეგებმა შრილანკაში (რომელიც უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში გაჭიანურებული კონფლიქტის მდგომარეობაში იმყოფებოდა) მშვიდობის განათლების კუთხით სამაგისტრო პროგრამის განხორციელება დაიწყეს; პროგრამის მიზანი ქვეყნის მაღალი დონის აკადემიური რესურსების გამოყენებით კონფლიქტის ტრანსფორმაციის კულტურისა და „მშვიდობისთვის მზაობის" შექმნა იყო. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ კონფლიქტმა ესკალაცია განიცადა და 2009 წელს მოვლენები მთავრობის „თამილის ვეფხვებზე" გამარჯვებით დასრულდა, პროგრამა კვლავაც რელევანტურობასა და ფასეულობას ინარჩუნებს, რადგან ომის შემდგომი შრილანკის აღმშენებლობაში საკუთარი წვლილი შეაქვს, რათა თამილის ახალი თაობის რადიკალიზაცია და გაუცხოება არ მოხდეს (Harris and Lewer, 2005).

ასეთი განათლება მშვიდობის დარგში მედიაციის გზის (via media) გამოყენების საშუალებას იძლევა, რომელსაც რიჩმონდი მშვიდობისა და მშვიდობის შენების კონტექსტისადმი სენსიტიური და ჰიბრიდული ფასეულობების დანერგვის აუცილებელ პირობად მიიჩნევს. განათლება მშვიდობის კუთხით ასევე გულისხმობს ომისა და ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ღირებულებების შექმნასაც. როგორც დავრწმუნდით, მშვიდობის შენება კომპლექსური და მრავალდონიანი პროცესია, რომელშიც მრავალი აქტორია ჩართული, საჭიროებს ფართო სპექტრის პროფესიულ განათლებას და სამოქალაქო აქტორების სიმრავლეს. ამ თვალსაზრისით კონფლიქტების მოგვარება ის მნიშვნელოვანი რესურსია, რომელიც თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს ერთმანეთთან აკავშირებს.

შეფასების საკითხი

როგორც მე-8 და მოცემულ თავში (და მთელი ამ წიგნის პირველი ნაწილში) დავრწმუნდით, კონფლიქტის მოგვარების დარგი ეფუძნება შემდეგ პრინციპს, რეკონსტრუქციისა და მშვიდობის შენების მიზნით განხორციელებული ინტერვენცია გამართლებული რომ იყოს, იგი პირველ რგიგში მათ ინტერესებს უნდა ითვალისწინებდეს, ვის გამოც ეს ჩარევა ხორციელდება. როგორ დავაგდინოთ ან შევაფასოთ ეს საქმიანობები ამ თვალსაზრისით? მშვიდობისა და მშვიდობიანი ცვლილების რომელი კონცეფციის ფარგლებში უნდა განხორციელდეს იგი? ვის ეკუთვნის საბოლოო სიტყვა? რა კრიტერიუმები არსებობს? როგორ გავზომოთ პოზიტიური და ნეგატიული შედეგები? ეს ის უმთავრესი შეკითხვებია, რომლებსაც ზოგჯერ მშვიდობისა და კონფლიქტების გავლენის დიაგნოსტირებას უწოდებენ (peace and conflict impact assessment (PCIA))და რომლითაც ინდივიდუალური პროექტების ჩარევის წინარე, გარდამავალ და საბოლოო შედეგებსა და თავად ჩარევის მთელ ღონისძიებას აფასებენ; ამავე კრიტერიუმით აფასებენ არსებულ პროგრამებს და ადგენენ წარსულის მაგალითებიდან „ნასწავლ გაკვეთილებს" მომავალში გასათვალისწინებლად. ასეთი მიდგომის გამოყენებას სულ უფრო ხშირად ითხოვენ მთავრობები, საერთაშორისო და ათასობით არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც დონორებს ანრეციპიენტ თემებს წარმოადგენენ. უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ექცევა გავლენის დიაგნოსტირების თეორიასა და პრაქტიკას; მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და დაიხვეწა მეთოდოლოგია. თუმცა, სადავო საკითხებიც მრავლად არის, მითუმეტეს რომ ეს ყველაფერი სულ ახალი ფეხადგმულია. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ომის შემდგომი მშვიდობის შენება იგივე თავსატეხის წინაშე დგას, რომლისაც „კონფლიქტების სიღრმისეული პრევენცია", რაზეც

მე-5 თავში გვქონდა საუბარი; აქაც არსებობს კონტრ-ფაქტების გათვალისწინებისა (რომ ... მომხდარიყო/არ მომხდარიყო, რა მოხდებოდა?) და კომპლექსურ, მულტიფაქტორულ სისტემებში მიზეზ-შედეგობრიობის შეფასების პრობლემა (იხ. მე-4 თავი). გარდა ამისა, ის, რაც შეიძლება სასიკეთო შედეგად ჩაითვალოს ერთ დონეზე, სხვა დროს, სხვა დონეზე და სხვა ადამიანების შემთხვევაში შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს. განსხვავებულ აგენტებს ინტერესები და წარმოდგენებიც განსხვავებული აქვთ და მათ შორის უთანხმოებაც, როგორც მიმდინარე კონფლიქტის ნაწილი, ადვილად არ გვარდება. ახლა უკვე აღიარებენ, რომ რამის ცალსახად თქმა და მტკიცება შეუძლებელია. ყველაფრის გათვალისწინებით, ერთ დასკვნამდე მივდივართ - მშვიდობის შენება მუდმივ შემოწმებას საჭიროებს; იგი უნდა ითვალისწინებდეს მოვლენათა განვითარებას, შეფასების პროცესში კი, შეძლებისდაგვარად ბევრი პირი უნდა იყოს ჩართული.

ახლა რამდენიმე სიტყვით „რეკონსტრუქციის“ მიზნით განხორციელებული ჩარევა მაკრო დონეზეც უნდა მიმოვიხილოთ (რაზეც მე-8 თავში გვქონდა საუბარი) და შემდეგ ყველაფერი მშვიდობის შენების უფრო ფართო და გრძელვადიან პერსპექტივაში წარმოვიდგინოთ, რაც ამ თავის განსახილველი თემა გახლავთ.

ომის შემდგომი რეკონსტრუქციის ინდივიდუალური შემთხვევები მეტისმეტად ფართო და მრავალფეროვანია, რის გამოც მათ აქ ვერ შევაჯამებთ (ნიმუშისათვის იხ. მერვე თავში მოყვანილი ნუსხა, შენიშვნა 1). მთავარი კითხვები კი ასეთია: რა კრიტერიუმებით იზომება წარმატება? რომელია სათანადო ინდიკატორები და როგორ იზომება ისინი? მაგ., დოილი და სამბანისი (2006) ომის შემდგომი სამშვიდობო პროცესების წარმატების დასადგენად 1945-1999 წლების სამოქალაქო ომების მონაცემთა კატალოგს იყენებენ. სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ რთულ შემთხვევებში სამშვიდობო ხელშეკრულებისა და გაეროს „ტრანსფორმაციული“ ჩარევის კომბინაცია „წარმატების ალბათობის შესანარჩუნებლად უმნიშვნელოვანესია“, მათ გარეშე კი წარმატების მიღწევის ალბათობა „ძალიან დაბალია“ (იხ. ფორტნას მსგავსი დასკვნა, 2008; ასევე იხ. დეილი, 2008). ასევე ადარებენ ხოლმე განსხვავებული ტიპის სამშვიდობო ოპერაციების შეფარდებით წარმატებებს; მაგ., „RAND კორპორაციამ“ ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანიც იყო დაედგინა „რამდენად უწყობს ხელს შეიარაღებული ძალის გამოყენება კონფლიქტის შემდგომ პერიოდში დემოკრატიაზე გადასვლას“ გაეროსა და აშშ-ს წინამძღოლობით განხორციელებულ „ნაციის მშნებელობის“ ღონისძიებებში (Dobbins et al., 2004); როგორც აღმოჩნდა, პირველ შემთხვევაში (გაეროს შემთვევა) შედეგები მეორეზე (აშშ-ს შემთხვევა) გაცილებით უკეთესია (ამასთან დაკავშირებით ასევე იხილეთ დარჩის კრიტიკა) (2007: 26-7).

შეფასებები ამ მხრივაც მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან; თუმცა ამაში საკვირველი არაფერია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროს სრულიად განსხვავებულ მიდგომებს იყენებენ ხოლმე (Gartner and Melin, 2009). მაგალითად, კონკრეტული ჩარევების განხილვისას ლანდი აღნიშნავს, რომ კამბოჯა 1992-1993-ს განსხვავებულად მოიხსენიებენ; ზოგი მას „წარმატებად“ მიიჩნევს (Doyle and Sambanis, 2000), ზოგი „ნაწილობრივ წარმატებად“ (Hampson, 1996) ზოგი კი „მარცხად“ (Durch et al., 2003; Roberts, 2009). რეკონსტრუქციის მიზნით განხორციელებული მაკრო დონის ინტერვენციის შეფასების ორი ყველაზე ფართოდ გავრცელებული კრიტერიუმი არსებობს, პირველი - შემდგომ განვითარებული ძალადობის დონე, რადგან მისი გაზომვა შედარებით ადვილია და მეორე - „თავისუფალი და სამართლიანი“ არჩევნების ჩატარება, რადგან ამის დამტკიცებაც საკმაოდ მარტივია (Downs and Stedman, 2002). თუმცა, როგორც მაიკლ ლანდი აცხადებს,

მართალია უამრავი კვლევა „ინტერესდება რამდენად აღდგა მინიმალური ფიზიკური უსაფრთხოება, მაგრამ მაკრო-დონეზე განხორციელებული მშვიდობის შენების სასურველი შედეგების ზუსტი, მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზის ჩატარება, მითუმეტეს სხვადასხვა ქვეყნების შედარებით მონაცემთა გამოყენებით , ნამდვილად რთულია“ (Lund, 2003:31). კრიტერიუმების გაფართოების შემთხვევაში, წარმატების აღქმული დონე იკლებს. ასეთ შემთხვევაში უფრო მიზანშეწონილია მე-8 თავში განხილული, დეტალური ანალიზის ჩატარება, სადაც წარმატების შეფსებისას ერთმანეთისგან ცალსახადაა გამიჯნული ფაზები და სექტორები. მაგ., ჰაიტიში განხორციელებული ჩარევა 2003 წლამდე წარმატებად იყო აღიარებული, რადგან ძალადობა მყისიერად აღიკვეთა და არჩევნებიც ჩატარდა (იქვე: 30), სხვა სექტორების ფაზების გათვალისწინება კი სრულიად განსხვავებულ და უფრო მრავლისმთქმელ სურათს გვაძლევს. რიგ-რიგობით განვიხილოთ თითოეული სექტორი: ნაციონალური შეიარაღებული ძალებისა და სამოქალაქო პოლიციის გამოყენების ნაცვლად, პრეზიდენტ არსტიდის მიერ დაქვემდებარებული მილიციის, ე.წ. „ქიმერების“ შეიარაღება განხორციელდა; არ დაისაჯნენ პოლიტიკური მკვლელები; ოპოზიციის ბოიკოტმა მარცხი განიცადა და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა მხოლოდ 5 პროცენტიგამოცხადდა; მთავრობამ ვერ შეძლო ძირითადი მომსახურების გაწევა (რაც კიდევ უფრო გაამწვავა უცხოური დახმარების ბლოკირებამ); გაღრმავდა სოციალური განხეთქილება არისტიდის საზოგადოებრივ მხარდამჭერებსა და ბიზნეს და პროფესიულ ინტერესებს შორის - ცხადია, რომ ეს ყველაფერი კონსოლიდაციისა და ნორმალიზაციისგან ძალიან შორს იდგა; თვით „პირველ ფაზაშიც“ კი, 1994-1996 წლებში განხორციელებული ინტერვენციის შედეგები ერთობ არაშთამბეჭდავია.

ამ წიგნის მეორე გამოცემის გამოსვლის შემდეგ უამრავი მეთოდოლოგია შეიქმნა და დაიხვეწა, რომელთა საშუალებითაც მშვიდობის შენების ვრცელი პროექტების ზემოქმედებას აფასებენ. ამ თვალსაზრისით საყურადღებო იყო, კენეტ ბუშის და სხვების პიონერული ნაშრომი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „მშვიდობისა და კონფლიქტის გავლენის შეფასება პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბებისაღიარებული მეთოდოლოგიური ელემენტია, რომელიც პოლიტიკის ნეგატიური გავლენის მინიმუმამდე დასაყვანად და მისი პოზიტიური გავლენის გასაძლიერებლად გამოიყენება (Bush, 1998) (იხ. ფოკუსი 9.3).

მას შემდეგ კონფლიქტების განსხვავებულ გარემოში ფართოდ იყენებენ დენ სმითის ფერთა „პალიტრას“ (იხ. ზემოთ) (Raffenholz and Reychler, 2007). მკითხველებს შეუძლიათ OECD-ის (Anderson et al.,), „ბერგოფის კონფლიქტების კონსტრუქციული მართვის ცენტრის“ (Paffenholz, 2005; Schmelzle, 2005) კვლევითი ცენტრის INCORE-ის (Church and Shouldice, 2003)’ “Unstein”-ის პროგრამის (Smith, 2004) „კონფლიქტების პრევენციის ცენტრის“ (Galama and van Tongeren, 2002) და „მშვიდობის პრაქტიკის პროექტის“ (Woodrow, 2006) მიერ გამოქვეყნებული ჩინებული ანალიზები იხილონ ინტერნეტსა და ქრისტინ ჰერსტის (2009) ნაშრომში. ამ ნაშრომებში მოცემულია დეტალური და ინფორმაციული ანალიზი და გათვალისწინებულია მშვიდობიანი ცვლილებები, კონფლიქტებისთვის სენსიტიური ინიციატივები, ყველა დაინტერესებული მხარის კონცეფციები და ეფექტურობისგაზომვადი კრიტერიუმები (Lederach, Neufedt and Culberston, 2007; Davidson, 2007). ჩვენი აზრით, საჭიროა ამ ყველაფრის ერთად თავმოყრა, დაერთ მზა ფორმად ჩამოყალიბება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება რეკონსტრუქციისა და მშვიდობის შენების საქმეში ჩართული სხვადასხვა (შიდა და გარე) აგენტებისათვის.

ფოკუსი 9.3. მშვიდობისა და კონფლიქტის გავლენის შეფასება

მშვიდობის ქვემოდან შენების მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს იმ გავლენის შეფასება, რომელსაც კონკრეტული პროექტი კონფლიქტის საერთო დინამიკაზე ახდენს. ამ შემთხვევაში მე-5 თავში, კონფლიქტების პრევენციასთან დაკავშირებით განხილული მეთოდოლოგიური საკითხები იჩენს თავს. როგორ უნდა დავადგინოთ კონკრეტულ ჩარევას პოზიტიური გავლენა ჰქონდა თუ ნეგატიური? ამ შემთხვევაში ორი რამ არის გასათვალისწინებელი: პირველი - როგორ გამოვიკვლიოთ კონკრეტული ჩარევის შედეგები ამა თუ იმ კონფლიქტის შემთხვევაში? და როგორ დავადგინოთ, რომ ამ კონკრეტულ სიტუაციაში განხორციელებული ცვლილებები სწორედ ამ კონკრეტული ჩარევის შედეგია (მაგ., ძალადობრივი ინციდენტების შემცირება).

უკანასკნელ წლებში მშვიდობისა და კონფლიქტების გავლენის დიაგნოსტირების მეთოდები სწრაფად ვითარდება. ამ ინსტრუმენტების შემუშავება განვითარების სააგენტოებისა და დონორების საჭიროებითაა ნაკარნახევი, რადგან მათ უნდა შეაფასონ და გააანალიზონ შემოთავაზებული პროექტების დადებითი ან უარყოფითი გავლენა კონფლიქტზე. მაგალითად, ერთ-ერთი მიდგომის თანახმად, საჭიროა კონფლიქტებისა და პროექტების ეფექტურობის ინდიკატორების შექმნა და პროექტსა და კონფლიქტს შორის არსებული ფაქტორებისა და ცვლადების დადგენა და მათ შორის არსებული კავშირების იდენტიფიცირება. გავლენის შესამოწმებლად საჭიროა გასაუბრებების ჩატარება, კითხვარების შედგენა ან დაინტერესებული მხარეების ფოკუს ჯგუფების შექმნა. ეს მიკრო-შეფასების მიდგომა პროექტს მის უშუალო შედეგთან მიმართებაში განიხილავს (მაგ., ვორქშოფის პროექტმა შესაძლოა მშვიდობის მიღწევის შესაძლებლობა განამტკიცოს; თემთა შორისმა ტრეინინგ პროექტმა კონკრეტულ შემთხვევაში შიდა ეთნიკური ურთიერთობები გააუმჯობესოს). შემდეგი ეტაპი საკმაოდ რთულია და იგი აფასებს ამ ქვედა-დონის შედეგების ზემოქმედებას მთლიანად კონფლიქტზე.

ისეთი ანალიზიც არსებობს, რომელიც სწავლობს საერთო ჯამში რა გავლენას ახდენს გარეშე მხარის ჩარევა კონფლიქტის მხარეებზე, მის დინამიკასა და სტრუქტურაზე. ამ დროს მთავარი ინსტრუმენტები კონფლიქტის ანალიზი და კონფლიქტის კარტირებაა. მაგ., DFID-ს კონფლიქტების დიაგნოსტირების მიდგომა მოიცავს კონფლიქტის ანალიზს, სხვადასხვა დონორი მთავრობების დეპარტამენტების მიერ გატარებული ღონისძიებების შეფასებას და სტრატეგიული შესაძლებლობების შესწავლას.

> *საჭიროა განვითარების პოლიტიკისა და პროგრამების შედეგების კარტირება მაკრო და მიკრო დონეზე. ეს მიდგომა ადგენს რა გავლენა იქონია განვითარებისკენ მიმართულმა ჩარევამ სტრუქტურულ ანალიზში მითითებულ დაძაბულობის წყაროებზე; ან რა გავლენა მოახდინა სტიმულებსა და აქტორთა ანალიზში იდენტიფიცირებულ მებრძოლ ჯგუფთა შორის არსებულ ურთერთობებზე, ან მოახდინა თუ არა გავლენა კონფლიქტის დინამიკის ანალიზში იდენტიფიცირებულ იმ ფაქტორებზე, რომლებსაც კონფლიქტის დაჩქარება ან შენელება შეუძლიათ. ამისათვის საჭიროა კონკრეტული კონფლიქტის სტრატეგიული კონტექსტის ანალიზი, კონფლიქტის სცენარის მომზადება და ძალადობის გმომწვევი პოტენციური მიზეზების იდენტიფიცირება.(DFID, 2002).*

როგორც ჰოფმანი (2004) გვაფრთხილებს, მშვიდობის შენების ღონისძიებების გავლენაზე საუბრისას თავმდაბლობაა საჭირო. რადგან ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია ხელთ არ გვქონდეს სათანადო ფაქტები, კონფლიქტის პროცესების კომპლექსურობა კი რამეს ცალსახად თქმას შეუძლებელს ხდის. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, სხვადასხვა დონეზე აქტორების მიერ განხორციელებული ინტერვენციის საგულდაგულო, ფაქტებით გამყარებული შეფასება მშვიდობის შენების ამოსავალ წერტილს წარმოადგენს.

დასკვნა

დღესდღეობით თანხმდებიან იმაზე, რომ მდგრადი სამშვიდობო პროცესი ადგილობრივი მოსახლეობის ან კომუნის დონეზე უნდა ხორციელდებოდეს, როგორც ეს ლედერახის კონფლქტის პირამიდაშია მოცემული. თუმცა, ვინ არის ნამდვილად მკვიდრი ხალხი ან ადგილობრივი თემი ამის განსაზღვრა ხშირ შემთხვევაში საკმაოდ რთულია; მშვიდობის ქვემოდან შენებაც იმდენივე დაბრკოლებას, დილემასა და არასტაბილურობას აწყდება, რასაც მშვიდობის ელიტის დონეზე შენება. აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული ტრადიციებისა და სოციალური ნორმების დაცვა და გათვალისწინება; სამშვიდობო ინტერვენცია თემის უხუცესებთან და მეთაურებთან თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს; აუცილებელია კონფლიქტის მართვის ტრადიციული მეთოდების გათვალისწინებაც, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ლოკალურ დონეზე მოქმედი სამოქალაქო საზოგადოება მშვიდობიანი საქმიანობისა და ღირებულებების წმინდად კვინტესენციური ადგილია. შესაძლებელია, მოსახლეობის იძულებითი გადაადგილებისა და სხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ტრადიციული კომუნური ურთიერთობები ახალი მილიტარისტული იერარქიის გავლენის ქვეშ მოექცეს. შესაძლოა, ადგილობრივი ჯგუფები ავტონომიური აქტორები არც იყვნენ და სტრუქტურული გლობალური ძალების ზეწოლის და ნაციონალური და რეგიონალური ძალების გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ, რაც არცთუ იშვიათია ძალადობრივი კონფლიქტების შემთხვევაში. შესაძლოა, ადგილობრივ ძალებს ძალა-უფლება არ გააჩნდეთ, დანაწერვრებულები იყვნენ და არც სამშვიდობო მოქმედებების განხორციელების უნარი ჰქონდეთ; არ არის გამორიცხული, ძლიერი გარეშე ჯგუფების (მათ შორის: მილიციის, კრიმინალური დაჯგუფებების ან კლანური პოლიტიკის) ადგილობრივ აგენტებს წარმოადგენდნენ; შესაძლებელია ჭეშმარიტად სამშვიდობო ორგანიზაციები იყვნენ, რომლებსაც ფესვები ადგილობრივ თემში აქვთ გადგმული, მაგრამ იძულებულები არიან მშვიდობის შენების ენაზე ილაპარაკონ, რადგან მათგან ამას ძლიერი დონორები და პატრონები მოითხოვენ.

მშვიდობის ქვემოდან შენება პანაცეა არ არის, რომლის საშუალებითაც თავიდან ავიცილებთ კონფლიქტების მოგვარებისა და მშვიდობის შენების ყველა განზომილებასა და დონეზე არსებულ კომპლექსურ გამოწვევებს. არსებობს ურთიერთგამომრიცხავი დისკურსები და პარადიგმები; ზოგიერთი მათგანის მიზანი კონფლიქტის ლოკალიზება და მისი სტაბილიზაციაა. კონფლიქტის საფუძველში არსებული გამომწვევი მიზეზების მოგვარებას და მდგრადობის მიღწევას მოცემულ თავში განხილული მოდელის მუდმივი სრულყოფა სჭირდება. ასეთ დროს საჭიროა არაძალადობის ნორმის გამოყენება, მშვიდობის საკითხებში განათლება ტრანსფორმაციული მეთოდების გამოყენებით, რაც ჭეშმარიტი მშვიდობის შენების (ან სხვადასხვა „მშვიდობებისა“ და „მშვიდობების შენების“ თუ ამ ტერმინებს რიჩმონდს, როპერსა და ჰეზერშოუს დავესეხებით) საშუალებას მოგვცემს.

თუ მე-8 თავში განხილულ „ინსტიტუციების შენებას“ მოწყვლად და დამსხვრეულ სახელმწიფოებში და მოცემულ თავში განხილულ მშვიდობის ქვემოდან შენებას ერთმანეთს შევადარებთ, ამ ორ მიდგომას შორის არსებულ დაძაბულობასთან ერთად კრეატიულობის საჭიროებასაც დავინახავთ. ეს არ გახლავთ „ან ... ან“ დილემა, აქ კომპრომისია საჭირო. კონფლიქტების მოგვარების მიდგომა, რომელიც სქემატური სახით 9.1. დიაგრამაზეა წარმოდგენილი და რომელიც განსხვავებულ დონეებზე ოპერირებს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პირამიდის საფუძველში არსებულ საქმიანობას; იგი საშუალებას გვაძლევს საშუალო ვადაში ვაშენოთ ინსტიტუტები და ნაცია, გრძელვადიან მიზნად კი ადამიანის უსაფრთხოებაზე

ორიენტირებული მშვიდობის შენება და შერიგება დავისახოთ. თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციების არსებული ბუნებიდან გამომდინარე, აქ გარკვეული წინააღმდეგობა არსებობს, მაგრამ სუსტი ან ჩამოშლილი სახელმწიფოების შემთხვევაში, სადაც მოსახლეობა მწვავე რისკის ქვეშ იმყოფება, საერთაშორისო პასუხისმგებლობა ამ ყველაფერთან კონფლიქტში არ არის. მოცემულ თავში განხილულ მშვიდობის შენების მოდელში მომავალზე მოლაპარაკება, მისი კულტივირება და ლეგიტიმიზაცია შესაძლებელია მშვიდობის კუთხით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონფლიქტების მოგვარების ტრეინიგნების საშუალებით და არა საერთაშორისო ბიუროკრატიული აპარატის მიერ წინასწარ მომზადებული და თავს მოხვეული ღონისძიებებით. ეს კონფლიქტების კოსმოპოლიტური მოგვარების ერთგვარი შესავალი გახლავთ, რომელსაც კორექტივები შეაქვს ზედმეტად მკაცრ საერთაშორისო მიდგომებში, რაც ამ წიგნის მეორე ნაწილის მთავარი თემაა.

რეკომენდირებული ლიტერატურა

Galama and van Tongeren (20002); Lederach (2005); Reychler and Paffanholz (2001); Woodhouse (1999a); Dayton and Kriesberg (2009); Francis (2010).

რეკომენდირებული ვიდეო მასალა

Robert Maletta (1999) Gulu: The Struggle for Peace, London: Trojan Horse [a film about coping with conflict in Northern Uganda]. 246

მეათე თავი

შერიგება

კონფლიქტების მოგვარების საბოლოო მიზანს შერიგება წარმოადგენს, რომელიც ასე შეიძლება განვმარტოთ - გაწყვეტილი ურთიერთობის აღდგენა და რადიკალური უთანხმოების პირობებში არაძალადობრივი მეთოდებით თანაცხოვრების სწავლა. როგორც მე-8 თავში აღვნიშნეთ, პირდაპირი ძალადობის შეწყვეტა კონფლიქტის მოგვარებას შესაძლებელს ხდის, ურიერთსაპირისპირო ინტერესებზე მოლაპარაკება კონფლიქტის გადაწყვეტის საწინდარია, ხოლო სტრუქტურული უსამართლობის დაძლევა კი ისეთ პირობებს ქმნის, რომელშიც შემდგომი ტრანსფორმაცია შესაძლებელი ხდება. იმ მყარი ტრანსფორმაციის არსს, რომლის მიღწევასაც კონფლიქტების მოგვარება ცდილობს, შერიგების გრძელვადიანი პროცესი წარმოადგენს, რომლის ფარგლებში სრულიად განსხვავებული ჯგუფების დაახლოება და ჭეშმარიტ საზოგადოებად ჩამოყალიბება ხდება. პირველ თავში განხილული თვალსაზრისების თანახმად (ნახაზი 1.3), შერიგება მშვიდობის დამყარების და კულტურული მშვიდობის შენების ცენტრალური საკითხია. ხშირ შემთხვევაში, შერიგება მშვიდობის შენებას და აქედან გამომდინარე კონფლიქტის მოგვარებას ნიშნავს, რაც ძალაუფლების განაწილებისა და სახელმწიფოს ინსტიტუციონალური შენებისგან განსხვავდება, როგორც ეს შემდეგ კრიტიკულ მოსაზრებაშიც ჩანს:

> *სახელმწიფოს შენება და მშვიდობის შენება სინონიმები არ არიან - პირიქით, პოტენციურად ერთმანეთის საპირისპირო მცნებებიც კია: პირველი ხელისუფლების კონსოლიდირებას გულისხმობს, მეორე კი კომპრომისისა და კონსენსუსის შენებას. სამთავრობო ინსტიტუტების დაარსება წარმატებული შერიგების ერთადერთი საშუალება ვერ იქნება. კულტურაში, სადაც მშვიდობის დაცვის ცენტრში რეპარაციაა, შერიგება მხოლოდ ძალაუფლების გადანაწილებით ვერ მოხდება. (Bradbury and Healy, 2010:107).*

პალესტინელებს შორის (მაგ., ჰამასსა და ფატაჰს შორის) დიდი დებატები მიმდინარეობს იმის შესახებ თუ ერთი მხრივ, რა დონის შერიგება უნდა უძღვოდეს წინ, ან ყოველ შემთხვევაში თან ახლდეს, პალესტინის სახელმწიფოს შენებას, ხოლო მეორე მხრივ კი ისრაელთან პოლიტიკური შეთანხმების მიღწევას. სხვა თვალსაზრისია წარმოდგენილი ნაშრომში - „შერიგების პოლიტიკა მულტიკულტურულ საზოგადოებებში“(The Politics of Reconcilliation in Multicultural Societies) (Kymlicka and Bashir, 2008), რომლის თანახმადაც პოლიტიკური იზოლაციის (exclusion) პრობლემის დაძლევის ორი მიდგომა ერთმანეთზე დამოკიდებულიცაა და ურთიერთგამომრიცხავიც, როგორც ამაზე მე-8 თავში ვისაუბრეთ: განსხვავებულობის პოლიტიკა (Politics of Difference) „მულტიკულტურულ საზოგადოებებში უმცირესობათა აღიარებას და მათთვის ძალაუფლების გადაცემას“ გულისხმობს, ხოლო შერიგების პოლიტიკა კი „ყოფილ მეტოქეებს შორის რეპარაციას, სიმართლის თქმას და ჭრილობების მოშუშებას“. ჩვენი აზრით, ორივე მათგანი ძალადობრივი ურთიერთობების ომის შემდგომ, მშვიდობიან ურთიერთობებად გარდაქმნის მასშტაბური პროცესის განუყოფელი ნაწილია. საქმეს ართულებს ის, რომ შერიგების მასშტაბები და მისი მიღწევის გზები სხვადასხვა კულტურებში მნიშვნელოვნად განსხვავდება. შერიგების საკითხი ცენტრალურია კონფლიქტების სკალის სხვადასხვა წერტილზე, მოცემულ თავში კი ძირითადად ძალადობრივი კონფლიქტის შემდეგ ყოფილი მტრების ისეთ შერიგებაზე ვისაუბრებთ, რომელიც ხანგრძლივი და გამძლე აღმოჩნდება.

შერიგების ოთხი მნიშვნელობა

ფართო გაგებით, შერიგება რამდენიმე კომპონენტისაგან შემდგარი კომპლექსური პროცესია, სადაც თითოეული კომპონენტი საკუთარ როლს ასრულებს. არსებობს შერიგება, რომელიც არსებულთან შეგუებას ნიშნავს („ბედს შევურიგდი“). ასეთი მიდგომა ერთი შეხედვით ნეგატიურად მოგვეჩვენება; იგი ისეთ პირობებზე ნებაყოფლობით თანხმობას გულისხმობს, რაც იდეალურ შედეგად ვერ ჩაითვლება, მაგრამ იგი სამშვიდობო პოლიტიკის აუცილებელი ელემენტია. ასევე არსებობს მოლაპარაკება „ფინანსურ ან სხვა სახის ანგარიშებთან დაკავშირებით“. შესაძლოა, არც ეს იყოს სახარბიელო, მაგრამ ამ დროს შედარებებისა და კორელაციის საფუძველზე, მოლაპარაკება იმ დონეს აღწევს, როდესაც დაპირისპირებულ მხარეთა ინტერესები სრულიად შეუთვსებელი ან ურთიერთსაწინააღმდეგო აღარ არის. მესამე და უფრო კრეატიული „ოპოზიტების შერიგება“ ან უთნხმოების აღმოფხვრა. ასეთ დროს საჭიროა ცვლილებები მოხდეს ორივე მხარის ინტერესებში, რათა ისეთი შესაძლებლობები გაჩნდეს, რომლებიც მათ (ამ ცვლილების) გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა. ბოლო და კულმინაციური კი არის „შერიგება ყოფილ მტრებს შორის.“ ასეთ დროს ძველ მტრობას ივიწყებენ, იქმნება ახალი ემოციური მდგომარეობა, რომელიც ახალი ურთიერთობების გამოჯედვის შესაძლებლობას იძლევა (Pankhurst, 1998). ასეთი რამ უფრო ხშირია მცირე ჯგუფების შემთხვევაში, მაგ., ოჯახებსა და სოფლებში, სადაც პირადი კონტაქტები ძლიერია - განსაკუთრებით ტრადიციულ პასტორალურ საზოგადოებებში. თუმცა შესაძლებელია, შერიგება უფრო დიდ ჯგუფებს შორისაც - თვით ნაციებს შორისაც კი - მოხდეს და სხვადასხვა სახე მიიღოს დაწყებული დიპლომატიური ურთიერთობების განახლებით, დასრულებული სიმბოლური ჟესტებით, მაგ., გვირგვინით შემკობა, გულისტკივილის და თანაგრძნობის ოფიციალურად გამოხატვა, საერთო ინსტიტუტების შექმნა ან კულტურული გაცვლის ხელშეწყობა, როგორც ეს მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ფრანკო-გერმანულ ურთიერთობებში მოხდა. 10.1 ცხრილში შერიგების ეს ოთხი სახეა წარმოდგენილი და 1.2 ნახაზზე მოცემული კონფლიქტის ესკალაციისა და დეესკალაციის ეტაპებთან მიმართებაშია განხილული. ეს ცხრილი ასევე გვაჩვენებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია პირველი სამი (მიუხედავად იმისა, რომ ასეთ დროს სრული შერიგება არ ხდება) ძალადობიდან და პოლარიზაციიდან დაპირისპირების მშვიდობიან მართვაზე გადასვლის პროცესში და როგორ მიიღწევა საბოლოო სტაბილიზაცია ახალი ურთიერთობების პირობებში.

ცხრილი 10.1 შერიგების ოთხი განზომილება

	შერიგების ასპექტები	კონფლიქტების დე-ესკალაციის საფეხურები
1	თანხმობა სტატუს კვოზე	ძალადობის დასრულება
2	მონათხრობთა კორელაცია	პოლარიზაციის დაძლევა
3	დაპირისპირებულთა შეკავშირება	წინააღმდეგობის მართვა
4	ურთიერთობების აღდგენა	განსხვავების დაფასება

სეპარატიზმსა და იდენტობის შერწყმას შორის

ალბათ არ არის საჭირო იმის აღნიშვნა, რომ გზა შერიგებისკენ ხშირ შემთხვევაში გრძელი და ძალიან რთულია. მე-8 თავის დასასრულს აღვნიშნეთ, რომ მრავალი მოსაზრების თანახმად, , ომის შემდგომი რეკონსტრუქციის პროცესში ადრეულ ეტაპზე შერიგების მცდელობას აზრი არ აქვს და რომ სინამდვილეში შეიძლება,იგი კონტრპროდუქტიულიც კი აღმოჩნდეს. ძლიერ ტრავმირებული ინდივიდები და ჯგუფები ასეთი ქმედებისთვის ჯერ მზად არ არიან. ასეთ შემთხვევაში კონფლიქტების მოგვარება ერთობ სადავო „კონტაქტის ჰიპოთეზას“ იყენებს, რომლის თანახმადაც, რაც მეტია კონტაქტი კონფლიქტის მხარეებს შორის, მით მეტია მისი მოგვარების მასშტაბებიც (Hewstone and Brown, 1986). ამ მოსაზრებას უამრავი კრიტიკოსი არ ეთანხმება და თვლის, რომ პირიქით, შესაძლებლობის შემთხვევაში, საჭიროა კონფლიქტის მხარეების განცალკევება - საიმედო ღობე კარგი მეზობლობის საწინდარია:

მონაცემები ცხადყოფს, რომ ჯგუფების ერთმანეთისგან გამიჯვნა ეთნიკური ომების დასრულების გასაღებია ... არ არსებობს არცერთი შემთხვევა, რომელიც ცხადყოფს, რომ ეთნიკური იდენტობის რეკონსტრუქციამ, ძალაუფლების განაწილების საფუძველზე შექმნილმა კოალიციამ ან სახელმწიფოს შენებამ არაეთნიკური სამოქალაქო პოლიტიკა შექმნა ან აღადგინა. (Kaufmann, 199:161).

ბევრი ამ აზრს არ იზიარებს და ამტკიცებს, რომ საჭიროა კონსტრუქტების ცვლილება მოხდეს; იდენტობის ასეთი კონსტრუქტი: „საკუთარი თავი/სხვა“ ხელახალ დეფინიციას საჭიროებს; კონსტრუქტი „ჩვენ/ისინი“ უნდა ჩაანაცვლოს კონსტრუქტმა „ჩვენ“ (Northrup, 1989:80).

სახელმწიფო საზღვრებსა და ხალხების გეოგრაფიულ დანაწილებას შორის არსებული შეუსაბამობის გამო, ფიზიკური სეპარაცია ზოგად და ქმედუნარიან სტრატეგიად არ მიგვაჩნია. რა დასკვნამდეც არ უნდა მივიდეთ „კონტაქტის ჰიპოთეზის“ შესახებ, ვერსად გავექცევით გლობალიზებულ მსოფლიოში არსებულ მზარდ ურთიერთდამოკიდებულებას, რომელიც ინდივიდებისა და ჯგუფებისაგან, მათ შორის ყოფილი მტრებისგანაც, უთანხმოებების მოგვარებას და ერთად ცხოვრებას მოითხოვს. მეორე მხრივ კი ვთვლით, რომ ერთმანეთთან შეგუების პრობლემის მოგვარება ძირითადი იდენტობის ტრანსფორმაციის გზითაა შესაძლებელი.

წარსულისათვის თავის გართმევა: ტრავმა და სისასტიკე

სოციალური კოგეზიის შესანარჩუნებლად ყველა საზოგადოებამ შერიგება უნდა შეძლოს საკუთარ ფარგლებშიც და სხვა საზოგადოებებთანაც. კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით ყველაზე რთულია შერიგება მაშინ, როდესაც კონფლიქტმა ესკალაცია განიცადა და უთანხმოების, დაპირისპირების, პოლარიზაციის და ძალადობის ისეთი ფაზები გაიარა, სადაც ადგილი ჰქონდა დაუნდობლობას და სისასტიკეს, ადამიანებს კი ღრმა და მოუშუშებელი ტრავმები მიადგათ. ყველაზე დიდი გამოწვევა ძალადობრივი კონფლიქტის შემდეგ შერიგების მიღწევაა. ასეთ დროს, ეს იოლი საქმე - „კვერცხების კალათში“ ჩალაგება - არ არის; უამრავი რამ მოხდა, ურთიერთობები გაწყდა, ბევრი ნორმა დაირღვა, მრავალი ადამიანის იდენტობა დამახინჯდა, ბევრმა კი ტკივილი და ტრავმა განიცადა. უთანხმოების მოგვარებისთვის საჭირო ტრანსფორმაციულ ეტაპზე გადასვლას და ნდობის აღდგენას ინოვაციურობისა და კრეატიული განახლების უნარი სჭირდება, რაც, როგორც წესი, ბევრ საზოგადოებას არ გააჩნია, მითუმეტეს ძალადობის შეწყვეტიდან დაუყოვნებლივ:

ადამიანებმა, რომლებიც ომით გახლეჩილი ქვეყნიდან არიან, იციან რაოდენ ძნელია ერთ ოთახში მოწინააღმდეგე მხარის პირისპირ ჯდომა ... მოწინააღმდეგეები ალბათ იტყვიან: „ვერ მოვილაპარაკებთ, რადგან ის სხვა გვძაგს. მაგათ ბავშვები დაგვიხოცეს, ქალები გაგვიუპატიურეს, სოფლები აგვიოხრეს.“ (Carter, 1992:24).

ესკალაციის კიბეზე დაღმასვლის დაწყების მომენტის დადგომისთანავე ინდივიდებმა და ჯგუფებმა ტრავმულ მდგომარეობას უნდა სძლიონ; მათ გონებაში უსამართლობის შესახებ არსებული მოგონებები უნდა წაიშალოს, რაც ნიშნავს, რომ წარსული უნდა დაივიწყონ, აწმყოში ნიადაგი გაასუფთაონ, რაზეც შემდგომში საერთო მომავალს ერთად შექმნიან (Ledarach, 1997:27). პირველ რიგში ფსიქოლოგიური ტრავმის დაძლევის გზებს და სამართლიანობის აღდგენის ერთობ სადავო საკითხს განვიხილავთ; ამ თავის ბოლოს კი შერიგების ფართო როლს დავუბრუნდებით კონფლიქტების დეესკალაციასა და საერთო მომავლის შენების საქმეში.

ტრავმის აღიარება

ახლა ძალიან მოკლედ ვისაუბრებთ ფსიქო-სოციალური გამოჯანმრთელების კომპლექსურ და ფრიად სადავო საკითხზე. ხშირ შემთხვევაში ომის „უხილავი ეფექტების“ მკურნალობა ფიზიკურზე გაცილებით რთულია:

ომის პირველი მსხვერპლი ხშირ შემთხვევაში ქალები და ბავშვები არიან. მართალია, ისინი სიცოცხლეს ან კიდურებს არ კარგავენ, მაგრამ მათი ტრავმები სიღრმისეულია და შეუიარაღებელი თვალით არ ჩანს. ძალადობისა და გაუპატიურების მსხვერპლები ჩვეულებრივ ცხოვრებას ისე ვერ უბრუნდებიან თითქოს არაფერი მომხდარა. როგორც ვიცით, ყოფილ იუგოსლავიაში, მრავალი მსხვერპლისთვის მშვიდობა ჯერაც არ დამდგარა. ამის გამო ჩვენი გადაუდებელი შემთხვევების პროგრამებში ფსიქო-სოციალური საქმიანობა პრიორიტეტული უნდა იყოს. (Emma Bonino, European Commissioner with responsibility for humanitarian aid, quoted in Agger, 1995; foreword).

ახლა არ ვიმსჯელებთ იმაზე თუ რამდენად მიზანშეწონილია დასავლური პოსტ-ტრავმატული სტრესით გამოწვეული აშლილობის (PTSD) მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება არადასავლურ გარემოში (Summerfield, 1996), მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ კონფლიქტების მოგვარებისა და შერიგების თვალსაზრისით (როგორც პატრიკ ბრეკენი თვლის) კონფლიქტის მოგვარების სიღრმისეული პროცესის მისაღწევად შერიგებას ფსიქოლოგიური ტრანსფორმაცია უნდა ახლდეს თან (Bracken and Petty, 1998). ასეთი რამ კულტურულად სენსიტიური და გრძელვადიანი საქმეა, რადგან მრავალი ადამიანი საზარელ ჭრილობებს ვერ იშუშებს და ვერც დანაკარგს ივიწყებს.

ამნეზია, სამართლიანობა თუ რევანში?

კონფლიქტების მოგვარების თვლასაზრისით უამრავი რამ დაიწერა სამართალსა და მშვიდობას შორის არსებულ ურთიერთობაზე, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფართომასშტაბიანი ძალადობისა და ომის შემდგომი სოციალური ურთიერთობების თავიდან აგების საქმეში (იხ. ამ თემაზე რეკომენდირებული ლიტერატურა ამ თავის ბოლოს). ამ საკითხის განხილვისას ვიხელმძღვანელებთ ენდრიუ რიგბის ნაშრომის „სამართლიანობა და შერიგება: ძალადობის შემდეგ“ (2001) და რამი მანის „შურისძიების მიღმა: სამართლიანობის ძიება ომის ჩრდილ ქვეშ“ (2002).

ცხრილი 10.2 სამართლიანობა: ამნეზიასა და შურისძიებას შორის

ამნეზია	საზოგადოებრივი სამართლიანობა	შურისძიება
აპატიე და დაივიწყე	წარსულთან გამკლავება საჯაროდ და კოლექტიურად	მე სამაგიეროს გადავუხდი

რიგბის წიგნის ჩარჩო „ამნეზიის“ ანუ „აპატიე-და-დაივიწყე“ მიდგომის მიხედვითაა აგებული; იგი მას მიიჩნევს იმ ერთ-ერთ გზად, რომელსაც საზოგადოება უნდა დაადგეს იმისათვის, რომ თავი დააღწიოს „გაყოფას, სისხლისღვრას და ღამის საზარელ კოშმარს“; ამის ალტერნატივასა და მეორე პოლუსს კი „გასამართლება, წმენდა და სამართლის ძიება“ წარმოადგენს (2001: 2-3). მისი აზრით, სიმართლის დამდგენი კომისიები და მაკომპენსირებელი რეპარაცია სადღაც ამ ორს შორის დგას.

მანი კი საზოგადოებრივი სამართლის სამ ურთიერთდამოკიდებულ განზომილებას ერთმანეთისგან მიჯნავს; ჩვენი აზრით, საბოლოო შერიგების საქმეში სამივეს თავისი როლი აქვს, რამეთუ ისინი პირადი შურისძიების ალტერნატივებს წარმოადგენენ. იგი პირველს - კანონიერ სამართლიანობას (legal justice) ან კანონის უზენაესობას, „სამართლიანობის სისტემის მთელ აპარატს“ უწოდებს, რომელიც ძალადობის დროს დელეგიტიმიზირებულია ან ეგებ განადგურებულიც კი და აღდგენა სჭირდება. მეორე „რექტიფიცირების სამართალია“, რომელიც წარსულ შეურაცხყოფასა და ადამიანის უფლებების უხეშ დარღვევას, ომის დანაშაულს და კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს ეხება. მესამე „დისტრიბუციული სამართლიანობაა“, რომელიც ისეთ „სტრუქტურულ და სისტემურ უსამართლობას უპირისპირდება, როგორიც: პოლიტიკური და ეკონომიკური დისკრიმინაცია და განაწილების უთანასწორობაა და რაც ხშირ შემთხვევაში კონფლიქტის საფუძველს წარმოადგენს“ (2002: 3-11).

ახლა საზოგადოებრივი სამართლიანობის ვრცელი ცნება განვიხილოთ და ამნეზიასთან (მოდით, დავივიწყოთ წარსული) და რევანშთან (შური ვიძიოთ და სამართალი ჩვენ აღვასრულოთ) შევაპირისპიროთ (იხ. ცხრილი 10.2). არსებობს საზოგადოების ტიპი, რომელსაც „პატიება და დავიწყება“ სხვებზე გაცილებით ადვილად გამოსდის; მათ ყოფილ მტერთან ურთიერთობის სრული აღდგენა დაუბრკოლებლად შეუძლიათ, რაც ალბათ მათი კულტურითაა განპირობებული. სხვებს კი ასეთი რამ, მშვიდობის გარე დამცველების უკიდურესი ძალისხმევის მიუხედავად, ნაკლებ ხელეწიფებათ, რადგან მათში უსამართლობის მწველ შეგრძნებას მხოლოდ პირადი შურისძიება აცხრობს. ამ ორ ალტერნატივაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. მაგრამ პირველ რიგში შევეცდებით დავადგინოთ რა რესურსებს იყენებენ ის საზოგადოებები, რომლებიც წარსულ სისასტიკეს საზოგადოებრივი სამართლიანობით უპირისპირდებიან.

მშვიდობა თუ სამართლიანობა? არაუერთიერთგამომრიცხავი ალტერნატივები

ხშირად ამბობენ, რომ მშვიდობასა და სამართლიანობას შორის წინააღმდეგობა არსებობს. მაგ., პოლინ ბეიკერი საკითხს ასე აყენებს:

> *უნდა ვეცადოთ თუ არა მშვიდობის მოპოვება ნებისმიერ ფასად იმისათვის, რომ დავასრულოთ სისხლისღვრა, მაშინაც კი თუ ძალაუფლების გადანწილების შეთანხმება ადამიანის ძირითად უფლებებს და დემოკრატიულ პრინციპებს არ ითვალისწინებს? ან ეგებ მიზანი დემოკრატიული მშვიდობა უნდა იყოს, რომელიც პატივს სცემს ადამიანის უფლებებს; მიზანი, რომელმაც შესაძლოა გაახანგრძლივოს ბრძოლა და მეტი სისასტიკეც გამოიწვიოს მანამ, სანამ მხარეები მოლაპარაკებების გზით მიღწეულ გადაწყვეტილებას მიიღებენ? (Baker, 1996:564).*

ცხრილი 10.3. ნეგატიურიდან პოზიტიური მშვიდობისკენ სამართლიანობის გავლით

ნეგატიური მშვიდობა	სამართლიანობა	პოზიტიური მშვიდობა
ძალადობის არარსებობა	კანონის უზენაესობა	გრძელვადიანი შერიგება
	სიმართლის კომისია/სასამართლოები	
	რეპარაცია/დისტრიბუციული მართლმსაჯულება	

იგი ერთმანეთს ადარებს „კონფლიქტის მენეჯერებს“, რომელთა მიზანიც მშვიდობის მიღწევაა (როგორც ეს მოხდა ანგოლაში, კამბოჯასა და მოზამბიკში) და „დემოკრატიის მომხრეებს“, რომელთა მიზანსაც სამართლიანობის მიღწევა წარმოადგენს (როგორც ეს მოხდა ნამიბიაში, ელ სალვადორსა და ბოსნიაში).[1]

მართალია, მე-8 თავში ომის შემდგომი მშვიდობის შენების ნეგატიურ და პოზიტიურ ამოცანებს შორის არსებულ დაძაბულობაზე ვისაუბრეთ, მაგრამ ეს ალტერნატივები ძლიერ განსხვავებულად არ მიგვაჩნია. არც მშვიდობისა და სამართლიანობის ცნებაა იმდენად მონოლითური და შეუვალი, როგორც ზოგჯერ წარმოგვიდგენენ ხოლმე. მართალია, ნეგატიური მშვიდობის მიღწევა და პირდაპირი ძალადობის შეწყვეტა ზოგჯერ სამართლიანობის მოთხოვნებთან შეუთავსებელია, მაგრამ პოზიტიური მშვიდობა და ფსიქო-სოციალური მოშუშება სამართლიანობასაც გულისხმობს. ანუ, ნეგატიურიდან პოზიტიურ მშვიდობისაკენ მიმავალი გზა სამართლიანობაზე გადის (იხ. ცხრილი 10.3). ჩვენც, მანის მსგავსად, სამართლიანობა მრავალგაზომილებიანად მიგვაჩნია; იგი შერიგების სხვადასხვა საშუალებას იძლევა, მათ შორის, სიმართლის დამდგენი კომისიის შექმნით, სასამართლოთი, რეპარაციისა და რეაბილატაციის ღონისძიებების გატარებით; რომელ გზას ავირჩევთ დამოკიდებულია განსახილველი ქვეყნის სამართლებრივ შესაძლებლობებსა და სოციალური გაყოფის ბუნებაზე. რაც ნიშნავს, რომ იმისათვის რომ შერიგება შედგეს, ყოფილი მტრები ომის შემდგომი კანონის უზენაესობის ლეგიტიმურობაზე თანხმობას უნდა აცხადებდნენ, უნდა არსებობდეს კორელაცია მათ მონათხრობს შორის, რათა სიმართლის დამდგენმა კომისიამ და სასამართლომ რექტიფიკატორული სამართლიანობის საკითხების გაქარვება შეძლოს; ასევე უნდა არსებობდეს უთანხმოების ამოვსების საშუალებები კომპენსაციის, რეპარაციის ან სტრუქტურული რეგულირების გზით, რათა მომავალში გაუმჯობესებული სამართლიანობის სათანადო პერსპექტივები გაჩნდეს. თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე განვიხილავთ და შერიგების შესაძლებლობასა და ურთიერთობების აღდგენაზე მხოლოდ ამის შემდეგ, ბოლო თავში ვიმსჯელებთ.

იგივენაირად განიხილავს ამ საკითხს რამდენიმე სხვა ავტორიც (Dudouet and Schmelzle, 2010), რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვასა (სამართლიანობა) და კონფლიქტების ტრანსფორმაციას (მშვიდობის) შორის არსებული ურთიერთობის შესახებ ამბობენ:

> *ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტების ტრანსფორმაციის პოტენციალისა და შეზღუდვების უკეთ დასანახად იგი უნდა გასცდეს იმ ენას, რომელიც კონკრეტულ კონტექსტში ერთმანეთს უპირისპირებს „მშვიდობასა და სამართლიანობას“ და მათ პოლარიზებას ახდენს. ისეთი კონტექსტებიდან აღებული ფაქტები, როგორებიცაა ნეპალი, სამხრეთ აფრიკა, ისრაელი/პალესტინა, უგანდა და კოლუმბია, ამტკიცებენ, რომ მეტი ყურადღება ადამიანის უფლებებზე - კონფლიქტების მიზეზებსა და მანიფესტაციებზე და ამასთან ერთად ნორმატიულ და პრაქტიკული*

ჩარევის ინსტრუმენტებზე - კონფლიქტის ტრანსფორმაციას მიზანთან მეტად აახლოვებს და მის ყველაზე სიღრმისეულ ფესვებზე მიაქვს იერიში.

მშვიდობის ქვემოდან ზემოთ შენების (საუბარი იყო მე-9 თავში) მომხრეები თვლიან, რომ „მეტად უნდა შევუწყოთ ხელი ორივე მხარის მიერ ერთმანეთის უკეთ გაცნობას, მათ ერთობლივ საქმიანობას; ისინი საჭიროდ მიიჩნევენ ადგილობრივად შექმნილ, დროულ და კონტექსტისათვის სპეციფიკურ ინიციატივებს“.

შერიგების ალტერნატიული გზები

კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნის შემდეგ მოკლედ მიმოვიხილოთ სხვადასხვა საზოგადოების მიერ განხორციელებული ექსპერიმენტები, რომლის საშუალებითაც მათ ომიდან სოციალური რეინტეგრაციისაკენ გაიკვლიეს გზა. სიტუაციის ჩინებულ ანალიზს გვთავაზობს როზშტეინი (1999), უიტაკერი (1999) და როტბერგი და ტომპსონი (2000), ასევე რიგბი (2001) და მანი (2002). თავდაპირველად განვიხილავთ ამნეზიას, როგორც საგანგებოდ შერჩეულ პოლიტიკას, შემდეგ კი სამ ურთიერთდაკავშირებულ მიდგომას სამართლიანობის ვრცელი სფეროდან (სიმართლის დამდგენი კომისია, სასამართლოები და კომპენსაციები). ბოლოს კი ტრადიციული მშვიდობის დაცვის კულტურულად განპირობებული ოპოზიტებით დავასრულებთ, რასაც, რიგ შემთხვევებში რიტუალური მოშუშების სახე აქვს და მიღწევადია ზოგ საზოგადოებაში, ზოგგან კი დაუსრულებელ ანგარიშსწორებად და შურისძიებად იქცევა ხოლმე.

ოფიციალური ამნეზია - წრასულისგან გათავისუფლება

როგორც რიგბი (2001: 2-3) შეგვახსნებს ესპანეთში, ფრანკოს რეჟიმის შურისმაძიებლობის მიუხედავად, მისი სიკვდილის შემდეგ, 1975 წლიდან დემოკრატიაზე გადასვლისას „რეპრესიებს ადგილი არ ჰქონია, ერთგვარმა კოლექტიურმა ამნეზიამ დაისადგურა“. როგორც ამბობენ, ესპანელი სამხედროების მიერ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის შესაძლებლობით შეშინებულმა ორმა ელიტამ დადო „პაქტი დავიწყების შესახებ“. ასევე მოხდა კამბოჯაშიც, სადაც „შურისძიების სულზე“ უარი თქვეს, რაც „კამბოჯას პოლიტიკურ ელიტას“ და წითელი ქმერების ცოცხლად გადარჩენილ ხელმძღვანელებს შორის მიღწეული შეთანხმების შედეგი იყო. ამ წიგნის პირველი გამოცემის გამოსვლისას, კამბოჯას სასკოლო სახელმძღვანელოებში პოლ პოტის წლებს ათიოდე სტრიქონი მაინც ეთმობოდა, ახლა კი სიტუაცია იცვლება. რიგბი აღნიშნავს, რომ ორივე შემთხვევაში თანხმობის მიზეზი ორად გახლეჩილი (რაც რიგ შემთხვევებში ოჯახის ფარგლებშიც კი ხდებოდა) უბრალო ხალხის ჩართულობა იყო. ორივე ქვეყანაში, ამ ძალადობის შემდეგ დაბადებული ახალგაზრდა თაობა, რომელსაც კონფლიქტში წვლილი არ მიუძღვის, მეტ ინფორმაციას და საზოგადოების მხრიდან განცდილი ტრავმების აღიარებას ითხოვს, თუნდაც იმიტომ რომ მსგავსის განმეორება აღარ სურთ; „ვაითუ დავივიწყოთ“. თუ რამ უნდა დავივიწყოთ, სჯობს, ძველი სიძულვილი ჩავაბაროთ წარსულს (ლეთას წყალი უნდა შევსვათ), სხვა რამ კი, მაგ., ძალადობის მსხვერპლნი, მუდამ უნდა გვახსოვდეს (აქერონის წყალს დავეწაფოთ). როდესაც თანამედროვე პოლიტიკასთან ყველა მნიშვნელოვანი კავშირი წყდება, მხოლოდ ისტორია რჩება - დღესდღეობით ვის შეუძლია დანამდვილებით თქვას, შუა საუკუნეების ევროპაში რატომ ებრძოდნენ ერთმანეთს ასე თავგამოდებით გველფები და გიბელინები.

სიმართლის დამდგენი კომისია - პატივი მივაგოთ წარსულს

ზემოთ განხილულის საპირისპირო სხვა გზაც არსებობს, რომელიც საკმაოდ სარისკოც არის; ეს „სიმართლის დამდგენი კომისიის“ შექმნაა, რომელსაც სამხრეთ აფრიკის სიმართლისა და შერიგების კომისიის მეთაური, დესმუნდ ტუტუ „ნიურბერგსა და ნაციონალურ ამნეზიას“ შორის მდებარე „მესამე გზას“ უწოდებს (Tutu, 1999: 10-36). სიმართლის დამდგენი კომისია ოცზე მეტ ქვეყანაშია შექმნილი, მათ შორის შრი-ლანკასა და ჰაიტიში, სადაც მისი საქმიანობა წარუმატებელი და უსულგულო იყო, ელ-სალვადორში, ჩილესა და გვატემალაში კი გაცილებით ნაყოფიერი. თითოეული მათგანი იმ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობის ანარეკლია (იხ. ფოკუსი 10.1). ამ საკითხთან დაკავშირებით როტბერგთან და ტომპსონთან უამრავ დილემასა და აზრთა სხვადასხვაობას შეხვდებით (2000).

ყველაზე საყურადღებო კი ყველაზე ცნობილი მაგალითია: „სიმართლისა და შერიგების კომისია“ სამხრეთ აფრიკაში. 1995 წლის „ეროვნული ერთობისა და შერიგების აქტის“ თანახმად სიმართლის დამდგენმა კომისიამ წვლილი უნდა შეიტანოს შემდეგ საქმიანობაში:

> *ისტორიული ხიდი გადოს გახლეჩილი საზოგადოების წარსულს, რომელიც არეულობით, კონფლიქტით, ენით გამოუთქმელი ტანჯვითა და უსამართლობით ხასიათდებოდა და მომავალს შორის, რომელიც ადამიანის უფლებების აღიარებაზე, დემოკრატიასა და მშვიდობიან თანაარსებობაზე და ყველა სამხრეთ აფრიკელისთვის (განურჩევლად კანის ფერისა, რასისა, აღმსარებლობისა, რწმენისა და სქესისა) თანაბარი შესაძლებლობების შექმნაზე იქნება დაფუძნებული (ციტირებულია Villa-Vincencio and Verwoerd, 2000:280).*

საზოგადოების შერიგებისათვის შექმნილი გეგმა შეძლებისდაგვარად ბევრი ადამიანის გამოკითხვას ითვალისწინებდა, რის საფუძველზეც დაადგენდნენ და ამხელდნენ 1960 წლიდან განხორციელებულ ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევებს, მოისმენდნენ ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებებს და მათ ერთმანეთთან ჰარმონიზაციას შეეცდებოდნენ იმის ფარგლებში, რასაც ლინ გრეიბილი „გაგების ერთ მთლიან სამყაროს“ უწოდებს (1998:49), იკისრებდნენ პასუხისმგებლობას, გამოთქვამდნენ სინანულს, დასახავდნენ მსხვერპლის რეპარაციის გზებს და ისეთ ემოციურ განწყობას შექმნიდნენ, რომელიც პატიებას შესაძლებელს ხდის, სადაც აღარ იქნებოდა საუბარი დასჯაზე ან შეწყალებაზე (Committee on Amnesty) (Asmal et al., 1996; Boraine et al., 1997; Boraine 2000). ალბათ არ არის საჭირო იმის ხაზგასმით აღნიშვნა, რომ სიმართლის დამდგენი კომისია დაპირისპირებულ მხარეთ მკაცრი კრიტიკის ობიექტი არაერთხელ გამხდარა; ზოგიერთთა მტკიცებით, ქვეყანა წარსულისკენ არ უნდა იხედებოდეს და თავს ახალ ჭრილობებს არ აყენებდეს (მაგ., სტივ ბიკოს ოჯახი), ამტკიცებდნენ რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ფაქტებს სასამართლო უნდა განიხილავდეს და განაჩენიც მას გამოჰქონდეს (Gutmann and Thompson, 2000). აფრიკის ეროვნული კონგრესის თვალსაზრისით კი „სიმართლის დამდგენი კომისია“ სიმართლის სამსახურში უნდა მდგარიყო, შერიგებაზე ზრუნვა კი მოგვიანებით უნდა დაწყებულიყო (რაზეც არქიეპისკოპოსი დესმუნდ ტუტუ იყო პასუხისმგებელი). ნაკლებად მოგვეპოვება ფაქტები, რომლებზე დაყრდნობითაც დავამტკიცებდით, რომ სიმართლის დამდგენმა კომისიამ შერიგების კუთხით ინდივიდუალურ დონეზე მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია, ეს მისი თავდაპირველი მიზანი არც ყოფილა. აფრიკის ეროვნული კონგრესის აზრით, ამ კომისიის პოლიტიკური მიზანი იყო აპართეიდის მომხრეებს ამ რეჟიმის ბოროტება ეღიარებინათ. მსგავს მიზანს ემსახურებოდა „რუანდის საქმეთა საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულის ტრიბუნალიც“ (ICTR); 1998 წლის „რუანდის ეროვნული ერთობისა და შერიგების კომისია“

ადგილობრივი თემების 11 000 სასამართლოსთან თანამშრომლობდა (the *Gacaca* system); იგი განიხილავდა შედარებით დაბალი დონის დანაშაულს, ისმენდა აღიარებით ჩვენებებს და ბოდიშს და მიმართავდა რეპარაციას (ჯარიმები და საზოგადოებრივი სამუშაოების შესრულების დაკისრება). ასეთი რამ შეიძლება შევაფასოთ როგორც მშვიდობიანი თემის შენებისა და შერიგების მიზნით განხორციელებული ღონისძიება, როგორადაც იგი ზოგიერთს მიაჩნდა კიდეც; თუმცა, გამარჯვებული „რუანდის პატრიოტული ფრონტისგან“ შემდგარ მთავრობას დამარცხებული ჰუტუსისთვის კოლექტიური ბრალის წაყენება სურდა.

„სიმართლის დამდგენი კომისიის“ დამცველები თვლიან, რომ სამართლიანობა გაცილებით ფართო ცნებაა ვიდრე შურისმაძიებლებს ჰგონიათ - იგი აერთიანებს საპროცესო სამართალსა და აღდგენითი სამართლიანობის თერაპიულ საშუალებებს, რაც აუცილებელია მყიფე პოლიტიზირებულ ატმოსფეროში, რომელშიც ლეგიტიმურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას (Kiss, 2000). სადამსჯელო მიდგომას შეიძლება „გამარჯვებულის სამართალი“ ვუწოდოთ ისეთ საზოგადოებებში, რომლებიც ძალადობას ახლაღა აღწევენ თავს და სოციალური კონსენსუსის საფუძვლის ჩაყრას ცდილობენ (Kritz, 1995). როტბერგი „სიმართლის დამდგენ კომისიას“ „სამართლიანობის გამდიდრებულ ფორმად“ მიიჩნევს, რომელშიც „ამინისტიის სიმართლე სამართლიანობას შერიგების გზით აღწევს“ (2000:14). თითოეულ ამ კომპონენტს ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ.

მრავალი მოსაზრების თანახმად, , იქ, სადაც „სიმართლეზე“ ვერ თანხმდებიან, „სიმართლის დამდგენ კომისიას“ ისეთი სიმართლის აღმოჩენის უნარი შესწევს, რომელზეც სასამართლოს ხელი არ მიუწვდება.[2]„სიმართლის დამდგენი სხვა კომისიებისგან განსხვავებით TRC-ის განხილვები საჯარო იყო და მათ შესახებ ფართო საზოგადოებას აწვდიდნენ ცნობებს. მას სიმართლის ერთი „ოფიციალური“ ვერსია არ დაუდგენია; მოისმინეს მსხვერპლის მიერ მონათხრობი უამრავი გულის განმგმირავი ამბავი, რომელსაც მათი ჩამდენები ხშირ შემთხვევაში ექსპლიციტურად აღიარებდნენ. კომისიის „დასკვნითი ანგარიში“, რომელიც 20 000 მსხვერპლის მონათხრობ ამბავს აერთიანებს, უჩვეულო და სულისშემძვრელია. თუმცა, ეს ამბები მონანიებისა და პატიებისაგან შორსაა. მრავალთა აზრით, მათი მკურნალი თავად ეს პროცესია, რადგან ამ ადამიანებმა წარსულში განცდილი ტანჯვა აღიარეს და პატივი მიაგეს მას (Minow, 2000); ასეთი მიდგომით აღიკვეთა ტყუილების გავრცელებაც აპართეიდის შესახებ.

რაც შეეხება დასჯასა და იმუნიტეტს, სხვა მრავალი ქვეყნისაგან განსხვავებით, ერთი საერთო ამინისტია არ მიუღიათ. ინდივიდუალურად შეიწყალეს ან მასზე უარი უთხრეს 7 000 განცხადების ავტორს. „შეწყალების კომიტეტი“ ითვალისწინებდა რამდენად სრულყოფილად იყო აღიარება მიცემული და რა იყო დანაშაულის მოტივი - „პოლიტიკური“ თუ კრიმინალური; თუმცა მათი გამიჯვნა რთული და თანაც ძალიან ზედაპირული იყო. ხშირ შემთხვევაში დადგენილება სადავო იყო; იგი არაერთგზის გააუქმა „სამხრეთ აფრიკის უმაღლესმა სასამართლომ.“ (Slye, 2000).

ამგვარად ცდილობდნენ კომპრომისის მიღწევას სამხრეთ აფრიკაში, სადაც აპართეიდა დამარცხებული იყო, არსებობდა „სიმართლის დამდგენი კომისიის“ შესაქმნელი რესურსები, ქრისტიანული და ადგილობრივი *„უბუნტუ“* ტრადიცია და რაც მთავარია სათანადო ხელმძღვანელობა. ამის მიუხედავად, 1998 წლის ივლისში გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ ცხადყო, რომ სამხრეთ აფრიკელთა ორიმესამედი თვლიდა, რომ „სიმართლის დამდგენი კომისიის“ საქმიანობამ რასათა შორის ურთიერთობის ნგრევა

გამოიწვია და არა საზოგადოების შერიგება (Rotberg, 200:19). მიუხედავად იმისა, რომ ეს ექსპერიმენტი, სამხრეთ აფრიკის პირობების მიხედვით იყო შედგენილი, მაინც ვთვლით, რომ იგი ძლიერი მაგალითია იმისა თუ რა კრეატიული ძალისხმევა შეიძლება იყოს გაწეული წარსულთან გასამკლავებლად, აწმყოში საზოგადოების შესარიგებლად და მომავალში კონფლიქტის მოსაგვარებლად.

ფოკუსი 10.1 სიმართლის დამდგენი კომისია

ელ სალვადორში 1992 წლის 5 მაისს შექმნილმა „სიმართლის დამდგენმა კომისიამ“ 22 სექტემბერს 200 გვერდიანი ანგარიში წარუდგინა გაეროს გენერალურ მდივანსა და პრეზიდენტ კრისტიანის. ანგარიშში განხილული იყო 22 000 საყვედური 1980 წლის შემდეგ ჩადენილი დარღვევების შესახებ. აქედან 7 312 შემთხვევაში არსებობდა პირდაპირი მტკიცებულება, 13 562 შემთხვევაში კი ადამიანის უფლებათა დარღვევების 97 პროცენტი „მემარჯვენე სამხედრო, პარამილიტარულ, უსაფრთხოების ძალებს და სიკვდილის ბრიგადებს უკავშირდებოდა, ხოლო სამი პროცენტი კი ოპოზიციურ მეამბოხე დაჯგუფებებს (UN Doc. S/25500). მმართველი პარტიის „არენის“ პროტესტის მიუხედავად დამნაშავეები დაასახელეს, 103 ოფიცერი დაითხოვეს, თუმცა „არენას“ კონტროლის ქვეშ მყოფმა ეროვნულმა ასამბლეამ საერთო ამინისტიის გამოცხადების მოთხოვნა დააკმყოფილა, ხოლო უმაღლესი სასამართლოს წმენდის მოთხოვნაზე კი უარი განაცხადა (Hamspon, 1996: 1567).

ჩილეში „სიმართლისა და შერიგების კომისია“ 1990 წელს გენერალ პინოჩეტთან მიღწეული შეთანხმების შემდეგ დაარსდა. კომისიამ საქმიანობა 18 თვეში დაასრულა; შეხვედრებს დახურულ კარს მიღმა მართავდა და ვერ დაასახელა ვერცერთი დამნაშავე, თუმცა ანგარიში პრეზიდენტ აივინს ტელევიზიით გადასცა; საჯარო ბოდიშიც მოიხადეს. კომისიას საქმიანობაში დიდი დახმარება გაუწია რომის კათოლიკური ეკლესიის Vicaria de la Solidaridad-მა და პინოჩეტის 17 წლიანი დიქტატურული რეჟიმის დროს ათასობით გაუჩინარებული ადამიანის შესახებ არსებული ჩანაწერები გადასცა.

შეზღუდული მანდატისა და მწირი რესურსების მიუხედავად, გვატემალაში მოქმედი „ისტორიის გამრკვევი კომისია“ საქმიანობას ეროვნული შერიგების კანონმდებლობის დებულებების მიხედვით წარმართავდა (Guatemalan Commission for Historical Clarification, 1999). რამდენიმე შემთხვევაში სასამართლოს გამართვის მოთხოვნაც დააყენა. მის საქმიანობას ავსებდა სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივები, ძირითადად რომის კათოლიკური ეკლესიის არაოფიციალური პროექტი ისტორიული მეხსიერების აღდგენისათვის, რომელშიც მოცემული იყო ადგილობრივ ინდიელთა ენებზე მიცემული 6 000 ჩვენება. ანგარიში ადგილობრივი თეატრების, რადიოს, ვორქშოფების და სხვადასხვა ცერემონიების საშუალებით გავრცელდა. არმიასა და სამოქალაქო თავდაცვით პატრულს ბრალი დასდეს სიკვდილის 150 000 შემთხვევასა და 50 000 გაუჩინარებაში. ანგარიშის წარდგენიდან ორი დღის თავზე, მისი ავტორი დედაქალაქ გვატემალაში ცემით მოკლეს (Crocker, 2000; 111).

სასამართლო პროცესები - წარსულის განხილვა აწმყოს ტრიბუნალის წინაშე

თემა ძალიან ვრცელი და ფართოა, რის გამოც ჩვენ ერთი, მთავარი საკითხის განხილვით შემოვიფარგლებით (ომის დანაშაულის ტრიბუნალების შესახებ ვრცელი დებატი იხილეთ და

ერთმანეთს შეადარეთ Mak (1995) Meron (1993)). მიუხედავად იმისა, რომ მათ ხშირად სიმართლის დამდგენი კომისიის ალტერნატიულ ვარიანტად განიხილავენ, საერთაშორისო კრიმინალური ტრიბუნალები ძირითადად დამხმარე როლს ასრულებენ. ამის მაგალითს გვაძლევს რიჩარდ გოლდსტოუნი - 1992 წელს სამხრეთ აფრიკაში კრიმინალური ქმედებების შემსწავლელი კომისიის ხელმძღვანელი, რომელიც მოგვიანებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალის მთავარ პროკურორად დაინიშნა ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის საკითხებში. გოლდსტოუნი აღიარებს, რომ მშვიდობასა და სამართლიანობას შორის ერთობ რთული ურთიერთდამოკიდებულება არსებობს, სწორედ ამიტომ ძალადობის შეწყვეტის გარეშე სისასტიკის ჩამდენების სამართლის სამსჯავროზე წარდგენა წარმოუდგენელია. მიუხედავად ამისა, იგი აცხადებს: „კანონისა და წესრიგის კულტურის დამყარების გარეშე და დანაშაულის აღიარებისა და დამსახურებელი სასჯელის გამოტანის გარეშე, რაც მსხვერპლის ფუნდამენტურ მოთხოვნილებას წარმოადგენს, თითქმის არ არსებობს იმედი, რომ მომავალში ძალადობის ციკლური სახით გამოვლინებას თავიდან ავირიდებთ.“ (1997:107).

დამსახურებული სასჯელის გამოტანაზე საუბარი უკვე მიგვანიშნებს, რომ სიმართლის დამდგენი კომისიების საქმიანობა, რომელიც სადამსჯელო მექანიზმების გამოყენებას არ ითვალისწინებს, ადეკვატურად არ ჩაითვლება. მაგრამ თავში სახელწოდებით: „სამხრეთ აფრიკული გადაწყვეტა: არის კი სიმართლე საკმარისი?“ (2000: 59-73) გოლდსტოუნის მოსაზრების თნახმად, „სიმართლის დამდგენმა კომისიამ“ ისეთი შედეგების მიღწევა შეძლო, რომლის წყალობითაც „სამხრეთ აფრიკა უკეთეს ქვეყნად იქცა “ და რომლის მიღწევაც „ჩვეულებრივი“, ხანგრძლივი და ძვირადღირებული „სისხლის სამართლის პროცესით“ შეუძლებელი იქნებოდა, სამხრეთ აფრიკელთა უმრავლესობა კი მას პოლიტიკურად მოტივირებულად ჩათვლიდა; „მე მხოლოდ მადლიერებით მოვიხსენიებ იმას, რისი გაკეთებაც მან თავისი არსებობის ოცდაათი თვის განმავლობაში შეძლო. ეჭვი არ არის, რომ სამხრეთ აფრიკელები მის საქმიანობას სათანადოდ დააფასებენ.“ (იქვე: 71-2).

საერთაშორისო ტრიბუნალებს უამრავი კრიტიკოსი და მოწინააღმდეგე ჰყავთ, რომლებისთვისაც იგი მათი მტრის ხელში არსებული პოლიტიკური იარაღია. ამ წიგნის ავტორებისთვის კი იგი საერთაშორისოდ მიღებული ჰუმანური სტანდარტების ძირითადი ინგრედიენტია თვით ინტენსიური კონფლიქტის ქარ-ცეცხლშიც კი.

რეპარაცია - წარსულის კომპენსაცია მომავალში

კომპენსაციასა და რეპარაციაზე ვრცლად არ ვისაუბრებთ, მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ ორივე სამართლიანობის მთავარია ელემენტია, რაც, თავის მხრივ, შერიგების მეტ საშუალებას იძლევა. ჩილეში გადარჩენილებისა და მსხვერპლთა ოჯახებს კომპენსაცია დაურიგეს, ხოლო სამხრეთ აფრიკის „სიმართლის დამდგენი კომისიის“ რეპარაციისა და რეაბილიტაციის კომიტეტმა პარლამენტში შეიტანა წინადადება ვისთვის უნდა გადაეხადათ კომპენსაცია და რა ოდენობით (Rotberg, 2000:11). ასეთ შემთხვევაში მსხვერპლი ბევრს ვერაფერს იღებს, ბევრი კი თვლის, რომ კომპენსაცია თვითნებურად ნაწილდება, რაც დავისა და აზრთა სხვადასხვაობის საგანი ხდება ხოლმე. მარტა მინოუ (2000) კომპენსაციად ფულის გარდა ძეგლების გახსნას, პარკებისა და ქუჩებისთვის სახელის დარქმევას მიიჩნევს; მისი აზრით, გრძელვადიან პერსპექტივაში სოციალური ტრანსფორმაციის საშუალებას სწორედ ასეთი კომპენსაცია წამოადგენს. ეს დისტრიბუციული სამართლიანობის რეკოსნტრუქციისა და გაუმჯობესების ძალისხმევის ნაწილი ხდება, რაც, თავის მხრივ, მშვიდობის შენების

ფართო ძალისხმევის ნაწილს წარმოადგენს. მეორე მხრივ კი - გარკვეულ შემთხვევებში - მაგ., რეპარაცია პალესტინელი დევნილებისთვის ისრაელთან საბოლოო შეთანხმების ნაწილს წარმოადგენს; შესაძლოა, რეპარაციისათვის საჭირო ხარჯები რამდენიმე მილიარდ დოლარს შეადგენდეს, საკითხი კი მთელი მშვიდობის პროცესისათვის გადამწყვეტი იყოს.

ამ ქვეთავს ძალადობის შემდგომი ორი კულტურული ღონისძიების განხილვით დავასრულებთ და შევეცდებით თვალნათლივ გაჩვენოთ რამდენად განსაკუთრებული და უნიკალურია სხვადასხვა კულტურა ამ მხრივ.

რიტუალური განკურნება და ადგილობრივი სამშვიდობო ინიციატივები - ბოროტი სულის განდევნა და წარსულის გამოსყიდვა

აქ იმ რესურსებზე ვისაუბრებთ, რომლებსაც ადგილობრივი საზოგადოება ფლობს და რომელიც ხშირად კონფლიქტების მოგვარების პრაქტიკოსების გაოცებას იწვევს; მაგ., ტრადიციული მკურნალების როლი მოზამბიკში (Nordstrom, 1995), კლანების მეთაურების საქმიანობა, ქალების ინიციატივა და ადგილობრივი საზოგადოებების სამშვიდობო პროცესები სომალიში (Farah, 1993; Bradbury and Healy, 2009).

შესაძლებელია,ზოგიერთ კულტურაში, რომლებიც უბედურებასა და ძალადობას ავ სულებს მიაწერენ, შერიგება საკმაოდ მარტივად, განწმენდის ცერემონიით მოხდეს. ასეთ შემთხვევებში ომს გარე ძალების მიერ თავს მოხვეულ კატასტროფად თვლიან, რომელიც არცერთი ინდივიდის ან ჯგუფის ბრალი არ არის. 1991 წლის 14 სექტემბრის „ეროვნული სამშვიდობო კონვენციის“ მიღების შემდეგ, სამხრეთ აფრიკაში დაარსებულ რეგიონალური და ადგილობრივი დავების გადაწყვეტის კომიტეტებს იმის გამო აკრიტიკებენ, რომ ისინი ელიტურია და თეთრკანიანთა ბიზნესების, პოლიტიკოსებისა და ეკლესიის წინამძღოლთა გავლენის ქვეშაა მოქცეული და მოწყვეტილია ადგილობრივ კულტურას, რომელმაც ყველაზე მეტი ტანჯვა განიცადა (Gastrow, 1995: 70-1). მეორე მხრივ კი, მუდმივი გაფრთხილება გაისმის „ადგილობრივი რესურსების“ ხელშეწყობის წინააღმდეგ, რომლებიც ჩაგვრის, მარგინალიზაციისა და ექსპლუატაციის გაგრძელების ხელშემწყობი გამჭვირვალე მექანიზმებია. (Pankhurst, 1998).

მეექვსე თავში მოკლედ ვისაუბრეთ როგორ ხდებოდა სომალიში შერიგება და მშვიდობის დაცვა ადვილობრივი საშუალებებით. ის ფაქტი, რომ ასეთი რამ შესაძლებელი გახდა დაუწერელი საერთო სამართლით, ისლამური სუნი შაფის სკოლის სომალის შარის სამართლით, ტრადიციული ღირებულებებით და სოციალური ქცევის ადგილობრივი კოდექსით, კლანების უხუცესების, მუსლიმური ულემასა და ქალთა ჯგუფების საშუალებით, არსებული რესურსების კომპლექსურობასა და მრავალფეროვნებას ცხადყოფს. ის, რომ „რეპარაცია“ სომალის სამშვიდობო პროცესის ფუნდამენტური ნაწილია, გვარწმუნებს, რომ დასავლურ წარმოდგენას შერიგების შესახებ გადასინჯვა და განახლება სჭირდება. მნიშვნელოვანია ის, რომ ეს რეპარაცია კონფლიქტის, ხშირ შემთხვევაში კი ომის მიმდინარეობისას მოხდა. მრავალ საზოგადოებას შერიგების უამრავი რესურსი თავადვე მოეძებნება, რომელსაც ხშირად უგულვებელყოფს საერთაშორისო საზოგადოება; მიუხედავად იმისა, რომ მათ იკვლევენ და აანალიზებენ (რაზეც მე-9 თავში ვისაუბრეთ) კონფლიქტების მოგვარების თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს ისინი ბოლომდე და ადეკვატურად მაინც არ ესმით.

რევანში (სამაგიეროს გადახდა) – შურისძიება წარსული გამო

განსხვავებული მდგომარეობაა იმ საზოგადოებებში, რომლებშიც კლანებს შორის რევანში და ვენდეტა ენდემურია, რის მაგალითსაც ბალკანეთი წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტების მოგვარების გადმოსახედიდან მათ ხშირად და მართებულად აკრიტიკებენ, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ კულტურების წარმომადგენლებისთვის სამართლიანობა მხოლოდ რეპრესალიებისა და შურისძიების შემდეგ აღდგება და ურთიერთობების განახლებაც მაშინ ხდება შესაძლებელი. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ის, რაც ერთი მხარისთვის ბალანსის აღდგენას ნიშნავს, მეორისთვის მწვავე დისბალანსია. იგივე შეიძლება ითქვას 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ განვითარებულ იერიშებზეც, როდესაც ამერიკელთა მიმართ თავდაპირველი თანაგრძნობის მიუხედავად, მაინც გაჩნდა იმის შეგრძნება, რომ მათთვის მიყენებული ამ ტანჯვით გარკვეული თანასწორობა აღდგა და შერიგების შესაძლებლობაც გაჩნდა; თუმცა ამ შესაძლებლობას კრეატიული გამოყენება სჭირდებოდა. აშშ-ში კი მოვლენებს ასე არ უყურებდნენ და სამაგიეროს მიზღვას ხმამაღლა მოითხოვდნენ.

შერიგება და კონფლიქტის მოგვარება: ესკალაციის კიბეზე დაღმასვლა

ბოლოს კი, როდესაც კონკრეტული შემთხვევების პოლიტიკური და კულტურული განსხვავებები უკვე მიმოვიხილეთ, მთავარ თემას დავუბრუნდებით და ზოგადი პროცესის არსებით ინგრედიენტებზე ვისაუბრებთ, რომელსაც მერვინ ლოვი (1995) „მშვიდობის შერიგების გზით შენებას“ უწოდებს. მრავალი წლის განმავლობაში კონფლიქტების მომგვარებლებს ამ კუთხით საკუთარი წვლილი შეჰქონდათ ამ საქმეში. განსაკუთრებით საყურადღებოა ჯოზეფ მონტვილის მოღვაწეობა, რომლის ნაშრომიც შერიგებასა და მოშუშების შესახებ სამი ეტაპისგან შემდგარ „კონფლიქტების მოგვარების სტრატეგიას“ გვთავაზობს, რომლის საფუძველსაც „გარიგებითი მონანიება და პატიება“ წარმოადგენს, რომელიც თავის მხრივ პრობლემათა გადაწყვეტის მიდგომას ეყრდნობა (1993: 122-8). კელმანი (1999) “ყოფილ მტრებს შორის ურთიერთობის ტრანსფორმაციისთვის“ შედარებით მეთოდს გვთავაზობს; ლედერახი (1997, 1999, 2001) 85-ე ფსალმუნის მე-10 ლექსიდან იღებს შთაგონებას და ამბობს: შერიგება ის წერტილია, სადაც „სიმართლე და მოწყალება ხვდებიან ერთმანეთს და სამართლიანობა და მშვიდობა ერთმანეთს ეამბორებიან.“ იგივე აზრს იზიარებს კრიზბერგიც (1998ა) და მშვიდობის (უსაფრთხოების, პატივისცემის, ჰარმონიის, კეთილდღეობის) მიღწევის აუცილებელ კომპონენტებად სიმართლეს (გაცხადებას, აღიარებას, გამჭვირვალეობას), სამართლიანობასა (რესტიტუცია) და შეწყალებას (აღიარებას, პატიებას, თანაგრძნობას, მოშუშებას) მიიჩნევს. ვოლკანი და სხვები (1990) ფსიქოდინამიკურ მიდგომას ემხრობიან და თვლიან, რომ მთავარია, საზოგადოებამ წარსულში მიყენებული ტკივილი აღიაროს, რაც პროტაგონისტებსაც და მსხვერპლსაც მრისხანებისა და სიძულვილისგან გათავისუფლებამდე და ერთმანეთის აღიარებამდე მიიყვანს.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ როგორც ტრანსფორმაციის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითები ცხადყოფს, მტრისთვის პატიება აუცილებელი არ არის (იხ. ფოკუსი 10.2).

მოცემული თავის დასასრულს შერიგების ოთხ ეტაპს პირველ თავში განხილულ დეესკალაციის საფეხურებთან მიმართებაში განვიხილავთ: ძალადობის დასრულება, პოლარიზაციის დაძლევა, დაპირისპირების მართვა და განსხვავების ზეიმით აღნიშვნა.

პოლიტიკური კამათის შეწყვეტა და თანხმობა: შერიგების წინაპირობა

პირველი მოთხოვნა პოლიტიკური კამათის შეწყვეტაა გარკვეულ დონეზე, იმ ზღვრამდე მაინც, სადაც ძალადობისკენ დაბრუნება ნაკლებ სავარაუდოა. გაცილებით რთულია შერიგების პროცესის გაღრმავება მაშინ, როდესაც ის პოლიტიკური საკითხები, რომლებიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, კვლავაც აქტუალური და საფრთხის შემცველია. ამიტომაც გაცილებით ადვილია შერიგების მიღწევა მაშინ, როდესაც ერთი მხარე დამარცხდა, მეორემ კი გაიმარჯვა, როგორც ეს 1945 წელს გერამანიისა და იაპონიის შემთხვევაში მოხდა ან ბიაფრანის შემთხვევაში ნიგერიის სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ. წაგებულებმა შეიძლება ჩათვალონ, რომ ასეთ შედეგს უნდა „შეურიგდნენ“, რადგან გარდაუვალია, ხოლო მოგებული კი შეიძლება ეცადოს, დიდსულოვნად მოიქცეს. ალბათ ამით აიხსნება ის, რომ შერიგების მეტი შესაძლებლობა არსებობდა სამხრეთ აფრიკაში აპართეიდის შემდეგ ვიდრე დეიტონის შემდგომი პერიოდის ბოსნიაში ან კოსოვოში მაშინ, როცა საბოლოო სტატუსის საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩებოდა. რთულია აპატიო დამარცხებულ მტერს, კიდევ უფრო რთულია აპატიო გამარჯვებულს და მეტად ძნელია აპატიო მას, ვინც ჯერ კიდევ საფრთხეს ან პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს. აქ ერთმანეთს კვეთენ შერიგება თავისი თავდაპირველი არსით და მშვიდობის დაცვა ძალადობრივი კონფლიქტის შემდეგ.

ფოკუსი 10.2 ტიმ პარი ჯონათან ბოლის მშვიდობის ფონდი

1993 წლის 20 მარტს ჩრდილოეთ ინგლისის ქალაქ ვორინგტონის ცენტრში ბომბი, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიაში ბრიტანეთის ყოფნის წინააღმდეგ მებრძოლმა პარამილიტარისტულმა ჯგუფმა დაამონტაჟა, აფეთქდა და ორი პატარა ბიჭის სიცოცხლე იმსხვერპლა. ბიჭები იმ დროს იქ შემთხვევით აღმოჩნდნენ. ისინი 12 წლის ტიმ პარი და 3 წლის ჯონათან ბოლი იყვნენ. ტიმის მშობლებს შურისძიება არც უცდიათ; დანაკარგის ტრანსფორმაცია და ტიმისა და ჯონათანისთვის სათანადო პატივის მიგება და ძალადობის ამ გზით დაძლევა გადაწყვიტეს. მათი მოტივი არ იყო ამ დანაშაულის ჩამდენებისთვის რამის პატიება, რადგან მათი ვინაობა არც იცოდნენ. გადაწყვიტეს, ვორინგტონში ჩრდილოეთ ირლანდიასა და სხვა ადგილებში განხორციელებული ძალადობის ყველა მსხვერპლის მხარდასაჭერად მშვიდობის ფონდი დაეარსებინათ და კონფლიქტის არსის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდისა და მისი არაძალადობრივი მეთოდებით მართვისთვის (განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის) ხელი შეეწყოთ. მათ „ტიმ პარი ჯონათან ბოლის მშვიდობის ფონდი“ 1995 წელს დააარსეს. მიზანი მარტივი იყო - მშვიდობის განათლების პროგრამებით ხალხი უნდა დაერწმუნებინათ იმაში, რომ მათ შორის არსებული უთანხმოების მოსაგვარებლად არაძალადობრივი მეთოდები უნდა გამოეყენებინათ. 2004 წელს კოლინ პარის „მსოფლიოს ურთიერთგაგებისა და მშვიდობის“ პრემია გადაეცა. ვორინგტონის მშვიდობის ცენტრი უკვე 15 წელია ფუნქციონირებს და ახალგაზრდობას მშვიდობის დაცვას, მშვიდობის ფასეულობებსა და მისთვის საჭირო უნარებს ასწავლის (იხ. Parry and Parry, 1994, and www.foundation4peace.org/).

პოლარიზაციის დაძლევა და აზრების შერიგება

პოლარიზაციის დაძლევის მეორე ეტაპზე საჭირო ხდება იმ ურთიერთგამომრიცხავი აზრების დაძლევა, რომელიც მხარეებს ამ კონფლიქტის შესახებ გააჩნიათ. შერიგების სიღრმისეული პროცესის მიღწევა შეუძლებელია მტრის დეჰუმანიზირებული ხატებების არსებობის შემთხვევაში, როცა თითოეულ მხარეს საკუთარი თავი მსხვერპლად წარმოუდგენია.

შერიგებისათვის საჭიროა ისეთი სიტუაციის შექმნა, სადაც პოლიტიკური ინტერესების მქონენი, რომლებიც მეორე მხარის დემონიზაციას ცდილობენ, გავლენას კარგავენ და თითოეული მხარე ხვდება, რომ ყველას საკუთარი თავი ჰგონია ის მსხვერპლი, რომელმაც ტრაგიკული დანაკარგი განიცადა (Rotberg, 2006). გარდამტეხი მომენტი მაშინ დგება , როდესაც მეორე მხარის „რეჰუმანიზაცია" ხდება. ამ დროს წარმოიშობა კავშირი შერიგების მეორე გაგებასა და მშვიდობის დაცვას შორის - განსაკუთრებით პოლიტიკურ ელიტებსა და საზოგადოებრივი აზრის შემქმნელებს შორის.

წინააღმდეგობის მართვა და ურთიერთსაპირისპირო მოთხოვნების ერთმანეთთან შეთანხმება

მესამე ეტაპზე შერიგების პროცესი ტრანსფორმაციის ფაზაში შედის, როცა სტრუქტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები სიღრმისეული უთანხმოების მოგვარებისა და ერთად ცხოვრების ფსიქოლოგიური შესაძლებლობების განმტკიცების საშუალებას იძლევა მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი ჯერაც გრძელდება. ხშირად ამის მიღწევა საკმაოდ რთულია; მთავარია (მიუხედავად იმისა რომ ინდივიდუალურ შემთხვევებში რეპარაციის შესაძლებლობა არ არის) ამ რწმენის განმტკიცება; ადამიანებმა უნდა ირწმუნონ, რომ შერიგება მათი საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას წარმოშობს, პოლიტიკური წარმომადგენლობა მეტად ინკლუზიური იქნება და მეტი თანაბარი ეკონომიკური შესაძლებლობები გაჩნდება. შერიგების გაცილებით მეტი შესაძლებლობა იქმნება მაშინ, როცა მშობლები დარწმუნდებიან, რომ ამგვარად მათ შვილებს მეტი შესაძლებლობები შეექმნებათ. შერიგების მესამე ფაზასა და მშვიდობის სტრუქტურულ შენებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. უორინგტონის მშვიდობის ცენტრის (ფოკუსი 10.2) მაგალითი გვაჩვენებს, რომ შერიგება, ამ გაგებით, ყოფილ მტერთან ჩახუტებას და მათთვის მიტევებას არ გულისხმობს, ვინც ტკივილი მოგაყენათ.

შერიგება მიუღწეველ მიზნად რჩება ბოსნიაში, სადაც ჯერაც არ არის გადაწყვეტილი კონსტიტუციური საკითხები, ნაციონალისტური ძალები, რომლებიც ომის დაწყებისას არსებობდნენ, კვლავ ხელისუფლებაში არიან, ასობით სოფელი და ქალაქი კი კვლავაც წარსულის მწარე მოგონებებით ცხოვრობს. სამივე, ერთმანეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფ თემში ადამიანები, რომლებიც ერთი მხარისთვის გმირის სტატუსს ატარებენ, მეორე მხარისთვის ომის დამნაშავეებად არიან შერაცხულნი. ასეთი საზოგადოება უარყოფს თავის ბრალეულობას და სელექციური მეხსიერებით ხასიათდება. სიმართლისა და შერიგების კომისია რთული ამოცანის წინაშე დგას. საქმეში ჩართულია უამრავი არა-სამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ყველა მხარის მიერ ერთმანეთისთვის მიყენებული ტანჯვის აღიარებასა და გარდამავალი პერიოდის სამართლის ინსტიტუტების შექმნას ცდილობენ. სარაევოში „კვლევისა და დოკუმენტაციის ცენტრმა" დიდი შრომა გასწია სანდო სტატისტიკური მასალის მოსაძიებლად და მოკლულთა ზუსტი რაოდენობის დასადგენად. მიზანი ორივე მხარის მიერ წარმოებული პროპაგანდის ერთმანეთთან შეპირისპირება იყო. თავდაპირველი დაპირისპირებისა და აღშფოთების მიუხედავად ბოსნიის „მკვდრების წიგნის" პროექტმა დიდი აღიარება მოიპოვა. ავტორები იმედოვნებენ, რომ ყოველი მსხვერპლის აღიარება, შერიგების მეტ შესაძლებლობას ქმნის. სარაევოს ცენტრმა, ინფორმაციის გაზიარებისა და გარდამავალი მართლმსაჯულებისა და კანონის უზენაესობის გაუმჯობესების გზების განხილვის მიზნით, თანამშრომლობა დაიწყო ოსიეკის, (ხორვატია), „მშვიდობის, არაძალადობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრთან", ზაგრების „the Dokumenta Center" და ბელგრადის ჰუმანიტარულ ცენტრთან. რუანდაში კი შერიგება და საზოგადოების

ახლიდან შენება დიდწილად დიასპორებს აქვთ მინდობილი, რის გამოც ქვეყანაში დიდი რაოდენობით ფულადი დახმარება შედის. შერიგება მეტისმეტად პოლიტიზირებულია, სადაც მთავრობა შერიგების წარმართვას მის მიერ დაყენებული პირობების მიხედვით ითხოვს, რუანდის ეთნიკურ და სოციალურ ჯგუფებს კი კვლავაც არათანაბარი სტატუსი აქვთ. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, შერიგების მიმართ მაინც დადებითი განწყობაა, რადგან „ხიდის გამდები სოციალური კაპიტალი“ სხვადასხვა ჯგუფებს ერთმანეთთან აკავშირებს, ხოლო „მაკავშირებელი სოციალური კაპიტალი“ კი პატარა ექსკლუზიურ ჯგუფებს ინარჩუნებს, რომლებიც ნაკლებად არიან ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებული. ასევე დასტურდება სხვადასხვა დიასპორებს შორის „ხიდის გამდები სოციალური კაპიტალის“ არსებობაც; ცდილობენ დიალოგის წარმართვასაც, მაგ., დიასპორის ინიციატივით წამოწყებული „რუანდის ინტრა-პარტიული დიალოგი“, რომელსაც მხარს უჭერს ესპანეთის მთავრობა; თუმცა, პოლარიზებული პოლიტიკური გარემოს გამო წინსვლაზე რაიმეს ცალსახად თქმა ჯერ ძალიან რთულია.

განსხვავებულობის პატივისცემა და ყოფილი მტრების შერიგება

არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად ჭეშმარიტი შერიგების მიღწევა მხოლოდ მეოთხე და ფინალურ ფაზაშია შესაძლებელი. ამ დროს იწყება მონანიება და პატიება. ყოფილი მტრები რიგდებიან და თანაც იმდენად, რომ მათ შორის არსებულ განსხვავებას არა მხოლოდ ურიგდებიან და იტანენ არამედ აფასებენ კიდეც. ამ ეტაპს, როდესაც აღიარება ხდება და წინა თაობების სახელით ბოდიშს იხდიან, როცა საერთო მომავალს უთანხმოებით აღსავსე წარსულზე გაცილებით მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, ბევრი ვერც აღწევს. ამისათვის საჭიროა მშვიდობის დაცვის უფრო სიღრმისეულ დონეზე განხორციელება და კულტურული მშვიდობის შენება; ძველი, პოლარიზებული ოფიციალური ვერსიებისა და მედიაში განხილული ინფორმაციის გადასინჯვა და განახლება, განათლების პლურალიზაცია და სასკოლო სახელმძღვანელოებში შეტანილი ფაქტებისა და ისტორიების შესწორება; აუცილებელია ცვლილებები მოხდეს ყოველდღიურ, ყოფით ურთიერთობებში, რაც თემებისა და ოჯახების მეხსიერებაში არსებულ ფაქტებზეც აისახება და მათ ტრანსფორმაციას ახდენს (Kelly, 2002). ადამიანებს გული ულბებათ და იდენტობის ტრანსფორმაცია ხდება, რადგან საკუთარ თავში ჩაღრმავება და ჩვენი „მე-ს“ უკეთ შეცნობა სხვებსაც ახლებურად - ადამიანებად და თანამოძმეებად დაგვანახვებს. საკუთარი თავისადმი რწმენის გაჩენა ნდობად იქცევა (Booth and Wheeler, 2007). ამ ტიპის ტრანსფორმაცია გამონაკლის შემთხვევებში ხდება. ხშირ შემთხვევაში პატიების უნარი კულტურაზეა დამოკიდებული. ასეთი რამ ერთი ხელის მოსმით და ერთბაშად მხოლოდ გამონაკლის ადამიანებს ხელეწიფებათ. მრავალთა აზრით, შერიგებისკენ მიმავალი ადრეული ეტაპები მხოლოდ ძალადობრივი კონფლიქტის დაძლევის საშუალებებია. ეს არის ტრანსფორმაციული შერიგების ის სრული საშუალება, რომელიც საბოლოო ჯამში კოსმოპოლიტურ ხედვას განამტკიცებს, რაზეც მეორე ნაწილში გვექნება საუბარი.

რეკომენდირებული ლიტერატურა

Bracken and Petty (1998); Kriesberg (1998b); Lederach (1997, 2001); Mani (2002); Minow (1998); Rigby (2001); Rotberg and Thompson (2000); Clark and Caufmann (2009); Nadler et al. (2008); Tutu (1999); Whittaker (1999).

რეკომენდირებული ვიდეო მასალა

Debbie Christie (1993) We Are All Neighbors, London, Granada.

მეთოთხმეტე თავი

კონფლიქტების მოგვარება და ჩარევის ეთიკა

კონფლიქტების მოგვარების დარგის სპეციალისტები ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებენ მესამე მხარის ჩარევას. ეს ჩარევა აშფოთებთ ხოლმე დახმარების მუშაკებსაც და სხვებსაც, რაც რეზუმირებული სახით კარგად ჩანს მერი ანდერსონის ცნობილ მოწოდებაში, როდესაც იგი კონფლიქტის მოგვარების მიზნით ჩართულ მხარეებს ასე მიმართავს: „ნურაფერს დააშავებთ!“

> *ვინ გვგონია ჩვენი თავები? რამდენად გამართლებულად გეჩვენებათ, როდესაც გარეშე მხარე წყვეტს ვინ ან რომელი ინსტიტუტებია „ნამდვილი“ სამშვიდობო კომპეტენციის მქონე. რამდენად არის ჩვენი ძალისხმევა საშიში ან არამართებული სოციალური ინჟინერია? ... ის, რომ დახმარება დიდ გავლენას ახდენს ომზე, ნიშნავს, რომ დახმარების მუშაკები პასუხისმგებლობას ვერ გაექცევიან და ამ გავლენისთვის გარკვეული ფორმის მიცემა მოუწევთ. ის ფაქტი, რომ ეს არჩევანი გარეშე პირების ჩარევას გულისხმობს ნიშნავს, რომ დახმარების მუშაკებს ყოველთვის დასდებენ ბრალს არამართებულ ქმედებაში. ამ დილემიდან გამოსავალი არ არსებობს. (Anderson, 1999).*

მესამე მხარე ყოველთვის ახდენს გავლენას კონფლიქტის დინამიკაზე და მისი კეთილი განზრახვა ყოველთვის კარგი შედეგების გარანტი არ არის (Andesron, 2004). მაშინაც კი, როდესაც მათ იწვევენ, იბადება სრულიად ლეგიტიმური კითხვა ვინ მოიწვია ისინი და რატომ, რომელი ამომრჩევლის წარმომადგენლები არიან, რამდენად აქვთ გათვითცნობიერებული თავიანთი როლი და მოტივები და მათი ქმედება სასიკეთო გავლენას იქონიებს თუ გამანადგურებელს? ეს საკითხები კი უფრო მწვავე სახეს მაშინ იღებს, როდესაც ჩარევა იძულებითი ან ძალადობრივია.

გარკვეული შედეგი არჩარევასაც მოსდევს, ამიტომ ერთ-ერთ შესაძლებლობად ისიც ყოველთვის უნდა განიხილებოდეს. ამის მაგალითად გავიხსენოთ 1938 წელს ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის ნევილ ჩემბერლენის უარი ჩეხოსლოვაკიის საქმეებში ჩარევაზე - რადგან ეს იყო „კონფლიქტი სადღაც შორეულ ქვეყანაში და იმ ხალხთა შორის, რომელთა შესახებ არაფერი ვიცით“. ან გაეროს უშიშროების საბჭოს უარი 1994 წელს რუანდის მოვლენებში ჩარევასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში ალბათ მიზანშეწონილია, მოვიგონოთ ედმუნდ ბურკის სიტყვები: „ბოროტება მაშინ იმარჯვებს, როცა კეთილი ადამიანები გულხელდაკრეფილები სხედან.“

მოცემულ თავში იმ გამოწვევებს, რომლებიც „არაფრის კეთებას“ და „რამის კეთებას“ ახლავს თან კონფლიქტის მოგვარების გადმოსახედიდან განვიხილავთ.

კონფლიქტების მოგვარების დარგის სპეციალისტები ჩარევის ეთიკურ საკითხებს იმთავითვე ერთობ მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ - რის მაგალითსაც ისეთი კლასიკური ნაშრომი წარმოადგენს, როგორიცაა: „სოციალური ჩარევის ეთიკა“ (Bermant et al., 1978). განხილვას ზოგადად სოციალური ჩარევის ბუნებით დავიწყებთ და შევეცდებით განვსაზღვროთ ძირითადი ურთიერთობები ჩარევის დროს და ამის საფუძველზე კონფლიქტების მოგვარების ჩარჩო პრინციპები და სათანადო საერთაშორისო ჩარევის გზები განვმარტოთ (მათ შორის დახმარებისა და განვითარების მუშაკებისა და მშვიდობის დამცველების ჩარევის შემთხვევაში). ამ კონცეპტუალური ჩარჩოს ფარგლებში განვიხილავთ იძულებითი და ძალისმიერი ჩარევის გაიდლაინებს, რადგან ეს მიდგომა საერთაშორისო ფასეულობების

დაცვისა და პროპაგანდირებისათვის აუცილებელიცაა და ეთიკურად დასაშვებიც.

ფოკუსი 14.1 ჩარევის იერარქია, პრინციპები და კრიტერიუმები

ა. ჩარევის ზოგადი ურთიერთობები

ბ. საერთაშორისო ჩარევის ჩარჩო პრინციპები იხ. ნახაზი 14.1

გ. ძალდატანებითი საერთაშორისო ჩარევის კრიტერიუმები იხ. ფოკუსი 14.1

კონფლიქტების მოგვარების როლი და ურთიერთობები ზოგადი ჩარევის დროს

მსჯელობას 1970 წელს შექმნილი, ჯეიმს ლაუეს კონფლიქტების ეთიკის ანალიზით დავიწყებთ (Laue and Cormick, 1978; Laue, 1981, 1990). „მუშახელსა და ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობის, საერთაშორისო და კულტურათაშორის კონფლიქტის, რასობრივი და საზოგადოებრივი დავების, სასამართლოს გადახვევების და სხვა სფეროებში“ არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და კონფლიქტის ბუნების გათვალისწინებით ლაუე კონფლიქტში ჩარევის როლს შემდეგნაირად განმარტავს:

აქ წარმოდგენილი ტიპოლოგიის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მოსაზრება, რომლის თანახმადაც, ჩარევის როლი განსაზღვრული და ანალიტიკურად მკაფიოა და ისეთ ცვლადებს აერთიანებს, როგორიცაა პიროვნება, უნარები, საკითხის ტიპი, დავის სისტემური დონე და ა.შ. ეს როლები დამოკიდებულია ... ძირითადად კონფლიქტის მოგვარების მიზნით ჩართული მხარის ბაზასა და სანდოობაზე - ვისზე მუშაობს იგი, ვინ უხდის მას იქ ყოფნის გასამრჯელოს და რას ელიან მისგან ამ როლის განხორციელებისას? (1990:268).

ლაუე ინტერვენციის ხუთ როლს გამოჰყოფს: აქტივისტი, „რომელიც არის ან თითქმის არის კონფლიქტის ერთ-ერთი მხარე“, მაგ., ერთ-ერთი მდგმური მდგმურებსა და ბინის პატრონს შორის მიმდინარე დავაში; ადვოკატი, რომელიც ერთ-ერთი მხარის სახელით მოქმედებს, მაგრამ „აქტივისტზე“ ნაკლებად „ხისტ თამაშს“ თამაშობს, ალბათ უფრო ოფიციალურ საკონსულტაციო საქმიანობას ეწევა ან ერთგვარი დიპლომატის როლს ასრულებს, რომელიც „ერთი მხარის ინტერესებს იცავს საერთაშორისო ურთიერთობებში“; მედიატორი, რომლის მიზანიც პროცესის ადვოკატირებაა და „არა კონკრეტულად რომელიმე მხარის“; მკველავარი, როგორებიც არიან ჟურნალისტი ან კრიზისის დამკვირვებელი, რომლისთვისაც ეს ჩარევა „ობიექტური“ ან „ნეიტრალურია“, მაგრამ „მისი ჩარევის შემდეგ კონფლიქტური სიტუაციის ძალათა კონფიგურაციაც იცვლება და სიტუაციაც“, ჩართულ მხარეს კი „მხარეები საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ“ და ბოლოს - იძულებითი აღმასრულებელი პირი, როგორებიც არიან: არბიტრები, მოსამართლეები და პოლიცია, რომელსაც „ერთი ან ორივე მხარისთვის სანქციის დაწესების ოფიციალური უფლებამოსილება“ გააჩნია. ასეთი უფლებამოსილება შეიძლება დაფინანსების სააგენტოებს გააჩნდეთ; საერთაშორისო კონფლიქტებში იძულებით აღმასრულებლები ხშირად „აღმატებულ ფიზიკურ ძალას“ ფლობენ (Laue and Cormick, 1978).

დაახლოებით ასევე მსჯელობს უილიამ ური (2000), რომელიც კონფლიქტების მოგვარებაში, როგორც კონფლიქტის ფარგლებში ასევე მის გარეთაც, „მესამე მხარის“ ათ როლს

გამოჰყოფს (იხ. ნახაზი 1.14; გვ. 28):

- კონფლიქტის პრევენციის როლი აკისრია პროვაიდერს (რომელიც ადამიანებს მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალებას აძლევს), მასწავლებელს (ადამიანებს უვითარებს კონფლიქტისათვის თავის გართმევის უნარს) და ხიდის გამდებს (აყალიბებს ურთიერთობებს კონფლიქტის არხებს შორის);
- იმ შემთხვევაში თუ პრევენცია სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს, საქმეში ერთვება მედიატორი (ერთმანეთთან შეარიგებს კონფლიქტურ ინტერესებს), არბიტრი (ადგენს სადავო უფლებებს), მათანაბრებელი (ახდენს ხელისუფლების დემოკრატიზაციას და მოქმედების თანაბარ პირობებს ქმნის) და მკურნალი (აღადგენს დაზიანებულ ურთიერთობებს);
- იმ შემთხვევაში თუ კონფლიქტის ამგვარად შეჩერება არ მოხერხდა, საქმეში ერთვება მოწმე (ყურადღებას ამახვილებს ესკალაციაზე), მსაჯი (ადგენს ბრძოლის საზღვრებს) და მშვიდობის დამცველი (უზრუნველყოფს დაცვას).

ასეთ შემთხვევაში საყურადღებოა ჩარევის როლის ცვლილება (იხ. განხილვა 1.13 ნახაზის შესახებ პირველ თავში); ასევე საინტერესოა ისიც, რომ სრულიად განსხვავებული მოლოდინები აქვთ ძალაუფლების მქონე შიდა მხარეს და ძალა-უფლების არმქონე განზე დარჩენილ მხარეს, სადაც პირველს (ძალაუფლების მქონე შიდა მხარე) სტატუს კვოს შენარჩუნება და კონფლიქტის კლასიკური „ნეიტრალური“ გზით მოგვარება მესამე მხარის ჩარევით სურს, მეორე (ძალაუფლების არმქონე განზე დარჩენილი მხარე) კი „ძალაუფლების მოსაპოვებლად, სამართლიანობისა და ცვლილების“ მისაღწევად დახმარებას ითხოვს. ამ საკითხებს კარგად ვიცნობთ.

კონფლიქტის მოგვარების ჩარევის პრინციპები

ნახაზი 14.1 ასახავს ძირითად ურთიერთობებს ჩარევის დროს, რომლებიც, ჩვენი აზრით, ყველა იმ სოციალურ კონფლიქტში ჩარევას ახასიათებს, რომელზეც ლაუე და ური საუბრობდნენ და რომელიც საერთაშორისო ჩარევის ეთიკური პრინციპების ჩარჩოს უკავშირდება (Ramsbotham and Woodhouse, 1996: Ramsbotham, 2006). თუ ფართომასშტაბიან საერთაშორისო ჩარევას განვიხილავთ, მაგ., ისეთებს, რომლებზეც მერვე თავში ვისაუბრეთ, დავინახავთ, რომ პირველი სამი პრინციპი სამიზნე მოსახლეობასთან ურთიერთობას ეხება, მეოთხე და მეხუთე მედიატორთა შორის არსებულ ურთიერთობებს, უკანასკნელი სამი კი ფართო საერთაშორისო საზოგადოებას.

ამ პრინციპების სანდოობას ორი მონათესავე ლიტერატურის მიმოხილვაც ადასტურებს: ერთი მხრივ სწრაფად მრავლდება დახმარების, განვითარებისა და კონფლიქტების მოგვარების ორგანიზაციების მიერ შექმნილი ეთიკური ჩარევის გაიდლაინების პრინციპები, მეორე მხრივ კი პრინციპული და ეფექტური საერთაშორისო მშვიდობის დაცვისთვის რეკომენდირებული კრიტერიუმები. ამის მაგალითად მოვიყვანთ 2004 წლის მაისში „გაერთიანებული სამეფოს ერთობლივი საომარი მოქმედებების პუბლიკაციას“, რომელშიც განხილულია ბრიტანეთის მიერ სამშვიდობო ოპერაციებში შეტანილი სამხედრო წვლილი, რაზეც მე-6 თავში ვისაუბრეთ; მასში ხაზგასმითაა აღნიშნული არასამხედრო მშვიდობის მშენებლებთან კავშირის აუცილებლობა; აქვე მოყვანილია ამონარიდები წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ქცევის პრინციპებიდან და არასამთავრობო ორგანიზაციების როლიდან

კატასტროფების ზონებში. იგი ასევე მოითხოვს:

- კრიზისებზე რეაგირებისას მიუკერძოებლობის შენარჩუნებას და არც ერთი მხარის მხარდაჭერას(მათ შორის ქალთა როლის სათანადო მხარდაჭერა);
- ადგილობრივი კულტურების პატივისცემას, ბენეფიციარების ჩართულობასა და მკვიდრი მოსახლეობის შესაძლებლობების გაძლიერებას;
- მდგრადობის მნიშვნელობის გაცნობიერებას და სამომავლო მოწყვლადობის შემცირებას;
- საგანგებო სიტუაციის სხვა სააგენტოებთან თანამშრომლობას, რაც გამორიცხავს მათ შორის ურთიერთდამაზიანებელ კონკურენციას;
- მედიატორების ერთობას და გაცხადებული მიზნებისადმი მათ თავდადებას;
- ანგარიშვალდებულებას როგორც სპონსორების, ასევე მათ წინაშე, ვისაც დახმარებას უწევენ, რაც ეფექტურობის გამჭვირვალედ შეფასებას უზრუნველყოფს.



მიუკერძოებლობის პრინციპი

კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით, მიუკერძოებლობის პრინციპი გულისხმობს შემდეგს: რა როლიც არ უნდა ითამაშოს მედიატორმა, კონფლიქტის მოგვარების მიზნით გაწეული საქმიანობა არასრულყოფილად ჩაითვლება, თუ ის ორივე დაზარალებული მხარის ინტერესებს არ გაითვალისწინებს. ეს ყოველივე მოგება-მოგება შედეგს და იმ მოსაზრებას ეფუძნება, რომ აუცილებელია ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, რაც, როგორც

ზემოთ დავრწმუნდით, იმთავიდანვე ცენტრალურ როლს ასრულებდა ამ დარგის შექმნასა და განვითარებაში.

ეს მიდგომა სრულ შესაბამისობაშია „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის“ (ICRC) მოსაზრებასთან მიუკერძოებლოების შესახებ: „წითელი ჯვარი არ განასხვავებს ნაციონალობის, რასის, აღმსარებლობის, კლასის ან პოლიტიკური მოსაზრებების მიხედვით. იგი ყველა ღონეს ხმარობს ინდივიდების ტანჯვის შესამსუბუქებლად, ხელმძღვანელობს რა, მხოლოდ და მხოლოდ მათი მოთხოვნილებებით და პრიორიტეტულად მიიჩნევს ყველაზე გადაუდებელ შემთხვევებს.“ ეს მთავარი ღირებულება საერთოა 1949 წლის ჟენევის ოთხივე კონვენციისთვის და მათ მესამე მუხლშია ჩადებული; ასევე გათვალისწინებულია 1975 წლის „დამატებითი პროტოკოლი I”-ის 75-ე მუხლში.

განსახილველი პრინციპი უნდა გავმიჯნოთ „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის“ ნეიტრალიტეტის პრინციპისგან, რომელიც გამორიცხავს პოლიტიკურ ჩართულობას, „მოპოვებული ნდობის შესანარჩუნებლად დაპირისპირებების შემთხვევაში წითელი ჯვარი არ დაიჭერს არც ერთ მხარეს და პოლიტიკურ, რასობრივ, რელიგიურ ან იდეოლოგიურ დაპირისპირებებში არ ჩაერთვება.“ იმ ფაქტმა, რომ 1967-1970 წლების ბიაფრანის ომის შემდგომ პერიოდში ორგანიზაციას სულ უფრო ხშირად უხდებოდა ინტენსიურ შიდა კონფლიქტებში ჩართვა (სახელმწიფოთაშორისი ომებისგან განსხვავებით, რომელიც „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის“ საქმიანობის თავდაპირველ სფეროს წარმოადგენდა) ნეიტრალიტეტის პრინციპი მკაცრი გამოცდის წინაშე დააყენა. „ჰუმანიტარული პოლიტიკა“ (როგორც მას ფორსაიტი უწოდებს) მედიატორებისგან მოითხოვს არჩევანი გააკეთონ „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის“ იმ ტრადიციას შორის, რომელიც საზოგადოებრივი ხელისუფლების თანხმობას საჭიროებს და შედარებით არაკომპრომისულ მიდგომებს შორის, მაგ., როგორიცაა: Medecines sans Frontiers, რომელიც არ უფრთხის საჯარო ხელისუფლების სურვილებისა და სამართლებრივი მოთხოვნების უგულვებელყოფას როგორც სისასტიკის დაგმობისას ასევე უნებართვოდ ჩარევის შემთხვევაში (Fosythe, 1977:277). რაც რა თქმა უნდა, დიდი დავის საგნად რჩება.

როგორც მეექვსე თავში დავრწმუნდით, მშვიდობის დაცვის დოქტრინამ ევოლუცია განიცადა და 1990-იან წლებში საერთაშორისო მანდატით მოქმედებისას ნეიტრალიტეტის პრინციპიდან (როდესაც მას მოქმედების დასაწყებად ყველა მხარის თანხმობა სჭირდებოდა) მიუკერძოებლობის პრინციპზე გადავიდა, რაც მშვიდობის დაცვის ტრადიციული სახელმწიფოთაშორისი ომისგან მთავარი განმასხვავებელი კრიტერიუმია (იხ. ცხრილი 6.3, გვ. 162). მშვიდობის დამცველები ნეიტრალურები ვერ იქნებიან თუ სისასტიკეს რომელიმე ერთი მხარე, ძირითადად ალბათ მთავრობა, ახორციელებს (ზემოთ განვიხილეთ, თუ როგორ წააწყდა წინააღმდეგობას გაეროს მშვიდობის დაცვის ოპერაციების დეპარტამენტის „კულმინაციური“ დოქტრინის მიღების მცდელობა მისი ზოგიერთი წევრი ქვეყნის მხრიდან; საბოლოოდ კი „თანხმობა“ რიტორიკულად დამტკიცდა).

კონფლიქტის მოგვარების დარგი ამ ლოგიკის მიხედვით მოქმედებს, მაგრამ იმასაც აცნობიერებს, რომ ინტენსიურ კონფლიქტებში ყველაფერი პოლიტიზირებულია, რის გამოც მედიატორების მიუკერძოებლოება ალბათ სადავო იქნება, რაც არ უნდა კარგად მოფიქრებული და დახვეწილი იყოს მათი საერთაშორისო მანდატი. როგორც მე-11 თავში აღვნიშნეთ, გაეროს უშიშროების საბჭოს, საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალს, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს, გაეროს ადამიანის უფლებათა

დაცვის საბჭოს და ა.შ. პოლიტიკურ იარაღად მიიჩნევენ ისინი, ვინც თვლის, რომ ისინი მათ ინტერესებს ხელყოფენ. ასეთი მიდგომა მიუკერძოებლოების პრინციპს ქმედუუნაროდ არ აქცევს, მაგრამ მიუთითებს, რომ ეს ღირებულება ბრძოლას და დაცვას მოითხოვს.

ორმხრივობის პრინციპი

ორმხრივობის პრინციპი ფუნდამენტური ურთიერთობაა მედიატორებსა და მათ შორის, ვისაც ისინი ეხმარებიან. ამ პრინციპის თანახმად, მედიატორებმა ყველა ზომას უნდა მიმართონ, რომ კონფლიქტის მხარეებმა გაათვითცნობიერონ, რომ ჩარევას ზიანზე მეტად სიკეთის მოტანა შეუძლია. როდესაც ასეთი ორმხრივი ურთიერთობა არ არსებობს, ან ის არასაკმარისია, მეტი ალბათობაა იმისა,რომ გარეშე ძალამ, პროტაგონისტების სურვილებისა და მოთხოვნილებების გაუთვალისწინებლად, მათ თავისი კონცეფციები და ღირებულებები მოახვიოს თავს. თუმცა, გამოცდილება გვაჩვენებს, რომ შესაძლოა, თავად ვერც კი მიხვდნენ ამას. მე-8 და მე-9 თავებში აღვნიშნეთ, რომ სამიზნე მოსახლეობის აზრის დადგენა ხშირად საკმაოდ რთულია; სიტუაციას მეტად ართულებს ის, რომ კონფლიქტის თავდაპირველ მხარეებს კონფლიქტური ინტერესები აქვთ, ხოლო მათი წარმოდგენები კი საფუძველშივე შეუთავსებელია. ორმხრივობის პრინციპის თანახმად, ადგილობრივი ინტერესები და შესაძლებლობები წინა პლანზე უნდა იქნას წამოწეული, ხოლო ჩარევა კი ადგილობრივი ეკონომიკისთვის ზარალის მიუყენებლად და ადგილობრივი კულტურის პატივისცემით ხორციელდებოდეს. როგორც მე-13 და მე-15 თავებში აღვნიშნეთ, შესაძლოა, გარკვეულ დაძაბულობას ჰქონდეს ადგილი - მაგ., წარმოიშვას გარკვეული უთანხმოება ქალთა როლის აღიარებასა და მხარდაჭერას შორის, როგორც ეს საერთაშორისო ინსტრუმენტებითაა დადგენილი და როგორც ადგილობრივ პატრიარქალურ და ავტოკრატულ კულტურაშია მიღებული.

მდგრადობის პრინციპი

მდგრადობის პრინციპი ცენტრალურია ჰუმანიტარული, განვითარების და კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით განხორციელებული ჩარევების დროს. მედიატორებმა, რომლებიც მზად არ არიან საქმე ბოლომდე მიიყვანონ, ან მიზნის მისაღწევად ყველა საჭირო რესურსი გამოიყენონ , ჩარევისგან თავი უნდა შეიკავონ. მე-8 თავში დავრწმუნდით, რომ ეს პრინციპი სამხედრო ძალებმაც უნდა გაითვალისწინონ, როდესაც ისინი ინტერვენციის, რეკონსტრუქციისდაჩარევა–რეკონსტრუქცია–გასვლისოპერაციებსაწარმოებენ.ამპრინციპის განსახორციელებლად საჭიროა შესვლის სათანადო და ქმედუნარიანი სატრატეგიების შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სამიზნე სახელმწიფოებში არსებული პირობები; გამოსვლის სტრატეგიები კი დამოკიდებული იქნება მათ მოთხოვნილებებზე, ვისთვისაც ეს ჩარევა განხორციელდა და არა იმ ქვეყნების შიდა ან სახელმწიფო ინტერესებზე, რომელიც ჩარევას ახორციელებს. შესაძლებელია, ასეთ შემთხვევაში დაძაბულობა გაჩნდეს მათ შორის, ვისაც მათი გასვლა სურს, და მათ შორის, ვისაც ჯერ-ჯერობით მათი დარჩენა სურს. რაც მეტ ხანს რჩებიან მედიატორები მიმდინარე კონფლიქტში, მათი მხრიდან ადგილობრივი ინტერესების კუმულაციური ხელყოფის ალბათობა იზრდება; ასევე მეტი შანსია იმისა, რომ ისინი უნებართვოდ შემოჭრილ არასასურველ ძალად აღიქვან.

კომპლემენტალურობის პრინციპი

კომპლემენტალურობის პრინციპზე მსჯელობისას ერთ ფრიად საყურადღებო საკითხს უნდა შევეხოთ - სხვადასხვა მედიატორთა შორის არსებულ ურთიერთობებს. ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნა ასეთია - იქ, სადაც ეს მიზანშეწონილია, მედიატორთა

მიერ გატარებული ღონისძიებები ერთმანეთს უნდა ავსებდეს და მათ ინტერესთა დაცვას უნდა ემსახურებოდეს ვისთვისაც ეს ჩარევა ხორციელდება. სიტყვა „მიზანშეწონილი“ არ გულისხმობს დივერსიფიკაციაზე უარის თქმას. ამ პრინციპის მიზანია დაძლიოს ყველასთვის კარგად ნაცნობი „შეჯიბრებითი ალტრუიზმის“ საფრთხე, აღკვეთოს საზიანო მეტოქეობა და არასაჭირო დუბლირება და თავიდან აიცილოს შეფერხება კომუნიკაციაში. მე-8 თავში დავრწმუნდით, რომ ჩარევა-რეკონსტრუქცია-გასვლის ოპერაციების მსვლელობისას, საწყის ეტაპზე სამხედრო ღონისძიებებისთთვის პრიორიტეტულია „უარყოფითი მშვიდობის“ დამყარება, რომელიც თანდათან ადგილს უთმობს (ყოველ შემთხვევაში იმედია) ძირითადად „პოზიტიური მშვიდობის“ დამყარებისაკენ მიმართულ არა-სამხედრო ღონისძიებებს; თუმცა, არ არის გამორიცხული დროდადრო რთული სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობებიც წარმოიშვას.

რეფლექციურობის პრინციპი

რეფლექციურობის პრინციპი ჩართული მხარისგან საკუთრ საქმიანობაზე დაკვირვებას და მის შეფასებას მოითხოვს. რა მოტივები, ამოცანები და ინტერესები ამოძრავებთ მათ? ვისი წარმომადგენლები არიან? რას იცავენ და რატომ? რა უფლებამოსილებით მოქმედებენ? რა ძალაუფლება და გავლენა გააჩნიათ? როგორც ცნობილია, სამართლიანი ომის ინტენციის, მოტივებისა და სუბიექტური მიზნების დამოუკიდებლად დადგენა ან მათი გარედან თავს მოხვევა რთულია, თუმცა მის საფუძველში არსებული პრინციპი მკაფიო და ნათელია - ჩართულ მხარეთა მიზნები ჩარევის გაცხადებულ მიზანთან შეუთავსებელი არ უნდა იყოს. მაგ., რეფლექციურობის პრინციპი გარეშე მხარის მხრიდან გამორიცხავს სხვა ადამიანების უბედურებაზე ხელის მოთბობას, მათ ხარჯზე საკუთარი პროფილის გაუმჯობესებას ან დამატებითი დაფინანსების მოპოვებას.

შეთანხმებულობის პრინციპი

შეთანხმებულობის პრინციპზე მსჯელობისას ერთი კონკრეტული კონფლიქტის ზონაში არსებულ ჩარევას ვცდებით და კონფლიქტების სხვადასხვა ზონებში ვინაცვლებთ - თუმცა, რიგ შემთხვევებში შესაძლოა, რთული იყოს იმის დანამდვილებით თქმა სად მთავრდება ერთი კონფლიქტის ზონა და სად იწყება მეორე. ამ შემთხვევაში მოთხოვნა ასეთია - მსგავს გარემოებებში ერთნაირ გამოწვევაზე ერთნაირი რეაგირება უნდა ხდებოდეს. ამ პრინციპის მიზანია - არ ჰქონდეს საფუძველი მლიქვენელობისა და ორმაგი სტანდარტებით მოქმედების ბრალდებებს. ჩარევა-რეკონსტრუქცია-გასვლის ოპერაციების შემთხვევაში ეს პრინციპი დიდი დავისა და აზრთა სხვადასხვაობის საგანი ხდება ხოლმე; განსაკუთრებით სადავოა რა შეიძლება ჩაითვალოს „მსგავსებად“. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სხვადასხვა სახელმწიფოს განსხვავებული გეოგრაფიული და ისტორიული კავშირები აქვს, რაც ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს ვინ აიღებს ხელში სადავეებს, ვინ უზრუნველყოფს რესურსებით და ვინ არის მისაღები სამიზნე ქვეყნისთვის.

ანგარიშვალდებულების პრინციპი

ანგარიშვალდებულების პრინციპი არეგულირებს ურთიერთობებს ჩართულ მხარესა და მათ შორის, ვისი სახელითაც ისინი მოქმედებენ. კონკრეტულ შემთხვევებში, ჩარევა მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების დაკვეთით ხორციელდება, ხოლო დამკვეთები ხშირად თავადარიანი მინტერვენციის მონაწილე, რომელიც მათი დაკვეთით ხორციელდება. მაშასადამე საკუთარ მოტივებსა და მოქმედებებზეც თავად აგებენ პასუხს. კონფლიქტში მოგვარების მიზნით ჩართული მხარეები ხშირად აცხადებენ, რომ ისინი კონფლიქტის მხარეების (რაც ამ პრინციპს

ორმხრივობის პრინციპთან აკავშირებს) ან ფართო საერთაშორისო საზოგადოების სახელით მოქმედებენ (რაც მას ქვემოთ განხილულ უნივერსალურობის პრინციპთან აკავშირებს). ორწვერიანი ისრის ერთი წვერი ლეგიტიმურობის მინიჭებას აღნიშნავს (რომელიც ითხოვს პასუხს შეკითხვაზე *Quo Warranto*? -რა უფლებამოსილებით ახდენთ ჩარევას?) მეორე კი გამჭვირვალეობას და ანგარიშვალდებულებას (რომელიც პასუხობს შეკითხვას *Quis custodiet ipsos custodies?* - ვინ ასამართლებს მოსამართლეებს?). სამართლიანი ომის კრიტერუმებისგან განსხვავებით (რომლებიც სავარაუდო სამომავლო სარგებელსა და ზიანს ითვალისწინებს), ანგარიშალდებულების პრინციპისთვის მნიშვნელოვანია ამჟამინდელი და წარსული ოპერაციების მიმდინარე შედარებითი შეფასება. ახლა კი მივედით „გავლენის შეფასების“ მნიშვნელოვან და ფრიად სადავო სფეროსთან, რაზეც მე-8 და მე-9 თავებში გვქონდა საუბარი; რაც არსებითია წარსული გამოცდილებიდან სწავლისა და ღონისძიებების გაუმჯობესებისათვის და აღსავსეა იმ სირთულეებით, რომლებზეც მე-5 თავში გვქონდა საუბარი.

უნივერსალურობის პრინციპი

უნივერსალურობის პრინციპი ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პრინციპს ტრანსფორმაციულ კოსმოპოლიტურ ჩარჩოში უყრის თავს. როცა საქმე საერთაშორისო კოლექტივიზმის სახელით განხორციელებულ ტრანს-სასაზღვრო ჩარევას ეხება, რომელსაც უფლებამოსილებას რეგიონალური ან გლობალური საერთაშორისო ორგანიზაცია ანიჭებს ან საერთაშორისოდ აღიარებული ღირებულებების მიხედვით ხორციელდება, უნივერსალურობის პრინციპი ასეთი ღონისძიებების ტრანს-კულტურულ ჭრილში განხორციელებას მოითხოვს. ესეც „წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის“ პრინციპია; 1983 წელს „წითელი ჯვრის საზოგადოებების ლიგის“ სახელის შეცვლა და მისთვის „წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა ლიგის“ დარქმევა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო; „წითელი ჯვარი მსოფლიო ინსტიტუციაა, რომლის ფარგლებშიც ყველა საზოგადოება თანაბარი სტატუსით სარგებლობს და ერთმანეთის დახმარების საქმეში თანაბარი პასუხისმგებლობა აკისრია. ჩვენი მოძრაობის უნივერსალურობის საფუძველს მისი თითოეული წევრის საერთო ფასეულობებისადმი ერთგულება წარმოადგენს.“

ზემოთ დავრწმუნდით, რომ ცივი ომის შემდგომ პერიოდში ჩარევა-რეკონსტრუქცია-გაყვანის ოპერაციებში მონაწილე ყოველი ჩართული მხარე აცხადებს, რომ იგი საერთაშორისო ნორმების შესაბამისად მოქმედებს. მოცემულ წიგნს ერთ-ერთ მთავარ თემად გასდევს ასეთი მოთხოვნა - კონფლიქტების მოგვარების დარგი უნივერსალურ ღირებულებებს უნდა ასახავდეს იმისათვის, რომ იგი ჭეშმარიტად საერთაშორისო იყოს. ასეთი უნივერსალური ღირებულებების არსებობა ფუნდამენტური და სიღრმისეულია, რაზეც მე-15 და მე-19 თავებში ვისაუბრებთ. მე-20 თავში ამ შეკითხვას მეტად განვავრცობთ: რა გავლენას ახდენს დასავლეთის ჰეგემონიის ექსპანსია (როგორც მას ზოგიერთები უწოდებენ) ყოველივე ამაზე?

დაცვის ვალდებულება

ამ თავის მეორე ნაწილში კონფლიქტების მოგვარების დარგის ერთ-ერთ ყველაზე სადავო საკითხზე ვისაუბრებთ: რა როლს ასრულებს (თუ საერთოდ ასრულებს) იძულების სხვადასხვა ფორმა, განსაკუთრებით კი შეიარაღებული ძალის გამოყენება კონფლიქტების მოგვარების მიზნით განხორციელებულ ჩარევაში? ამ მხრივ ყველაზე მეტ დავას ძალადობრივი ჩარევის შემთხვევები იწვევს. კონფლიქტების მოგვარების დარგის ზოგიერთი მოღვაწე პაციფისტია;

იარაღის გამოყენებას ყველა შემთხვევაში არამიზანშეწონილად მიიჩნევს და თვლის, რომ მშვიდობა მშვიდობიანი საშუალებით უნდა მყარდებოდეს. ეს ადამიანები სამართლიანი ომის არცერთ კრიტერიუმს არ ეთანხმებიან და არაძალადობის პრინციპს ემხრობიან: კონფლიქტი სიმართლის ძიებაა, რომელშიც არცერთ მხარეს საბოლოო ან დასაბუთებული პასუხი არ აქვს; დასახული მიზნების მისაღწევად მედიატორმა ზომიერი და თანმიმდევრული ნაბიჯები უნდა გადადგას; ;;იგი მხარეების დარწმუნებას და დაყოლიებას უნდა შეეცადოს და არა მათ განადგურებას; მედიატორს თავად უნდა სწამდეს, რომ არსებობს ტრანსფორმაციის პოტენციალი, , თუმცა რიგ შემთხვევებში შესაძლოა, ის რთული მისაგნები იყოს (Wehr, 1979: 55-68). მეორე მხრივ კი, კონფლიქტების მოგვარების დარგში საპირისპირო მოსაზრებაც არსებობს, რომლის მიხედვით სამშვიდობო პროცესის ხელყოფის ან ადამიანის უფლებების უხეში დარღვევის შემთხვევებში შეიარაღებულმა ძალებმა გამანეიტრალებლის ან დამცველის ლეგიტიმური როლი უნდა შეასრულონ (იხ. მე-6 თავი). მართებული იქნება დავსვათ კითხვა: რა გარემოებაშია გამართლებული ასეთი ძალების გამოყენება? ასეთ დროს ისინი სამართლიანი ომის პრინციპების გამოყენებას გარდაუვლად მიიჩნევენ - ჩვენ ვთვლით, რომ მათი გამოყენება ზემოთ განხილული კონფლიქტების კოსმოპოლიტური მოგვარების პრინციპების მიხედვით უნდა მოხდეს. ამ წიგნის ორი ავტორი თვლის, რომ თუ ტრადიციული სამართლიანი ომის კრიტერიუმების ასეთნაირად ადაპტირებას შევძლებთ, სამხედრო ძალა კოსმოპოლიტური ღირებულებების დამცველი გახდება - დიახ, გარკვეულ გარემოებებში მათი არ-გამოყენება შეცდომაც იქნება. თუმცა, ერთ-ერთი ჩვენგანი მიიჩნევს, რომ შესაძლოა, ეს პრინციპები იმდენად დაამახინჯონ, რომ ძლიერის მხიდან წარმოებული ომიც კი გამართლებულად ჩაითვალოს; იგი მათი კონფლიქტების მოგვარების ჩარჩო პრინციპებთან შესაბამისობას ეჭვ ქვეშ აყენებს.

სრებრენიკაში, რუანდასა და კოსოვოში განცდილი მარცხის (1999:39) შემდეგ გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა საერთაშორისო საზოგადოებას ძალადობრივი რეპრესიებისა და „მშვიდობიანი მოსახლეობის მასიური ჟლეტის“ წინააღმდეგ მიმართული „საერთაშორისო ნორმების შექმნისაკენ“ მოუწოდა და საერთაშორისო კონსენსუსის მიღწევის აუცილებლობაზეც ისაუბრა, რის შედეგადაც დაიწყეს ძალისმიერი საერთაშორისო ჩარევების კრიტერიუმების შექმნაზე მუშაობა (დეტალური ინფორმაციისათვის იხ. Stromseth, 2003: 261-7). ასევე დაიწყეს ცივი ომის პერიოდის ლეგიტიმური „უნილატერალური“ ჩარევის („სახელმწიფოთა თვით დახმარება“) სახელმძღვანელო კრიტერიუმების შემუშავებაც სხვა ქვეყნებში შექმნილ გადაჭარბებულ ჰუმანიტარულ საფრთხეზე რეაგირებისთვის (Lillich, 1967; Ramsbotham and Woodhouse, 1996: 33-66). ცივი ომის კრიტერიუმებს რეზუმირებული სახით გვთავაზობს ჩესტერმანი (2001: 228-9): საფრთხეები უნდა იყოს აშკარა და აღმაშფოთებელი; არ უნდა არსებობდეს სხვა, რეალისტური არასამხედრო ალტერნატიული გზა; გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ორგანიზებული კოლექტიური მოქმედება წარუმატებელი უნდა იყოს; სამხედრო მოქმედება მხოლოდ საჭიროებით შემოიფარგლებოდეს, იყოს პროპორციული და გააჩნდეს წარმატების გონივრული შანსი; კონფლიქტის მოგვარების მიზნით ჩართულ სახელმწიფოს არ უნდა ამოძრავებდეს პირადი ინტერესები; მის მთავარ მიზანს ჰუმანიტარული ამოცანის შესრულება უნდა წარმოადგენდეს. ფაქტობრივად, ეს ყოველივე სამართლიანი ომის კრიტერიუმებია. ცივი ომის შემდგომ პერიოდში გაეროს უშიშროების საბჭოს მოქმედების მეტი თავისუფლება მიენიჭა; ანანმა კი მთელი რიგი ისეთი ფაქტორები ჩამოაყალიბა, რომლებიც გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა გაითვალისწინოს მაშინ, როდესაც იგი ჰუმანიტარულ საფუძველზე ძალისმიერი ჩარევის განხორციელების ან არგანხოციელების გადაწყვეტილებას იღებს - მაგ., საერთაშორისო სამართლის დარღვევის

ბუნება და იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც ეს დარღვევა ეხებათ; სიტუაციის გამოსწორებაზე პასუხისმგებელ მთავრობას საამისო უნარი ან სურვილი არ უნდა ჰქონდეს; მშვიდობიანი ან თანხმობაზე დაფუძნებული ყველა ძალისხმევა ამოწურული უნდა იქნეს; გაეროს უშიშროების საბჭოს უნდა გააჩნდეს ჩარევაზე მონიტორინგის განხორციელების უნარი; ძალა გამოყენებული უნდა იყოს შეზღუდული ან პროპორციული რაოდენებით და გათვალისწინებულ უნდა იქნეს გავლენა, რომელსაც იგი მოსახლეობასა და გარემოზე მოახდენს (Stromseth, 2003). ყოველივე ეს კვლავ სრულ თანხვედრაშია სამართლიანი ომის კრიტერიუმებთან, რომლის მიხედვითაც იღებენ „ომის გადაწყვეტილებას“ (*jus ad bellum* -ომში წასვლა არწასვლა) და ადგენენ როგორ „იმოქმედონ ომში“ (*jus in bello* - როგორ ვიბრძოლოთ ომში).

როგორც მე-6 თავში აღვნიშნეთ, კანადის პრემიერ მინისტრმა ჟან კრეტიენმა „ინტერვენციისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის საერთაშორისო კომისია“ (ICISS) შექმნა, რომლის ფარგლებშიც მრგვალი მაგიდის გარშემო 11 დისკუსია და სახელმწიფო კონსულტაციები გაიმართა. კომისია 2001 წლის აგვისტოში, 11 სექტემბერს აშშ-ზე განხორციელებული იერიშის წინ, ანგარიშით წარსდგა. მართალია, იგი შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა დაჩრდილა, მაგრამ ამ ანგარიშის მთავარი მამოძრავებელი ძალა ჩინეთის, რუსეთის, ინდოეთისა და მთელი რიგი “ჯგუფი 77“ (G77) ქვეყნებისა და იმ წევრების კრიტიკას, რომლებიც არც ერთ ბლოკში არ არიან გაერთიანებულები (Non-Aligned Movement (NAM)), გადაურჩა, რის შემდეგაც 2005 წლის სექტემბრის მსოფლიო სამიტზე დაიბადა შეთანხმება „დაცვის პასუხისმგებლობის“ (Responsibility to Protect (R2P)) შესახებ, რაც „სამიტის შედეგების დოკუმენტის“ 138–ე და 139–ე მუხლებშია ჩადებული (იხ. ფოკუსი 14.2).

გაეროს წევრი სახელმწიფოები დაცვის ვალდებულების „ფუნდამენტალურ პრინციპზე“ თანხმდებიან და აღიარებენ, რომ მისი „ხელშეწყობა“ საერთაშორისო საზოგადოების ლეგიტიმურ ინტერესებში შედის. საჭიროა იმ ზომების განხორციელება, რომლებიც გაეროს ქარტიის მეექვსე თავის „მშვიდობიან საშუალებებშია“ მითითებული, მაგრამ აუცილებლობის შემთხვევაში (თუ ზემოთ აღნიშნული არასკმარისი აღმოჩნდება) მეტიც უნდა მოიმოქმედონ და ქარტიის მეშვიდე თავში მითითებულ ზომებსაც მიმართონ; მაშასადამე იძულებითი კოლექტიური ქმედება გამოიყენონ. მეშვიდე თავი სანქციების, არასამხედრო იძულებითი საშუალებების (მუხლი 41) და ძალისმიერი სამხედრო მოქმედების გამოყენებას ითვალისწინებს, თუ პირველი არასაკმარისი აღმოჩნდება (მუხლი 42). აქედან გამომდინარე, „დაცვის პასუხისმგებლობა“ საერთაშორისო მოქმედების გრადიენტია, რომელის მიხედვით ძალისმიერი ქმედება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში უნდა იქნეს გამოყენებული. ცივი ომის დროინდელ „ჰუმანიტარულ ჩარევასა“ და „დაცვის ვალდებულებას“ შორის ორი მთავარი განსხვავებაა. პირველი - „დაცვის ვალდებულება“ გაცილებით ფართოცნებაა ვიდრე ტრადიციული „ჰუმანიტარული ჩარევა“, რადგან იგი რეაგირებათა ფართო სპექტრს მოიცავს და არა მხოლოდ ძალისმიერ ჩარევას (1990-იანი წლების შუიდან რამსბოტამი (1997) „რეკონცეპტუალიზაციის“ საჭიროებაზე საუბრობდა). მეორე - „დაცვის ვალდებულებაში“ მთავარია გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული ზომები, ცივი ომის დროინდელი მიდგომა კი სახელმწიფოების მხრიდან ექსკლუზიურ, უნილატერალურ ქმედებას გულისხმობდა, რადგან არც გაეროს სანქცია არსებობდა და არც მის უშიშროების საბჭოს ჰქონდა შეთანხმებული მოქმედების საშუალება. „დაცვის ვალდებულებაში“ მაინც არსებობს გარკვეული სიცარიელე, რადგან არაფერია ნათქვამი რა ზომების მიღებაა შესაძლებელი ან მიზანშეწონილი - მაგ., ისეთ შემთხვევებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა კოსოვოში 1999

წელს და დარფურში 2003 წელს (იხ. ფოკუსი 14.3); ამაზე გაეროს უშიშროების საბჭოში კონსენსუსი არ არსებობს. ასეთ შემთხვევებში „ჩარევებისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის საერთაშორისო კომისია“ (ICISS) საჭიროდ მიიჩნევს ტრადიციული სამართლიანი ომის კრიტერიუმების გამოყენებას; თუმცა, 2005 წლის სამიტის დოკუმენტში ესეც კი არ არის ნახსენები. ასევე არ არსებობს სამართლებრივი კონსენსუსი იმის შესახებ თუ კონკრეტულად რა ღონისძიებების განხორციელებაა მიზანშეწონილი გაეროს უშიშროების საბჭოს ექსპლიციტური თანხმობის არარსებობის შემთხვევაში. ამ საკითხთან მიმართებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, ერთნი თვლიან, რომ ასეთ დროს ნებისმიერი ტიპის ჩარევა არამიზანშეწონილი და არაკანონიერია და მიიჩნევენ, რომ ასეთი რამის დაშვება „საერთაშორისო კანონის უზენაესობის ხელის შეშლას“ ნიშნავს (Chesterman, 2001: 217). მათი აზრით, საერთაშორისო ეთიკა სამართლებრივად დაუშვებელს ამართლებს (თანაც ყალბად) და „ვიჯილანტებსა და ოპორტუნისტებს ჰეგემონური ჩარევის“ საშუალებას აძლევს (Brownlie, 1973). მეორენი კი თვლიან, რომ ასეთმა ნომინალურად არაკანონიერმა ქმედებამ (მაგ., ის, რაც 1999 წელს კოსოვოში მოხდა) შესაძლოა გაამართლოს, „კანონიც უკეთ დაიცვას (ე.ი. მეტად ლეგიტიმური იყოს) და უფრო მორალურიც იყოს, ვიდრე უმოქმედობა იქნებოდა“, რითიც იგი საერთაშორისო სამართალს თავისივე ფორმალობის ლაბირინთებისგან იხსნის და მას უფრო მეტ მნიშვნელობას მიანიჭებს ვიდრე მხოლოდ პოლიტიკური ფორს მაჟორის ბეჭედია.(Franck, 2003:226).

ფოკუსი 14.2 – 2005 წლის მსოფლიო სამიტის შედეგის დოკუმენტი: დაცვის პასუხისმგებლობა

138 თითოეული სახელმწიფოს ინდივიდუალური პასუხისმგებლობაა საკუთარი მოსახლეობა გენოციდის, ომის დანაშაულის, ეთნიკური წმენდისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისგან დაცვას. პასუხისმგებლობა გულისხმობს ასეთი დანაშაულების პრევენციას - მათ შორის, ყველა საჭირო და აუცილებელი საშუალებით მისი წაქეზებისგან თავშეკავებას. ჩვენ ამ პასუხისმგებლობას ვიღებთ და მის შესაბამისად ვმოქმედებთ. საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო საზოგადოება სახელმწიფოებს ხელს უწყობს და ეხმარება ამ პასუხისმგებლობის განხორციელებაში და მხარს უჭერს გაეროს ადრეული გაფრთხილების სისტემის ამოქმედებაში.

139. საერთაშორისო საზოგადოებას ასევე ეკისრება პასუხისმგებლობა (გაეროს საშუალებით) გამოიყენოს სათანადო დიპლომატიური, ჰუმანიტარული და სხვა მშვიდობიანი საშუალებები გაეროს ქარტიის VI და VIII თავების შესაბამისად და დაიცვას მოსახლეობა გენოციდის, ომის დანაშაულის, ეთნიკური წმენდისა და კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისგან. ამ შემთხვევებში ჩვენ ვაცხადებთ მზაობას ვიმოქმედოთ კოლექტიურად, დროულად და გადაჭრით, უსაფრთხოების საბჭოს საშუალებით, ქარტიის, მათ შორის VII თავის შესაბამისად, თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად და სათანადო რეგიონალურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მაშინ, როდესაც მშვიდობიანი საშუალებები არ კმარა, ხოლო ნაციონალური ხელისუფლება კი ცალსახად ვერ ახერხებს თავისი მოსახლეობის დაცვას გენოციდის, ომის დანაშაულის, ეთნიკური წმენდისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისგან ...

წყარო: UN General Assembly, 2005 Summit Outcome, A/60/L.I,/20 Septemmber

ფოკუსი 14.3. დაცვის პასუხისმგებლობა დარფურში?

მრავალთა აზრით დარფური ახალი „დაცვის ვალდებულების“ რეჟიმისთვის ერთგვარი „ლაკმუსის ტესტი“ ამოჩნდა;ტესტი, რომელშიც იგი ჩაიჭრა: „მანამ, სანამ ოცდამეერთე საუკუნის პირველი ეთნიკური წმენდის დანაშაული არ გამოსწორდება, დაცვის ვალდებულება (R2P) მისწრაფებად დარჩება, საქმედ არ იქცევა და „აღარასოდეს“ გადაიქცევა „და მაინც“ მოხდად და „კიდევ ერთხელ“ მოხდად (Nick Grono, 2006, ციტირებულია Bellamy, 2009: 149). კრიზისს ფესვები დასავლეთ სუდანის არაბ მომთაბარე, მესაქონლე ტომებსა და მკვიდრ ფურებს, მასალიტებსა და ზაღავას ტომებს შორის ისტორიულად არსებულ დაძაბულობაში ჰქონდა გადგმული. 2001 წელს კრიზისს ბიძგი მისცა ამ უკანასკნელთა შეთანხმებამ თავი დაეცვათ მთავრობის მხარდაჭერით განხორციელებული თავდასხმებისაგან. 2003 წელს სუდანის განმათავისუფლებელი მოძრაობის/ არმიის (SLM/A) და „სამართლიანობისა და თანასწორობის მოძრაობის“ (Justice and Equality Movement) ამბოხებული ჯგუფები ალ-ფაშირის სამხედრო ფორტპოსტს დაესხნენ თავს,რასაც სასტიკი რეაქცია მოჰყვა. ხართუმის მთავრობამ მხარი დაუჭირა არაბული ჯანჯავედის მილიციის შენაერთებს (მათ შორის საჰაერო მხარდაჭერის სახითაც); დაიწყო მხეცური კამპანია, მარადიორობა და ეთნიკური წმენდა. იმ დროისთვის, როდესაც მსოფლიო სამიტმა „დაცვის ვალდებულება“ მიიღო, 200, 000 ადამიანი იყო დაღუპული, 2 მილიონი კი იძულებით გადაადგილებული; კონფლიქტი მეზობელ ჩადშიც გავრცელდა.

ავღანეთისა და ერაყის მოვლენებით დაკავებული დასავლეთის ლიდერები, კატეგორიული ზომების მიღებისგან თავს იკავებდნენ. ერთ-ერთ მიზეზად ასახელებდნენ იმასაც, რომ სუდანში ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის მიმდინარე სამშვიდობო პროცესის რისკის ქვეშ დაყენება არ სურდათ; მითუმეტეს, რომ ამ პროცესმა 2005 წლის იანვარში მასშტაბური სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებით კულმინაციას მიაღწია. ზომების მიღებისაგან თავს იკავებდნენ გაეროს უშიშროების საბჭოს წევრებიც. ერთსულოვნება არ არსებობდა არც „აფრიკის კავშირში“, მიუხედავად იმისა რომ, მან პლატფორმა შეიცვალა და „ჩაურევლობის“ პოლიტიკიდან „არაგულგრილობის“ პოლიტიკაზე გადავიდა (იხ. მე-5 თავი); შესაძლებელი იყო, რომ , შეთნხმება - „აფრიკულ პრობლემებს აფრიკული გადაწყვეტილება“ - გამოეყენებინათ როგორც საერთაშორისო რეაგირების პრევენციის ან შეყოვნებისთვის (და გამოიყენეს კიდეც) ასევე აქტიური რეაგირებისთვის. სიტუაცია უკიდურესად გართულდა და დაიძაბა; მიუხედავად მოქმედებისკენ მოწოდებებისა (Mepham and Ramsbotham, 2006) გამოცდილი ადამიანები ძალისმიერი ჩარევის წინააღმდეგნი იყვნენ. ავსტრალიის ყოფილი პრემიერ მინისტრი, გარეტ ევანსი „დაცვის ვალდებულების“ პროექტის ერთ-ერთი სპონსორი და გაეროს უმაღლესი შემადგენლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, 2006 წლის ოქტომბრის „საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის“ (რომლის თავმჯდომარეც თავად არის) რეკომენდაციას მიემხრო, რომელიც ასეთი მოქმედების წინააღმდეგი იყო. რეკომენდაცია ტრადიციული სამართლიანი ომის კრიტერიუმების გადასინჯვის შემდეგ მიიღეს. მართალია, სახეზე იყო ომის „სამართლიანი მიზეზი“, ძალისმიერ ჩარევა ზეუარის საბაბი სამართლიანი ომის ორი კრიტერიუმი იყო - „უკანასკნელი საშუალება“ (არაძალისმიერი საშულებები ამოწურულიარ იყო) და „შედეგთა ბალანსი“ (სიკეთეზე მეტ ზიანს მოიტანდა).

თუმცა, აი, რას ამბობს ალექს ბელამი იგივე სამართლიანი ომის კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

> *უშიშროების საბჭოს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მიზნით ჩარევის უფლებამოსილება რომ მიეცა (დარფურში), მისი გადაწყვეტილება შესაბამისობაში იქნებოდა „საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის“ (სამართლიანი ომის) კრიტერიუმებთან. ძნელი წარმოსადგენია ასეთ ვითარებაში საერთაშორისო კრიზისების ჯგუფს (ICG) ჩარევაზე უარი ეთქვა, განსაკუთრებით წარმატებულ ჩარევაზე. ახლა არც ამას ვამტკიცებ და არც იმას, უბრალოდ გაჩვენებთ, რომ როცა საქმე კონკრეტულ კრიზისში ჩარევას ეხება, თვით „დაცვის პასუხისმგებლობის“ მომხრენიც კი არ არიან ერთსულოვანნი. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ სამართლიანი ომის კრიტერიუმები ფურცელზე ფრიად შთამბეჭდავია, პრაქტიკაში შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნია. (2009:155).*

საბოლოოდ ხართუმის რეჟიმის წინააღმდეგ გაეროს ქარტიის 41-ე მუხლის ფარგლებში კონკრეტული სანქციების გატარება გადაწყვიტეს. პირველად ისტორიაში ახალმა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ სახელმწიფოს მოქმედ მეთაურ, პრეზიდენტს, ომარ ალ-ბაშირს ბრალი წაუყენა და გაეროს ქარტიის მეშვიდე თავის ჰიბრიდულ გაერო/აფრიკის კავშირის სამშვიდობო ოპერაციის -UNAMID-ის დასაწყებად ძლიერი ზეწოლა მოახდინა (UNSCR Resolution 1769, July 2007).

ფოკუსი 14.4 დასავლური სამართლიანი ომის კრიტერიუმების ტრანსმუტაცია სამართლიანი ჩარევის კრიტერიუმებად

მეთოთხმეტე საუკუნის მოღვაწის, თომას აკვინელის აზრით „იმისათვის, რომ ომი სამართლიანი იყოს, სამი რამ არის საჭირო". „პირველი - სუვერენის უფლებამოსილება, რომლის ბრძანებითაც ომი მიმდინარეობს," „მეორე - სამართლიანი მიზეზი", „მესამე - მათ, ვინც ომს აწარმოებს, სწორი განზრახვა უნდა ჰქონდეთ, ანუ სიკეთეს თესდნენ და ბოროტებას თავს არიდებდნენ". სამართლიანი ომის კრიტერიუმები ორ ნაწილად იყოფა - კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავენ როდის არის ომის წარმოება გამართლებული (*jus ad ballum)* და კრიტერიუმები, რომლებიც ადგენენ, როგორ ხდება ომის სწორად წარმოება (*jus in bello*). არ არსებობს ზოგადად აღიარებული და შეთანხმებული კრიტერიუმების ნუსხა, არც მათი წონების თანაფარდობაა დადგენილი და არც ის, უნდა აკმაყოფილებდეს თუ არა ომი ყველა ამ კრიტერიუმს იმისათვის, რომ იგი სამართლიანად ჩაითვალოს.

ომის დაწყების გადაწყვეტილების კრიტერიუმები

სამართლიანი მიზეზი: განსხვავდება ტრადიციული სამართლიანი ომისგან იმით, რომ სამხედრო ძალა საერთაშორისო ნორმების, მათ შორის დეკოლონიზაციის (აღმოსავლეთ თიმორი), დემოკრატიზაციის (სიერა ლეონე), კონფლიქტების გადაწყვეტის (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა), ჰუმანიტარული (კოსოვო) და ანტი-ტერორიზმის ნორმების (ავღანეთი) დასაცავად გამოიყენება.

უფლებამოსილების ლეგიტიმურობა: განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ასეთი ინტერვენციები მულტილატერალური უნდა იყოს; საჭიროა გაეროს უშიშროების საბჭოს უფლებამოსილება ან ყოველ შემთხვევაში მისი მხრიდან თანამშრომლობა.

სწორი განზრახვა: გაცხადებული მოტივების დიდბუნებოვნება და მიუკერძოებლოება სკეპტიკოსებს ვერ არწმუნებს იმაში, რომ ჩარევა საშინაო პოლიტიკაში ჩარევის, ნავთობის ან ჰეგემონიის მოპოვების მიზნით არ ხორციელდება.

წარმატების პერსპექტივა მისაღებ ფასად: ესეც პრობლემატურია - მოსალოდნელ წარმატებასა და სავარაუდო მოგება-ზარალს შორის არსებული ბალანსი რთული შესაფასებელია, როდესაც მიზანი არა მხოლოდ სამხედრო წარმატება, არამედ რეკონსტრუქცია და ნაციის შენებაა.

უკანასკნელი გამოსავალი: ამ შემთხვევაში განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ საჭიროა, სამიზნე მთავრობის იძულება, იმოქმედოს პასუხისმგებლობის სრული დაცვით; მეორე - მედიატორები უნდა მოქმედებდნენ გაეროს მიერ დადგენილი რეაგირების ფორმების თანმიმდევრობის დაცვით - მეექვსე თავი - მშვიდობიანი გადაწყვეტა, 41-ე მუხლი სანქციები (მე-8თავში, ცხრილ 8.1.-ში ჩამოთვლილ სახელმწიფოთა ნახევარზე მეტს „ჩარევა-რეკონსტრუქცია-გაყვანის" ოპერაციების მსვლელობის პროცესში გაეროს უშიშროების საბჭომ სანქციები დაუწესა) და როდესაც ყველა ეს ზომა არ ამართლებს, ამოქმედდება 42-ე მუხლი.

ომის წარმოების კრიტერიუმები

In bello კრიტერიუმების მიზანია ძალის გამოყენების მინიმალურ და აუცილებელ დონემდე შეზღუდვა; თითოეულ შემთხვევაში მისი გამოყენება პროპორციული და დისკრიმინაციული უნდა იყოს (არასამხედრო პირები სამიზნეები განზრახ არ უნდა გახდნენ). საერთაშორისო ჩარევების დროს ასეთი კრიტერიუმები კიდევ უფრო ძნელი დასადგენია; განსაკუთრებით რთულია სამიზნის გარჩევა ქაოსურ ზონებში, სადაც ბრძოლებში სამოქალაქო პირებიც ხვდებიან. ასეთ ჩარევებს საგანგებო მომზადება და დამატებითი უნარები სჭირდება; აუცილებელია გამჭვირვალე მექანიზმების არსებობა, რომლითაც დადგინდება და დაისჯება მედიატორთა მხრიდან საერთაშორისო სამართლის დარღვევის ფაქტები (მაგალითისთვის იხილეთ გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტრო, 2004).

სამართლიანი ომიდან სამართლიან ჩარევამდე: სამართლიანი ომის კრიტერიუმები და კონფლიქტების მოგვარების ჩარევის პრინციპები

მოცემული თავის ამ ნაწილის მთავარი არგუმენტი ასეთია: თუ სამხედრო ძალის გამოყენება ხდება არა ნაციონალური უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, არამედ კოსმოპოლიტური ფასეულობების განსამტკიცებლად, ტრადიციული სამართლიანი ომის კრიტერიუმები თავისთავად საკმარისი აღარ არის. იმისთვის, რომ სამართლიანი ომი სამართლიან ჩარევად იქცეს, სამართლიანი ომის კრიტერიუმები კონფლიქტის მოგვარების მიზნით ჩარევის პრინციპების ფართოსაზღვრებში უნდა მოვაქციოთ. ამისთვის ორი რამ არის მთავარი (Ramsbotham, 2006). პირველი - სამართლიანი ომის კრიტერიუმების ადაპტირება; მეორე - გარკვეული კრიტერიუმების დამატება, მათ შორის სრულიად ახალი კატეგორიის: *just post bellum* (ის, რაც ძალის გამოყენების შემდეგ ხდება); ამ უკანასკნელის მიხედვით დგინდება თუ რამდენად გამართლებული იყო მისი (ამ ძალის) გამოყენება; ასეთ დროს აღარ აქვს მნიშვნელობა იმას თუ რამდენად „კეთილი განზრახვით“ მოქმედებდნენმედიატორები. თითოეულზე შევჩერდებით ცალ-ცალკე.

ფოკუსი 14.4 გვაჩვენებს რა ემართება ტრადიციული სამართლიანი ომის კრიტერიუმებს მაშინ, როცა ისინი კონფლიქტების მოგვარების ფართო პრინციპებში ექცევიან. ნათელია, რომ ყველა ტრადიციული კრიტერიუმი ფუნდამენტალურ ცვლილებას განიცდის.

თუმცა, ეს კრიტერიუმები არ კმარა. საჭიროა ახალი კრიტერიუმების დამატება, რომლებიც კონფლიქტის სამართლიანი მოგვარების იმ ჩარჩო პრინციპებიდან გამომდინარეობს, რომლებზეც ამ თავში ზემოთ ვისაუბრეთ (ნახაზი 14.1) და რომლებიც ტრადიციული სამართლიანი ომის კრიტერიუმებში არ შედის; მაგ., ორმხრივობის, მდგრადობის, თანმიმდევრულობის, ანგარიშვალდებულებისა და უნივერსალურობის კრიტერიუმები. ასევე გასათვალისწინებელია *jus post bellum* კრიტერიუმი, რომლითაც განისაზღვრება შედეგები, შემდგომი პერიოდი და საბოლოო შედეგები, რაზეც მე-9 თავში გვქონდა საუბარი. მაშასადამე, კრიტიკული შეფასება არ მთავრდება კითხვით *„იყო თუ არა“,* საწყისი გადაწყვეტილების მომენტითა და მედიატორთა განზრახვით და არც იმით თუ რამდენად გონივრული იყო მოქმედება და რამდენად გულწრფელი. მნიშვნელოვანია რა ზეგავლენა მოახდინა მან იმ სამიზნე მოსახლეობაზე, ვისი სახელითაც განახორციელეს ეს ჩარევა. შეიძლება, ამ შემთხვევაში რეტროსპექტივამ სრულიად განსხვავებული სურათი მოგვცეს და თანაც ისეთი, რომელიც დროთა განმავლობაში ცვლილებას განიცდის.

ეს ყველაფერი პერსპექტივაში და მე-15 თავთან კავშირში რომ წარმოვიდგინოთ, ამ საკითხზე არადასავლური თვალთახედვიდან, ეთიკურ პლანში უნდა ვიმსჯელოთ. ჰაშმი (1993) ამტკიცებს, რომ ჰუმანიტარული ჩარევა მუსლიმ თეორეტიკოსებს გაცილებით ნაკლები თავსატეხის წინაშე აყენებს ვიდრე დასავლელებს, რადგან სახელმწიფო სუვერენიტეტი ყურანისეული კონცეფცია არ არის და მისთვის ძალისმიერი ჩარევა საფრთხის ქვეშ მყოფი ხალხის დასაცავად სრულიად მისაღებია. ეს მოსაზრება 1997-1998 წლებში შეკრებილმა ერთობლივმა მუსლიმურ-ქრისტიანულმა კვლევითმა ჯგუფმაც დაადასტურა (Ramsbotham, 1998). თუმცა, არც ჩანდა მუზაფირის გაფრთხილება უნდა დავივიწყოთ:

> *იმისათვის რომ გამართლებული ჰუმანიტარული ჩარევა ქმედუნარიანი იყოს, საერთაშორისო პოლიტიკა და საერთაშორისო ხელისუფლების სტრუქტურა ფუნდამენტალურად უნდა შეიცვალოს; საერთაშორისო პოლიტიკა მხოლოდ ძლიერთა ასპარეზი აღარ უნდა იყოს. გლობალური პოლიტიკური გადაწყვეტილებები ძლიერ სახელმწიფოებში ძალაუფლების მქონე ერთი მუჭა ელიტის ინტერესების გათვალისწინებით ყალიბდება, რის გამოც მათი საერთაშორისო პოლიტიკის დომინანტი ფაქტორი ჩარევაზეც აისახება, რაც ძალაუფლების არმქონეთ სამართალს ვერ მოუტანს. იმისათვის რომ ჩარევა ქმედუნარიანი იყოს, მისი განმახორციელებელი ინსტიტუტი, მთელი კაცობრიობის დიდი ოჯახის ინტერესებსა და მისწრაფებებს უნდა ითვალისწინებდეს. საერთაშორისო პოლიტიკაში და ზოგადად საერთაშორისო სისტემაში ცვლილებების გატარების გარეშე ჰუმანიტარულ ჩარევაში ისლამის პრინციპების გამოყენება შეუძლებელი იქნება. (იქვე: 102).*

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ კონფლიქტების მოგვარებისა და ზოგადად ჩარევის ეთიკის მსგავსად, ასეთი ტიპის საერთაშორისო ქმედების აღქმულ ლეგიტიმურობას მხოლოდ ჭეშმარიტად კოსმოპოლიტური ჩარჩო თუ განამტკიცებს.

დასკვნა

14.1 ნახაზზე მოცემული ჩარევის პრინციპების ჩარჩო მისი (ჩარევის) მთავარი პრინციპებისა და ნორმატივების მიხედვითაა შექმნილი, რომლებზეც სულ უფრო მეტი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაცია და მშვიდობის დაცვის მიდგომების ავტორი თანხმდება. ჩვენი აზრით, ეს პრინციპები მკაფიოა და მათი მიხედვით კონფლიქტის (როგორც შიდა ასევე საერთაშორისო) მოგვარების მიზნით განხორციელებული ჩარევის წარმოება სრულიად შესაძლებელია. ძალისმიერი ჩარევის შემთხვევასთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, რომ აქ კონფლიქტების მოგვარების დარგის სპეციალისტები ერთსულოვანნი არ არიან. ვერც ამ წიგნის ავტორები თანხმდებიან იმაზე თუ კონფლიქტის მოგვარების თვალსაზრისით ეთიკურად რამდენად ლეგიტიმურია ძალისმიერი ჩარევა. სამივე ვთანხმდებით ჩარჩოს სახით მოცემულ პრინციპებზე; თუმცა, ძალისმიერ ჩარევას მხოლოდ ორი ჩვენგანი ემხრობა; თუმცა, ყველანი ვთვლით, რომ ამ ოპერაციების ისე წარსამართად რისი პრეტენზიაც პოლიტიკურ ლიდერებს აქვთ, აუცილებელია საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინება. ყველანი ვთახმდებით იმაზეც, რომ კონფლიქტის ნებისმიერ დონეზე ჩარევისას აუცილებელია მკაფიო და ყურადღებით შერჩეული კრიტერიუმების გამოყენება. ამ თავის დასაწყისში მოყვანილი ციტატები ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ რთული ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებას ვერსად გავექცევით. ხშირ შემთხვევაში რამის გაკეთებას და არგაკეთებას მორალური დილემები და რისკები ახლავს თან. საჭიროა ისეთი მსოფლიო პრინციპების შემუშავება, რომელსაც ყველა დაიცავს და პატივს სცემს, რაც კოსმოპოლიტური კონფლიქტების მოგვარების ცენტრალური ამოცანაა. იმედს ვიტოვებთ, რომ ამ თავში მოცემული მსჯელობა ამ ამოცანას ეხმიანება.

რეკომენდირებული ლიტერატურა

Bellamy (2009); Chandler (2004); Elsthain (1992); Holzgrafe and Keohane (2003); ICISS (2001); Ramsbotham (2006); Ramsbotham and Woodhouse (1996).